

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
საქართველოს ისტორიის ფარგლების კომისია

## მცხეთური ხელნაწერი

დანიელის, მცირე წინასწარმეტყველთა და ასალი აღთქმის  
წიგნები)

ტიქსტი გამოსაცემად მოამზადა  
და გამოკლევა დაურთო ელ. ღონანაშვილმა



თბილისი  
„მეცნიერება“  
1986

ნაშრომი აგრძელებს დღემდე გამოუქვეყნებელი „მცხეთური ხელნაწერის (A 51) პუბლიკაციას, იგი წარედგინება XVII საუკუნის დასასრულისა და XVIII საუკუნის დასაწყისის ცნობილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის სულხან-საბა ორბელიანის მიერ და წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან წყაროს ძველი ქართული ენის, მისი ლექსიკა, კერძოდ, უძველესი ქართული სოციალურ-ეკონომიკური ტერმინოლოგიის შესასწავლად. იგი მნიშვნელოვანია, ამასთანავე, მეზობელ ხალხებთან კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის მთელი რიგი საკითხების კვლევადებისათვის. წინამდებარე პუბლიკაცია შეიცავს ხელნაწერის ერთი ნაკვეთის (წინასწარმეტყველთა და ახალი აღთქმის წიგნები) მეცნიერულად გამართულ ტექსტს, გამოკვლევით, შენიშვნებითა და საძიებლოთურთ.

წიგნი გათვალისწინებულია ფილოლოგებისა და საქართველოს ძველი კულტურითა და ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი პროფ. ზ. ხარჭველაძე

რეკონსტრუქციები ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები: ნ. გოგუაძე,

უ. ცინდელიანი

## შენსავალი

წინამდებარე წიგნით ვაგრძელებთ „მცხეთური ხელნაწერის“ — ბიბლიის ქართულ ხელნაწერებს შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხელნაწერის — (A 51, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის კოლექცია) გამოცენას. უკვე გამოქვეყნდა „მცხეთური ხელნაწერის“ ოთხი ნაკვეთი<sup>1</sup>. მეოთხე ნაკვეთი მოიცავს ეკლესიასტეს, სიბრძნე სოლომონისას, ქებათა ქებას და დიდ „წინასწარმეტყველთა წიგნებს“ (ესაია, იერემია, ბარუქი, ეზეკიელი), ხოლო წინამდებარე მეხუთე ნაკვეთი ეძღვნება დანიელის, „მცირე წინასწარმეტყველთა“ და ახალი აღთქმის წიგნების პუბლიკაციას.

ამ ნაკვეთშიც ტექსტი გამართულია იმ ნორმების მიხედვით, რაც ამ ძეგლის ენას ახასიათებს — არასწორი წაკითხვები გასწორებულია და სქოლიოშია ჩატანილი.

ხელნაწერის აშიაზე მოთავსებული პარალელურ ადგილებზე მითითებები უცვლელად — იმ შემოკლებებით, როგორც ეს ხელნაწერშია, ჩატანილი გვაქვს სქოლიოში და ვარსკვლავით აღვნიშნავთ.

ხელნაწერის ამ ნაწილის გამოცემასაც ერთვის საკუთარ სახელთა საძიებელი.

გამოკვლევა „მცხეთური ხელნაწერის“ ამ ნაკვეთში შესული ტექსტების შესახებ ამჟერად, ტექნიკური მიზეზების გამო, წიგნს ბოლოში ერთვის.

<sup>1</sup> მცხეთური ხელნაწერი (მოსეს ხუთწიგნიელი, ისო ნავე, მსაჯულთა რუთი), თბ., 1981; მცხეთური ხელნაწერი (მეფეთა I, II, III, IV, ნებთა I, II, ეზრას — I, II, III წიგნები), თბ., 1982; მცხეთური ხელნაწერი (ტობი, იელითოს, ესთარის, იობის წიგნები, ფსალმუნნი, იგაეთა წიგნი), თბ., 1983; მცხეთური ხელნაწერი (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა ქება ქებათა სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები — ესაია, იერემია, ბარუქი, ეზეკიელი), თბ., 1985.

## წინასწარმეტყველება დანიელისა

1. მესამესა შორის წელსა მეფობისა იოაკიმისსა, მეფისა იუდაჲსსა, მოვიდა ნაბუქოდონოსორ, მეფე ბაბილონისა, იერუსალიმად და მოადგა მას.

2. და მისცა უფალმან კელსა შორის მისსა იოაკიმ, მეფე იუდაჲსაჲ, და ჯერძოდ კურკელთა სახლისა უფლისათაჲ, და შთაიხუნა იგინი ქუეყანად სენაარად, სახიდ ღმრთისა მისისა, და კურკელნი შეიხუნა სახიდ საუნჯისა ღმრთისა თვისისა.

3. და პრეტუა მეფემან ასენაჲს, საკურისმთავარსა თვისსა, შეყვანებად ძეთაჲთა ტყუეობისა ისრაილისა და თესლისაგან მეფობისა და ფოროთმშინთაგან.

4. კაბუტუა, რომელთა არა იყოს მათ შორის ბიწი, და შეენიერთა ხილეთა და გულსხმიერთა, ეველსა შინა სიბრძნესა და მცოდნელთა მეცნიერებასა, და განმგონებელთა ცნობასა, რომელთა იყო მთავარშესატყუესობაჲ მათ შორის ღვთად სახლსა შინა მეფისასა, და სწავლად მათდა ნაწერნი და ენაჲ ქალღეველთაჲ.

5. და განუწყეა მათ მეფემან დღისაჲ-დღითიღლეთა ტაბლისაგან მეფისა, და ღუნისაგან სასუმელისა მისისა და ზრდად მათდა სამ წელს და შემდგომად ამითა დაღვინებად მათდა წინაშე მეფისა.

6. და იყო მათ შორის ძეთა იუდაჲსათა: დანიილ, და ანანია, და აზარია და მისაელ.

7. და ზედ დაჰსხნა მათ საკურისმთავარმან სახელნი: დანიელსა — ვალტაარ, და ანანიასა — სედრაჲ, და მისაილსა — მისაჲ, და აზარიასა აბელნაჲქო.

8. და დაიდვა დანიილმან გულსა შორის თვისსა, რადთა არა ილსიტყოს ტაბლისაგან მეფისა და ღუნისაგან სასუმელისა მისისა, და ევედრა საკურისმთავარსა, რადთა არა სცეს მისგან.

9. და მისცა ღმერთმან დანიელს წყალობაჲ და შეუწერაჲბა წინაშე საკურისმთავარსა.

10. და პრეტუა საკურისმთავარმან დანიელსა: მეშინს მე უცლისა ჩემისა მეფისა. დამაწყებელითა საკმელსა თქვენსა და სასუმელსა. ნუსადა რიღუნეს პირნი. თქვენნი მკმუნეარენი უფროს ყრმათა თანმოჰსაჲეთა თქვენთასაჲ და დასაყოს თაჲი ჩემი მეფემან.

11. და თქუა დანიელმან ამელსადის მიმართ, რომელი დაადგინა საკურისმთავარმან დანიილის ზედა, ანანია, მისაილ და აზარიასაჲ:

12. და გამოცადენ მონანი შენნი ღლეთა ათთა, და მოჰეცემოდენ ჩუენ თესლთაგან, და ვჰამდეთ და წყალსა ვსუმიდეთ.

13. და იხილედ წინაშე შენსა სახენი ჩუენნი, და საჲენი ყრმათა მჰამელთანი ტაბლასა მეფისასა, და ვითარსახელცა იხილო, მჰენ ყრმათა შენთა თანა.

14. თა ისმინა მათი სიტყუსა ამისებრ და გამოკადნა იგინი ათთა 'დღეთა შინა.
15. და შემდგომად დასრულებისა ათთა დღეთასა იხილენეს სახენი მათნი<sup>1</sup> კეთილებ და ძლიერებ კორცნი უფროს ყოველთა მკამელთასა ტაბლასა მეფისასა.
16. და იყო ამელსად აღმღებელი სერისა მათისა და დუნისა სასუმელისა მათისაჲ, და მისცემდა მათ თესლთა და ყრმათა ოთხთა.
- და 17. მისცა მათ დმერთმან გულისხმის-ყოფაჲ და ცნობაჲ ყოველსა შინა ღრამპატიკოსობასა და სიბრძნესა. და დანიილ შეატყუებდა ყოველსა შორის ხილვასა და ძილისშორისსა.
18. და შემდგომად დასრულებისა დღეთაჲსა, რომელნი თქუნა მეფესან<sup>2</sup> შესაყვანებულად მათდა და შეიყვანნა იგინი საკურისთმთავარმან წინაშე ნაბუქოდონოსორისსა,
19. და უბნობა-ყო მათ თანა მეფემან, და არა იპოენეს ყოველთა მათგან მსგავსნი დანიილ და ანანია და მისაილ და აზარიამსნი, და დადგეს წინაშე მეფისა,
20. და ყოველსა შინა სიტყუსა სიბრძნისა და ზედმწევენულობისასა, რომელნი იბინა მათგან მეფემან, პოვნა იგინი ათწილქმნილნი უფროს ყოველთა მსაბრვალთა და მოკუთა. მყოფთა ყოველსა შორის მეფობასა მისსა.
21. და იქნნა დანიილ ვიდრე წლამდე ერთად კერობ მეფეს პირველსა.

2

1. წელსა შინა მეორესა, მეფობისა ნაბუქოდონოსორისსა, იძილისშორისა ნაბუქოდონოსორმან ძილისშორისი და განკრთა სული მისი და ძილ მისი გაიქნნა მისგან.
2. და თქუა მეფემან შოწოდებაჲ მსაბრვალთა და მოკუთა და მეწამლეთა და ქალდეელთა მითხრობად მეფისა ძილისშორისი მისი, და მოვიდეს და დადგეს წინაშე მეფისა.
3. და პრქუა მათ მეფემან: ძილისშორისი ვიძილისშორისე და განკრთა სული თემი ცნობად ძილისშორისსა.
4. და პრქვეს ქალდეელთა მეფესა ასურებრ: მეფე, საუყუნეთამი ცოცხლებდ. შენ უთხარ ძილისშორისი ყრმათა შენთა და თანშეტყუება მისი მიგითხრათ.
5. მიუგო მეფემან და პრქუა ქალდეელთა: სიტყუა განმეყენა ჩემგან უკეთუ უკუ არა მალწყოთ მე ძილისშორისი და თანშეტყუება მისი, წარსაწყმედელად იყუნეთ და სახლნი თქუენნი იავარ-იქმნენ.
6. ხოლო უკეთუ ძილისშორისი და შეტყუება მისი მალწყოთ მე, საცემელნი და ნიჭნი და არავალი პატივი მიიღოთ ჩემგან, გარნა ძილისშორისი და თანაეტყუება მისი მოითხრათ მე.
7. მიუგეს მეორედ და თქუეს: მეფემან უთხარნ ძილისშორისი ყრმათა მისთა და თანშეტყუება მისი მოუთხრათ.

17. ბ. ბ. 2. 23. 18. შესაყვანებულად S. საკურისთმთავარმანდა S. თანშეტყუება S. უკუთ S. თანშეტყუება S. მსაბრვალთა/მსაბრვალად S. 6. შეტყუება S. თანშეტყუება S. 7. თანშეტყუება S.

\* ქუ. 6. 2. 23.

9. და მიუგო მეფემან და ჰრქუა: ჰეშმარიტებისა თანა უწყი მე, ვითარ-მელ უამი თქვენი მოწვეულ არს, ვითარცა უწყით, რამეთუ განმეყენა ჩემგან სიტყუაჲ.

9. უკეთუ უკუე ძილისშორისი არა მომითხრათ მე, და უწყი, ვითარმელ სიტყუა მტყუარი და განხრწნილი თანდასდევით თქუმაღ წინაშე ჩემსა, ვიდრემდის არა უამი წარკდეს, ძილისშორისი ჩემი მითხრათ მე; და ვცნა, ვითარმელ თანშეტყუებასაცა მისსა მომითხრობთ მე.

10. მიუგეს კუალად ქალღვევლთა წინაშე მეფისა და თქუეს: არა არს კაცი კმელსა ზედა, რომელი სიტყუსა უწყებდალ მეფისა შემსლბებელ იქმნეს, ვინაითგან ყოველი მეფე დიდი და მთავარი სიტყუსა ეგვეითარსა არა ჰკითხავს ყოველსა მსახრვალსა, მოგუსა ქალღვევლსა,

11. რამეთუ სიტყუა, რომელსა მეფე იკითხავს, მძიმე არს, და სხუა არა არს, რომელმან მიუთხრას იგი წინაშე მეფისა, გარნა თუ ღმერთნი, რომელთაჲ არა არს მკედრობაჲ ყოვლისა თანა კორცისა, ვინაჲცა არ ეგების ჰქნად, ვითარ ჰგონებ.

12. მაშინ მეფემან გულისწყრომისა მიერ და რისხვისა მრავლისა თქუა წარწყმედა ყოველთა ბრძენთა ბაბილონისათა,

13. და რქმენაჲ გამოვიდა და ბრძენნი მოიკლვოდეს, და იძინეს დანიილ და მოყუასნი მისნი სიკუდილად.

14. მაშინ დანიილმან მიუგო განხრახებაჲ და ჟერ-ჩინებაჲ არიოქს, მთავარმზარაულსა მეფისსა, რომელი გამოვიდა მოწყუედად ბრძენთა ბაბილონისათა, და ჰკითხვიდა მას მეტყუელი: მთავარო მეფისაო,

15. რაჲსათჳს გამოვიდა ჟერ-ჩინებაჲ ესე უსახური პირისაგან მეფისა? მაშინ აღუწყა სიტყუა არიოქმან დანიილს.

16. და დანიილი შევიდა და ევედრა მეფესა, რაჲთა უამი მისცეს მას და თანშეტყუება მისი მიუთხრას მეფესა.

17. და შევიდა დანიილი სახარ თჳსა, და ინანიჲს და მისაილს და აზარიჲს აცნობა სიტყუა,

18. და წყალობათა ეძიებდა ღმერთისაგან ცისაჲსა საიდუმლოჲსა ამოსტეს, რაჲთა არ წარწყმდენ დანიილი და მეგობარნი მისნი ნეშტთა თანა ბრძენთა ბაბილონისათა.

19. მაშინ დანიილსა ჩუენებჲსა შინა ღამისსა საიდუმლოჲჲ გამოეცხაჲ და აცურთხა ღმერთი ცისაჲ დანიილმან.

20. და თქუა: იყავნ სახლი ღმერთისაჲ კურთხეულ საუკუნითგან და ედრე! აუკუნომდე, რამეთუ სიბრძნე და გულისხმის-ყოფაჲ და ძალი მისი არს

21. და იგი სცალებს წამთა და უამთა, დაადგენს მეფეთა და გარდაადგენს, მისცემს სიბრძნესა ბრძენთა და ცნობასა მეცნიერთა გულისხმის-ყოფისათა.

22. იგი გამოაცხადებს ღრმათა და დაფარულთა, მეცნიერი ბიწლისშონათა, და ნათელი მის თანა არს.

23. შენ, ღმერთსა მამათა ჩემთასა, აღვიარებ და გაქებ, რამეთუ სიბრძნე, ძალი მომეც მე და მაუწყენ მე, რომელნი ვითხიენით შენგან და სიტყუაჲ მეფისაჲ მაუწყე მე.

24. და მოვიდა დანიილ არიოქის მიმართ, რომელი დაადგინა მეფემან წარწყმელად ბრძენთა ბაბილონისათა, და ჰრქუა მას: ბრძენთა მათ ბაბილონისათა ნუ წარსწყმედ, ზოლო შემიყვანე მე წინაშე მეფისა და თანშეტყუებამ ჩუენებისად მიუთხრა მეფესა.

25. მაშინ არიოქმან სწრაფისა თანა შეიყვანა დანიილ წინაშე მეფისა და ჰრქუა მას: ვპოე შამაკაცი ძეთა შორის ტყუეობისა იუდაისტა, რომელმანცა თანშეტყუებამ მიუთხრას მეფესა.

26. და მიუგო მეფემან და ჰრქუა დანიილსა, რომლისა სახელი ვალტასარ: უკუეთუ ძალგიც თხრობად ჩემდა ძილისშორისი, რომელი ვიხილე და თანშეტყუება მისი?

27. და მიუგო დანიილმან წინაშე მეფისა და თქუა: საიდუმლოდ, რომელსა მეფე იკითხავს, არა არს ბრძენთა, მოგუთა, მსახრვალთა ზადარინელთად თითხრობად მეფისა,

28. არამედ არს ღმერთი ცალა შორის გამომაცხადებელი საიდუმლომასად. და აუწყნა მეფესა ნაბუოდონოსორს, რომელნი ჟერარინ ქმნად უკუანამსენელთა დღეთასა, ძილისშორისი შენი და ხილვად თავისა შენისა საწოლსა ზედა შენსა, ესე არს, მეფე,

29. გულისზრახვანი შენნი საწოლსა შესა ზედა აღვიდეს, რამ ჟერარს ქმნად ამათსა შემდგომად და გამომაცხადებელმან საიდუმლოთამან მაუწყნა მე, რომელთად ჟერარს ქმნამ.

30. და მე არა სიბრძნისა მიერ მყოფისა ჩემ შორის უფროს ყოველთა ცოცხალთასა საიდუმლოდ ესე გამომიცხადა, არამედ თანშეტყუებასა უწყებისათჳს მეფესა. რამთა გულისზრახვანი გულისა შენისანი სცნე.

31. შენ, მეფე, ჰხედვედ, და, აჰა, ხატი ერთი დიდი. და ხატი იგი და შესახედავი მისი საშინელ მდგომარე წინაშე პირსა შენსა, და ხილვად მისი საშინელ, ხატი,

32. რომლისა თავი ოქროსა წმიდისა, კელნი და მკერდი და მკლავნი მისნი ვეცხლნი, მუცელი და თემონი რვალისა,

33. და ბარკალნი რკინანი, ფერკნი კერძოთა, რომლითავე უკუე რკინისანი, და კერძოთა კეცისანი.

34. ჰხედვედ, ვერე არა გამოუკუეთა ლოდი მთისაგან თჳნიერ კელთასა, და დაეკუეთა ხატსა ფერკთა ზედა რკინისათა და კეცისათა, და დააწულილნა იგინი სრულიად.

35. მაშინ დაწყულილდეს ერთბამად კეცი, რკინა, რვალი, ვეცხლი, ოქროდ, და იქმნეს, ვითარცა მტუერი კალომსაგან ზაფხულისამსა და აღიღო იგი სიმრავლემან სულისამან, და ყოველი ადგილი არა იპოვა მათი, და ლოდი დაკუეთებული ხატისად იქმნა მთა დიდ, და ადავსო ყოველი ქუეყანა.

36. ესე არს ძილისშორისი და თანშეტყუებამ მისი ვთქუათ წინაშე მეფისა.

37. შენ, მეფე, მეფე მეფეთად, რომელსა ღმერთმან ცისამან მეფობამ ძლიერი და მტკიცე და პატროსანი მოგცა შენ.

24 თანშეტყუება S. 25. ტყუეობისა S. თანშეტყუება S. 26. თანშეტყუება S. 27. სიადუმლო S. 28. საიდუმლოსა S. 30. საიდუმლო S. თანშეტყუება S. 31 სრული S. 24. გამოკუეთა S. დაკუეთა S. 35. მტერი S. დაკუთხუდ S. და დააწულილნა S. 36. თანშეტყუება S. 37. მეფეთა S.

38. ყოველსა შორის აღვიღსა, სადა მკვდრ არიან ძენი კაცთანი. მკვცნი ვე-  
ლისანი, მფრინველნი ცისანი და აევეზნი ზღუსანი, მოგცნა კელსა შინა შენსა,  
და დაადგინა შენ უფლავი ყოველთა; მენ ხარ თავი ოქროსაჲსა.

39. და შემდგომად შენსა აღდგეს მეფობაჲ სხუაჲ, უადრესი შენი, და  
მეფობაჲ მესამე, რომელ არს რვალი, რომელი ეუფლოს ყოველსა ქუეყანასა,

40. და მეფობაჲ მეოთხე იყოს ძლიერ, ვითარცა რკინაჲ, რამეთუ, ვითარ-  
სახედ რკინაჲ დაამწულილებს და დაძმწყისს ყოველთა, ეგრეთ დაამწულილებს  
და დაძმწყნებს ყოველნი.

41. და რამეთუ იხილენ ფერჯნი და ფითნი კერძოდ უკუე რკინისანი და  
კერძოდ კეცისანი — მეფობა განწყვალებული იყო და ძირისაგან რკინისა იყო  
მის შორის, ვითარსახედ იხილე რკინაჲ, აღრეული კეცსა თიჯისასა, .

42. და თითნი ფერჯთანი, ზოგნი უკუე რკინისანი, ზოგნი ზოგნი კეცისანი,  
და ზოგი მეფობისაჲ იყოს ძლიერ, და მისგან იყოს შემუსრვილი.

43. და რამეთუ იხილე რკინა, აღრეული კეცსა თიჯისასა, თანადრეულნი  
იყუნენ თესლთა შორის კაცთასა და რა იყვნენ თანადრეულნი, ესრეთსახედ  
მათსა, ვითარ-იგი რკინა არ თანადრეუბების კეცსა.

44. და დღეთა შინა მათ მეფესათასა აღადგინოს ღმერთმან ცისამან მე-  
ფობა, რომელი საუკუნეთადმი არა განიხრწნას, და მეფობაჲ მისი ერსა სხუასა  
არა დაუშთეს და დააწულილებს და განფიწლნეს მეფობანი ყოველნი, და იგი  
აღდგეს საუკუნეთადმი.

45. ვითარგუჲარად იხილეს, რამეთუ მთისაგან გამოეკუეთა ლოდი თუნი-  
ერ. კელთასა, და დააწულილა კეცი, რკინაჲ, რვალი, ვეცხლი, ოქროჲ, — ღმერთ-  
მან დიდმან აუწა მეფესა, რომელთა ჭერ-არს ქმნა ამათი, და კეშმარტ ძი-  
ლისშორისი და სარწმუნო თანშეტყუებდა მისი.

46. მაშინ მეფე ნაბუქოდონოსორ დაეარდა პირსა ზედა და დანიელსა თა-  
ყუანი-სცა და მანანაჲ და სულნელნი შეწირნა მისსა.

47. და მიმგებელმან მეფემან ჰრქვა მას: კეშმარტებით ღმერთი თქუენი  
იგი არს ღმერთ ღმერთთა, და უფალი უფალთა, და ნეუფე მეფეთა და გამომა-  
ცხადებელ საიდუმლოთა, რამეთუ შეუძლე გამოცხადებად საიდუმლოჲ ესე.

48. და განადიდა მეფემან დანიელ და საცემელნი დიდნი და მრავალნი  
მისცნა მას. და დაადგინა იგი ყოველსა ზედა სოფელსა ბაბილონისასა და მთავ-  
რად სატრაპესთა და ყოველთა ზედა ბრძენთა ბაბილონისათა.

49. და დანიელმან ითხოვა მიფისაგან და დაადგინნა საქმეთა ზედა სოფ-  
ლისა ბაბილონისათა სედრაქ, მისაქ და აბედნაქო. და დანიელ იყო ეზოსა შინა  
მეფისა.

### 3

1. წელთა რვადაათი ნაბუქოდონოსორ მეფემან ქმნა ხატი ოქროსაჲ,  
სიმ. ვლე მისი წყითათა სამოცთა და სივრცე მისი წყითათა ექუსთა. და აღდგა  
იგი ველსა შორის დეირასა, სოფელსა შინა ბაბილონსა.

2. და ნაბუქოდონოსორ მეფემან წარავლინა შეკრებად ყოველთა მის ქუე-  
შეთა, და სატრაპეზთა, და ადგილისმთავართა, წინამძღვართა შიდაერთთა, და



კელმწიფებათზედათა და ყოველთა მთავართა სოფელთასა მოსლვად ენკენიათა ხატისათა რომელი აღდგა ნაბუქოდონოსორ მეფემან.

3. და შეკრებს ადგილსმთავარნი, უპატონნი, სპასპეტნი, წინამძღუარნი ღირნი, კელმწიფებათზედანი, ყოველნი მთავარნი სოფელთანი მოსლვად ენკენიობასა ხატისასა, რომელი აღდგა ნაბუქოდონოსორ მეფემან, და ღგეს წინაშე ხატისა, რომელი აღდგა ნაბუქოდონოსორ.

4. და ქადაგი კმობდა: ძლიერებისა თანა თქუენ გეტყუ: ნათესავთა, ერთა, ტომთა, ენათა,

5. რომელსაცა უამსა გესმასყე კმისა საყურისა, სასტუნველისა და ქნარისა, სამეიკისა, და საფსალმონისა, და თანმეკემობისა და ყოვლისა ნათესავისა მუსიკთამსა, დამრდომთა თაყვანის-ეციოთ ხატსა ოქროსასა, რომელი აღდგა ნაბუქოდონოსორ მეფემან.

6. და რომელმანცა არა თაყუანის-სცეს. მასვე უამსა შევარდეს საკვილისა მიმართ ცეცხლისასა მგზებარისა.

7. და იყო, ოდეს ესმოდის ერთა კმისა საყურისა, სასტუნველისა და ქნარისა, სამეიკისა, და საფსალმონისა, და თანმეკემობისა, და ყოვლისა ნათესავისა მუსიკთამსა. დამრდომნი ერთი, ტომნი, ენანი თაყვანის-სცემდეს ხატსა ოქროსასა, რომელი აღდგა ნაბუქოდონოსორ მეფემან წინაშე ამისა.

8. მაშინ მოუტდეს მამრნი ქალდეველნი და შეასმენდეს იუდეანთა, და მიმგებელთა ჰრქუეს მეფესა ნაბუქოდონოსორს:

9. მეფეი საუკუნეთადმი ცოცხლებდნი!

10. უცნ, მეფე, დასდევ რწმენაჲ: ყოველმან კაცმან, რომელმანცა ისმინოს კმისა საყურისა, სასტუნველისა, და ქნარისა, სამეიკისა, და საფსალმონისა, და თანმეკემობისა და ყოვლისა ნათესავისა მუსიკთამსა,

11. დაეარდეს და თაყუანის-სცეს ხატსა ოქროსასა: რა რომელმან უკეთუ არდავრდომილმან თაყუანის-სცეს. შევარდეს საკვილისა მიმართ ცეცხლისასა ავებულსა.

12. არიან უკუე მამრნი იუდეანნი, რომელნი დაადგინენ საქმეთა ზედა სოფლისა ბაბილონისათა: სედრაჲ, მისაჲ აბედნაჲ; მათ მამრთა არა უსმინეს რწმენასა შენსა და ღმერთთა შენთა არამკუთველ არიან და-ხატსა ოქროსასა, რომელი აღსდგი, არ თაყუანის-სცემენ.

13. მაშინ ნაბუქოდონოსორ გულისწყრომისა თანა და რისხვისა თქუა მოყვანებად სედრაჲ, მისაჲ და აბედნაჲ; და მამრნი იგი მოიყვანნეს წინაშე მეფისა.

14. და მოუგო ნაბუქოდონოსორ და ჰრქუა მათ: უკუეთუ კეშმარიტად, სედრაჲ, მისაჲ და აბედნალო, ღმერთთა უმთა არამკუთველ ხართ და ხატსა ოქროსასა, რომელი აღსდგი, არ თაყუანის-სცემთ?

15. აჲ უკუე, უკუეთუ გაჴუსყე შუად, რაჲთა, ვითარცა გესმასყე კმისა საყურისა, სასტუნველისა, და ქნარისა, სამეიკისა, და საფსალმონისა, და თანმეკემობისა: და ყოველსა ნათესავისა მუსიკთამსა, დავრდომილთა თაყუანის-სცეთ ხატსა, რომელი შეკვემენ. ხოლო უკუეთუ არ თაყუანის-სცეთ, მასვე უამსა შესაცუეთ საკვილისა მიმართ ცეცხლისასა მგზებარისა. და ვინ არს ღმერთი, რომელმან განგარინნეს თქუენ კელთავან ჩემთა?

3 ენკენიობასა S. 5. მუსიკთამსა S. 8. კელმწიფ. S. 11. თაყუანის-სცეს S. 12. უკუე S. უსმინეს S. 13. რაჲთა S. 15. უკუე S.

16. და მიუგეს სედრაჟ, მისაკ და აედენაგო, მეტუუელთა, მეფეს ნაბუქოდ-ლონოსორსა: არა საკმარად მაქუს ჩუენ სიტყუსა ამისთჳ მიგებად შენდა,

17. რამეთუ არს ღმერთი ჩუენი ცათა შინა, რომელსა განმკუთნველ ვართ შემძლებელი გარინებად ჩუენდა საკმილისაგან ცეცხლისაჲსა მგზებარისა და კელთაგანცა შენთა მიკსნენს ჩუენ.

18. და უკუეთუ არა საცნაურ იყვენენ შენდა, მეფე, ვითარმედ ღმერთთა შენთა არა ვეკუთნვით და ხატსა ოქროსასა, რომელი აღსდგი, არ თაყუანის-ესცემთ.

19. მაშინ ნაბუქოდონოსორ აღიესო გულისწყრომითა და შესახედავი პი-რისა მისისა იცვალა სედრახს ზედა, მისაჲს, აედენაჲოს, და თქუა აღგზნებად საკმილი შედწილად, ვიდრე არა სრულიად აღატყდეს,

20. და მამრთა, ძლიერთა ძალითა, ჰრქუა, შემკრველთა სედრახს, მისახ, აედენალომასთა, შეთხვეამ საკმილისა მიმართ ცეცხლისაჲსა მგზებარისა.

გ 21. მაშინ მამრნი იგი შეიკრნენს სარაეარებისა თანა მათისა, და ტიარებო-სა, და პერიენიმებისა და შესამოსლებისა მათისა. და შევარდეს შორის საკმი-ლისა ცეცხლისაჲსა მგზებარისა,

22. ვინათგან სიტყუა მეფისა უფროს განძლიერდა და საკმილი აღეტყინა შედწილ უმეტეს.

23. და კაცთა მათ შემაჰმენელთა სედრაჟ, მისაჲ, აედენაჲომასთა მოსწყუედ-და მათ ალი ცეცხლისაჲ გარემოს და მამრნი იგი, სედრაჟ, მისაჲ და აბედნა-ქო, შეცუეს საშუალ საკმილისა ცეცხლისაჲსა მგზებარისა შეკრულნი.

24. და ვიდოდეს საშუალ მის აღისა, უგალობდეს ღმერთსა და აკურთხე-დეს უფლისა.

25. და წარდგომილმან შორის მათსა აზარია ილოცა ესრეთ, და აღმაღე-ბელმან პირისა თუსისამან შორის ცეცხლისა თქუა:

26. კურთხეულ ხარ შენ, უფალო ღმერთო მამათა ჩუენთაო, და ქებულ და დიდებულ არს სახელი შენი საუკუნეთამდღი,

27. რამეთუ მართალ ხარ ყოველთა ზედა, რომელნი მიყვენ ჩუენ. და ყო-ველნი საქმენი შენნი ჰეშმარიტებ და წრფელ გზანი შენნი და ყოველნი გზანი შენნი ჰეშმარიტებ.

28. და მშჯავრითა ჰეშმარიტებისათა ჰყავ ყოველთაებრ, რომელნი მოა-წიენ ჩუენ ზედა, და ჰალაქსა ზედა წმიდასა მამათა ჩუენთასა იერუსალიმსა, და რამეთუ ჰეშმარიტებისა მიერ და მსჯავრისა მოაწიენ ესე ყოველნი ჩვენ ზედა ცოდვათა ჩუენთათუს,

29. რამეთუ ვცოდეთ და ვიუსჯულოეი განდგომილთა შენგან და ვცოდეთ ყოველთაგან,

30. და მცნებათა შენთა არა ვისმინეთ, არცა დავიცუვით, და არცა ვყავთ, ვითარ-იგი მამცენ ჩუენ, რამთა კეთილ იქმნენს ჩუენდა.

31. და ყოველნი, რადენნი მოაწიენ ჩუენ ზედა, და ყოველნი, რადენნი მიყუნ, მართლისა მიერ მსჯავრისა მიყვენ.

32. და მიმცენ ჩუენ კელთა მტერთა უსჯულოთა, ფიცხელთა, განდგომილ-თა და მეფისა ცრუსა და უუსჯულოესსა უფრ. და ყოველისა ქუეყანისა.

33. და აწ არა არს ჩუენი აღება პირისა, სირცხული და ყუედრება იქმნა მონათა შენთა და მმსახურებელთა შენთა.

34. ნუ განმცემ სრულიად სახელისა შენისათჳს რ ნუ განაქარებ ალქმასა შენსა,

და 35. და ნუ განმეყენებ წყალობასა შენსა ჩუენგან აბრაჰამისთჳს, შეყუარებულისა შენ მიერ, და ისაკ მონისა შენისა და ისრაილ წმიდისა შენისა,

36. რომელთა სთქუ მათდა მიმართ მეტყუელმან: განვაძრავლო თესლი თქუენი, ვითარცა ვარსკულაენი ცისანი, და ვითარცა ქუშა ბაგისა თანა ზღუსა,

37. რამეთუ, მეუფეო, შევმცირდით უფროს ყოველთა ნათესაეთა და ეართ მდაბალნი ყოველსა შორის ქუეყანასა დღეს ცოდვითა ჩუენათჳს.

38. და არა არს უამსა ამას მთავარი, და წანწარმეტყუელი, და წინამძღუარი, არცა ყოვლადდასაწველი, არცა მსხუერპლი, არცა შესაწირავი, არცა საკუმეველი, არცა ადგილი ნაყოფებად წინაშე შენსა.

39. და პოვნად წყალობად, არამედ სულისა მიერ შემუსრვილისა და მბერვისა სიმდაბლისამსა შემიწუნარე,

40. ვითარცა ყოვლადდასაწველებისა მიერ ვერძთა და კუროთადასა, და ვითარცა ბეერებისა მიერ კრავთა პოხიერთადასა, ესრეთ იქმენინ მსხუერპლი ჩუენი წინაშე შენსა, უფალო, დღეს, და სრულ-ჰყავ შემდგომად შენსა, რამეთუ არა არს სირცხული მოსაეთა შენდამი:

41. და აწ შეგიდგთ ყოვლისა მიერ გულისა და გუშიშვით შენ და ვეძიებთ პირსა შენსა.

42. ნუ მარცხუნ ჩუენ, არამედ ყავ ჩუენ თანა სახიერებისაებრ შენისა და სიმრავლისაებრ წყალობისა შენისა,

43. და განმარინენ ჩუენ საკვრელებათაებრ შენთა და ეც დიდებდა სახელსა შენსა, უფალო!

44. და სირცხლულ იქმნედ ყოველნი მაჩუენებელნი მონათა შენთა ძკრებსა და კდემულ იყუნენ ყოვლისაგან მძლავრებისა, და ძალი მათი შემუსრენ.

45. ცნედ, რამეთუ შენ ხარ უფალი ღმერთი მხოლო და დიდებული ყოველსა ზედა მკერძოანსა.

46. და არ დასცხრებოდეს, რომელთა შესთხინეს მსახურნი მეფისანი, მაგზებელნი საქმილსა, ნავთსა და ფისსა, ნაძეძსა და ნასხლეესა.

47. და გარდაეცემოდა ალი ზედაით საქმილისა წყრთათა ორმეოცდაცხრათა,

48. და მოგზნნა და მოწუნა, რომელნი პოვნა გარემომს საქმილისა ქალღეველთაგანნი,

49. ხოლო ანგელოზი უფლისაჲ თანაშთავედა მყის აზარიეთსა საქმილად მიმართ და განყარა ალი ცეცხლისა საქმილისაგან.

50. და ყო შორის საქმილისა, ვითარცა სული ცუარისა, ვითარცა რად მსტუნავი, და არ შეეხო მათ ყოვლითურთ ცეცხლი მათდა, და არ შეაწუნხნა იგინი და არ აღაშფოთნ: იგინი.

51. მაშინ სამნივე ვითარცა ერთისაგან პირისა აქებდეს და აკურთხევედეს და აღიღებდეს ღმერთსა საქმილსა შორის მეტყუელნი:

52. კურთხეულ ხარ, უფალო, ღმერთო მამათა ჩუენთაო, და ქაბულ და ზეშთა ამაღლებულ საუკუნეთა, და კურთხეულ სახელი დიდებისა შენისა წმიდად და ზეშთ ქებულ და ზეშთა ამაღლებულ საუკუნეთა.

53. კურთხეულ ხარ ტაძარსა ოორის წმიდისა დიდებისა წენისასა, და ზემოთა ქედულ და ზემოთა დიდებულ საუკუნეთა,

54. კურთხეულ ხარ მხედველი უფსკრულთა, შჯდომარე ქერაბინთა ზედა, და ზემოთა ქებულ და ზემოთა ამაღლებულ საუკუნეთა,

55. კურთხეულ ხარ საყდარსა ზედა მეფობისა შენისასა და ზემოთა ქებულ და ზემოთა ამაღლებულ საუკუნეთა,

56. კურთხეულ ხარ სამყაროსა შორის ცისასა და ზემოთა ქებულ და ზემოთა ამაღლებულ საუკუნეთა.

57. აკურთხევდით ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა, უგალობდით და ზემოთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

58. აკურთხევდით ანგელოზნი უფლისანი უფალსა, უგალობდით და ზემოთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

59. აკურთხევდით ცანი უფალსა, უგალობდით და ზემოთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

60. აკურთხევდით წყალნი ყოველნი ზემოთაზენი ცათანი უფალსა, უგალობდით და ზემოთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

61. აკურთხევდით ყოველნი ძალნი უფლისანი უფალსა, უგალობდით და ზემოთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

62. აკურთხევდით მზე და მთოვარე უფალსა. უგალობდით და ზემოთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

63. აკურთხევდით ვარსკვლავნი ცისანი უფალსა უგალობდით და ზემოთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

64. აკურთხევდით ყოველნი წმანი და ცუარი უფალსა. უგალობდით და ზემოთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

65. აკურთხევდით ყოველნი ქარნი უფალსა, უგალობდით და ზემოთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

66. აკურთხევდით ცეცხლი და სიციხე უფალსა, უგალობდით და ზემოთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

67. აკურთხევდით ნეფხუა დამწველი უფალსა, უგალობდით და ზემოთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

68. აკურთხევდით ცუარნი და ღრუბელნი უფალსა, უგალობდით და ზემოთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

69. აკურთხევდით ყინელი, ნეცხვა უფალსა. უგალობდით და ზემოთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

70. აკურთხევდით თრთუნნი და თოვლი უფალსა, უგალობდით და ზემოთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

71. აკურთხევდით ღამენი და დღენი უფალსა, უგალობდით და ზემოთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

72. აკურთხევდით ნათელი და ბნელი უფალსა, უგალობდით და ზემოთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

73. აკურთხევდით ელანი და ღრუბელნი უფალსა, უგალობდით და ზემოთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

74. აკურთხევდით ქვეყანა უფალსა, უგალობდით და ზემოთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

75. აკურთხევდით მთანი და ბორცენი უფალსა, უგალობდით და ზეშთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

76. აკურთხევდით ყოველნი მცენარენი ქუეყანისა შორის უფალსა, უგალობდით და ზეშთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

77. აკურთხევდით წყაროები უფალსა, უგალობდით და ზეშთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

78. აკურთხევდით ზღუანი და მდინარენი უფალსა, უგალობდით და ზეშთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

79. აკურთხევდით ვეშანი და ყოველნი მოძრავნი წყალთა შორის უფალსა უგალობდით და ზეშთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

80. აკურთხევდით ყოველნი მფრინველნი ცისანი უფალსა, უგალობდით და ზეშთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

81. აკურთხევდით მკეცი და ყოველნი სცხოვარნი უფალსა, უგალობდით და ზეშთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

82. აკურთხევდით ძენი კაცთანი უფალსა, უგალობდით და ზეშთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

83. აკურთხევდით ძენი ისრაელისანი უფალსა, უგალობდით და ზეშთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

84. აკურთხევდით მღვდელნი უფლისანი უფალსა, უგალობდით და ზეშთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

85. აკურთხევდით მონანი უფლისანი უფალსა, უგალობდით და ზეშთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

86. აკურთხევდით სულნი და მბერენი მართალნი უფალსა, უგალობდით და ზეშთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

87. აკურთხევდით ღირსნი და მღაბალნი უფალსა, უგალობდით და ზეშთა ამაღლებდით მას საუკუნეთა.

88. აკურთხევდით ანანია, აზარია და მისაილ უფალსა, უგალობდით და ზეშთა ამაღლებდით მას საუკუნეთა, რამეთუ განმარინნა ჩვენ ჭოჯობითისაგან და კელისა სიკედელისაგან მაცხოვნნა ჩვენ, და გამომიქსნნა ჩვენ საშუალ მგზებარისაგან აღია და საშუალისაგან ცეცხლისა მიქსნნა ჩვენ.

89. აღუარებდით უფალსა, რამეთუ ტყბილ არს, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობი შიანი.

90. აკურთხევდით მსახურებელნი უფალსა ღმერთსა ღმერთთასა, უგალობდით და აღუარებდით, რამეთუ ყოველთა საუკუნეთადმი წყალობა მისი.

91. და ნაბუქოდონოსორსა ესა მგალობელთა და დაუკრდა. და აღდგა სწრაფსა თანა და კრქუა დიდ-დიდთა თესთა: არა მამრნი სამნი შეესთხინითა საშუალ ცეცხლისა მებორკილებულნი? და არქუეს მეფესა: კეშმარტად, მეფე.

92. და მიგებელმან თქუა მეფემან: ხოლო ვითარმე ეხედავ მამრთა ოთხთა ქსნილთა და მოარულთა საშუალ ცეცხლისა და განყოფილებამ არა არს მათ შორის? და ხილვამ მკოთხსამ მსგავს არს მისი ღმერთისა.

93. მაშინ მოუქდა ნაბუქოდონოსორ კარისა მიმართ საკუმლილსა ცეცხლისამსა მგზებარსა და თქუა: სედრაქ, მისაქ, აბედნაქო, მონანი ღმერთისა მადლისანი, გამოვედით და მოვევით! და გამოვიდეს სედრაქ, მისაქ, აბედნაქო საშუალისაგან ცეცხლისა.

94. და შემოკრბეს სატრაპესნი და სისმეკუნანი, და ადგილისმთავარნი და

88. სკელისისა S. 23. ღმერთისა S. 94. შემოკრბებან S. ჰედუნეს S.

ძლიერნი მეფისანი და ჰხედვიდეს ჴამაკაცთა მათ, რამეთუ ვერ ეუფლა ცეცხლი სხეულთა მათთა, და თმად თავისა მათ: სადა არ შეიტყუსა Ⴚ. სარკავარნი მათნი არა განირყუნეს, და საუნოსი ცეცხლისად არა იყო მათ შორის.

95. და თაკანის-სტა წინაშე მათსა მეფემან უფალს და მიუგო ნაბუქო-ლონოსორ და თქუა: კურთხეულ არს ღმერთი სედრაქ, მისაქ და აბედნაქოსი, რომელმან მოავლინა ანგელოზი მისი და განაჩინნა. მონანი მისნი, რამეთუ ეს-ვიდეს მისდამი, და სიტყუა მეფისა უგულუბელს-ყვეს და განსცნეს სხეულნი მათნი, რათა არა მკუთნეულ იქმნენ, არცა თაყუანის-სცენ ყოველსავე ღმერთსა, არამედ ღმერთსა ხოლო მათსა.

96. და მე დავსდებ რწმენსა, რადთა ყოველმან ერმან, ტომმან, ენამან, რომელმან უკუეთუ თქუას გმობაჲ ძუნად ღმრთისა სედრაქ, მისაქ და აბედნაქოსისა, წარსაწყმედელად იყოს და სახლნი მათნი დასატაცებულად, ვინათგან არა ვინ არს ღმერთი სხუად, რომელიმცა შემძლებელ იყოს ცსნად ესრეთ.

97. მაშინ მეფემან წარმართნა სედრაქ, მისაქ და აბედნაქო სოფელსა მას ბაბილოენისასა და აღაორძინნა იგინი და ღირს-ყო წინამძღუანევად ყოველთა ჰურიათა, რომელნი იყვნეს სამეფოსა ქუეშე მისსა:

98. ნაბუქოდონოსორ მეფე ყოველთა ერთა, ტომთა, ენათა მყოფთა ყოველთა შორის ქუეყანასა, მშუღობა თქვენი განმრავლდნა.

99. სასწაულნი ჯა ნიშნი, რამელნი ქმნნა ღმერთმან მაღალმან ჩემ თანა, სათნო იქმნა წინაშე ჩემსა მითხრობად თქუენდა,

100. ვითარცა ღიღნი და ძლიერნი, და ვითარცა ღიღ და ძლიერ არს მეფობა მისი. მეფობა მისი, მეფობა საუკუნე და კელმწიფება მისი ნათესავად-დე და ნათესავად.

## 4

1. მე, ნაბუქოდონოსორ, წარმართებით ვიყავ სახლსა შორის ჩემსა და კეთილ მყუავან საყდარსა ზედა ჩემსა.

2. ძილისშორისი ვიხილე და შემაშინა მე. და შევეწფოთენ საწოლსა ზედა ჩემსა და ხილვათა თავისა ჩემისათა აღმაშფოთეს მე.

3. და ჩემ მიერ დაიდვა რწმენად შემოყვანებად წინაშე ჩემსა ყოველთა ბრძენთა ბაბილონისათა, რადთა თანშეტყუებაჲ ძილისშორისისად მალწყონ მე.

4. და შემოვიდოდეს მსახრვალნი მოგუნი დაზარისნი, ქალდეველნი, და ძილისშორისი მე ვთქუ წინაშე მათსა, და თანშეტყუება მისი არა მალწყეს მე.

5. ვიღრე არა სხუად ვინმე შემოვიდა წინაშე ჩემსა დანიილი, რომლისა სახელი ვალტასარ, სახელისაებრ ღმრთისა ჩუენისა, რომელსა სული ღმრთისა წმიდაჲ აქუს მის შორის და მე ძილისშორისი წინაშე მისსა ვთქუ.

6. ვალტასარ, მთავარო მსახრვალთაო, რომლისა მე უწყი, ვითარმედ სული ღმრთისად წმიდაჲ შჯ. შორის და ყოველი. საიდუმლო არმუეძოებელ არს შეხდა, ისმინე ხილვად ძილისშორისისად, რომელი ვიხილე და თანშეტყუება მისი მითხარ მე.

7. და ხილვანი თავისა ჩემისანი საწოლსა ჩემსა ზედა, ვხედვედ, და, აჰა, ხე შორის ქუეყანისა და სიმაღლე მისი მრავალ.

95. ესდეს S. 97. ქუეშე S. 98. თქვენი უჩიარავლობაჲ. 3. თანშეტყუებაჲ S. 4. ბრძენთა S. თანშეტყუება S. 5. ღმრთისა S. 6. თანშეტყუება S.

• კუე. 4. 9. 31. და 7. დ. 14.

ბ 8. განდრდნა ხე და განძლიერდა; და სიმაღლე მისი მისწუდა ვიდრე ცამდე და სივრცე მისი კიდეთა ყოვლისა ქუეყანისათა,

9. ფურცელნი მისნი შეუნიერებ და ნაყოფი მისი მრავალ, და საზრდელი ყოველთა მის შორის და მის ქუეშე დაიმკვდრებდეს მკეცი ველურნი და რტოთა მისთა შორის მყოფობდეს მფრინველნი ცისანი, მისგან იზრდებოდა ყოველი კორცი:

10. ვნედვედ ხილვასა შინა ღამისასა. სარეცელსა ზედა ჩემსა, და, აჰა, ირისე და წმიდაჲ ცით გამო გარდამოვიდა,

11. და კმაყო ძალისა თანა და ესრეთ თქუა: მოჰყოთეთ. ხე ეგე და მოჰკაფენით რტონი მისნი და შთამობერტყენით ფურცელნი მისნი და განაბნიენით ნაყოფნი მისნი! შეიძრნედ მკეცი ქუეშე კერძო მისსა და მფრინველნი რტოთაგან მისთა,

12. თუნიერ მორჩი ძირთა მისთა შორის ქვეყანისა მიუშუთ და სიკრველისა შორის რკინისა და რვალოსაჲსა და მწუნავილისა შორის გარისა და ცუარისა შორის ცისაჲსა სადგურთანობდეს; და მკცთა თანა ნაწილი მისი თივასა შორის ქუეყანისასა.

გ 13. გული მისი კაცთაგან იცვალოს და გული მკეცისა მოეცეს მას. და შუდნი ეამნი იცვალნენ მის ზედა.

14. თანშეტყუებისა მიერ ირისე სიტყუად და თქმული წმიდათაჲ ზედნაკითხი, რამთა ცნან ცოცხალთა, ვითარმედ უფალ არს მაღალი მეფობისა კაცთაჲსა და, ვისიცა სთნდეს, მისცემს მას და შეურაცხებამ კაცთაჲ აღადგინის მის ზედა.

15. ესე ძილისშორისი ვიხილე მე, მეფემან ნაბუქოდონოსორ, და შენ ვალტასარ, თქუ შეტყუება წინაშე, რამეთუ ყოველნი ბრძენნი ნეფობისა ჩემისანი ვერ შემძლებელ არიან თანშეტყუებასა მისსა ცხად კმნად ჩემდა, ხოლო შენ, დანიელო, ძალ-გიც; რამეთუ სული ღმრთისაჲ წმიდაჲ შენ შორის.

16. მაშინ დანილი, რომლისა სახელი ვალტასარ, დაემუნდა ვითარ ეამერთ და გულისზრახვანი მისნი შეაშფოთებდეს მას. და მიუგო მეფემან და ჰქუა: ვალტასარ, ძილისშორისი და თანშეტყუებამ მისი ნუ აგაჩქარებენ შენ. და მიუგო ვალტასარ და თქვა: უფალო, ძილისშორისი ესე მოძულეთა შენთა და თანშეტყუება მისი მტერთა შენთა.

გ 17. ხე, რომელ იხილე განდიდებული და განძლიერებული, რომლისა სიმაღლე მისწუთა ცამდე, და სივრცე მისი ყოვლისა ქუეყანისადმი,

18. და ფურცელნი მისნი კეთილმცენნი, და ნაყოფი მისი მრავალ და საზრდელი ყოველთა მის შორის. ქუეშე მისსა მკედრ იუნენს მკეცი ველურნი და რტოთა შორის მისთა მყოფობდეს მფრინველნი ცისანი,

19. შენ ხარ, მეფე, რამეთუ განსდიდე და განძლიერდი და სიდიდე შენი განდიდნა და მისწუდა ცად მიმართ და უფლება შენი კიდეთა მიმართ ქუეყანისათა.

20. და რამეთუ იხილა მეფემან ირისე და წმიდაჲ გარდამომავალი ზეცისაგან, და თქუა: დაკეთეთ ხე და განხრწენით იგი, თუნიერ მორჩი ძირთა მისთა ქუეყანისა შორის აცადეთ და საკრეელისა მიერ რკინისა და რვალოსაჲსა, და მწუნავილთა გარისაჲთა და ცუარისა მიერ ცისაჲსა სრულიად გურავობდეს,

8. მიწუთა S 9. შენიერებ S. ქუეშე S. 11. კმაჲ ყო S. ესრეთღა S. 2 ქუეშე S. 14. თანშეტყუება S. თქუელ S. 15. ვეღუება S. თანშეტყუება S. 16. თანშეტყუება S. თქუა—ქუეყანისათა S. თანშეტყუება S. 18. ქუეშე S.

და მკეტთა თანა ველურთა ნაწილი მისი, ვიდრე არა შუდნი ჟამნი იცეალნენ მის ზედა.

გ 21. ესე თანშეტყუება მისი, მეფე, და თანშეტყუება მადლისა არს, რომელი მოიწი: უფ: ლსა ჩემსა ზედა მეფესა.

22. და შენ განგდევნონ კაცთაგან და მკეტთა თანა ველურთა იყოს მკვდრობა შენი. \*და თივასა, ვითარცა ზროხასა, გაჰამებდენ შენ და ცუარისაგან ცისა სხეული შენი შეიღებოს. და შუდნი ჟამნი იცეალნენ შენ ზედა, ვიდრემდის სენა, ვითარმედ უფალ არს მაღალი მეფობისა კაცთაგან და, რომლისადაცა სთნდის, მისციბ იგი.

23. და რამეთუ თქუა: აცადოთ მორჩი ქორთა ხისათა. მეფობა შენი შენ გიგებდეს, ვიდრემდის სცნობდე კელმწიფებასა ზეციერსა.

24. ამისთვის, მეფე, განზრახვად ჩემი სათნო-გეყავნ შენ. \*\*და ცოდვანი შენნი მოწყალეებითა იქსნენ და უსამართლოებანი შენნი შეწყნარებითა დავკრო-მილთა თანა, ნუწყუე სულგრძელ ექმნის შეცოდებათა შენთა.

25. ესე ყოველნი მოიწინენ ნაბუქოდონოსორსა ზედა მეფისასა,

26. შემდგომად ათორმეტთა თთუეთასა ტაძარსა შინა მეფობისა მისისასა ბაბილონს შინა მავალ იყო.

გ 27. და მიუგო მეფემან და თქუა: არა ესე არსა ბაბილონი დიდი, რომელი მე აღვაშენე სახლად სამეფუფოდ სიმტყიცისა მიერ ძალისა ჩემისადასა პატრიად დიდებისა ჩემისა?

28. ვიდრე იყოლა სიტყუა პირსავე შინა მეფისასა ყოფასა, კამად წამებდა ზეციით: შენ გერქუმის ნაბუქოდონოსორ მეფე: მეფობა შენი წარკვდა შენგან,

29. და კაცთაგან განგდევნონ შენ, და მკეტთა თანა ველურთა იყოს მკვდრობა შენი და თივასა, ვითარცა ზროხასა, გაჰამებდენ შენ, და შუდნი ჟამნი იცეალნენ შენ ზედა, ვიდრე არა სენა, ვითარმედ უფალ არს მაღალი მეფობასა კაცთაგან და, რომლისა სთნდეს, მისცემს მას.

30. მასვე ჟამსა სიტყუად შესრულდა ნაბუქოდონოსორის ზედა, და კაცთაგან განიდევნა, და თივასა, ვითარცა ზროხა, კამდა, და ცუარისაგან ცისა სხეული მისი შეიღებოდა, და თმანი მისნი, ვითარცა ლომთანი, განდიდნეს, და ფრჩხილნი მისნი, ვითარცა მფრინველთანი.

გ 31. და შემდგომად დღეთასა მე, ნაბუქოდონოსორ, თუალნ: ჩემნი ცად მიპართ აღვიხუნენ და გრძნობანი ჩემნი მოიქცეს ჩემდაძო, და მაღალი ვაჟურთხე, და მცხოვნი საუკუნოდ ვაჟე და ვადიდე, \*\*\*რამეთუ კელმწიფება მისი კელმწიფება საუკუნე, და მეფობა მისი ნათჯ: ავად და ნათესავად.

ა2. და ყოველნი დამკვრებულნი ქუეყანისანი, ვითარცა არა არა შეირაცხნეს და ნებ-საებრ მისისა ჰყოფს ძალსა შორის ცისასა და მკვდრობასა შორის ქუეყანისასა და არა არს, რომელი წინადაუდგეს კელსა მისსა და ჰრქუას მას: რად ჰყავ?

3. მას ჟამსა გრძნობანი ჩემნი მოიქცეს ჩემდაძო, და პატრიად მეფობისა ჩემისა მოვედ, და შესახედავი ჩემი მოიქცა ჩემ ზედა, და მძლავრნი ჩემნი და დიდებულნი ჩემნი მეცხედეს მე, და მეფობასა ჩემსა ზედა განვმტყევენ, და სიდიდე უმეტესი მომემატა მე.

21. თანშეტყუება S. თანშეტყუება S. 24. ნუწყუე S. 26. თთუეთასა S. 31. აღვაშენ S. 33. ბაბილონსა S.

\* ქუე-ს. ვ. 21. \*\* ს. ვ. 3. დ. 33. \*\*\* ს. 3. ზ. 100.



34. აწ მე, ნაბუქოდონოსორ, ვაქებ და ზეშთა ავაძალეებ და ვადიდებ მეფესა ცისასა, რამეთუ ყოველნი საქმენი მისნი კეშამრიტებ და ალაგნი მისნი მსჯავრ, და ყოველთა მავალთა ამპარტავანებით შემძლებელ არს დამდაბლებად.

5

ა 1. ვალტასარ მეფემან უქმნა სერი დიდი დიდებულთა მისთა მამრთა ათასთა და წინაშე ათასთასა ღვნოჲ, და მსუმელმან ვალტასარ მეფემან გემებათა შინა ღვნისასა

2. ბრძანა შემოხუმაღ ჭურჭელთა ოქროსა და ვეცხლისათა, რომელნი გამოიღო ნაბუქოდონოსორმან, მამამან მისმან, ტაძრისაგან იერუსალჴმისა, და სუმიდეს მათ მიერ მეფე და დიდებულნი მისნი, და თანამწოლნი მისნი და ხარჭნი მისნი.

3. და მოიღეს ჭურჭელნი ოქროსანი და ვეცხლისანი, რომელი გამოღებულ იყო ტაძრისაგან ღმრთისა, რომელი იერუსალჴმს, და სუეს მეფემან და დიდებულთა მისთა, და წარქთა მათთა და თანამწოლთა მათთა,

4. სუმიდეს ღვნოსა და აქებდეს ღმერთთა ოქროსათა, და ვეცხლისათა, და რვალისა, და რკინისათა, და ძელისათა და ქვისათა.

ბ 5. მას უამსა შინა გამოვიდეს თითონი კელისა კაცისანი და წერდეს პირისპირ ლაპარისა, საგოზელსა ზედა კედლისასა სახლისა მეფისაჲსა და მეფე ხედვიდა თითთა მათ კელისა მწერლისასა.

6. მაშინ შესახედავი მეფისა შეიცვალა, და გულისზრახვანი მისნი აღშფოთებულ იქმნეს, და სანაწევრონი წელთა მისთანი ყოვლითურთ დაიკვნებოდეს და მუკლნი მისნი ერეკებოდეს.

7. და ღაღად-ყო მეფემან ძლიერად შეყუანება მოგუთა ქალდეველთა ღაზარინელთა. მიუგო მეფემან და ჰრქუა ბრძენთა ბაზილონისათა, ვითარმედ: ყოველმან კაცმან, რომელმან წარიკითხოს ნაწერი ესე და თანშეტყუება მისი მაუწყოს მე, პორფირი შეიმოსოს და მანიაკი ოქროსაჲ ქედსა ზედა მისსა, და შესამედ მთავრობდეს მეფობასა შორის ჩემსა!

8. და შევიდოდეს ყოველნი ბრძენნი მეფისანი და ვერ შეუძლებდეს წარკითხვასა ნაწერისასა, ვერცა თანშეტყუებასა უწყებად მეფისა.

9. და მეფე ვალტასარ აღშფოთნა და შესახედავი მისი იცვალა მის ზედა და დიდებულნი მისნი შეშფოთნებოდეს.

გ 10. და მეფეჲ პირისპირ სიტყუათა მეფისათა და დიდებულთა მისთასა სახიდ სუმისაჲსა შევიდა. და მიუგო მეფემან და ჰრქუა: მეფე, საუკუნოთადმი ცოცხლებდ, ნუ აღგაშფოთებენ შენ გულისზრახვანი შენნი და შესახედავი შენი ნუ იცვალებინ.

11. არს მამაკაცი მეფობისა შესა ქუეშე, რომლისა შორის სული ღმრთისაჲ წმიდაჲ არს მის თანა. და ღღეთა შინა მამისა შენისათა მღკძარებაჲ და გულისხმის-ყოფაჲ იბოა მის შორის და მეფემან ნაბუქოდონოსორმა, მამამან შენმან, მთავრად მსახრვალთა მოგუთა და ქალდეველთა ღაზარინელთა დაადგინა იგი.

12. რამეთუ სული მეტი არს მის შორის და ცნობაჲ და გულისხმის-ყოფაჲ თანშემტყუები ძილისშორისთა და მიმთხრობი დაფარულთაჲ, და განმკსნელი

2. იქლმისა S. 3. იქლმს S. ღმრთსაჲ S. სუმს S. 5. ხედვდა S. მეფისა მსსა S. 7. თანშეტყუება S. 8. თანშეტყუებასა S. 10. სიტყუათა S. 11. ქუეშე S. ღაზარინელთა-ჲ და S. 12. ცნობაჲ S. თანშემტყუები S.

საკრველთა — დანიელ. და მეფემან დასდვა მას სახელი ვალტასარ. აწ იწოდენ დანიელი და თანაშეტყუებად მიგიტხრას შენ.

13. მაშინ დანიელ შეიყვანა წინაშე მეფისა და მეფემან ჰრქუა დანილის: შენ ხარა დანიელ, ძეთაგანი ტყუეობისა იუდაისათა, რომელი წარმოილო მეფემან, მამამან ჩემმან იუდეათ?

14. და მესმა შენთვის, ვითარმედ სული ღმრთისა შენ შორის არს და მღუძარებად, და გულისხმის-ყოფად და სიბრძნე ნამეტნავი იპოვა შენ შორის.

15. და აწ შემოვიდეს წინაშე ჩემსა ბრძენნი მოგუნი დაზარინელნი, რაათა წერილი ესე აღმოიკითხონ. და თანაშეტყუება მისი მამცნონ მე, და ვერ შეუძლეს შეტყუებასა სიტყუასა მოთხრობად ჩემისა.

16. და მე მესმა შენთვის, ვითარმედ ძალ-გიც მსჯავრთა თანშეტყუებად და დაქსნად საკრველთა. და აწ შემძლებელ თუ იქმნე წარკითხვად წერილისა ამის და თანშეტყუებასა მისსა უწყებად ჩემდა, პორფირი შეიმოსო და მანიაკი ოქროსა იყოს ქედსა ზედა შენსა, და მესამედ ჰმთავრობდე მეფობასა შინა ჩემსა.

17. მაშინ მიუგო დანიელმან და თქუა წინაშე მეფისა: საცემელნი შენნი შენდა იყუნენ, და ნიჭნი სახლისა შენისა სხუათა მიეც, ხოლო მე ნაწერი წაუკითხო მეფესა და შეტყუებად მისი გამცნო შენ.

18. მეფე, ღმერთმან ძალაღმან მეფობა, და სიდიდე, და პატივი, და დიდება მისცა ნაბუქოდონოსორს, მამასა შენსა.

19. და სიდიდისაგან, რომელი მისცა მას, ყოველნი ერნი, ტომნი, ენანი იყუნეს მძრწოლარენი და მოშიშნი პირისაგან მისისა, რომელთა ენება, მას მოჰკლვიდა, და რომელთა ენება, სცემდა, და, რომელთა ენება, მას აღამაღლებდა, და, რომელთა ენება, მას დაამდაბლებდა.

20. და ოდეს ამადლდა გული მისი და სული მისი განძლიერდა გაამპარტავნებად, შთამოქუევედა საყდრისაგან მეფობისა მისისა და პატივი მისი მიელო მისგან,

21. \*და კაცთაგან განიდევნა, და გული მისი მკეცთა თანა მიეცა, და ერთა თანა ველურთა მკედრობა მისი, და თივასა, ვითარცა ზროხასა, აჰამებდეს მას და ცუარისაგან ცისა სხეული მისი შეიღება, ვიდრეღა ცნა, ვითარმედ უფლებს ღმერთი მაღალი მეფობასა ზედა კაცთასა და, რომლისაცა უნდეს, მისცეს მას.

22. და შენ. ძეო მისო ვალტასარ, არ დაიმდაბლე გული შენი წინაშე ღმრთისა, რომელმან ესე ყოველნი იცოდენ,

23. და უფალსა და ღმერთსა ცათასა აჰმალღდი, და ჰურქელნი სახლისა მისისანი მოიხუენ წინაშე შენსა, და შენ, და დიდებულნი შენნი, და თანამყოფნი შენნი და ხარკნი შენნი ღუნოსა სუემდით მათ მიერ, და ღმერთთა ოქროსა და ვეცხლისა, რვალისა და რკინისა, და ძელისა და ქვისათა, რომელნი არა ჰხედვენ, და არა ესმის და არა იცნობენ, აქებდით. ხოლო ღმერთი, რომლისა მშენებად შენი ჯელსა შინა მისსა და ყოველნი გზანი შენნი, იგი არა ადიდე.

24. ამისთვის პირისაგან მისისა მოივილინა უსაქციელომ ჯელი და ნაწერი მისი დასახა.

25. და ესე არს ნაწერი დასახული: მაკი, თეკელ, ფარეს.

12. ცოდუნ S. თანშეტყუება S. 13. ტყუეობისა S. 14. მესმა S. 15. თანშეტყუება S. მამცნონ S. შეტყუება S. 16. თანშეტყუებად S. თანშეტყუებასა S. 17. სხუათა S. შეტყუება S. გამცნო S. 20. შთამოქუევედა S. 22. ღმრთისა S. 23. მოიხუენ S. სუემდით S. ზე. 4. გ. 22.

26. და ესე თანშეტყუებამ სიტყუსამ: მაკი — განზომა ღმერთმან მეფობა შენი და აღავსო იგი.
27. თეკელ — აღწონა უღლითა და იპოვა მოკლებულად.
28. ფარეს — განიწვალა მეფობამ შენი და მიეცა მიდთა და სპარსთა.
29. და თქუა ვალტასარმან, და შეჰმოსეს დანიელსა პორფირი, და მანი-აკი ოქროსსამ გარემოსდევს გარემოს ქედისა მისისა, და ქადაგა მისთვის ყოფად იგი მესამედ მთავრად სამეფოსა შინა.
30. ამას ღამესა შინა მოიკლა ვალტასარ მეფე ქალდეველი.
31. და დარიოს მიღმან მიიღო მეფობა, მყოფმან წელთა სამეოცდოართად.

6

- ა 1. და სათნო იქმნა წინაშე დარიოს მეფისა და დაადგინნა სამეფოსა ზედა სატრაპესნი ასოცნი ყოფად იგინი ყოველსა შინა მეფობასა მისსა
2. და ზედათ მათსა მეწესენი სამნი და იყო დანიელ ერთი მათგანი, რამთა მათ მისცემდენ სატრაპესნი სიტყუასა, და არა შფოთებდეს მეფე.
3. და იყო დანიელ ზეშთამძლეველ ზეშთა მეწესეთა და სატრაპესთა პირისპირ, რამეთუ სული მეტი იყო მის შორის.
4. და მეფემან დაადგინა იგი ყოველსა ზედა მეფობასა მისსა. და მეწესენი და სატრაპესნი ეძიებდეს პოვნად მიზეზსა ძუნად დანიელისსა მეფობისაგან. და ყოველი მიზეზი და ცთომამ ვერ პოეს ძუნად მისსა, რამეთუ სარწმუნო იყო.
- ბ 5. და თქუეს მეწესეთა მათ: ვერ ეპოთ მიზეზი ძუნად დანიელისა თვნიერ შჯულიერთა შორის ღმრთისა მისისა თანა.
6. მაშინ მეწესენი სატრაპესნი წარმოუდგეს მეფესა და პრქუეს მას: დარიე მეფე, სუჯუნეთა ცოცხლებდ!
7. თანაზრახვა-ყვეს ყოველთა სპათმთავართა და სატრაპესთა მეფობისა შენისა ზედა და უპატოსთა, და ადგილისმთავართა დადგინებად ღვთამათა მეფობრივითა და განძლიერებად განსაზღვრა, რამთა რომელმანცა ითხოოს თუ თხოამ ყოველისაგანვე ღმრთისა და კაცისა ვიდრე ღლეთამდე ოცდაათთა, გარნა თვნიერ შენსა, მეფე, შევარდეს მღვმესა ღვთამათა.
8. აწ, უკუე, მეფე, დაადგინე განსაზღვრება და დაწერე წერილი, რამთა არა შეიშალოს რწმენა მიდთა და სპარსთა.
9. მაშინ მეფემან დარიოს ბრძანა დაწერად რწმენამ.
- გ 10. და დანიელმან, ვითარცა ცნა, ვითარმედ დიწესა რწმენამ, შევიდა სახიდ თვისსა, და სარკმელნი განღებულ მის და ქორედთა შორის მისთა დამართით იერუსალიმისა, და ჟამთა დღისათა სამთა იყო მოდრეკილ მუცლთა ზედა მისთა და მლოცველ და აღმსაარებელ წინაშე ღმრთისა მისისა, ვითარცა იყვის მოქმედი წინაპარ.
11. მაშინ კაცთა მათ დაუშორიეს და პოეს დანიელი მოქენედ და მედრებლად წინაშე ღმრთისა თვისისა.
- დ 12. და მოსრულნი ეტყუან მეფესა: მეფე, არა განსაზღვრებამ დააწესეა, რამთა ყოველმან კაცმან, რომელმანცა ითხოოს ყოველისაგან ღმრთისა და კაცისა სათხოველი ვიდრე ღლეთამდე ოცდაათთა, გარნა თვნიერ შენსა, მეფე,

26. თანშეტყუებამ S. 2. ზედით S. 4. დანიელისსა S. 5. ღმრთისა S. 6. სატრაპესნი-მე S. 7. ზრახვაყუეს S. 8. უკუეს S. 10. იმრუსღმრთისა S. ღმრთისამ S. იყეს S. 11. ღმრთისამ S.

შთავარდეს მღვმესა ლომთასა? და თქუა მეფემან: კეშმარიტ არს სიტყუა და რწმენაჲ მიდთა და სპარსთაჲ და არა წარკვდეს.

13. მაშინ მიუგეს და თქუეს წინაშე მეფისა: დანიელ ძეთაგანი ტყუეობისა იუდაისტთაჲ არა ერჩდა რწმენასა შენსა განსაზღურებისათჳს, რომელ დააწყესე, და ჟამთა დღისათა სამთა ითხოვეს ღმრთისაგან თვისისა თხოათა მისთა.

14. მაშინ მეფესა ვითარცა ესმა სიტყუა, ფრიად შეწუხნა მის ზედა და დანიელისათჳს იღუწიდა, ვითარ განარინოს იგი, და ვიდრე მწუხრამდე ლუაწლსა შინა იყო განრინებად მისსა.

15. მაშინ კაცთა მათ მიუგეს მეფისა მიმართ: უწყოდე, მეფე, ვითარმედ რწმენისა მიდთა და სპარსთაჲსა ყოვლისათჳს განსაზღურებისა დადგომასა, რომელიცა მეფემან დაადგინოს, არ ჯერ-არს გარდაცვალება.

გ 16. მაშინ მეფემან თქუა, და მოიყვანეს დანიელი და შთაადგეს იგი მღვმესა ლომთასა. და ჰრქუა მეფემან დანიელსა: ღმერთმან შენმან, რომლისა შენ მიმღებდ მკუთნეულ ხარ, მან განგარინენ შენ.

17. და მოიღეს ლოდი დიდი და დასდგეს პირსა ზედა მღვმისასა. და დაჰბეჭდა მეფემან ბუქდისა მიერ მისისა და ბუქდისა მიერ დიდებულთა მცხთაჲსა, რაჲთა არ შეიცვალოს საქმე დანიელის ზედა.

18. და წარვიდა მეფე სახიდ თჳსსა და დაწვა უსეროდ, და სანოაგენი არა მოართუნეს მას, და ძილი განეყენა მისგან. და დაჯშნა ღმერთმან პირნი მათ ლომთანი და არა შეეხნეს დანიელს.

19. მაშინ მეფე აღდგა განთიად სანთლითა და სწრაფისა მიერ მოვიდა მღვმესა მას ლომთასა.

20. და მიახლებასა მისსა მღვმისა მიმართ, კმა-უყო დანიელსა ძლიერითა კმითა. და მიუგო მეფემან და ჰრქუა დანიელს: დანიელ, მონათ ღმრთისათა ცხოველისათ, ღმერთმან შენმან, რომლისა განმკუთვნელ ხარ მიმღებდ, უკეთუ შეუძლო განრინებაჲ შენი პირისგან ლომთასა?

გ 21. და ეუბნა დანიელ მეფესა და თქუა: მეფე, საუტყუნეთა ცოცხლებდ!

22. \*ღმერთმან ჩემმან მოაგლინა ანგელოზი თჳსი და დაჯშნა პირნი ლომთანი და არა განმრყუნეს მე, რამეთუ წინაშე მისსა სიწრფოება ჩემი იპოვა და წინაშე შენსაჲცა, მეფე, შეცოდება არა ვყავ.

23. მაშინ მეფე მრავლად მხიარულ იქმნა მის ზედა და დანიელისი თქუა აღმოყვანება მღვმისაგან. და აღმოყვანებულ იქმნა დანიელ მღვმით. და ყოველი განხრწნილება არა იპოვა მის თანა, რამეთუ ჰრწმენა ღმრთისა მიმართ მისისა.

24. და თქუა მეფემან, და მოიყვანნეს კაცნი შემასმენელნი დანიელისნი და მღვმესა ლომთასა შთაიყარნეს იგინი, და ძენი მათნი, და ცოლნი მათნი, და არა მიწევნილ იყვნეს იატაკად მღვმესა, ვიდრე ეუფლნეს მათ ლომნი და ყოველნი ძუალნი მათნი დააწულიონეს.

ზ 25. მაშინ დარიოს მეფემან მიუწერა ყოველთა ერთა, ტომთა, ენათა, მკვდრთა ყოვლისა შორის ქუეყანისა: მშუდობა თქუენი განმრავლდინ!

26. პირისაგან ჩემისა დაიდგა რწმენაჲ ყოველსა შორის მთავრობასა მეფობისა ჩემისასა ყოფა მძრწოლარეთა და მოშიშთა პირისაგან ღმრთისა დანი-

13 ტყუეობისა S. 20. კმა უყო S. 33ვა S. ღმრთისათა S. 23. ღმრთისაჲ S. 24. ვიდრე+ არა S.

\* 1. მკ. ბ. 2. ვ. 60.

ლისისა, რამეთუ იგი არს ღმერთი ცხოველი და გებული საუკუნეთა, მეფობა მისი არა განირყუნეს და უფლება მისი ვიდრე დასასრულამდე.

27. შეეწევის, და იქსნის და იქმს სასწაულთა და ნიშთა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, რომელმან იქსნა დანიილი პირისაგან ლომთასა.

28. \* და დანიელ ესრეთ წარემართა მეფობასა შინა დარიოსისა და მეფობასა შინა კეროზ სპარსისასა.

7

ა 1. პირველსა შინა წელსა ეალტასარ მეფისა ქალდეველთაჲსსა ძილისშორისი იხილა დანიელ, და ხილვად თავისა მისისა საწოლსა ზედა მისსა. და ძილისშორისი დაწერა დასაწყისი სიტყუათა მისთა და მიმგებელმან თქუა:

2. მე, დანიელ, ვხედვედ ხილვასა შინა ჩემსა ღამისასა: და, აჰა, ოთხნი ქარნი ცისანი ეკუთვებოდეს ზღუსა მიმართ დიდისა.

3. და ოთხნი მკეცი დიდნი აღმოვიდოდეს ზღუსაგან, განსხუაებულნი ურთიერთას,

4. პირველი-ვითარცა ლომად, და ფრთენი, ვითარცა არწივისანი. ვხედვედ, ვითარმედ მოეფხურნეს ფრთენი მისნი, და აღღებულ იქმნა ქუეყანით, და ფერქთა ზედა კაცისათა დადგა და გული კაცისაჲ მოეცა მას.

ბ 5. და, აჰა, მკეცი სხუად, მსგავსი დათვისა, და ნაწილსა ერთსა ზედა დადგა, და სამნი გუერდნი პირსა შორის მისსა საშუალ კბილთა მისთა, და ესრეთ ეტყოდეს მას: აღდეგ, ჰამენ კორცნი მრავალნი!

6. შემდგომად ამისსა ვხედვედ და, აჰა, სხუად მკეცი, ვითარცა ვეფხი, და მისნი ფრთენი ოთხნი მფრინველისანი ზეშთა კერძო მისსა, და ოთხნი თავნი მკეცსა, და ქელმწიფებაჲ მოეცა მას.

7. და შემდგომად მისსა ვხედვედ ხილვასა შინა ღამისასა: და, აჰა, მკეცი მეოთხე საშინელი და განსაკრვებელი და ძლიერი მეტად, და კბილნი მისნი რკინისანი და დიდნი, ჰამდა და დააწულილებდა, და დანაშთომთა მისთა დასთრგუნვიდა. და იგი განხრწნიდა მეტადრე უფროს ყოველთა მკეცთა უწინარესთა მისთასა და რქანი ედგნეს მას ათნი.

გ 8. და რქათა მისთა განვიციდოდ, ათნი რქანი მისნი, და, აჰა. რქა სხუად მცირე აღმოვიდოდა შორის მათსა. და სამნი რქანი წინასწარნი მისნი აღმოძირნეს პირისაგან მისისა. და, აჰა, თუალნი, ვითარცა თვალნი კაცისანი. რქისა მის შორის და პირი მეტყუელი დიდ-დიდთა. და ჰყოფდა ბრძოლასა წმიდათა მიმართ.

9. და ვხედვედ, ვითარმედ საყდარნი დაიდგნეს და ძუელი დღეთა დაჯდა. და შესამოსელი მისი, ვითარცა თოვლი სპეტაკი, და თმაჲ თავისა მისისა, ვითარცა მატყლი განწმედილი, საყდარი მისი ალი ცეცხლისა, ეტლისთუალნი მისნი ცეცხლი მოტყინარე.

10. \*\*მდინარე ცეცხლისაჲ იზიდვოდა გამომავალი წინაშე მისსა, ათასნი ათასთანი ჰმსახურებდეს მას და ბევრნი ბევრთანი წარდგომოდ იყვნეს წინაშე მისსა სამსჯავროს.

2 ეჟუმიფობდეს S. 5. გუშრდნი S. 9. ძუელი S. ცეცხლნი S. 10. იყნეს S. ს.წ.ქ.ეროჲ S. \* ზე. 1. დ. 21. \*\* გ.მც. 5. დ. 11.

დ 11. და ჯდა და წიგნი განეხუნეს. ვხედვედ მას შინა კმისაგან სიტყუათა ღღთაჲსა, რომელთა რქანი იგი იტყოდინ. მხილველ ვიყავ ვიდრემდის მოკლა მკეცი და წარწყმდა, და სხელი მისი მიეცა დასაწულად ცეცხლითა.

12. და ნეშტათა მკეტთაჲ გარდადგა მთავრობაჲ. და სიგრძე სიცოცხლესა მიეცა მათ ვიდრე ეამისამდე და წამისა.

13. ვხედვედ ხილვისა შინა ღამისასა: და, აჰა, ღრუბელთა თანა ცისათა, ვითარცა ძე კაცისა. მომავალ იყო, და ვიდრე ძუელისა დღეთაჲსამდე მოიწია და წინაშე მისსა მიყვანებულ იქმნა იგი.

14. და მას მიეცა მთავრობა, და პატივი, და მეფობა, და ყოველნი ერნი, ტომნი, ენანი მას კმსახურებდეს, და \*ველმწიფება მისი ველმწიფება საუკუნენი, რომელი არა წარცდეს და მეფობა მისი არა განიხრწნს.

ვ 15. განცვბრდა სული ჩემი, მე, დანიელ, ანაგვბსა შორის ჩემსა და ხილვანი თავისა ჩემისანი შემაშფოთებდეს მე.

16. და მოუყედ ერთსა მდგომარეთაგანსა და სიმკაცრესა ვეძიებდ მისგან ამათ ყოველთა ზედა და მითხრა მე სიმკაცრე და თანშეტყუება სიტყუათაჲ მაუწყა მე.

17. ესე მკეცი დიდნი ოთხნი — ოთხნი მეფობანი აღდგენ ქუეყანასა ზედა.

18. რომელი აღახუნენ. და მიიღონ მეფობა წმიდათა მალლისათა და იპყრიან იგი ვიდრე საუკუნომდე და ვიდრე საუკუნომდე საუკუნეთა.

19. და ვეძიებდ სიმკაცრით მკეცისათჳს მეოთხისა, რამეთუ განსხუაებულ იყო უფროს ყოვლისა მკეცისა და საშინელ მეტად, კბილნი მისნი რკინანი და ფრცხილნი მისნი რვალისანი, კამდა და დააწულილებდა და ნეშტთა ფერკვბითა მისითა დასთრგუნვიდა.

20. და რქათა მისთათჳს ათთა თავისა მისისა შორისთა მისსა, და ერთისა მის რქისა, მავალესა და განმდებლისა, უპირველესი იგი სამნისა, რქისა მის, რომლისანი თუალნი და პირი მეტყველი დიდსა და ხილვა მისი უმეტეს სხვათა.

ვ 21. და ვხედვედ და რქა იგი ყოფდა ბრძოლასა წმიდათასა, განძლიერდა მათდა მიმართ,

22. ვიდრე არა მოერდა ძელი დღეთა და მსჯავრი მისცა წმიდათა მალლისათა. და ეამი მოიწია და მეფობა დაიპყრეს წმიდათა.

23. და თქუა: ესე მკეცი მეოთხე მეფობაჲ მეოთხე იყოს ქუეყანასა ზედა, რომელი ზეშთა იყოს ყოველთა მეფობათა, და შეჰკამოს ყოველი ქუეყანაჲ, და დათრგუნოს იგი, და დაჭრას იგი.

24. და ათნი რქანი მისნი ათნი მეფენი აღდგენ. და შემდგომად მათსა აღდგეს სხუა, რომელი უფროს იყოს ბოროტებითა ყოველთა წინაწართასა, და სამნი მეფენი დაამდაბლნეს,

ჴ 25. და სიტყუანი მალლისა მიმართ თქუნეს, და წმიდანი მალლისანი შეაკთუნნეს, და მოგონოს ცვალება ეამთა და შჯულისა, და მიეცეს კელსა შინა მისსა ვიდრე ეამისამდე და ეამთა და ნახევარსა ეამისასა.

26. და სამსჯავრო დაჯდეს, და მთავრობა მისი გარდაადგინონ უჩინო-ყოფად და წარწყმედად ვიდრე სრულიად.

11. სიტყუთ. S. რქა S. დასაწულად S. 13. ძუელისა 16 თანშეტყუება S. 22. ძუელ S. წინ. წ. რთაჲ. ქუეყანას. S. 25. მოგონეს S

• ლუკ. 1. გ. 32. მათი. 4. გ. 7. ზე. 3. ზ. 100.

27. და მეფობა და კელმწიფებამა და დიდებულებამა მეფეთა ყოვლისა ცის-  
ქუეშისათამა მოეცა წმიდათა მალლისათა, და მეფობა მისი მეფობა საუკუნე.  
და ყოველნი მთავრობანი მას ჰმონებდენ და ერჩიდენ.

28. ვიდრე აქამომდე დასასრული სიტყუსამა. მე, დანიილს, გულისზრახვანი  
ჩემნი მრავლად შემაშფოთებდეს მე, და შესახედავი ჩემი იცვალა და სიტყუა  
გულსა შორის ჩემსა დავიცევ.

8

ა 1. წელსა მესამესა მეფობისა ვალტასარისსა ხილვამ მეჩუენა ჩემდამო,  
მე, დანიელს, შემდგომად ჩუენებისა ჩემისა პირველისა

2. და ვიხილე ხილვასა შინა, და იქმნა ხედვასა შინა ჩემსა. და ვიყავ მე შო-  
ბიბორისასა ტაძარსა, რომელ არს სოფელსა ელამისასა, და ვხედევდ ხილვასა  
შინა. და ვიყავ უბალსა ზედა.

3. და აღვიხუენ თუალნი ჩემნი და ვიხილე: და, აჰა, ვერძი ერთი მდგომა-  
რე უბალსა თანა, და ესხნეს მას რქანი, და რქანი მაღალნი, და ერთი იგი უმაღ-  
ლეს ერთისა მის, და მაღალი აღვიდოდა უკანადაცნელ.

ბ 4. და ვიხილე ვერძი იგი მრქენალად ზღუად მიმართ და ჩრდილოთ და  
სამხრით, და ყოველნი მკეცნი ვერ დადგეს წინაშე მისსა, და არავინ იყო გან-  
მარინებელ კელისაგან მისისა, და კმნა ნებისაებრ თვისისა და განდიდნა.

5. და მე ვიყავ გულისხმა-ყოფელ. და, აჰა, ვაცი თხათამ მოვიდოდა სამ-  
ხრისაგან პირსა ზედა ქუეყანისა ყოვლისასა, და არა იყო შემხებელ ქუეყანისა.  
და ვცასა მას რქამ სახილველი საშუალ თუალთა მისთა.

6. და მოვიდა ვაცი ვიდრე ვერძისაღმე რქათა მქონებელისა, რომელი ვი-  
ხილე მდგომარედ წინაშე უბალსა. და მორბიოდა მისსა მიმართ მიმართებითა  
ძალისა მისისადათა.

გ 7. და ვიხილე მიწვეწული ვიდრე ვერძისაღმე, და განველურნა მისსა მი-  
მართ, ეკუეთა ვერძსა და შემუსრნა ორნივე რქანი მისნი, და არა იყო ძალი ვერ-  
ძისა დადგრომად წინაშე მისსა, და დააგლო იგი ქუეყანასა ზედა და დათრგუ-  
ნა იგი და არა იყო განმარინებელი ვერძისა კელისაგან მისისა.

8. და ვაცი თხათამ განდიდნა ვიდრე ფრიად და განძლეერებასა შინა მისსა  
შეიმუსრა რქამ მისი დიდი. და აღმოკდეს ოთხნი რქანი ქუეშე კერძო მისსა  
ოთხთა მიმართ ქართა ცისათა.

9. და ერთისა მათგანისაგან გამოვიდა რქამ ერთი ძლიერი და განდიდნა ნა-  
მეტნავად სამხრად მიმართ,

10. და აღმოსავალად მიმართ და ძალისა მიმართ, და განდიდნა ვიდრე ძა-  
ლისაჲდე ცისადასა, და დაეცა ქუეყანასა ზედა ძალისაგან და ვარსკულავეთაგან,  
და დათრგუნეს იგი.

დ 11. და ვიდრე მთავრისაჲდე ძალისადასა განმტკიცნა და ვიდრემდის მთა-  
ვარსაჲთმძღუარმან იცნასა ტყუეობა, და მისთვის მსხუერპლი შეშფოთნა შეცო-  
დებითა, და იქმნა, და წარემართა მას და წმიდამ მოოკრდეს.

ი 12. და მოეცა მსხუერპლსა ზედა ცოდვამ, და-მე-ვარდა სიძართლე მიწად,  
და კმნა და წარემართა.

13. და მესმა ერთისა წმიდისა სიტყუსა მზრახვალისაჲ, და პრეტუა ერთმან წმიდამან ფილმონსა, მზრახვალსა: ვიდრემდის ხილვამ დადგეს და მსხურპლი უქმქმნილი, და ცოდვა იგი მოოჯრდეს, რომელ მოეცა, და წმიდამ და ძალი დაითრგუნოს?

14. და პრეტუა მას: ვიდრე მწუხრამდე და განთიად დღენი ორ ათას და სამასნი, და განწმედს წმიდასა.

ვ 15. და იყო მხედველობასა შინა ჩემსა მე დანიელისგან ხილვისასა, ვეძიებდ გულისხუმის-ყოფასა, და, აჰა, დადგა წინაშე ჩემსა, ვითარცა ხილვამ მამაკაცისა.

16. და მესმა კვამ მამაკისამ საშუალ უბალსა. და უწოდა და თქუა გაბრიელ, გულისხუმა-უყავ იმას ხილვამ!

17. და მოვიდა და დადგა მახლობელად დგომისა ჩემდა. და მოსლვასა ოდენ მისსა დავსულები და დავვარდი პირსა ზედა ჩემსა. და თქუა ჩემდამო: გულისხუმა-ყავ, ძეო კაცისაო, რამეთუ მერმე უამად მიმართ დასასრულისა ხილვამ.

18. და ზრახვასა შინა მისსა ჩემ თანა შევსულები, და დავვარდი პირსა ზედა ჩემსა ქვეყანასა ზედა, და შემახო მე და დამადგინა ფერკთა ზედა ჩემთა.

ვ 19. და თქუა: აჰა, მე გაუწყებ შენ ყოფადთა უკანასკნელთა რისხვისათამსა, რამეთუ მერმე უამად მიმართ დასასრულისა ხილვამ.

20. ვერძი, რომელი იხილე მქონებელი რქათამ, მეფე არს მიდთა და სპარსთამ.

21. და ვაცი თხათამ — მეფე იონთა, და რქა, რომელი იყო საშუალ თულთა მისთა, თუთ იგი არს მეფე პირველი.

22. და რამეთუ შეიმუსრა და აღდგეს ოთხნი რქანი ქუეშე კერძო მისსა, ოთხნი მეფენი აღდგენ ნათესავისაგან მისისა და არა ძალისაებრ მისისა.

23. და უკანასკნელთა ზე მეფობისა მათისათა განსრულებასა ცოდვათა მათთასა აღდგეს მეფე ურცხუნომ პირითა და გულისხუმის-ყოფელი წინდადებათამ,

24. და მტკიცე იყოს ძალი მისი და არა ძალითა მისითა, და საკრველნი განხრწნეს, და წარემართოს, და ყოს, და განხრწნეს ძლიერნი და ერი წმიდაჲ,

ვ 25. და უღელი ერისა მისისამ წარჰმართოს, ზაკვა ჯელსა შორის მისსა და გულსა შორის მისსა განდიდნეს, და ზაკვათა განხრწნეს მრავალნი და წარწყმედასა ზედა მრავალთასა დადგეს, და, ვითარცა კუერცხნი, კელისა მიერ შემუსრნეს იგინი.

26. და ხილვამ მწუხრისა და ცისკრისამ თქუმული ჰეშმარიტ არს. და შენ დაპბეჰდე ხილვამ, რამეთუ დღემდე მრავალ არს.

27. და მე, დანიილ, დაწვევ და დავსუსტენ დღეთა, და აღვდეგ და ვიქმოდე საქმეთა მეფისათა, და საკრველ-მიჩნდა ხილვამ, და არა იყო გულისხუმის-ყოფელი.

13. სიტყვისა S. მსხურპლი S. 13. თქუა ერთი წმიდამ ფილმონი მზრახვალსა S. ფილმონ (ებრ. „ვინმე“) ბერძნულ ტექსტში უთარგმნელად დატოვებული სიტყვაა. ასევე გადმოვიდა იგი S-ში. 17. ესლბი S. 22 ქუეშე S. 25. კუსტრენი S.



ა 1. პირველსა შორის წელსა დარიოს ძისა ასურისსა, თესლისაგან მიდ-  
თაჲსა, რომელი განმეფნა მეფობასა ზედა ქალდეველთასა.

2. მე, დანიელ, გულისხმა-ვყავ. \*წიგნთა შორის რიცხვებისა წელიწადთა-  
სა, რომელ იქმნა სიტყუა უფლისაჲ იერემიას მიმართ წინაწარმეტყუელისა. შე-  
სასრულებელად ოჯრებასა იერუსალჴმისსა სამეოცდაათ წელ.

3. და მივეც პირი ჩემი უფლისა მიმართ ღმრთისა გამოძიებად ლოცვითა  
და ვედრებითა მარხვათა მიერ და ძაძისა და ნაცრისა.

4. და ვილოცე უფლისა მიმართ ღმრთისა ჩემისა და ვთქუ აღმსარებელ-  
მან: \*\*უფალო ღმერთო, დიდო და საკრველო და დამცველო აღთქმასა და  
წყალობასა მოყვარეთა შენთა და დამცველთა მცნებათა შენთასა.

5. \*\*\*ვცოდეთ, ვიუსამართლოეთ, ვიუთნოეთ, და განვსდევით და მივსდერ-  
კით მცნებათაგან შენთა და მსჯავრთაგან შენთა.

6. და არა ვისმინეთ მონათა შენთა წინაწარმეტყუელთაჲ, რომელნი იტყო-  
დეს სახელისა მიერ შენისა მეფეთა მიმართ ჩუენთა, და მთავართა მიმართ  
ჩუენთა, და მამათა ჩუენთა და ყოვლისა მიმართ ერისა ქუეყანისაჲსა.

7. შენდა, უფალო, სიმართლე და ჩუენდა სირცხული პირისაჲ, ვითარცა  
დღესა ამას კაცისა იუდაჲსასა, და დამკვდრებულთა იერუსალჴმისათა, და ყოვ-  
ლისა ისრაჴლისა მახლობელთა და შორიელთა, ყოვლისა შორის ქუეყანისა,  
სადა განათესენ იგინი, მუნ, შეურაცხებისათჳს მათისა, რომელ იშეურაცხეს  
შენდამი.

8. უფალო, ჩუენდა სირცხული პირისა, და მეფეთა ჩუენთა, და მთავართა  
ჩუენთა, და მამათა ჩუენთა, რომელთა ვცოდეთ შენდამი.

9. უფალსა ღმერთსა ჩუენსა წყალობანი, და შეწყნარებანი და ლხინებანი,  
რამეთუ განვდევით.

10. და არა ვისმინეთ ჳმისა უფლისა ღმრთისა ჩუენისა სლვად შჯულთა  
შორის მისთა, რომელნი მოსცნა წინაშე პირსა ჩუენსა, კელისა მიერ მონათა  
მისთა წინაწარმეტყუელთაჲსა.

გ 11. და ყოველი ისრაილი გარდაჰკდეს შჯულსა შენსა და მიდრკეს არ-  
სმენად ჳმისა შენისა. და მოიწია ჩუენ ზედა წყევალ და ფიცი დაწერილი შჯუ-  
ლსა შინა მოსეს, მონისა ღმრთისასა, რამეთუ ვცოდეთ მისსა,

12. და დაადგინნა სიტყუანი მისნი, რომელნი თქუნა ჩუენ ზედა და მსა-  
ჯულთა ჩუენთა ზედა, რომელნი მშჯიდეს ჩუენ მოწვევად ჩუენ ზედა ძჳრნი  
დიდნი, ვითარნი არა იქმნეს ქუეშე კერძო ყოვლისა ცისა ქმნილთაებრ იერუსა-  
ლიმს შინა,

13. \*\*\*\*ვითარ-იგი წერილ არს შჯულსა შინა მოსესსა. ყოველნი ესე ბო-  
როტნი მოიწინეს ჩუენ ზედა და არ ვევედრენით პირსა უფლისა ღმრთისა ჩუენი-  
სასა მოქცევად უსამართლოებათაგან ჩუენთა და გულისხუმის-ყოფად ყოვლი-  
სა შორის ჳეშმართებისა.

2 რიცხუებისა S. იტლმისსა S. 3 უფლისა S. ღმრთისა S. ლოცვთა S. 4. უფლისა S. ღმრთისა S. 6. ქუეყანისა S. 7. იუდაჲსა S. იტლმისათა S. 10. უფლისა S. ღმრთისა S. 12. ქუეშე S. რტუსალიმს S. 13. უფლისა S. ღმრთისა S.

\* იერ. 25. გ. 11. და. 29. გ. 10. \*\* 2. ეზრა. 1. ა. 5. \*\*\* ბ:რუ. 1. გ. 17. \*\*\*\* 2. სჯუ. 27. გ. 14.

დ 14. და იღძა უფალმან ღმერთმან ჩუენმან სიბოროტესა ზედა ჩუენსა და მოაწია ესე ჩუენ ზედა, რამეთუ მართალ არს უფალი ჩუენი ყოველსა ზედა ქმნასა მისსა, რომელი მიქმნა მით, რამეთუ არ შევისმინეთ ვმისა მისისაჲ.

15. და აწ, უფალო ღმერთო ჩუენო, \*რომელმან გამოიყვანე ერი შენი ქუეყანისაგან ეგვიპტისაჲსა კელითა მტკიცითა და ჰყავ თავისა შენისა სახელი, ვითარცა დღესა ამას ვცოდეთ, ვიუსჯულოეთ.

16. უფალო, ყოელისა მიმართ წყალობისა შენისა გარემიქეციან გულისწყრომაჲ შენი ქალაქისაგან შენისა იერუსალიმისა, მთისა წმიდისა შენისა, რამეთუ ვცოდეთ უსამართლოებათა მიერ ჩუენთა და მამათა ჩუენთასა. იერუსალიმი და ერი შენი საყუედრელად შეიქმნა ყოველთა შორის გარემომოსთა ჩუენთა.

ე 17. და აწ შეისმინე, უფალო ღმერთო ჩუენო, ლოცვისა მონისა შენისა და ვედრებისა მისისა და ზედგამოაჩინე პირი შენი სიწმიდესა შენსა ზედა, რომელ მოოკრებულ არს შენთვის, უფალო!

18. მოყავ, ღმერთო, ყური შენი და ისმინე, განახუენ თუალნი შენნი და იხილე უჩინოქმნულებჲა ჩუენი, და სახელი შენი და ქალაქისა შენისაჲ, რომელსა ზედა წოდებულ არს სახელი შენი მას ზედა, რამეთუ რა სიმართლეთა ზედა ჩუენთა მივაგდებთ ჩუენ შეწყნარებასა ჩუენსა წინაშე შენსა, არამედ წყალობათა შენთა ზედა მრავალთა.

19. უფალო, შეისმინე, უფალო, ღმერთო ჩუენო, რამეთუ სახელი შენი ზედწოდებულ არს ქალაქსა ზედა შენსა და ერსა შენსა ზედა.

20. და მერმე მზრახვალობასაჲა ჩემსა და მლოცველობასა და აღმსარებელობასა ცოდვათა ჩემთა, და ცოდვათა ერისა ჩემისა ისრაჴლისათა და დაგდებასა შეწყალებისა ჩემისასა წინაშე უფლისა ღმერთისა ჩემისა.

21. მთისათჳს წმიდისა ღმერთისა ჩემისაჲსა და მერმე მზრახვალობასაჲა ლოცვისა შინა. და, აჲა, მამაკაცი გაბრიელ, რომელი ვნახე ხილვისა შინა ჩემსა დაწყებისა შორის მომფრინვალე და შემახო მე, ვითარ ეამსა მსხუერპლისა სამწუხრომისასა.

22. და გულისხუმა-მიყო მე და სიტყუა-ყო ჩემ თანა და თქუა: დანიელო, აწ გამოვედ დაზავებად შენდა გულისხუმის-ყოფისა.

23. და დასაბამსა ვედრებისა შენისასა გამოვიდა სიტყუაჲ და მე მოვედ მითხრობად შენდა, რამეთუ კაცი გულისსათქმელთა ხარი შენ. აწ განიგონე სიტყუსა შენ და გულისხუმა-ყავ ჩუენებისა შორის.

24. \*სამეოცდაათნი შუდეულნი შემოკლებულნი ერსა შენსა ზედა და ქალაქსა ზედა წმიდასა, ვიდრე დაძულებამდე შეცოდებისა, და დასრულებად ცოდვისა. და დაბეჭდვად ცოდვათა და აღვოცად უსჯულოებათა, და ღმერთად უსამართლოებათა, და აღმოყვანებად სიმართლესა საუკუნესა, და დაბეჭდვად ხილვი და წინაწარმეტყუელი და ცხებად წმიდაჲ წმიდათა,

ჲ 25. მეცნიერება და გულისხუმის-ყოფაჲ და გამოსლვითგან სიტყუათათ ნიკებად და აღშენებად იერუსალიმისა ვიდრე ქრისტესადმე წინამძღუარისა შუდეულნი შუდ და შუდეულნი სამეოცდაორ, და მოაქციოს და აღშენენე უბანნი და ზღუდე, და განახლდენ ეამნი.

14. მქმნა S. 16. იმრუსალიმისა S. იმრუსალიმი S. საყუედრელად S. 18 გ. ნახუენ S. 20. უფლისაჲ S. ღმერთისა S. 21. წა S. მსხუერპლისა S. 22. სიტყუაჲ S. 23. ჩუენებისა S. 24. დამეტლებამდე S. 25. იმწლვისა S.

\* ბ. რუ. 2. გ. 11. გ. მოს. 15. გ. 15. \*\* მ. თე. 24. ბ. 15. ი. ე. 1. ზ. 45.

26. და შემდგომად უდღეულისა სამეოცდაორთა მოისპოს ცხება და მსჯავრი არა იყოს მას შინა, და ქალაქი და წმიდაა განიხრწნას წინამძღუარისა თანა მომავლისა და მოიკუთვნენ წყლითორღუნასა შინა და ვიდრე დასასრულამდე ბრძოლისა შემოკლებულისა დააწესნეს უჩინოქმნულებად, და განაძლიეროს აღთქმად მრავალთა უდღეულსა ერთსა და ნახევარსა შორის უდღეულსასა დააცხროს მსხუერპლისსაცავი და მსხუერპლი შესაწირავი და ფრთესა ზედა დააწესოს უჩინოქმნისაგან და ვიდრე აღსასრულისამდე და სწრაფისა დააწესოს უჩინოქმნასა ზედა.

27. და განაძლიეროს აღთქმად მრავალთა უდღეულსა ერთსა და კერძოსა უდღეულსასა აღებულ იქმნეს მსხუერპლი ჩემი და შესაწირავი და ამათ თანა შორის ტაძრისა საძაგელი მოოჯრებისა იყოს და ვიდრე დასასრულამდე ეამისამსა დასასრული მოეცეს მოოჯრებასა შინა.

10

ა 1. წელსა შინა მესამესა კვროს მეფისასა სპარსთამსასა სიტყუად გამოცხადა დანიელსა, რომელსა სახელად ზედეწოდა ვალტასარ, და ქეშმარიტ არს სიტყუად, და ძალი დიდი და გულისხუმის-ყოფა მოეცა ჩუენებასა შინა.

2. მათ დღეთა შინა მე, დანიელ, ვიყავ მგლოვარე სამსა უდღეულსა დღეთასა.

3. პური გულისსათქმელი არა ვქამე, და კორცი და ღუნო არ შევიდა პირად ჩემდა და საცხებელი არ ვიციხე ვიდრე დასასრულამდე სამთა უდღეულთა დღეთასა.

4. და დღესა შინა მეოცდამეოთხესა თთვისა პირველისასა მე ვიყავ მახლობელად მდინარისა დიდისა, რომელ არს ტიგრისი ედდეკელ.

5. და აღვიხუენ თუალნი ჩემნი და ვიხილე: და, აჰა, დადგა კაცი ერთი შემოსილი ბადენითა და წელნი მისნი გარემორტყმულ ოქროთა, ოფაზითა.

6. და სხეული მისი, ვითარცა თარშე, და პირი მისი, ხილვა ვითარცა ელვისაჲ, და თუალნი მისნი, ვითარცა ლამპარნი ცეცხლისანი, და მკლავნი მისნი და წვენი მისნი, ვითარცა ხილვაჲ რვალისა აელვებულისა, და კმად სიტყუათა მისთაჲ, ვითარცა კმად ერისაჲ.

ბ 7. და ვიხილე მე, დანიელ, მარტომან ჩუენება და ჩემთანათა კაცთა არა იხილეს ჩუენება, არამედ განცვბრება დიდი დაეცა მათ ზედა და ივლტოდეს შიშისაგან.

8. და მე დავშთი მარტომ და ვიხილე ჩუენება ესე დიდი და არა დაშთა ჩემ შორის ძალი, და დიდებამ ჩემი გარდაიქცა განხრწნილებად და ვერ ვიპყარ ძალი.

9. და მესმა კმად სიტყუათა მისთაჲ და სმენასა შინა ჩემდა კმისა სიტყუათა მისთამსასა ვიყავ შექმუნილ პირითა ჩემითა, და პირი ჩემი დამედრიკა ქუეყანასა ზედა.

10. და, აჰა, ჯელი შემხები ჩემი, და აღმადგინა მე მუქლთა ჩემთა ზედა და კუალთა ზედა ფერქთა ჩემთასა.

26. მოიკუთვნენ S. მსხუერპლის S. მსხუერპლი S. 27. მსხუერპლი S. 1. ჩუენებასა S. 4. პირველისასა+და S. დიდსა S. 5. აღვიხუენ S.6. თარბე S. 7. ჩუენება S. 8. ჩუენება S.

11. და თქუა ჩემდამო: დანიელ, კაცო გულისსათქმელო, გულისხუმა-ყუენ სიტყუანი, რომელთა მე ვიტყუ შენდამი და თქუმასა შინა მისსა ჩემდამო დადგე დგომასა ზედა შენსა, რამეთუ აწ მოვივლინე შენდამი, და თქმასა შინა მისსა ჩემდამო სიტყუსა ამისსა აღვდეგ მძრწოლარე.

გ 12. და თქუა ჩემდა მომართ: ნუ გეშინინ, დანიელ, რამეთუ დღითგან პირველით, რომლით მიეც გული შენი გულისხუმის-ყოფად და ძკრის-ხილვად წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა, სასმენელ ექმნეს სიტყუანი შენნი. და მე მოვედ სიტყუათა შინა შენთა.

13. და მთავარი მეფობისა სპარსთაჲსაჲ დგა წინააღმდეგომად ჩემდა ოცდაერთსა დღესა. და, აჰა, მიხაილ, ერთი მთავართაგანი პირველთაჲ მოვიდა შეწევნად ჩემდა. და იგი დაუტევე მუნ მთავარსა თანა მეფობისა სპარსთაჲსასა.

14. და მოვედ გულისხუმის-ყოფად შენდა, რაოდენნი შეემთხუნენ ერსა შენსა უკანაჲსკენელთა დღეთა ზე, რამეთუ მერმე ხილვაჲ დღეთა მიმართ.

15. და ზრახვასა შინა მისსა ჩემდამო სიტყუათა ამათებრ მივეც პირი ჩემი ქუეყანასა ზედა და შევკმუნდი.

16. და, აჰა, ვითარცა მსგავსება ძისა კაცისა, შემახო ბაგეთა ჩემთა, და აღვადე პირი ჩემი, და ვზრახუედ და ვთქუ მდგომარისა მიმართ წინაშე ჩემსა: უფალო, ჩუენებასა შინა შენსა მოიქცეს შინაგანნი ჩემნი ჩემ შორის, და, აჰა, არა მაქუს ძალი.

დ 17. და ვითარ შემძლებელ იქმნეს მონაჲ შენი, უფალო, ზრახვად უფლისა ამის თანა ჩემისა? და ამიერთგან არ დადგეს ჩემ შორის ძალი და მშენებაჲ არ დაშთა ჩემ თანა.

18. და შესძინა და შემახო მე, ვითარცა ხილვამან კაცისამან, და განმადლიერა მე.

19. და მრქუა მე: ნუ გეშინინ, მამაკაცო გულისსათქმელთაო, მშუდობაჲ შენდა, მკნობდ და განძლიერდი! და ზრახვასა მისსა ჩემ თანა განძლიერდი და ვთქუ: იტყოდე უფალი, რამეთუ განმადლიერე მე.

20. და მრქუა მე: უკუეთუ უწყი, ვითარმედ მოვედ შენდა მომართ და აწ ზივიქცე ბრძოლად მთავრისა თანა სპარსთასა, და მე განვიდოდე და მთავარი ელლინთაჲ მოვიდოდა,

21. არამედ ანუ მიგიოხრა შენ შორის დაწესებული წერილსა შორის ჭემ-მართებლისასა. და არა არს ერთიცა თანმოქმედი ჩემ თანა ამათუს, გარნა ხოლო მიქაილ, მთავარი თქუენი.

## 11

ა 1. მე წელსა პირველსა კვროსისსა, დავდეგ სიმტკიცედ და ძალად.

2. და აწ მე გითხრობ შენ ჭემმართისა: აჰა, საჰნი მეფენი აღდგენ მერმე სპარსეთს შინა, და მეოთხე განძლიერდეს სიმდიდრითა დიდთა უფროს ყოველთასა, და შემდგომად დაპყრობისა მისგან სიმდიდრესა მისსა ზედააღუდგეს ყოველთა მეფობათა ელლინთასა.

3. და აღდგეს მეფე ძლიერი, და ეუფლოს უფლებათა მრავალთა და ქმნას ნებისებრ მისსა.

4. და ვიდრე დგესდა მეფობა მისი, შეიმუსროს და განიწვალოს ოთხთა მიმართ ქართა ცისათა და არა უქუანაჲსკენელთა მისთა მიმართ, არცა უფლები-საებრ მისისა, რომელ იუფლა, რამეთუ დაიქსნა მეფობა მისი და სხუანი გარე-შე მათსა.

5. და განძლიერდეს მეფე სამხრისა, და ერთი მთავართა მისთავანი გან-ძლიერდეს მის თანა და ეუფლოს უფლებათა მრავალთა გარეშე კელმწიფები-სა მისისა.

6. და შემდგომად წელთა მათთა შეიყვანნენ, და ასული მეფისა სამხრისა შევიდეს მეფისა მიმართ ბლუარისაჲსა ყოფად ზაეისა მის თანა, და ვერ დაი-პყრას ძალი ძლიერებისაჲ, და არა დადგის თესლი მისი, და მიეცეს იგი და მომყვანებელნი მისნი და ქაბუჟაჲ და განმძლიერებელი მისი სამთა შინა ჟამ-თა.

7. და აღდგეს ყუავილისაგან ძირისა მისისა განმზადებულებასა ზედა მისსა და მოვიდეს ძალისა თანა და შევიდეს სიმტკიცეთა მიმართ მეფისა ჩრდი-ლოსათა, და ქმნას მათ შორის და განძლიერდეს.

8. და ღმერთნიცა მათნი გამოდნობილთა თანა მათთა, ყოველი ქურქელი გულისათქმელი მათი ვეცხლისა და ოქროჲსა ნატყუნავისა თანა შეიღოს ეგუპტედ, და იგი დადგეს ზედა მეფისა ჩრდილოსასა.

9. და შევიდეს სამეფოდ მეფისა სამხრისასა და მოიქცეს ქუეყანად თესსა.

10. და ძეთა მისთა შეკრიბონ ერი ძალთა მრავალთაჲ და თანშეაყონ, და შევიდეს მომავალი და წარმღუნელი, და წარმოკდეს, და დაჯდეს და თანშეთ-ხზნას ვიდრე ძალისამდე მისისა.

11. და განველურდეს მეფე სამხრისაჲ, და გამოვიდეს, და ბრძოლა-სცეს მეფესა თანა ჩრდილოსასა, და დაადგინოს ერი მრავალი და მისცეს ერი კელ-სა შინა მისსა,

12. და მიიღოს ერი, და ამაღლდეს გუელი მისი, და დააქუევენეს ბევრნი და ვერ უძლონ.

13. და მოაქციოს მეფემან ჩრდილოსამან და მოიყვანოს ერი მრავალი უფროს პირველისასა, და დასასრულსა თანა ჟამთასა ზედმოვიდეს შესლვითა ძალისა მიერ დიდისა და სიმდიდრითა მრავლისა.

14. \* და მათ ჟამთა შინა მრავალნი აღდგენ მეფესა ზედა სამხრისასა, და ძენი ბუგრიანთა ერისა შენისათანი აღზუავენენ დადგინებად ხილვისა და მოუ-ძლურდენ.

15. და შევიდეს მეფე ბლუარისაჲ, და მოადგას პატნეზი, და მოიპყრნეს ქალაქნი ძლიერნი და მკლავნი მეფისა სამხრისანი ვერ დადგენ. და აღდგენ რჩე-ულნი მისნი და არა იყოს ძალი მისი დადგომად.

16. და ქმნას შემავალმან მისდა მიმართ ნებისაებრ მისისა, და არა იყოს დამდგომ პირისპირ მისსა, და დადგეს ქუეყანასა შინა საბირისსა და მოსრულ-დეს კელისა მიერ მისისა.

17. და დააწესოს პირი მისი შესლვად ძალითა ყოველისა მეფობისა მისისა-თა, და სიწრფოებანი ყოველნი ყუენეს მის თანა, და ასული დედათაჲ მისცეს მას განხრწნად იგი, და არა დაადგრეს და არა იყოს მისსა.

8. ნატყუნავისა S. 10. დაჯდეს|დაჯდე S. 11. განველურნეს S. 12. დააქუევენეს S. 15. ბლო:რისაჲ S. \* ესა. 18. გ. 16.

18. და მოაქციოს პირი თვისი ქალაკთა მიმართ, და დაიპყრნეს მრავალნი და დაწუნეს მთავარნი ყუედრებითა მათითა. ყოველი ყუედრება მისი მიექცეს, მან მოაქციოს პირი მისი

დ 19. ძალისა მიმართ ქუეყანისა მისისაჲსა, და მოუძღურდეს, და დაეცეს და არა იპოოს.

20. და აღდგეს ძირისაგან მისისა ნერგი მეფობისაჲ განშადებულებასა ზედა მისსა წარმდროებელი და მოქმედებასა მეფობისასა. და მათ დღეთა შინა შეიმუსროს და არა პირითა და არცა ბრძოლისა მიერ.

21. დადგეს განშადებულებასა ზედა მისსა, შეურაცხ იქმნას, და არა მისცეს მის ზედა დიდებაჲ მეფობისა, და მოვიდეს იეფობისა თანა და განაძლიეროს მეფობა შებრკოლებისა მიერ.

22. და მკლავნი წარმლუნელისანი წარირღუნენ პირისაგან მისისა, და შეიმუსრნენ და წინამძღუარმანცა აღთქმისამან

23. და თანაშემყოფელთაგანმან მისა მიმართ ზაკუვაჲ, და აღვიდეს და ზემთა განაძლიეროს მცირედისა მიერ ძალისა და ნათესაობისა.

24. და მრავლითა სოფლებითა მოვიდეს და ქმნეს, რომელი არა ქმნეს მამათა მისთა და არცა მამათა მამათა მისთასა, ავარი და ნატყუენავი და სიმდიდრე მათი განაზნის და ეგუპტესა ზედა ისიტყუნეს სიტყვანი მისნი და ვიდრე უამისა.

25. და აღდგეს ძალი მისი და გული მისი მეფესა ზედა სამხრისასა ძალისა მიერ დიდისა, და მეფემან სამხრისამან შეამტყიოს ბრძოლაჲ ძალისა მიერ დიდისა და ძლიერისა ფრიად, და ვერ დადგეს, რამეთუ სიტყუედ მას ზედა გულსიტყუათა,

ე 26. და ჰამენ სათანადოთა მისთა და შემუსრვენ მას, და ძალი თვისი წარღუნას და დაეცნენ წყლულნი მრავალნი.

27. და ორნივე მეფენი, გულნი მათნი უკეთურებისა თანა და ტაბლასა ზედა ერთსა ცრუსა ზრახვიდენ და არ წარემართოს, რამეთუ არსლა დასასრულამდე უამი.

28. და მიიქცეს ქუეყანად თვისსა სიმდიდრისა თანა მრავლისა და გული მისი აღთქმასა ზედა წმიდასა, და ყოს და მიიქცეს ქუეყანად თვისსა.

29. უამად მოიქცეს და მოვიდეს სამხრად მომართ, და არა იყოს, ვითარცა პირველი და ვითარცა უკუანადი.

30. და შევიდენ მის თანა გამოძავალნი კიტელნი, დაიმორჩილონ და დამდაბლდეს, და მიიქცეს და საკვრველებდეს აღთქმასა ზედა წმიდასა. და იყოს და მოიქცეს, და გულისხუმა-ყოს დამტკეველთა ზედა აღთქმისა წმიდისათა.

31. და ნათესავისა მისგან აღდგენ და შეავინონ სიწმიდე მძლავრებისაჲ, და გარდადგინონ სამარადისოდ და მისცენ საძაგელი უჩინოქმნილი.

ვ 32. და მელსჯულომასა ზედშეამთხვონ აღთქმაჲ შებრკოლებისა მათისა, და ერსა, მეცნიერსა ღმრთისა თვისასა, არ განაძლიერებენ და ჰყოფენ.

33. და გულისხუმიერნი ერისა ჩემისანი გულისხუმა-ჰყოფენ მრავლად, და მოუძღურდებიან მახლისა მიერ, და ალისა მიერ და ტყუეობისა მიერ და იავრობისა მიერ დღეთამასა.

34. და მოუძღურებასა შინა მათსა შეწევნულ იქმნეს შეწევნითა მცირითა და შესძინენ მათ ზედა მრავალი შებრკოლებისა მიერ.

35. და გულისხმისმყოფელთაგანნი მოუძღურდენ გამოკუტრეებად მათ შინა და გამორჩეად და გამოცხადებად ვიდრე ესამდღე გამოკუტრეებისა მცირესა ესამდღე.

36. და ქმნას ნებისაებრ თვისისა, და მეფე ამაღლდეს, და განდიდნეს ყოველთა ზედა ღმერთთა და ღმერთსა ღმერთთა ზედა, და თქუნეს ზეშთა ძალიანანი, და წარემართოს ვიდრე აღსრულებადმდე რისხვისა, რამეთუ დასასრულითა თანა იქმნეს.

37. და ყოველთა მიმართ ღმერთთა მამათა მისთასა არა გულისხუმა-ყოს და გულისთქმასა დედათასა და ყოველთა ზედა ღმერთთა არ გულისხმა-ყონ, რამეთუ ყოველთა ზედა განდიდნეს.

38. და ღმერთი მაუზნი ადგილსა შორის თვისსა ადიდოს და ღმერთი, რომელი არა იცნეს მამათა მისთა, ადიდოს ოქრომსა მიერ და ვეცხლისა და ქვითა პატიოსნითა და გულისსათქმელთა მიერ.

39. და იყო სიმაგრეთა შორის მისალტოლველთა ღმერთისა თანა უცხომსა, და განამრავლოს დიდებამ, და დაიმორჩილნეს მათ მრავალნი და ქუეყანა განყოს ნიჭთა მიერ.

40. და ესა დასასრულისასა მრქენალ იქმნას მეფისა თანა სამხრისათა; და შეკრბეს მის ზედა მეფე ბლუარისა ეტლებისა მიერ და ცხენებისა და ნავეებისა მრავლებისა, და შევიდეს ქუეყანად დასავანებელთა შორის, და შემუსროს და თანაწარჰკდეს.

41. და შევიდეს ქუეყანად საბაინისა და მრავალნი მოუძღურდენ. და ესენი განერნენ კელისაგან მისისა — ელომი და მოაბი და მთავარნი ძეთა ამმონისთა.

42. და განირთხას კელი მისი ქუეყანასა ზედა და ქუეყანა მისი არა იყოს საცხოვნებელად.

43. და ეუფლოს დაფარულთა შორის ოქრომსა და ვეცხლისათა და ყოველთა შორის გულისსათქმელთა ეგვიპტის და ლიბიისა და ეთიოპელთასა და სიმაგრეთა შორის მისთა.

44. და ჰამბაენი და სისწრაფენი შეაშფოთებდენ მას და აღმოსავალისაგან და ბლუარისა. და მოვიდეს გულისწყრომითა მრავლითა განყოფად და შეჩუენებად მრავალთა.

45. და აღდგას კარავი თვისი ფადანოს შინა, საშუალ ზღუათასა, მთასა საბირისა წმიდასა, და მოვიდეს ვიდრე კერძოდმდე მისისა, და არა არს გამომცხენელი მისი.

12

ა 1. და მას ესამსა შინა აღდგეს მიქაილ, მთავარი დიდი, რომელი დგას ზედა ძეთა ერისა შენისათა, და იყოს ესამი ჳირისა, ჳირი, რომელი არა იყო, ვინათგან იქმნა ნათესავი ქუეყანასა ზედა და ვიდრე ესამდღე, და მას ესამსა განერეს ერი შენი, ყოველი პოვნილი დაწერილ წიგნსა შინა.

38. მამთა S. 39. ღმერთისა S. 36. რისხეს S. დასასრულისა თანაჲდა სწრაფად S. 38. ქეთა S. S. 44. ბლოარისა S. 44 შეჩუენებად S. 45. აღდგას S. 1. განერნეს S.

2. და მრავალნი დაძინებულნი ქუეყანისა შინა მიწასა აღდგენ, \*რომელნი ცხოვნებად საუკუნოდ, და რომელნი ყუედრებად და სირცხულად საუკუნოდ.

3. \*\*და გულისხმის-ყოფელნი განბრწყინდენ, ვითარცა ბრწყინვალეობა სამყაროჲსა და მართალთაგანნი მრავალთანი, ვითარცა ვარსკულაენი, საუკუნეთადმი და მერმეცა.

ბ 4. და შენ, დანიელო, დაჰმარხენ სიტყუანი და დაჰბეჭდე წიგნსა ვიდრე ჟამამდე აღსასრულისა, ვიდრემდის განისწავლენ მრავალნი და განმრავლდეს მეცნიერება.

5. და ვიხილე მე, დანიელმან, და აჰა, სხუანი ორი დადგეს: ერთი — ამიერ ბაგესა მდინარისასა და ერთი — იმიერ.

6. და ვარქუე მას კაცსა მოსილსა ბადენით, რომელი იყო ზემოთ წყლისა მდინარისასა: ვიდრე იყოს დასასრული, რომელნი სთქუენ საკრველებანი?

ბ 7. და მესმა კაცისა მის მოსილისა ბადენითა, რომელი იყო ზედა წყალსა მდინარისასა, და აღიმაღლა მარჯუენე თვისი და მარცხენე ზეცად მიმართ და ფუცა ცხოველისა მიმართ საუკუნოდ, ვითარმედ ჟამისა მიმართ და ჟამთა და კერძოსა ჟამისასა, დასასრულისა შორის განბნეულებისა კელისა წერისა განწმედილისასა აცნობენ ყოველნი ესენი.

8. და მესმა. და ვერ გულისხუმა-გყავ და ვარქუე: უფალო, რამე იყოს უკანასკნელნი ამათნი?

9. და თქუა: წარვედ, დანიელ, რამეთუ დაჯშულნი და დაბეჭდულნი არიან სიტყუანი ვიდრე დასასრულამდე ჟამამდე.

და 10. გამოირჩინენ, და გამოსპეტაკენ, და გამოკურდენ, და განწმდენ მრავალნი; და უსჯულო იქმნენ უსჯულონი, და ვერ გულისხუმა-ყონ ყოველთა უთნოთა, და გონიერთა გულისხუმა-ყონ.

11. და ჟამისაგანცა ცვალებისასა მიმდემადისა და მოცემისა საძაგელსა მოკრებისასა დღენი ათას ორასოთხმეოცდაათნი.

12. ნეტარ არს მოთმინე და მიწევილი დღეთა მას ათას სამასოცდაათხუთმეტა.

13. და შენ მოვედ და განისუენე, რამეთუ მერმე არიანდა დღენი აღსაესებადმდე და დასასრულისა, და განისუენო და აღსდგე ნაწილსა შენსა აღსრულებასა თანა დღეთასა.

## 13

ა 1. და იყო კაცი დამკვდრებული ბაბილონს შინა, და სახელი მისი იოაკიმ.

2. და მიიყვანა ცოლი, რომლისა სახელი სუსანა, ასული ქელკაძისი, შუენიერი ფრიად და მოშიში უფლისაჲ,

3. და მშობელნი მისნი მართალნი. და ასწავეს ასულსა მათსა სჯულისაებრ მოსესისა.

4. და იყო იოაკიმ მდიდარ ფრიად; და იყო მისსა სამოთხე მეზობლად სახლისა მისისა. და მისსა მიმართ მივიდოდეს იუდეანნი ყოფისათჳს მისისა უდიდებულეს ყოველთასა.

---

2. ქუეყანისა S. ყუედრებად S. 5. სხუანი S. S. 6. ბადესით S. ზემოთ S. სთქუენ S. 7. მარჯუენე S. 9. დაბეჭდულნი S. 13. განისუენე S. განისუენო S. 2. შუენიერი S.

\* შტე. 25. დ. 46. \*\* სიბრ. 3. ბ. 7.



5. და გამოჩინებულ იქმნეს ორნი მოხუცებულნი ერისაგან მსაჯულად მას წელიწადსა შინა, რომელთათვის თქუა მეუფემან, ვითარმედ: გამოვიდა უსჯულოებამა ბაბილონით მოხუცებულთაგან მსაჯულთა, რომელნი ჰგონებდეს მართებასა ერისასა.

6. ესენი დადგრომილ იყუნეს სახლსა შორის იოაკიმისსა და მოვიდოდეს მათდამი ყოველნი შჯადნი.

7. და იქმნა, ოდეს წარვიდის ერი საშუალსა დღისასა, შევიდის სუსანა და ვიდოდის სამოთხესა შორის ქმრისა მისისასა,

8. და ხედვიდიან მას მოხუცებულნი ორნი დღითი დღე შესრულად და მავალად და იქმნეს გულისთქმისა შორის მისსა.

9. და გარდააქციეს გონება თავთა მათთა და მიდრიკნეს თვალნი მათნი არა ხედვად ცად მიმართ, არცა მოკსენებად სასჯელთა მართალთა.

10. და იყუნეს ორნივე ლმობიერ მისთვის და არა მიუთხბეს ურთიერთას ლმობა მათი,

გ 11. რამეთუ ჰრცხუენოდა აღსარებად გულისთქმამ მათი, რამეთუ ენებაყე თანყოფამ მისი.

12. და უმზირდეს დღითი დღე პატივისმოყუარებით ხედვად მისსა, და ჰრქუა მოყუასმან მოყუასსა:

13. წარვიდეთ სახილ, რამეთუ სამხრისა უამი არს, და გამოსრულნი განიყუნეს ურთიერთას.

14. და კუალად ქცეულნი შეკრბეს ერთბამად და გამომწულილველთა ურთიერთას მიზეზისათა აღიარეს გულისთქმამ მათი და მაშინ ზოგადი დააწესეს უამი, ოდეს მარტოდა შეუძლონ ჰოვნა მისი.

15. და იქმნა მზერასა შინა მათსა უამი, შევიდა სამოთხედ ოდესმე, ვითარცა გუშინ და ძოდანდელსა დღესა, და მხოლოთა ორთა თანა ქალთა და გულმან უთქუა ბანად სამოთხესა შინა, რამეთუ სიცხე იყო.

16. და არავინ არ იყო მუნ, თვნიერ ორნი მოხუცებულნი დამალულნი და მომზირალნი მისნი.

17. და ჰრქუა ქალთა მათ: მომართეთ მე ზეთი და შენაზავები და კარნი სამოთხისანი დაჰკეშენით, რაითა ვიბანო.

18. და ყვეს, ვითარცა თქუა და დაჰკეშნეს კარნი სამოთხისანი, და გამოვიდეს იგურდიეთა კართათ მიართმად ბრძანებულთა მათდა და არა უწყოდეს, ვითარმედ იყვნეს დამალულ მოხუცებულნი.

გ 19. და იყო, ვითარცა განვიდეს ქალნი, და აღდგეს ორნი მოხუცებულნი და ზედმირბიოდეს მისსა და ჰრქუეს:

20. აჰა, კარნი სამოთხისანი კუშვანან და არავინ მხედავს ჩუენ და გულისთქმასა შინა შენსა ვართ, რომლისათვის თანადამყევე ჩუენ და იქმენ ჩუენ თანა;

21. ხოლო უკეთუ არა, დაგწამოთ შენ, ვითარმედ იყო შენ თანა კაბუკი და ამისთვის განავლინენ ქალნი შენგან.

22. და აღმოისულთქუნა სუსანა და თქუა: იწრო არს ჩემდა ყოვლით კერძო, რამეთუ, უკეთუ ეგე ექმნა, სიკუდილი არის ჩემი, და, უკეთუ არა ექმნა, ვერ განვერე ველთაგან თქუენთა.

23. უაღსარჩევლეს არს ჩემდა არმოქმედისა შთავრდომამ კელთა თქუენთა ვიდრე მცოდველობამ წინაშე უფლისა.

24. და აღილადა კმითა დიდითა სუსანა, ხოლო აღილადადეს ორთაცა მოხუცებულთა წინააღმდეგომად მისსა.

25. და მსრბოლმან ერთმან განიხუნა კარნი სამოთხისანი.

26. ხოლო ვითარცა ესმა ღალადება სამოთხესა შინა მრწემთა სახლისათა, შეისწრაფეს იგურდივისა კარისა მიერ ხილვად შემთხუეულსა მისდა.

დ 27. ხოლო რაჟამს თქუნეს მოხუცებულთა სიტყუანი მათნი, სირცხულეულ იქნნეს მონანი ფრიად, რამეთუ ოდესვე არავის ასმიოდის ესევეთარი სიტყუაჲ სუსანაჲსთს, და იყო ხუალისა ზე,

28. ვითარცა შემოკრბა ერი ჭმრისა მისისა მიმართ იოაკიმისსა, მოვიდეს ორნი მოხუცებულნი, სავსენი უსჯულოთა გულისზრახვითა, ძნად სუსანაჲსა მოსიკუდილ მისსა.

29. და თქუნეს წინაშე ერისა: მიაველინეთ სუსანანსა, ასულისა ქელკაჲსსა, რომელ არს ცოლი იოაკიმისი! ხოლო მათ მიაველინეს.

30. და მოვიდა იგი, და მშობელნი მისნი, და შვილნი მისნი და ყოველნი ნათესაენი მისნი.

31. ხოლო სუსანა იყო ჩჴლ და შუენიერ სახითა.

32. და უსჯულოთა ბრძანეს უსაბურველო-ქმნა, რამეთუ იყო იგი მობურ-ვილ, რაჲთა აღივსნენ შუენიერებისაგან მისისა.

33. ხოლო ტიროდეს მისთს ყოველნი მხილველნი მისნი.

34. ხოლო აღდგომილთა შორის საშუალსა ერისასა ორთა მათ მოხუცე-ბულთა დაახსნეს კელნი თავსა ზედა მისსა.

35. ხოლო მან, მტირალმან, აღიხილნა ცად მიმართ, რამეთუ იყო გული მისი მოსავ უფლისა მიმართ.

36. და თქუნეს ორთა მათ მოხუცებულთა: ვიდოდეთ რაჲ ჩუენ შორის სა-მოთხისა მარტონი, შემოვიდა ეგე ორთა თანა მკევალთა, და დაჰქმნა კარნი სა-მოთხისანი და განაველინნა მკეველნი,

37. და მოვიდა მისსა მიმართ ჭაბუკი, რომელი დამალულ იყო, და დაწ-ვა მის თანა.

38. ხოლო ჩუენ, მყოფთა შორის ყურესა სამოთხისასა, ვიხილეთ რა უს-ჯულოებაჲ, მივრბოდეთ მათ ზედა, და მხილველთა მათთა თანაქმნილად

39. მისი, ვიდრემე ვერ შეუძლეთ შეპყრობილ-ყოფაჲ ძლიერებისათს მისისა უფროს ჩუენსა და განხუმითა კართაჲთა განლტოლისა.

ე 40. ხოლო ამითა შემპყრობელთა ვჰკითხეთ: ვინ იყო ჭაბუკი? და არა ინება თბრობა ჩუენი, ამათ ვწამებთ.

41. და ემოწმა მათ შესაკრებელი ერისა, ვითარცა მოხუცებულთა და მსაჯულთა, და დასაჯეს იგი სიკუდილად.

42. ხოლო აღილადა სუსანა კმითა დიდითა და თქუა: ღმერთო საუკუ-ნეო, დაფარულთა მეცნიერო, რომელმან უწყნი ყოველნი პირველ ქმნისა მათისა,

43. შენ მეცნიერ ხარ, ვითარმედ ცრუჲ დამწამეს მე, და, აჰა, მოგკუდებო არმოქმედი არარაჲსაჲ, რომელნი ამათ მოიბოროტნეს ძნად ჩემდა.

44. და შეისმინა უფალმან კმისა მისისაჲ.

45. და მიიყვანებოდა რაჲ იგი წარწყმედად, აღადგინა ღმერთმან სული წმიდაჲ ყრმისა ჭაბუკისა, სახელით დანიელისა.

46. და აღილაღადა კმითა დიდითა: წმიდა ვარ მე სისხლისა ამისგან.

47. და დადგა ყოველი ერი მისდამი და ჰრქუეს: რამ არს სიტყუა ეგე შენი, რომელსა იტყუ?

48. ხოლო მან თქუა შორის მათსა ესრეთ სულელთა: ძენო ისრაჲლისანო, არა განმსჯელთა, არცა ცხადად შემეცნებულთა დასაჯეთ ასული ისრაჲლისა?

49. მიიქეციტ სამსჯავროდ მიმართ, რამეთუ ცრუმ დასწამეს იმათ ამას.

ვ 50. და მიიქცა ერი სწრაფისა თანა, და ჰრქვეს მას მოხუცებულთა: მოვედ, დაჯედ საშუალ ჩუენსა და მომითხარ ჩუენ, რამეთუ შენ მოგცა ღმერთმან მოხუცებულობა.

51. და თქუა ერისა მიმართ დანიილმან: განყვენიტ იგინი ურთიერთას შორად და განესაჯენ იგინი.

52. და ვითარცა განყვენს ერთიერთისაგან, მიუწოდა ერთსა მათგანსა და თქუა მისდა მიმართ: დაძულებულო ბოროტთა დღეთაო, აწ გეწინეს ცოდვანი შენნი, რომელთა ჰყოფდი პირველად.

53. მშველი შჯათა ცრუთაჲ და უბრალოთა უკუე დამსჯელი, ხოლო განმტყევებელი მიზეზიანთა იტყოდის რამ უფალი: \*უბრალოჲ და მართალი არ მოაკუდინო.

54. აწ უკუე, ესე უგულუბელ-ჰყავ, თქუ, რომელსა ხესა ქუეშე იხილენ იგინი მზრახვალნი ურთიერთას? და მან თქუა: ხეთქილსა ქუეშე.

55. და თქუა დანიელმან: მართლიად სიტყუე თავისა მიმართ შენისა, რამეთუ, ეგერა, ანგელოზი ღმრთისაჲ, მიმღებელი ღმრთისაგან განჩინებასა, განგებთქს შენ შუა.

56. და გარდამადგინებელმან მისმან ბრძანა მოყვანება სხვსა და ჰრქუა მას: თესლო ქანანისაო და არა იუდასო, შეუენიერებამან შეგაცთუნა შენ და გულისთქმამან გარდააქცია გული შენი.

57. ესრეთ უყოფდით ასულთა ისრაჲლისათა და იგინი შიშნეულნი გზრახვიდეს თქუენ, გარნა არა ასულმან იუდაისამან დათმო უსჯულოებაჲ თქუენი.

58. ხოლო აწ მითხარ მე, ქვეშე რომელსა ხესა დააპყრენ იგინი მზრახვალნი ურთიერთას? და მან თქუა: ხერხულსა ქუეშე.

ვ 59. ხოლო ჰრქუა მას დანიელმან: მართლად სიტყუე და შენცა თავისა მიმართ შენისა, რამეთუ დგას ანგელოზი ღმრთისაჲ მჭონებელი მახვლსა განხერხვად შენდა საშუალ, რაითა მოგსპნეს თქუენ.

60. და აღილაღადა ყოველმან შესაყრებელმან კმითა დიდითა და აკურთხეს ღმერთი მაცხოვრებელი მოსავთაჲ მისდამი.

61. და აღდგეს მოხუცებულთა ზედა, რამეთუ შეაყენნა იგინი დანიელ თქმულთაგან მათთა ცილისდამწამებლნი და ყვეს მათდა, ვითარცა-იგი ბოროტი იზრახეს ყოფად მოყუსისა.

62. \*მჭულისაებრ მოსესსა, და მოკლნეს იგინი, და ცხონდა სული უმიზეზოჲ მას დღესა შინა.

46. წმიდაჲ S. 50. ჰქვეს S. 51. განყუენით S. 52. განყვენს S. დაძულებულო S. 53. უკუე S. 54. უკუე S. ქუეშე S. 55. სხუე S. ღმრთისაგან S. 56. შეუენიერებამან S. გზრახვდეს S. 58. ქუეშე S. 61. ყუეს S.

\* გმოს. 23. ა. 7. \*\* 2. სჟუ. 9. დ. 19.

63. ხოლო ქელკად და ცოლი მისი მაქებლობდეს უფლისა, ასულისა მათისა სუსანაასუსს. იოაკიმისის თანა, ქმრისა მისისა, და თანმონათესავეთა ყოველთა, რამეთუ არა იპოვა მის შორის უშუერი საქმე.

64. და დანიელ იქმნა დიდ წინაშე ერისა მიერ დღითგან წამართ.

## 14

ა 1. და იყო დანიელი თანმემცხოვრებელ მეფისა და დიდებულ უფროს ყოველთა მოყვარეთა მისთა.

2. და იყო კერპი ბაბილონელთაჲ, რომლისა სახელი ბილ. და წარაგებდეს მისა მიმართ თითოეულსა დღესა სემიდალსა გრივსა ათორმეტსა, და ცხოვართა ორმეოცთა, და ღვნოსა საწყაულსა ექუსთა.

3. და მეფე ჰმსახურებდა მას. და მივიდოდა მეფე თითოეულსა დღესა თაყუანისცემად მისსა, ხოლო დანიელ თაყუანის-სცემდა ღმერთსა თუსსა. და ჰრქუა მას მეფემან: რასათს არ თაყვანის-სცემ ბილს?

4. ხოლო მან ჰრქუა მას: რამეთუ არა ვმსახურებ კერპთა კელითქმნულთა, არამედ ღმერთსა ცხოველსა, ამგებელსა ცისა და ქუეყანისასა და მქონებელსა უფლებისა ყოვლისა ცოცხისასა.

5. და ჰრქუა მეფემან: არ საგონებელ არს შენდა ბილ ყოფად ცხოვლად ღმერთად, ანუ არა ხედავა, რაოდენთა სუამსა და ჰამს თითოეულსა დღესა? და ჰრქუა

ბ 6. დანიელ განმცინებელმან: ნუ სცთები, მეფე, რამეთუ ესე შინაგანი უკუე თივა არსა, ხოლო გარეგანი რვალი. და არა უჭამიეს, არცა უსუამს ოდეს-მე.

7. და განმწყრალმან მეფემან მიუწოდა მღდელთა მისთა და ჰრქუა მათ: არა თუ მითხრათ მე, ვინ არს შემკმელი წარსაგებელისაჲ ამის, მოჰკუდეთ.

8. ხოლო უკეთუ მიჩუნოთ მე, ვითარმედ ბილ შესჰამს ამათ, მოკუდეს დანიელ, რამეთუ გმო ბილის მიმართ. და ჰრქუა დანიელმან მეფეს: იყავნ სიტყუსაებრ შენისა!

9. და იყუნეს მღდელნი ბილისნი სამეოცდაათ გარეშე დედათა და შვილთასა, და მოვიდა მეფე დანიელის თანა სახიდ ბილისა.

10. და თქუეს მღდელთა ბილისთა, ვითარმედ: აჰა, ჩუნენ განვიდეთ გარე, ხოლო შენ, მეფე, დააგე ჰამადი, და ღვნისა განმზავებელმან დადგი, და დაჰკლიტენ კარნი, და დაბეკდენ ბეკდითა შენითა,

ა 11. და მოსრულმან განთიად, უკუეთუ არა ჰპონენ ყოველნი შექმულად ბილის მიერ, მოვკუდეთ, ანუ დანილი მტყუარი ძენად ჩუნენდა.

12. ხოლო იგინი შეურაცხ-ჰყოფდეს, რამეთუ ექმნაყე ქუეშე ტრაპეზისა დაფარულ შესავალი და მის მიერ შევიდოდეს მარადის, და იგინი სჰამდიან მათ.

13. და იყო, ვითარცა განვიდეს იგინი, და მეფემან დაუგო შექამადნი ბელსა, და უბრძანა დანიელ ყრმათა თუსთა, და მოილეს ნაცარი და მოაცურიეს ტაძარსა წინაშე ბელისსა, და გამოსრულთ მეფემან დანიელის თანა კარი დაჰბეკდეს ბეკდითა მეფისათა და წარვიდეს.

14. ხოლო მღდელნი შევიდეს ღამე წესისაებრ მათისა, შექამნეს ყოველნი და შესუეს.

¶ 63 უფლისაჲ S. უშუერი S. 5. ჰქვა S. 6. უკუე S. 7. მოკუდეს S. 8. მიჩუნოთ S. 10. დააგენ S. 12. შეურაცხ ჰყოფდეს ურუაჲხ ჰყოფდეს S. ქუტყე S. 13. კარი+და S. განელს S. 14. შესუს S.

15. და იმთო განთიად მეფემან და დანიელმან მის თანა.

და 16. და ჰრქუა მეფემან: ჰგიანა ბეკედნი, დანიელო? და თქუა დანიელმან: ჰგიან, მეფე.

17. და იყო, ვითარცა განხუმასა თანა კართასა მიმხედველმან მეფემან ტაბლისა მიმართ კმაყო კმითა დიდითა და თქუა: დიდ ხარ, ბილ, და არა არს შენ თანა ზაკუად არცა ერთი.

18. და განიციხა დანიელმან, და იპურა მეფესა შესლვად შინა და ჰრქუა: იხილე უკუე იატაკი და ცან, ვისნი არიან კულანი ესე.

19. და თქუა მეფემან: ვხედავ კულთა მამათასა და დედათასა და ყრმათასა.

20. და განრისხებულმან მეფემან შეიპურნა მლდელნი, და ცოლნი, და შვილნი მათნი, და უჩუენეს დაფარულნი სარკმელნი, რომელთა მიერ შევიდოდეს და განლევდეს ტაბლისზედათა.

21. და მოსწყუნა იგინი მეფემან, და მისცა ბელი საველმწიფოდ დანიელს, და დაამკუა იგი და ტაძარი მისი.

22. და იყო ვეშაპი დიდი მასვე ადგილთა შინა და ჰმსახურებდეს მას ბაბილოვნელნი იგი.

23. და ჰრქუა მეფემან დანიილს: აჰა, ესე, არ ძალ-გიც შენ თქმად. ვითარმედ არა არს ესე ღმერთი ცხოველი, არამედ მოედ და თაყუანის-ეც მას.

და 24. და თქუა დანიელმან: უფალსა ღმერთსა ჩემსა თაყუანის-ვსცე, რამეთუ იგი არს ღმერთი ცხოველი.

25. ხოლო შენ, მეფეო, მომეც კელმწიფება და მოვაკუდირო ვეშაპი თვნიერ მახულთა და კუერთხთასა. და ჰრქუა მეფემან: მიგცენ შენ.

26. და მოილო დანიელმან ფისი, და ცმელი. და ბალანი და შეაგბნა ერთბაჲად, და შექმნა გუნდად, და მისცა პირსა ვეშაპისასა და განიბძარა ვეშაპი იგი. თქუა: იხილეთ სამსახურებელნი თქუენნი.

27. და იყო, ვითარცა ესმა ბაბილოვნელთა შეეწყინავე ფრიად, და შეკრბეს მეფისა ზედა და თქუეს: ჰურია იქმნა მეფე, ბილი შემუსრა, და ვეშაპი მოკლა და მლდელნი მოსრნა, მოვიდეს

28. და თქუეს მეფისა მიმართ: მოგუეც ჩუენ დანიილ, უკუეთუ არა, მოგკლავთ შენ და სახლი შენი იავარ-ვჰყოთ.

და 29. და იხილა მეფემან, რამეთუ ზედდაესხმიან მას ფრიად და იძულებულმან მისცა მათ დანიილ.

30. ხოლო მათ შთაადგდეს იგი მღუმესა მას ლომთასა, და იყო მუნ ღლეთა ექუსთა.

31. ხოლო იყენეს მღუმესა მას შინა შედნი ლომნი. და მიეცემოდა მათ დღივ ორი კაცისა გუამნი და ორნი პატრუჰკანი. ხოლო მაშინ არა მიეცა მათ, რაჲთა შეჰჰამონ დანიილი.

32. იყო ამბაკომ წინაწარმეტყუელი იუდეასით, და მან შეაგბო გბოლეილი, და შთაანეტუნა პურნი ვარცლსა და განვიდოდა ველად მირთუმევეად მოჰკალთა.

33. და ჰრქუა ანგელოზმან უფლისამან ამბაკუმს: მიართუ სამხარი, რომელი გაქუს ბაბილონად დანიელს მღუმესა მას შინა ლომთასა.

34. და თქუა ამბაკომბან: უფალო, ბაბილონი არ მიხილავს და მღუმე იგი არ ვიცი.

35. \*და უპყრა ანგელოზმან უფლისამან თხემისა მისისა და მტკრთველმან თმითა თავისა მისისათა დადვა იგი ბაბილონს მღუმესა ზედა და განკრთომილებასა შინა სულისა მისისასა.

36. და კმა-ყო ამბაკუმ მეტყუელმან: დანიელ, დანიელ, მიიღე სამხარი, რომელ წარმოგცა შენ ღმერთმან.

37. და ჰრქუა დანიელმან: რამეთუ მომიკსენენ, მე, ღმერთო, და-არც უტევენ მოყუარენი შენნი.

38. და აღდგომილმან დანიელმან ჰამა, ხოლო ანგელოზმან ღმრთისამან კულად-აგო ამბაკუმ მეყსა შინა ადგილსა ზედა თუსსა.

39. ხოლო მეფე მოვიდა დღეს მეშუდესა გოდებად დანიილისსა და მივიდა მღუმესა ზედა და შთაიჭურა, და, აჰა, დანიელ მჯდომარე.

40. და მღადადებელმან მეფემან კმითა დიდითა თქუა: დიდ ხარ შენ, უფალო ღმერთო დანიელისო, და არა ვინ არს თუნიერ შენსა. და აღმოიქუეს იგი მღუმისაგან.

41. ხოლო მიზეზნი წარწყმედისა მისისანი შთათხინნა მღუმედ და შეიკამნეს მეყსეულად წინაშე მისსა.

42. მაშინ თქუა მეფემან: რაჲთა დაამტკიცონ ყოველთა დამკვდრებულთა ყოვლისა ქუეყანისათა ღმერთი დანიელისი, რამეთუ იგი არს მაცხოვარი და მოქმედი ნიშებთა საკვრველთა ქუეყანასა ზედა, რომელმან განაჩინა დანიელ მღუმისაგან ლომთასა.

36. კმაჲ ჟო S. 40. აღმოიქუეს S.

\* ეზეყ. 8. ა. 3.

## წინასწარმეტყველება ოსესი

### 1

ა 1. სიტყუამ უფლისამ, რომელი იყო ოსეს მიმართ, ძისა აბერისა, დღეთა ოზიასთა, და იოათამისთა, და აჰაზისთა, და ეზეკიასთა, მეფისა იუდაისთა, და დღეთა იორობოამისთა, მეფისა ისრაილისათა:

2. დასაბამი სიტყუათა უფლისათა ოსეს მიმართ: და ჰრქუა უფალმან ოსეს: წარვედ და მოიყვანე თავისა შენისა დედაკაცი სიძვისამ და შვილნი მისნი სიძვისანი, რამეთუ სიძვით სიძვიდღეს ქუეყანასა უკუანათვან უფლისა.

ბ 3. და წარვიდა და მოიყვანა გომერ, ასული დებელიამისი, და მიუდგა და უშვა მას ძე.

4. და ჰრქუა ღმერთმან: უწოდე იეზრაელ ამისთვის, რამეთუ მცირედლა და შური ვიძიო მე სახლისა მისთვის იეზრაელისა და სახლსა ზედა იუდაისსა და დაეცხრვო მეფობა ისრაილისამ.

5. და იყოს მათ დღეთა შინა, შეემუხრო მშუღლები იეზრაელისამ, დღელსა მას იეზრაელისასა.

6. და მიუდა და უშვა მას ასული და ჰრქუა მას უფალმან: უწოდე სახელი მისი არაშეწყალებულ, რამეთუ არაარა შევსძინო მერმე შეწყალებად სახლი ისრაილისამ, არამედ წინააღმდეგომით წინაღუდღე მათ.

გ 7. ხოლო ძენი იუდაისნი შევიწყნარნე და ვიქსნნე იგინი უფლისა მიერ ღმრთისა მათისა, და არა ვიქსნნე იგინი მშუღლითა, არცა მახვლითა, არცა ბრძოლითა, არცა ცხენებითა. არცა მკედრებითა.

8. და სძესა განეყენა არაშეწყალებული იგი, და მერმე მიუდგა და შვა ძე. 9. და უწოდა სახელი მისი — არა ვერი ჩემი, და არა ვარ ღმერთი თქუენი, რამეთუ არა ხართ თქუენ ვერი ჩემი.

10. და იყოსლა თუ რიცხუ ძეთა ისრაილისათამ, ვითარცა ქვშამ, რომელი არა აღიწყოს და არცა აღირაცხოს, ნუშტი ოდენ ცხონდეს. \*და იყოს ადგილსა მას, სადა-იგი ეწოდოს მათ ძე ღმრთისა ცხრველისა.

11. და შეკრბენ ძენი იუდაისნი და ძენი ისრაილისანი ერთად, და დაიდგინონ თავისა მათისა მთავარი ერთი, და აღმოვიდენ ქუეყანისა მისგან, რამეთუ დიდ არს დღე იგი იეზრაელისა.

### 2

ა 1. არქუთ ძმათა თქუენთა: ვერი ჩემი და დასა თქუენსა: შეწყალებულნი.

2. ესაჯენით დედასა თქუენსა, ესაჯენით, რამეთუ იგი არა ცოლი ჩემი, და მე არა ქმარი მისი. განავდოს სიძვამ პირისაგან მისისა და მრუშებამ მისი შორის ძუძუთაგან მისთა,

2. უფლისამთა S. შენისამ S. სიძვისამ S. შვილნი S. სიძვისანი S. სიძვით S. 3. დებელიამ S. 7. უფლისამ S. ღმრთისამ S. 10. ღმრთისამ S.

\* ჯ'რმ. 9. გ. 16.

3. განვაშიშულო იგი და დავადგინო, ვითარცა დღესა შობისა მისისასა, და დავდვა იგი, ვითარცა უდაბნოჲ, და ვყო, ვითარცა ქუეყანა ურწყული, და მოესპო იგი წყურილითა,

4. ძენი მისნი არა შევიწყალნე, რამეთუ ძენი მრუშებისანი არიან.

5. რამეთუ სიძვით ისიძვა დედაჲ მისჲნი და სირცხულეულ-ყო, რომელმან შვნა იგინი, და იტყოდ: შეუდგე ტრფიალთა ჩემთა, რომელნი მომცემენ პურსა და წყალსა ჩემსა, მატყლსა და სამოსელსა ჩემსა, და ზეთსა, და სასმელსა.

6. ამისთვის დავკვნე გზანი შენნი ბრწამლითა და მოგზლუნდე ყორითა, და კვალნი შენნი არა იპოვნეს.

7. მისდევდენ ტრფიალთა თვსთა და ვერ ეწინეს მათ, ეძიებდეს მათ და არა პოვნეს. და თქუა: შევიტყე და მივიღე ქმრისა ჩემისა პირველისა, რამეთუ მაშინ უმჯობეს იყო ჩემდა, ვიდრე აწ.

8. ხოლო მან არა უწყოდა, თუმცა მე მივეც მას იფქლი და ღუნო და ზეთი, და განუმრავლენ მას ვეცხლი და ოქროჲ, რომელი უქმნეს ბაალსა.

9. ამისთვის მოვიტყე და მოუღო იფქლი ჩემი ყამსა თვსსა და განვსძარცო მისგან მატყლი ჩემი და სელი ჩემი, რომლითა დაიფარვიდენ სირცხულთა თვსსა.

10. და აწ განვაცხადო სიცოფე მისი წინაშე ტრფიალთა მისთა, და კაცმან ვერ განარინნეს ჳელთაგან ჩემთა.

11. მოუღო ყოველი სიხარული მისი, და დღესასწაული მისი, და თთვისთაჲნი მისნი, და შაბათობანი მისნი, და ყოველნი დღეკეთილობანი მისნი

12. უგულუბელს-ვეყუნე, ვენაჲნი მისნი და ლეღოვანნი მისნი, რომელთათვის იტყოდ: მიზღი მრუშებისა ჩემისა არს ესე, რომელნი მომცეს მე ტრფიალთა ჩემთა, — ხოლო დავსხნა იგინი ოქრად და მოსჳამდენ მას მკეცნი უდაბნოსანი.

13. შურ-ვაგო დღეთა ბაალისთა, რომელ უზორვიდა და შეიმკობდა სამკაულითა თვისთა და ვიდოდა ტრფიალთა თანა თვსთა და მე დამიფიწყა, — იტყუს უფალი,

14. ამისთვის განვაძო იგი და წარვდევნო უდაბნოსა და ვიტყოდე შორის გულისა მისისა.

15. და მივეც მას მონაგები თვისი, მასვე ადგილსა, ღელე ნაქორისა სასოდ მოსადებელად და იმღერდეს დღეთაებრ სიჳაბუქისა თვისისა და დღეთაებრ გამოსლვისა ქვეყანით ეგვიპტით.

16. და იყოს მას დღესა შინა, — იტყუს უფალი, — მხადოს მე მან ქმარი ჩემი და არღარა ხადოს მან ბალამის.

17. და მოიღოს სახელი ბალამის პირისა მისისაგან და არღარა მოიკსენონ სახელები მათი.

18. და აღუთქუა მათ აღთქმა მათი მათ დღეთა შინა მკეცთა თანა ველისათა, და მფრინველთა ცისათა და ქუეყარმავალთა ქუეყანისათა მშუღლი და ბრძოლა და მახული შეგმუსრო ქუეყანით. და დაგამკვდრო შენ სასოებით,

19. და მოგიტხოო შენ თავისა ჩემისა საუკუნოდ,

20. და მოგიტხოო შენ თავისა ჩემისა სიმართლით, და განკითხვით, და წყალობით, და მოგიტხოო შენ თავისა ჩემისა საარწმუნოებით, და იცნა შენ უფალი.



21. და იყოს მას ღღესა შინა, — იტყუს უფალი, — ვისმინო მე ცისა. და ცამან ისმინოს ქუეყანისა და ქუეყანამან ისმინოს იფქლისა და ღუნისა, და მათ ისმინონ იეზრაელისა.

22. და დავსთესო იგი თავისა ჩემისა ქუეყანასა და შევიწყალო არა შეწყალებული იგი. და ვრქუა არა ერსა ჩემსა: ერი ჩემი ხარი შენ. და მან მრქუას: უფალი ღმერთი ჩემი ხარი შენ.

## 3

ა 1. თქუა უფალმან ჩემდამო კუალად: წარვედ შენ და შეიყვარე დედაკაცი ერთი, რომელსა უყუარდეს სიბოროტე და იყოს როსკიპ, ვითარცა შეიყვარა ღმერთმან ძენი ისრაჴლისანი. ხოლო ივინი ჰმსახურებდეს ღმერთთა უტხოთა და უყვარან ნაგულადანი ყურძნისანი.

ბ 2. მორეწულ დავსდევ ათხუთმეტისა ვეცხლისა და სათოველისა ერთისა ქრთილისა და ნახევარ სათოველისა ქერისა.

გ 3. და ვარქუ მას: მრავალთა ღღეთა მგებდი შე, და არღარა ისიძო, და არცა შეეყო კაცსა სხუასა და მეცა გგებდი შენა,

დ 4. რამეთუ ღღესა მრავალსა ისხდენ ძენი ისრაჴლისანი თვნიერ მეფეთასა, და თვნიერ მთავართათა, და თვნიერ მსხურებლთასა, და თვნიერ საკურთხეველისა, და თვნიერ მღღელთასა და თვნიერ ხილვათასა:

ე 5. ამისა შემდგომად მოიქცენ ძენი ისრაჴლისანი და იძონ უფალი ღმერთი მათი და დავით, მეფე მათი, და შეიშინონ უფლისა მიერ და კეთილი მათი ღღესა აღსასრულისასა.

## 4

ა 1. ისმინეთ სიტყუაჲ უფლისაჲ ძეთა ისრაჴლისათა, რამეთუ სასჯელი უფლისაჲ არს მკუდრთა თანა ქუეყანისათა, რამეთუ არა არს ჰეშმარიტება, არცა წყალობა და არცა მეცნიერება ღმრთისაჲ ქუეყანასა ზედა.

ბ 2. წყევა და სიცრუე, კლვა და პარვა და სიძვა განფენილ არს და სისხლთა სისხლსა შერევენ.

გ 3. ამისთჳს იგლოვდინ ქუეყანაჲ და დასულბენ ყოველნი, რომელნი დამკუდრებულ არიან, მკეცინი უდაბნოსანი და მფრინველნი ცათანი და თევზნი ზღუსანი მოკრბენ.

დ 4. და არა ვინ იყოს განმსჯელ მათა და არცა მამხილებელ, ხოლო ერი ჩემი, ვითარცა მღღელი მამფოთებელი.

ე 5. მოუძღურდენ ღღენი და მოუძღურდენ წინაწარმეტყუელნი შენ თანა, და ღამესა დავადუმო დედა შენი.

ვ 6. მიემსგავსა ერი ჩემი მათ, რომლისა თანა არა იყო მეცნიერება, რამეთუ შენ განიშორე მეცნიერება, და მეცა განვიშორო შენ და არღარა მღღელობდე ჩემდამო, ვინათგან დავიფწყე სჯული ღმრთისა შენისა, მეცა დავიფწყო ძენი შენნი.

5 უფლისაჲ S. 3. დასლბენ S. 6. ღმრთისაჲ S.

\* ჰრმ. 9. ე. 25. 1. პეტ. 1. ბ. 10.

7. სიმრავლისაებრ მათისა შემცოდეს მე, ეგრეთვე დიდება მათი სირცხულად გარდაესცვალო.

8. ცოდვასა ჭამენ ერი ჩემი და უსჯულოებამან მათმან აღამცირნასულნი მათნი.

9. ვითარცა იყენენ ერი, ეგრეთვე მღდელნი, და შურ-ვიგო მათ ზედა გზათებრ მათგან და გულსისტიყუათებრ მათისა მივავო მათ.

გ 10. სკამდენ, ვერ განძღენ, მრუშობდენყე და არ დასცხრეს, ამისთვის დაუტევეს უფალი არა დაცივითა.

11. სიძვამან, ღვწომან და ანკანაკებამან გულნი მიუღლენს.

12. ერი ჩემი შეშისა მიერ იმისნვიდა და კუერთხებითა მითხრობდენ. აჰა, სულმან სიძვისამან შეატუნა და იმრუშეს ღმრთისაგან მათისა.

13. თხემთა მათთასა უზორიღენ და ბორცვებთა ზედა დასწვიღენ რკოსა ქუეშე და ხესა ჩრდილოანსა, რამეთუ კეთილ არს საფარველი: ამისთვის ისიძვენ ასულნი თქუენნი და სძალნი თქუენნი იმრუშებენ.

დ 14. და არა მოვიხილო მე ასულთა თქუენთა ზედა, ოდეს ისიძვიღენ, არცა სძალთა თქუენთა ზედა, ოდეს იმრუშებდენ, რამეთუ იგინი მეძავეთა თანა შესივაროდეს და მგებელთა თანა უზორიღეს და ერი გულისხმისყოფელი შეეთხზვოდა მეძავეთა თანა.

15. ხოლო შენ, ისრაჲლ, ნუ უმეცარ ხარ, და იუდა, ნუ შეხუალთ გალგალად, და ნუ აღხუალთ სახიდ მიმართ უსამართლოებისა, და ნუ ჰფუცავთ ცხოველსა უფალსა,

16. ვითარცა დიაკეული მტრიობალი, მტრიობალ იქმნა ისრაჲლი. აწ აძოვენს იგინი უფალმან, ვითარცა კრავნი, ფართოსა შინა.

17. შემყოფმან კერპამან ეფრემ დაუღდა მას საბრკე, სათნო იყუნა ქანანელნი,

18. მსიძაენი განმეძენეს, შეიყუარეს უპატიობებაჲ ფრტუნვისაგან მისისა.

19. სტენვაჲ სულსაჲ სტენავს შორის ფრთეთა მისთა და ჰრცხუნენოდის მსხუერპლისსაცავთა მისთაგან.

## 5

ა 1. ისმინეთ ესე მღდელთა, და მოხედეთ სახლმან ისრაჲლისამან და სახლმან მეფისამან ყურად-იღეთ მით, რამეთუ თქუენდა მიმართ არს სასჯელი, რამეთუ მახე ექმნენით სამსტუროსა.

2. და ვითარცა ბადე განმარტებული ოლესა ზედა,

3. რომელი მომნადირებელთა ნადირისათა დაარწყუეს, ხოლო მე მწურთელი თქუენი. ვიცან ეფრემ და ისრაელი არ განმეყენა ჩემგან მით, რამეთუ აწ განმეძენა ეფრემ, შეიბილწა ისრაჲლ.

4. არ მოსცენს განზრახვანი მათნი მოქცევად ღმრთისა მომართ მათისა, რამეთუ ჯული სიძვისაჲ მათ შორის არს, ხოლო უფალი არა იცნეს.

ბ 5. და დამდაბლდეს გინებაჲ ისრაჲლისაჲ წინაშე პირსა მისსა, და ისრაჲლი და ეფრემ მოუძღურდენ სიცრუეთა მათთა შინა და მოუძღურდეს იუდაჲცა მათ თანა.

10. დაკეთა S. 11. სიძვამან S. 12. კუერთხებთა S. 13. ქუეშე S. თქუენნი S. 14. ისიძვიღენ S. 19 ჰრცხუნენოდის S. მსხუერპლას S. 3. დაარწყუეს ისრაელი S. 3. განმეძენა S. 4. ღმრთისაჲ S. 5. სიცრუეთა S.

6. ცხოვართა თანა და ზუარაკთა ვილოდენ გამოძიებად უფლისა და არა პოოს უფალი იგი, მიაქცია მათგან,

7. რამეთუ უფალი დაუტევეს, რამეთუ ასულნი უცხონი შვნეს მათგან და აწ შეჰაძნეს იგინი სრსულმან, და ნაწილნი,

8. და ჰნესტუეთ ნესტუთა ბორკუთა და ილადადნეს მაღალთა ზედა, ქადაგი სახლსა არონისსა განჰკრთა, ბენიაშენ,

9. ეფრემ განსარყუნელად შეიქმნა დღეთა შინა მხილვებისათა ტომთა შორის ისრაჲლისათა ვაჩუენენ სარწმუნონი,

10. იქმნეს მთავარნი იუდასნი, ვითარცა გარდამცვალეებელნი საზღუართანი. მათ ზედა მივჰფინო, ვითარცა წყალი, მიმართებანი ჩემნი.

11. ჰმძლავრა ეფრემმან მოსაჯულსა მისსა, დათრგუნა მსჯავრი, რამეთუ იწყო სლვად უკანა ამოთასა.

12. და მე, ვითარცა შფოთი ეფრემისი და ვითარცა საწერტელი სახლისა იუდაისი.

13. იხილა ეფრემ სნეულება მისი და იუდა საღმობა მისი. და წარვიდა ეფრემ ასურასტანელთა მიმართ და მიაველინა მოციქულნი მეფისა მიმართ იარიმისსა, და იგი ვერ შემძლებელ იქმნეს გამოქსნად თქუენდა და ვერ დააცხროს თქუენგან საღმობა

14. მით, რამეთუ მე ვარ, ვითარცა ვეფხი ეფრემისსა და ვითარცა ლომი სახლისა იუდაისსა. და მე ვიწყო, და წარვიდე, და მოვილო და არა იყოს განმარინებელ.

15. წარვიდე და მივიქცე ადგიდ ჩემდა, ვიღრე არა უჩინო იქმნენ და ეძიებდენ პირსა ჩემსა.

## 6

1. ჰირსა შინა მათსა აღიმსთონ ჩემდამო მეტყუელთა: წარვიდეთ და მივიქცეთ უფლისა მიმართ ღმრთისა ჩვენისა,

2. რამეთუ მან მწყუნა, და განმკურნნეს ჩუენ, და მცნეს და მიღბუნოს ჩუენ,

3. \*განმამრთელნეს ჩუენ შემდგომად ორისა დღისა, მესამესა დღესა შინა აღვდგეთ და ცოცხალ ვიყუნეთ წინაშე მისსა, და ვცნათ. ესდევლით ცნობად უფალსა, ვითარცა ცისკარი მზად, ეპოთ იგი და მოვიდეს ჩუენდა, ვითარცა წჳმა მსთუადი და მცხუელი.

4. გიყო რად შენ, ეფრემ, რად გიყო შენ, იუდა? ხოლო წყალობად თქუენი ვითარცა ღრუბელი განთიადისად, ვითარცა ცუარი ცისკრისად მავალი.

5. ამისთვის აღმოვეკენ წინაწარმეტყუელნი თქუენნი და მოვაკუდინენ იგინი სიტყუთა პირისა ჩემისათა და მსჯავრი შენი, ვითარცა ნათელი, გამოვიდეს.

6. \*\*მით, რამეთუ წყალობა მნებაეს და არა მსხუერპლი და შემეცნება ღმრთისად, ვიღრე ყოვლად დასაწუელნი.

6. უფალიასული S. 8. დაჰნესტუთ S. 9. ვაჩუენენ S. 14. იუდაისსა 1. უფლისა S. ღმრთისა S. 3. მათუდა S. მსჯავრი S. 4. იუდა 6. მსჯავრი S. დასაწუელი S.

\* 1. კორ. 15. ა. 4. \*\* 1. შფო. 15. ე. 22. ეკლ. 4. დ. 17. შტე. 9. ბ. 13. და. 12. ა. 7.

7. ხოლო იგინი არიან, ვითარცა კაცი გარდამავალი აღთქმისა, მუნ შეუ-  
რაცხ-მყევს მე.

ღ 8. გლააღ, ქალაქი მოქმედი ამაოთა, აღმარლუვედეს წყალსა,

9. ძალი მამაკაცისა გამცდელისაჲ დამალეს მღდელთა გზაჲ, მოაყუდინეს  
სიკიმაჲ, რამეთუ უსჯულოება ქმნეს

10. სახლსა შორის ისრაჴლისასა. ვიხილე მუნ განსაკრთომელი სიძვაჲ  
ეფრემისი, შეიგინა ისრაჴლ

11. და იუდაჲ. იწყე სთულებად მისსა მოქცევასა შინა ჩემგან ტყუესა  
ერისა ჩემისასა.

## 7

ა 1. განკურნებასა შინა ჩემგან ისრაჴლისსა გამოცხადნეს სიბოროტე ეფ-  
რემისი და სიბოროტე სამარიაჴსაჲ, რამეთუ ქმნეს სიცრუე და მპარავი მისსა  
მიმართ შევიდეს, განმძარცუელი ავაზაკი გზასა ზედა მისსა,

2. რამთა თანსახიობდენ, ვითარცა მსახიობელნი გულსა მათსა. ყოველნი  
უკეთურებანი მათნი მოვიცხენენ, აწ მოიცვალნეს იგინი გულისზრახვათა მა-  
თთა, წინაშე პირსა ჩემსა იქმნეს.

3. უკეთურებათა მიერ მათთა აშუებდეს მეფესა და ცრუობათა მიერ მა-  
თთა მთავართა

4. ყოველნი მმრუშებელნი, ვითარცა თორენ მგზებარე, განლვეად სიციხისა  
ალისა მიერ შესვარულობისაგან ცემლისა ვიდრე შეფუვნებამდე მისსა

ბ 5. ღდენი მეფეთა თქუენთანი. იწყეს მთავართა გულისწყრომად ღუნისა-  
გან, განირთხა კელი მისი ბუგრიანთა თანა

6. მით, რამეთუ აღეტყინნეს, ვითარაც თორენ, გულნი მათნი განბძარვა-  
სა შინა მათსა, სრულსა ღამესა ძილითა განძღა ეფრემ, განთიადი იქმნა, აღე-  
გზნა, ვითარცა ცეცხლი მთებარე.

7. ყოველნი განკურდეს, ვითარცა თორენ, და შეჴამნა მსაჯულნი მისნი.  
ყოველნი მეფენი მათნი დაეცნეს, არა იყოს მხადელი ჩემდამო.

8. ეფრემ ერთა მისთა თანა აღრეულ იყო. ეფრემ იქმნა ყუერბეულ არ-  
გარდაქცეულ.

გ 9. შესჴამდეს უცხონი ძალსა მისსა, ხოლო მან ვერ აგრძნა და მტყენი  
აღყუაენეს მისნი. და მან ვერსადა ცნა.

10. და დამდაბლდეს ვნება ისრაჴლისა პირისა მიმართ მისისა, და არა  
მოიქცეს უფლისა მიმართ ღმრთისა მათისა. და არა იძიეს იგი ამათ ყოველთა  
ზედა.

11. და იყო ეფრემ, ვითარცა ტრედი, უგონებოჲ, არმქონებელი გულისაჲ,  
ეგვებესა ჰხადოდა და ასსურასტანელთა მიმართ წარვიდეს,

12. რამთა, ვითარცა ისრაჴლიდენ, გარდაეჴბურნე მათ ზედა ბადენი ჩემნი,  
ვითარცა მფრინველნი ცისანი, გარდამოვყარნე იგინი, ვწუართნე იგინი ბავ-  
თითა ჴირისა მათისაჲთა.

ღ 13. ვაჲ მათდა, რამეთუ განვლიდეს ჩემგან, ჴაბან არიან, რამეთუ იუს-  
ჯულოეს ჩემდამო, ხოლო მე ვიქსნიდ მათ. ხოლო მათ ჴრახეს ძვნად ჩემდა  
ცრუჲ.

8. ქალაქი მოქმედი ქალაქმან მოქმედან S. აღმარლუვედეს S. 11. იუჴსა S. სიცრუმ S.  
განმძარცული S. 2. მოიცვნეს S. 3. აშუებდეს S. 8. უმდრებულ S. 10. ღმრთისაჲ S.

14. და არა ვმაყვეს ჩემდამო გულთა მათთა, არამედ ვალაღებდეს საწოლთა ზედა მათთა, იფქლსა ზედა და ღუნოსა დაიპრებოდეს, იწუართნეს ჩემ მიერ.

15. და მე განვაძლიერნე მკლავნი მათნი, და ჩემდამო ზრახეს ბოროტი

16. და იქმნეს არარად, ვითარცა მშულდი მორთხმული, დაეცნენ მახულითა და მთავარნი მათნი უსწავლელობისათჳს ენისა მათისა, ესე საქიქელობამ მათი ქუეყანასა შინა ეგვპტისასა.

## 8

ა 1. წილთა მიმართ მათთა ვითარცა ქუეყანამ, ვითარცა არწივი სახლსა ზედა უფლისასა მის წილ, რომელ გარდაჰკდეს აღთქმასა ჩემსა და ძუნად შჭულისა ჩემისა უთნო იქმნეს.

2. მე მილაღადებდენ: ღმერთო, გიცანთ შენ,

3. რამეთუ ისრაჲლი განვაყენე კეთილსა, მტერმა ღვენა იგინი.

4. თავითა მათითა მეფობდეს, და არა ჩემ მიერ იმთავრეს, არა მიცნეს მე, ვეცხლი მათი და ოქრომ მათი ქმნეს თავთა მათთა კერპებად, რამთა მოიწრნენ.

ბ 5. მოსპე კბომ შენი, სამარია! განძუნდა გულისწყრომამ ჩემი მათ ზედა, კიდრე რომლისამდე ვერ უძლავსევი განწმედად ისრაჲლისა შორის.

6. და იგი ხურომან შექმნა და არა ღმერთი არს მით, მაცთურ იყო კბომ შენი, სამარია,

7. რამეთუ ქარყუნილებასა სთესავს და დაქცევამ მათი ელის ამათ. მკელეულსა არა აქუს ძალი ყოფად ფქვლისა. ხოლო უკეთუ ყოსცა, უცხოთა შექმანენ იგინი.

8. დაინთქა ისრაჲლი. აწ იქმნა წარმართთა შორის, ვითარცა კურკელი უქმარი,

გ 9. რამეთუ იგინი აღვიდეს ასურასტანელთამი. აღმომორჩდა თუსაგან ეფრემ-ძღუენი შეიყუარა.

10. ამისთვის მიეცნენ წარმართთა შორის. აწ შევიწყნარნე იგინი, და დაშურენ მცირედ ცხებად მეფისა და მთავართა.

11. რამეთუ განამრავლნა ეფრემ მსხუერპლისსაცავნი, ცოლდა მისი იქმნეს მსხუერპლისსაცავნი შეყვარებულნი.

12. დაეწერო მას სიმრავლე, შჯულვილი მისნი უცხოდ შერაცხილ იქმნეს,

დ 13. სამშჯაერონი შეუუარებულნი მით, რამეთუ, უკუეთუ დაკლან საკლველი და ჭამონ კორცი, უფალი არ შეიწყნარებს ამათ. აწ მოივსენნეს სიცრუენი მათნი და შურ-იგოს უსჯულოებათა მათთათჳს. იგინი ეგვპტელ მიიქცეს და ასურასტანს არაწმიდას ჭამდენ.

14. და დაიეწყა ისრაჲლმან შემოქმედი თსი და აღაშენნეს ტაძარნი, და იუდა განამრავლნა ქალაქნი მოზლუდვილინი. და გამოვაელინო ცეცხლი ქალაქთა მისთა ზედა და შექმანეს საფუძველნი მათნი.

## 9

ა 1. ნუ იხარებ, ისრაჲლ, ნუ იშუებ, ვითარცა ერნი შენნი, რამეთუ გან-  
ჰმეძვენ ღმრთისაგან შენისა. შეიყუარენ საცემელნი ყოველთა ზედა კალოსა  
იფქლისასა.

2. კალომან და საწნებელმან არა იცნნა იგინი და ღვთისმან უტყუა მათ.

3. არა დაემკვდრენს ქუეყანასა შინა უფლისასა. დაემკვდრა ეფრემ ეგუპ-  
ტესა და ასურასტანელთა შორის, არაწმიდათა ჰამდენ,

4. არ აღუფქურის უფალსა ღვთისმან და არა დაუტკბენს მათ მსხვერპლნი  
მათნი, ვითარცა პურთა გლოისა მათისათა. ყოველნი მკამელნი მათნი შეიგი-  
ნენ მით, რამეთუ პურნი მათნი სულთა მათთანი არა შევიდენ სახიდ უფლისა.

5. რამა ჰყო ღღესა შინა კრებისასა და ღღესა შინა ღღესაწაულისა უფლი-  
სასა?

ბ 6. ამისთვის, აჰა, ვიდოდიან საარებისაგან ეგუპტედ და ელოდის მათ მემ-  
ფი. და დაფლნეს იგინი მაქჰამან. ვეცხლი მათი მოსასრველმან დაიმკვდროს,  
ეკალნი კარებთა შორის მათთა.

7. მოიწინეს ღღენი შურის-გებისანი, მოიწინეს ღღენი ნაცვლის-გებისა  
შენისანი! და შეჰანეს ისრაჲლნი, ვითარცა წინაწარმეტყუელი განკთომილი,  
კაცი სულშემოსილი, სიმრავლისაგან სიცრუეთა შენთასა განმრავლდა სიცბი-  
ლი.

8. მსტუარი ეფრემ ღმრთისა თანა წინაწარმეტყუელი, მახე გულარძილი  
ყოველთა ზედა გზათა მისთა, ბორგამ სახლსა შინა ღმრთისასა დაამტკიცეს.

9. \*განისწინეს ღღეთა მათებრ ბორცუსათა, მოიქსენეს უსამართლოება-  
ნი მათნი, შურ-იგოს ცოდვათა მათთა,

გ 10. ვითარცა ყურძენი უდაბნოს ზედა, ვიპოე ისრაჲლი და, ვითარცა  
მსტუარი ლელუსა მსთუადი, მაშანი მათნი ვიხილენ. იგინი შევიდეს ბეელფე-  
გორის მიმართ, და უტხო იქმნეს სირცხვლად და იქმნეს მოძულეებულნი, ვი-  
თარცა შეყუარებულნი.

11. ეფრემ, ვითარცა მფრინველი, განფრინდა, ღიდებანი მათნი შობისაგან  
და ღმობათა და მიღგომილებათა

12. მით, რამეთუ, უკუეთუ განზარდნენ შეილნი მათნი, უშვილო იქმნენ კაც-  
თაგან. ამისთვის ვამ მათდა არს კორცი ჩემი მათგან.

13. ეფრემ, ვითარსახედ ვიხილე, სანადიროდ წარმოუდგა ყრმათა მათთა,  
და ეფრემ განყუანებად განსაწერტელად შვილთა მისთა

14. მიეც მათ, უფლო, რამ მისცე მათ? მიეც მათ საშობა უშვილოდ და  
ძუძენი კმელნი.

15. \*\*ყოველი უკეთურებამა მათი გაღვალას შინა, რამეთუ მუნ მოვიძულ-  
ნე იგინი, უკეთურებათათვის სიმარჯუეთა მათთამას სახლისაგან ჩემისა გან-  
კვადნე იგინი, არღარა შეესძინო შეყუარებად მათდა. ყოველნი მთავარნი მათნი  
ურჩი არიან.

16. ელმოდეს ეფრემს ძირნი მისნი. განჰმა არღა მერმე არგამოდებად ნა-  
ყოფი მით, რამეთუ უკეთუ შენენ, მო-ვე-ესწყუედ გულისსათქმელთა მუცლისა  
მათისათა.

1. იშუებ S. კალომ იფქლისა S. \*4. მსხვერპლნი S. უფლისა S. 6. ვიდოდინ S. ეკალ-  
ნი იგი ეკალნი S. 7. სიმრავლისაგან სიმრავისაგან S. სიცრუეთა S. . ღმრთისა S. 13. გან-  
ყუანებად S. უკლთა S. 15. ს მარჯუეთა S. 16. მოვესწყუედ S.

\* მსჯლ. 20. ა. 2. \*\* 1. მეფ. 8. ბ. 5.

17. განიშორებს მათ ღმერთი, რამეთუ არ შეისმინეს მისი, და იყუნენ ცთომილებ წარმართთა შორის.

10

ა 1. ვენაჯი რქაკეთილი ისრაჲლი, ნაყოფი კეთილცნებულ მისი, სიმრავლისაებრ ნაყოფთა მათთასა განამრავლნა მსხუერპლისსაცავენი კეთილთაებრ ქუეყანისა მისისათა, აღაშენნა ძეგლებნი,

2. განნაწილნეს გულნი მათნი, აწ უჩინო იქმნენ. მან დათხარნეს საკურთხეველნი მათნი და საძაგელ იქმნნეს ძეგლები მათი

3. მით, რამეთუ იტყვან: აწ არა არს ჩუენდა მეფე, რამეთუ არა შევიშინეთ უფლისამ, ხოლო მეფემან რამ მიყოს ჩუენ?

4. მეტყუელმან სიტყუათა მიზეზისა ცრუმსათა აღთქუას აღთქმამ. აღმოსცენდეს, ვითარცა კლერტი, მსჯავრი კორდსა ზედა-ველსა,

ბ 5. ვბოსა სახლისა ოონისსა მსხემ იქმნნეს დამკვდრებულნი სამარიასა, რამეთუ იგლოვა ერმან მისმან მის ზედა და ვითარცა განამწარეს იგი, იხარებდენ ღიღებასა ზედა მისსა, რამეთუ გარდაეშენნეს მათ ზედა.

6. და მისთა ასსურასტანელთა მიმართ შემკრველთა მიჰგუარეს ძღუნად მეფესა არიშისასა მისაცემელად, ეფრემ შეიწყნაროს, სირცხულულ იქმნეს ისრაჲლ განზრახვისა მიერ მისისა.

7. განაგლო სამარიამან მეფე თუსი, ვითარცა ქარქუეტი პირსა ზედა წყლისასა.

8. და აღღებულ იქმნენ ბომონნი ონისნი, ცოდვანი ისრაჲლისანი. ეკალნი და კუროსთავენი აღდგენ მსხუერპლისსაცავთა მათთა ზედა. \*და ჰრქუან მათთა: დამფარენით ჩუენ; ბორცუთა — დამეცენით ჩუენ ზედა,

9. ვინათგან ბორცუთა შეცოდეს ისრაჲლსა, მუნ დაადგინნეს, ვერ ეწიოს მათ.

10. \*\*ბრძოლამ შვილთა ზედა სიცრუმსათა მოიწია საწურთელად მათდა, და შეკრბენ მათ ზედა ერნი განსაწურთელად მათდა, მრჩობლთა ზედა სიცრუეთა მათთა.

11. ეფრემ, დიაკეული წურთილი, მოყუარე ძღვევისა, უკეთესა ზედა ქედისა მისისასა ზედააღდეს ეფრემ. დავილუმო მე იუდა, განღლიერებასა შინა მისსა იაკობ.

დ 12. \*\*\*სთესეთ თავთა თუსთა სიმართლედ, მოისთულეთ ნაყოფად ცხოვრებისად, განუნათლეთ მათ ნათელი მეცნიერებისად, გამოიძიეთ უფალი ვიდრე მოსლვამდე ნაშობთა სიმართლისა თქუენისათა.

13. რასათუს დაიდუმეთ უთნობა და სიცრუენი მისნი მოისთულენით? შუამეთ ნაყოფი ცრუმ, რამეთუ ესვიდეს ეტლებისა მიმართ შენისა სიმრავლესა შინა ძალისა შენისასა?

1. მსხუერპლისსაცავენი S. 4. მეტყულმან S. 1. კეთილცნებულ S. 3. შევიწინეთ S. 5. ღიღებამას S. 6. განზრახვისა S. 7. ქარქუეტი S. 8. მსხუერპლისსაცავთა S. 10. სიცრუისათა S. შულთა S. სიცრუმთა S. 11. იუდა S. 12. თქუენისათა S. 13. სიცრუენი S. ესუდეს S.

\* ესა. 2. დ. 19. გ'შოც. 6. დ. 16. ლუკ. 23. დ. 30 \*\* მსჯ. 10. ა. 6. \*\*\* იერ. 4. ა. 3.

14. და აღდგეს წარწყმედი და ერსა შორის შენსა და ყოველნი მოზღუდვი-  
ლებანი შენნი ოხრიდენ, ვითარცა მთავარი სალამა სახლისაგან იერობოამისსა  
\*დღეთა შინა ბრძოლისათა, დედაი შეილთა ზედა დაახეთქეს.

15. ესრეთ გიყო თქუენ, სახლო ისრაჲლისაო, პირისაგან უკეთურებათა  
თქუენტასა.

## 11

ა 1. ცისკარს განაგდეს, განიგლო მეფე ისრაჲლისაი, რამეთუ ჩჩულ იყო  
ისრაჲლ, და მე შევიყუარე იგი \*\*და ეგვპტით გარდამოუწოდე ძესა ჩემსა,

2. ვითარცა გარდამოუწოდე მათ, ეგრეთ წარწყმდენ პირისაგან ჩემისა.  
იგინი ბაალომსა უგებდეს და ქანდაკებულთა უკუმევედეს.

3. და მე შევებრკოლე ეფრემ, აღვიღე იგი მკლავსა ჩემსა ზედა და არა  
ცნეს, ვითარმედ განვჰკურნებდ მათ.

ბ 4. განხრწნილებასა შინა კაცთასა, მორთხმულ ვყვენ იგინი საკრველთა  
მიერ შეყუარებისა ჩემისათა, და ვიყო მე მათდა, ვითარცა მყურიმლავი კაცი  
ლაწუთა ზედა მისთა. და მე ვიხილო მისდამი, შეუძლო მას.

5. დაეშენა ეფრემ ეგვპტეს შინა და ასურ იგი მეფე მათდა, რამეთუ არა  
ინება უკმოქცევად.

6. და მოუძღურდა მახლისა მიერ შორის ქალაქთა მისთა, და დასცხრა  
კელთა შინა მისთა, და ჰამდენ გულისზრახვათაგან მათთა.

7. და ერი მისი დამოკიდებულ მსხემობისაგან მისისა, და ღმერთი პატიო-  
სანთა მისთა ზედა განმწყრაღდეს და არ აღამაღლოს იგი.

გ 8. \*\*\*რად აღგიოქუა შენ, ეფრემ? შეგეწიო შენ, ისრაილი? რად აღგიო-  
ქუა შენ, ვითარცა აღამაი, და დაგდვა შენ მე, ვითარცა სევომი. გარდაიქვა  
გული ჩემი მებრ მის შორის. შეშფოთნა შენანება ჩემი.

9. არა ვყო რისხვისაებრ გულისწყრომისა ჩემისა და არა დაუტეო აღ-  
კოცად ეფრემი მით. რამეთუ ღმერთი ვარ მე, და არა კაცი შენ შორის წმიდად  
და არა შევიღე ქალაქად.

დ 10. შემდგომად უფლისა ვიდოდი, ვითარცა ლომი იბრდღუენდეს, რამე-  
თუ იგი მულროოდის და განჰკრთენ შვილნი წყალთანნი,

11. განჰკრთენ ვითარცა მფრინველი ეგვპტით გამო და ვითარცა ტრედი  
ქუეყანით გამო ასსურასტანელთაით, და კუალად ვაგნე იგინი სახლთავე მათ-  
თათა, — იტყუს უფალი, — მომიცვა მე ტყუილით ეფრემ და უთნობობით სახ-  
ლმან ისრაჲლისამან და იუდაისამან. აწ იცნნა იგინი ღმერთმან და ერი წმინ-  
და ეწოლოს ღმრთისაი.

## 12

ა 1. ხოლო ეფრემ ბოროტსა სულსა სდევდა სიცხესა დღესა სრულსა, ცუდ-  
თა და ამოთა განამრავლებდა და აღთქუმასა ასსურასტანელთა თანა აღსტ-  
ქმიდა, და ზეთი ეგვპტედ შევიდოდა,

11. მომეცა S. 14. მოზღუდვილებანი S. შკლთა S. 4. ყუუენ S. 8. აღგიოქუა S. 9. რ-  
სხესაებრ S.

\* მსჯ. 8. ბ. 11. \*\* მ-თე. 2. გ. 15. \*\*\* ღბდ. 19. ე. 24. ამოს 4. დ. 11.



2. და საშველი უფლისაჲ იუდაჲს მიმართ შურის-გებად იაკობისა გზათა-ებრ მისთა და სიმარჯუეთებრ მისთა მიაგოს მას.

3. \*შორის მუცლისა განწიხნა ძმაჲ თჳსი და შრომათა მიერ მისთა გან-ძლიერდა ღმრთისა თანა.

ბ 4. \*\*განძლიერდა ანგელოზისა თანა და შეუძლო, რამეთუ ტიროდეს და მევედრნეს მე, სახლსა შინა ონისსა მპოვეს მე და მუნ ითქუა მათდა მიმართ.

5. ხოლო უფალი ღმერთი ყოვლისა მპყრობელი იყოს მოსაძაცნებელ მის-სა.

6. და შენ ღმრთისა შენისა მიიქცე, წყალობა და მსჯავრი დაიცევ და მიეახლე ღმრთისა მიმართ შენისა მარადის.

გ 7. ქანაან, კელსა შინა მისსა სასწორი უსამართლოებისა, მიმხუეჳელობა შეიყუარა.

8. და თქუა ეფრემ: გარნა განვმდიდრდი, ეპოე აღმოფშვნეჲჲ მის შორის. ყოველნი შრომანი მისნი არა იპოვნენ მისსა, სიცრუისა მიერ ცოდა.

9. ხოლო მე, უფალი ღმერთი შენი, აღმოყვანებელი შენი ქუეყანისაგან ეგვიპტისა, მერმეცა დაგამკვლრებ შენ კარავთა შინა, ვითარცა ღლეთა ღლესას-წაულისათა.

10. და ვთქუა წინაწარმეტყველთა მიმართ, და მე ხილვანი განვამრავლენ, კელსა შორის წინაწარმეტყველთასა ვემსგავსე.

11. არა თუ გალაად არს, ტყუილ საღმე იყენეს გალგას მთავარნი მემსხუ-ერბლენი და მსხუერპლისსაცავნი მათნი, ვითარცა კუეები, კორდსა ზედა ველ-სა.

12. \*\*\* და განეშორა იაკობ ველად ასურეთისა, და ჰმონა ისრაილ დედა-კაცისათჳს, და დედაკაცისათჳს დაიცვა.

13. \*\*\*\*და წინაწარმეტყველისა მიერ აღმოიყვანა უფალმან ისრაილი ქუეყანისაგან ეგვიპტისა და წინაწარმეტყველისა მიერ დაცვულ იქმნა.

14. განამწყარალა ეფრემ და განარისხა, და სისხლი მისი მას ზედავე გარ-დაესხას, და ყუედრება მათი მიაგოს მათ უფალმან.

13

ა 1. სიტყუსაებრ ეფრემისსა სამართალნი მოიხუნა მან შორის ისრაელისსა, და დაუღდა ბაალსა და მოკულდა,

2. და აწ შესძინა ცოდვად და ქმნენს თავთა თჳსთად გამოდნობილნი ვე-ცხლისაგან მათისა, ხატებისაებრ კერპთამასა ქმნულნი ხუროთანი შესრულებულ-ნი მათთჳს. იგინი იტყუნან: დაკლენით კაცნი, რამეთუ ზუარაკნი მოაკლდეს.

3. ამისთჳს იყვნენ, ვითარცა ღრუბელი განთიადისაჲ, და ვითარცა ცუარი ცისკრისაჲ წარმავალი, ვითარცა მტუერი განბერული კალომასაგან და ვითარცა ორთქლი ცრემლთაგან ნაკუამლვეთა.

ბ 4. \*\*\*\*\*ხოლო მე, უფალი ღმერთი შენი, რომელმან გამოგიყვანე ქუე-ყანით ეგვიპტით, ღმერთი ჩემგან კიდე არა იცნა და არცა ვინ არის მაცხოვარ ჩემსა გარეშე.

2. სიმარჯუეთებრ. S. 3. ღმრთისაჲ S. 6. ღმრთისაჲ S. ღმრთისაჲ S. 7. მიმხუეჳელობა S. 9. დღეთანი S. დღესასწაულისათანი S. 11. მკჳხუჳრკლენი S. მსხუერპლისსაცავნი S. 14. ყუედრება S. 1. მოკულდა S. 3. მტუერი S. 4. განმოგიყვანე S.

\* ღზდ. 25. გ. 25. \*\* ღზდ. 32. ვ. 26. \*\*\* ღზდ. 28. ა. 5. \*\*\*\* გზმს. 14. ვ. 21. 22. \*\*\*\*\* ესა. 43. ბ. 11.

5. მე გმწყსიდი შენ უღაბნოსა, ქუეყანასა უშენსა,

6. საძოვრისა მათისა მახლობელად. ამოროხვით განძლომილ იქმნეს, და გულნი მათნი აღიზუავენს და დამივიწყეს მე.

7. მეცა ვიქმნე მათთვის ლომი ძუღ, ვითარცა ვეფხი გზასა ზედა ასსურას-ტანისისა.

8. შევემთხოვ მათ, ვითარცა დათუ უღონოქმნილი, და განებძარო შევშუ-ლობა გულისა მათისა და შეშქამდენ მათ მუნ ლეკუნი მანდარისანი, მგვცთა ველისათა განხეთქნენ იგინი.

9. განხრწნილებასა შენსა, ისრაილ, ვინ შეეწიოს?

10. სადა არს მეფე შენი ესე? და განგარინედ შენ ყოველთა შორის ქალაქ-თა შენთა. გმჭიდენ შენ, რომელ სთქუ: \*მომეც მე მეფე და მთავარი.

გ 11. და მიგეც შენ მეფე რისხვითა ჩემითა და ვპგებდ გულისწყრომასა შინა ჩემსა.

12. გრიგალი სიცრუმსა ეფრემ, დაფარულ ცოდვამ მისი.

13. და საღმობანი, ვითარცა შობადისანი, მოვიდენ მისსა. ესე არს ძე შენი ცნობილი მით, რამეთუ აწ ვერ დაუთმოს შემუსრევასა შვილთასა.

14. ეელისაგან ჯოჯობეთისა ვიკსნე იგინი და სიკუდილისაგან ვიკსნე იგინი. \*სადა არს ძლევა შენი, სიკუდილო? სადა არს საწერტელი შენი, ჯოჯობეთო? ნუგეშინის-ცემამ დაფარულ არს თვალთაგან ჩემთა

15. მით, რამეთუ ამან საშუალ ძმათა განწვალოს, მოაწიოს ცეცხლი, ქარი უფალმან უღაბნოათ მათ ზედა, \*\*\*და განაჰმნეს ძარღუნი მისნი და მოაო-კრნეს წყარონი მისნი. ამან განაჰმოს ქუეყანა მისი და ყოველნი ჰურტელნი გულისსათქმელნი მისნი.

## 14

ა 1. უჩინო იქმნეს სამარია, რამეთუ წინააღმდეგომ იქმნა ღმრთისა მიმართ მისისა, მახულისა მიერ დაეცნენ, და მძუძებანი მათნი უჩინო იქმნენ და მუ-ცელქმნულნი მათნი განიბძარნენ.

2. მოიქეც, ისრაელ, უფლისა მიმართ ღმრთისა შენისა მით, რამეთუ მო-უძღურდი უსაპართლოებათა მიერ შენთა.

ბ 3. მიიხუენით თავთა თქუენთა თანა სიტყუანი, და მოიქეციით უფლისა მიმართ, არქუთ მას: ძალ-გიც მიტევებად ცოდვათა, რამეთუ არა მიიღოთ სიტ-რუე, და მოიღოთ კეთილი, და მივაგოთ ნაყოფი ბაგეთა ჩუენთა და განშუენ-დენ კეთილითა გულნი თქუენნი.

4. ასურ ვერ მიკსნეს ჩუენ, ცხენთა არა ავსხდეთ, არღარა ვთქუათ: ღმერ-თნი ჩუენნი ქმნილნი ჯელთაგან კაცთაჲსა, რომელი არს შენ შორის, თბოლი შეიწყალოს,

გ 5. და განგკურნო საყოფელი მათი და შევიყუარნე იგინი ერთბამად, რა-მეთუ მოიქეცა გულისწყრომა ჩემი მათგან.

6. ვეყო, ვითარცა ცუარი ისრაელსა, აღყუავენს, ვითარცა შროშანი. და განიბნეს ძირნი მისნი, ვითარცა ლიბანმან.

7 მუი S. 10 გმჭ. დინ S. რომელი S. 11. რისხვითა S. 12. სიცრუისა S. 13. შულოთასა S. 1. ღმრთისაჲ. 2. უფლისა S. ღმრთისაჲ 3. მიიხუენით S. უფლისაჲ სიტრუტ S. განშუენდენ. S. 6. ვეყოქუეწო S.

\* 1. მეფე. 8. ა. 5. \*\* 1. კორ. 15. ზ. 55. ებრ. 2. დ. 14. \*\*\* ებეკ. 19. დ. 12.

7. ვილოდინ რტონი მისნი, და იყოს, ვითარცა ზეთისხე ნაყოფიერი, და საყნოსი მისი, ვითარცა გუნდრუკი.

8. მოიქცენ და დასხდენ საფარველსა ქუეშე მისსა. ცოცხალ იყუნენ და განმტკიცენ. იფქლითა, და აღუუავენეს, ვითარცა ვენაჯი, საცსენებელი მისი, ვითარცა ღუნოა ლიბანისაჲ.

9. ეფრემსა — რაჲ არს მისი და კერპთაჲ? მე დავამდაბლე იგი და განვაძლიერო იგი. მე, ვითარცა ნაძვ შროშანი ამაღლებული. ჩემგან ნაყოფი შენი იპოს.

10. ვინ არს ბრძენ და გულისხმა-ყუნეს ესენი? გულისხმიერ და ცნეს ესენი მით? რამეთუ წრფელ არიან გზანი უფლისანი და მართალნი ვილოდიან მათ ზედა, ხოლო უთნონი მოუძღურდენ მათ ზედა.

---

5. ქუეშე S. განამტკიცენ S. 10. გულისხმა S. ესენი<sup>1</sup>ესე S. ვილოდინ S.

## წინასწარმეტყველება იოველისა

### 1

ა 1. სიტყუა უფლისა, რომელი იქმნა იოილის მიმართ, ძისა ბათოელისისა:

2. ისმინეთ ესე მოხუცებულთა და ყურად-იღოდ ყოველთა დამკვდრებულთა ქუეყანისათა: უკუეთუ იქმნეს ესევეითარნი დღეთა შინა თქუენთა, ანუ შორის დღეთა მამათა თქუენთასა?

3. მათ ძლით შვილთა თქუენთა უთხრობდით, და შვილნი თქუენნი შვილთა მათთა და შვილნი მათნი ნათესავსა სხუასა.

4. ნეშტნი მგრაგნილისანი შექამნა მკალმან, და ნეშტნი მკლისანი შექამნა ბუზმან, და ნეშტნი ბუზისანი შექამნა გესლმან.

5. განიფრთხვეთ დამთრვალთა და ტიროდეთ, გოდებდით ყოველნი მსუმელნი ღუნოსა სიმთრვალედ, რამეთუ მოღებულ არს პირისაგან თქვენისა შუება და მხიარულება,

ბ 6. რამეთუ ნაჲსავი აღვიდა ქუეყანასა ზედა ჩემსა ძლიერი და აღურაცხელი; კბილნი მისნი კბილნი ლომისანი და შუანი ლეკვსა მისისანი.

7. დადვა ვენაკი ჩემი უჩინოსჲჲლოად და ლელოანი ჩემი შესამუსრველად. გამომეძიებელმან გამოიძია იგი და გ-ნაგდო, განასპეტაკებდა რტოთა მისთა

8. გოდებდა ჩემდამო სძლისათუს, გარემორტყმულისა ძაძითა ქმარსა ზედა მისსა ქალწულებითგანსა.

9. აღებულ არს მსხუერპლი და შესაწირავი სახლსა შინა უფლისასა, იგლოვდით მდღელნი, მსახურნი საკურთხეველისანი,

10. რამეთუ საარებულ იქმნეს ველნი. გოდებდინ ქუეყანაჲ, რამეთუ მოუსუსურდა იფქლი, განკმა ღუნოჲ აღრეული, შემციარდა ზეთი.

გ 11. განკმეს მუშაკნი, იგლოვდით აგარაკნი დიკისა ძლით და ქრთილისა, რამეთუ წარწყმდა მსთულებელი ველისაგან.

12. ვენაკი განკმა და ლელოვანი შემციარდეს, ბროწყული და ფინიკი და ვაშლი და ყოველნი ხენი ველისანი განკმეს, რამეთუ არცხვენენ სიხარულსა ძენი კაცთანი.

13. გარემორტყთ და იტყებდით მდღელნი, გოდებდით მსახურნი საკურთხეველთანი. დაიძინეთ ძაძათა ზედა, რომელნი კმსახურებთ ღმერთსა, რამეთუ განეყენა სახლისაგან ღმერთისა თქუენისა შესაწირავი და მსხუერპლი.

---

2. თქუენთა S. 3. ძელნი S. შელთა S. 4. ბუზისანი S. 5. შუება S. 9. მსხუერპლი S. 10. აღრეული—აშაზეა მიწერილი. 12. ლელოვანი S. არცხვენენ S. 13. ღმერთისა S. მსხუერპლი S.

დ 14. \*წმიდა-ყავთ მარხვამ, ქადაგეთ კურნებამ, შემოკრიბენით მოხუცებულნი ყოველნი დამკვდრებულნი ქუეყანასა სახიდ უფლისა ღმრთისა ჩუენისა. ღალადლ-ყავთ უფლისა მიმართ შევრდომით:

15. ვამ მე, ვამ მე, ვამ მე დღისათუს, რამეთუ ახლოს არს დღე უფლისამ და ვითარცა საარება საარებისაგან მოიწიოს.

16. წინაშე თუალთა თქუენთა ჰამადნი მოაკლდეს, სახლისაგან ღმრთისა ჩუენისა — შუება და სიხარული,

17. ჰკრთებოდეს დიაკეულნი ბაგათა ზედა მათთა, უჩინო იქმნეს საუნჯენი, დაითხარნეს საწნებელნი, რამეთუ განკმა იფქლი.

18. რამ დაუმარხოთ თავთა თუსთა? ტიროდეს მროწეულნი ზროხათანი, რამეთუ არა იყო საძოარი მათი და სამწყსონი ცხოვართანი უჩინო იქმნეს.

19. შენდამი, უფალო, ვამ-ვეყო, რამეთუ ცეცხლმან განლინა შუენიერნი უდაბნოსანი, და ცეცხლმან აღანთნა ყოველნი ხენი ველისანი, და საცხოვართა ველისათა აღიხილეს შენდამი,

20. რამეთუ განკმეს მოსატევებელნი წყალთანი და ცეცხლმან შეჰკამა შუენიერება უდაბნოსამ.

## 2

ა 1. დაჰბერეთ ნესტუსა სიონს შინა. ქადაგეთ მოსა შორის წმიდასა ჩემსა და შეიძინედ ყოველნი დამკვდრებულნი ქუეყანასა, რამეთუ წარმოდგა დღე უფლისა,

2. რამეთუ ახლოს არს დღე ბნელისა და აღმურისა. დღე ღრუბლისა და ნისლისა, ვითარცა ცისკარი, მოეფინოს მათთა ზედა, ერი მრავალი და ძლიერი, მსგავსი მისი არა იქმნა საუკუნითგან და შემდგომად მისსა, არა შეიძინოს ვიდრე წელიწადთამდე ნათესავთა მიმართ ნათესავთასა.

3. წინაშეთა მისთა ცეცხლი განმლეველი და უკანათა მისთა აღმაგზებელი ალი, ვითარცა სამოთხე საშეებელისა ქუეყანამ პირისაგან მისისა და უკანანი მისნი ველი უჩინოქმნისამ, და განრომელი არა იყოს მისსა,

4. ვითარცა ხილვამ ცხენთამ, ხილვამ მათი. და ვითარცა მკედარნი, ეგრეთ სდევედნ,

ბ 5. ვითარცა ვამ ეტლებისა, თხემებსა ზედა მათასა ვლდებოდნიან და ვითარცა ვამ აღისა ცეცხლისამ, რომელი შესჰკამნ ლერწამსა. და ვითარცა ერი მრავალი, ძლიერნი განწყობილნი მბრძოლობად.

6. პირისაგან მისისა შეიმუსრნენ ერნი ყოველნი; პირი, ვითარცა უპოა ქოთნისამ,

7. ვითარ მბრძოლნი, ჰრბოდნიან და ვითარცა მამაკაცი მებრძოლნი, აღდგენ ზღუდეთა ზედა, და თითოეული გზასა თუსსა ვიდოდენ და არა მისდრკენ ალაგთაგან მათთა.

8. და თითოეული მოყუისისაგან თუსისა არ განეყნოს. დამძიმებულნი საჭურველთა მიერ მათთა ვიდოდინ, და ისართა მიერ მათთა დაეცნენ და არა მოესრულნენ.

14. წმ დაჲ S. უფლისამ S. ღმრთისამ S. უფლისამ S. 16. ღმრთისამ S. შუება S. 18. თავთამ S. ს. ძლიერი S. 19. შემწიერნი S. 20. შემწიერება S. 2. მათთამ S. 4. მკედარნი ცხენი S.

\* ქვე. 2. დ. 15.

9. ქალაქი გამოიღონ და ზღუდეთა ზედა რბიოდიან. სახლებსა ზედა აღვიდენ და სარკუმელთა მიერ შევიდენ, ვითარცა მპარავნი.

10. პირისაგან მათისა შეირყიოს ქუეყანა და შეირყიოს ცაჲ: \*მზე და მთოვარე დაბნელდენ და ვარსკულავთა არა მოსცენ ნათელი მათი.

11. და უფალმან მოსცეს კმაჲ თვისი წინაშე პირსა მისსა, რამეთუ მრავალ არს ფრიალ ბანაყი მისი, რამეთუ ძლიერ საქმენი სიტყუათა მისთანი \*\*მით, რამეთუ დიდ არს დღე უფლისაჲ, დიდ არს და მჩენ ფრიალ და ვინ იყოს კმაჲ მისსა?

12. და აწ იტყვს უფალი ღმერთი ჩუენი: მოიქცეთ ჩემდა ყოვლითა გუ-  
ლითა თქუენითა მარხვისა მიერ, ტირილისა და ტყეებისა.

13. და დაიბენით გულნი თქუენნი და ნუ სამოსელნი თქუენნი და მოი-  
ქცეთ უფლისა მომართ ღმრთისა თქუენისა, \*\*\*რამეთუ მოწყალე და მწყა-  
ლობელ არს, სულგრძელ და მრავალწყალობა, და შემნანებელ ბოროტებათა  
ზედა.

14. ვინ უწყის, მო-თუ-იქცეს და შეინანოს და მოიღოს შემდგომად მის-  
სა კურთხევამ, მსხუერპლი და შესაწირავი უფალსა ღმერთსა ჩუენსა.

15. და ჰნესტუეთ ნესტუსა სიონს შინა, \*\*\*წმიდა-ყავთ მარხევამ, ქადა-  
გეთ მსახურება,

და 16. შეკრიბეთ ერი, წმიდა-ყავთ ეკლესიაჲ, გამოირჩიენით მოხუცებულ-  
ნი, შეკრიბენით ჩხულნი, მწოარნი ძუძუთანი. გამოვედინ სიძე სასუენებელი-  
საგან მისისა და სძალი სასძლოსაგან თვისისა.

17. საშუალ ხარისხსა მსხუერპლისსაცავისასა ტიროდენ მდღელნი და  
რომელნი ჰმსახურებენ უფალსა, და იტყოდენ: ულზინე, უფალო, ერსა შენსა  
და ნუ მისცემ სამკედრებელსა შენსა საყუედრელად მათ წარმართთა,  
\*\*\*\*რამათა არა თქუან წარმართთა: სადა არს ღმერთი იგი მათი?

18. და შეიშურვა უფალმან ქუეყანა ერისა თვისისა და პრიდა მას.

19. და მიუგო უფალმან და პრქუა ერსა თვისსა: აჰა, მე გამოვაველენ თქუენ-  
და იფქლსა. და ღვინოსა, და ზეთსა და განსძლეთ მათგან და არა მიგენე თქუენ  
არღარა მერმე საყუედრელად წარმართთა შორის.

20. და ჩრდილოთ გამო წარედევნო თქუენგან, და განეკვალო იგი ქუეყა-  
ნად ურწყულად, და უჩინო-ვეყო პირი მისი ზღუად მიმართ პირველად და უკა-  
ნანი მისნი ზღუად მიმართ უკანასკნელად და აღვიდეს სიხენეშე მისი და აღ-  
ვიდეს მყარლობა მისი, რამეთუ განდიდნეს საქმენი მისნი.

21. მიწლობილ-იყავ, ქუეყანაო, იხარებდ და იშუებდ, რამეთუ განგადიდა  
უფალმან ყოფად.

22. მიწლობილ-იყუენით საცხოვარნი ველისანი, რამეთუ იმორჩეს ველთა  
უღაბნოსათა. რამეთუ ხემან გამოიღო ნაყოფი თვისი. ეენაჲმან და ლელუმან  
მოსცეს ძალი მისი.

23. და შეიწონო სიონისანო, იხარებდით და იშუებდით უფლისა მიმართ  
ღმრთისა თქუენისა, რამეთუ მოგცნა თქუენ კჳადნი სიმართლედ და გიწუმოს  
თქუენ წყმამ, მსთუჲა და მცხუელი. ვითარცა წინასწარ.

10. შერისი S. მოცენ S. 11. ძრღრ S. 12. მარხვისა S. 13. უფლისაჲ S. ღმრთისაჲ S.  
14. მსხუერპლ S. 15. ჰნესტუეთ S. წმიდაჲ ყავთ S. 16. წმიდაჲ ყავთ S. სასუენებელისაგან S.  
17. წარმართთანი S. მსხუერპლი: აუ ვ-ს-სა S. 19. საყუედრელად S. 21. ქუეყანაო S. იშუ-  
ებდ S. 23. იშუებდით S. უფლსა S. ღმრთისაჲ მცხუელი S.

\* ქვე. 3. დ. 15. ესა. 13. ბ. 10. ეხვ. 32. ბ. 7. მტკ. 13. ე. 24. ლუკ. 21. ე. 25.

\*\* ტ. 30. ბ. 7. ანთ. 5. ე. 18. სოვ. 3. დ. 15. \*\*\* ფსლ. 85. ა. 5. იონა. 3. გ. 9- და.  
4. ა. 2. \*\*\*\* ზე. 1. გ. 14. \*\*\*\*\* ფსლ. 78. გ. 10.

24. და აღიესნენ კალონი იფქლითა და ზეშთა გარდაეცნენ საწნეხელნი ღუნითა და ზეთითა,

25. და ნაცვლად მოგაგო თქუენ წელიწადთა წილ, რომელნი შესჰამნა მკალმან, და ბუზმან, და ერვისივმან, და მგრაგნელმან, ძალმან ჩემმან დიდმან, რომელი გამოვავლინე თქუენდამი.

26. და სჰამოთ მჰამელთა და განსძღეთ და აჰოთ სახელი უფლისა ღმრთისა თქუენისა, რომელნი ჰმნნა თქუენ თანა საკვრველებანი და არა ჰრცხუენეს ერსა ჩემსა საუკუნომდე.

27. და სცნათ, ვითარმედ საშუალ ისრაჴლისა ვარ. და მე ვარ უფალი ღმერთი თქუენი. და არა არს ღმერთი თვნიერ ჩემსა. და არა ჰრცხუენეს ერსა ჩემსა საუკუნომდე.

28. და იყოს, ამათსა შემდგომად \*მიეჰფინო სულისაგან ჩემისა ყოველსა ზედა ჯორცსა და წინაწარმეტყუელებდენ ძენი თქუენნი, და ასულნი თქუენნი, და მოხუცებულნი თქუენნი ძილისშორისსა იძილისშორისებდენ, და ჰბუკნი თქუენნი ხილვასა იხილვიდენ.

\* 29. და მონათა ჩემთა ზედა და მკვეალთა ჩემთა ზედა მათ დღეთა შინა მიეჰფინო სულისაგან ჩემისა და წინაწარმეტყუელებდენ,

30. და ვსცე ნიშები ცასა შინა ზე და სასწაულებ ქუეყანასა ზედა ქუე, სისხლი და ცეცხლი და აღმური კუამლისა.

31. \*\*\*მზე გარდაიქცეს ბნელად და მთოვარე სისხლად პირველ მოსლვად-მდე დღე უფლისაჲ დიდისა და მჩენი.

32. \*\*\*და იყოს, ყოველმან, რომელმანცა ხადოს სახელსა უფლისასა, ცხონდეს, რამეთუ შორის მთასა სიონსა და იერუსალმსა შინა იყოს ცხოვნებული, ვითარცა თქუა უფალმან. და მახარებელნი, რომლთა უფალმან უწოდოს.

### 3

ა 1. რამეთუ აჰა, მე მათ დღეთა შინა, და მას ჟამსა შინა, ოდეს მოვაქციო ტყუეობა იუდასი და იერუსალმისა.

2. და შევკრიბნე ყოველნი, ნათესავნი, და შთავიყუანნე იგინი, დღელსა იოსაფატისსა და ვესაჯოდე მათდა მიმართ მუნ ერისათუს ჩემისა და სამკვდრებელისა ჩემისა ისრაჴლისა, რომელნი განითესნეს წარმართთა შორის და ქუეყანა ჩემი განიყუეს,

3. და ერსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი და მისცნეს ყრმანი მეძავთა, და ქალებსა განყიდდეს ღუნისა წილ და სუმიდეს.

4. და რად თქუენცა ჩემდა ტვროს და სიღონ და ყოველი გალილეთა უცხოტომთა ნუ მოსაგებელსა მომაგებთ მე თქუენ, ანუ ძურის-ჰმოკსენებთ თქვენ ჩემდა. მახვლად და მსწრაფლ მოვაგო მოსაგებელი თქუენი თავთა მართ თქუენთა

5. მის წილ, რომელ ვეცხლი ჩემი და ოკროჲ ჩემი მიიღეთ და გამოჩეულეზანი ჩემნი და კარნი შეიხუენით სახლთა მათ თქუენთა.

25. თქუმნდამი S. 25. უფლისაჲ S. ღმრთისაჲ S. ჰრცხუენეს S. 27. ჰრცხუენეს S. 30. ქუე S. 32. იჴლმს S. 1. ტყუეობა S. 2. განყუეს S. 4. გალილეთა S. უცხო S. 5. შეიხუენით S.

\* ესა. 44. ა. 3. საქმ. 2. გ. 17. \*\* ზე. 2. ბ. 10. მათე. 24. ე. 29. ლუკ. 21. ე. 25. \*\*\* რომ. 10. გ. 13.

6. და ძენი იუდაისნი და ძენი იერუსალმისანი განსცენით ძეთა ელლინთასა, რათა განაგარევენთ იგინი საზღუართაგან მათთა,

7. რამეთუ აჰა, მე აღვადგინე იგინი ადგილისაგან, სადა განსცენით იგინი მუნ. და მოვაგო მოსაგებელი თქუენი თავთა მომართ თქუენთა.

8. და უკუნესცენ ძენი თქუენნი და ასულნი თქუენნი ჳელეზსა ძეთა იუდაისთასა და განსცემდენ მათ ტყუეობად ნათესაეისა მიმართ შორს მყოფისა, რამეთუ უფალი იტყოდა:

9. ჳადაგენით ესენი წარმართთა შორის. წმიდა-ყავთ ბრძოლად, აღადგინენით მბრძოლნი, მოიყვანენით და აღვედით ყოველნი მამაკაცი მბრძოლნი.

გ 10. დაჳრენით საჯნისნი თქუენნი ჳრმლებად, და მანგალნი თქუენნი მანზრაკებად. უძალო იტყოდედ, ვითარმედ: ძალ-მიც მე.

11. შეეკრბით და შევედით ყოველნი ნათესაენი გარემოთ და კრებაყავთ მუნ, მშუდი იყავნ მებრძოლი.

12. აღდგედ და აღვიდოდედ ყოველნი ნათესაენი ღელედ მიმართ იოსაფატისსა, რამეთუ მუნ დავსჯედ განსჯად ყოველთა ნათესაეთა გარემოთა.

13. \*განავლინენით მანგალნი, რამეთუ წარმოდგა მსთულეებელი. შევედით, დასწინხეთ, რამეთუ სავე არს საწნახელი. გარდაეცემიან ტაგარნი, რამეთუ განმრავლდეს ძვრნი მათნი.

14. ოხრანი იოხრნეს ღელესა შინა სასჯელისასა, რამეთუ მახლობელ არს ღდე უფლისაჲ ღელესა შინა სასჯელისასა.

15. \*\*მზე და მთოვარე დაბნელდენ და ვარსკულავთა ავლინონ ნათელი მათი.

16. \*\*\*ხოლო უფალმან სიონით ღაღად-ყოს და იერუსალმით მოსცეს ჳმად თვისი, და შეიძრას ცაჲ და ჳუეყანაჲ, ხოლო უფალმან ჳრიდოს ერსა თვისსა და განაძლიერნეს ძენი ისრაჳლისანი.

დ 17. და სცნათ, ვითარმედ მე ვარ უფალი ღმერთი თქუენი, დაკარგებული მთასა ჳედა წმიდასა ჩემსა, სიონს შინა. და იყოს იერუსალმი წმიდაჲ და სხუად ნათესაენი არაღა შევიდენ მას შინა არა მერმე.

18. \*\*\*\*და იყოს მას ღღესა შინა და მოაწოთ მთათა სიტკბოება და ბორცუნი აღენდენ სძესა. და ყოველნი გამოსატევებელნი იუდაისნი აღინებდენ წყალთა. და წყაროჲ სახლისაგან უფლისა გამოვიდეს. და მოჳრწყვიდეს ნაღუარევესა ეკალთასა.

19. ეგვპტე განსარყუნელად იყოს და იღუშიად ველად განრყუნილებისად იყოს მძღავრებათათჳს ძეთა იუდაისთასა მის წილ, რომელ დასთხიეს სისხლი მართალი ჳუეყანასა შინა მათსა.

20. ხოლო ჳურიასტანი საუკუნოდ დამკვდრებულ იქმნეს და იერუსალმი ნათესავთამდე ნათესავთასა.

21. და გამოვიძიო სისხლი მათი და არ ვაუბრალოო, და უფალმან დაიმკვდროს სიონს შინა.

7. თქუენ S. სადაჲ S. 8. თქუენი S. ტყუეობად S. 9. წმიდაყავთ S. 10. საჯნისი S. 11. ყავ. S. 17. თქუენი S. ოძლმი S. 18. მთათა S. უფლისაჲ S. მოჳრწყვიდეს S. 20. საუკუნოდ S. ოძლმი S.

\* გამოც. 14. გ. 15. \*\* ჳე. 2. ბ. 10. ჳ. 31. \*\*\* იერ. 25. ე. 30. აზო. 1. ა. 2. \*\*\*\* აზო 9. დ. 13.



## წინაწარმეტყველება ამოსისნი

### 1

ა 1. \*სიტყუანი ამოსისნი, რომელნი იქმნენ კარეგარიმს შინა თეკუეთ გამო, რომელნი იხილნა იერუსალჴმისათჳს შორის დღეთა ოზიასთა, მეფისა იუდაასთა, და შორის დღეთა იერობოამ, ძისა იოასიისისა, მეფისა ისრაჴლისათაჲსა, პირველ ორითა წლითა ქუეყანისა ძრვისა.

2. \*\*და თქუა: უფალმან სიონით ვმა-ყო და იერუსალიმით მოსცა ვმამ თჳსი და იგლოვდეს საძოვარნი მწყემსთანი და განკმა თხემი კარმელისაჲ.

3. და თქუა უფალმან: სამთა ზედა უთნობათა დამასკისათა და ოთხთა ზედა არ გარემივექცე მათ მით, რამეთუ განჴხერხვიდეს ხერხითა რკინისათა მუცელქუმულთა გალაადთასა.

4. და მივაღვლინო ცეცხლი სახიდ აზაელისა და შეჴამნეს საფუძველნი ძისა ადერისნი.

ბ 5. და შეემუსრნე მოქლონნი დამასკოსანი, და მოესრნე დამკვდრებულნი ველისაგან ონისსა, და მოვკრა ტომი კაცთაგან ქარანისათა, და წარმოიტყუენოს ერი ასურეთისაჲ, ურჩეულესი წოდებული, — იტყჳს უფალი.

6. ამათ იტყჳს უფალი: სამთა ზედა უთნობათა ღაზისათა და ოთხთა ზედა არ გარემივექცე მათ ტყუეჴმნისათჳს მათგან ტყუესა სალომისსა, შეყენებად იღუმიაჲსა.

7. და გამოვაღვლინო ცეცხლი ზღუდეთა ზედა ღაზისათა და შეჴამნეს საფუძველნი მისნი.

გ 8. და მოესრნე დამკვდრებულნი აზოტით. და აღებულ იქმნეს ტომი ასკალონისაგან და მივაწიო კელი ჩემი აკარონს ზედა. და წარწყმდენ ნეშტნი უცხოთესლთანი, — იტყჳს უფალი,

9. ამათ იტყჳს უფალი: სამთა ზედა უთნობათა ტუროსისაჲთა და ოთხთა ზედა არ გარემივექცე მათ მის წილ, რომელ შეაყენეს ტყუეობაჲ საღმონისი იღუმეას და არ მოიკსენეს აღთქმისა ძმათაჲსა.

10. და გამოვაღვლინო ცეცხლი ზღუდეთა ზედა ტუროსისათა და შეჴამნეს საფუძველნი მისნი.

დ 11. ამათ იტყჳს უფალი: სამთა ზედა უთნობათა იღუმეასათა და ოთხთა ზედა არ გარემივექცე მათ დევნისათჳს მათისა მახულითა ძმასა თჳსსა, და განრყუნა საშო ქუეყანისაგან და განჴზადა საწამებელად კართობაჲ მისი და მემართებაჲ მისი დაიცვა საძლეველად.

1. იქმნისათჳს S. 2. ვმაყო S. 2. ექრუსალიმით S. 3. განჴხერხვიდეს S. 4. საფუძველნი S. 5. წარმოიტყუენოს S. 6. ტყუეჴმნისათჳს S. ტყუესა S. 9. ტყუეობაჲ S. 10. საფუძველნი S.

\* ჴქრო. 14. ა. 5. \*\* იერ. 25. ვ. 30. იოელ. 3. დ. 16.

12. და გამოვავლინო ცეცხლი თემანისად და შეჰკამნეს საფუძველნი ზღუდთა მისთანი.

13. ამით იტყვის უფალი: სამთა ზედა უთნობათა ძეთა ამმონისთა, და ოთხთა ზედა არ გარემივექცე მათ მის წილ, რომელ განაპებდეს მუცელქმნულთა გალადელთასა, რათა განივრცენენ საზღუარნი მათნი.

14. და აღვაგზნა ცეცხლი ზღუდეთა ზედა რავეაბსათა და შეჰკამნეს საფუძველნი მისნი ღალადებისა თანა დღესა ბრძოლისასა და შეიძრას დღესა შინა დასასრულისა მისისასა.

15. და წარვიდენ მეფენი მათნი ტყუეობად, მღღელნი მათნი და მთავარნი მათნი ერთბამად, — იტყვის უფალი.

## 2

ა 1. ამით იტყვის უფალი: სამთა ზედა უთნობათა მოაბისთა და ოთხთა ზედა არა გარემივექცე მას მის წილ, რომელ განსცემდეს ვეცხლად მართალსა მეთანს მტურად.

2. და გამოვავლინო ცეცხლი მოაბსა ზედა და შეჰკამნეს საფუძველნი ქალაქთა მისთანი და მოკუდეს უძალობასა შინა მოაბი ღალადებისა თანა და კმასა თანა საყურისასა.

3. და მოესპო მსაჭული მისგან და ყოველნი მთავარნი მისნი მოვაკუდიენე, — იტყვის უფალი.

ბ 4. ამით იტყვის უფალი: სამთა ზედა უთნობათა ძეთა იუდაისტასა და ოთხთა ზედა არ გარემივექცე მათ განშორებისათეს მათგან შჯულსა უფლისასა და ბრძანებანი მისნი არა დაიმარხნეს. და შეატუნენეს იგინი ამოთა მათთა, რომელთა შეუდგეს მამანი მათნი უკანა მათსა.

5. და გამოვავლინო ცეცხლი იუდას ზედა და შეჰკამნეს საფუძველნი იერუსალიმისანი.

6. ამით იტყვის უფალი: სამთა ზედა უთნობათა ისრაილისათა და ოთხთა ზედა არა გარემივექცე მას მის წილ, რომელ განსცემდეს ვეცხლად მართალსა და დავრდომილსა ფერკთშესასხმელთათეს

7. მთრგუნველთა მტურსა ზედა ქუეყანისასა, და დაჰკუერთინდეს თავებსა გლაზაქათასა და გზასა მდაბალთასა განსდრეკდეს. და ძე და მამამ მისი შევიდოდეს მისვე მკველისა მიმართ, რათა შეაბღწონ სახელი ღმრთისა მათისა.

გ 8. და შესამოსულთა მათთა მომბმელნი საბლგებისანი კრეტსაბმელებად ჰყოფდეს მახლობელად საკურთხევისა და ღუნოსა ცილისწამების გამო სუმიდეს სახლსა შინა ღმრთისა მათისასა.

9. \*ხოლო მე აღვიღე ამორრეველი პირისაგან მათისა, რომლისა იყო, ვითარცა სიმაღლე ნაძესაჲ, სიმაღლე მისი. და ძლიერ იყო ვითარცა მუხა. და განვაქვე ნაყოფი მისი ზენადთ და ძირნი მისნი ქუენადთ

10. \*\*და მე აღმოგიყუანენ თქუენ ქუეყანისაგან ევკატისა. და მიმოგიყუანენ თქუენ უდაბნოს ზედა ორმოც წელ დამკვდრდებად ქუეყანასა ამორრეველთასა.

12. საფუძველნი S. 14. საფუძველნი S. 15. ტყუეობად S. 1. მტურად S. 2. საფუძველნი S. 5. იერუსალიმი S. 7. მტურსა S. დაჰკუერთინდეს S. 8. ღუნოსა S. ღმრთისა S. 9. ქუენადთ S. 10 ამორრეველთასა S.

\* რიცხ. 21. ე. 24. 2. სჯუ. 2. ე. 24. \*\* გმოს. 14. დ. 21. 2სჯუ. 8. ა. 2.

11. და მოვიხუენ ძეთაგან თქუენთა, ვითარცა წინაწარმეტყუელნი, და კაბუეთაგან თქუენთა სიწმიდედ. ნუ არა არიანა ესენი ძეთა ისრაჲლისათად? — იტყუს უფალი.

12. და ასუემდით განწმედილთა ღუნოსა და წინაწარმეტყუელთა ამცნებდით მეტყუელნი: არა წინაწარმეტყუელებდეთ.

13. ამისთვის, აჲა, მე ავაგორებუებ ქუეშე კერძო თქუენსა, ვითარსახედ გორავს ურემი სავსე ლელწმითა.

14. და წარწყმდეს სივლტოლად მსრბოლისაგან და ძლიერმან ვერ დაიპყრას ძალისა თვისისა და მბრძოლმან ვერ აცხოვნოს სული თვისი.

15. და მშუღლოსანმან ვერ უძლოს წინააღდგომად და ქუეითი ვერ განერეს ფერჯითა თვისითა და ვერცა განარინოს ლაშქარნი.

16. და იპოოს გული მისი ძლიერთა შორის შიშუელი, სდეენიდეს მას ღღესა შინა, — იტყუს უფალი.

### 3

ა 1. ისმინეთ სიტყუად ესე, რომელი თქუა უფალმან თქუენ ზედა, სახლო ისრაჲლისათ, და ყოვლისა ტომისა, რომელი აღმოვიყუანე ქუეყანისაგან მეტყუელმან:

2. გარნა თქუენ გიცნენ ყოველთაგან ტომთა ქუეყანისათა, ამისთვის შური ვიძიო თქუენ ზედა ყოველთა უკეთურებათა ქუეყანისათა.

3. უკეთუ ვიდოდიან ორნი თქუენნი ერთბამად, ყოვლითურთ არა თუ იცნობდენ თავთა თვისთა?

4. უკეთუ იზახოს ლომმან მადნარით მისით ნადირისა არმქონებელმან? უკეთუ მოსცეს ლეუმან მისმან ჯმა ბაკისაგან თვისისა, ყოვლითურთ არა თუ იტაცოს რამე?

ბ 5. უკეთუ დაეარდეს მფრინველი ქუეყანასა ზედა თუნიერ მემახურისა? უკეთუ დაერწყუეს მახე ქუეყანასა ზედა თუნიერ შეპყრობისა რამსამე?

6. უკეთუ ჯმა-ყოს საყურმან ქალაქსა შინა და ერი არა შეშინდეს? ანუ იყოს სიბოროტე ქალაქსა შინა, რომელი უფალმან არა ქმნა?

7. მით, რამეთუ არა ქმნას უფალმან ღმერთმან საქმე, არა თუ გამოაცხადოს სწავლად მისი მონათა მიმართ თვისთა წინაწარმეტყუელთა.

8. ლომმან იზახა და ვინ არა შეშინდეს? უფალი ღმერთი იტყოდა და ვინ არა იწინაწარმეტყუელოს?

ბ 9. მიუთხართ სოფლებსა ასსურასტანელთა შორის და სოფლებისა მიმართ ეგვიპტეს შინა და არქუთ: შეკერბით მთასა ზედა სამარიადასა და იხილენით საკურველნი მრავალნი შორის მისსა და მძლავრებაჲ მისშორისი.

10. და არა ცნა, რანი იყუნენ წინაშე მისსა—იტყუს უფალი, — რომელნი იუნჯებენ სიცრუესა და საარებულებასა სოფლებთა შორის მათთა.

11. ამისთვის ამათ იტყუს უფალი ღმერთი ტუროსსა: გარემო ქუეყანად შენი მოოკრდეს და დაჰქსნას შენგან ძალი შენი და დაიტაცენ სოფლებნი შენნი.

12. ამათ იტყუს უფალი: ვითარსახედ ოდეს გამოსტაცის მწყემსმან პირისაგან ლომისა ორნი წვენი, ანუ ნაქლესი ყურისაჲ, ეგრეთ გამოტაცებულ

იქმნენ ძენი ისრაილისანი, დამკვდრებულნი სამარიას შინა წინაშე ტომისა და დამასკოს შინაცა.

13. მღდელთ ისმინეთ და უწყამეთ სახლსა იაკობისსა, — იტყუს უფალი ყოვლისა მპყრობელი, —

14. მით, რამეთუ მას დღესა შინა, ოდეს შურ-ვიგო უთნოობისა ისრაელისა მის შორის და შურ-ვიგო საკურთხეველთა ზედა ბეთილისათა, და დაითხარნენ რქანი საკურთხეველისანი და დაეცნენ ქუეყანასა ზედა.

15. და შევმუსრო სახლი გარემოფრთედი სახლსა ზედა საზაფხულოსა და წარწყმდენ სახლნი ბილოსძუალედნი და შეეძინენ სახლნი სხუანი მრავალნი, — იტყუს უფალი.

#### 4

ა 1. ისმინეთ სიტყუა ესე, დღეველთა ბასანისათა, შორის მთასა სამარიახსა, რომელნი მიჰხუეკთ გლახაკთა და დასთრგუნავთ დავრდომილთა, მეტყუელნი უფალთა მათთან: მომეციო ჩუენ ღწონა, რათა ვსუთო.

2. ფუცავს უფალი წმიდათა მიმართ მისთა, ვითარმედ: აჰა, დღენი მოვლენან თქუენ ზედა და მოგიყუანენ თქუენ საკურთხეველთა მიერ და თქუენთანნი სიაგებად და ქუეშე მგზებარეებად შეგკმნენ.

3. და განყუანებულ იქმნეთ შიშუელნი წინაშეცა ერთმანერთისა და განვარდეთ მთისა მიმართ არმონადას, — იტყუს უფალი.

4. და შევედით ბეთილად და იუშულოეთ და გაღვალას განამრავლეთ უთნოობამ. და მოიხუენით განთიად მსხუერპლნი თქუენნი შორის სამღდლეობისა ათუელნი თქუენნი.

5. და აღმოიკითხეს გარეშე სჯული და უწოდეს აღსაარებისაჲ. მიუთხრათ მით, რამეთუ ესენი შეიყუარნეს ძეთა ისრაელისათა, — იტყუს უფალი.

ბ 6. და მე მიგცე თქუენ მოღობობა კბილთაჲ შორის ყოველთა ქალაქთა თქუენთა და ნაკულეგანება პურისაჲ შორის ყოველთა ადგილთა თქუენთა და არ მოიქეციო ჩემდა, — იტყუს უფალი.

7. და მე აღვილო თქვენგან წჳმად უწინარეს სამთა თთუეთა მკისათასა. და ვწუმო ქალაქსა ერთსა ზედა, ხოლო ქალაქსა ერთსა ზედა არა ვწუმო, და ნაწილი ერთი დაილტოს და ნაწილი, რომელსა ზედა არა ვწუმო, განკმეს.

8. და შეკრბენ ორნი და სამნი ქალაქნი, ქალაქად ერთად, სუმაღ წყლითა და ვერ განძღენ. და არა მოიქეციო ჩემდამო, — იტყუს უფალი.

გ 9. \* და დაგცენ თქუენ კურგებისა მიერ და გვნისა მიერ; განამრავლენით მტილნი თქუენნი, ვენაჯოანნი თქუენნი, ლედოანნი თქუენნი და ზეთისხილნი თქუენნი შეჳამნა მგრაგნელმან და არცა ეგრეთ მოიქეციო ჩემდამო, — იტყუს უფალი.

10. გამოვავლინე თქუენდა მე სიკუდილი გზასა ზედა ეგვიპტისასა და მოვკლევდ ქაბუთათა თქვენთა ტყუეობისა თანა ჰუნეთა შენთაჲსა და აღმოვიყუანენ შორის ცეცხლისა ბანაკნი თქუენნი რისხვისა მიერ თქუენისა და არცა ეგრეთ მოიქეციო ჩემდამო, — იტყუს უფალი.

12 სამარიას S. 14. ისრაელისა S. 1. მიხუეკთ S. მიტყუელნი S. 3. შიშუელნი S. 4. მოიხუენით S. მსხუერპლნი S. 7. თთუეთა S. 10. რისხვისა S.

\* ანგ. 2. დ. 18.

დ 11. \*დაგაქციენ თქუენ, ვითარცა დააქცია ღმერთმან სოლომამ და გომორრამ, და იქმნენით, ვითარცა მუგუზნი, გამოტაცებულნი ცეცხლისაგან, და არცა ეგრეთ მოიქეციეთ ჩემდამო, — იტყუს უფალი.

12. ამისთვის ესრეთ გიყო შენ, ისრაჲლ. ამისთვის ესრეთ გიყო შენ, განმზადე ცხადად ღმრთისა შენისა, ისრაილ,

13. მით, რამეთუ, აჰა, მტკიცემყოფელი მათა და მყოფელი ქუხილსა და მიმთხრობი კაცთამი ცხებულსა მისსა, მოქმედი ცისკარსა და ნისლსა ზედ აღმავალი სიმაღლესა ზედა ქუეყანისასა, უფალი ღმერთი, ყოვლისა მპყრობელ — სახელი მისი.

5

1. ისმინეთ სიტყუა უფლისა ღმრთისამ: ესე, რომელ მე მომაქუს თქუენ ზედა გოდებაჲ: სახლი ისრაჲლისაჲ დაეცა. არღა მერმე ნუ შესძინოს აღდგომად.

2. ქალწულმან ცთობა-ყო თუთ მას ქუეყანასა ზედა ისრაჲლისასა. არა არს აღმადგინებელი მისი

3. მით, — რამეთუ ამათ იტყუს უფალი, უფალი: ქალაქი, რომლისაგან გამოვიდოდეს ათასნი, დაშეთს ასნი, და რომლისაგან გამოვიდოდეს ასნი, დაშეთს ათნი სახლსა ისრაილისასა

4. მით, — რამეთუ ამათ იტყუს უფალი სახლისა მიმართ ისრაჲლისა: გამომიძიეთ მე და სცხონდეთ.

ბ 5. და ნუ გამოემძიებთ ბეთილსა და გალგალად მიმართ ნუ შეხუალთ. და ჯურღმულსა ზედა ფიცისასა ნუ აღხუალთ, რამეთუ გალგალამ დატყუევებული ტყუე იქმნეს. და ბეთელ იყოს, ვითარცა არაყოფილი.

6. გამოიძიეთ უფალი და ცხონდით, რათა არა აღენთოს, ვითარცა ცეცხლი, სახლი იოსებისი და შეჰამოს იგი. და არა იყოს დამშრეტელ სახლსა ისრაჲლისასა,

7. რომელი იქმს სიმაღლედ მსჯავრსა და სიმართლედ ქუეყანასა ზედა დაღვა.

8. რომელი იქმს ყოველთა და გარდაჰმზადებს და ქცეულ-ჰყოფს ცისკრად აჩრდილსა სიკუდილისასა და დღისა ღამეებად გარდამზადი, \*\*რომელი მოუწოდს წყალსა ზღუასასა და მიჰფენს მას პირსა ზედა ქუეყანისასა, უფალი, ყოვლისა მპყრობელ — სახელი მისი,

გ 9. განმყოფელი შემუსრვისამ ძალსა ზედა და სისუსტისა სიმაგრესა ზედა მომწევენელი.

10. მოიძულეს ბჭეთა ზედა მამხილებელი და სიტყუა ღირსი მოიძაგეს.

11. ამისთვის მის წილ, რომელ დაჰქენჯნიდეს გლაზაკთა და ძლუენტა რჩეულთა შეიწყნარებდით მათგან, \*\*\*სახლნი ხუეწილნი აშენენით და არ დაემკვდრნეთ მათ შინა; ვენაყოფანნი გულისსათქმელნი დაჰნერგენით და არა ჰსუათ ღუნომ მათი,

1. უფლისაჲ S. 2. ცთობაჲყო S. 5. დატყუევებული S. ტყუჲ S. 9. სისუსტისაჲ S. 11. ძლუენტა S. ხუეწილნი S.

\* ღბდ. 19. ე. 24. ოსე. 11. გ. 8. \*\* ქვე. 9. ბ. 6. \*\*\* სოფ. 1. დ. 17.

12. რამეთუ ვცნენ მრავალნი უთნობანი თქუენნი და ძლიერ არიან ცოდვანი თქუენნი, დამორგუნველნი მართლისანი, მიმხუმელნი საცვალებელთანი და დავრდომილთანი შორის ბჭისა მიმდრეკელნი.

13. ამისთვის, რომელი გულისკმა-ჰყოფდეს, მას ეამსა შინა დადუმენს, რამეთუ ეამი ბოროტი არს.

დ 14. გამოიძიეთ კეთილი და ნუ ბოროტი, რათა სცხონდეთ და იყოს ესრეთ უფალი ღმერთი, ყოვლისა მპყრობელი, თქვენ თანა, ვითარსახედ სტქუთ.

15. \*უკუეთუ მოვიძულენით ბოროტნი და შევიყუარენით კეთილნი და დაემტკიცოს ბჭეთა ზედა მსჯავრი, რათა შეიწყალნეს უფალმან ღმერთმან ყოვლისა მპყრობელმან დაშთომილნი იოსებისნი.

16. ამისთვის, — ამით იტყუს უფალი ღმერთი ყოვლისა მპყრობელი, — შორის ყოველთა უბანთა ტყება, და შორის ყოველთა გზათა ითქუას: ვაჲ, ვაჲ. წოდებულ იქმნეს მუშაკი გლოვად და ტყებად და მეცნიერთადმი გოდებისათა,

მ 17. და ყოველთა ზედა გზათა ტყება, რამეთუ განველო საშუალ შენსა, თქუა უფალმან.

18. \*ვაჲ რომელთა გული უთქუამს დღესა უფლისასა. რასათვის თქუენდა დღე იგი უფლისაჲ? და იგი არს ბნელ და არა ნათელ.

19. ვითარსახედ უკუეთუ ივლტოდის კაცი პირისაგან ლომისა და დაემთხვოს მას დათუ და ივლტოდეს სახიდ მიმართ და დადგნეს კელნი მისნი კედელსა და უკბინის მას გუელმან.

20. არა ბნელ არს დღე უფლისაჲ და არა ნათელ და აღმურ არმქონებელ ნათელსა თესსა,

21. \*\*\*მოვიძულენ და განვიშორებ დღესასწაულთა თქუენთა და არა ვიყნოსო კრებათა შინა თქუენთა

ვ 22. მით, რამეთუ, უკუეთუ მომართუნეთ მე ყოვლადდასაწუელნი და მსხუერპლნი თქუენნი, არ შევიწყნარე და სამაცხოვარობოსა ზედმჩენისა თქუენისასა არა მივჰხედნე.

23. გარდაადგინე ჩემგან ოხრაჲ საგალობელთა შენთაჲ და ფსალმუნი ორღანოთა შენთაჲ არა ვისმინო.

24. და აღგორდეს, ვითარცა წყალი, საშჯელი და სიმართლე, ვითარცა მდინარე წიადუვალი.

ზ 25. \*\*\*\* ნუ საკლევლებსა და მსხუერპლებსა მომართუემდით მე, სახლოსირამლისაო, ორმეოცთა წელთა უდაბნოსა ზედა?

26. და აღიღეთ კარავი მოლოქისი და ვარსკულავი ღმრთისა თქუენისა რემფაჲსი, სახენი მათნი, რომელნი ჰქმნენით თავთა თესთათეს.

27. და გარდაგასახლნე თქვენ მიერ, კერძო დამასკისა, — იტყუს უფალი, ყოვლისა მპყრობელ — სახელი მისი.

13. გულისკმაჲ S. 19. გუღმან S. 22. ყოვლად დასაწუელნი S. მსხუერპლნი S. 23. ოხრა S. 25. მსხუერპლებსა S. მომართუემდით S. 26. ღმრთისაჲ S. 27. თვექნ S.

\* პრიო. 12. ბ. 9. ფსლ. 96. ბ. 10. \*\* იერ. 30. ბ. 7. იოელ. 2. გ. 11. სოფონი. 1. დ. 15. \*\*\* ესრა. 1. დ. 11. იერ. 6. ე. 20. მარტ. 2. ე. 12. \*\*\*\* საქმ. 7. ე. 42.

6

1. ვამ, რომელნი შეურაცხ-ყოფენ სიონსა \*და მოსავე არიან მთისა მიმართ სამარისაჲსა. მოისთულნეს დასაბამნი წარმართთანი და შევიდა მათდა სახლი ისრაჲლისაჲ.

2. გარდავედით ყოველნი ქანანად და იხილეთ და განვლეთ მიერ დიდად ემათ, რავეად მიმართ და შთავედით გეთდ და უცხოტომთად უმტკიცესთა ყოველთაგან მეფობათა მათთასა, უკუეთუ უმრავლეს არიან საზღუარნი მათნი საზღუართა თქუენთა.

3. რომელნი მოვლენ დღედ ბოროტად, რომელნი მიეახლებიან და შეეხებიან შაბათთა ნაცილთა

4. მძინარნი ცხეღართა ზედა პილოძჳალედთა. და მშუებელნი სარეცელთა ზედა მათთა და მჰამელნი თიკანთანი სამწყსოთაგან და კბობესა შორის სამროწლისა მწუარებსა,

5. რომელნი მტყუელვარებენ კმისა მიმართ ორღანოთასა, ვითარცა მდგომარენი შეპრაცხნეს და არა ვითარცა მლტოლვარენი,

6. მსუემელნი წურვილსა ღუნოსა და პირველთა მიპრონთა მცხებელნი და არა ივენბდეს არარას შემუსრვასა ზედა იოსებისასა.

7. ამისთვის აწ ტყუენი იყვენ დასაბამსა ძალთასა და აღებულ იქმნეს კუვილი ცხენთა ეფრემისგან,

8. \*რამეთუ ფუცა უფალმან თავისა მიმართ თვისისა და თქუა უფალმან ღმერთმან ძალთამან, ვითარმედ: მძაგს მე ყოველი გინებამ იაკობისი და ქუეყანანი მისნი მოვიძულენ და აღვიღო ქალაქი ყოველთა თანა დამკვდრებულთა მისთა.

9. და იყოს, უკეთუ დაშთენ ათნი მამაკაცი ერთსა შინა სახლსა და მოკუდენ.

10. და დაშთენ ნეშტნი და მოიხუნენ სახლეულთა მათთა და იძულებოდინ გამოხუმად ძულთა მათთა სახლისაგან. და ჰრქუას ზედამდგომელთა სახლისათა: უკუეთუ არსდა შენ თანა?

11. და თქუას: არღარა. და ჰრქუას: ღუმენ არღა სახელის-ღებისათუს სახელსა უფლისასა

12. მით, რამეთუ, აჰა, უფალი ამცნებს და დასცეს სახლი დიდი წყლვითა და სახლი მცირე განხეტქითა.

13. უკეთუ სდევდენ კლდეთა შორის ცხენნი, ანუ ღუმდენ დედალთა შორის, რამეთუ თქუენ გარდააქციეთ გულისწყრომად მსჯავრი და ნაყოფი სიმართლისაჲ სიმწარედ.

14. მოხარულთა არა რას ზედა, სიტყვისა მეტყუელთა: არა ძალითა ჩუენითა გუქონან რქანი

15. მით, რამეთუ აჰა, მე აღვადგინო თქუენ ზედა, სახლო ისრაჲლისაო, — იტყუს უფალი ღმერთი, — მოლაშქრეთა ნათესავი და გაჭირვებდენ თქუენ არა შესლვად ემათად და ვიდრე ნაღუარევისამდე დასავალთაჲსა.

4. მშუებელნი S. 5. მტყუელვარებენ S. კმისაქლსა S. 6. იოსიფისასა S. 7. ტყუმენი S. იუნენ S. 8. გრნებარ S. 10. ძულეზობლინ S. 11. ჰრქუას S. 14. მეტყუელთა S.

\* ლუკ. 6. დ. 24. \*\* იერ. 51. ბ. 14.

## 7

ა 1. ესრეთ მიჩუენა მე უფალმან, უფალმან: და, აჰა, აღმოფუილი მკალთაჲ, მომავალი ცისკრეული და, აჰა, ბუზი გოგისსა მიმართ მეფე.

2. და იყოს, და-თუ-ასრულოს ჭამაჲ თივასა ქუეყანისასა და ვთქუ: უფალო, უფალო, მღზინებელ იქმენ. ვინ აღადგინოს იაკობი, რამეთუ შემციო-რებულ არს?

3. შეინანე, უფალო, ამას ზედა. და ესე არა იყოს, — თქუა უფალმან.

4. ესრეთ მიჩუენა მე უფალმან, უფალმან. და, აჰა, უწოდა სასჯელსა ცეცხლისა მიერ უფალმან, უფალმან. და შეჭამა უფსკრული მრავალი და შე-ჭამა ნაწილი.

5. და ვთქუ: უფალო, უფალო, დააცხრე! ვინ აღადგინოს იაკობი, რამეთუ შემციოვებულ არს?

6. შეინანე, უფალო, ამას ზედა! და ესე არა იქმენს — იტყვს უფალი, უფალი.

ბ 7. ესრეთ მიჩუენა უფალმან, უფალმან: და, აჰა, კაცი ერთი მდგომარე ზღუდესა ზედა ადამანტისასა და კელსა შინა მისსა ადამასი.

8. და თქუა უფალმან ჩემდამო: რასა ხედავ შენ, ამოს? და ვთქუ: ადამასსა. და თქუა უფალმან: აჰა, მე დავამტკიცე ადამანტნი საშუალ ერისა ჩემისა ისრაჲლისასა, არა მერმე შეესძინო თანაწარსლვად მისსა.

9. და უჩინო იქმენ ბომონნი სიცილისანი და საზოგველნი ისრაჲლისანი მოოკრდენ და აღვდგე სახლსა ზედა იერობოამისსა მახვლითა.

გ 10. და განავლინა ამასია მღდელმან ბეთელისამან იერობოამის მიმართ, მეფისა სახილისა, მეტყუელმან: მიმოქცეულებათა ჰყოფს ძუნად შენდა ამოს შორის სახლსა ისრაჲლისასა. ვერ შემძლებელ არს ქუეყანაჲ დათმენად ყოველთა ამათ სიტყუათა

11. შით, რამეთუ ამათ იტყვს ამმოს: მახვლითა აღესრულოს იერობოამ, ხოლო ისრაჲლი ტყუედ წარიქციოს და წარიყუანოს ქუეყანით მისით.

12. და თქუა ამასია ამოსის მიმართ: მხედველო, ვიდოდე, განეშორე შენ ქუეყანად იუდაისსა და მუნ წინაწარმეტყუელებდე.

13. ბეთელს. არა მერმე შესძინო წინაწარმეტყუელებად, რამეთუ სიწმიდე მეფისაჲ არს და სახლი მეფობისა არს.

დ 14. და მიუფო ამმოს და თქუა ამასიამ მიმართ: არა ვიყავ წინაწარმეტყუელი მე, არცა ძე წინაწარმეტყუელისაჲ, არამედ თხათ მეკოლტე ვიყავ, მსხეპელი ლედუსულელთა.

15. და აღმიღო მე უფალმან ცხოვართაგან. და თქუა უფალმან ჩემდამო: ვიდოდე, წინაწარმეტყუელებდ ერსა ზედა ჩემსა, ისრაჲლსა.

16. და აწ ისმინე სიტყვა უფლისა — შენ იტყვ: ნუ წინაწარმეტყუელებდ სახლსა ზედა ისრაჲლისასა და ნუ ერისკრება-ჰყოფ სახლსა ზედა იაკობისსა.

17. ამისთვის ამათ იტყვს უფალი, უფალი: ცოლი შენი შორის ქალაქისა ისიძიდეს. და ძენი შენნი და ასულნი შენნი მახვლისა მიერ დაეცენ. და ქვეყანაჲ შენი საბლითა განიზომოს და შენ ქუეყანასა არაწმიდასა აღესრულო, ხოლო ისრაჲლი ტყუედ წარიქციოს ქუეყანისაგან თვისისა.



8

ა 1. ესრეთ მიჩუნა მე უფალმან, უფალმან: და აჰა, კურქელი მემახურისა.

2. და თქუა: რასა ზედავ შენ, ამოს? და ვთქუე: კურქელსა მემახურისასა. და თქუა უფალმან ჩემდამო: მოიწია აღსასრული ერსა ზედა ჩემსა ისრა-  
ელსა, არა შევსძინო მერმე თანაწარსლვად მისა.

3. და ელაღაებდენ სართულნი ტაძრისანი. და მას ღღესა შინა, — იტყეს უფალი, — მრავალი დაცემული ყოველსა ზედა ადგილსა, ზედა მივაგდო დუ-  
მილი.

4. ისმინეთ ესენი, რომელნი შეჰმუსრავთ განთიად დაერდომილსა. და  
ჰმძლავრობთ გლახაკთა მიმწუხარი

ბ 5. მეტყუელნი: ოდეს გარდავდეს თთუე და განვიდოთ, და შაბათნი  
და განვახუნეთ საუნჯენი ქმნად მცირე საწყეოჲ, და განდიდებად საწონი და  
ქმნად სასწორი უსამართლოჲ

6. მოსყიდად გლახაკნი ვეცხლითა და დაერდომილნი ფერტშესასხმელთა  
წილ, და ყოელისაგან საქმისა ვივაჰროთ.

7. ფუცავს უფალი ამპარტავანებისათჳს იაკობისსა: უკეთუ დაივიწყენ  
ძლევად ყოველნი საქმენი თქუენნი.

გ 8. და ამათ ზედა არა აღშფოთნეს ქუეყანაჲ. და იგლოოს ყოველმან  
დამკვდრებულმან მას ზედა და აღვიდეს, ვითარცა მდინარე, აღსასრული და  
შთავიდეს, ვითარცა მდინარე ეგვიპტისაჲ.

— 9. და იყოს მას ღღესა შინა,—იტყეს უფალი, უფალი. — დაჰვდეს მზე  
შუაღლე და დაბნელდეს ქუეყანასა ზედა ღღესა შინა ნათელი.

10. \*და გარდავაქცინე ღღესასწაულნი თქუენნი გლოად, და ყოველნი  
გალობანი თქუენნი გოდებად, და აღვილო ყოველსა წელსა ზედა ძაძაჲ, და  
ყოველსა თავსა ზედა სიმტიერე, და დავდვა მე იგი, ვითარცა გლოვაჲ საყუ-  
არელისაჲ, და მისთანანი, ვითარცა ღლე საღმობისაჲ.

დ 11. აჰა, ღღენი მოვლენან, — იტყეს უფალი, უფალი, — და გამოვაე-  
ლინო სიყმილი ქუეყანასა ზედა, არა სიყმილი პურისაჲ, არცა წყურილი  
წყლისაჲ, არამედ ანუ სიყმილი სმენად სიტყუა უფლისაჲ.

12. და შეიძრნედ წყალნი ზღვთგან ვიდრე ზღუამდე. და ჩრდილოთგან ვიდ-  
რე აღმოსავალთამდე მიმორბიოდინ მიძიებელნი სიტყესა უფლისასა და არა  
პრონ.

13. მას ღღესა შინა მოაკლდენ ქალწულნი შეუნიერნი და ჰაბუენი წყუ-  
რილითა,

14. მფუცავნი სალხინებელსა ზედა სამარიაჲსასა და მეტყუელნი: ცხოველ  
არს უფალი შენი დან; და ცხოველ არს უფალი შენი ბერსაბედ. და დაეცნენ და  
არა აღდგენ მერმე.

9

ა 1. ვიხალე უფალი მდგომარე საყურთხვევლსა ზედა და თქუა: ეც სალ-  
ხინებელსა ზედა და შეიძრნედ წინაბჰენი და განკუეთილებისა მიმართ ყოველ-

1. მირქმან S. 4. ისმიენთ S. 5. მეტყუელნი S. თთუე S. 12. მიმორბოდინ S. 13. შუე-  
ნერი S.

\* ტომი. 2. ბ. 6. 1 ჰაყ. 1. ე. 41.

თასა და დამთომილთა მათთა მახვლითა მოვსწყუედ. არა განერეს მათგანი მტოლვარე და არა ცხოვნდეს მათგანი ცხოვნებული.

2. \*ლა-ლათუ-ფელენენ ჯოჯოხეთსა, მიერ კელმან ჩემმან აღმოიტაცენს იგინი; და-ლათუ-ვიდენ ცად მიერ, გარდამოვიხუნე იგინი, და-თუ-იმაღლენს თხემსა ზედა კარმელისასა, მუნით გამოვიძიო და მოვიყუანენ იგინი.

3. უკუეთუ დაჰქდენ თუალთაგან ჩემთა სიღრმეთა შინა ზღვსათა, მუნ ვამცნებ ვეშასა და შესთქრეს მათ.

4. და უკუეთუ წარვიდენ ტყუეობად წინაშე პირსა მტერთა მათთასა და ვამცნებ მახვლსა და მოჰკლვიდეს მათ. \*\*და განვიმტყიცებ თუალთა ჩემთა მათ ზედა საბოროტოდ და არ საკეთილოდ.

ბ 5. და უფალი ღმერთი, ყოვლისა მპყრობელი, არს შემხებელი ქუეყანისა და შემძრველი მისი. და იგლოვდენ ყოველნი დამკვრებულნი მისნი. და აღვიდეს, ვითარცა მდინარე, აღსასრული მისი და შთამოვიდეს, ვითარცა მდინარე ეგვიპტისაჲ,

6. აღმაშენებელი ცად მიმართ აღსავალსა მისსა და აღთქმასა მისსა ქუეყანასა ზედა დამაფუძნებელი, \*\*\*მიმწოდებელი წყალსა ზღვსასა. და მიმფენელი მისი პირსა ზედა ქუეყანისასა უფალი ყოვლისა მპყრობელ—სახელი მისი.

7. არა ვითარცა ძენი ეთიოპელთანი ხართ თქუნე ჩემდა ძენი ისრაჴლისანი? — იტყუს უფალი. არა ისრაჴლი აღმოვიყუანე ქუეყანისაგან ეგვიპტისა, და უცხოტომნი კაჰადოკიათ და ასურნი მთხრებლით?

8. აჰა, თუალნი უფლისა ღმერთისანი მეფობასა ზედა ცოდვილთასა და აღვილო იგი პირსაგან ქუეყანისა, გარნა რამეთუ არა სრულიად აღვილო სახლი იაკობისი, — იტყუს უფალი, —

9. მით, რამეთუ, აჰა, მე ვამცნებ და განვიწლო ყოველთა შორის სახლი ისრაჴლისა, ვითარსახედ განიფიწლვის ფიწლვასა და არა დავარდეს ნამუსრი ქუეყანასა ზედა.

გ 10. მახვლისა მიერ აღესრულენ ყოველნი ცოდვილნი ერისა ჩემისანი მეტყუელნი: არ მოგუეახლოს, არც მოვიდენ ჩუნე ზედა ძჳრნი.

11. \*\*\*\*მას დღესა შინა აღვადგინო კარავი დავითისი დაცემული და აღვაშენე დარღუეული მისნი და დათხრილნი მისნი აღვადგინე და აღვაშენო იგი. ვითარცა დღენი საუკუნოსანი,

12. რათა გამომიძიონ მე ნეშტთა კაცთასა და ყოველთა ნათესავთა, რომელთა ზედა წოდებულ არს სახელი ჩემი, — იტყუს უფალი, მოქმედი ამათი.

დ 13. აჰა, დღენი მოვლენან, — იტყუს უფალი, — და ეწიოს მღეწავი მსთულებელსა. და მომწიფდეს ყურძენი თეპლსა შინა. \*\*\*\*\*და დამოაწოთონ მათთა სიტკბობება და ყოველნი ბორცუნი ნერგოან იყუნენ.

14. და მოვაქციო ტყუეობა ერისა ჩემისა ისრაჴლისაჲ. და აღაშენენ ქალაქნი უჩინოქმნილნი და დაიმკვდრენ და დაჰნერგენ ვენაცნი და სუმიდეს ღვინოსა მათსა და შექმნენ მტილნი და ჰამდენ ნაყოფსა მათსა.

15. და დავჰნერგე იგინი ქუეყანასა ზედა მათსა და არა აღიფხურენ არა მერმე ქუეყანისაგან მათისა, რომელი მივეც მათ, — იტყუს უფალი, ყოვლისამპყრობელი.

1. განკუთვლილთა S. მოვსწყუედ S. 4. ტყუეობად S. 8. უფლისა S. ღმერთისანი S. 9. აჰაჰა S. 10. მეტყუელნი S. მოგუეახლოს S. 11. დარღუეულნი S. 13. ეწიო S. 14. ტყუეობა S. ღვინოსა S. 15. მპყრობელ S.

\* ფსნი. 138. ა. 8. \*\* იერ. 44. გ. 11. \*\*\* ზე. 5. გ. 8. \*\*\*\* საქ. 15. გ. 16. \*\*\*\*\* იოე. 3. დ. 18.

## წინაწარმეტყულება აბდიასი

### 1

ა 1. ხილვად აბდიასი, რომელი იყო უწინარეს გამოსლვისა ასურასტანით. \*ამათ ეტყვის უფალი ღმერთი იღუმეასა: სასმენელი მესმა უფლისა მეგრ. და გარემოცვა წარმართთა მიმართ განავლინა: აღდგეთ და აღვდგეთ მის ზედა ბრძოლად.

2. აჰა, შემცივებულად მიგეც შენ წარმართთა შორის. უპატივო ხარ შენ ფრიად.

3. ამპარტავანებამან გულისა შენისამან აღგიღო შენ, დამკვდრებულთა შორის ჯურელებსა კლდეთასა აღმამალღებელი საყოფლისა თვისისა, მეტყუელი გულსა შინა მისსა: ვინ დამამჯუას მე ქუეყანასა ზედა.

ბ 4. უკეთუ აღიმალო, ვითარცა არწივმან, და უკეთუ შორის ვარსკულავთა დაიდგა ბუდე შენი, მიერ გარდამოჯადო შენ, — იტყვს უფალი,

5. უკეთუცა მპარავნი შევიდეს შენდა, ანუ ავაზაკნი ღამე, სადამცა განიგდე, არამცა იპარენ საკმანი თავთა თვისთათს, და უკეთუცა მსთულღებელნი შევიდეს შენდა, არამცა დაუტევესა მოსაკუფხლავი?

6. ვითარ გამოკულუელ იქმნა ესავ და დაშთეს დაფარულნი მისნი.

7. ვიდრე საზღუართამდე შენთა განგავლინეს შენ, ყოველნი მამაკაცნი აღთქმისა შენისანი წინააღიდეგს შენ, ძლიერ იქმნეს შენდამი მამაკაცნი მშუდობისა შენისანი. დაგიდგეს შესაბრკოლებელი ქუეშე შენსა. არა არს გულისხმის-ყოფად მათ თანა.

გ 8. \*\*მას ღღესა შინა, — იტყვს უფალი, — წარვსწყმიდნე ბრძენნი ქუეყანით იღუმეამთ და გულისკმის-ყოფად მთისაგან ისავისსა.

9. და წიწნეულ იქმნენ მბრძოლნი შენნი თემანითგამონი, რათა აღილოს კაცი მთისაგან ესავისსა

10. \*\*\*კლვისათს და უთნობისა ძმისა შენისა იაკობისსა და დავფაროს შენ სირცხულმან და აღკოცო უკუნისამდე.

და 11. ვინა დღითგან წინააღმდეგ წინააღმდეგომად ღღესა შინა ტყუე-ყოფადისასა, სხუანათესაენი ძალსა მისსა და უცხონი შევიდეს ბჭეთა მისთა და იერუსალმისა ზედა განიგდეს წილი. და თქუენ ხართ, ვითარცა ერთი მათგანი.

12. და ნუ მიხედავ ღღესა უცხოთა, ღღესა შინა ძისა შენისასა და ნუ მოსცხრები ძეთა ზედა იუდასთა, ღღესა შინა წარწყმედისა მათისასა და ნუ დიდსიტყუაობ ღღესა შინა ქირისასა,

13. ნუცა შეხუალ ბჭეთა ერისათა. ღღესა შინა ტყვილთა მათთასა. და ნუ ზედლაძხედავ შენცა შესაკრებელსა მათსა ღღესა შინა მოსრულებისა მათი-

სასა. და ნუცა თანდაშჯდები ძალსა ზედა მათსა დღესა შინა წარწყმელისა მათისასა.

14. ნუცა დასდგები განსავალთა ზედა მათთა მოწყუედად განრინებულ-  
ა მათგანთა. ნუ წყუდეულ-ჰყოფ მლტოლვარეთა მათგან დღესა შინა ჳირი-  
სასა

გ 15. მით, რამეთუ ახლოს არს დღე უფლისაჲ ყოველთა ზედა ნათესაეთა.  
ვითარსახედ უყავ, ეგრეთ იყოს შენდა. მოსაგებელი შენი მოგეგოს შენ თავსა  
ზედა შენსა

16. მით, რამეთუ ვითარსახედ ჰსუემდ მათსა ზედა წმიდასა ჩემსა, სუმი-  
დენ ყოველნი ნათესავნი, ღუნოსა სუმიდენ და შთასთჳმიდენ და იყვენენ, ეი-  
თარცა არაყოფილნი.

გ 17. ხოლო შორის მათსა სიონსა იყოს მაცხოვარებამ, და იყოს წმიდამ,  
და დაიკვდრენს სახლმან იაკობისამან დამამკვდრებელნი მათნი.

18. და იყოს სახლი იაკობისა ცეცხლი და სახლი იოსებისი-ალ, ხოლო  
ესავისი — ლელწამ. და აღატყდენ მათ ზედა და შეიჳამნენ იგინი. და არა  
აყოს მეცეცხლე სახლსა ესავისსა, რამეთუ უფალმან თჳუა:

19. და დაიმკვდრონ ნაგეისშინათა მთამ ესავისი, და სეფილასშინათა უც-  
ხოტომნი იგი. და დაიმკვდრონ მთამ იგი ეფრემისი, და ველი სამარიამსამ,  
და ბენიამენი და გალაადიტი.

ჴ 20. და გარდასახლებისა დასაბამი ესე არს ძეთა ისრაჳლისათა: ჳუეყა-  
ნამ ჳანანელთამ ვიდრე სარეფთონდმდე და გარდასახლებამ იერუსალიმისამ  
ვიდრე ეფრათადმდე. და დაიმკვდრნენ ჳალაჳნი ნაგესისნი.

21. და აღვიდოდინ განრინებულნი მთისაგან სიონისა, შურისძიებად მთა-  
სა ესავისსა და იყოს უფლისა მეუფებამ.

14. მოწყუედად S. 16. ჰსუემდ S. იყვენენ S. 18. თჳუათჳუეა S. 20. ოშლიმასამ S.  
21. აღვიდოდინ S. უფლისა S.

## წინაწარმეტყველება იონასი

### 1

ა 1. და იქმნა სიტყუაჲ უფლისაჲ იონამს მიმართ, ძისა ამათიანისა, მეტყუელი: აღდეგ და წარვედ ნინევედ, ქალაქად დიდად, და ქადაგე მას შინა. და აღმოვიდა ღალადება უკეთურებისა მისისაჲ ჩემდამო.

3. და აღვიდა იონა სივლტოლად თარშიდ პირისაგან უფლისა, და შთავიდა იოპედ და პოვა ნავი, მიმავალი თარშიდ, და მისცა სანავე მისი და აღვიდა მისდამი ცურვად მათ თანა თარშიდ მიმართ პირისაგან უფლისა.

ბ 4. და უფალმან აღადგინა ქარი ზღუაჲსა შინა და იქმნა ღელვა დიდი შორის ზღუსა. და ნავი დაჭირვებულ იქმნებოდა შემუსრვად.

5. და შეშინდეს მენაენი. და კმობდა კაცად-კაციდი ღმრთისა მიმართ თვისისა და გარდაყრად ქმნეს ნავისშინათა კურკელთა ზღუად აღსუბუქებად მათგან. ხოლო იონა შთავიდა უბესა ნავისასა, და ეძინა და ხურინევდა.

6. და მოვიდა მისდამი მეპრორე და ჰრქუა მას: რასა ჰხურინავ შენ? აღდეგ და ჰხადე ღმერთსა შენსა, უკუეთუ ვითარ მაცხოვნენს ჩუენ ღმერთმან და არა წარვწყმდეთ.

7. და თქუან, თითოეულმან მოყუსისა მიმართ თჳსისა მოვედით, ვყარნეთ წილნი და ვსცნათ, ვისთვის არს სიბოროტე ესე ჩუენ ზედა. და ყარნეს წილნი და დაეარდა წილი იონას ზედა.

გ 8. და თქუეს მისდამი: მითხარ ჩუენ, რასათვის არს სიბოროტე ესე ჩუენ შორის, რაჲ არს მოქმედებაჲ შენი და ვინა მოხუალ და სადა წარხუალ, და რომლისა სოფლისა და რომლისა ერისაგან ხარ შენ?

9. და თქუა მათდა მიმართ: მონად უფლისაჲ ვარ მე. და ღმერთსა ცისასა ვეშიშვი მე, რომელმან შექმნა ზღუაჲ და კმელი.

10. და შეეშინა კაცთა შიში დიდი და თქუეს მისდამი: რაჲ ესე ჰყავ მით, რამეთუ აგრძნეს კაცთა, ვითარმედ პირისაგან უფლისაჲ იყო მტოლოვარე, რამეთუ მიუთხრა მათ).

11. და თქუეს მისდამი: რა გიყოთ შენ? და დასცხრეს ჩუენ ზედა ზღუაჲ, რამეთუ ზღუაჲ ვიდოდა და უფროს აღადგენდა ღელვათა.

დ 12. და თქუა იონამან მათდა მიმართ: აღმიღეთ მე და შთაამაგდეთ ზღუად და დაყუდნენს თქუენგან ზღუაჲ მით, რამეთუ ვსცნობ მე, ვითარმედ ჩემთვის არს ღელვა ესე დიდი თქუენ ზედა.

13. და იბულებოდეს კაცნი მიქცევად ქუეყანად მიმართ და ვერ შეუძლებდეს, რამეთუ ზღუაჲ ვიდოდა და უფროს აღდგებოდა მათ ზედა.

14. და კმა-ყუეს უფლისა მიმართ და თქუეს: ნუსადა უფალო, ნუ წარვეწყმდებით სულისათჳს კაცისა ამის და ნუ გუცემ ჩუენ ზედა სისხლსა მართალსა მით, რამეთუ შენ, უფალო. ვითარცა სახედ გენება, ჰყავ.

15. და მოიყუანეს იონამ და შთააგდეს იგი ზღუად. და დადგა ზღუად რყევისაგან მისისა. და შეეშინა კაცთა მათ შიში დიდი უფლისაჲ და ამსხუერბლეს მსხუერბლი უფალსა და აღთქუნეს აღთქმანი.

## 2

ა 1. და უბრძანა უფალმან ვეშაჰსა დიდსა შთანთქმად იონა \*და იყო იონა მუცელსა შინა ვეშაჰისასა სამ დღე დაა სამ ღმე.

2. და ილოცა იონა უფლისა მიმართ ღმრთისა მისისა მუცლით გამო ვეშაჰისთვის.

3. და თქუა: \*\*ლალად-ვყავ ჰირსა შინა ჩემსა უფლისა მიმართ ღმრთისა ჩემისა და შეისმინა ჩემი მუცლისაგან ჯოჯოხეთისა ღალადებისა ჩემისა, გესმა კმისა ჩემისა.

4. განმაგდე მე სიღრმედ მიმართ გულისა ზღუსა და მდინარეთა მომიცვეს მე, ყოველნი განსაცხრომელნი შენნი და ღელვანი შენნი ჩემ ზედა გარდაჯდეს.

5. და მე ვთქუ: განვიგდე თუალთა შენთაგან, სადმე შე-ღა-ვსძინო მიხედვად ტაძრისა მიმართ წმიდისა შენისა.

6. \*\*\*გარემომესხა მე წყალი, ვიდრე სლუად ჩემდამდე, უფსკრულმან მომიცვა მე უკანადასკენელმან, დავდა თავი ჩემი

7. ნაბრალეგზა მთათასა, შთავეედ ქუეყანად, რომლისა მოქლონნი მისნი კლატე საუქუნებ. და აღმოვედინ ხრწნისაგან ცხოვრება ჩემი.

8. შენდამი უფალო, ღმერთო ჩემო. მოკლებასა შინა ჩემგან სულისა ჩემისასა. უფალი მოვიცხენე და შევედრნ შენდამი ლოცვა ჩემი, ტაძრით მიმართ წმიდისა შენისა.

9. მცველთა ამოსა და ცრუსათა წყალობა მათი დაუტევეს,

გ 10. ხოლო მე კმისა თანა ქებისა და აღსარებისასა გამსხუერბლო შენ. რავდენი ეილოცე, კუალად გაგო შენ მაცხოვარებად ჩემდა უფალსა.

11. და ებრძანა უფლისა მიერ ვეშაჰსა და განაგდო იონა კმელსა ზედა.

## 3

ა 1. და იქმნა სიტყუად უფლისაჲ იონას მიმართ მეორედ მეტყუელი:

2. აღდეგ და წარვედ ნინევედ ქალაქად დიდად. და ქადაგე მას შინა ქადაგებისაებრ წინასწარისა, რომელი მე ვთქუ შენდამი.

3. და აღდგა იონა და წარვიდა ნინევედ, ვითარცა თქუა უფალმან. ხოლო ნინევი იყო ქალაქი დიდი ღმრთისაჲ, ვითარცა სავალი გზისა სამთა დღეთასა.

4. და იწყო იონამან სლუად ქალაქად, ვითარ სავალსა დღისა ერთისასა და ქადაგა და თქუა: მერჲე სამნიღა დღენი და ნინევი დაიქცეს.

14. კმა ყუეს S. უფლისა S. თქუეს S. 15. ზღუად S. ამსხუერბლეს S. მსხუერბლი S. 1. იონა S. 2. უფალსა S. ღმრთისა S. 3. თქუა S. უფლისა S. ღმრთისა S. 9. ამოსაჲ ამოსა S. 10. გამსხუერბლო S. 11. უფლისა S. 3. თქუა S. 4. თქუა S.

\* შთე. 12. გ. 40. და. 16. ა. 4. ლუე. 11. 30. \*\* 1. კორ. 15. ა. 4. ფსლ. 11. ა. 2. \*\*\* ფსლ. 68. ა. 1.

ბ 5. \*დაემორწმუნნეს კაცნი ნინევისანი ღმერთსა. და ქადაგეს მარ-  
ზევაჲ და შეიმოსეს ძაძაჲ დიდითგან მათით, ვიდრე მცირედ მათდა.

6. და მიეახლა სიტყუა მეფისა მიმართ ნინევისა, და აღდგა საყდრისაგან  
მისისა და მოიძარცუა შესამოსელი მისი მისგან, და გარემოირტყა ძაძაჲ, და  
დაჯდა ნაცარსა ზედა,

7. და იქადაგა და ითქუა ნინევს შინა მეფისა მიერ. და დიდ-დიდთა მისათა  
მეტყუელთა: და კაცნი და საცხოვარნი და ზროხანი და ცხოვარნი ნუ იგემებენ  
ნურარას. და წყალსა ნუ სმენ, ნუცა ძოენ.

8. და გარემოირტყეს ძაძაჲ კაცთა და საცხოვართა და ღალად-ყუეს  
ღმრთისა მიმართ გულსმოდგინედ და მოაქცია კაცადმან გზისაგან თვისისა ბო-  
როტისა და სიტრუისაგან კელთა მათთაშინაჲსა მეტყუელთა:

9. \*\*ვინ უწყის მო-თუ-აქციოს უფალმან და ვედრებულ იქმნეს. და მოიქ-  
ცეს რისხვისაგან გულსწყრომისა მისისა და არა წარვწყმდეთ?

10. და იხილნა ღმერთმან საქმენი მათნი, რამეთუ მოაქციეს გზათაგან  
მათთა ბოროტთა და შეინანა ღმერთმან სიბოროტესა ზედა, რომელი თქუა  
ყოფად მათდა და არა უყო.

4

ა 1. და შეწუხნა იონაჲ მწუხარებითა დიდითა და შეირია.

2. და ილოცა უფლისა მიმართ და თქუა; მ უფალო, არა ესე იგი სიტყუანი  
ჩემნი არიან, ვიყავ რაჲ მე ქუეყანასა შინა ჩემსა, ამისთვის წინაუსწრვე  
სივლტოლად თარშიდ მით, რამეთუ \*\*\*უწყოდე, ვითარმედ შენ ღმერთი შემ-  
წყნარებელი ხარ და მოწყალე, სულგრძელი და მრავალწყალობაჲ, და შემ-  
ნანებელი სიბოროტეთა ზედა.

ბ 3. და აწ, მეუფეო, უფალო, მიმიღე სული ჩემი ჩემგან, რამეთუ კე-  
თილ არს ჩემდა სიკუდილი, ვიდრე სიცოცხლე.

4. და ჰრქუა უფალმან: ფრიად სწუხსა შენ? და თქუა იონა: ფრიად და  
ვიდრე სიკუდილმდე.

5. და განვიდა იონა ქალაქისაგან და შექმნა თვსად კარავი მუნ წინაშე  
ქალაქისა. და დაჯდა ქუეშე მისსა შორის ჩრდილისა, ვიდრე არა იხილოს, რაჲ  
ეყოს ქალაქსა.

გ 6. და უბრძანა უფალმან ღმერთმან აყიროსა და აღმოკდა ზეშთა თავსა  
იონასსა ყოფად ჩრდილი ზედა კერძო თავისა მისისა დაგრილებსითვის მისისა  
ბოროტისა მისგან სიცხისა და განიხარა იონა აყიროსა ზედა სიხარული დიდი.

7. და უბრძანა ღმერთმან მატლსა განთიადისასა. ხუალისაგან და დასცა  
აყიროსა და განკმა.

8. და იქმნა მეცხეთლად აღმოსლვასა მზისასა. და უბრძანა უფალმან  
ღმერთმან სულსა ცხელსა შემწუელსა და სცა მზემან თავსა ზედა იონასსა და  
სულმოკლებდა და დაეთხოვბოდა სულსა მისსა. და თქუა: კეთილ არს ჩემდა  
სიკუდილი ჩემი, ვიდრე სიცოცხლე.

7. მეფისა S. 8. ღალადყუეს S. ღმრთისა S. მეტყუელთა S. 9. რისხვისაგან S. 10. თქუა  
S. 2. თქუა S. 4. გრქუა S. თქუა S. 5. ქუეშე S. 8. შემწუელსა S.

\* მთე. 12. გ. 41. ლუკ. 11. გ. 32. \*\* იერ. 18. ბ. 11. იონე. 2. გ. 14. \*\*\* ფსლ.  
85. ა. 5. იოელ. 2. გ. 13.

დ 9. და თქუა უფალმან იონამს მიმართ: უკეთუ ფრიად სწუხ შენ აყიროსა ზედა და თქუა: ფრიად ვწუხ მე, ვიდრე სიკუდიდმდე.

10 და თქუა უფალმან: შენ ჰრიდე აყიროსა ძლით, რომლისა ძლით არა ძვრად იენე, არცა განჰზარდე იგი, რომელი ღამესა შინა იქმნა და ღამესა შინა წარწყმდა,

11. ხოლო მე არა ვპრიდო ნინევისა ძლით ქალაქისა დიდისა, რომელსა შინა დამკვდრებულ არიან მის შორის უმრავლესნი ვიდრე ათორმეტნი ბევრნი კაცთანი, რომელთა ვერ ცნეს მარჯუენე მათი, ანუ მარცხენე და საცხოვარი მრავალი?

---

11. მარჯუნე S.



## წინაწარმეტყველება მიქიასი

### 1

ა 1. სიტყუაჲ უფლისაჲ, რომელი იქმნა მიქეაჲს მიმართ მორათისსა. დღეთა იოათამისთა და აქაზისთა, და ეზეკიასთა, მეფეთა იუდაისტასა, რომელთათჳს იხილა სამარიაჲსთჳს და იერუსალიმისა.

2. \*ისმინეთ ერთა ყოველთა და ერჩდინ ქუეყანაჲ და ყოველნი მისშორისნი. და იყავნ უფალი ღმერთი თქუენ შორის მოწამედ, უფალი, სახლით გამო წმიდით მისით

3. \*\*მით, რამეთუ, აჰა, უფალი გამოვიდეს ადგილისაგან მისისა. და შთავიდეს და აღვიდეს სიმილეთა ზედა ქუეყანისათა.

4. და შეირყინენ მთანი ქუეშე კერძო მისსა. და კევენებნი დადნენ, ვითარცა ცული პირისაგან ცეცხლისა და ვითარცა წყალი შთამომდინარი შთამოდმართსა.

ბ 5. უთნოობისათჳს იაკობისსა ყოველნი ესე და ცოდესათჳს სახლისა ისრაჲლისა. რაჲ არს უთნოობა იაკობისი — არა სამარიაჲ? და რაჲ ცოდვაჲ სახლისა იუდაისი — არა იერუსალმში?

6. და დავდვა სამარიაჲ ხილის საცავად ველისა, დასარგავად ვენაჯისა, და შთავკადნე სიღრმედ ქვანი მისნი და საფუძველნი მისნი გამოვაჩინნე.

7. და ყოველნი ქანდაკებულნი მისნი დაკოდნენ, და ყოველნი სასასყიდლონი მისნი დაწუნენ ცეცხლითა, და ყოველნი კერპნი მისნი დაესხნე უჩინო საქმნელად მით, რამეთუ სასასყიდლოთაგან სიძვისათა შეკრიბნა და სასასყიდლოთაგან სიძვისათა მოიქცა.

გ 8. ამისთჳს იგლოვდეს და ტროოდეს და ვიდოდეს უკამლოჲ. და შიშუელმან ყოს ტყება, ვითარცა ვეშაპთა და გლოჲ, ვითარცა ასულთა სირონოსთასაჲ

9. მით, რამეთუ არა დადგა წყლულება მათი მით, რამეთუ მიიწია ვიდრე იულადმდე და შეახო ვიდრე ბქემდე ერისა ჩემისა ვიდრე იერუსალიმამდე.

10. გეთისშინანი ნუ განსდიდნებით, ენაქიმეთნი ნუ აღეშენებით სახლისაგან საცინელისა. მიწაჲ გარდაისხთ საცინელად თავთა თქუენდა.

11. დამკვდრებულმან კეთილად ქალაქთა მისთა არ გამოვიდა დამკვდრებული სენაარს. ეტყებდით სახლსა მახლობელსა მისსა. მოღებულ იქმნეს თქუენგან წყლული საღმობისაჲ.

12. ვინ იწყო კეთილთა მიმართ დამკვდრებულმან საღმობათა, რამეთუ შთამოვიდეს ბოროტი უფლისა მიერ ბქეთა ზედა იერუსალმისათა.

1. იწლიმისა S. 4. ქუეშე S. 5. იწლი S. 6. საფუძველნი S. 8. შიშუელმან S. 12. ბოროტი S. უფლისაჲ S. იწლუსლმ-სათა S.

\* ეს-ია. 1. ა. 2. \*\* 2 სქუ. 32. ა. 1. ეს-ია. 26. დ. 21.

13. ბგერად საჭურველთა და ცხენოსანთა. დამკვდრებელი ლაქის წინამძღუარი ცოდვისა, არს შორის ასულსა სიონისსა, რამეთუ შენ შორის იპოვნეს უთნობანი ისრაჴლისანი.

დ 14. ამისთვის მოგცენ განვლინებულნი ვიდრე სამკვდრებელამდე გეთისა. სახლნი ამონი ცუდად იქმნეს მეფეთათჳს ისრაჴლისათა,

15. ვიდრემდის მკვდრთა მოგგური შენ, დამკვდრებულო ლაქის სამკვდრებულოთ, ვიდრე თოლოამდამდე მოვიდეს დიდებაჲ ასულისა სიონისა.

16. დაჲყუნე და აღიქუეცე, შეილთა შენთა ზედა ჩხვლთა განავრცე აღბარსვაჲ შენი, ვითარცა არწივმან, რამეთუ წარიტყუნენს შენგან.

## 2

ა 1. იქმნეს შემრაცხელ შრომათა და მოქმედ ძვრთა. საწოლთა ზედა მათთა და მეყსეულად დღისი და ნათლივ აღასრულებდეს მათ მით, რამეთუ არა აღიხუნეს ღმრთისა მიმართ კელნი მათნი.

2. გული უთქმიდა აგარაკებთა და იტაცებდეს ობოლთა და სახლებსა ჰმძლავრობდეს. და დაიტაცებდეს კაცსა და სახლსა მისსა, კაცსა და სამკვდრებელსა მისსა.

3. ამისთვის, ამით იტყუს უფალი, აჰა, მე ვგულის-ვისიტყუავე ტომსა ამას ზედა ბოროტთა, რომელთაგან ვერ აღიხუმიდეთ ქედთა თქუენთა და ვერ ხულოდით მართლიად, რამეთუ ესამი ბოროტი არს.

ბ 4. მას დღესა შინა მოღებულ იქმნეს თქუენ ზედა იგავი. და იგოდებოდეს გოდებაჲ, კილოათა მეტყუელი: საარებმაჲ ვისაარებეთ. ნაწილი ერისა ჩემისა განინაწილა ვითარცა საბელითა. და არა იყო მაყენებელი მისი მოქცევად, აგარაკნი ჩუენნი განინაწილნეს.

5. ამისთვის არა იყოს შენდა დამდებელ საბლსა წილსა შორის ეკლესიასა შინა უფლისასა.

6. ნუ სტირთ ცრემლითა, ნუცა ცრემლოიან ამით ზედა, რამეთუ არცა განეშოროს ყუედრება.

7. მეტყუელი: სახლმან იაკობისამან განარისხა სული უფლისაჲ, უკეთუ ესენი სიმარჯუე მათდა არიან. არა სიტყუანი მისნი კეთილ მის თანა და აღმართებით ვილოდიან და წინაშე ერი ჩემი

8. მტერად აღუდგა წინაშე მშულობისა მისისა. ტყავი მისი განჯადეს მიღებად სასოებისა შემუსრვაჲ ბრძოლისაჲ.

გ 9. ამისთვის წინამძღუარნი ერისა ჩემისანი განვარდენ სახლთაგან შუებინა მათისათჳ, ბოროტათჳს სიმარჯუეთა განცვეს. მიეახლენით მათათა საუკუნეთა.

10. აღდეგ და ვილოდე, რამეთუ არა არს შენდა განსუენება. არაწმინდებისათჳს განიხრწნენით ხრწნილებითა.

11. იდევენით არცა ერთის ვის მდევრობასა, რომელი დამტკიცნა ტყუილთა. გწოლდა შენ ღუნოდ და მთრეალობად, და იყოს ქუეყანისაგან წუეთი ერისა ამის.

13. ცოდვისა S. ოშლისანი S. 14. მოცნე S. ოშლისათა S. 16. აღიქუეცე S. შელთა S. წარიტყუნენს S. 1. ღმრთისა S. 4. იგოდებოს S. მეტყუელი S. მაყენებელი S. 5. ეკლესიასა S. 6. ყუედრება S. 7. მეტყუელი S. სიმარჯუე S. ვილოდნ S. 9. შუებინა S. სიმარჯუელთა S. 10. განსუენება S. 11. წუეთი S.

დ 12. შეკრებული შეკრბეა იაკობ, ყოვლისა თანა მომლოდე მოველოდი ნეშტთა ისრაჲლისათა. დავდვა მოქცევად მათი, ვითარცა ცხოვარნი ჳირსა შინა, ვითარცა სამწყსო საშუალ საწოლისა მათისა განვლიდენ, კაცთაგან

13. განკუთუთილებისათუს ჳირსა მათისა განკუთუთეს და განვლეს ბჳე და განვიდა მისგან. და განვიდა მეფე მათი წინაშე ჳირსა მათსა, ხოლო უფალი უძლოდის მათ.

3

ა 1. და თჳუას: ისმინენით ესენი, მთავარნო სახლისა იაკობისანო და ნეშტნო ძეთა ისრაჲლისათანო, არა თჳუენი არს ცნობად მსჯავრი,

2. რომელთა გძულან კეთილნი და ეძიებთ ბოროტთა, მტაცებელნი ტყავთა მათთანი მათგან

3. და კორცთა მათთანი ძულთაგან მათთა, ვითარსახედ შეჳამნეს კორცნი ერისა ჩემისანი და ტყავნი მათნი განჳკადნეს ძულთა მათთაგან. და ძულანი მათნი შემჳარნეს და ასოეულ ყვენს, ვითარცა კორცნი სიავისა მიმართ და ვითარცა დრონეული ჳოთნისა მიმართ.

4. ეგრეთ ჳმობდენ უფლოსა მიმართ, და არა შეისმინოს მათი. და მიიქციოს ჳირი თუსი მათგან მას ეჳმსა შინა მის წილ, რომელ იბოროტეს სიმარჯუეთა მიერ მათთა.

5. ამთ იტყუს უფალი წინაწარმეტყუელთა ზედა, მაცთუნებელთა ერისა ჩემისათა, მკბენელთა გზათა შორის მათთა. და მჳადაგებელთა მჳუდობასა მის ზედა და არა მისცა ჳირსა შინა მათსა წმიდა-ყუეს მის ზედ ბრძოლად.

6. ამისთუს ლამე იყოს თჳუენდა ხილვისაგან, და ბნელ იყოს თჳუენდა მისნობისაგან, და დაჳტდეს მზე წინაწარმეტყუელთა ზედა, და დაბნელდეს მათ ზედა დღე,

7. და სირცხულულ იჳმნენ მხილველნი სიზმართანი, და საცინელ იჳმნენ მისანი, და ძაროსმეტყუელებდენ ძუნად მათდა ყოველნი იგი მით, რამეთუ არა არს, რომელი ერჩდეს მათ.

8. არა თუ მე აღვაგსო ძალი სულითა უფლისაჲთა და მსჯავრითა და ძლიერებითა მოთხრობად იაკობსა უთნობანი მისნი და ისრაჲლსა ცოდვანი მისნი.

9. ისმინენით ესე წინამძღუართა სახლისა იაკობისათა. და ნეშტთა სახლისა ისრაილისათა, რომელთა გძულს მსჯავრი და ყოველთა მართალთა გულარძნილ-ჳყოფთ.

10. რომელნი აშენებთ სიონსა სისხლისა მიერ და იერუშალიმს უსამართლოებათა მიერ.

11. წინამძღუარნი მისნი ჳრთამისა თანა შჯიდეს, და მლდელნი მისნი სასყიდლისა თანა მიუგებდეს, და წინაწარმეტყუელნი მისნი ვეცხლისა თანა მისნობდეს, და უფლისა ზედა განისუენებდეს მეტყუელნი: არა უფალი ჩუენ შორის არს? არა მოვიდენ ჩუენ ზედა ძერსნი.

დ 12. ამითუს თჳუენ: ძლით \*სიონი, ვითარცა ყანაჲ, მოიერჳუნოს, და იერუშალჳმი ხილის საცავად იყოს, და მთაჲ სახლისა უფლისაჲ სერტყად მღნარისად.

13. განკუთუთილებისათუს S. განკუთუთეს S. 4. უფლისა S. სიმარჯუეთა S. 11. უფლისა S. განისუენებდეს S. 12. იმჳლი S.

\* ეზეჳ. 22. ე. 27. სოფ. 3. ა. 3. \*\* იერ 26. ე. 18.

ა 1. და იყოს უქანასკნელთა ღღეთასა საჩინოდ მთად უფლისად განმზადებულ თხემებსა ზედა მნათასა და განსაცხრომელ იქმნეს ზეშთა ზედათ ბორცუთასა და მიისწრაფდენ მისდაში ერნი მრავალნი.

2. \* და მოვიდოდინან ნათესავნი მრავალნი და იტყოდინან: მოვედით, აღვიდეთ სახიდ უფლისა და სახლისა მიმართ ღმრთისა იაკობისსა და მიჩუენონ ჩუენ გზად მისი და ვიდოდით შორის ალაგათა მისთა, რამეთუ სიონისგან გამოვიდეს სჯული და სიტყუა უფლისად ისრაჴლისაგან.

ბ 3. და შვიდეს შორის ერთა მრავალთა და ამხილოს ნათესავსა ძლიერსა ვიდრე შორადმდე. და დაშკრიდენ მახულებსა მათსა საცნისად, და შუბებსა მათსა მანგლად და არა მერმე არ აღილოს ნათესავმან ნათესავსა ზედა მახული და არლა ისწავებდენ მერმე ბრძოლასა.

4. და განისუენებდეს კაცადი ქუეშე ვენაცსა თუსსა, და კაცადი ქუეშე კერძო ლეღვისა თუსისა და არა იყოს მაშინებელი, რამეთუ პირი უფლისა ყოველისა მპყრობელისა იტყოდა ამათ:

5. ვითარმედ ყოველნი ერნი ვიდოდინან — თითოეული გზასა თუსსა, ხოლო ჩუენ ვიდოდით სახელითა უფლისა ღმრთისა ჩუენისათა საუტუნოდ და მიერ კერძო.

6. მას ღღესა შინა იტყუს უფალი: შეეკრიბო შემუსრვილი და განგდებული შევიწყნარო და რომელნი განეყარენ

7. \*\* და დავედა შემუსრვილი ნეშტად და განგდებული ნათესავად ძლიერად \*\*\* და მეფობდეს უფალი მათ ზედა სიონით გამო, ამიერთგან და ვიდრე უკუნისამდე.

8. და შენ გოდოლი სამწყსომასაჲ, მაგარი — ასული სიონისაჲ! შენ ზედა მოიწია და მოვიდეს დასაბამი მთავრობაჲ, პირველი მეფობაჲ ასულსა იერუსალმისსა.

9. და აწ რაასათუს სცნენ ბოროტნი? ნუ მეფე არა იყო შენდა, ნუ განზრახვა შენი წარწყმდა, რამეთუ დაგიპყრეს შენ სალმობათა, ვითარცა მშობისათა.

10. ილმობდ და განმენდი, ასულო სიონისაო, ვითარცა მშობი მით, რამეთუ აწ გამოვიდეს ქალაქისაგან და დაემკდროს შორის ველსა და მივიდეს ვიდრე ბაბილონადმდე, მიერ განგარინოს შენ, და მუნით გიქსნას შენ უფალმან ღმერთმან შენმან კელისაგან მტერთა შენთასა.

11. და აწ ზედა შეკრბეს შენ ზედა ნათესავნი მრავალნი მეტყუელებნი: მოვსცხრებთ, და ზედდახედნენ სიონსა ზედა თუალთა ჩუენთა.

12. და მათ ვერ აგრძენს გულისსიტყუა უფლისაჲ და არ გულისხმა-ყუეს განზრახვაჲ მისი, რამეთუ შეკრიბნა იგინი, ვითარცა მკელეულნი კალოსანი.

დ 13. აღდეგ და კალოებდ მათ, ასულო სიონისაო, რამეთუ რქანი შენნი დაესხნენ რკინებად, და კლიენი შენნი რვალებად. და დაამწულიონენ ერნი მრავალნი დ დაანუენ მათ მიერ ნათესავნი. და შესუენებულ ჰყო უფლისაჲ სიმრავლე მათი და ძალი მათი უფლისა ყოველისა ქვეყანისა.

2. მოვიდოდინ S. უფლისაჲ S. ღმრთისაჲ S. მიხუენონ S. იტყოდინ S. აღვიდეთ S. 4. განსუენებდეს S. ქუეშე S. 5. ვიდოდინ S. უფლისაჲ S. საუტუნოდ S. ღმრთისაჲ S. საუტუნოდ S. 8. იწმლისაჲ S. 12. გულისხმა ყუეს S. 13. შესუენებულ S. უფლისაჲ S.

\* ესა. 2. ა. 2. \*\* სოუ. 3. დ. 19. ლუკ. 1. ე. 33. \*\*\* დნიე. 7. დ. 14.

## 5

ა 1. აწ შეიზღუდოს ასული ეფრემისი ზღუდისა მიერ; შეწყუდებია: განაწესა თქვენ ზედა, კუერთხითა სცემდენ ლაწუთა ზედა ტომთა ისრაჲლისათა.

2. \*და შენ, ბეთლემ, სახლი ეფრათასი, მცირე ხარ ყოფად ათასეულთა შორის იუდასთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს ჩემდად ყოფადი, მთავრად ისრაჲლისა ზედა და გამოსავალნი მისნი დასაბამით დღეთაგან საუკუნოჲსათა.

3. ამისთვის მისცეს მათ, ვიდრე ეამადმდე შობისა შუეს. და ნეშტნი ძმათა მისთანი მოიქცენ ძეთა მომართ ისრაჲლისათა.

4. და დადგეს და იხილოს და მწყისიდეს სამწყისოსა მისსა ძლიერებით უფალი და დიდებისა მიერ სახელისა უფლისა ღმრთისა მათისა იუენენ მით, რამეთუ განდიდნენ აწ ვიდრე კიდეთამდე, ქუეყანისათა.

5. და იყოს ესე მშვიდობაჲ, ოდეს ასურასტანელი მოვიდეს ქუეყანასა ზედა თქუენსა და აღდგენ მის ზედა შუენი მწყემსნი და რვანი წყლულეზანი კაცთანი.

6. და მწყისიდენ ასურსა მახლისა მიერ და ქუეყანასა ნავროდისსა საზღუარსა შინა მისა, და გიგსნას შენ ასურისაგან, ოდეს მოვდეს ქუეყანასა ზედა თქუენსა და ოდეს ზედაღვდეს საზღუართა ზედა თქუენთა.

7. და იყოს დაშთომილი იაკობისი საშუალ ერთა მრავალთა, ვითარცა ცუარი დაჯრდომილი უფლისა მიერ და ვითარცა წუეთი კლერტსა ზედა, რათა არ შეკრბეს არცა ერთი, არცა შემტკიცნეს შორის ძეთა კაცთასა.

გ 8. და იყოს დაშთომილი იაკობისი წარმართთა შორის საშუალ ერთა მრავალთა, ვითარცა ლომი საცხოვართა შორის მალნარსა შინა და ვითარცა ლეკუ სამწყისოსა შორის ცხოვართასა, ვითარსახედ ოდეს განვლოს და განმთესველმან მიიტაცოს, და არა იყოს განმართებელი.

9. ამაღლდეს კელი შენი მაჰირეებულთა ზედა შენთა და ყოველნი მტერნი შენი მოისრნენ.

10. და იყოს მას დღესა შინა, — იტყუს უფალი, — და მოვსრნენ ჰუნენი შენი შორის შენსა და წარვწყმედნენ ეტლნი შენნი.

11. და მოვსპნენ ქალაქნი ქუეყანისა შენისანი და აღვიხუნენ ყოველნი სიმაგრენი შენნი. და აღვიხუნენ ყოველნი გრძნებანი შენნი კელთაგან შენთა და აღმომკომბელნი არა იუენენ შენდა.

12. და მოვსპნენ ქანდაკებულნი შენნი და ძეგლნი შენნი შორის შენსა. და არღა მერმე ართაყუანისსცე ქმნულეზსა კელთა შენთასა.

13. და აღმოვსპრნენ სერტყებნი საშუალისაგან შენისა და ვაუჩინოვნენ ქალაქნი შენნი.

14. და ვყო რისხვისა მიერ და გულისწყრომისა მის შურისძიებაჲ ნათესავთა შორის მათ წილ, რომელ არა მერჩდეს მე.

## 6

ა 1. ისმინენით აწ, რომელნი უფალმან თქუნა: აღდგით და განისაჯენით მათაა მიმართ და ისმინეთ ბორცუთა კმისა შენისაჲ.

1. კლმრთხითა S. 3. შუქს S. 4. უფლისა S. ღმრთისა S. 7. უფლისა S. წუთი S. 14. რისხვისა S.

\* მთე. 2. ა. 6. იწე. 7. ვ. 42.

2. ისმინეთ ბორცუთა მსჯავრი უფლისაჲ და ლელეთა საფუძველთა ქუეყანისათა, რამეთუ საშველ არს უფლისაჲ ერისა მიმართ მისისა და ისრაჴლისათანა პაექრობა ყოს.

3. \*ერო ჩემო, რაჲ გიყავ შენ, ანუ რაჲთა შეგაწუხებ შენ, ანუ რაჲთა აღგაშფოთებ შენ? მომიგე მე!

4. მით, რამეთუ აღმოგიყვანებ შენ ქუეყანისაგან ეგვიპტისა და სახლისაგან მონებისა განგათავისუფლებ შენ, და განვაკლინენ წინაშე პირსა შენსა მოსე და აპრონ და მარიამი?

5. \*ერო ჩემო, მოიხსენებ, რაჲ იზრახა ძენად შენდა ბალაჲ, მეფემან მოაბისმან და რაჲ-იგი მიუგო მას ბალაჲმ, ძემან ბეორისმან, საზომელთაჲთგან ვიდრე გაღვალამდე, რათა საცნაურ იქმნეს სიმართლე უფლისაჲ.

6. რაჲსა მიერ ვეწიო უფალსა, და შევეწიო ღმერთსა ჩემსა მადალსა? უკუეთუ მე ვეწიო მას ყოვლად დასაწუელთა მიერ ზუარაკთა მიერ წელიწადულთა?

7. უკეთუ შეიწყნარებეს უფალი ათასეულთა შორის ვერძთა, ანუ ბევრეულთა შორის ვაცთა მსუქანთა, უკეთუ მივსცნებ პირშომნი ჩემნი უთნობობისათეს, ნაყოფი მუცლისა ჩემისაჲ ცოდვისათეს სულისა ჩემისა?

8. მიგებობრა შენ, შ კაცო, რაჲ კეთილ, ანუ რაჲსა ეძიებ შენგან უფალი, არამედ ქმნასა მსჯავრისასა და შეყუარებასა წყალობისასა და მზად-ყოფასა სლვად უფლისა თანა ღმრთისა შენისა.

9. კმაჲ უფლისაჲ ქალაქსა ზედა იწოდოს, და აცხოვნებს მოშიშნი სახელის მისისანი, ისმინენ ტომმან და ვინ შეამკოს ქალაქი,

10. არა ცეცხლმანა? და სახლი უსჯულოთასა, რომელი იუნჯებს საუნჯეთა უსჯულოთა და გინებისა თანა უსამართლომხა.

11. და უკეთუ გამართლდეს უღლისა შორის უსჯულოჲ და გამკარანისა შორის საწონისა ზაკულისა,

12. რომელთაგან სიმდიდრე მათი უთნობობითა აღავსეს, და დამკვდრებულნი მისნი იტყოდეს ცრუსა, და ენაჲ მათი ამადლდა პირისაგან მათისა.

13. და მე ვიწყებ დაცემად შენდა და უჩინო გყოფ შენ ცოდვითა შენთათეს.

14. შენ სჯამო და არა განსძღე. და დაბნელდეს შენ შორის, და შეპყრობილ-იქმნე და შენ ვერ განერე. და რაოდენიცა განერნენ, მახვლსა მიეცნენ.

15. \*\*\*შენ სათესო და ვერ მოიმიკო. შენ სწინებდე ზეთსა, და შენ ვერ იცხო ზეთი. და ჰქმნა ღვინო, და ვერ ჰსუა.

16. და უჩინო იქმნეს შჯული ერისა ჩემისაჲ და ყოველნი საქმენი სახლისა აჭაბისნი. და ვიდოდენ ნებათა შინა მათთა, რათა მიგვე შენ უჩინო საქმენლად და შორის დამკვდრებულნი მისნი დასატვნეველად და ყუედრება ერისაჲ მიიღოთ.

## 7

ა 1. ვაჲ მე, რამეთუ ვიქმენ ვითარცა შემკრებელი კუილისა ნამკალსა შორის და ვითარცა კუფხალი ნასთულეზსა შორის არყოფასა ტევნისასა ჰამად (პირველ ნაყოფთა).

2. საფუძველთა S. 4. შესაქშა S. 5. იქმნეს S. 8. მ• S. უფლისა S. ღმრთისა S. 16. ყუედრება S.

\* ერ. 2. ა. 4. \*\* რეცხ. 22. ა. 5. და 23. ა. 7, \*\*\* 2, სჯუ. 28. დ. 38. ანგი. 1. ბ. 6.

2. ვამ მე სულო, რამეთუ წარწყმდა განკრძალული ქუეყანით და წარმმართვებელი კაცთა შორის არა არს; ყოველნი სისხლთა ესაჯებიან, თითოეული მოყუასსა თსსა აპირვებს მაპირვებელი.

3. ბოროტსა ზედა განმზადებენ კელთა მათთა; მთავარი ითხოვს, და მსაჯული სიტყუათა მამშუდებელთა ზრახავს, გულისსათქმელ სულისა მისისა არს.

4. და განვერები კეთილთა მათთა, ვითარცა მდილი შემჰამელი და მოარული კანონსა ზედა დღეთა შინა მსტურობისათა: ვამ, ვამ, შურისგებანი შენნი მოიწინეს. აწ იყვნენ ტირილნი მათნი.

ბ 5. ნუ მიენდობეთ, ირწმუნებთ ტომთა შორის, ნუცა ესავთ წინამძღუართა მიმართ; თანმესარეცლისაგან დაფარე ართხრობად რამე მისდა.

6. \*რამათჱს ძე უპატიო ჰყოფს მამასა, ასული ზედადღების დედისა ზედა თსისა, სძალი დედამთილისა ზედა თსისა; \*\*მტერებ მამაკაცისა მამანი სახლისა მისისა შორისნი.

7. ხოლო მე უფლისა მიმართ მივიხილო და დაუთმო ღმრთისა მიმართ მაცხოვრისა ჩემისა. უისმინენ ჩემი უფალმან ღმერთმან ჩემმან.

8. ნუ იხარებნ ჩემ ზედა მტერი ჩემი, რამეთუ დავეცი და აღვდგე მით, რამეთუ ვიდოდი თუ ბნელსა შინა, უფალი ნათელ ჩემდა.

9. რისხვასა უფლისასა ვეჭუევე, რამეთუ შევცოდე მას. ვიდრემდის განამართლოს მსჯავრი ჩემი, და ქმნას განკითხვა ჩემი, და გამომოყვანოს მე ნათლად, და ვიხილო მე სიმართლე მისი.

10. და ჰხედვიდეს მტერი ჩემი. და გარემოისხას სირცხული მეტყუელმან ჩემდამო, სადა არს უფალი ღმერთი შენი, თუალთა ჩემთა ზედა დაჰხედონ მას. იყოს აწ, ვითარცა დანათრგუნავი, ვითარცა თიჯავ გზათა შორის.

11. დღეთა ცხებისა აღიზისათა მცხებ მე მას დღესა და განიჯადნენ შჯუღვილნი შენნი მას დღესა.

ბ 12. და ქალაქნი შენნი მოვიდენ განსაწილველად ასსურასტანელთა და ქალაქნი შენნი მაგარნი განსაწილველად ტუროსითგან ვიდრე მდინარედმდე ასურეთისა და ზღვთგან, ვიდრე ზღუადმდე, და მთათაგან ვიდრე მთათამდე დღესა წყლისა და შფოთისასა.

13. და იყოს ქუეყანა უჩინო საქმნელად დამკვდრებულთა თანა მისთა, ნაყოფისაგან სიმარჯუეთა მათთასა.

14. მწყსე ერი შენი კუერთხითა შენითა, ცხოვარნი სამკვდრებლისა შენისანი დამკვდრებულნი მარტობით მადნარსა საშულ კარმელისა, ძოვდენ ბასანელსა და გალაადელსა დღეთაებრ საუქუნოდათა.

15. და დღეთაებრ გამოსვლისა შენსათა ქუეყანისაგან ეგვიპტისა, უჩუენნე მათ საკრეველნი.

16. ჰხედვიდენ ნათესავნი და სირცხულელუ იქმნენ ყოვლისაგან ძლიერებისა მათისა, ზედადაიდვან კელი პირსა ზედა მათსა და ყურნი მათნი დაყრუენეს.

დ 17. ლოშნიდენ მტურსა ვითარცა გუელნი მთრეენი ქუეყანად. შეირინენ წყუდეულებსა მათსა. უფლისა მიმართ ღმრთისა ჩუენისა განჰკვრდენ და შეიშინონ შენგან.

4. იყუნენ S. 7. უფლისა S. ღმრთისა S. 9. ვეჭუევე S. 10. მეტყუელმან S. 13. სიმარჯუეთა S. 14. კუერთხითა S. 15. უჩემნენ S. 16. ჰხედვიდენ. 17. გუელი S. უფლისა S. ღმრთისა S.

\* მთ. 10. გ. 21. \*\* მთ. 10. დ. 36.

18. \*ვინ არს ღმერთ, ვითარ შენ, აღმღებელი უშჯულოებათა და ზეშთამავალი უსამართლობა ნეშტთა სამკედრებელისა მისისათასა? არა იპყრა საწაშებულად რისხვა მისი, რამეთუ მნებებელ წყალობისა მისისა არს.

19. მომაქცინეს დ შემიწყალნეს ჩუენ. შთაქადნეს ცოდვანი ჩუენნი და განიყარნენ სიღრმეთა მიმართ ზღუსათა ყოველნი ცოდვანი ჩუენნი.

20. მიეც კეშმარიტებაჲ იაკობსა, წყალობაჲ აბრაჰამსა, ვითარ-იგი ეფუცე მამათა ჩუენთა დღეთაებრ წინასწართა.

---

18. უშჯულოებათა S. 20. აბრაჰამსა S.

\* ივრ. 10. ა. 6. საქ. 10. ზ. 43.



## წინაწარმეტყველება ნაშუისი

### 1

ა 1. მიღებაა სანინეო; წიგნი ხილვისა ნაუმ ელკესელისა.

2. ღმერთი მოუბრუნე და შურისმგებელი, უფალი გულისწყრომისა თანა, შურისმძებელი უფალი წინააღმდეგობა მისთა და აღმდებელი თუთ მტერთა თუსთა.

3. უფალი სულგრძელ და დიდ ძალი მისი. და უბრალოა არ უბრალოა ყოს უფალმან. აღსასრულისა შორის და ძრვისა შორის გზაჲ მისი და ღრუბლებ მტუერი ფერკთა მისთა.

4. მქადაგებელი ზღუსაჲ და განმაცმობელი მისი და ყოველთა მდინარეთა მომაოკრებელი. შემცირდა ბასანელი და კარმელი და ყუავილოვნება ლიბანი-სანი მოაკლდეს.

ბ 5. მთანი შეიძრნეს მისგან და ბორცუნი შეიკრინეს და კდემულ იქმნა ქუეყანაჲ პირისაგან მისისა თანად ყოველნი და ყოველნი დამკვდრებულნი მის შორის.

6. პირისაგან რისხვისა მისისა ვინ დაუთმოს და ვინ წინააღმდეგს წინააღმდეგად გულისწყრომასა მისსა? და გულისწყრომაჲ მისი დაადნობს დასაწყისთა. და კლდენი დაიფუშნეს მისგან.

7. ტყბილ არს უფალი მოთმინეთა მისთათუს დღესა ქირისასა და მცნობელ მოკრძაღვთა მკრძაღვთა მისთა და საფლაგსა შორის.

8. და რღუნასა სღვისასა მოსრულებაჲ ყოს მან. ზედადღგომილთა და მტერთა მისთა. სდევდეს ბნელი.

გ 9. რაჲსა ჰსიტყუავთ უფლისა ზედა? მან ყოს მოსრულება. არშურ-იგო ორგზის ერთბამად ქირსა შინა,

10. რამეთუ ვიდრე საფუძველთამდე მიტა განკორდნენ და ვითარ ბრწამლი მოხუეული შეიქამოს და ვითარცა ლელწამი საეუე სიყმელითა

11. შენგან გამოვიდეს გულისსიტყვა ძუნად უფლისა ბოროტი განმზრახი წინააღმდეგობთა.

დ 12 ამათ იტყუს უფალი განმთავრებული წყალთა ზედა მრავალთა და ესრეთ განიკერძნენ და სასმენელმან შენმან არ შეისმინოს მერამე.

13. და აწ შეემუსრო კუერთხი მისი შენგან და საკრველნი შენნი განე-ბძარნე.

14. და ამცნოს შენთუს უფალმან — არ დაითესოს სახელისაგან შენისა მერამე; სახლისაგან ღმრთისა შენისა მოვსპნე წახნაგებულნი და გამოდნობილნი დაესხნე საფლაგად შენდა.

---

3. უფალმან უფალი S. მტუერი S. 9. უფლისა S. 10. საფუძველთამდე S. მოხუეული S. 11. უფლისა S. 13. კუერთხი S. 14. ღმრთისა S.  
6. მცხეთური ხელნაწერი

15. \*რამეთუ მალეობენ, ეგერა, ფერკნი მათა ზედა მახარებელისა და მიმთხრობელისათა მშუდობისა. დღესასწაულობდ, იუდა, დღესასწაულთა შენთა, უკუნსცენ აღთქმანი შენნი უფალსა მით, რამეთუ არაა შესძინონ მერმე განვლად დასაძუელებელად მოესრულოს, მოიკლას.

## 2

ა 1. რამეთუ აღვიდა მბერავი პირისა შენისაჲ განმარინებელი ჳირისაგან. მოიმსტურე გზაჲ, მოიმტკიცე წელი, განმწინდი ძალითა თრიად.

ბ 2. მით, რამეთუ გარემიაჳკცია უფალმან გინებაჲ იაკობისი, ვითარ-იგი გინებაჲ ისრაელისი მით, რამეთუ განმბერტყელთა განმბერტყენს იგინი და მონაგებნი მათნი განხრწნეს.

გ 3. ჳურნი ძლიერებისა მისისანი კაცთაგან. მამაცნი ძლიერნი მომღერალნი ცეცხლითა, სადევნი ეტლებისა მათისანი დღესა შინა განმზადებულებისა მისისასა და მკედარნი.

დ 4. აღბორგნენ, გზათა ზედა შემოკრბენ ეტლნი და აღიხუნენ შეიგანთა შორის, ხილვაჲ მათი ვითარცა ლამპარი ცეცხლისაჲ და ვითარცა ელვანი წარმრბენელნი.

ე 5. და მოკსენებულ იქმნენ დიდებულნი მათნი და მოუძღურდენ სლვასა შინა მათსა და ისწრაფიან ზღუდეთა ზედა და განმზადებენ წინსააცავთა მათთა.

ვ 6. ბჳენი ჳალაჳთანი განეხუნეს და სამეფონი დაეცნეს.

ზ 7. და მონაგები გამოცბანდა და იგიაჲ აღვილოდა. და მკეცალნი მისნი უძლოდეს, ვითარცა ტრედნი მკმობარენი გულთა შინა მათთა.

ი 8. და ნინევი, ვითარცა საბანელი წყლისაჲ, წყალნი მისნი და იგინი ვითარცა მლტოლვარენი არ დადგეს. და არა იყო ზედამხედველი.

ი 9. და იტაცებდეს ვეცხლსა და იტაცებდეს ოქროსა და არა იყო ბოლოჲ მისი. დამძიმდეს უფროსი ყოველთასა ჳურჳელნი გულისსათჳემლნი მისნი.

ი 10. განმბერტყაჲ და წდოლაჲ და ჟრუნვაჲ, და გულისა შემუსრვაჲ, და დაქსნაჲ მუკლთა, და ლომბანი ყოველსა ზედა წელსა და პირები ყოველთაჲ, ვითარცა ნაწუავი ჳოთნისაჲ.

ი 11. სადა არს სამკედრებელი ლომთა და საძოარი მყოფი ლეკუთად, სადა ვიღოდა ლომი შესლვად, მუნ ლეკუ ლომისაჲ და არა იყო მაშინებელი.

ი 12. ლომმან იტაცნა კმასაყოფელნი ლეკუთა მისთანი და დაუშთვნა ლეკუთა თსთა და ადავსო ნადირითა ბუდე თსი და სამკედრებელი თსი ნატაცებითა.

ი 13. აჳა, ესერა, მე შენ ზედა — იტყვს უფალი, ყოველსმჳყრობელი — და შეეწუა კუამლთა სიმრავლე შენი. და ლომნი შენნი დაჳამნეს მახულმან. და მოვასრულო ჳუეყანისაგან ნადირი შენი და არაა ისმნენ მერმე საქმენი შენნი.

## 3

ა 1. ჳ \*\*ჳალაჳი სისხლთაჲ, ყოველი ტყუილითა, უსამართლობითა სავსე. არა ძიებულ იქმნეს ნადირი.

ბ 2. კმაჲ გუემათაჲ და კმაჲ ძრვისა ურმისთუალთაჲსა, და ცხენისა მდევრისა, და ეტლისა აღმომღულარისაჲ, ცხენონისა აღმომავალისა.

3. და ბრკილისა მახვლისაჲ, და აელვებულთა საპურველთაჲ, და სიმრავლეს წყლულთაჲ, და სიმძიმე დაცემულებისაჲ. და არა იყო ბოლომდენი ნათესავეთა მისთაჲ და მოუძღურდენ სხეულთა შორის მათაჲ.

4. სიმრავლისაგან უკეთურებისა მეძავი ქმნულკეთილი და მოხარული მძღუანელი წამლავთაჲ, განმფრდელი ნათესავისაჲ სიძვისა მიერ თჳსისა და ტომთაჲ წამლავთა მიერ მისთა.

ბ 5. \*აჰა, ესერა, მე შენ ზედა — იტყჳს უფალი ყოველისმპყრობელი, — და გამოვაცხადნე უკანანი შენნი პირსა ზედა შენსა და უჩუენო ნათესავეთა სირცხული შენი და მეფობათა — უპატიობთა შენი.

6. და ზედ დავავდო შენ ზედა საძაველებთაჲ. და დაგდვა მე შენ მაგალითად.

7. და იყოს, ყოველი მხილველი შენი, შთავიდეს შენგან და თქუას: საწყალობელი ნინევი, რად სულთითქუამს იგი, ვინაჲ ვიძიო ნუგეშინის-ცემად მისი?

8. მოპრთე ლარი ნაწილი აამონისი, განჰმზადე კერძი ამონისი. დაამკვდრებელმან მდინარეთა წყალი გარემო მისსა, რომლისა დასაბამ ზღუა და წყალი ზღუდეთა მისთაჲ.

9. და ეთიოპიაჲ ძალ მისსა და ეგუპტე. არა არს დასასრული ლტოლვისა შენისაჲ და ლიბიელნი იქმნეს შემწე მისა.

10. და იგი გარდასახლებად წარვიდეს ტყუე. და ჩჩუნნი მისნი დაეხეთქნენ დასაწყისსა გზათა მისთასა და ყოველთა ზედა დიდებულთა მისთა. განიგდონ წილი და ყოველნი დიდ-დიდნი მისნი შეიკრნენ კელბორკილითა.

ბ 11. და შენ დაითრო და იყო უგულუბელსქმნილ. და შენ ეძიებ თავისა შენისა შეწვენასა მტერთაგან.

12. ყოველნი სიმაგრენი შენნი შენდა ლელუსა, ებგურთა მქონებელნი, უკუეთუ შეიძრნენ, შთაცუვენ პირსა მჰამელისასა.

13. აჰა, ესერა, ერი შენი ვითარცა დედები შენ შორის. მტერთა შენთა განხმულნი განეხუნენ ბჭენი ქუეყანისა შენისანი. და დაჰამნეს ცეცხლმან მოქლოლნი შენნი.

14. წყალი მოცვისა მიიზიდე თავისა შენისა. განამტყიკენ სიმაგრენი შენნი, შთაიღურჭუმო თივადმი და აღჰზელდე ბზითა, განაძლიერე საალიზედ.

15. მუნ შეგჰამოს შენ ცეცხლმან, მოგასრულოს შენ მახვლისა მიერ და შეგჰამოს შენ, ვითარცა მკალმან და დაგიძიმდეს შენ, ვითარცა ბოცომკალი.

16. განამრავლე სავაჭრონი შენნი უფროს ვარსკულავთა ცისათა, მკალმან მიიძარათა და აღფრინდა.

17. აღსუბუქნა, ვითარცა პეპელი, შემყოფი შენი, ვითარცა მკალი აღსრული ღობესა ზედა დღესა შინა ყინელისასა. მზე აღმოჰქდა და განიტევა და არა იცნობა ადგილი მისი. ვაჲ მათდა.

ბ 18. მიერულა მწყემსთა შენთა. მეფემან ასსურასტანისამან დააძინენ ძლიერნი შენნი, განიყარა ერი შენი მათთა ზედა და არა იყო მემლოდე.

19. არა არს კურნება შემუსრვილებასა შენსა. წუთხიან იქმნა წყლულუბაჲ შენი, ყოველთა მსმენელთა ჰამბავისა შენისათა დაიტყუენენ კელნი შენ ზედა მით, რამეთუ ვისცა ზედა არა მივიდა ძერი შენი მარადის.

3. ბოლოჲ|ბოლო S. 4. სიძესა S. 5. უჩუენო S. 10. ტუმ S. გზათა S. დღედნი S.  
19. იტყუენენ S.

\* ებრა. 47. ა. 3.

1. მიღება, რომელი იხილა ამბაკში წინაწარმეტყველმან.

ა 2. ვიდრე რომლისამდე, უფალო, ვლალადებდე და არა ისმენ, ვკმობ შენ-  
დამი დაჭირებული და არა მიჯნის?

3. რაასათუჲს მიჩუენენ მე ტკივილი და შრომანი ზედადახედვად საარე-  
ბისა და უთნობისა და წინაშე ჩემსა იქმნა მსჯავრი და მსაჯული მიიღებს.

4. და ამისთვის განქარებულ არს შჯული. და არ მიიწევის სრულებად  
სამართალი, რამეთუ უთნო ჰმძლავრობს მართალსა. ამისთვის გამოვალს მსჯავ-  
რი გულარძნილი.

ბ 5. \*იხილეთ შეურაცხისმყოფელნი და მოიხილეთ; დაიკრვენით საკ-  
ვრველნი: და უჩინო იქმნენით მით, რამეთუ საქმესა ვიქმ მე დღეთა შინა  
თქუენთა, რომელი არა ირწმუნოთ, უკეთუ ვინ მიგითხრას თქუენ.

6. მით, რამეთუ, აჰა, აღვადგენ მე ქალღვევლთა, ნათესავსა მწარესა და  
კისკასსა, მავალსა სიბრტყეთა ზედა ქუეყანისათა, დამკვდრებად დასაქარვე-  
ბელთა არამისთა

7. საშინელ და საჩინო არს. მისგან არს მსჯავრი მისი და მისადებელი მისი  
მისგან მოვიდეს.

8. და ვლდებოდინ უფროს ვეფხისა ცხენნი მისნი და უმაღლეს უფროს  
მგელთა არაბიასათა. და ცხენოდინ მკედარნი მისნი; და მიიძარებდენ შო-  
რით და ფრინვიდენ, ვითარცა არწივი გულსმოადგინე ჭამად.

გ 9. აღსასრული უღონოთა ზედა მოიწიოს, წინააღმდეგომთა წინაშე პირ-  
თა მათ და შეკრიბოს ნატყუენავი, ვითარცა ქვშაბ.

10. და თვთ მეფეთა შორის განიშუას და მძლავრნი სამღერელ მისსა. და  
იგი ყოველსა ზედა სიმავრესა მისსა იმღეროდის. და დადვას მიწად და დაი-  
პყრას იგი.

11. მაშინ გარდაცვალოს სული. და განვლოს და ულხინოს ესე ძალი  
ღმერთსა ჩემსა.

დ 12. არა შენ დაწყებითგან უფალი ღმერთი წმიდაჲ ჩემი ხარ? და არა  
მოკუდეთ! უფალო, მსჯავრად დააწესე იგი და დამბადე მე მხილებად სწავ-  
ლისა მისისა.

13. წმიდა არს თუალი არა ზედვად ბოროტისა, და ზედ დახედვად ტკი-  
ვილთა ზედა შეუძლოს არსადა. რად ზედ დაჰხედვა შეურაცხისმყოფელთა  
ზედა დაიღუმებ შთანთქმასა უთნოსაგან მართლისაჲ?

14. და ჰყოფ კაცთა, ვითარცა თევზთა ზღუსათა, და ვითარცა ქუეწარმძრო-  
მელთა არ მქონებელთა წინამძღუარისათა?

3. მიჩუენენ S. 8. ვლდებოდენ S. ცხენოდენ S. 9. ნატყუენავი S. 13. წმიდა S.  
14. ქუეწარმძრომელთა S.

\* საქმ. 13. ვ. 41.

15. მოსასრულებელად სამკედღურითა აღმოიტაცა და მოიზიდა იგი სათხევლითა და შეკრიბა იგი სათრომელთა მიერ მისთა. ამისთვის იხარებდეს და იშუებდეს გული მისი.

16. ამისთვის უგოს სათრომელსა თვსსა და უკმიოს საკმელითა თვსითა სათხეველსა მისსა, ოდეს მათ შორის განაპოხა ნაწილი მისი და ჰამადნი მისნი რჩეულნი.

17. ამისთვის განამარტნეს სათხეველნი თვსნი და მარადის მოკლვად ნათესავთა არა ერიღოს.

## 2

ა 1. \*საქმილავსა ჩემსა ზედა დავდგე. და აღვიღე კლდესა ზედა და განვისტუანო ხილვად. რამ ითქუას ჩემ შორის და რამ მიუგო მხილებასა ზედა ჩემსა.

2. და მომიგო ჩემდამო უფალმან და თქუა: დაწერე ხილვამ განცხადებულად ფიცარსა, რამთა სდევდეს აღმომკითხველი მათი

3. მით, რამეთუ ჯერეთ ხილვამ არს ჟამისადმე და აღმოჰყდეს დასასრულადმე და არა ჟამიერად, უკეთუ მოაკლდეს, დაუთმე მას, რამეთუ მომავალი მოვიდეს და არა ყოენოს.

4. უკეთუ სწიწნეულობდეთ, არა სთნავს სულსა ჩემსა მის შორის, ხოლო მართალი ჩემი სარწმუნოებისაგან ცხონდეს.

5. \*ხოლო მართალი, სარწმუნოებითა ჩემითა ცხონდეს, თავისმოთნე იგი. და შეურაცხის-მყოფელმან მამაკაცმან ზეპარმან ვერარაა სრულ-ყოს, რომელმან განავტო. ვითარცა ჯოჯონეთმან, სული თვისი და ესრეთ, ვითარცა სიკუდილმან არ აღვსებულმან, და შეკრიბნეს მის ზედა ყოველნი ნათესავნი და შეიწყნარნეს მისდა მიმართ ყოველნი ერნი.

ბ 6. არა ესე ყოველნი იგავად მოიხუნენ ძუნად მისსა. და მაგალითად მოსათხრობელად მისსა და თქუან: ვამ, რომელი განუმრავლებდეს თავსა თვსსა არა მისად მყოფთა ვიდრე რომლისამდე მე და დაამძიმებდეს საცივსა თვსსა ძნიადობით,

7. რამეთუ ანაზდა აღდგენ მკებნელნი მისნი და განიფრთღონ მძმაცუავთა შენთა და იყო დასატაცებელ მათდა.

8. მით. რამეთუ შენ ტყუე-ჰყუენ ნათესავნი მრავალნი, ტყუე-გყოფდენ შენ ყოველნი დაშთომილნი ერნი სისხლებისათვის კაცთამსა და უთნოობისათვის ქუეყანისა და ქალაქისა და ყოველთა დამკვდრებულთა მისთა.

9. მ, რომელი ანგაარობდეს ანგარებასა ბოროტსა სახლთა თვსთა დაწყებად სიმძლისა შორის ბუდეთა თვსთა დაფარვად ჯელისაგან უკეთურთასა.

10. მოუპოო სირცხული სახლსა შენსა მოსრულებად ერთა მრავალთა და ცოდა სულმან შენმან

11. მით, რამეთუ კლდემან ზღუდით ვმა-ყოს და მაჟაურმან ძელით გამო ვმა-ყუნეს იგინი.

15. იშუებდეს S. 2. აღმომკითხველი S. 8. ტყუე S. ჰყუენ S. ტყუე S. 9. კლდესა შენ S. 10. მოულო S. 11. კმა S. კმა S. ყუნეს S.

\* ესრ. 21. გ. ე. \*\* იწე. 3. დ. 36. პრობ. 1. ბ. 7. 17. გლბ. 3. ბ. 11. ეზრ. 10. % 25.

12. \*ეაი მაშენებელსა ქალაქისასა სისხლისა მიერ და განშაადებულსა ქალაქისასა უსამართლობათა მიერ.

13. არა ესე არიან უფლისა მიერ ყოვლისა მპყრობელისა და მოაკლდეს ერნი კმანი. ცეცხლისა მიერ და ნათესავნი მრავალნი სულმოკლე იქმნეს,

14. რამეთუ აღივსო თავად ყოველი ქუეყანად ცნობითა დიდებასა უფლისსა, ვითარცა წყალმან მრავალმა დაფარნეს იგინი ზღუად მიმართ.

15. მ, რომელი ასუმიდეს მოყვასსა თუსსა აღთქუეფულსა, მრღვესა და მათრობელსა, რამეთუ ზედა ჰხედავს ქუბათა ზედა მათათა.

16. საესებამ უპატივობისად დიდებისაგან სუ. და შენ შეირყიე, რამეთუ მრგულევა ყო შენ ზედა სასუმელმან მარჯუენისა უფლისამან და შეკრბა უპატიობა დიდებასა ზედა შენსა.

17. მით, რამეთუ უთნობამან ლიბანისმან დაგვაროს შენ და საარება-მან მკეტამან წიწნულ-გყოს სისხლთა მიერ კაცთაჲსა. და უთნობათა ქუეყანისა და ქალაქისათა. და ყოველთა დამკუდრებულთაჲსა მას შინა.

18. რად სარგებელ არს ქანდაკებული, რამეთუ ქანდაკეს იგი, შეჰმზადეს იგი გამონადნობი საოცრებად მტყუარად, რამეთუ ესეიდა შემქმნელი, შემწუნელისა მიმართ თუსისა შექმნად კერბნი ყრუნი.

19. ვაი, რომელმან ჰრქუეს ძელსა: განიფრთხუე, აღდეგ. ქუასა ამაღლიდი და იგი არს ოცნებამ, ხოლო ესე არს განქედილი ოქროსა და ვეცხლისა და ყოველივე სული არა არს მის შორის.

20. \*ხოლო უფალი ტაძარსა შინა წმიდასა მისსა. და შეკდემულ იქმენინ ბირისაგან მისისა ყოველი ქუეყანა.

### 3

1. ლოცვაი ამბაკომ წინაწარმეტყუელისა გალობით:

ა 2. უფალო, მესმა სასმენელი შენი და შემეშინა, უფალო, განვიცადენ საქმენი შენი და განვქკერთ. საშულ ორთა ცხოველთასა. იცნობე მოახლებისა შორის წელთაჲსა, გამოსცხადენ მუნ ყოფასა შორის უამისასა, აღმოიჩინე აღშფოთებასა შინა სულსა ჩემისასა, რისხვისა მიერ წყალობად მოიკსენო.

3. ღმერთი თემანით მოვიდეს და წმიდაი მთისაგან ჩრდილომასა მალნარისამასა (განსუენება), დაფარნა ცანი სათნოებაჲმან მისმან და ქებითა მისითა საესე ქუეყანად

4. და მთოვარე მისი ვითარცა ნათელი იყოს, რქანი ეკლთა შინა მისთა.

5. და დადვა შეყუარება მტკიცე ძალისა მისისა. წინაშე პირსა მისსა ვილოდეს სიტყუა. და განვიდენ ველისა შორის ფერკნი მისნი.

6. და დადვა და შეძრა ქუეყანა, ზედ მიიხილა და დადნეს წარმართნი და დაიმუსრნეს მთანი იძულებითა, დადნეს ბორცუნი საუქუნენი მისნი.

ბ 7. შრომათა წილ ვიხილენ დაკარებებანი ვთიოპელთანი. შეძრწუნდენ დაკარებებანი ქუეყანისა მალნარისანი.

8. ნუ მდინარეთა ზედა განპრისხნე, უფალო. ანუ მდინარეთა ზედა გულისწყრომაჲ შენი, ანუ ზღუასა ზედა მიმართება შენი, რამეთუ ზედა აპქედ ცხენთა ზედა შენთა და ცხენიანობად შენი მაცხოვარება.

13. უფლსა S. 14. დიდებასა S. 15. აღთქუეფულსა S. 16. მარჯუენისა S. დიდებასა S. 19. განფრთხუ S. ქუასა S. 3. განსუენება S.

\* ეზუ. 24. გ. 9. ნო. 3. ა. 1. \*\* უსლ. 10. ბ. 51.

9. გარდამცემელი გარდაუცუამ მშულდასა შენსა სკიპტრათა ზედა, — იტყუს უფალი, — მდინარეთა განიბოს ქუეყანაჲ.

10. გიხილონ შენ და ელმოდის ერთა. განმამბნეველმან წყალთამან სლვად მისსა მოსცა უფსკრულმან ჳმად მისი, სიმაღლე საოცრებისა მისისაჲ.

გ 11. აბლდა მზე და მთოვარე დადგა წესსა ზედა მისსა. ნათლად სატყორცნი შენნი ვიდოდინან. ბრწყინვალეზად ელეისა საჭურველი შენი.

12. ქადებისა მიერ შეამცრო ქუეყანაჲ და რისხვისა მიერ დააქუთენე წარმართნი.

13. და გამოხუედ მაცხოვარებად ერისა შენისა. ცხოვნებად ცხებულთა შენთა მოხუედ. მიავლინე თავთამი უსჯულოთასა სიკუდილი, ალაღინენ საკრველნი ვიდრე ქედამდე სრულიად. (გ ა ნ ს ვ ე ნ ე ბ ა).

14. წარჰკუეთენ განკრევებისაგან თავნი ძლიერთანი, შეიმაღნენ მას შინა, განახუნენ აღურნი მათნი, ვითარცა რომელი ჳამნ გლახაკი იღუმაღ.

15. და ზედაელინენ ზღუსა ჰუნენი შენნი, აღმძრველნი წყალთა მრავალთანი.

დ 16. დავიციე. და შეძრწუნდა გული ჩემი ჳმისაგან ლოცვისა ბაგეთა ჩემთასა. და შეედგა ძრწოლაჲ ძულთა ჩემთა და ქუეშე კერძო ჩემსა შეშფოთნა ჳორცნი ჩემნი. განვისუენო მე დღესა შინა ჳირისა ჩემისასა აღსლვასა ჩემსა ერისადმი მსხემობისა ჩემისა

17. მით, რამეთუ ლელუმან არ ინაყოფიეროს. და არა იყუნენ ნაშრომნი ეენაჳთა შორის. ცრუობდეს საჳმე ზეთისხილისა და ეელთა არა ყონ საჳმელი. მოაკლდეს საჳმლისაგან ცხოვარნი და არა იყუნენ ჳარნი, ჳროხანი ბაგათა ზედა.

18. ხოლო მე უფლისა მიმართ ვიხარებდე და მხიარულ ვიყო ღმერთისა მიმართ მაცხოვარისა ჩემისა.

19. უფალი ღმერთი ჩემი ძალ ჩემდა. და დააწესნეს ფერჳნი ჩემნი დასასრულადმი და მაღალთა ზედა აღმიყუანა მე ძლევეად ჩემდა გალობისა შორის მისისა.

9. მდინარეთაჲ S. 11. ვილოდნ S. 12. რისხვსა S. დააქუთენე S. 13. გამოხუედ S. ცხოვნება S. მოხუედ. S. 14. წარჰკუეთენ S. განკრევებისაგან S. 16. ქუეშე S. განვისუენო S. 18. უფლისა S. ღმერთისა S.

## წინაწარმეტყველება სოფონიასი

### 1

ა 1. სიტყუა უფლისაჲმ, რომელი იქმნა სოფონიას მიმართ ზუსისისა, ძისა გოდოლიასსა, ძისა ამარიანისა, ძისა ეზეკიანისა — დღეთა შინა იოსიაჲსთა, ძისა ამმონისთა, მეფისა იუდაჲსთა.

2. მოკლებით მოაკლდინ პირისაგან ქუეყანისა, — იტყუს უფალი.

3. მოაკლდინ კაცი და საცხოვარი. მოაკლდინ მფრინველნი ცისანი. და თევზნი ზღუსანი და მოუძღურდენ უთნონი და აღვიხუამ უსჯულოთა პირისაგან ქუეყანისა, — იტყუს უფალი.

4. და განვიპყრა კელი ჩემი იუდას ზედა და ყოველთა დამკვდრებულთა ზედა იერუსალიმისათა და აღვიხუენე ადგილისა ამცხგან სახელნი ბაალისნი და სახელნი მღღელთანი.

5. და რომელნი თაყუანის-სცემენ ბანებსა ზედა ძალსა ცისასა და რომელნი ფუცვენ სახელსა უფლისაჲსა მეფისა მიმართ მათისა და რომელნი მიდრკებიან უფლისაგან,

ბ 6. და რომელნი არ გამოეძიებენ უფალსა და რომელნი არა შეუდგან უფალსა.

7. შეშინდით პირისაგან უფლისა ღმრთისა მით, რამეთუ ახლოს არს დღე უფლისაჲმ, რამეთუ განჰმზადა უფალმა მსხუერპლი თვისი. წმიდა-ყუნა ჩინებულნი თსნი.

8. და იყოს დღესა შინა მსხუერპლისა უფლისაჲსა და შურ-ვიგო მთავართა ზედა და სახლსა ზედა მეფისასა და ყოველთა შემოსილთა ზედა სამოსლებითა უცხოჲთა.

9. და შურ-ვიგო ყოველთა ზედა საჩინოქმნილთა წინაბჭეებთა ზედა მას დღესა შინა, აღმავსებელთა სახლისა უფლისა ღმრთისა მათისა უთნოობითა და ზაკეთა.

გ 10. და იყოს მას დღესა შინა, — იტყუს უფალი, — ეჲმ დაღადებისა ბკისაგან მწერტელთაჲსა და ვალაღებისა მეორისაგან. და შემუსრვაჲ დიდი ბორცუთაგან

11. გოდებდით დამამკვდრებელნი დაქრილსა, რამეთუ ემსგავსა ყოველი ერი ქანაანს, მოისპნეს ყოველნი აღმაღლებულნი ვეცხლითა.

12. და იყოს, მას დღესა შინა გამოვიძიო იერუსალჲმი ბაზმაკითა, და შურ-ვიგო მამაკაცთა ზედა შეურაცხისყოფელთა ნამარხევთა ზედა მათთა, რომელნი იტყუან გულთა შინა მათთა: არა კეთილი უყოს უფალმან, არცა უბოროტოს.



13. და იყოს ძალი მათი დასატაცებლად და სახლნი მათნი უჩინოსაქმნელად \*და აშენებდენ სახლებსა და არა დაიმკდრონ მათ შინა. დაპნერგვიდენ ვენაქებსა და არა სუან ღუნოჲ მათი.

14. ახლოს არს დღე უფლისაჲ დიდი, ახლოს და მოსწრაფე ფრიად. ეჲმადღისა უფლისაჲ მწარედ და ფიცხლად დაწესებულ არს ძლიერ.

15. \*\*დღე რისხვისა დღე იგი, დღე ჭირისა და საღმობისა. დღე საარებისა და უჩინოქმნისა, დღე აღმურისა და ბნელისა, დღე ღრუბლისა და ნისლისა,

16. დღე საყურისა და ღაღადებისა ქალაქთა ზედა მაგართა და ყურეთა ზედა მაღალთა.

17. და ვაჰირგო კაცთა და ვილოდინ ვითარცა ბრმანი, რამეთუ შესცოდეს უფალსა და დასთხიოს სისხლი მათი მიწად, და დასთხიოს სისხლი მათი ქუეყანასა, და ჯორცნი მათნი ვითარცა სკორე.

18. \*\*\*და ვეცხლი მათი და ოქრომ მათი ვერ შემძლებელ არს, განრინებად მათდა. დღესა შინა რისხვისა უფლისასა.

19. \*\*და დღესა ცეცხლითა შურისა მისისასა აღისპოს ყოველი ქუეყანაჲ მით, რამეთუ მოსრულებად და სიმსწრაფლე ყოს ყოველთა ზედა დამკვდრებულთა ქუეყანისათა.

## 2

1. შეკერბით და თან შეიკრენით ნათესავი უწუთელი.

ა 2. უწინარეს ქმნისა თქუენისა, ვითარცა ყუაილი თანაწარმელელი დღისაჲ, პირველ მოსლვისა თქუენ ზედა დღისა მის რისხვისა გულისწყრომისა უფლისსა.

3. იძიეთ უფალი ყოველთა მდაბალთა ქუეყანისათა, მსჯავრსა იქმოდეთ. სამართალი მოიძიეთ და მიუგებდით მათ, რათა დაიფარნეთ დღესა შინა რისხვისა უფლისსა.

4. მით, რამეთუ ღაზად დატაცებული იყოს და ასკალონი უჩინოსაქმნელად და აზოტი შუადღე განიგდოს და აკარონი აღმოიძიროს.

ბ 5. ვაჲ დამამკვდრებელთა თანა ნაწილის საზომსა ზღუსასა, მსხემთა კრიტელთა სიტყუა უფლისაჲ თქუენ ზედა. ქანაჲ, ქუეყანაჲ უცხო ტომითაჲ და წარგწყმედ თქუენ მკვდრობისაგან.

6. და იყოს კრიტი საძოვარ სამწყსოთა და ბაჲ ცხოვართა.

7. და იყოს წილისსაზომი ზღუსაჲ დაშთომილთა სახლისა იუდაჲსთად. მათ ზედა ძოვდენ სახლთა შორის ასკალონისათა, მიმწუხრი დაივანებენ პირისაგან ძეთა იუდაჲსთაჲსა, რამეთუ მოიხილა მათ ზედა უფალმან ღმერთმან და მოაქცია ტყუეობა მათი.

გ 8. მესმნეს ყუედრებანიცა მოაბისნი და კუედნანი ძეთა ამმონისთანი, რომელთა მიერ პყუედრიდეს ერსა ჩემსა და განდიდნებოდეს საზღუართა ზედა ჩემთა.

9. ამისთვის ცხოველ ვარ მე, იტყუს უფალი. ძალთა, ღმერთი ისრაილისაჲ— მით, რამეთუ მოაბი ვითარცა სოლომად იყოს. და ძენი ამმონისნი ვითარცა გო-

18. ოქრო S. რისხვა S. 2. რისხვა S. 3. რისხვა S. 5. დამამკვდრებელთა 7. ტყუეობა S. 8. ყუედრებანიცა S. ქუედნანი S. პყუედრიდეს S.

\* ამო. 5. გ. 11. \*\* იერ. 30. ა. 7. იოელ. 2. გ. 11. ამო. 5. ე. 18. \*\*\* ეზეკ. 7. გ. 18. \*\*\*\* ქევ. 3. ბ. 8.

მორაბა და დამასკოა განფიწლულ ვითარცა ხუავი კალომსა ზედა უჩინო-ქმნილი საუკუნოდ და ნეშტნი ერისა ჩემისანი ჰბასრობდენ მას და ნეშტთა. ნათესავისა ჩემისათა დაიმკვდრენ იგინი.

10. ესე მათ გინებისა წილ მისისა მით, რამეთუ აყუედრეს და განდიდნეს უფლისა ზედა ვოვლისა მკურთხელისა.

დ 11. საჩინო იქმნეს მათ ზედა უფალი. და მოასრულნეს ყოველნი ღმერთნი წარმართთა ქუეყანისათანი და თაყუანისსცეს მას თითოეულმან ადგილისაგან თვისისა. ყოველნი ჰალაკნი წარმართთანი.

12. და თქუენცა, ეთიოპნი, წყლულვებ მახულისა ჩემისა იყვნეთ.

13. და განვირთხამ კელსა ჩემსა ბლუარსა ზედა და წარვსწყემდ ასსურას-ტანელსა და დავდვა ნინევი ურწყულად ვითარცა უდაბნოა.

14. \*და ძოვდენ საშუალ მისსა სამწყოსნი და ყოველნი მკეცნი ქუეყანისანი, და მიწის ლომნი, და ექინნი ბაგოვნებისა შორის მისისა დაწვენ. და მკეცნი კმობდენ ნათხართა შორის მისთა, ყორანნი ბკოოვნებისა შორის მისისა მით, რამეთუ ნაძუ აღსადგომელ მისსა.

15. ესე ჰალაქი ხენშობა, დაკვდრებული სასოებით, მეტყუელი შორის გულისა თვისისა: მე ვარ და არა იყოს ჩემ თანა მერმე, ვითარ იქმნა უჩინოსა-ქმნელად საძოარ მკეცთა. ყოველმან თანწარმავალმან მის მიერ დაისტუნოს და შეძრნეს კელნი თვისნი.

### 3

ა 1. ეჰა საჩინო და გამოჯსნილი ჰალაქი. ტრედმან

2. არა ისმინა კმისა, არ შეიწყნარა წურთაჲ, უფლისა მიმართ არა ესვიდა და ღმრთისა მიმართ მისისა არ მიეახლა.

3. \*\*მთავარნი მისნი მის შორის, ვითარცა ლომნი მკურალნი. მსაჯულნი მისნი, ვითარცა მგელნი არაბიამსნი, არა მოაკლდებოდეს განთიადმი.

4. წინაწარმეტყუელნი მისნი, სულშემოსილნი მამრნი, შეურაცხისმყოფელნი. მღდელნი მისნი შეაბილწებენ წმიდათა და აუთნოებენ მჯულისა,

5. ხოლო უფალი მართალი საშუალ მისსა და არა ყოს უსამართლოა. განთიად-განთიად მოსცეს მსჯავრი თვისი ნათლად. და არ დაიმალა და არა ცნა უსამართლოება მიჯდასა შინა.

6. და არა ძლევისა მიმართ უსამართლოება, დავამკუენ ამპარტავანნი. უჩინო იქმნნეს ყურენი მათნი. მოვაოვრენ გზანი მათნი, რამეთუთით არ წარსავლელად მოაკლდეს ჰალაქნი მათნი. ამისთვის არცა ერთისა ვის ყოფისა, არცა დაკვდრებთა.

ბ 7. ვთქუ: გარნა შეშინდით ჩემგან, და შეიწყნარეთ წურთაჲ, და არ მოესრულნეთ თუალთაგან მისთა ყოველნი, რაოდენნი შურ-ვიგენ მის ზედა. განემზადე, აღიმსთუე, განხრწნილ არს ყოველი მოკუფხლვაჲ მათი.

8. ამისთვის დამითმე მე, — იტყუნ უფალი, — დღედმი აღდგომისა ჩემისა საწამებულად ჩემდა მით, რამეთუ მსჯავრი ჩემი შესაკრებლისა მიმართ ნათესავთაჲსა შეწყნარებდად მეფეთა გარდაცემად მათ ზედა რისხვაჲ ჩემი, ყოველივე რისხვა გულისწყრომისა ჩემისა \*\*\*მით, რამეთუ ცეცხლისა მიერ შურისა ჩემისაჲსა განილიოს ყოველი ქუეყანაჲ.

10. აქედრეს S. უფლისა S. 2. ესვლა S. უფლისა S. ღმრთისა S. მიეახლა S. 13. ბლოარსა S. 6. დავამკუენ S. რა თურით: S. 7. აღიმსთუე S.

\* ეს. 34. გ. 11. \*\* ეზე. 22. ვ. 27. ზქი. ე. დ. 11. \*\*\* ზე. 1. დ. 18.

9. რამეთუ მაშინ მოგაქციო ერთა ზედა ენათასა ნათესავადმი მისსა, ხლად ყოველთა სახელი უფლისაჲ. მონებდენ იგინი მას ერთსა ქუეშე უღელსა.

10. კიდეთაგან მდინარეთა ეთიოპიისათა, შეიწყნარნე განთესულთა შორის ჩემთა. მომართუმიდენ მე მსხუერპლთა ჩემთა.

გ 11. მას დღესა შინა არსირცხულუელ იქმნე ყოველთაგან სიმაჩუეთა შენთა, რომლითა იუთნოე ჩემდამო, რამეთუ მაშინ მოგძარცუნე შენგან სიხენეშენი გინებლისა შენისანი და არღა მერამე შესძინო დიდმოქაღულობად მთასა ზედა წმიდასა ჩემსა.

12. და დაუტეო შენ შორის ერთი მშუდი და მდაბალი და მკრძალობდენ სახელისაგან უფლისა

13. ნეშტნი ისრაჴლისანი და არა იქმოდიან უსამართლოსა, არცა იტყოდიან ამოთა. და არა იპოოს პირსა შინა მათსა ენაჲ მზაკვარი მით, რამეთუ შოვდენ და დაწვებოდიან და არა იყოს შემაშინებელი მათი.

14. იხარებდ ფრიად ასული სიონისაჲ! ქადაგებდ ასული იერუსალჴმი. იშუებდ და ძნობდინ ყოვლით გამო გულით შენით ასული იერუსალჴმისაჲ!

15. მოგძარცუნა უფალმან უსამართლოებანი შენნი, გიჯსნა შენ კელისაგან მტერთა შენთასა. მეფობდეს უფალი შორის შენსა. არა იხილნე ბოროტნი არღა მერამე.

16. მას ჟამსა შინა ჰრქუას უფალმან იერუსალჴმსა: მინდობით იყავ, სიონ, ნუ დაჰქსნდებიედ კელნი შენნი,

და 17. უფალი ღმერთი შენი შენ შორის ძლიერი ქსნად შენდა და მოაწიოს შენ ზედა შუებოჲ და განგახლოს შენ შეყუარებისა მიერ მისისა. და იშუებდეს შენ ზედა ძნობისა მიერ, ვითარცა დღესა დღესასწაულისასა.

18. და შეკრიბნეს შემუსრვილნი. ვაჲ, ვინ მოიღო მის ზედა ყუედრებამ?

19. აჰა, ესერა, მე ვჰყოფ შენ შორის შენთს. მას ჟამსა შინა იტყუს უფალი: და აცხოვნეს განრწმუნებული, და განგდებული შევიწყნარო. და დაესხნე მე იგინი საქადულად, და სახელოენად ყოველსა ზედა ქუეყანასა.

20. და არა ჰრცხუნოდისყე მას ჟამსა შინა, ოდეს კეთილი გიყო თქუენ და ჟამსა შინა, ოდეს შეგიწყნარნე თქუენ მით. რამეთუ მიგცნე თქუენ სახელდებულად და საქადულად ყოველთა შორის ერთა ქუეყანისათა მოქტეევასა ჩემგან ტყუეობისა თქუენისასა წინაშე თქუენსა, — იტყუს უფალი.

9. ენათასა S. ქუეშე S. 10. ეთოპიისათა S. მსხუერპლთა S. 11. სიმაჩუეთა S. 12. უფლისა S. 13. იქმოდინ S. იტყოდნ S. დაწვებოდინ S. 14. იშუებდ S. იმლისა S. 16. რწმუნა S. შენი S. 17. შუებოჲ S. იშუებდეს S. 18. ყუედრებამ S. 20. ჰრცხუნოდის S. ოდესოდეს S. ტყუეობისა S.

## წინაწარმეტყველება ანონისი

### 1

ა 1. \*მეორესა შინა წელსა დარიოსის ზე მეფისა, მეექუსესა თუესა, ერთსა თასასა, იქმნა სიტყუა უფლისაჲ კელითა ანგეა წინაწარმეტყუელისათა მეტყუელი: თქუ ზორობაბელის მიმართ, სალათილისასა, ტომისაგან იუდაჲსსა და იისუჲს მიმართ იოსედექისისა, მღღელისა დიდისა მეტყველმან:

2. ამით იტყვს უფალი ყოვლისა მპყრობელი: ერი ესე იტყვან: არა მოსრულ არს ჟამი აღშენებად სახლი უფლისაჲ.

3. და იქმნა სიტყუა უფლისაჲ კელითა ანგეა წინაწარმეტყუელისაჲ ესრეთ მეტყუელი:

4. უკეთუ ჟამ ვიდრემე არს თქუენდა აღშენებად სახლთა, ხოლო სახლი ესე ჩემი მოაჯრებულ არს.

ბ 5. და აწ ამის იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი: დააწესენით გულნი თქუენნი გზათა მათ თქუენთა.

6. \*\*სთესეთ მრავალი და შეიკრიბენით მცირედ. ჭამეთ და არა განძობოდ, ჰსუთ და არა სიმთრვალედ, გარემოისხთ და არა განსტეფით მათ მიერ და შემკრებელმან სასყიდელთამან შეიკრიბა ნაკრალად, განკურეტილად.

7. ამით იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი: დაისხენით გულთა თქუენთა გზათა მიმართ თქუენთა.

8. აღვედით მთასა ზედა და მოჰკუეთენით ხენი, და აღაშენეთ სახლი, და სათნო ვიყო მის შორის, და შორის ვიდოდო მე, თქუა უფალმან:

9. მიიხილეთ მრავალთა ზედა და იქმნეს მცირედნი და შეხებულ იქმნეს სახილმი. და მივებრე მათ, ამისთვისა მათ იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი: მათ წილ, რომელ სახლი ჩემი არს ოკერ, ხოლო თქუენ სდევთ თითოეული სახლისადმი თვისისა.

10. ამისთვის დაყუდნეს ცაჲ ცუარისაგან და ქუეყანამან დააცადნეს ნაყოფიერებანი მისნი.

11. და მოვხადო მახლი ქუეყანასა ზედა და მათა ზედა. და იფქლსა ზედა, და ღუნოსა ზედა, და ზეთსა ზედა და რაოდენსა გამოიღებს ქუეყანაჲ, და კაცთა ზედა, და საცხოვართა ზედა, და ყოველთა ზედა ტკივილთა კელთა მათასა.

12. და ისმინა ზორობაბელ სალათელისმან, ტომისაგან იუდაჲსსა. და იისუ, იოსედექისმან, მღღელმან დიდმან და ყოველთა დანაშთომთა ერისათა კმისა უფლისა ღმრთისა მათისაჲ და სიტყუათა ანგეა წინაწარმეტყუელისათა. ვითარ-იგი გამოავლინა უფალმან ღმერთმან მისმან მათდა მიმართ და შეეშინა ერსა პირისაგან უფლისა.

1. თქსა S. მეტყუელი S. 2. მპყრობელი S. 8. მოკეტყუენით S. 12. უფლისა S. ღმრთისა S. უფლისა S.

\* ესთრ. 6. ა. 1. \*\* სჯ. 28. დ. 28. მქ. 6. დ. 15.

დ 13. და პრქუა ანგეს ანგელოზმან უფლისამან: არქუ ერსა: მე თქუენ თანა ვარ, იტყუს უფალი,

14. და აღადგინა უფალმან სული ზორობაბელ სალათიილისისა, ტომისაგან იუდაასა და სული იიუსუფისა, იოსედეკიისისა, მლდელისა დიდისა. და სული ყოვლისა დანაშთომთა ერისათაჲ. და შევიდეს და იქმოდეს საქმეთა სააღსა შინა უფლისასა, ყოვლისა მპყრობელისა ღმრთისა მათისასა

## 2

ა 1. მეოცდაოთხესა თთუესა თესა მეექვსისა, მეორესა წელსა დაროსსზე შეფისა,

2. შეშუდესა თთუესა ოცდაერთსა თთესასა, თქუა უფალმან, კელთა ანგეა წინაწარმეტყუელისათა მეტყუელმან:

3. თქუ ზორობაბელის მიმართ სალათიელისისა, ტომისაგან იუდაასა და იისუმს მიმართ იოსედეკიისისა, მლდელისა დიდისა და ყოველთა დანაშთომთა ერისათა მეტყუელმან:

4. ვინ არს თქუენგანი, რომელმან იხილა სახლი ესე დიდებასა შინა მისსა წინაპარსა და ვითარ თქუენ ხედავთ მას აწ, ვითარცა არამყოფსა თქვენ წინაშე?

5. და აწ განძლიერდი, ზორობაბელ! იტყუს უფალი, — და განძლიერდი, იოსედეკ, მლდელი დიდი! და განძლიერდინ ყოველი ერი ქუეყანისა — იტყუს უფალი, და იქმოდეთ (მით, რამეთუ მე თქუენ თანა ვარ, იტყუს უფალი, ყოვლისა მპყრობელი).

6. სიტყვა, რომელი აღგიტქუ თქუენ გამოსლვასა თქუენსა ქუეყანისაგან ეგვიპტისა და სული ჩემი დადგა საშუალ თქუენსა, ნუ გეშინინ თქუენ

ბ 7. მით, რამეთუ ამათ იტყუს უფალი, ყოვლისა მპყრობელი. \*მერმე ერთგზის მე შეეძრა ცაჲ და ქუეყანაჲ და ზღუაჲ და ქმელი.

8. და თანაშეეძრენ ყოველნი ნათესაენი, და მოვიდენ რჩეულნი და რაჲც ყოველთა ნათესავთანი და აღვაკოს სახლი ესე დიდებითა — იტყუს უფალი, ყოვლისა მპყრობელი:

9. ჩემი არს ვეცხლი და ჩემი არს ოქროჲ — იტყუს უფალი, ყოვლისა მპყრობელი

10. მით, რამეთუ დიდ რყოს დიდებაჲ სახლისა ამის უკუანამსკენელი, უფროს პირველისა, — იტყუს უფალი, ყოვლისა მპყრობელი. — და ადგილსა ამას. \*შინა მიესკე მშუდობა, — იტყუს უფალი. ყოვლისა მპყრობელი, (და მშუდობაჲ სულისაჲ მოურნეობად ყოველსა მეგებელსა აღდგინებად ტაძრისა მის).

11. მეოთხესა და მეოცესა მეცხრისა თესასა, წელსა მეორესა დაროსისა ზე, იქმნა სიტყუა უფლისაჲ ანგეას მიმართ, წინაწარმეტყუელისა მეტყუელი.

12. ამათ იტყუს უფალი, ყოვლისა მპყრობელი: ჰკითხე მლდელთა შუელი, მეტყუელისა:

13. უკეთუ მიიღოს კაცმან კორცი წმიდაჲ მწუერგალსა შინა სამოსლისა მისისასა და შეეხოს მწუერგალსა სამოსლია მისისასა პურსა ანუ გბოლვილსა, ანუ ღუნოთა, ანუ ზეთსა, ანუ ყოველსავე კამადსა, უკეთუ განწმდესა? და მიუგეს მლდელთა და თქუეს: არა.

13. პევა S. თქნთა S. 14. ღმრთ საა S. 1. თთუესა S. 2. თთუესა 4. დიდებასა S. თქუენ S. 13. მწუერგალსა S. მწუერგალსა S. მისისათა S.

\* ებრ. 12. ზ. 26.

გ 14. და თქუა ანგეა: უკეთუ შეეხოს თუ შეგინებული სულსა ზედა ყოველსა ამათგანსა, უკეთუ შეიგინოს? და მიუგეს მღვდელთა და თქუეს: შეიგინოს.

15. და მიუგო ანგეოს და თქუა: ეგრეთვე ვრი ესე და ეგრეთ ნათესავი ესე წინაშე ჩემსა,—იტყუს უფალი.—და ეგრეთ ყოვლნი საქმენი კელთა მათთანი. და რომელიცა შეეხოს, მუნ შეიგინოს (მისალეებელთათვის მათთა განთიად მსთუათა ლმობილობდენ პირისაგან უკეთურებთა მათთასა და გძულს-ყე ბჭეთა შორის მამხილებელი).

16. და აწ დაისხენით გულთა შინა თქუენთა ამით დღითგან და წამართ-პირველ დადებისა ქვისა, ქვასა ზედა შორის ტაძარსა უფლისასა.

17. ვიეთნი იყვენით, ოდეს შთასთესევედით ურნატად ოცსა სატასა და იქმნა ათი სატაჲ ქრთილი. და შეხედოდეთ ტაგარისა მიმართ აღმოვსებად ერგასისთა მართა და იქმნა ოცად.

18. \*გუემენ თქუენ ზედა ქარისაგანმხრწნელობისა შიერ, სეტყუსა შიერ. ყოველნი საქმენი კელთა თქუენთანნი და არ მოიქეცით ჩემდა, — იტყუს უფალი,

19. და უკუე აწესენით გულნი თქუენნი ამით დღითგან და წამართ მე-ოთხითგან და მეოცით მეცხრისა თთუსაჲთ. და დღითგან, რომელსა დაეფუძნების ტაძარი უფლისაჲ. დაისხენით გულთა შინა თქუენთა.

დ 20. უკეთუ მერმე იცნობოს კალოსა ზედა და უკეთუ მერმე ვენაჯი და-ლედუ, და ბროწეული, და ხენი ზეთის ხილისანი არგამომღებელნი ნაყოფისა-ნი, ამით დღითგან ვაკურთხენე.

21. და იქმნა სიტყუა უფლისაჲ მეორედ ანგეას მიმართ, წინაწარმეტყუე-ლისა, მეოთხესა და მეოცესა თთუსასა, მეტყუელი:

22. თქუ ზორაბებელის მიმართ სალათელისისა, ტომისაგან იუდაჲსით: მე შევეძრა ცაჲ ქუეყანაჲ და ზღვაჲ და კმელი.

23. და დავაქინე საყდარნი მეფეთანი და მოვსპო ძალი მეფეთა, წარ-მართთა, დავაქინე ეტლნი და აღმავალნი და შთაქლენ ცხენნი და აღმავალნი მათნი, თითოეული მახულითა ძმისა მიმართ თვისისა.

24. \*\*მას დღესა შინა—იტყუს უფალი, ყოვლინა მპყრობელი: მიგიდო მე შენ, ზორაბაბელ, სალათელისო, მონაო ჩემო, და დაგდვა შენ ვითარცა აღმონაბეჭდი მით, რამეთუ სათნო გიყავ შენ,—იტყუს უფალი, ყოვლისა მპყრობე-ლი.

18. გუემენ S. თქუენთანნი S. 19. უკუე S. თქუენთა S.  
ამო. 4. გ. 9. \*\* ზორაბ. 49. გ. 13.

## წინაწარმეტყველება ზაპარიასი

### 1

ა 1. მერვესა თთუესა, წელიწადისა მეორისასა დარიოსისა ზე, იქმნა სიტყუა უფლისაჲ ზაპარიას მიმართ ძისა ბარაქიას, ძისა ადლოას წინაწარმეტყუელისა, მეტყუელი:

2. განრისხნა უფალი მამათა თქუენთა ზედა რისხეთა დიდითა

3. და თქუა მათდა მიმართ: ამათ იტყვს უფალი, \*ყოელისა მპყრობელი. მოიქეციოთ ჩემდამო, — იტყვს უფალი ძალთა, — მე მოვიქცე თქუენდა, — იტყვს უფალი ძალთა.

4. და ნუ იქმნებით ვითარცა მამანი თქუენნი, \*\*რომელთა ესაჯებოდეს მათ წინაწარმეტყუელნი, წინაპარნი მეტყუელნი: ამათ იტყვს უფალი, ყოელისა მპყრობელი: მოიქეციოთ გზათაგან თქუენთა ბოროტთა. და სიმარჯუეთაგან თქუენთა ბოროტთა. და არ შეისმინეს და არ მოიხილეს შესმენად ჩემსა, — იტყვს უფალი.

5. მამანი თქუენნი სადა არიან და წინაწარმეტყუელნი ნუ უკუნისამდე ცოცხალ იყუნენა?

6. გარნა შჯულნი ჩემნი და საშჯულონი ჩემნი შეიწყნარენით, ვითართა მე ვამცნებ სულითა ჩემითა მონათა ჩემთა წინაწარმეტყუელთა, რომელნი ეწინეს მამათა თქუენთა და მიუგეს და პრქუეს: ვითარ-იგი განაწყესა უფალმან, ყოელისა მპყრობელმან, ყოფად თქუენდა გზათაებრ თქვენთა და სიმარჯუეთაებრ თქუენთა, ეგრეთ გიყო თქუენ

ბ 7. მეოთხესა და მეოცესა მეთერთმეტისა თთუსასა, ესე არს თთუე სავატი, მეორესა წელსა დარიოსის ზე, იქმნა სიტყუა უფლისაჲ ზაპარიას მიმართ, ბარაქიას ძისა, ძისა ადლოასა წინაწარმეტყუელისა, მეტყუელი:

8. ვიხილე ღამით, და, აჰა, მამაცი აღმავალი ცხენსა ზედა ხსედსა. და ესე დგა საშუალ ორთა მთათა ჩრდილოანთასა და უკუანა მისსა ცხენნი ხსედნი და თეთრნი.

9. და ვთქუე: რამ ესენი, უფალო? და თქუა ჩემდა მომართ ანგელოზმან მზრახვალმან ჩემ შორის — მე გიჩუენო შენ, რამ იყუნენ ესენი.

10. და მომიგო მამაცმან მდგომარემან საშუალ ორთა მთათასა და თქუა ჩემდამო: ესენი არიან, რომელი გამოავლინნა უფალმან გარემოვლად ქვეყანისა.

გ 11. და მიუგეს ანგელოზსა უფლისასა, მდგომსა საშუალ მთათასა, და პრქუეს: გან-მე-მო-ვლეთ ყოველი ქუეყანაჲ, და აჰა ყოველი ქუეყანაჲ მკვდროვნობს და მყუდრომს.

1. თთუესა S. ძისა ადლოას|ძისა და ადლოას S. 2. მეტყუელი S. თქუენთა S.3. თქუენ-  
და S. 4. თქუენნი S. თქუენთა S. სიმარჯუეთაგან S. 6. მონათა S. 6. სიმარჯუეთაგან S.  
თქუენ S. 7. თთუე S. ძისა ადლოას|ადლოას S. 9. გიჩუენო S. 11. გან-მე-მო-ვლეთ S.  
ქუეყანა S. მყუდროის S.

\* მლქ. 3. ა. 7. \*\* ესა. 21. გ. 8. და . 31. გ. 6. და. 45. დ. 22. იერ. 3. გ. 12.  
იუბ. 18. ზ. 30. და 20. ა. 7. და 33. გ. 11. ოსია. 14. ა. 2. იოვე. 2. გ. 12.

12. და მიუგო ანგელოზმან უფლისამან და თქუა: უფალო, ყოვლისა მპყრობელო, ვიდრე რომლისამდე არ შეიწყალებ იერუსალიმსა და ქალაქთა იუდაასთა, რომელნი უგულებელს-პყუენ ამას სამეოცდაათსა წელსა?

13. და მიუგნა უფალმან. ყოვლისა მპყრობელმან, ანგელოზსა მზრახველსა ჩემ შორის სიტყუანი კეთილნი და სიტყუანი ნუგეშინის-ცემისანი.

14. და თქუა ჩემდამო ანგელოზმან მზრახველმან ჩემ შორის: აღიღალადე მეტყუელმან: ამათ იტყუს უფალო, ყოვლისა მპყრობელი: \*ვაშურვე იერუსალიმსა და სიონსა შური ღიღი

15. და რისხვითა ღიღითა მე განერისხენ ნათესავთა ზედა ზედალდგომილთა მათ წილ, რამეთუ მე ვიდრემე განერისხენ მცირედ, ხოლო ივინი ზედა დაუქდეს ბოროტად.

16. ამისთვის, ამათ იტყუს უფალი, ყოვლისა მპრობელი,—მოვიქცე იერუსალიმსა ზედა მოწყალეებისა მიერ და სახლი ჩემი აღეშენოს მის შორის, — იტყუს უფალი, ყოვლისა მპყრობელი, — და საზომი განემართოს მერმე იერუსალიმსა ზედა.

17. და თქუა ჩემდამო ანგელოზმან მზრახველმან ჩემ შორის: მერმე აღიღალადე მეტყუელმან: ამათ იტყუს უფალი, ყოვლისა მპყრობელი: მერმე გარდაეცნენ ქალაქნი კეთილთა მიერ და შეიწყალოს უფალმან სიონი მერმე. და აღიჩიოს მერმე იერუსალიმი.

18. და აღვიხილენ თუალნი ჩემნი და ვიხილუ: და, აჰა, ოთხნი რქანი.

19. და ვთქუ ანგელოზისა მიმართ მზრახველისა ჩემ შორის: რანი არიან ისინი, უფალო? და თქუა ჩემდამო: ესე რქანი განმაბნეველნი იუდაასნი და ისრაჲლიანნი.

20. და მიჩუენნა მე უფალმან ოთხნი ხურონი

21. და ვთქუ: რაისა ქმნად მოვლენ ისინი? და თქუა ჩემდამო: იმათ რქათა იუდაა და ისრაჲლი დაამტყუეს და ვერვინ მათგანმან აღილო თავი თუსი. და გამოვიდეს ისინი აღმავად მათდა კელთა მიერ მათთა. ოთხნი ესე რქანი ნათესავნი იგი არიან, რომელთა აღიმალღნეს რქანი ქუეყანასა ზედა უფლისასა განბნეულ მისსა.

## 2

ა 1. და აღვიხილენ თვალნი ჩემნი და ვიხილუ: და, აჰა, მამაკაცი და კელსა შინა მისა საბელი სასაქუეყანისშობელი.

2. და ვთქუ მისდამი: სადა წარხულ შენ? და თქუა ჩემდამო: განზომად იერუსალიმისა ხილვად, რაოდენი სივრცე მისი და რაოდენი არს სიგრძე?

3. და, აჰა, ანგელოზი მზრახველი ჩემ შორის დადგა და ანგელოზი სხუა გამოვიდოდა შემთხუევად მისსა

ბ 4. და თქუა მისდამი მეტყუელმან: რბიოდე და თქუ კაბუციასა მის მიმართ მეტყუელმან: ნაყოფიერად დაემკვდროს იერუსალიმი სიძრავლისაგან კაცთა და საცხოვართა მის შორისთაისა.

5. და მე ვიყო მისდა,—იტყუს უფალი,—ზღუდე ცეცხლისა გარემოას და ღადებად ვიყო შორას მისსა

12. იქლმსა S. უგულებელს პყუნ S. 14. იქლმსა S. 15. რისხვითა S. იქლმსა S. იქლმსა S. 17. მზრახველმან S. იქლი S. 20. მიჩუენნა 3. 2. იქლმსა S. 4. მეტყუელმან S. იქლმსა S.

\* ქვე. 8. ა. 2.



6. შ, შ, ივლტოდე ქუეყანით ბლუარით,—იტყუს უფალი,—რამეთუ ოთხ-თაგან ქართა შეგკრიბნე თქუნენ, — იტყუს უფალი.

7. სიონად აღიწიენით. განერნეთ დამკვდრებულნი ასულსა ბაბილონისასა გ. მით, რამეთუ ამათ იტყუს უფალი,—ყოვლისა მპყრობელი,—უქანა დიდებისა მიმავალნი მე წარმართთა ზედა წარმტყუენველთა თქუნეთა მით, რამეთუ შემხებნი თქუნენი, ვითარცა შემხებელი გუგასა თუალისა მისისასა

9. მით, რამეთუ აჰა, მე მივაწევე კელსა ჩემსა მათ ზედა და იყვენენ ტყუე მნონებელთა მათთა. და სცნათ, ვითარმედ უფალმან, ყოვლისა მპყრობელმან, მომავლინა მე.

10. ძნობდი და იშუებდ ასულო სიონისაო. ამისთვის, რამეთუ აჰა, მოვალ და დავიმკვდრო საშუალ შენსა — იტყუს უფალი.

11. და მოივლტოდიან ნათესავნი მრავალნი უფლისა მიმართ მას დღესა შინა და იყუნენ მისდა ერად და დაეშენენენ შენ შორის. და სცნა, ვითარმედ უფალმან, ყოვლისა მპყრობელმან გამომავლინა შენდა მომართ.

12. და დავიმკვდროს უფალმან იუდაე და ნაწილი მისი ქუეყანასა ზედა წმიდასა და აღირჩიოს მერმე იერუსალიმი.

13. ეშინოდედ ყოველსა კორცსა პირისაგან უფლისა, რამეთუ აღდგების ღრუბელთაგან წმიდათა მისთა.

### 3

ა 1. და მიჩუნენა მე უფალმან იისუ, მღღელი დიდი, მდგომარე წინაშე პირსა ანგელოზისა უფლისასა და ეშმაკი უღვა მარჯუენით მას წინააღმდგომად მისსა.

ბ 2. და თქუა უფალმან ეშმაკისა მიმართ: შეგკრისხენინ უფალმან შენ შორის, ეშმაკო, და შეგკრისხენინ უფალმან შენ შორის გამომრჩეველმან იერუსალიმსა! არა აჰა, ესე, ვითარცა მუგუზი გამოტაცებული ცეცხლისაგან.

3. და იისუ იყო შემოსილ სამოსლითა მწიკულიანიითა, დადგა წინაშე პირსა ანგელოზისასა,

4. და მიუგო და პრქუა მდგომარეთა მიმართ წინაშე პირსა მისსა მეტყუელმან: მოსძარცუენით სამოსელნი მწიკულევეანი მისგან; და თქუა მისდა მიმართ: აჰა, აღვიხუენ შენგან უსჯულოებანი შენნი და შეჰმოსეთ მას პოღირი

გ 5. და დაადგით კიდარი წმიდაე თავსა ზედა მისსა და გარემოასხნეს მას სამოსელნი და დაადგეს კიდარი წმიდაე თავსა ზედა მისსა და ანგელოზი უფლისაე დგა

6. და წამებდა ანგელოზი უფლისაე იისუას მიმართ მეტყუელი:

7. ამათ იტყუს უფალი, ყოვლისა მპყრობელი: უკეთუ გზათა შორის ჩემთა ხულოდი და ბრძანებათა შორის ჩემთა სცივიდე და შენ განსაჯო სახლი ჩემი და უქუეთუ დაიცვა ეზოე ჩემი და მოგცნე შენ მოქცეულნი საშუალ მდგომარეთა ამათ.

8. ისმინე უკუე იისუ, მღღელო დიდო! შენ და მახლობელთა შენთა მხსდომარეთა წინაშე პირსა შენსა მით, რამეთუ კაცნი ნიშთმჭურეტელნი არიან, ამისთვის, აჰა, \*მე მოვიყუანო მონად ჩემი აღმოსავალით

9. მით, რამეთუ ქვაბ, რომელიც მივეც წინაშე პირსა იისუფსსა, ქვასა ერთსა ზედა შუდნი თულანი არიან. აჰა, მე აღმოვხარო ცნაცუ — იტყუს უფალი ყოვლისა მპყრობელი, — და გამოვიძიო ყოველი უსამართლოებაჲ ქუეყანისაჲ მის ერთსა შინა დღესა.

10. მას დღესა შინა — იტყუს უფალი ყოვლისა მპყრობელი, — მოუწოდოს თითოეულმან მოყუასსა თუსსა ქუეშე კერძო ვენაცისა და ქუეშე კერძო ლელსა.

## 4

ა 1. და მოაქცია ანგელოზმან მზრახველმან ჩემ შორის და აღმადგინა მე ვითარსახედ რაჟამს აღდგის კაცი ძილისაგან მისისა.

2. და თქუა ჩემდამო: რასა ჰხედავ შენ? და ვარქუე: ვიხილე და, აჰა, საბაზმაჲე ოქროსაჲ სრულიად და ლამპარი ზედაჲთ მისსა და შუდნი ბაზმაჲენი ზედაჲთ მისსა და შუდნი მოსაესებელნი მათნი ზედაჲთთა მისთა ბაზმაჲეთანი

3. და ორნი ზეთისხენი ზედაჲთ მისსა, ერთი მარჯუენით ლამპრისა მისი-სა და ერთი მარცხენით.

4. და ვიკითხე და ვთქუ ანგელოზისა მიმართ მზრახველისა ჩემ შორის მეტყუელმან: რა არიან ესენი, უფალო?

ბ 5. და მომიგო ანგელოზმან მზრახველმან ჩემ შორის მეტყუელმან ჩემ და მომართ: არა იცია რაჲ არიან ესენი? და ვთქუე: არა უფალო!

6. და მომიგო და თქუა ჩემდამო მეტყუელმან: ესე სიტყუაჲ უფლისა ზორობაბელისა მიმართ მეტყუელი: არა ძალისა მიერ დიდისა და არცა ძლიერებისა, არამედ სულისა მიერ ჩემისა, — იტყუს უფალი ყოვლისა მპყრობელი,

გ 7. რაჲ იყოს შენდა მთაჲ დიდი, წინაშე პირსა ზორობაბელისასა წარმართებულად? და განეასწორო ქვაბ მკუდრობისაჲ სისწორითა მადლისათა, მადლთა მისთა.

8. და იქმნა სიტყუა უფლისაჲ ჩემდამო მეტყუელი:

9. კელთა ზორობაბელისათა დააფუძნეს სახლი ესე და კელთა მისთა განასრულონ იგი. და სცნა, ვითარმედ უფალმან, ყოვლისა მპყრობელმან, გამომაველინა მე შენდამო

10. მით, რამეთუ ვინ შეურაცხ-ყო დღეთა მცირეთა და მადლიერობდენ და იხილონ ქვაბ კასტირიონი კელსა შორის ზორობაბელისასა. შუდნი ესე თულანი უფლისანი არიან, ზედდამხედველნი ყოვლისა ქუეყანისანი.

11. და მიუგე და ვთქუ მისდამი: რაჲ ორნი ზეთისხენი: მარჯუენითნი საბაზმაჲისანი და მარცხენითნი?

12. და ვჰკითხე მეორედ და ვთქუ მისდა მიმართ: რაჲ ორნი რტონი ზეთისხეთანი კელთა შორის ორთა მოსაყოფელთა ოქრომასათა ზედმასხმელთა და ზედმავსებელთა, მოსაესებელთა მათ ოქრომასათა?

13. და თქუა ჩემდამო მეტყუელმან: არა იცია, რაჲ არიან ესენი? და ვთქუე: არა, უფალო.

8. უკუე S. 4. მეტყუელმან. S. 10. ქუეშე S. ქუეშე 2. ზედაით S. 3. მარჯუენით S. 5. მეტყუელმან S. 6. მეტყუელმან S. მეტყუელი S. 11 მარჯუენითნი S.

\* ლკა. 1. ზ. 78.

14. და მითხრა მე: ესე, ორნი ძენი პოხიერებისანი, წარდგომილ არიან უფლისა ყოვლისა ქუეყანისასა.

## 5

ა 1. და მოვიქეც და იხილეს თუალთა ჩემთა: და, აჰა, მანგალი მფრინვალე.

2. და თქუა ჩემდამო: რასა ხედავ შენ? და ვთქუ: მე ვხედავ მანგალსა მფრინვალესა, სიგრძით წყრთათა ოცთასა.

ბ 3. და თქუა ჩემდა მომართ: ესე წყევამ გამომავალი პირსა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა მით, რამეთუ ყოველი მპარავი ამისგან ვიდრე სიკუდილმდე შურისძიებულ იქმნეს. და ყოველი ცრუფიცი ამისგან ვიდრე სიკუდილმდე შურისძიებულ იქმნეს.

4. და განვასწორო იგი, — იტყუს უფალი ყოვლისა მპყრობელი, — და შევიდეს იგი სახიდ მპარავისა და სახით მფუცავისა სახელსა ჩემსა ცრუსა ზედა და დაარღვოს საშუალ სახლისა მისისა და მოასრულოს იგი და ძელნი მისნი და მოასრულნეს ქვანი მისნი.

გ 5. და განვიდა ანგელოზი მზრახვალი ჩემ შორის და თქუა ჩემდამო: აღიხილენ თუალნი შენნი და იხილე გამომავალი ესე.

6. და ვთქუ: რაჲ არს? და მრქუა: ესე საზომი გამომავალი. და თქუა: ესე უსამართლოება ყოველსა შორის ქუეყანასა მათსა.

7. და, აჰა, ტალანტი ბრბენისაჲ აღღებული. და, აჰა, დედაკაცი ერთი ჳდა საშუალ საზომისა

8. და თქუა: ისი არს უსჯულოება. და დააგდო იგი საშუალ საზომისა და შთაუგდო ქვაჲ ბრბენისაჲ პირსა მისსა.

9. და აღვიხილენ თუალნი ჩემნი და ვიხილე. და, აჰა, ორნი დედანი გამომავალნი და სული ფრთეთა შორის მათთა და მათ აქუნდეს ფრთენი, ვითარცა ფრთენი ოფოფისანი, და აღიდეს საზომი საშუალ ქუეყანისა და საშუალ ცისა.

10. და ვთქუ ანგელოზისა მიმართ მზრახვალისა ჩემ შორის: სადა მიიღებენ ისინი საზომსა?

11. და ჰრქუა ჩემდამო: აღშენებად მისდა სახლსა ქუეყანასა შინა ბაბილონისასა და განმზადებად და დადგან იგი მუნ, განმზადებასა ზედა მისსა.

## 6

ა 1. და მოვაქციე თუალნი ჩემნი და ვიხილე: და, აჰა, ოთხნი ეტლნი გამომავალნი საშუალ ორთა მათათასა და მათანი იყუნეს მათნი რვალისანი

2. და ეტლსა შორის პირველსა ცხენნი ხსედნი, და ეტლსა შორის მეორესა ცხენნი შავნი.

3. და ეტლსა შორის მესამესა ცხენნი თეთრნი, ეტლსა შორის მეოთხესა ცხენნი ჳრელნი და სინიბნი.

4. და მიუგე და ვთქუ ანგელოზისა მიმართ მზრახვალისა ჩემ შორის: რაჲ არიან ესენი, უფალო?

5. და მომიგო ანგელოზმან მზრახვალმან ჩემ შორის და თქუა: ესე არიან ოთხნი ქარნი ცისანი, გამოვლენ წარდგომად უფლისა ყოვლისა ქუეყანისასა.

6. რომლისა შორის იყენეს ცხენნი შავნი ქუეყანასა ზედა ბლუარსა, და თეთრნი გამოვიდეს უკანა მათსა, და ხსენდნი გამოვიდეს ქუეყანასა ჩრდილო-სა,

7. და ქრელნი და სინიზნი გამოვიდეს და ზედ მოიხილვიდეს გარემოვლად ყოვლისა ქუეყანისა. და თქუა: წარვედით და გარემოვლეთ ქუეყანაჲ. და გარემოვლეს ქუეყანაჲ.

8. და აღიკმო და თქუა ჩემდამო მეტყუელმან: აჰა, გამომავალთა ქუეყანასა ზედა ბლუარსა განუსუენეს გულისწყრომასა ჩემსა ქუეყანასა შორის ბლუარსა.

9. და იქმნა სიტყუა უფლისაჲ ჩემდამო მეტყველი:

10. მიიღე ტყუობათაგან, მთავრობათაგან და პატივცემულთაგან მისთა და შემეცნებულთაგან მისთა და შეხვდე შენ მას ღლესა შინა სახიდ იოსია სოფონიასისა, დამკვდრებულისა ბაბილონს.

11. და მიიღო ვეცხლი და ოქროჲ, და შეჰქმნა გვრგვნი და დაადგა თავსა ზედა იისუ იოსედეკისსა, მღღელისა დიდისასა.

12. და სთქუა მისდა მიმართ: ამით იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი: \*აჰა, მამაკაცი, აღმოსავალი სახელი მისი, და ქუეშე კერძო მისსა აღმოჰკდეს და აღაშენოს სახლი უფლისაჲ

13. და მან მიიღოს სათნოება და დაჯდეს და მთავრობდეს საყდარსა ზედა მისსა და იყოს მღღელი მარჯუენით მისსა და განზრახვად მშუდობით იყოს საშუალ ორთასავე.

14. ხოლო გვრგვნი იყოს მოთმინეთა და სავმართათჳს მისთა, და შემეცნებულთა მისთა, და მაღლად ძეთა სოფონიასთა, და საფსალმუნებლად სახლსა შინა უფლისასა.

15. და შორიელნი მისგან მოვიდენ და აშენებდენ სახლსა შორის უფლისასა. და ცანთ, ვითარმედ უფალმან, ყოვლისა მპყრობელმან, გამომავლინა მე თქუენდამი. და იყოს, უკეთუ მსმენელთა ისმინოთ კმისა უფლისა ღმრთისა თქუენისა.

## 7

1. და იყო მეოთხესა წელსა დარისის ზე მეფისა და იქმნა სიტყუა უფლისაჲ ზაქარიაჲს მიმართ მეოთხესა თუჳსა მეცხრისასა, რომელ არს ხასილევ-ვი.

2. და მიავლინა ბეთელად სარასარ და რაგომელიქ მეფემან და კაცთჳ მისთა მოწყალე-ყოფად უფლისა

3. და თქმად მღღელთა მიმართ მყოფთა სახლსა შინა უფლისაჲ, ყოვლისა მპყრობელისასა, და წინაწარმეტყუელთა მიმართ მეტყუელმან: შემოვიდა აჲა თთუესა მეხუთეს სიწმიდე, ვითარ-იგი დაყუნეს, ეგერა, კმანი წელინი.

4. და იქმნა სიტყუა უფლისა ძალთაჲსა ჩემდამო მეტყუელი.

5. თქუ ყოვლისა მიმართ ერისა ქუეყანისასა და მღღელთა მიმართ მეტყუელმან: \*იმარხვიდეთ თუ, ანუ ჰგოდებდეთ მეხუთეთა შინა, ანუ მეშუდეთა შინა თთუესა და, აჰა, სამეოცდაათნი წელინი ნუთუ მარხვად იმარხეთა ჩემდაჲ

6. ბლოარსა S. 8. ბლოარსა S. ბლოარსა S. 7. ქუეყანისა S. 8. განუსუენეს S. 9. მეტყველი S. 10. ტყუობათაგან S. 12. ქუეშე S. 13. მარჯუენით S. 15. თქუენდამი S. უფლისაჲ S. ღმრთისა S. 3. უფლ:საჲ S. მეტყუელმან S. თთუესა S. 4. უფლისა S. 5. თთუესა S. იმარხვდეთ S. \* ლუკ. 1. ზ. 78. \*\* ესაი. 58. ა. 5.

6. და უკუეთუ სკამოთ ანუ სუათ, არა თქვენ სკამთა და თქვენ სუამთ?
7. არა ესე არიანა სიტყუანი, რომელთა იტყოდა უფალი კელითა წინაწარმეტყუელთა წინაპართაჲთა, ოდეს იყო იერუსალიმი დამკვდრებული და წარმართებული და ქალაქი გარემოჲს მისსა და მთობი და ველობი დამკვდრებულ იყო?
8. და იქმნა სიტყუა უფლისაჲ ზაქარიას მიმართ მეტყუელი:
9. ამით იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი, მეტყუელი: სასჯელი სამართალი საჯეთ და წყალობასა და მშჯავრსა იქმოდეთ კაცნი მოყუისსა მიმართ თვისისა
10. \*და ქურიგსა და ობოლსა და მწირსა და მკოდოვსა ნუ ჰმძლავრობთ. და უკეთურებასა ძმისა თვისისასა ნუ ძვრისჰმოკსენებოთ თითოეული თუალთა შინა თქვენთა.
11. და ეურჩნეს ყურადღებად და მისცეს ზურგი შეურაცხისმყოფელი და ყურის მათნი დაიმძიმნეს არშესმენად
12. და გულნი მათნი დააწესნეს ურჩებად, არშესმენად სჯულისა ჩემისა. და სიტყუანი, რომელნი მიაველინა უფალმან, ყოვლისა მპყრობელმან, სულისა მიერ მისისა კელითა წინაწარმეტყუელთა პირველთათა; და იქმნა რისხვა დიდი უფლისა მიერ, ყოვლისა მპყრობელისა
13. და იყოს ვითარასახედ თქუა და არა ისმინეს მისი, — ეგრეთ დაღებდენ და არ შევისმინო, იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი, —
14. და განვკადნე იგინი ყოველთა მიმართ წარმართთა, რომელნი არა უწყოდნეს და ქვეყანაჲ უჩინო იქმნეს უკანაგან მათსა, არა ვინ იყოს განმველლისაგან დამქცევისა და დააწესეს ქუეყანა რჩეული უჩინოსაჰმნელად.

## 8

1. და იქმნა სიტყუა უფლისა, ყოვლისა მპყრობელისა, მეტყუელი:
2. ამით იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი, ვაშურვე სიონსა და იერუსალიმსა შური დიდი და გულისწყრომასა დიდსა ვეშურვე მას.
3. ამით იტყვს უფალი: მოვიქცე სიონსა ზედა და დავემკდრო შორის იერუსალმსა და ეწოდოს იერუსალიმსა ქალაქი კეშმარტი და მათსა უფლისა, ყოვლისა მპყრობელისასა, მთაჲ წმიდაჲ.
4. ამით იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი: მერმე სხდენა მოხუცებულნი და მოხუცებულანი უბანთა შორის იერუსალმისათა: თუთეული კუერტისისა თვისისა მქონებელი კელსა მისსა სიმრავლისაგან დღეთაჲსა.
5. და უბანნი ქალაქისანი აღივსნენ ყრმებითა და ქალებითა მომღერლებითა უბანთა შორის მისთა.
6. ამით იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი: უკეთუ უძალოობდეს წინაშე ყოველთა ნეშტთა ამის ერისათა მათ დღეთა შინა, ნუ წინაშეცა ჩემსა უძალოობდეს, — იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი.
7. ამით იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი: აჰა, მე აღმოუწოდო ერსა ჩემსა ქუეყანისაგან აღმოსავლეთასა და ქუეყანისაგან დასავლეთაჲსა.

7. სტყუნი S. იტლომი S. 8. უფლისა S. 14. დააწესეს — ქუეყანა S. 2. იტლომა S. 3. იტლომა S. უფლისა S. 4. იტლომისათა S. კუერტისისა S.

\* გ. მლ. 22 დ. 22. ესა. 1 გ. 23. იერ. 5. ზ. 28.

8. და შევიყვანე იგინი და დავაშენე შორის იერუალმისა და იყენენ ჩემდა ერად და მე ვიყო მათდა ღმერთად ქვეშაირიტებისა მიერ და სიმართლისა მიერ.

9. ამათ იტყუს უფალი, ყოვლისა მპყრობელი: განძლიერდინ კელნი თქუენნი მსვენელთანი ამათ დღეთა შინა. სიტყუათა ამათ პირისაგან წინაწარმეტყუელთაჲსა, რომლით დლითგან დაფუძნებულ არს სახლი უფლისაჲ, ყოვლისა მპყრობელისაჲ, და ტაძარი ოდითგან აღშენებულ არს

10. მით, რამეთუ უწინარეს მათ დღეთასა მიზღი კაცთაჲ არ იყოს მოსასყიდელად და მიზღი საცხოვართაჲ არა არს და გამოშავალისა და შემავალისა არა იყოს მშუდობა პირისაგან და განვაკლენ ყოველთა კაცთა, თითოეულსა მოყუსისა მიმართ თვისსა.

11. და აწ არა დღეთაებრ წინაპართა უყოფ მე ნეშტთა ამის ერისათა, — იტყუს უფალი, ყოვლისა მპყრობელი, —

12. არამედ ოდეს უჩუენო მშუდობა, ვენაჲმან მოსცეს ნაყოფი მისი, და ქუეყანამ მოსცეს ნაშრომნი თვისნი, და ცამან მოსცეს ცუარი მისი და დაუმკვლრე დამთოჰილთა ერისა ჩემისათა ესე ყოველნი.

13. და იყოს: ვითარსახედ იყვენით წყევასა შინა წარმართთა შორის სახლი იუდაისი და სახლი ისრაჲლისაჲ, ეგრეთ განგარინენ თქუენ და იყუნეთ კურთხევასა შინა; მინდობით იყვენით და განძლიერდით კელთა მიერ თქუენთა!

14. მით, რამეთუ ამათ იტყუს უფალი, ყოვლისა მპყრობელი: ვითარსახედ ვიგულე განბოროტება თქუენი, განრისხებასა შინა ჩემსა მამათა მიერ თქუენთა, — იტყუს უფალი, ყოვლისა მპყრობელი,

15. და არ შევიანე, ეგრეთ განმიწესებებს და გულადმიღეს ამათ დღეთა შინა კეთილისყოფაჲ იერუსალმისაჲ და სახლისა იუდაისი: კადნიერ იყვენით!

16. ესე არიან სიტყვანი, რომელნი ჰყვენთ: \*იტყოდეთ ქვეშაირიტსა კაცადი მოყუსისა მიმართ თვისსა და საშველი მშუდობითი სიმართლით საჯეთ ბჭეთა შორის თქუენთა.

17. და თითოეული უკეთურებასა მოყუსისა თვისსა ნუ ჰსიტყუაეთ გულთა შინა თქუენთა და ფიცი ცრუჲ ნუ გიყუარსყე; მით, რამეთუ ესე ყოველნი მოვიძულენ, — იტყუს უფალი, ყოვლისა მპყრობელი.

18. და იყო სიტყუა უფლისა ყოვლისა მპყრობელისა ჩემდამო მეტყუელი.

19. ამათ იტყუს უფალი, ყოვლისა მპყრობელი: მარხვაჲ მეოთხე, და მარხვაჲ მეხუთე, და მარხვაჲ მეშუდე, და მარხვაჲ მეათე — იყვენ სახლსა იუდაისსა სიხარულად და შუებად, და დღესასწაულებად კეთილებად და იშუებდით და ქვეშაირიტება და მშუდობა შეიყუარეთ.

20. ამათ იტყუს უფალი, ყოვლისა მპყრობელი: მერმე მოვიდენ ერნი მრავალნი და მკვდარნი ქალაქთა მრავალთა

21. და თან შემოვიდენ დამკვდრებულნი ქალაქთა ხუთთა ქალაქად ერთად მეტყუელნი: მივიდეთ ვედრებად პირისა უფლისა გამოძიებად პირისა ღმერთისა, ყოვლისა მპყრობელისასა, და მივიდე მეცა

22. და მოვიდენ ერნი მრავალნი ძიებად პირისა უფლისა, ყოვლისა მპყრობელისა. იერუსალიმს შინა ღმრთებად-ყოფად პირი უფლისაჲ.

8. შევიყვანე S. ოძლსა S. 12. უჩუენო S. 13. იუქნით S. 15. ოძლსა S. 16. კაც დ. S. 17. ცრუ S. 18. იყოს S. უფლისა S. 19. შუებად S. იშუებდით S. შეიყუარეთ S. 21. უფლისა S. ღმრთისა S. 22. უფლისა S. ოძლს S.

\* ეფეს. 4. ვ. 25.

23. ამათ იტყვს უფალი, ყოველისა მპყრობელი: მათ დღება შინა, უკეთუ მოეკიდნენ ათნი მამაცნი ყოველთაგან ნათესავთა ენათაჲსა და მოეკიდნენ ფესუსა მამაცისა იუდეანისასა მეტყუელნი: მოვიდეთ შენ თანა მით, რამეთუ გუესმა, ვითარმედ ღმერთი თქუენ შორის არს.

## 9

ა 1. ნეშტი სიტყვსა უფლისაჲმ ქუეყანასა შინა სედრაქს და დამასკისა მსხუერპლი მას მით, რამეთუ უფალი ზედა ხედავს კაცთა და ყოველთა ტომთა ისრაჲლისათა

2. და ემათ, საზღუართა შორის მისთა, ტუროსი და სიდონი, მით, რამეთუ იზრახეს ფრიად.

3. და აღაშენნა ტუროსმან სიმაგრენი მისნი და დაიუნჯა ვეცხლი, ვითარცა მიწა და ოქროჲ, ვითარცა თიჯა გზისა.

4. ამისთჳს, ამათ იტყვს უფალი: დაიმკუდრნეს იგინი და დაჯადოს ზღუად ძალი მისი და იგი ცეცხლისა მიერ განილიოს.

5. იხილოს ასკალონმან და შეშინოს და დაზამა შეელმეს ფრიად და აკაარონმან, რამეთუ ჰრცხუნენა ქმნილსა ზედა მისსა და წაარწყმდეს მეფე დაზით დ ასკალონი არდამკუდრებულ იქმნნეს.

6. და დაემკუდრნენ სხუადანათესავნი აზოტეს შინა და დაეამყუა გინება უცხოტომთა.

7. და აღვილო სისხლი მათი პირისაგან მათისა და საძაგელებანი მათნი საშუალისაგან კბილთა მათთასა, ხოლო დაუშუთენ ესენიცა ღმერთთა ჩუენსა და იყენენ, ვითარცა ათასისთავი იუდაჲს შორის, აკაარონი, ვითარცა იებუტელი.

ზ 8. და მოუგუარო სახლსა ჩემსა აღმართებამ, არა სიარულად, არცა კუალადქცევა, და არა მივიდეს მათ ზედა არღა მერმე მდევნელი; მით, რამეთუ აწ ვიხილე თვალთა მიერ ჩემთა.

9. \*იხარებდ ფრიად, ასულო სიონისაო, ქადაგებდ, ასული იერუსალჲმისაჲ. აჰა, მეუფე შენი მოვალს შენდა მართალი და მაცხოვარი, თავადი მშუდი, და მჯდომარე კარაულსა ზედა, და კიცუსა ახალსა.

10. და მოსრას ეტლები ეფრემისაგან და ცხენები იერუსალჲმისაგან და მოისპოს მშუდლი საბრძოლელი და სიმრავლე და მშუდობა წარმართთაგან. და ემთავროს წყალთა ვიდრე ზღუადმდე და მდინარეთა მომღვლთა ქუეყანისათა.

გ 11. და შენ სისხლითა აღთქმისა შენისათა განავლინენ კრულნი შენნი მღვმისაგან არმქონებელისა წყალსა.

12. და დაისხნენ სიმაგრესა შინა კრულნი შესაკრებელისანი და ნაცვლად ერთისა ღლისა მსხემობისა შენისა უკუნსცნენ მრჩობლნი

13. მით, რამეთუ მოგირთხენ თავისა ჩემისა მშულდად იუდა. გარდაუცუ, ეფრემ, და აღვადგენ შვილთა შენთა, სიონ, შვილთა ზედა ელლენთასა და გამოგოძმე შენ, ვითარცა მახლსა მბრძოლისასა.

14. და იყოს უფალი მათ ზედა. და გამოვიდეს, ვითარცა ელვა, ისრი, და უფელმან ღმერთმან, ყოველისა მპყრობელმან, ნესტუსა მიერ დანესტოს და ვიდოდის ძრვისა მიერ ქადებამ მისი.

23. მეტყუელნი S. გუესმა S. 1. მსხუერპლი S. 5. დაზამა + და S. 5. ჰცხუნენა S. 9. ოქროსითა S. 10. ცხენი S. ოქროსისაგან S. 13. შუკთა S. შუკთა S.

\* ესრა 62. დ. 11. მათე. 21. ა. 5.

დ 15. უფალი, ყოვლისა მპყრობელი, შეეწყვის ამათ, და განპლევნ მათ და შთაპლევნ მათ ქვათა მიერ შურდულისათა და შესუმენ სისხლსა მათსა, ვითარცა ღვინოსა, და აღავსებენ ფიალთა, ვითარცა საკურთხეველსა.

16. და აცხოვნეს იგინი უფალმან ღმერთმან ღღესა შინა, ვითარცა ცხოვარნი, ერი მისი მით, რამეთუ ქვანი წმიდანი გორვენ ქვეყანასა ზედა მისსა,

17. რამეთუ, რამცა სახიერ მისსა, და რამთა კეთილ მისსა იფქლი ჭაბუკიდთა და ღვინომ მსულენლობი ქალწულთა.

## 10

ა 1. ითხოეთ წყმი უფლისაგან ეამიერად მსთუად და მცხუელი, უფალმან ქნნა საოცარნი და წყმი საზამთრომ მისცეს მათ, თითოეულსა მწუანვილსა ველისა შორის

2. მით, რამეთუ აღმოქმობელთა თქუნეს შრომანი, და მისანთა ხილვანი მტყუარნი თქუნეს და მესიზმრენი ნუგეშინისსცემდეს ცუდთა, ამისთვის განკმეს სამწყსო და იგუემნეს, რამეთუ არა იყო კურნება.

3. განძნდა გულისწყრომად ჩემი მწყემსთა ზედა და კრავთა ზედა მივიხილო, და ზედ მიიხილოს უფალმან ღმერთმან, ყოვლისა მპყრობელმან. სამწყსოსა მისსა, სახლსა იუდაისსა და დააწესნეს იგინი, ვითარცა ცხენნი მისნი შუენიერნი ბრძოლასა შინა.

ბ 4. და მისგან ზედ მოიხილა, და მისგან განაწესა, და მისგან მშულდი გულისწყრომითი, და მისგან გამოვიდეს ყოველნი მდევნელნი მის შორის.

5. და იყვნენ, ვითარცა მებრძოლნი მთრგუნველნი თიჯასა გზათა ზედა ბრძოლასა შინა და განეწყუნენ, რამეთუ უფალი მათ თანა და სირცხულეულ იქმნენ აღმავალნი ცხენთა.

6. და განვაძლიერო სახლი იუდაისი და სახლი იოსებისი ვაცხოვნო. და დავამკვდრენ იგინი, რამეთუ შევიყუარენ იგინი. და იყოს, ვითარსახედ არ გარემივაქციენ იგინი, რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი მათი და შევისმინო მათი.

7. და იყვნენ, ვითარცა მბრძოლნი ეფრემისნი. და მხიარულ იყოს გული მათი, ვითარცა ღვინოსა მიერ და შევილთა მათთა იხილონ და იშუებდენ და იხარებდეს გული მათი უფლისა მიერ.

გ 8. აღვნიშნენ იგინი და შევიწყნარენ იგინი მით, რამეთუ ვიქსნი მათ და განმრავლდენ, ვითარ-იგი იყუნეს მრავალ.

9. და განვტესნენ იგინი ერთა შორის და შორიელნი მომიკსენებდენ მე. განზარდნენ შვილნი მათნი და მოაქციენ.

10. და მოვაქციენ იგინი ქუეყანით ეგვიპტისადა და ასურასტანელთაგან, შევიწყნარენ იგინი და გალაადიტისა მიმართ და ლიბანისა მიმართ შევიყვანენ იგინი და არა შესცთეს მათგანი არცა ერთი.

11. და შევიდენ ზღვსა შორის იწრომსა და დასცნენ ზღვსა შორის ღელვანი და განკმენ ყოველნი სიღრმენი მდინარეთანი. და აღებულ იქმნეს ყოველი ვინება ასურასტანელთა და სკიპტრად ეგვიპტისად მოისპოს.

12. და განვაძლიერენ იგინი უფლისა მიერ ღმერთისა მათისა და სახელისა მიმართ მისისა იქადლოდიან, — იტყვს უფალი.

15. ღვინოსა S. 16. ქვეყანასა sic. 1. მცხუელი S. 2. იგუემნეს S. 3. ცხენი S. მისი S. 3. შტუნერ S. 4. ყოველნიყ' 7. იშუებდენ S. უფლისა S. 9. შვილი S. 10. შევიყვანენ S. 11. იწრო-სა S. 12. უფლ-სა S. ღმრთ-სა. იქადლო-ნ S.



## 11

ა 1. და განახუნენ, ლიბანო, კარნი შენნი, და შეჭამნენ ცეცხლმან ნაძუნი შენნი.

2. და ვალალებდა პიტუ მით, რამეთუ დაეცა ნაძუ, რამეთუ დიდად საარებულ იქმნნეს დიდებულნი. ვალალებდით მუხანი ბასანიტიდისანი, რამეთუ დაიფხურა მღონარი ნერგოანი.

3. კმა მგოდებელთა მწყემსთა, რამეთუ საარებულ იქმნა სიდიდე მათი. კმა მყურალთა ლომთაჲ. რამეთუ საარებულ იქნეს ფრტუნვანი იორდანიისანი.

4. ამით იტყვს უფალი ყოვლისა მპყრობელი: მპყსით ცხოვართა დაკლვისათა,

5. რომელნი მომგებელთა დაკლნეს და შეინანეს და განმსყიდელნი მათნი იტყოდეს: კუერთხელ არს უფალი, რამეთუ განვმდიდრდით. და მწყესელნი მათნი არა ივენებდეს მათ ზედა არარას.

6. ამისთვის არა ვერიდო არღა მერმე დამკვრებელთა ზედა ქუეყანისათა, — იტყვს უფალი. და, აჰა, მე მივსცემ კაცთა თითოეულსა კელთა მოყუხისა თვისისა და კელთა მეფისა თვისისათა და დაქრას ქუეყანა და არ განვარიონო კელთაგან მათთაჲსა.

7. დავმწყსნე ცხოვარნი დაკლვისანი ხანაანტიისა შორის და მოვიხუნე თავისა ჩემისა ორნი კუერთხნი: ერთსა უწოდე შუენიერება და სხუასა უწოდე წილისსაზომი; დავმწყსნე ცხოვარნი

8. და აღვიხუნე სამნი მწყემსნი თთუესა შინა ერთსა და დამძიდეს სულნი ჩემი მათ ზედა, და რამეთუ სულნი მათნი მწუხარებოდეს ჩემდამო.

9. და ვთქუე: არა გმწყსი თქუენ: მოკულდომადი — მოკუედინ, და მოკლებადი — მოაკლდინ და დაშთომილნი შეშჰამდენ კაცადი კორცთა მოყუისისა თვისისათა.

10. და მოვიდო კუერთხი ჩემი შუენიერი და განვაგდო იგი განსაქარვებელად აღთქმისა ჩემისა, რომელი აღუთქუ ყოველთა მიმართ ერთა.

11. და განქარდეს მას დღესა შინა, და იცნენ ქანანელთა ცხოვარნი და ცულნი ჩემნი მით, რამეთუ სიტყუა უფლისაჲ არს.

გ 12. და ვთქუ მათდა მიმართ: უკეთუ კეთილ არს წინაშე თქუენსა, მოეცით, აღწონეთ სასყიდელი ჩემი, ანუ უკუნ თქუთ.

13. \*და აღწონეს სასყიდელი ჩემი ოცდაათნი ვეცხლნი და თქუა უფალმან ჩემდამო: დასხენ ეგენი გამოსაღობელსა და განიხილე, უკეთუ გამოცდილ არს, ვითარსახედ გამოვიცადე მათთვის და მოვიხუნე ოცდაათნი ვეცხლნი და შევიხუნე სახიდ უფლისა საღნობელად მიმართ.

14. და განვაგდე კუერთხი მეორე წილისსაზომი განსაქარვებელად აღთქმისა ჩემისა, საშუალ იუდაჲსსა, და საშუალ ისრაჲლისა.

დ 15. და თქუა უფალმან ჩემდამო: მერმე მოიხუნე თავისა შენისად კურკელნი სამწყემსონი მწყემსისა გამოუცდელისანი

16. მით, რამეთუ, აჰა, მე აღვადგინო მწყემსი წარმართი ქუეყანასა ზედა: მოკლებული არ მოიხილოს, და განბნეული არ მოიძიოს, და შემუსრვილი არ

1 განახუნენ S. 7. კუერთხნი S. შუენიერება. 8. თთუესა S. 9. მოკულდინ S. 10. კუერთხი S. შუენიერი S. 10. აღუთქუ S. 11. დაცულნი S. 11. დღესა S. 13. მოეხუნენ S. 14. კუერთხი S. 15 ჩემდამო S. მოიხუნენ S.

\* მთე. 17. ბ. 9.

განკურნოს, და მრთელსა არა წარუმართოს და კორციი რჩეულთანი შექამნეს და ფერჯნი მათნი გარდაქცინეს.

17. ჰ, რომელნი ჰმწყსიან ამოთა და დაუტევებენ ცხოვართა! მახული მკლავსა ზედა მისსა და თუალნი მისნი მარჯუენესა მისსა. და მკლავნი მისნი განკმობით განკმეს და თუალი მისი მარჯუენე დაბზრმალი დაბზრმეს.

## 12

ა 1. ნეშტი სიტყუსა უფლისა ისრამლსა ზედა, — იტყუს უფალი, გარდამრთმელი ცისაჲ და დაამყარებელი ქუეყანისაჲ და შემქმნელი სულისა კაცისასა მის შორის:

2. აჰა, მე დავსდებ იერუსალმსა, ვითარცა კარსესა მერყევისა გარემოჲს ყოველისა ერისა და იუდას შორის და იყოს გარემოცეჲ იერუსალმსა ზედა.

3. და იყოს მას ღღესა შინა, დავდვა იერუსალიმი ქველ დათრგუნვილად ყოველთა წარმართთა მიერ. ყოველი დამთრგუნველი მისი სიმღერით იმღეროდის და შეკრბენ მის ზედა ყოველნი ნათესავნი ქუეყანისანი.

4. მას ღღესა შინა,—იტყუს უფალი, ყოველისა მპყრობელი—დავსცე ყოველი ცხენი განკრთომილებითა და აღმავალი მისი ცნობავნებულეებითა. ხოლო სახლსა ზედა იუდაისსა განვახუნე თუალნი ჩემნი. და ყოველნი ცხენნი ერთანი დავსცენ დაბრმობითა.

ბ 5. და იტყოდინ ათასისთავნი იუდაისნი გულთა შინა მათთა: ეპოვნეთ თავთა თუსად დამკვდრებულნი იერუსალმს უფლისა მიერ, ყოველისა მპყრობელისა, ღმრთისა მათისა.

6. მას ღღესა შინა დავსხნე ათასისთავნი იუდაისნი, ვითარცა მუგუჰი ცეცხლისაჲ შეშათა შორის და ვითარცა ლამპარი ცეცხლისაჲ ლელწამთა შორის. და შესქამდენ მარჯვენით და მარტხენით ყოველთა ერთა გარემო. და დაიმკვდროს იერუსალიმჲ მერმე თუსაგან იერუსალმში.

7. და აცხოვნენ უფალმან კარვებნი იუდაისნი, ვითარცა დასაბამსა, რადთა არ განდიდნებოდის სახლი დავითისი და სილაღე მკვდრთა იერუსალიმისათა იუდას ზედა.

გ 8. და იყოს მას ღღესა შინა, შემწე იყოს უფალი ყოველთა მკვდრთათუს იერუსალმისათა. და იყოს უძღური მათ შორის მას ღღესა შინა, ვითარცა დავით. და სახლი დავითისა სახლ, და ვითარცა სახლი ღმრთისაჲ, ვითარცა ანგელოზი უფლისაჲ წინაშე მათისა.

9. და იყოს მას ღღესა შინა, ვიძიო მოსპობა ყოველთა წარმართთა მიმავლთა იერუსალმსა ზედა.

10. და მივპფინო სახლსა ზედა დავითისსა და დამკვდრებულთა ზედა იერუსალიმისათა სული მადლისა, სიხარულისა და თანაღმობისა \* და მოიხილონ ჩემდაჲო მის წილ, რომლისა მიმართ უგმირეს, და როკვიდეს და იტყებდენ მათ ზედა ტყებათა, ვითარცა საყუარელსა ზედა, და იღმონ ღმობა, ვითარცა პირმშოსა ზედა.

17. მარჯვენისა S. მარჯვენე S. 1. უფლისა S. 2. ირმლსა S. 3. იერუსალიმი sic. 5. იტყოდნ S. ირმლს S. უფლისა S. ღმრთისა S. 6. იერუსალიმჲ S. ირმლი S. 7. იერუსალიმისათა S. 8. ირმლისათა S. 9. ირმლსა S. 10. იერუსალიმისათა S. როკვდეს S.

\* იგ. 19. ზ. 37.

დ 11. მას ღღესა შინა განდიდნეს იერუსალმისა შორის ტყეზაჲ, \*ვითარცა ტყეზაჲ ბროწეულთა ველსა ზედა მოკუეთილისაჲ.

12. და იტყებდეს ქუეყანაჲ ტომად ტომად თსაგან:

13. ტომი სახლისა დავითისი თსაგან და დედანი მათნი განთსუგებით; ტომი სახლისა ნათანისი თსაგან და დედანი მათნი განთსუგებით; ტომი სახლისა ლევისი თსაგან და დედანი მათნი განთსუგებით; ტომი სახლისა სუმეონისა თსაგან და დედანი მათნი განთსუგებით.

14. ყოველნი ნეშტნი ტომნი — ტომი თსაგან და დედანი მათნი განთსუგებით.

## 13

ა 1. მას ღღესა შინა იყოს ყოველი ადგილი წყარო განღებულ სახლსა დავითისსა და მკვდრთა იერუსალმისათა გარდასაძრველად და ცოდვილთათს დასაპკურებლად.

2. \*\*და იყოს მას ღღესა შინა,—იტყვს უფალი საბაოთ,—მოვსპო სახელები კერპთაჲ ქუეყანისაგან და არაღა მერმე იყოს კსენებაჲ მათი და ცრუწინაწარმეტყუელნი და სული არაწმიდაჲ ადვილო ქუეყანისაგან.

ბ 3. და იყოს, უკეთუ იწინაწარმეტყუელოს კაცმან მერმე და თქუას მისსა მიმართ მამამან მისმან და დედამან მისმან: არ ცოცხალ იყო, რამეთუ ტყუილი ჰზრახე სახელითა უფლისაჲთა; და დააყენონ იგი მამამან მისმან და დედამან მისმან, მშობელთა მისთა, წინაწარმეტყუელებასა შინა მისსა.

4. და იყოს მას ღღესა შინა, სირცხულეულ იქმნენ წინაწარმეტყუელნი, თითოეული ხილვისაგან თსისა, წინაწარმეტყუელებასა შინა მისსა და შეიმოსონ ტყავი შავი ბალნისა ტყუილისა წილ.

გ 5. და თქუას: არა ვარ მე წინაწარმეტყუელი მით, რამეთუ კაცი ქუეყანისმოქმედი ვარ მე, რამეთუ კაცმან მშვა მე სიკაბუჯით ჩემითგან.

6. და ვთქუ მისდა მიმართ: რაჲ არს წყლულნი ეგე საშუალ კელთა შენთა? და თქუა: რომლითა ვიწყალ სახლსა შორის საყუარელისა ჩემისასა.

7. მახული აღღებინ მწყემსსა ზედა ჩემსა და მამაცსა ზედა მოქალაქესა მისსა, — იტყვს უფალი, ყოველისა მპყრობელი: \*\*\*დაეც მწყემსი და განიბინენ ცხოვარნი! და მივაელინო კელი ჩემი მწყემსთა ზედა.

დ 8. და იყოს მას ღღესა შინა,—იტყვს უფალი,—ყოველსა შორის ქუეყანასა, ორნი ნაწილნი მის შორის მოისპნენ და მოაკლდენ, ხოლო მესამე დაშთეს მის შორის.

9. და განვაგლო მესამედი ცეცხლისა მიერ და განვაკურენე იგინი, ვითარცა განკურდების ვეცხლი, და გამოვცადნე იგინი, ვითარცა გამოიცდების ოქროჲ: ესრეთ უწოდდეს სახელსა ჩემსა და მე ვისმინო მისი და ვთქუა: ერი ჩემი არს ესე, და მან თქუას: უფალი ღმერთი ჩემი ხარი შენ.

11. ოქლმა S. მოკუეთილ საჲ S. 1. მკვდრნი S. იქლმისანი S. 13. სახილო ნათანისი S. 2. წყუტულნი S.

\* 2. ნეშტ. 35. გ. 22. \*\* ეზეკ. 30. დ. 13. \*\*\* მთე. 26. გ. 31. მრკ. 14. გ. 27.

ა 1. აპა, დღენი მოვლენ უფლისანი, და განიბნინენ ნატყუენაენი შენნი შენ შორის.

2. და შევეკრიბნე ყოველნი წარმართნი იერუსალმსა ზედა ბრძოლად და წარიტყუენოს ქლაქი, და განიბძარნენ სახლნი, და დედანი შეიბილწნენ, და განვიდეს ნახევარი ქლაქისა ტყუეობად, და ნეშტი ერისა ჩემისა არა მოისრნენ ქლაქისა მისგან.

3. და გამოვიდეს უფალი და განეწყოს ნათესავთა მათ მიმართ, ვითარცა დღესა წყობისა მისისასა, დღესა შინა ბრძოლისასა.

4. და დადგენ ფერკნი მისნი მას დღესა შინა მთასა ზედა ზეთისხეთასა პირისპირ იერუსალმსა აღმოსავალით კერძო; და განიბოს მთაჲ ზეთისხეთაჲ—კერძოჲ მისი აღმოსავალად მიმართ და კერძოჲ მისი ზღუად მიმართ, დანახეთქად დიდად ფრიად და მიდრკეს ნახევარი მთისა ჩრდილოდ მიმართ, და ნახევარი მისი სამხრად მიმართ.

ბ 5. და აღმოიგნენ ღელენი მათათა ჩემთანიდა შებრძვლდეს ჳევი მათათა ჩემთაჲ ვიდრე ასაილამდე. \*ვითარ-იგი აღმოიგო დღეთა შინა ძრვისათა და დღეთა შინა ოზიად მეფისა იუდასთასა და მოვიდეს უფალი ღმერთი ჩემი და ყოველნი წმიდანი მის თანა.

6. და იყოს მას დღესა შინა, არა იყოს ნათელი და ნეფხუაჲ და ყინელი.

7. იყოს ერთსა დღესა, და დღე იგი ეცნობოს უფალსა: და არა დღე, და არა ღამე. და სამწუხროდ იყოს ნათელი.

8. და მას დღესა შინა გამოვიდეს წყალი მცოცხლი იერუსალმით, ნახევარი მისი ზღუასა ზედა პირველსა და ნახევარი ზღუასა ზედა უკანასკნელსა; ზაფხულსა შორის და არესა შორის იყოს ესრეთ.

9. და იყოს უფალი მეფედ ყოველსა ზედა ქუეყანასა. მას დღესა შინა იყოს უფალი ერთ, და სახელი უფლისაჲ ერთ,

10. მომცველი ყოველსა ქუეყანასა და უდაბნოსა დაველითგან ვიდრე რემონამდე, სამხრით კერძო იერუსალიმისა, ხოლო რამაჲ ადგილსა ზედა ეგოს ბჳითგან ბენიამენისით ვიდრე ბჳედმდე პირველად, ვიდრე ბჳისამდე მეზობირთასა და ვიდრე გოლამდე ანამელიისსა, ვიდრე საწინებლის წედთამდე მეფისათა.

11. დაემკვდრნენ მის შორის და არა იყოს შენაჩუშნები მერმე და დაემკვდროს იერუსალმში სასოებით.

გ 12. და ესე არს დაცემაჲ, რომლითა მოჳკუეთს უფალი ყოველთა ერთა, რაოდენთა განილაშქრეს იერუსალმს ზედა. და დადგნენ კორკნი მათნი დგომასადა მათსა ფერკთა ზედა მათთა, და თუალნი მათნი აღმოსცვენ ბუღეთაგან მათთა, და ენაჲ მათი დადნეს პირსა შინა მათსა.

13. და იყოს მას დღესა შინა განკრთომაჲ უფლისაჲ დიდი მათ ზედა, და მოევიდოს თითოეული ჳელსა მოყუსისა თვისისასა, და თანაშეათზნნას ჳელი მისი ჳელისა მათ მოყუსისა მისისაჲსა.

14. და იუდა წყობა-ყოს იერუსალიმს შინა, და თანააქუნდეს ძალი ყოველთა გარეშემოთა ერთაჲ: ოქროჲ და ვეცხლი და შესამოსელი სიმრავლედ ფრიად.

1. ნატყუენაენი. 2. ი'სლმსა S. წარიტყუენოს S. ტყუეობად S. 4. ი'სლმსა S. 8. ი'სლმით S. 10. იერუსალიმისა sic. 11. ი'სლმ S. 12. მოჳკუეთს S. ი'სლმს S. 14. რუდა S.

\* ამოს. 1. ა. 1.

15. და ესე იყოს დაცემად: ცხენთა და კერძოვირთა, და აქლემთა, და ვირთა, და ყოველთა საცხოვართა, მყოფთა ბანაკთა მათ შინა დაცემისა ამისებრ.

16. და იყოს: რაოდენნიცა დაშთენ ყოველთაგან წარმართთა მოსრულთა იერუსალმისა ზედა და აღმოვიდოდინ წლითი წლად თაყუანის-ცემად მეფესა, უფალსა, ყოვლისა მპყრობელსა, და დღესასწაულებად დღესასწაული კარვის-დგმისა.

17. და იყოს: რაოდენნიცა არა აღვიდენ ყოველთაგან ტომთა ქუეყანისათა იერუსალმდ თაყუანის-ცემად მეფესა, უფალსა, ყოვლისა მპყრობელსა, და არა იყოს მათ ზედა წყმად და იგინიცა მათვე თანა შეეძინენ.

18. ხოლო უკუეთუ ტომი ეგუბტისა არა აღვიდეს, არცა მივიდეს მუნ, მათ ზედაცა იყოს დაცემად, რომელი შეამთხვოს უფალმან, ყოვლისა მპყრობელმან, ნათესავთა, რაოდენნიცა არა აღვიდენ დღესასწაულებად კარვის-დგმისა დღესასწაულსა.

19. ესე არს ცოდვად ეგუბტისად და ცოდვად ყოველთა ნათესავთად, რაოდენნიცა არა აღვიდენ დღესასწაულებად და დღესასწაულსა კარვის-დგმისასა.

20. მას დღესა შინა იყოს აღურსა შორის ცხენისასა: წმიდამ უფლისად, და იყუნენ სიავნი სახლსა შინა უფლისასა, ვითარცა ფიალი წინაშე პირსა მსხუერპლისსაცავისასა.

21. და იყოს ყოველი სიავი იერუსალიმს შინა და იუდაისა შორის წმიდამ უფლისა, ყოვლისა მპყრობელისა, და მივიდოდინ ყოველნი მსხუერპლელნი და მიიხუმიდენ მათგან და აგზობდენ თავთა მათთად, და არა იყოს ქანანელი მერმე სახლსა შინა უფლისა ძალთამსასა მას დღესა შინა.

---

16. იყოსიოს S. ოშლემსა S. აღმოვიდოდინ S. დღესასწაულებად S. 17. ოშლმდ S. 20. მსხუერპლისსაცავისასა S. 21. ოშლმს S. უფლისად S. მივიდოდინ S. მსხუერპლელნი S.

## წინაწარმეტყველება მაღაქიასი

### 1

ა 1. მიღებამ სიტყვას უფლისაჲსა ისრაჲლსა ზედა კელითა ანგელოზისა მისისაჲთა.

2. დაისხენით უკუე გულთა შინა თქუენთა. შეგიყუარენ თქუენ, — იტყუს უფალი,—და სთქუთ: რაჲსა შორის შემოყუარებ ჩუენ? არა ძმად იყოა ისაჲ იაკობისი? იტყუს უფალი, — \*და შევიყუარე ძე; იაკობი,

3. ხოლო ისაჲი მოვიძულე და დავსხენ საზღუარნი მისნი უჩინოსაქმნელად და სამკვდრებელი მისი მისაცემელებად უდაბნოჲსა

4. მით, რამეთუ თქუეს: უკეთუ იღუშეა დაიქცეს და მივიქცეთ და აღვაშენნეთ ნაოჯარნი მოოჯრებულნი მისნი, — ამათ იტყუს უფალი, ყოვლისა მპყრობელი, იგინი აშენებდენ და მე დავაქციო და ეწოდოს მათ საზღურებ უსჯულოებისა და ერ, რომლისაგან განყენებულ არს უფალი ვიდრე საუკუნომდე.

ბ 5. და თუალთა თქუენთა იხილონ და თქუენ სთქუათ: განდიდნა უფალი ზეშთა ზედაჲთ საზღუართა ისრაჲლისათა.

6. ძე აღიდებს მამასა და მონად ეშიშვის უფალსა თჳსსა. და უკუეთუ მამად ვარ მე, სადა არს დიდებამ ჩემი? და უკეთუ უფალი ვარ მე, სადა არს შიში ჩემი? — იტყუს უფალი, ყოვლისა მპყრობელი. თქუენ, მღდელთა, განაოხეთ სახელი ჩემი და თქუთ: რაჲსა მიერ განვაოხეთ სახელი შენი?

7. მოიხუენით მსხუერპლისა საცავისა მომართ ჩემისა პურნი შეგინებულნი და სთქუთ: რაჲსა მიერ შევაგინენით იგინი? თქუმისა მიერ თქუენგან: ტაბლად უფლისაჲ შეურაცხ-ქმნილი არს და ზედა დასხმულნი ჳამადნი შეურაცხნი არიან.

გ 8. მით, რამეთუ შემო-თუ-სწიროთ ბრმად მსხუერპლისა საცავად, არა ბოროტ არსა? და უკეთუ შემოსწიროთ მკელობელი ანუ სნეული, არა ბოროტ არსა? შესწირე იგი წინამძღვარსა შენსა, უკეთუ მიითვალოს იგი, ანუ ათნოს პირსა შენსა? — იტყუს უფალი, ყოვლისა მპყრობელი.

9. და აწ დაიგეთ პირი ღმრთისაჲ თქუენისაჲ, და ევედრენით მას; რამეთუ გელთა შინა თქუენთა იქმნეს ესენი, უკეთუ მე ვიპოო თქუენგან პირი თქუენი? — იტყუს უფალი, ყოვლისა მპყრობელი.

10. მით, რამეთუ თქუენ თანაცა დაჯშულ იქმნენ კარნი და არა აღიხუენთ მსხუერპლის საცავად ჩემდა ძღუენი, არა არს ნება ჩემი თქუენდა. — იტყუს

1. უფლისაჲ S. 2. უკუე S. თქუენთა S. თქუენ S. 4. თქუეს S. 5. თქუენთა S. თქუენ S. 6. უკუეთუ—უქარაგმოდა. თქუენ S. 7. მოხუენით S. მსხუერპლისა S. თქუენგან S. 8. მსხუერპლისა S. 8. იტყვ S. 9. თქუენისაჲ S. თქუენგან S. თქუენი S. 10. თქუენ S. მსხუერპლის S. ძღუენი S. თქუენდა S. მსხუერპლის S.

უფალი, ყოვლისა მპყრობელი,—და მსხუერპლსა არ შევიწირავ კელთაგან თქუნთა

11. \*მით, რამეთუ აღმოსავალთაგან მზისათაჲთ და ვიდრე დასავალთაჲმდე სახელი ჩემი დიდებულ არს წარმართთა შორის და ყოველსა ადგილსა საკუმეველი მოერთუმის სახელსა ჩემსა და მსხუერპლი წმიდაჲ; და მით, რამეთუ დიდ არს სახელი ჩემი წარმართთა შორის,—იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი.

12. ხოლო თქუნენ შეაგინებთ მას თქუმისა მიერ თქუნენისა: ტაბლად უფლისაჲ მწიკულევიანი არს და მას ზედა დაგებულნი ჰამადნი შეუტრაცს არიან.

და 13. და სთქუთ: ესენი ძვრენებულობისაგან არიან, და განვებრენ იგინი, — იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი, და შემოიხუთებთ ნატაცებთა და მკელობლთა და აღშფოთებულთა და შემოსწირავთ მსხუერპლსა, უკეთუ მივითუალავ ამით კელთაგან თქუნეთა?—იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი, —

14. და წყეულ იყავნ კაცი, რომელი შემძლებელ იყოს, და იყოს სამწყსოსა შინა მისსა ვერძი და აღთქუმაჲ მისი მას ზედა და დაუკლავს უფალსა განხრწნილი მათ, რამეთუ მეფე დიდი ვარ მე,—იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი, — და სახელი ჩემი ზედსაჩინო არს წარმართთა შორის.

## 2

ა 1. და აწ მცნებაჲ ესე თქუნენდა მიმართ არს მღღელთა:

2. \*უკეთუ არა ისმინოთ და უკეთუ არა დაიდვათ გულსა შინა თქუნენსა მიცემად დიდება სახელსა ჩემსა,—იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი,—და გამოავლინო თქუნენ ზედა წყევამ და დავწყეო კურთხევა თქუნენი და დავწყეო იგი და განვაქარვო კურთხევა თქუნენი და არა იყოს თქუნენ შორის, რამეთუ თქუნენ არ დაიდევით გულსა შინა თქუნენსა.

3. აჰა, ესერა, მე მიგიღებ თქუნენგან მკარსა და განვჰყოფ ქუსეტსა პირთათანა თქუნენსა, ქუსეტსა დღესასწაულისა თქუნენთასა და მიგიხუნენ თქუნენ მისდამი.

4. და შეემეცნენთ, ვითარცა მე მოვავლინე თქუნენდა მცნება ესე ყოფად აღთქმა ჩემი ლევიტელთა მიმართ,—იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი,—

5. აღთქმაჲ ჩემი იყოს მის თანა სიცოცხლისა და მშუღობისაჲ და მივეც მას შინისა მიერ შეშინებად ჩემგან და პირისაგან სახელისა ჩემისა შეკდემულ-ყოფად მისდა.

ბ 6. შჯული კემმართვებისაჲ იყო პირსა შინა მისსა და უსამართლოებაჲ არა იპოვა ბაგეთა შორის მისთა. მშუღობაჲ წარმმართველი ვიღოდა ჩემ თანა და მრავალნი მოვაქციენ უსამართლოებისაგან,

7. რამეთუ ბაგენი მღღელისანი დაიცვენ მეცნიერებასა და შჯული გამოიძიონ პირისაგან მისისა, რამეთუ ანგელოზი უფლისა, ყოვლისა მპყრობელისა, არს.

8. ხოლო თქუნენ მისდერკით გზისგან და უძღურ-ჰყვენით მრავალი შჯულსა შინა და განხრწნით აღთქმაჲ ლევისი,—იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი,—

11. მსხუერპლი S. 12. თქუნ S. თქუნისა S. 13. მსხუერპლსა S. თქუნთა S. 1. თქუნდა S. 2. თქუნსა S. თქუნ S. თქუნნი S. თქუნნი S. თქუნნი S. თქუნნი S. თქუნნი S. 3. თქუნგან S. თქუნთასა S. თქუნ S. 4. თქუნდა S. იტყვ S. 7. კდობისა S.

\* ფსლ. 112. ა. 3. \*\* ლებტ. 26. ბ. 14. 2სჯუ. 28. ბ. 15.

9. და მე მიგცენ თქვენ შეურაცხ-ქმნილად და უგულვებელს-ყოფილად ყოველთა შორის წარმართთა. მით, რამეთუ თქვენ არ დაიცევით გზანი ჩემნი, არამედ მიიღებდით პირთა შჯულსა შინა.

10. \*არა ღმერთმან ერთმან აღგაგნაა თქვენ, არა მამაი ერთი არსა თქვენ ყოველთა? რად, რამეთუ დაუტევეთ თითოეულმან ძმამ თვისი, შეგინებად აღ-თქმასაცა მამათა თქვენთასა?

გ 11. დატევებულ იქმნა იუდაი და საძაგელი იქმნა ისრაელსა შორის და იერუსალმისა შორის მით, რამეთუ შეაგინნა იუდაი მან წმიდანი უფლისანი, რომელნი შეიყუარნა მათ შორის და მომარჯუე იქმნა ღმერთთა მიმართ უცხოთა.

12. მოსპობს უფალი კაცსა მოქმედსა ამათსა. ვიდრემდის დამდაბლდეს-ცა კარვებთაგან იაკობისათა და შემწირველთაგან მსხუერპლსა უფლისა, ყოვლისა მპყრობელისა,

13. და ამათ, რომელნი მძულდეს, ჰყოფდით. დაჰფარეთ ცრემლითა მსხუერპლისსაცავი ჩემი და ტირილითა და სულთქმითა შრომათაგან, რამეთუ ღირს არს მიხედვა მსხუერპლისა მიმართ ანუ მიღებად მისათუალველი ჯელთა-გან თქვენთა.

14 და სთქუ: რადთა უფლისათეს გელმა შორის შენსა და შორის ცოლისა სიკაბუკისა შენისამსა, რადთ დაუტევე და ესე ზიარი შენი და ცოლი აღთქმისა შენისამ?

15. და არა სხუამან ქმნა და ქუემინაღებ სულსა მისისა? და სთქუთ რასა სხუასა, გარნა თესლსა ეძიებს უფალი. და დაიცევით სულთა შორის თქვენთა და ცოლსა სიკაბუკისა შენისასა ნუ დაუტევებ,

16. არამედ უკუეთუ მომძულეველი განავლენ, — იტყვს უფალი, ღმერთი ისრაელისამ, — და დაფაროს უთნობაი გულისზრახვათა შენთა ზედა, — იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი, — და დაიცევით სულისა შორის თქუენისა და არდატევებულ იქმნეთ

17. განმადქნებელნი უფლისანი, სიტყუათა მიერ თქუენთა და სთქუთ: რასათეს განვაძენეთ? თქუმასა შორის თქუენსა: ყოველი მოქმედი ბოროტთაი კეთილ წინაშე უფლისა და მათ შორის სათნო იყო მან, და სადა არს ღმერთი სიმაართლისამ?

### 3

ა 1. აჰა \*\*გამოვაველინო ანგელოზი ჩემი და მოიხილოს გზაი პირისა ჩემისამ. და მეყსა შინა მოვიდეს ტაძრად თესსა უფალი, რომელსა თქუენ ეძიებთ და ანგელოზი აღთქმისამ რომელი თქუენ გნებავსე. აჰა, მოვალს,—იტყვს უფალი. ყოვლისა მპყრობელი,—

2. და ვინ დაითმინოს დღე შემოსლისა მისისა, ანუ ვინ დაუდგეს გამოცხადებასა შორის მისსა? მით, რამეთუ შემოვიდეს იგი, ვითარცა ცეცხლი საღობელისამ და ვითარცა მღელოი მრცხელთამ?

9. თქუნ S. 10. თქუნ S. თქუნ S. თქუნთას S. 11. ელშმა S. იუდაი მან S. მომარჯუ S. უცხოთა S. 12. მსხუერპლსა S. 13. მსხუერპლის საცავი S. 13. მსხუერპლ-სა S. თქუნთა S. 14. უფლისათეს S. 15. ქუ S. სულსა სულისსა S.

\* მთე. 23. ა. 9. ვეს. 4. ა. 6. \*\* მთე. 11. ბ. 10. შრკ. 1. ა. 2. ლუკ. 1. დ. 17. და. 7. დ. 27. ესა. 40. ა. 3.



3. და დაჯდეს ღნობად და განწმედად ვითარცა ოქროსა და ვეცხლსა და გამოწმიდნეს ძენი ლევისნი და შთაასხნეს იგინი ვითარცა ოქროსა და ვითარცა ვეცხლი. და იყვნენ უფლისა შემწირველ მსხვერპლსა სიმაართლისა მიერ.

4. და სთნდეს უფალსა მსხვერპლი იუდაჲსი და იერუსალჲმისაჲ, ვითარცა ღდენი საუკუნოჲსანი და ვითარცა წელიწადნი წინაპარნი.

ბ 5. და მოვიყუანნე თქუენდამი მსჯავრისა მიერ და ვიყო მე მოწამე მსწრაფლ მწამლველთა ზედა, და მემრუშეთა ზედა, წამლვითა ზედა, და მრუშებთა ზედა, და მფუცავთა ზედა სახელისა ჩემისათა, ცრუსა ზედა, და დამაკლებელთა ზედა სასყიდელსა მოსასყიდლისასა, და მძლავრთა ზედა ქერივთასა, და დამქენჯნელთა ობოლთასა და განმდრეკელთა მსჯავრსა მწირისასა, და არმოშიშთა ჩემთა — იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი

6. მით, რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი თქუენი, და არა ვიცეალები, და თქუენ ძენი იაკობისნი.

7. არ განეყენებით ცოდვითაგან მამათა თქუენტაჲსა, მესდრიკენით საშჯულონი ჩემნი და არ დაიმარხებით. \*მოიქეცით ჩემდა და მოვიქცე თქუენდა, იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი. და სთქუთ: რაჲთა მოვიქცეთ?

8. უკეთუ ეცრუოს კაცი ღმერთსა მით? რამეთუ თქუენ მეცრუენით მე, და სთქუთ: რაჲთა გეცრუეთ შენ? რამეთუ ათეულის ზედანი და დასაბამნი თქუენ თანა არიან.

9. და უგულებელსმყოფელნი უგულებელს-პყოფთ თქუენ და თქუენ კმწიხნელობით ჩემდამო.

გ 10. წელიწადი დასრულდა და შეიხუენით ყოველნი ნაყოფნი საუნჯეთა მიმართ, და არს ნატაცები სახლთა შინა თქუენთა. მოიქეცით უკუე ამისგან, იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი, უკუეთუ არა განგიხუნე თქუენ საქანელნი ცისანი და მოგფიხო თქუენ კურთხევამ ჩემი, ვიდრე კმაჲ ყოფამდე?

11. და დაგაწესნე თქუენ ჰამად მიმართ და არა განგიხრწნა თქუენ ნაყოფი ქუეყანისაჲ და არა მოუძღურდეს ვენაკი თქუენი, ანუ ველსა შორის, იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი.

12. და ვნატრდენ თქუენ ყოველნი წარმართნი მით, რამეთუ იყვნეთ თქუენ ქუეყანაჲ ნებებითი, იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი.

13. \*და სთქუთ: რაჲ ძვრესიტყუეთ ძუნად შენდა, იტყვს უფალი.

და 14. სთქუთ: რაჲ ამაო არს მმონებელი ღმრთისაჲ და რაჲ უმეტესი, რამეთუ დავიცენით დასაცველნი მისნი და რამეთუ ვიდოდეთ მრწემნი წინაშე პირსა უფლისასა, ყოვლისა მპყრობელისასა.

15. და აწ ჩუენ ვპნატრით უცხოთა. და აღუშენებთან მოქმედნი უსჯულოთანი და წინა აღუდგეს ღმერთსა და ცხონდეს.

16. ამით ძვრ-სიტყუდეს მოშიშნი უფლისანი თითოეული მოყუისსა მიმართ თვისსა. და მიიხილა უფალმან და შეისმინა. და დაწერა წიგნი მოსაკსენებელისაჲ წინაშე მისსა, მოშიშთა უფლისათა და მკრძალავთა სახელისა მისისათა.

17. და იყვნენ ჩემდა — იტყვს უფალი, ყოვლისა მპყრობელი ღდედ მიმართ, რომელსა ყოფილ იყოს მოურნედ და უყუაოდეს მას ვითარ სახედ უყუავინ კაცი ძესა თვისსა მსახურეულად მისსა.

3 მსხვერპლსა S. 4. მსხვერპლი S. 5. ოქროსა S. 8. მეცრუენით S. გეცრუეთ S. 10. შეიხუენით S. უკუე S. 11. თქუენ S. 11. თქუენი S. 13. ძვრესიტყუეთ S. 14. უფლისა S.

\* ზაქ. 1. ა. 3. \*\* ობ. 21. ბ. 14.

18. და მოიქეცით და იხილეთ საშუალო მართლისა და საშუალო უსჯულოებისა, და საშუალო მსახურისა ღმრთისაჲსა და არმსახურისა.

## 4

ა 1. მით, რამეთუ აჰა, დღე მოვალს უფლისაჲ შემწუფელი ვითარცა თორნე და აღაგზნნეს იგინი და იყვენენ ყოველნი სხუა ნათესავნი და ყოველნი მოქმედნი უსჯულოთანი ლელწამი, და აღანთნეს იგინი მომავალმან დღემან — იტყუნს უფალი, ყოვლისა მპყრობელი, და არა დაშთეს მათი ძირი, არცა რტოჲ.

2. \*და აღმოგიბრწყინდეს თქუენ მოშიშთა სახელისა ჩემისათა მზე სი-მართლისა და კურნებაჲ შორის ფრთეთა მისთა. და გამოხვდეთ და სტულო-ბდეთ და ჰკრთებოდით, ვითარცა ზუარაკნი ქსნილნი საკრველთაგან.

ბ 3. და დასთრგუნვიდეთ უსჯულოთა და იყვენენ ნაცარ ქუეშე ფერკთა თქუენთა დღესა შინა, რომელსა მე ეპყოფ — იტყუნს უფალი, ყოვლისა მპყრო-ბელი.

4. \*\*მოიკვნეთ შჯული მოსესი, მონისა ჩემისაჲ, ვითარ-იგი ვამცენ მას ქორებს შინა ყოვლისა მიმართ ისრაჲლისა ბრძანებანი და სამართალნი.

5. \*\*\*და აჰა, მე მოგივლენ თქუენ ილიას თეზბიტელსა პირველ მოსლვი-სა დღისა უფლისაჲსა დიდსა და განჩინებულსა,

6. რომელმან კუალად მოაგოს გული მამისა ძისა მიმართ და გული კაცი-სა მოყუსისა მისისა მიმართ. ნუ მოსრულმან მოვსპო ქუეყანა მყის.

1 შემწუფლო §. 3. ქუეშე S.

\* ლუკ. 1. ზ. 78. \*\* გ'მოს. 20. ა. 3. 2. სჯუ. 5. ა. 9. \*\*\* შ'თე. 17. ბ. 10. მარკ. 96. გ. 11. ლუკ. 1. ბ. 17.

## ბანკარბპით რიცხვი ახლისა აღიქმისა თაოვანად

- |   |  |
|---|--|
| <ol style="list-style-type: none"> <li>1. წმიდაჲ სახარება მათესი 28</li> <li>2. წმიდაჲ სახარება მარკოზისა 16</li> <li>3. წმიდაჲ სახარება ლუკასი 24</li> <li>4. წმიდაჲ სახარება იოანესი 21</li> </ol> <p>მეორე წიგნი წმიდის ლუკასი</p> <ol style="list-style-type: none"> <li>5. საქმე მოციქულთა 28</li> </ol> | <ol style="list-style-type: none"> <li>14. ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ 2.3</li> <li>15. ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ 1.5</li> <li>16. ეპისტოლე ტიმოთეს მიმართ 2.4</li> <li>17. ეპისტოლე ტიტეს მიმართ 3</li> <li>18. ეპისტოლე ფილიმონის მიმართ 1</li> <li>19. ეპისტოლე ებრაელთა მიმართ 13</li> </ol> |
|---|--|

ვაისტოლენი კავლე მოციქულისა

წიგნი კათოლიკენი

- |  |   |
|--|---|
| <ol style="list-style-type: none"> <li>6. ეპისტოლე პრომელთა მიმართი 16</li> <li>7. ეპისტოლე კორინთელთა მიმართ 16</li> <li>8. ეპისტოლე კორინთელთა მიმართ 2. 13</li> <li>9. ეპისტოლე გალატელთა მიმართ 6</li> <li>10. ეპისტოლე ეფესელთა მიმართ 6</li> <li>11. ეპისტოლე ფილიპელთა მიმართ 4</li> <li>12. ეპისტოლე კლასელთა მიმართ 4</li> <li>13. ეპისტოლე თესალონიკელთა მიმართ 1.5</li> </ol> | <ol style="list-style-type: none"> <li>20. იაკობისა 5</li> <li>21. პეტრესი 1.5</li> <li>22. პეტრესი 2.3</li> <li>23. იოვანესი 1.5</li> <li>24. იოვანესი 2.1</li> <li>25. იოვანესი 3.1</li> <li>26. იუდასი 1</li> <li>27. გამოცხადება იოვანესი 22</li> </ol> <p style="text-align: right;">ახლისა აღთქმისა არიან წიგნნი 27</p> |
|--|---|

## სახარება მათესი

### 1

- ა 1. წიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა \*ღავითისი, ძისა აბრაჰამისი.
2. \*\*აბრაჰამი შვა ისაკი; \*\*\*ისაკი შვა იაკობი; \*\*\*\*იაკობი შვა იუდა და ძმანი მისნი;
3. ბოლო \*\*\*\*\*იუდა შვა ფარეზი და ზარა თამარისგან; ფარეზი შვა ესრომი; \*\*\*\*\*ესრომი შვა არამი;
4. \*\*\*\*\*\*არამი შვა ამინადაბი; \*\*\*\*\*ამინადაბი შვა ნაასონი; \*\*\*\*\*ნაასონი შვა სალმონი;
5. სალმონი შვა ბოოს რეჰაბისგან; ბოოს შვა იობედ რუთისგან; იობედ შვა იესე; \*\*\*\*\*იესე შვა ღავით მეფე;

---

\* ლკა 3. ე. 31. \*\* ლზღ. 21. ა. 3. \*\*\* ლზღ. 25. დ. 26. \*\*\*\* ლზღ. 29. დ. 35. \*\*\*\*\* ლზღ. 38. ზ. 29. \*\*\*\*\* 1 წ'შტ. 2. ა. 5. \*\*\*\*\* 1 წ'შტ. 2. ა. 5. \*\*\*\*\* რუთ. 4. დ. 18. \*\*\*\*\* რცხ. 7. ბ. 12. \*\*\*\*\* 1. გ'ფე. 16. ა. 1.

6. \*დავით მეფემან შვა სოლომონ ურის ცოლისაგან;
- ბ 7. \*\*სოლომონ შვა რობუამ; \*\*\*რობუამ შვა აბია; \*\*\*\*აბია შვა ასა;
8. ასა შვა იოსაფატ; იოსაფატ შვა იორამ; იორამ შვა ოზია;
9. \*\*\*\*\*ოზია შვა იოათამ; \*\*\*\*\*იოათამ შვა აქაზ; აქაზ შვა ეზეკია.
10. \*\*\*\*\*ეზეკია შვა მანასე; \*\*\*\*\*მანასე შვა ამონ; ამონ შვა იოსია;
11. \*\*\*\*\*იოსია შვა იეჟონია და ძმანი მისნი ტყუეობასა მას ბაბილოვნელთასა.
12. შემდგომად ტყუეობისა მის ბიბილოვნისა იეჟონია შვა სალათიელ; სალათიელ შვა ზორობაბელ;
13. ზორობაბელ შვა აბიუდ; აბიუდ შვა ელიაკიმ; ელიაკიმ შვა აზორ;
14. აზორ შვა სადუე; სადუე შვა აქიმ; აქიმ შვა ელიუდ;
- გ 15. ელიუდ შვა ელიაზარ; ელიაზარ შვა მატთან; მატთან შვა იაკობ;
16. იაკობ შვა იოსებ, ქმარი მარიამისი რომლისაგან იშვა იესო, რომელსა რქვან ქრისტე.
17. ყოველი ნათესავი აბრაჰმისითგან ვიდრე დავითისადმდე ნათესავი ათოთხმეტ და დავითისითგან ვიდრე ტყუენვადმდე ბაბილოვნისა ნათესავი ათოთხმეტ, და ტყუენვითგან ბაბილოვნისათა ვიდრე ქრისტესამდე ნათესავი ათოთხმეტ.
18. \*\*\*\*\*ხოლო იესო ქრისტეს შობა ესრეთ იყო: რამეთუ თხოილ იყო დედა მისი მარიამ იოსებისა და ვიდრე შერთვადმდე მათა იპოვა იგი მიღგომილ სულისაგან წმიდისა.
19. ხოლო იოსებ, ქმარი მისი, მართალი იყო და არა უნდა განმზილება მისი, იზრახა ფარულად განტეევა მისი.
- დ 20. და ეითარ იგი ამას განიზრახვიდა ოდენ, ამა ანგელოზი უფლისაჲ ჩუენებით გამოუჩნდა მას და პრქუა: იოსებ, ძეო დავითისო, ნუ გეშინი მიყუანებად მარიამისა, ცოლისა შენისა, რამეთუ რომელი-იგი მისგან იშვეს, სუსაგან წმიდისა არს.
21. \*\*\*\*\*შვეს ძე და უწოდიან სახელი მისი იესო, რამეთუ მან იქნეს ვრი თუა ცოდვათა მათთაგან.
22. (ესე ყოველი იქმნა, რამთა აღესრულოს სიტყვა იგი უფლისაჲ პირითა წინაწარმეტყუელისათა თქუმული.
23. \*\*\*\*\* ამა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე და უწოდიან სახელი მისი ემანოელ, რომელ არს თარგმანებით: ჩუენ თანა ღმერთი).
24. განიღვა იოსებ ძილისა მისგან და იყო ეგრე, ვითარცა უბრძანა მას ანგელოზმან უფლისამან, და წარიყვანა ცოლი თვისი.
25. და არა იცოდა იგი, ვიდრემდე შვა ძე იგი მისი პირმშო, და უწოდა სახელი მისი იესო.

11. ტყუეობასა S. 12. ტყუეობასა S. ბაბილოვნისა S. 17. ტყუენვადმდე S. ტყუენვითგან S. 18. იოსებ-სა-იოსებ-სი S. 20. ჩემნებით S. 24. ჩემნ S.

\* რთო. 4. დ. 18. 2. მეფ. 12. ე. 24. \*\* 3. მეფ. 11. ზ. 43. \*\*\* 3. მეფ. 14. ზ. 31. \*\*\*\* 3. მეფ. 15. ზ. 9. \*\*\*\*\* 2. წმტ. 26. დ. 23. \*\*\*\*\* 2. წმტ. 27. დ. 9. 2. წმტ. 28. დ. 27. \*\*\*\*\* 2. წმტ. 32. ზ. 33. \*\*\*\*\* 2. წმტ. 33. დ. 20. და 25. \*\*\*\*\* 2. წმტ. 36. ა. 12. \*\*\*\*\* ლკა. 7. გ. 27. \*\*\*\*\* ლკა 1. გ. 31. საქ. 4. ბ. 12. \*\*\*\*\* ესა. 7. გ. 14.

## 2

ა 1. ხოლო იესოს შობასა ბეთლემს ჰურიასტანისასა, დღეთა ჰეროდე მეფისათა, აჰა მოგუნი აღმოსავალით მოვიდეს იერუსალემად და იტყოდეს:

2. სადა არს, რომელი-იგი იშვა მეუფე ჰურიათა? რამეთუ ვიხილეთ ვარსკულავი მისი აღმოსავალით და მოვედით თაყუანის-ცემად მისა.

3. ვითარცა ესმა ესე ჰეროდეს მეფესა, შეძრწუნდა და ყოველი იერუსალიმი მის თანა.

4. და შეკრიბნა ყოველნი მღვდელთმოდღუარნი და მწიგნობარნი ერისანი და იკითხვიდა მათგან: სადა უკუე შობად არს ქრისტე?

5. ხოლო მათ ჰრქუეს მას: ბეთლემს ჰურიასტანისასა, რამეთუ ესრეთ წერილ არს წინაწარმეტყუელისა მიერ.

6. \*და შენ, ბეთლემ, ქვეყანა ეგე იუდასი, არა სადა უმარწმეს ხარ მთავართა შორის იუდასთა, რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღუარი, რომელმან დამწყსოს ერი ჩემი ისრაელი.

7. მაშინ ჰეროდე იღუმალ მოუწოდა მოგუთა მათ და გამოიკითხა მათგან ჟამი გამოჩინებულისა მის ვარსკულავისა.

8. და წარავლინნა იგინი ბეთლემად და ჰრქუა: მივედით და გამოიკითხეთ ჰეშმარიტად ყრმისა მისთვის; და რაჟამს ჰპოოთ იგი მითხართ მე, რათა მეცა მივიდე და თაყუანის-ვსცე მას.

9. ხოლო მათ ვითარცა ესმა ესე მეფისა მისგან, წარვიდეს. და აჰა ვარსკულავი იგი, რომელი იხილეს აღმოსავალით, წინაუძღოდა მათ; ვიდრემდე მოვიდა და დაადგრა ადგილსა მას, რომელსა იყო ყრმა იგი.

10. ხოლო მათ ვითარცა იხილეს ვარსკულავი იგი, განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად.

11. და ვითარცა შევიდეს სახლსა მას იხილეს ყრმა იგი მარიამის თანა, დედისა თჳსისა, და დავარდეს და თაყუანი-სცეს მას; \*\*და აღადეს საუნჯეთა მათთა და შეწირეს მისა ძღუენი: ოქრო, გუნდრუკი და მური.

12. და მოიღეს ბრძანება ჩუენებით, რამთა არა მიაქციონ ჰეროდესა, არამედ სხეთ გზით წარვიდენ სოფლად თჳსა.

13. და ვითარცა განეშორნეს იგინი, აჰა ანგელოზი უფლისა გამოუჩნდა ჩუენებით იოსებს და ჰრქუა: აღდეგ და წარიყვანე ყრმა ეგე და დედა მაგისი და ივლტოდე ეგვპტედ და იყავ მუნ, ვიდრემდე გრქუა შენ, რამეთუ ეგულებს ჰეროდეს მოძიებად ყრმისა მაგის და წარწყმედად ეგე.

14. ხოლო იგი აღდგა და წარიყვანა ყრმა იგი და დედა მისი ღამე და წარივიდა ეგვპტედ და იყო მუნ, ვიდრე აღსრულებამდე ჰეროდესა.

15. რამთა აღესრულოს სიტყუად იგი უფლისაჲ, თქუმული წინაწარმეტყუელისა მიერ: \*\*\*ეგვპტით უწოდე ძესა ჩემსა.

16. მაშინ ვითარცა იხილა ჰეროდე, რამეთუ მოიკიცხა მოგუთა მათგან, განრისხნა ფრიად. წარავლინნა და მოსწყუდა ყოველი ყრმები, რომელნი იყვნეს ბეთლემს და ყოველთა საზღვართა მისთა ორით წლითგან და უდარესი, მსგავსად მის ჟამისა, ვითარცა გამოიკითხა მოგუთა მათგან.

1. იერუსალემად sic. 4. უკუე S. 6. ქვეყანა sic. 11. ძღუენი S. 13. ჩუენებთ S. 16. იყნეს S.

\* მქი. 5. ა. 2. ონე. 7. ვ. 42. \*\* ფსლმ. 71. ბ. 10. \*\*\*. ოსე. 11. ა. 3.

17. მაშინ აღესრულა თქმული იგი იერემია წინაწარმეტყველისა, რომელსა იტყუს:

დ 18. \*ჴმაჲ პრამთ ისმა გოდებისა და ტრილისა და ტყეებისა მრავალი; რაჴაელ სტიროდა შვილთა თვსთა და არა უნდა ნუგეშინის-ცემის, რამეთუ არა არიან

19. ხოლო რაჴამს აღესრულა ჰეროდე, აჲა ანგელოზი უფლისაჲ გამოეცხადა ჩუენებით ოსიებს ეგუპტეს.

20. და ჰრქუა: აღდეგ და წარიყვანე ყრმა ეგე და დედა მაგისი და წარკედ ქუეყანად ისრაჲლისა, რამეთუ მოსწყდეს რომელნი ეძიებდეს სულსა მაგის ყრმისასა.

21. ხოლო იგი აღდგა და წარმოიყვანა ყრმა იგი და დედა მისი და მოვიდა ქუეყანად ისრაჲლისა.

22. და ვითარცა ესმა, რამეთუ არქელაოს მეფობს ჰურიასტანს ჰეროდეს წილ, მამისა თვისისა, შეეშინა მოსლვად მუნ და ბრძანება მოიღო ჩუენებით და წარვიდა კერძოთა ვალილესათა.

23. და მივიდა და დაეშენა ქალაქსა შინა, რომელსა ჰრქვან ნაზარეთ, რამთა აღესრულეს თქმული იგი წინაწარმეტყველისა მიერ, ვითარმედ: ნაზარეთელ ეწოლოს.

### 3

ა 1. მათ დღეთა შინა მოვიდა იოვანე ნათლისმცემელი ქადაგებად უდაბნოსა მას ჰურიასტანისასა

2. \*\*და იტყოდა: შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სას-უფეველი ცათაჲ.

3. რამეთუ ესე არს, რომელ-იგი თქმულ არს ესაია წინაწარმეტყველისა მიერ და იტყუს: \*\*ჴმაჲ დაღადებისა უდაბნოსა ზედა: განშზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით ალაგნი მისნი.

4. \*\*\*\*ხოლო თავადსა იოვანეს ემოსა სამოსლად მისა თმისაგან აქლემისა და სარტყელი ტყავისა წელთა მისთა; ხოლო საზრდელად მისა იყო მკალი და თაფლი ველური.

5. \*\*\*\*მაშინ განვიდოდა მისა იერუსალჲში და ყოველი ჰურიასტანი და გარემო სოფლები იორდანისა.

6. და ნათელს-იღებდეს იორდანესა შინა მისგან და აუვარებდეს ცოდვთა მათთა.

ბ 7. და ვითარცა იხილნა მრავალნი ფარისეველნი და სადუყეველნი, მომავალნი ნათლისღებად მისგან, ჰრქუა მათ: ნაშობნო იქედნეთანო, ვინ გაჩუენა თქვენ სივლტოლა მერმისა მისგან რისხვისა?

8. ყათ უუეუ ნაყოფი, ღირსი სინანულისა,

9. და ნუ ჰგონებთ და იტყუთ თავით თვისით: \*\*\*\*\*მაჲ გვეის ჩუენ აბრაჲამი. რამეთუ გეტყუ თქვენ, ვითარმედ შემძლებელ არს ღნერთი აღდგინებად ქვათა ამათგან შვილად აბრაჲამისა.

19. ჩუენებთ S. 22. ჩუენებთ S. 1. ონე S. ამ სახელს დაჴარაგმებულს ვსნი—ოვანედ, ჴარაგმის გარეშე წერია იოანე. მეუ ვტოვებ იოანედ როდესაც უქარაგმოდდა 2. ცთა S. 4. ონე S. 5. ოლმ S. 7. გ ჩუენა S. 8. უუეუ S. 9. ჩუენ S. აბრაჲამი S.

\* იერ. 31. დ. 15. \*\* მრკ. 1. ა. 4. ლევ. 3. ა. 4. \*\*\* ესა. 40. ა. 9. \*\*\*\* მრკ. 1. ა. 6. \*\*\*\*\* მრკ. 1. ა. 5. ლევ. 3. ა. 7. \*\*\*\*\* ონე. 8. ე. 39.

10. რამეთუ აწვე ესერა ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს. ყოველმან ხემან რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილჲ, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას.

11. \*მე უკუე ნათელ-გცემ თქუენ წყლთა სინანულად, ხოლო რომელი შემდგომად ჩემსა მოვალს უძლიერეს ჩემსა არს, რომლისა ვერ შემძლებელ ვარ კამლთა მისთა ტრთვად. მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა.

გ 12. რომლისა ნიჩაბი ველთა მისთა, განწმიდოს კალო თვისი, და შეკრიბოს იტკლი საუნჯესა, ხოლო ბზე დაწუას ცეცხლითა მით უშრეტითა.

13. \*\*მაშინ მოვიდა იესო გალილეათ იორდანედ იოანესა ნათლისღებად მისგან.

დ 14. ხოლო იოანე აყენებდა მას და ეტყოდა: მე მივმს შენ მიერ ნათლისღება და შენ ჩემდა მოხულაჲ?

15. მიუგო იესო და ჰრქუა მას: აცადე აწ, რამეთუ ესრეთ შეუენის ჩუენ-და აღსრულებად ყოველი სიმართლე. მაშინ მიუშვა მას.

16. და ნათელ-ილო იესო და მეყსეულად აღმოვიდა რა წყლისა მისგან, და ამა განეხუნეს მას ცანი, და იხილა სული ღმრთისაჲ გარდამომავალი, ვითარცა ტრედი, მოვიდა და დაადგრა მას ზედა.

-17. \*\*\*და კმაჲ იყო ზეცით და თქუა: ესე არს ძე ჩემი, საყუარელი, რომელი მე სათნო ვიყავ.

## 4

ა 1. მაშინ \*\*\*იესო აღმოიყუანა უდაბნოდ სულისაგან გამოცდად ეშმაკისაგან.

2. დაიძარხა ორმოცი დღე და ორმოცი ღამე და მერმე შეეშოა.

3. მოუქდა მას გამოცდელი იგი და ჰრქუა: უკუეთუ შენ ხარ ძე ღმრთისაჲ, თქუ რაჲთა ქვანი ესე პურ იქმნენ.

4. ხოლო იესო მიუგო და ჰრქუა: წერილ არს, \*\*\*\*რამეთუ: არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყუთა რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისაჲ.

5. მაშინ წარიყვანა იგი ეშმაკმან მან წმიდა ქალაქსა. და დაადგინა იგი სართულსა მას ზედა ტაძრისასა

6. და ჰრქუა მას: უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, გარდაიგდე თავი შენი ამიერ ქუეყანად. რამეთუ წერილს არს, \*\*\*\*\*ვითარმედ: ანგელოზთა მისთა უბრძანებიეს შენთვის, და კელთა მათთა ზედა აღვიპყრან შენ, ნუსადა წარსცე ქვასა ფერკი შენი.

7. ჰრქვა მას იესო: ვითარმედ წერილ არს: \*\*\*\*\*არა განსცადო უფალი ღმერთი შენი.

ბ 8. კუალად წარიყუანა იგი ეშმაკმან მთასა ფრიად მაღალსა და უჩუენა მას ყოველნი სუფევანი სოფლისანი და დიდებამ მათი,

10. მოიქუშოს S. 11. უკუ S. 13. ნათლისღებად S. 15. შტმნს S. ჩემდა S. 6. მისთა + და S. 8. უჩუენა S.

\* შრკ. 1. ა. 8. ლკა. 3. დ. 16. იწე. 1. დ. 26. სქმ. 1. ბ. 5. \*\* შრკ. 1. ბ. 9. ლკა. 3. ე. 21. \*\*\* ლკა. 9. ე. 35. 2. პტრ. 1. დ. 17. \*\*\*\* შრკ. 1. ა. 12. ლკა. 4. ა. 1. \*\*\*\*\* 2. სჯლ. 8. ა. 3. \*\*\*\*\* ფსლ. 90. გ. 11. \*\*\*\*\* 2. სჯლ. 6. გ. 16.

9. და ჰრქუა მას: ესე ყოველი მიგცე შენ, უკეთუ დავარდე და თაყუანისმცე მე.

10. მაშინ ჰრქუა მას იესო: წარვედ ჩემგან მართლუკუნ, სატანა, რამეთუ წერილ არს: \*უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-სცე და მას მხოლოსა ჰმსახურებდე.

11. მაშინ დაუტევა იგი ეშმაკმან მან, და ანგელოზნი მოვიდეს და ჰმსახურებდეს მას.

12. ხოლო ესმა რა იესოს, ვითარმედ იოანე მიეცა, \*\*განეშორა და წარვიდა გალილეად.

13. და დაუტევა ნაზარეთი და მოვიდა და დაემკვდრა კაპერნაუმს, საზღვართა ზაბულონისთა და ნეფთალემისთა,

14. რამთა აღსრულოს თქმული იგი ესაიას წინაწარმეტყუელისა რომელსა იტყუს.

15. \*\*\*ქუეყანა ზაბულონისი და ქუეყანა ნეფთალემისი, გზა ზღუსა წიად იორდანესა, გალილეა წარმართთა.

16. ერი რომელი სხდა ბნელსა, იხილა ნათელი დიდი, და რომელნი სხდეს საფლავსა და აჩრდილსა სიკუდილისათა, ნათელი აღმოუბრწყინდა მათ.

17. \*\*\*\*მიერითგან იწყო იესო ქადაგებად და სიტყუად: შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათა.

18. და იქცეოდა რამ იესო ზღუს კიდესა მას გალილეასა, \*\*\*\*\*იხილნა ორნი ძმანი: სიმონ, რომელსა ეწოდა პეტრე, და ანდრია, ძმა მისი, ითხვევლიდეს რამ სათხვევლითა ზღუასა მას, (რამეთუ იყვნეს მესათხვეველე).

19. და ჰრქუა მათ: მოვედით, და შემომიდეგით მე და გყვნე თქუენ მესათხვეველე კაცთა,

20. ხოლო მათ მეყსეულად დაუტევეს ბადე მათი და შეუდგეს მას.

21. და წარმოვიდა მიერ და იხილნა სხუანი ორნი ძმანი: იაკობ ზებედესი, და იოანე, ძმა მისი, ნაცსა შინა ზებედეს თანა, მამისა მათისა, განრავებდეს ბადეთა მათთა, და უწოდა მათ.

22. ხოლო მათ მეყსეულად დაუტევეს ნავი იგი და მამა მათი და მისდევდეს მას.

23. და მოვიდა იესო ყოველსა გალილეასა, და ასწავებდა შესაკრებელთა შორის მათთა და ქადაგებდა სახარებასა სასუფეველისა და განკურნებდა ყოველსა სენსა და ყოველსა უძლურებასა ერსა შორის.

24. და განიქუა ჰამბავი მისი ყოველსა ქუეყანასა ასურასტანისასა. და მოჰგურიდეს მას ყოველთა ბოროტად სნეულთა თვით სახეთაგან სენთა და გუემითა შეპყრობილთა და ეშმაკეულთა და ცისად ცისად გუემულთა და განრღუეულთა, და განკურნნა ივინი.

25. \*\*\*\*\*და მისდევდა მას ერი მრავალი გალილეათ და ათქალაქით და იერუსალიმით და ჰურისტანით და წიად იორდანით.

## 5

1. და ვითარცა იხილა იესო ერი იგი, აღვიდა მთასა. და დაჯდა იგი მუნ. და მოუყდეს მას მოწაფენი მისნი.

23. სახარებასი S. 24. გუემითა S. გუემულთა S. განრღუელთა S. 25. იერუსალიმ-ით sic.

\* 2. ს.ჯ. 6. ბ. 13. \*\* მ.ჯ. 1. გ. 14. ლ.ჯ. 4. გ. 14. ო.ჯ. 4. გ. 43. \*\*\* ესაი.

9. ა. 1. \*\*\*\* მ.ჯ. 1. ბ. 15. \*\*\*\*\* მ.ჯ. 1. ბ. 16. ლ.ჯ. 5. ა. 1. \*\*\*\*\* მ.ჯ. 3. ა.

7. ლ.ჯ. 6. გ. 17.



2. და აღალო პირი თესი, ასწავებდა მათ და ეტყოდა:
3. \*ნეტარ იყვენენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.
4. ნეტარ იყვენენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინის-ცემულ იქმნენ.
5. \*\*ნეტარ იყვენენ მშუდნი, რამეთუ მათ დაიმკვდრონ ქუეყანა.
6. \*\*\*ნეტარ იყვენენ რომელთა ჰშიოდის და სწყუროდის სიმართლისათს, რამეთუ იგინი განძენ.
7. \*\*\*\*ნეტარ იყვენენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ.
8. \*\*\*\*\*ნეტარ იყვენენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.
9. ნეტარ იყვენენ მშუდობის მყოფენი, რამეთუ იგინი ძედ ღმრთისა იწოდნენ.
10. \*\*\*\*\*ნეტარ იყვენენ დევნულნი სიმართლისათს, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.
11. ნეტარ იყვენენ თქუენ, რაჟამს გუჟედრიდენ და გღევნიდენ და თქუან ყოველი სიტყუა ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუეთ ჩემთს.
- გ 12. გაკურთხენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ სასყიდელი თქუენი ფრიად არს ცათა შინა, რამეთუ ეგრეთვე დევნენს წინაწარმეტყუელნი უწინარეს თქუენსა.
13. თქუენ ხართ მარილნი ქუეყანისანი \*\*\*\*\*უკეთუ მარილი იგი განქარდეს, რამათვე დაიპარილოს? არაღარა შემძლებელ არს მერმე. არამედ განგდებად გარე და დათრგუნვად კაცთა მიერ.
14. თქუენ ხართ ნათელნი სოფლისანი. ვერ კელეწიფების ქალაქსა დაფარვად მთასა ზედა დაშენებულსა.
15. \*\*\*\*\*არცა აღანთიან სანთელი და დადგან ქვეშე კვირსა, არამედ სასანთელსა ზედა, და ჰნათობნ იგი ყოველთა, რომელნი იყვიან სახლს შინა.
16. \*\*\*\*\*ეგრეთ ბრწყინევიდნ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა, რამათ იხილნენ საქმენი თქუენი კეთილნი და აღიდებდენ მამასა თქუენსა ზეცათასა.
17. ნუ ჰგონებთ, ვითარმედ მოვედ დაქსნად შჯულსა. გინა წინაწარმეტყუელთა; არა მოვედ დაქსნად, არამედ აღსრულებად.
- გ 18. \*\*\*\*\*ამინ გეტყუ თქვენ, ვიდრემდე წარჯდეს ცა და ქუეყანა იოტა ერთი, გინა რქა ერთი, არა წარჯდეს შჯულსაგან და წინაწარმეტყუელთა, ვიდრემდის ყოველივე იქმნეს.
19. \*\*\*\*\*უკეთუ ვინმე დაქსნეს ერთი მცნებათა ამთგანი უმცირესთა და ასწაოს ესრეთ კაცთა, უმცირეს ეწოდოს მას სასუფეველსა ცათასა; ხოლო რომელმან ყოს და ასწაოს, ამას დიდ ერქვას სასუფეველსა ცათასა.
20. ხოლო გეტყუ თქუენ: უკუეთუ არა აღემატოს სიმართლე თქუენი \*\*\*\*\*უფროს მწიგნობართა და ფარისეველთა, ვერ შესვლეთ სასუფეველსა ცათასა.
21. გესმა, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ: \*\*\*\*\*არა კაც კელა; ხოლო რომელმან მოკლას, თანამდებ არს სასჯელისა.

3. იუნენ S. 5. იუნენ S. 11. გუჟედრიდენ S. 13. უკეთუ sic. 16. თქუენსა S.

- \* ლუკა. 6. დ. 20. \*\* ფსლ. 36. ა. 11. \*\*\* ესაი. 61. ა. 4. \*\*\*\* ფსლ. 23. ა. 4. \*\*\*\*\* 1. პეტრე. 2. დ. 20. და 3. გ. 14. და. 4. დ. 14. \*\*\*\*\* მარკ. 9. ზ. 56. ლუკ. 14. ზ. 34. \*\*\*\*\* მარკ. 4. გ. 21. ლუკ. 8. გ. 16. და 11. ე. 33. \*\*\*\*\* 1. პეტ. 2. გ. 12. \*\*\*\*\* ლუკ. 16. დ. 17. \*\*\*\*\* რქ. 2. ბ. 10. \*\*\*\*\* ლუკ. 11. გ. 39. \*\*\*\*\* გამოს. 20. გ. 13. 2. სჯუ. 5. ბ. 17.

22. ხოლო მე გეტყვ თქვენ, რამეთუ რომელი განურისხნეს ძმასა თვისა ცულად, თანამდებ არს სასჯელისა; და რომელმან ჰრქუას ძმასა თვისა: რაკა, თანამდებ არს იგი კრებულისაგან განსლვად; და რომელმან ჰრქუას ძმასა თვისა: ცოფ, თანამდებ არს იგი გეჰენისა მას ცეცხლისასა.

დ 23. უკეთუ შესწირვიდე შესაწირავსა საკურთხეველსა ზედა და მუნ მოგეკენოს შენ, ვითარმედ ძმა შენი გულ-ძურ რამე არს შენთვის,

24. დაუტევე შესაწირავი იგი წინაშე საკურთხეველსა მას, მივედ და დაევი პირველად ძმასა შენსა, და მაშინ მოვედ და შეწირე შესაწირავი შენი.

25. \*იყავ კეთილად მცნობელ წინამოსაჯულსა მის შენისა აღრე, ვიდრემდე ხარ მის თანა გზასა ზედა, ნუუკეთე მიგცეს შენ წინამოსაჯულმან მან შენმან მსაჯულსა, და მსაჯულმან მსახურსა და საპყრობილედ შეჰვარდე.

26. ამენ გეტყვ შენ: ვერ გამოხვდე მიერ, ვიდრე არა მისცე უკანასკნელი კოდრატო.

27. გესმა, რამეთუ ითქვა: \*\*არა იმრუშო.

28. ხოლო მე გეტყვ თქვენ: რამეთუ ყოველი რომელი ხედვიდეს დედა-კაცსა გულს თქუმად მას, მუნვე იმრუშა მის თანა გულსა შინა თვისსა.

29. \*\*\*უკეთუ თუალი შენი მარჯუენე გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რამთა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე არა ყოველი გუამი შენი შთავარდომად გეჰენისა.

30. და უკეთუ მარჯუენე კელი შენი გაცთუნებდეს შენ, მოიკუეთე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რამთა წარწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, და არა ყოველი გუამი შენი შთავარდეს გეჰენისა.

31. თქმულ არს, რამეთუ \*\*\*\*რომელმან განუტეოს ცოლი თვისი, მისცეს მას განსატყეველი.

32. ხოლო მე გეტყვ თქვენ, რამეთუ ყოველმან რომელმან განუტეოს ცოლი თვისი, თვნიერ სიტყვსა სიძესა. მან ამრუშა იგი; და რომელმან განტევებული შეირთოს მანცა იმრუშა.

33. \*\*\*\*\*კულად გესმა: რამეთუ ითქვა პირველთა მათ მიმართ: არა ცილი ჰფუცო, არამედ მისცე უფალსა ფიცი შენი.

34. ხოლო მე გეტყვ თქვენ: არა ფუცვად ყოველადე ნუცა ცასა, რამეთუ საყდარი არს ღმრთისა;

მ 35. ნუცა ქუეყანასა, რამეთუ კუარცხლბეკი არს ფერცვა მისთა, ნუცა იერუსალმსა, რამეთუ ქალაქი არს მეუფისა დიდისა.

36. ნუცა თავსა შენსა ჰტუცავ, რამეთუ ვერ ძალგიც ერთისა თმისა განსტეაკებდა, გინა დაშავებდა.

37. \*\*\*\*\*არამედ იყავ სიტყვა თქუენი: ჰე, ჰე და არა, არა. ხოლო უმეტესი ამათსა უკეთურისაგან არს.

38. გესმა, რამეთუ თქმულ არს: \*\*\*\*\*თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ.

-39. ხოლო მე გეტყვ თქვენ: არა წინააღმდეგომად ბოროტისა, \*\*\*\*\*არამედ რომელმან გცეს შენ ყურიბალსა შენსა მარჯუენესა, მიუპყარ მას ერთ კერძოცა.

25. ნუუკუ S. 30. მოიკუთე S. 32. ამრუშა იმრუშა S. 35. იტლსა S. 38. მარჯუენესა S.

\* ლკა. 12. ზ. 58. \*\* გმოს. 20. გ. 14. \*\*\* ქვე. 18. ბ. 9. მრკ. 9. ზ. 47.

\*\*\*\* 2. სჯლ. 24. ა. 1. ქვე. 19. გ. 7. მრკ. 14. ა. 4. ლკა. 16. დ. 8. 1. კორ. 7.

ბ. 10. \*\*\*\*\* ლუე. 19. ბ. 1. ოამოს. 20. ბ. 7. 2. სჯლ. 3. ბ. 11. \*\*\*\*\* იყ. 5. გ. 12.

\*\*\*\*\* გამო. 21. დ. 24. 2. სჯლ. 19. 2. 21. ლუე. 24. დ. 20. \*\*\*\*\* ლკა. 6.

დ. 29.

40. \*და რომელსა უნდეს საშჯელად და მღვებად კუართი შენი, მიუტევე მას სამოსელიცა შენი.

41. და რომელი წარგიქცევდეს შენ მილიონ ერთ, მივლე მის თანა ორიცა.

42. \*\*და რომელი გთხოვდეს შენ, მიეცე: და რომელსა უნდეს სესხებად შენგან, ნუ გარემიიქცევი.

43. გესმა, რამეთუ თქმულ არს: \*\*\*შეიყვარო მოყვასი შენი და მოძულხო მტერი შენი.

44. ხოლო მე გეტყვ თქუენ: \*\*\*\*გიყვარდედ მტერნი თქუენნი და აკურთხევედით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა \*\*\*\*\*და ულოცევდით მათ, რომელნი გამძლავრობდენ თქუენ და გღვენიდენ თქუენ.

45. და იყვნეთ თქუენ შვილ მამისა თქუენისა ზეცათასა, რამეთუ მზე მისი აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა და წუმს მართალთა ზედა და ცრუთა.

46. უკუეთუ გიყუარდენ მოყვარენი ხოლო თქუენნი, რამ სასყიდელი გაქუს? რამეთუ მეზუერეთაცა ეგრეთვე ყვიან.

47. და უკუეთუ მოიკითხვიდეთ მეგობართა ხოლო თქუენთა, რასა უმეტეს იქმთ? ანუ არა მეზუერეთაცა ეგრეთვე ყვიან?

48. იყვენით თქუენ სრულ, ვითარცა მამა თქუენი ზეცათა სრულ არს.

## 6

ა 1. ეკრძაღენით ქველის საქმესა თქუენსა რამათა, არა ჰყოთ წინაშე კაცთა სახილველად მათა; უკუეთუ არა, სასყიდელი არა გაქუს მამისა თქუენისაგან ზეცათასა.

2. ხოლო რაჟამს იქმოდი ქველის საქმესა, ნუ ჰქადაგებ წინაშე შენსა, ვითარცა იგი ორგულთა ყვიან შესაყრებელთა მათთა და უბანთა ზედა, რამათა იდიდნენ კაცთაგან. ამინ გეტყვ თქუენ: მიუღებთეს სასყიდელი მათი.

3. ხოლო შენ რაჟამს ჰყოფდე ქველის საქმესა, ნუ სცნობნ მარტყენა შენი, რამა იქმოდის მარჯუენა შენი.

4. რამათა იყოს ქველის საქმე შენი ფარულად, და მამამან შენმან რომელი ჰხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად.

5. და რაჟამს ილოცვიდე, არა იყო ეგრე, ვითარცა იგი ორგულნი, რამეთუ უყუარან შესაყრებელთა შორის და უბანთა ზედა დგომა და ლოცვა, რამათა უჩუენონ კაცთა. ამინ გეტყვ თქუენ: მიუღებთეს სასყიდელი მათი.

6. ხოლო შენ რაჟამს ილოცვიდე, შევედ საუნჯესა შენსა და დაჯაშ კარი შენი და ილოცე მამისა შენისა მიმართ ფარულად, და მამა შენი რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად.

ბ 7. და რაჟამს ილოცვიდეთ, ნუ მრავალსა იტყვთ, ვითარცა-იგი წარმართთაგანნი, რამეთუ ჰგონებედ, ვითარმედ მრავლის მეტყველებითა მათითა ისმინოს მათი.

8. ხოლო თქუენ ნუ ემსგავსებთ მათ, რამეთუ იცის მამამან თქუენმან, რამ-იგი გიქმს თქუენ, ვიდრე თხოვადმდე თქუენდა მისგან.

45. თქლმნ ს. 46. მეზღმრეთ: ც. 47. მეზღმრეთ: ც. 48. თქლმნი S. 1. თქლმნ-ს. 2. თქლმნ-ს. 2. თქლმნ S. 5. ელოცვდეთ S. 4. 6. ელოცვდე S.

\* 1. კორ. 6. ბ. 7. \*\* სჯლ. 15. ბ. 7. \*\*\* ლევ. 19. დ. 18. \*\*\*\* ლკა. 6. დ. 27. \*\*\*\*\* პრმ. 12. დ. 20. სქმ. 5. ე. 59. ლკა. 23. ე. 34.

9. ხოლო თქვენ ესრეთ ილოცევდით: \*მამაო ჩუენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი,

10. მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა.

11. პური ჩუენი არსობისა მომეც ჩუენ დღეს

12. და მომიტევენ ჩუენ თანა-ნადებნი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტევენთ თანადებთა მათ ჩუენთა,

13. და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსადელსა, არამედ მივსნენ ჩუენ ბოროტისაგან, რამეთუ შენი არს სუფევა და ძალი და დიდება საუკუნეთა მიმართ. ამინ.

14. \*\*უკუეთუ მიუტევენთ თქუენ კაცთა შეცოდებანი მათნი. მოგიტევენთ თქუენცა მამამან თქუენმან ზეცათამან.

15. ხოლო უკეთუ არა მიუტევენთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქუენმან მოგიტევენთ თქუენ შეცოდებანი თქუენნი.

16. და რაჟამს იმარხვიდეთ ნუ იყოფით ვითარცა-იგი ორგულნი მწუხარე. რამეთუ განირყუნინ პირნი მათნი, რადთა ეჩუენენ კაცთა მმარხველად. ამინ გეტუ თქვენ: მიუღებთის სასყიდელი მათი.

17. ხოლო შენ რაჟამს იმარხვიდე, იცხე თავი შენი და დაიბანე პირი შენი.

18. რადთა არა ეჩუენო კაცთა მმარხველად, არამედ მამასა შენსა დაფარულად, და მამამან შენმან რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენი ცხადად.

19. ნუ იუნჯებთ თქუენ საუნჯეთა ქუეყანასა ზედა, სადა მლილმან და მკამელმან განრყუნის, და სადა მპარავთა დათხარიან და განიპარიან.

გ 20. \*\*\*ხოლო თქუენ იუნჯებდით საუნჯეთა ცათა შინა, სადა არცა მლილმან, არცა მკამელმან განრყუნის, და სადა არცა მპარავთა დათხარიან და განიპარიან.

21. რამეთუ სადაცა არს საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი.

22. სანთელი გუამისა არს თუალი. უკუეთუ თუალი შენი განმარტვბულ იყოს, ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს.

23. \*\*\*\*ხოლო უკუეთუ თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს. უკეთუ ნათელი იგი შენ შორის ბნელ არს, ბნელი იგი რაოდენმე?

24. \*\*\*\*\*ვერვის კელეწიფების ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და სხუა იგი შეიყუაროს, ანუ ერთისა მის თავს იდვას და ერთი იგი შეურაცხყოს. ვერ კელეწიფების ღმრთისაჲ მონებად და მამონასა.

25. \*\*\*\*\*ამოსთვს გეტუ თქუენ: ნუ ჰზრუნავთ სულსა თქუენისათვს, რა სკამოთ და რა ჰსუათ; ნუცა ჯორცთა თქუენთათვს, რა შეიმოსოთ. ანუ არა სული უფროს არს საზრდელისა და გუამი სამოსლისა?

26. მიჰხედეთ მფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან. არცა შეიკრებენ საუნჯეთა, და მამა თქუენი ზეცათა ზრის მათ. არამე უფროს თქუენ უმჯობეს ხართა მფრინველთა?

9. ჩუენო S. 11. ჩუენი S. 12. ჩუენნი S. ჩუენ S. ჩუენთა S. 13. ჩუენ S. ჩუენ S. მამან S. 15. შეცოდებანი S. 16. გეტუენ S. მამან S. 18. გეტუენი S.

\* ლკა. 11. ა. 2. \*\* კვემო. 18. დ. 33. შრკ. 11. გ. 25. ზრკა. 28. ა. 35. \*\*\* ლკა 12. ე. 33. 1. ტომთ. 6. დ. 19. \*\*\*\* ლკა. 11. ე. 34. \*\*\*\*\* ლკა. 16. გ. 13. \*\*\*\*\* ლკა. 12. გ. 22. 1. პეტრ. 5. ბ. 7. ფსლ. 54. დ. 25. ფილპ. 4. ბ. 6. 1. ტომთ. 6. ბ. 7.

27. ანუ ვინმე თქუენგანი ზრუნვიდეს და შეუძლოს შეძინებად პასაჟსა თვისსა წყრთა ერთ?

28. და სამოსლსათეს რასა ჰზრუნავთ? ვანკადენით შროშანი ველისანი, ვითარ-იგი აღორაჰნდის არა შურებინ, არცა სთავნ.

29. ხოლო გეტყვ თქუენ: რამეთუ არცაღა სოლომონ ყოველსა მას დიდებასა მისსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამთავანი.

30. უკეთუ თივა იგი ველისა, რომელი დღეს არს. და ხვალე თორენსა შთავგზნის, ღმერთმან ესრეთ შემოსის, არამე უფროს თქუენა, მცირედ ზორწმუნენო?

31. ნუ ჰზრუნავთ და იტყუთ: რა ვკამოთ, ანუ რა ვსუათ, ანუ რა შევიგმოსოთ?

32. რამეთუ ამას ყოველსა წარმართნი ეძიებენ, რამეთუ იცის მამამან თქუენმან, რა გიკმს ამათ ყოველთავანი.

33. ხოლო თქუენ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ.

34. ნუ ჰზრუნავთ ხვალისათეს, რამეთუ ხვალემან იზრუნოს თავისა თვისისა: კმა არს დღისა მის სიბოროტე თვისი.

7

1. ნუ განიკითხავთ, რადთა \*არა განიკითხნეთ,

2. რამეთუ რომლითა განიკითხვითა განიკითხვიდეთ, განიკითხნეთ, და რომლითა საწყაულითა მიუწყოთ, მოგაწყოს თქუენ.

3. ანუ რასა ხედავ წუელსა თუალსა შინა ძმისა შენისასა და დვრესა თუალსა შინა შენსა არა განიციდი?

4. ანუ ვითარ ჰკრქუა ძმასა შენსა: მაცადე და აღმოგიღო წუელი თუალისაგან შენისა, და აჰა ეგერა დვრე თუალსა შინა შენსა!

5. ორგულო, აღმოიღე პირველად დვრე თუალისაგან შენისა, და მაშინ იხილო აღმოდებად წუელი თუალისაგან ძმისა შენისა.

6. ნუ მისცემთ სიწმიდესა ძალთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღოთა, ნუუკუე დათრგუნონ იგი ფერკითა მათითა და მოიქცენ და განგხეტქენ თქუენ.

7. \*ითხოვდით, და მოგვეცეს თქუენ; ეძიებდით, და ჰპოოთ; ირეკდით, და განგდოს თქუენ.

8. რამეთუ ყოველი რომელი ითხოვდეს — მოიღოს, და რომელი ეძიებდეს — პოვოს, და რომელი ირეკდეს — განგდოს.

9. ანუ ვინ არს თქუენვანი კაცი. რომელსა სთხოვდეს ძე თვისი პურსა. ნუ კვა მისცესა მას?

10. გინა თუ თევზა სთხოვდეს, ნუ გუელი მისცეს მას?

11. უკეთუ თქუენ უკეთურთა იკით მისაცემელი კეთილი მიცემად შეილთა თქუენთა, რაოდენ უფროსდა მამამან თქუემან ზეცათამან მოსცეს კეთილი რომელნი სთხოვდენ მას!

2. განიკითხვეთ S. 4. წუელი S. 5. წუელი S. 6. ვუუქმ S. 10. ცუელი S. \* ლკა. 6. ე. 37. პრო. 2. ა. 12. მრკ. 4. გ. 24. \*\* ქვე. 21. გ. 22. მრკ. 11. ბ. 24. ლკა. 11. ბ. 9. იწე. 14. ბ. 13. იაზ. 1. ა. 6.

12. \*ყოველი რომელი გინდეს თქვენ, რაღა გიყონ კაცთა, ეგრეცა თქვენ ჰყვით მათა მიმართ, რამეთუ ესრეთ არს შჯული და წინაწარმეტყუელნი.

13. \*\*შევედით იწროსაგან ბჭისა, რამეთუ ვრცელ არს ბჭე და ფართო არს გზა, რომელსა მიჰყავს წარსაწყმედელად, და მრავალნი ვლენან მას ზედა.

14. ვითარ-იგი იწრო არს ბჭე და საჭირველ გზა, რომელი მიიყვანებს ცხოვრებასა, და მცირენი არიან, რომელნი ჰპოებენ მას.

გ 15. ეკრძაღენით ცრუ წინასწარმეტყუელთაგან, რომელნი მოვიდოდნან თქუენდა სამოსლითა ცხოვართადათა, ხოლო შინაგან იყვნენ მგელ მტაცებელ.

16. \*\*\*ნაყოფთა მათთაგან იცნნეთ იგინი. ნუშუკუე შეკრიბიან ეკალთაგან ყურძენი ანუ კუროსთავეთაგან ლელუ.

17. ესრეთ ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღოს, ხოლო ხემან ხენეშმან ნაყოფი ხენეში გამოიღოს.

18. ვერ კელეწიფებთ ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენეშისა გამოღებად, და არცა ხესა ხენეშსა ნაყოფი კეთილი ყოფად.

19. \*\*\*\*ყოველმან ხემან რომელმან არა ყოს ნაყოფი კეთილი, მოეკუე-  
თოს და ცეცხლსა დაედვას.

20. ნაყოფთა სამე მათთაგან იცნნეთ იგინი.

21. \*\*\*\*\*არა ყოველმან რომელმან მრჭუას მე: უფალო, უფალო! და შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნება მამისა ჩემისა ზეცათასა.

22. მრავალთა მრჭუნ მე მას დღესა შინა: უფალო, უფალო, არა \*\*\*\*\*სახელითა შენითა ვწინაწარმეტყუელეზდითა და სახელითა შენითა. ეშმაკნი განვისხენით და სახელითა შენითა ძალნი მრავალნი ვქმნენით?

23. \*\*\*\*\*მას უამსა ვრჭუა მათ, ვითარმედ: არა გიცნი თქუენ; განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი.

დ 24. ყოველმან რომელმან ისმინნეს სიტყუანი ესე ჩემნი და ყვნეს იგინი, ვამსგავსო იგი კაცსა გონიერსა, რომელმან აღაშენა სახლი თვისი კლდესა ზედა.

25. და გარდამოკდა წუმა, მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი, და ეკუთნეს სახლსა მას და არა დაეცა, რამეთუ დაფუძნებულ იყო კლდესა ზედა.

26. და ყოველმან რომელმან ისმინნეს სიტყუანი ესე ჩემნი და არა ყვნეს იგინი, ვამსგავსოს იგი კაცსა ცოფსა, რომელმან აღაშენა სახლი თვისი ქუშასა ზედა.

27. და გარდამოკდა წუმა, მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი, და ეკუეთნეს სახლსა მას, და დაეცა. და იყო დაცემა იგი მისი დიდ ფრიად.

28. და იყო რაჟამს დაასრულნა იესო სიტყუანი ესე, განუკრდებოდა ერსა მას მოძღურება იგი მისი.

29. \*\*\*\*\*რამეთუ იყო სწავლა იგი მისი მათა მიმართ, ვითარცა-იგი ვის კელმწიფება აქუნ, და არა ვითარ-იგი მწიგნობარნი მათნი და ფარისეველნი.

15. მინაწერს ნიშანი არის ხელნაწერში, მინაწერი არ არის. 16. ნუშუკუე S. 19. მოკუელ-  
თოს S. 25. ეკუთნეს S. 27. ეკუთნეს S.

\* ლკა. 6. ე. 31. \*\* ლკა. 13. გ. 24. \*\*\* ლკა. 6. ზ. 44. \*\*\*\* ზე. 3. გ. 10.  
\*\*\*\*\* ქვე. 25. ა. 11. \*\*\*\*\* საქმ. 19. გ. 13. \*\*\*\*\* ფსლ. 6. გ. 9. ქვე. 25. დ. 41.  
ლკა. 13. დ. 27. ლკა. 6. ზ. 48. პრ. 2. გ. 13. იკბ. 1. დ. 22. \*\*\*\*\* შრკ. 1. გ.  
22 ლკა. 4. ე. 32.

## 8

- ა 1. და გარდამოვიდოდა რა იგი მიერ მითით, მოსდევდა მას ერი მრავალი.
2. \* და აჰა ესერა კეთროვანი ვინმე მოუკდა, თაყუანი-ს-ცემდა მას და ეტყოდა: უფალო, უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც განწმედა ჩემი.
3. და მიყო კელი თვისი იესუ, შეახო მას და ჰრქუა: მნებაეს, განიწმიდენი! და მეყსულად განწმიდნა იგი კეთროვანებისა მისგან.
4. და ჰრქუა მას იესო: იხილე, ნუ ვის უთხრობ, არამედ წარვედ \*\* და უჩუენე თავი შენი მდღელსა და შეწირე შესაწირაჲი შენი, რომელი ბრძანა მოსე საწამებელად მათა.
5. \*\*\* და შე-რა-ვიდა იგი კაპერნაუმად, მოუკდა მას ასისტავი, ევედრებოდა მას
- ბ 6. და ეტყოდა: უფალო, მონა ჩემი დაცემულ არს სახლსა შინა ჩემსა განრღუეული და ფრიად იგუემების.
7. ჰრქუა მას იესო: მე მოვიდუ და განვეკურნო იგი.
8. მიუგო ასის თავმან მან და ჰრქუა: \*\*\*\* უფალო, არა ღირს ვარ მე, რამთამცა საოთულსა ჩემსა ქუეშე შემოხუედ, არამედ სიტყუთ ხოლო თქუ და განიკურნოს მონა იგი ჩემი.
9. რამეთუ მეცა კაცი ვარ კელმწიფებასა ქუეშე და მქონან ჩემ ქუეშე ერისაგანნი; და ვრქვ ამას: წარვედ! და წარვიდის; და სხუასა: მოვედ! და მოვიდის; და მონასა ჩემსა: ქმენ ესე; და ქმნის.
10. ესმა რა ესე იესოს, დაუკრდა და ჰრქუა ერსა მას, რომელნი მოსდევდეს მას: ამინ გეტყვ თქუენ: არცაღა ისრაჲლსა შორის ესეოდენი საწმუნობა ეპოე.
11. ხოლო გეტყვ თქუენ: რამეთუ მრავალნი \*\*\*\*\* მზისა აღმოსავალით და დასავალით მოვიდოდიან და ინაკ-რდგმიდენ აბრაჰამის თანა და ისაკის თანა და იაკობის თანა სასუფეველსა ცათასა.
12. ხოლო ძენი სასუფეველისანი განითხინენ ბნელსა მას გარესკნელსა. მუნ იყო ტირილი და ღრკენა კბილთა.
13. და ჰრქუა იესო ასის თავსა მას: წარვედ და, ვითარცა გრწმენა, გეყავნ შენ. და განიკურნა მონა იგი მისი მას უამსა შინა.
14. და მოვიდა იესო სახლსა პეტრესსა და იხილა სიდედრი იგი მისი, დაერდომილი მკურვალეებითა.
15. და შეახო კელსა მისსა, და დაუტევა იგი მკურვალეებამან, აღდგა და ჰმსახურებდა მას.
16. \*\*\*\*\* და ვითარცა შემწუხრდა, მოკგუარეს მას ეშმაკულები მრავალი, და განასხა სულები იგი სიტყუთა და ყოველნი, რომელნი ბოროტად სხუელ იყვნეს, განკურნნა.
17. რამთა აღესრულოს თქმული იგი \*\*\*\*\* ესაია წინაწარმეტყუელისა, რომელ თქუა: მან უძლურებანი ჩუენნი მიიხუნა და სნეულებანი ჩუენი იტურთნა.

3. იესოივ S. 4. უჩუენ S. 6. განრღუელი S. იგუემების S. 8. ქუეშე S. შემოხუედ S. 9. ჰრქუა S. ქუეშე S. მას S. 10. ან S. 17. ჩუენნი S. ჩუენნი S.

\* მრკ. 1. დ. 40. ლკა. 5. გ. 12. \*\* ლეე. 14. ა. 1. \*\*\* ლკა. 7. ა. 1. \*\*\*\* ლკა. 5. ა. 5. \*\*\*\*\* მლქ. 1. გ. 11. \*\*\*\*\* 6. მრკ. 1. დ. 32. \*\*\*\*\* ესა. 53. ა. 4. 1. პეტრ. 2. დ. 24.

გ 18. ვითარცა იხილა იესო ერი მრავალი გარემო მისი, უბრძანა წიაღსლვა მიერ კერძო.

19. და მოუკდა მას ერთი მწიგნობარი და პრქუა: მოძღუარ, მიგდევდი შენ, ვიდრეცა ხვდოდი.

20. პრქუა მას იესო: მეღთა კურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს.

21. და სხუამან მოწაფეთა მისთაგანმან პრქუა მას: უფალო, მიბრძანე მე პირველად მისლვად და დაფლვად მამისა ჩემისა.

22. ხოლო იესო პრქუა მას: შენ მომდევდი მე და აცადენ მკუდარნი დაფლვად თვსთა მკუდართა.

23. \*და აღვიდა იგი ნავსა და მისდევდეს მას მოწაფენი მისნი.

24. და აჰა ესერა აღძრვა იყო დიდი ზღვასა შინა ვიდრე დაფარვადმდე ნავისა ღელეთაგან. ხოლო თავადსა ეძინა.

25. და მოუკდეს მას მოწაფენი მისნი, და აღადგინეს იგი და ეტყოდეს: უფალო, მივსნენ ჩუენ, რამეთუ წარვწყმედებით.

26. და თავადმან პრქუა მათ. რასა შეშინდით მცირედ მორწმუნენო? მაშინ აღდგა და შერისხნა ქართა მათ და ზღვასა, და იქმნა მეყსეულად დაყუდება დიდი.

27. ხოლო კაცთა მათ უკურდა და იტყოდეს: რაბამ ვინმე არს ესე, რამეთუ ქარნიცა და ზღვა ერჩიან მას!

28. \*\*და ვითარცა მოვიდა იგი მიერ კერძო სოფელსა მას გერგესეველთასა, შეემთხვნეს მას ორნი ეშმაკეულნი, რომელნი გამოვიდოდეს საფლავებისაგან, ფრიად ბოროტნი, ვიდრეღა ვერვის კლეწივებოდა წიაღსლვა მიერ გზით.

29. და დადაყვეს და იტყოდეს: რაჲ ძეს ჩუენი და შენი, იესო, ძეო ღმრთისო? მოხუედ აქა უწინარეს ყამისა ტანჯვად ჩუენდა.

30. \*\*\*იყო შორს მათგან კოლტი ღორთა მძოვარი.

31. ხოლო ეშმაკნი იგი ევედრებოდეს მას და ეტყოდეს: უკეთუ განგუასხამ ჩუენ, მიბრძანე ჩუენ მისლვად კოლტსა იმას ღორთასა.

32. და პრქუა მათ: მივედით! ხოლო. იგინი განვიდეს კაცთა მათგან და მიმართეს კოლტსა მას ღორთასა. და მიმართა ყოველმან კოლტმან ღორთამან კბოდეს ამან ზღვასა და მოსწყდეს იგინი წყალთა მათ შინა.

33. ხოლო მწყემსნი იგი ივლტოდეს და წარვიდეს ქალაქად და უთხრეს ყოველივე ეშმაკეულთა მათთვის.

34. მაშინ ყოველი იგი ქალაქი გამოვიდა შემთხუევად იესოსა, \*\*\*\*და იხილეს იგი, და ევედრებოდეს, რაჲთა წარვიდეს საზღვართა მათთაგან.

## 9

ა 1. და შევიდა ნავსა და წიაღცა და მოვიდა თვსა ქალაქად.

24. ზღვასა S. 25. ჩემს S. 29. ჩუნნი S. მოხუედ S. ჩემსდა S. 31. ჩემს S. ჩემს S. კოლტს S. 32. ზღვასა S. 34. შემთხუევდ S.

\* მრკ. 4. დ. 36. ლკა. 8. დ. 22. \*\* მრკ 5. ა. 1. ლკა. 8. დ. 26. \*\*\* მრკ. 5. 11. ლკა. 8. დ. 32. \*\*\*\* მრკ. 5. ბ. 17. ლკა. 8. ე. 37.



2. \*მაშინ მოართუეს მას განრღვეული ცხედარსა ზედა მდებარე. და იხილა იესო სარწმუნოება მათი და ჰრქუა განრღვეულსა მას: ნუ გეშინინ, შვილო, მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი!

3. და აჰა ესერა მწიგნობართაგანთა ვიეთმე თქუეს გულთა შინა მათთა, ვითარმედ: ესე გმობს.

4. იცნოდა იესო ზრახვანი მათნი და ჰრქუა მათ: რასა თქუენ ბოროტსა ჰზრახავთ გულთა შინა თქუენთა?

5. რა უადვილეს არს სიტყუად მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი, ანუ სიტყუად: აღდეგ და ვილოდე?

6. ხოლო რამთა უწყოდით, რამეთუ კელმწიფება აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვათა, მაშინ ჰრქუა განრღვეულსა მას: აღდეგ, აღიდე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენდა!

7. და იგი შეესეულად აღდგა და წარვიდა სახიდ თესა.

8. იხილა რა ესე ერმან მან, დაუკვირდა და აღიდებდეს ღმერთსა, რომელმან მოსცე ესევითარი კელმწიფება კაცთა.

9. \*\* და წარვიდოდა მიერ იესო, იხილა კაცი, რომელი ჯდა საზუერესა, მატეთოს სახელი მისი, და ჰრქუა მას: მომდეგდი მე! და აღდგა და მისდეცდა მას.

10. და იყო ჯდა რა იგი ინაჯით სახლსა შინა, და მრავალნი მეზუერენი და ცოდვილნი თანასხედს ინაჯით იესოს თანა და მოწაფეთა მისთა თანა.

11. და ვითარცა იხილეს ფარისეველთა მათ, ჰრქუეს მოწაფეთა მისთა: რასათჳს მეზუერთა და ცოდვილთა თანა ჰჰმს მოძღვარი თქუენი?

12. ხოლო იესოს ვითარცა ესმა, ჰრქუა მათ: არა უქმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ სნეულთა.

13. ხოლო თქუენ წარვედით და ისწავეთ რა არს: \*\*\*წყალობა მნებავს და არა მსხუერპლი, რამეთუ არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ \*\*\*\*ცოდვილთა.

14. მაშინ მოუქდეს მას მოწაფენი იოვანესნი და ეტყოდეს: \*\*\*\*\*რასათჳს ჩუენ და ფარისეველნი ვიმარხავთ ფრიად, ხოლო მოწაფენი შენნი არა იმარხვენ?

15. ჰრქუა მათ იესო: კელ-მე-ეწიფებისა ძეთა სიძისათა გლოად, ვიდრემდე მათ თანა არს სიძე? მოვლენან ღდენი, რაჲმს ამალდეს მათგან სიძე იგი, და მაშინ იმარხვიდენ.

16. არაეინ დაადგის სადგმელი ჴუმერკნველი სამოსელსა ძუელსა, რამეთუ აღიღის სავესება სამოსლისა მისგან, და უფროსი განხეტქილება იქმნის.

17. არცა შთაასხიან ღუნო ახალი თხიერთა ძუელთა, რამთა არა განსთქდენ თხიერნი და ღუნო დაითხიოს, და თხიერნი წარწყმდენ. არამედ შთაასხიან ღუნო ახალი თხიერთა ახალთა, და ორნივე დაიმარხნიან.

18. \*\*\*\*\* და ვითარცა იგი ამას ეტყოდა მათ, მაშინ მოუქდა მას მთავ-

2. მოართუეს S. განრღვეული S. განრღვეულსა S. 4. თქუნთა S. 5. მიგეტევნენ S. გეტევნენ S. 6. ჰა S. განრღვეულსა S. 9. საზუერესა S. 10. მეზუერენი S. 11. ჰრქუეს S. შე-  
 უტყოდეს S. მოძღვარი sic. თქუნთა S. 13. მსხუერპლი S. 14. იესო S. 16. ძუელსა S.  
 17. ძუელსა S.

\* მრკ. 2. ა. 3. ლკა. 5. დ. 18. \*\* მრკ. 2. ბ. 14. ლკა. 5. ზ. 27. \*\*\* ოსე. 6. გ. 6. ქვე. 12. ა. 7. \*\*\*\* ტ-მო. 1. გ. 2. 7. \*\*\*\*\* მრკ. 2. გ. 18. ლუკ. 5. ვ. 33. \*\*\*\*\* მრკ. 5. ბ. 22. ლკა. 8. ვ. 41.

რი ერთი, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა, ვითარმედ: ასული ჩემი აწლა აღესრულა; არამედ მოვედ და დასდეგ კელი შენი მას ზედა და ცხონდეს.

19. და აღდგა იესო და შეუდგა მას და მოწაფენი მისნი მის თანა.

20. \*და აჰა ესერა დედაკაცი ვინმე, რომელი იყო სისხლისა დინებასა ათორმეტ წელ, მოუტდა ზურგით და შეახო ფესუსა სამოსლისა მისისასა.

21. რამეთუ იტყოდა გულსა თვსსა, ვითარმედ შე-ხოლო-თუ-ვენხო სამოსელსა მისსა, ვცხონდე.

22. ხოლო იესო მიექცა, იხილა იგი და ჰრქუა მას: ნუ გეშინი, ასული! სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. და განიკურნა დედაკაცი იგი მიერ ეამითგან.

23. და მოვიდა იესო სახლსა მის მთავრისასა და იხილა მუნ მგოსნები და ერთი კრებული და შფოთი.

24. და ჰრქუა მათ: განეშორებით, რამეთუ არა მომკუდარ არს ეგე, არამედ სძინავს. ხოლო იგინი ეკიცხვედეს მას.

25. და რაჟამს გამოასხა ერთი იგი, შევიდა და უპყრა კელი მისი და აღადგინა ქალი იგი.

26. და განჯდა ჰამბავი მისი ყოველსა მას ქუეყანასა.

27. და წარმო-რა-ვიდოდა მიერ იესო, მოსდევდეს მას ორნი ბრმანი, და-დადებდეს და იტყოდეს: შემიწყალენ ჩუენ, ძეო დავითისაო.

28. და ვითარცა შევიდა იესო სახლსა, მოუტდეს მას ბრმანი იგი, და ჰრქუა მათ იესუ: გრწამსა, ვითარმედ ძალ-მიც ესე ყოფად? ჰრქუეს მას: ჰე, უფალო.

29. მაშინ შეახო თულთა მათთა და ჰრქუა მათ: სარწმუნოებისა თქუენისაებრ გეყავნ თქუენ!

30. და შეყსეულად აღეხილნეს თულნი მათნი. და შერისხნა მათ იესო და ჰრქუა: იხილეთ, ნუმცა ვინ უწყის.

31. ხოლო იგინი გამოვიდეს და მიმოდადვეს იგი ყოველსა მას ქუეყანასა.

32. და ვითარცა იგი გამო-ოდენ-ვიდეს, მოგვარეს მას კაცი ყრუ და ეშ-მაკეული.

33. და ვითარცა განჯდა ეშმაკი იგი, იტყოდა ყრუ იგი, და დაუკრდე-ბოდა ერსა მას და იტყოდეს, ვითარმედ: არა სადა ისრაჴლსა შორის ესრეთ გამოჩნდა.

34. \*\*ხოლო ფარისეველნი იტყოდეს: მთავართა ეშმაკათა განასხამს ეშ-მაკთა.

35. \*\*\*და მოვიდა იესო ქალაქებსა ყოველსა და დაბნებსა და ასწავებდა შესაკრებელთა შორის მათსა და ქადაგებდა სახარებლსა სასუფეველისასა და განკურნებდა ყოველთა სენთა და ყოველთა უძლურებათა ერსა შორის.

36. და ვითარცა იხილა ერთი იგი, შეეწყალნეს იგინი, რამეთუ იყენეს და-მაშურალ და დაცვენებულ, ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი.

37. მაშინ ჰრქუა მოწაფეთა თვსთა, \*\*\*\*ვითარმედ: სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი — მცირედ.

38. ევედრებით უფალსა სამკალისასა, რამთა გამოავლინნეს მოქმედნი სამკალსა თვსსა.

28. იესუ[იესუ] S. ჰრქუეს S.

\* მრკ. 5. ე. 25. ლკა. 8. ვ. 43. \*\* ქვე. 12. ბ. 24. ლკა. 11. ბ. 15. \*\*\* მრკ. 6. ა. 6. \*\*\*\* ლკა. 10. ა. 2.

## 10

ა 1. და \*მოუწოდა ათორმეტთა მოწაფეთა თვსთა და მისცა მათ კელ-მწიფება სულთა ზედა არა წმიდათა, რამთა განასხმიდენ მათ და განაკურნებ-დენ ყოველთა სენთა და ყოველთა უძლურებათა.

2. ხოლო ათორმეტთა მათ მოციქულთა სახელები ესე არს: პირველად სი-მონ, რომელსა ეწოდა, პეტრე, და ანდრეა, ძმა მისი, იაკობ ზებედესი და იო-ვანე, ძმა მისი,

3. ფილიპე და ბართლომე, თომა და მატეოს მეზუერე, იაკობ ალფესი და ლებოს, რომელსა ეწოდა თადეოს.

4. სიმონ კანანელი და იუდა ისკარიოტელი, რომელმანცა განსცა იგი.

5. ესე ათორმეტნი წარავლინა იესო, ამცნო მათ და ჰრქუა: გზასა წარ-მართასა ნუ მიხუალთ. და ქალაქსა სამარტელთასა ნუ შეხვალთ,

6. არამედ მივედით უფროს \*\*ხოლო ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახ-ლისა ისრაელისათა.

7. და მი-რა-ხვდეთ, ქადაგებდით და იტყოდეთ, ვითარმედ: მოახლებულ არს სასუფეველი ცათა.

8. უძლურთა განკურნებდით, მკუდართა აღადგინებდით, კეთროვანთა განსწმედდით, ეშმაკთა განასხემდით; უსასყიდლოდ მიგიღებდით და უსასყიდ-ლოდ მისცემდით.

ბ 9. ნუ მოიგებთ ოქროსა, ნუცა ვეცხლსა, ნუცა რვალსა სარტყელთა თქუენთა,

10. ნუცა ვაშკარანსა გზასა ზედა, ნუცა ორსა სამოსელსა, ნუცა კამლთა, ნუცა კუერთხსა, რამეთუ ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისა.

11. რომელსა ქალაქსა ანუ დაბასა შეხვდეთ, გამოიკითხეთ, ვინ ღირს იყოს, მუნ დაადგერით ვიდრე გამოსლვამდე.

12. და შე-რა-ხვდოდით სახლსა მას, მოიკითხეთ იგი. და თქუთ: მშუდო-ბა სახლსა ამას.

13. და უკუეთუ სახლი იგი ღირს იყოს, მოვიდეს მშუდობა თქუენი მას ზედა; უკუეთუ არა ღირს იყოს, მშუდობა თქუენი თქუენდავე მოიქეცინ.

14. და უკეთუ არა ვინ შეგიფყნარნეს თქუენ და არცა ისმინნეს სიტყუანი თქუენნი, გამო-რა-ხვდოდით მიერ სახლით, გინა მიერ ქალაქით, განიყარეთ მტუერი ფერჯთა თქუენთა.

15. ამინ გეტყუ თქვენ: უმოლხინეს იყოს ქუეყანა იგი სოდომისა და გო-მორისა დღესა მას სასჯელისასა, ვიდრე ქალაქი იგი.

16. \*\*\*აჰა მე მიგავლინებ თქუენ, ვითარცა ცხოვართა შორის მგელთა. იყ-ვენით უკუე მეცნიერ, ვითარცა გუელნი, და უმანკო, ვითარცა ტრედნი.

17. ეკრძალებოდეთ კაცთაგან, \*\*\*\*რამეთუ მიგცემდენ თქუენ კრებულსა და შორის შესაკრებელთა მათთა გტანჯვიდენ თქუენ.

18. და წინაშე მთავართა და მეფეთა მიგიყვანნენ თქუენ ჩემთვის, საწამე-ბელად მათდა და წარმართთა.

19. და რაჟამს მიგცენ თქუენ, ნუ ჰზრუნავთ, ვითარ ანუ რასა იტყოდით, რამეთუ მოგცეს თქუენ მას ჟამსა შინა, რასა-იგი იტყოდით.

3. მეზუერე S. 9. თქუენთა S. 10. კუერთხსა S. 2. იუ. 14. მტუერი S. 16. უკუე S. გუელნი S.

\* მრკ. 30. ბ. 13. ლკა. 6. ბ. 13. და 9. ა. 1. და. 10. ა. 1. \*\* მრკ. 6. ა. 8. ლკა. 9. ა. 3. და. 10. ა. 4. საქ. 13. ზ. 46. \*\*\* ლუკ. 10. ა. 3. \*\*\*\* ლკა. 12. ბ. 11.

20. რამეთუ არა თქუენ იყვნეთ მეტყუელნი, არამედ სული მამისა თქუენისა, რომელი იტყოდის თქუენ შორის.

გ 21. რამეთუ მისცეს მამამან მამა სიკუდილად, და მამამან შვილი, და აღდგენ შვილნი მამა-დედათა ზედა და მოკლულდენ მათ.

22. და იყვნეთ თქვენ მოძულეებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათვის, ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს.

23. რაჟამს გდევნიდენ თქუენ ამიერ ქალაქით, მიივლტოდეთ სხუად, ამინ გეტყვ თქუენ: ვერ დაასრულოთ ქალაქები ისრაჴლისა, ვიდრემდის ძე კაცისა მოვიდეს.

24. \*არა არს მოწაფე უფროს მოძღუარისა თვისისა, არცა მონა უფროს უფლისა მთვისისა.

25. კმა არს მოწაფისა მის, უკეთუ იყოს, ვითარცა მოძღუარი თვისი, და მონა იგი, ვითარცა უფალი თვისი. უკეთუ სახლისა უფალსა ბელზებულისით ჰხადოდეს, რაოდენ უფროს სახლელულთა მისთა?

26. ნუუკუე გეშინინ მათგან, \*\*რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს, და არცა საიდუმლო, რომელი არა გამოცხადდეს.

27. რომელი გარკუე თქუენ ბნელსა შინა, თქუენ თქუთ ნათელსა შინა, და რომელი ყურთა გესმა, ქადაგებდით ერდოთა ზედა.

28. და ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყუდნენ კორცნი, ხოლო სული-სა ვერ კელ-ეწიფების მოკლვად. არამედ გეშინოდენ მისა უფროს, რომელი შემძლებელ არს სულისა და კორცთა წარწყმედად გეჴენიასა შინა.

29. ანუ არა ორი სირი ასარის განისყიდებისა? და ერთიცა მათგანი არა დაეარდების ქუეყანასა ზედა თენიერ მამასა თქუენისა.

30. \*\*\*ხოლო თქუენნი თავისა თმანიცა ყოველნი განრაცხილ არიან.

31. ნუ გეშინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ თქუენ.

32. \*\*\*\*ყოველმან რომელმან აღიაროს ჩემდამო წინაშე კაცთა, მეცა აღვიარო იგი წინაშე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა.

33. და რომელმან უვარ-მყოს მე წინაშე კაცთა, უვარ-ვეო იგი მეცა წინა-შე მამისა ჩემისა ზეცათაჲსა.

დ 34. ნუ ჰვინებთ, ვითარმედ მოვედ მე მიფენად მშუდობისა ქუეყანასა ზედა: არა მოვედ მიფენად მშუდობისა, არამედ მახვლისა.

35. რამეთუ მოვედ განყოფად \*\*\*\*\*კაცისა მამისაგან თვისისა და ასული დედისაგან თვისისა და სძალი დედამთილისაგან თვისისა.

36. და მტერ იყვენ კაცისა სახლელუნი თვისნი.

37. \*\*\*\*რომელსა უყუარდეს მამა ანუ დედა უფროს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს; და რომელსა უყუარდეს ძე ანუ ასული უფროს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს.

38. \*\*\*\*\*და რომელმან არა აღიღოს ჴუარნი თვისი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს.

20. თქუნ S. მეტყუელნი S. 21. შულო S. 26. ნუუკუე S. 29. თქუნ-სა S. 31. თქუ-  
 66 S.

\* ლუკ. 6. ე. 40. რნე. 13. ბ. 16. და. 15. ე. 20. \*\* მრკ. 4. გ. 22. ლკა. 8. გ. 17. და. 12. ო. 2. \*\*\* სქმ. 27. ე. 34. 2. მდე. 14. გ. 11. \*\*\*\* მრკ. 8. დ. 38. ლკა. 9. გ. 26. და. 12. ბ. 8. 2. ტ მო 2. ბ. 12. \*\*\*\*\* ლკა. 12. ე. 51. მქია. 7. ბ. 6. \*\*\*\*\* ლუკ. 14. ე. 26. \*\*\*\*\* მრკ. 8. დ. 34. ქვე. 16. დ. 24. ლკა. 9. გ. 24. და. 14. ე. 27. რნე 12. ე. 25.

39. რომელმან მოიპოოს სული თვისი, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს სული თვისი ჩემთვის, მან პოოს იგი.

40. რომელმან შეგიწყნარნეს თქვენ, მე შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი.

41. რომელმან შეიწყნაროს წინაწარმეტყუელი სახელად წინაწარმეტყუელისა, სასყიდელი წინაწარმეტყუელისა მიიღოს; და რომელმან შეიწყნაროს მართალი სახელად მართლისა, სასყიდელი მართლისა მიიღოს.

42. \*და რომელმან ასუას ერთსა მცირეთაგანსა სასუმელი ერთი წყალი გრილი სახელად მოწაფისა, ამინ გეტყვ თქვენ, არა წარუწყმდეს სასყიდელი მისი.

## 11

ა 1. და იყო რაჟამს დაასრულნა იესო ბრძანებანი ესე ათორმეტთა მითმართ მოწაფეთა მისთა, წარვიდა მიერ ქადაგებად და სწავლად ქალაქებსა მათსა.

2. \*\*ხოლო იოვანეს რაჲ ესმნეს საპყრობილესა შინა საქმენი ქრისტესნი, მოაგონნა ორნი მოწაფენი თვისნი.

3. და ჰრქუა: შენ ხარა მომავალი იგი ანუ სხვასა მოველოდით?

4. ხოლო იესო მიუგო და ჰრქუა მათ: მივედით და უთხართ იოვანეს, რომელი გესმის და ჰხედავთ.

5. \*\*\*ბრმანი აღიხილვენ, მკელობელნი ვლენან, კეთროვანნი განწმდებიან, და ყრუთა ესმის, და მკუდარნი აღდგებიან, და გლახაკთა ეხარების.

6. და ნეტარ არს, რომელი არა დაბრკოლდეს ჩემდა მომართ.

7. \*\*\*\*და ვითარცა ესენი წარვიდეს, იწყო იესო სიტყვად ერსა მას იოვანესთვის: რასა გამოხუედით უღაბნოდ ხილვად? ლერწმისა, ქარისაგან შერყეულისა?

8. არამედ რასა გამოხუედით ხილვად? კაცისა ჩჩულითა სამოსლითა შემოსილისა? აჰა ესერა რომელნი ჩჩულითა სამოსლითა შემოსილ არიან, სახლთა შინა სამეუფოთა არიან.

ბ 9. არამედ რასა გამოხუედით ხილვად? წინაწარმეტყუელისა? ჰე, გეტყვ თქვენ, და უმეტეს წინაწარმეტყუელისა.

10. რამეთუ ესე არს, რომლისათვის წერილ არს: \*\*\*\*\*აჰა ესერა წარვაველინო ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა, რომელმან განჰმზადნეს გზანი შენნი წინაშე პირსა შენსა.

11. ამინ გეტყვ თქვენ: არა აღდგომილ არს ნაშობთაგანი დედათა უფროს იოვანეს ნათლისმცემლისა; ხოლო უმცირესი სასუფეველსა ცათსა უფროს მისა არს.

12. რამეთუ დღითგან იოანე ნათლისმცემლისათ ვიდრე აქამომდე სასუფეველი ცათა იძულებს, და რომელნი აიძულებდენ, მათ მიიტაცონ იგი

13. რამეთუ ყოველნი წინაწარმეტყუელნი და სჯული ვიდრე იოანესამდე წინაწარმეტყუელებდეს.

39. თრსი S. 41. მართლმ. S. 1. იუოს S. 4. ჰრქუ ქქვა S. რნეს S. 7. სიტყვად sic. გამოხუედით გამოხუედით S. 8. გამოხუედით S. 7. იესუს 9. გამოხუედით S.

\* მრკ. 9. ვ. 41. ლუკა. 10. გ. 16. თნე. 13. გ. 20. \*\* ლუკ. 7. გ. 18. \*\*\* უსა. 35. ა. 5. და 6. ა. 1. \*\*\*\* ლკ. 7. გ. 24. \*\*\*\*\* მლკ. 3. ა. 1. მრკ. 1. 2. ლკა. 1. 17. დ. 7. 27.

14. \*და უკუეთუ გნებავს შეწყნარების, იგი არს ელია, რომელი მოვალს.

15. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ.

გ 16. აწ ვის ვამსგავსო ნათესავი ესე? მსგავს არს ყრმათა, რომელნი სხენდენ უბანთა და მოუწყესდ მოყუასთა თესთა.

17. და ეტყუედ მათ: გისტუნევდით თქუენ, და არა ჰროკევდით; გიგოდებდით, და არა იტყუებდით.

18. რამეთუ მოვიდა იოანე, არცა ჭამდა, არცა სუმიდა, და იტყუან ვითარმედ ეშმაკეულ არს.

19. მოვიდა ძე კაცისა, ჭამს და სუამს, და იტყუან: აჰა კაცი მჭამელი და ღუნაჲ მსმელი, მეგობარი მეზვერეთა და ცოდვილთა. და განმართლდა სიბრძნე შეილთაგან თესთა.

20. მაშინ იწყო იესო ყუედრებად ქალაქებისა მის, სადა-იგი იქმნეს უმრავლესნი ძალნი მისნი, რამეთუ არა შეინანეს:

21. \*<sup>1</sup>ეაჲ შენდა, ქორაზინ, და ეაჲ შენდა, ბეთსაიდა! რამეთუ ტუროსს თუმცა და სილონს იქმნეს ძალნი, რომელნი იქმნეს თქუენ შორის, მაშინვე სამეშცა ძაძითა ნაცარსა ზედა მსხდომარეთა შეინანეს.

22. ხოლო გეტყუ თქუენ: რამეთუ ტუროსი და სილონი უმოლხინეს იყოს დღესა მას სასჯელისასა, ვიდრე თქუენ.

დ 23. ხოლო შენ, კაპერნაუმ, ნუ ცადმდე აჰმადლდები, არამედ ჯოჯოხეთამდე შთაჯდე, რამეთუ სოდომს თუმცა იქმნეს ძალნი, რომელნი იქმნენ შენ შორის, ჰგიანმცა დღეინდელად დღედმდე.

24. ხოლო გეტყუ თქუენ, რამეთუ ქუეყანა ეგე სოდომისა უმოლხინეს იყოს დღესა მას სასჯელისასა, ვიდრე შენ.

25. მას ეამსა შინა იტყოდა იესო და თქუა: აღგიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩჩულთა.

26. ჰე, მამაო, რამეთუ ესრეთ სათნო-იყო შენ წინაშე.

27. ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ; და \*\*\*არავინ იცის ძე, გარნა მამამან, არცა მამა ვინ იცის, გარნა ძემან, რომლისა უნდეს ძესა გამოცხადების.

28. მოვედით ჩემდა ყოველნი მამურალნი და ტურთ-მძიმენი, და მე განგისუენო თქუენ.

29. \*\*\*\*ალიდეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშუდ ვარ და მდაბალ გულითა, და ჰპოოთ განსვენება სულთა თქუენთა.

30. \*\*\*\*\*რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს, და ტურთი ჩემი სუბუქ არს.

## 12

ა 1. მას ეამსა შინა წარვიდოდა იესო \*\*\*\*\*დღესა შაბათსა ყანობირსა (მათსა). ხოლო მოწაფეთა მისთა შეემშია, და იწყეს მუსრვად თავსა ქუვილისასა და ჭამად.

14. მოველს S. 11. რნეს S. 20. ყუედრებად S. 21. ტუროს S. 28. განგისუენო S. თქუენ sic. 19. გულთაგან S. 30. სუბუქსუბუ S.

\* შლქ. 4. ბ. 5. \*\* ლქა. 10. დ. 13. \*\*\* იწე. 6. ზ. 46. და. 7. დ. 18. დ. 8. ბ. 15. და 10. გ. 15. \*\*\*\* იერ. 6. დ. 16. \*\*\*\*\* 1. რნე. 5. ა. 3. \*\*\*\*\* შრქ. 2. დ. 23. ლქა. 6. ა. 1.

2. ხოლო ფარისეველთა მათ იხილეს რამ, ჰრქუეს მას: ამა მოწაფენი შენნი იქმან, რომელი არა ჯერ არს შაბათსა შინა საქმედ.

3. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: არა აღმოგიკითხავსა, \*რა-იგი ყო დავით, ოდეს-იგი შეეშწია და მის თანათა მათ?

4. ვითარ-იგი შევიდა სახლსა ღმრთისაჲსა და პურნი იგი შესაწირავთანი შექმანა, რომელთა არა ჯერ-იყო ჳამად მისა, არცა მის თანათა მათ, \*\*გარნა მღდელთა ხოლო?

5. ანუ არა აღმოგიკითხავსა სჯულსა, \*\*\*რამეთუ შაბათთა შინა მღდელთა ტაძარსა მას შინა შაბათი შეურაცხ-ყვიან და უბრალო იყვნიან?

6. ხოლო გეტყვ თქუენ, ვითარმედ: ტაძრისა უფროს არს აქა.

7. უკეთუშეცა გეცნა, რა არს. \*\*\*\*წყალობა მნებავს და არა მსხუერპლი, არამცა დასაჯენით უბრალონი.

8. უფალ არს ძე კაცისა შაბათისაჲცა.

9. და წარმოვიდა მიერ იესო და მოვიდა შესაყრებელსა მათსა.

10. \*\*\*\*\*და პოვა მუნ კაცი ერთი, რომელსა კელი განჯმელ ედგა. ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს: უკეთუ ჯერ არს შაბათსა კურნება? რამთაშეცა შეასმინეს იგი.

11. ხოლო იესო ჰრქუა მათ: \*\*\*\*\*ვინ არს თქუენგანი კაცი, რომელსა ედგას ცხოვარი ერთი და შთავარდეს იგი დღესა შაბათსა ჯურღმულსა, არამე უპყრასა და აღმოიქუეს იგი?

12. რაოდენ უმჯობეს არს კაცი ცხოვარისა? ამისთვის ჯერ არს შაბათსა შინა კეთლისა საქმე.

13. მაშინ ჰრქუა იესო კაცსა მას: განირთხ კელი შენი! და მან განირთხა კელი, და კულად მოეგო ცოცხალი, ვითარცა ერთი იგი.

ბ 14. ხოლო ფარისეველნი იგი გამოვიდეს და ზრახვა-ყვეს მისთვის, რამთა წარწყმიდონ იგი.

15. ხოლო იესო გულისჳმა-ყო და განეშორა მიერ და წარვიდა. და მისდევდა მას ერი მრავალი, და განკურნნა იგი ყოველნი.

16. და ამცნო მათ, რამთა არა გამოაცხადონ იგი.

17. რამთა აღესრულოს თქმული იგი ესაია წინაწარმეტყუელისა, რომელსა იტყვის:

18. \*\*\*\*\*აჲა ესერა ძე ჩემი, რომელი მე სათნო-ვიყავ, საყუარელი ჩემი, რომელი სთნავს სულსა ჩემსა. დავდვა სული ჩემი მის ზედა, და სამართალი წარმართთა მიუთხრას.

19. არა კდებოდის, არცა ღაღადებდეს, არცა ესმეს ვის უბანთა ზედა კმა მისი.

20. ლერწამი შემდუსრვილი არა განტეხოს და პატრუკი მბრძუნვარე არა დაშრიტოს, ვიდრემდე გამოიღოს ძლევედ სასჯელი.

21. და სახელსა მისსა წარმართნი ესვიდენ.

22. მაშინ მოჰგუარეს მას ეშმაკეული ბრმა და ყრუ, და განკურნა იგი, ვითარმედ ყრუ იგი და ბრმა ხედვიდა და იტყოდა.

23. გა განუკურდებოდა ერსა მას და იტყოდეს: ნუჟკუე ესე არს ძე დავითისი?

7. უკეთუშეცა sic. მსხუერპლი S. 24. ნუჟკუე S.

\* 1. მედ. 21. ა. 4. \*\* რიკხ. 28. ბ. 9. \*\*\* ლევ. 24. ბ. \*\*\*\* ოსე. 6. გ. 6. \*\*\*\*\* მრკ. 3. ა. 1. ლკა. 6. ა. 6. \*\*\*\*\* 2. სჯლ. 22. ა. 1. \*\*\*\*\* ეს. 42. ა. 1.

24. \*ხოლო ფარისეველთა მათ ვითარცა ესმა ესე, იტყოდეს: ესე არა განასხამს ეშმაკთა, გარნა ბელზებულისა, მთავრითა მით ეშმაკთათა.

25. იცოდნა იესო ზრახვანი იგი გულისა მათისანი და ჰრქუა მათ: \*\*ყოველი მეუფება, რომელი განევლთა თავსა თუსსა, მოოჯრდის, და ყოველი ქალაქი გინა სახლი, რომელი განევლთის თავსა თუსსა, ვერ დაემტკიცოს.

26. და უკუეთუ ეშმაკი ეშმაკსა განჰვდის, თავსა თუსსა განევლთა; ვითარ დაემტკიცენს მეუფება მისი?

27. და უკუეთუ მე ბელზებულისა განვასხამ ეშმაკთა, ძენი თქუენნი რაათა განასხმენ? ამისთვის იგინივე მსაჯულ თქუენდა იყუნენ.

28. უკეთუ მე სულითა ღმრთისაათა განვასხამ ეშმაკთა, მო-სამე-იწია თქუენ ზედა სასუფეველი ღმრთისა.

29. ანუ ვითარ ვის კელ-ეწიფების სახლსა ძლიერისაა შესლვად და ჰურ-ჰელი მისი გამოტყუენვად, უკეთუ არა პირველად შეკრას ძლიერი იგი და მშინდა სახლი მისი იავარ-ყოს?

გ 30. რომელი არა არს ჩემ თანა, იგი მტერი ჩემი არს; და რომელი არა შეჰკრებს ჩემ თანა, იგი განაბნენს.

31. \*\*\*ამისთვის გეტყუ თქუენ: ყოველი ცოდვა და გმობა მიეტეოს კაცთა, ხოლო სულისა წმიდისა გმობა არა მიეტეოს კაცთა.

32. და რომელმან თქუას სიტყუა ძისა კაცისათუს, მიეტეოს მას; ხოლო რომელმან თქუას სულისა წმიდისათუს, არა მიეტეოს მას არცა ამას სოფელსა, არცა შერმესა მას.

33. ანუ ყავთ ხე იგი კეთილ და ნაყოფიცა მისი კეთილ; ანუ ყავთ ხე იგი ხენეშ და ნაყოფიცა მისი ხენეშ; \*\*\*რამეთუ ნაყოფისაგან ხე იგი საცნაურ არს.

34. ნაშობნო იქედნეთანო, ვითარ კელ-გეწიფების კეთილისა სიტყუად? რამეთუ თქუენ უკეთურნი ხართ, რამეთუ ნამეტნავისაგან გულისა პირი იტყუს.

35. კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გამოიღის კეთილი, და ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა გამოიღის ბოროტი.

36. ხოლო მე გეტყუ თქუენ: რამეთუ ყოველი სიტყუა უქმი, რომელსა იტყოდიან კაცი, მისცენ სიტყუა მისთვის ღღესა მას სასჯელისასა.

37. რამეთუ სიტყუათა შენთაგან განჰმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო.

38. მაშინ მი-ვიეთმე-უგეს მწიგნობართაგან და ფარისეველთა და ჰქუეს: მოძლუარ. გუნებაჲს შენგან სასწაულისა ხილვად.

39. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: \*\*\*\*\*ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს, და სასწაული არა ეცეს მას, \*\*\*\*\*გარნა სასწაული იგი იონა წინაწარმეტყუელისა.

40. რამეთუ ვითარცა-იგი იყო \*\*\*\*\*იონა მუცელსა ვეშაპისასა სამ ღღე და სამ ღამე, ეგრეთ იყოს ძე კაცისა გულსა ჭუეყანისასა სამ ღღე და სამ ღამე.

41. \*\*\*\*\*კაცი იგი ნინეველნი აღდგენ სასჯელსა მას ნათესავისა ამის თანა და დაშვიდენ მათ, რამეთუ შეინანეს ჭადაგებასა მას იონასსა; და აჰა ესერა უფროს იონასსა არს აქა.

28. უკეთუ sic 29. გამოტყუენვად S. 34. იტყენ S. 38. ჰრქუმს S.

\* შრკ. 3. გ. 22. ლკა. 11. ბ. 14. ზე. 9. დ. 34. \*\* ლკა. 11. ბ. 17. \*\*\* შრკ. 3. დ. 28. ლკა. 11. ბ. 17. \*\*\*\* ლკა. 6. 8. 45. \*\*\*\*\* ქვე. 16. ა. 4. ლკა. 11. გ. 29. \*\*\*\*\* 1. კორ. 1. დ. 22. \*\*\*\*\* იონა 2. ა. 2. \*\*\*\*\* იონა 3. ბ. 5.



42. დედოფალი იგი სამხრისა აღდგეს სასჯელსა მას ხა:ესაიასა ამის თანა და დასაჯოს იგი, \*რამეთუ, მოვიდა კიდით ქუეყანისათ სმენად სიბრძნესა სოლომონისსა; და აჰა ესერა უფროს სოლომონისსა არს აჰა.

43. \*\*ხოლო რაჟამს სული იგი არა წმიდაჲ განვიდის კაცისაგან მი-  
მოვალნ ურწყულთა ადგილთა და ეძიებნ განსუენებასა და არა პოვის.

44. მაშინ თქუს: მივიქცე სახედ ჩემდა, ვინაცა გამოვედ; და მო-რა-ვიდის, პოვის იგი მოცალე, განსუენებული და შემკული.

45. მაშინ წარვიდის და მოიყვანნის მის თანა სხვანი შუდნი სულნი, უბო-  
როტესნი მისა, და მოვიდის და დაემკვდრის მუნ. \*\*\*და იქმნის უკანას-  
კნელი კაცისა მის უძრეს პირველისა. ესრეთ ეყოს ნათესაესა ამასცა უკეთურ-  
სა.

46. \*\*\*\*და იყო, ვიდრე-იგი ეტყოდა-ლა ერსა მას, აჰა ესერა დედა მისი-  
და ძმანი მისნი დგეს გარე და ეძიებდეს მას სიტყუად.

47. მაშინ ჰრქუა ვინმე მას: აჰა დედა შენი და ძმანი შენნი დგანან გარე-  
შე და უნებს რამე სიტყუად შენდა.

48. ხოლო იესო მიუგო მეტყუელსა მას და ჰრქუა: ვინ არს დედა ჩემი,  
ანუ ვინ არიან ძმანი ჩემნი?

49. და მიყო კელი მისი მოწაფეთა მიმართ თუსთა და თქუა: აჰა, დედა ჩემი-  
და ძმანი ჩემნი!

50. რამეთუ რომელმან ყოს ნება მამისა ჩემისა ზეცათასა, იგი არს ძმა და  
დაჲ და დედა ჩემი.

## 13

ა 1. მას დღესა შინა გამოვიდა იესო სახლისა მისგან და დაჯდა იგი ზღუს-  
კიდესა.

2. \*\*\*\*\*და შეკრბა მისა ერი მრავალი ვიდრე შესლვადმდე მისა ნავად  
და დაჯდომად. და ყოველი იგი ერი ზღუს კიდესა დგა.

3. და ეტყოდა მათ მრავალსა იგავით და ჰრქუა: ესერა გამოვიდა მთესვა-  
რი თესვად.

4. და თესვასა მას მისსა რომელიმე დავარდა გზასა ზედა; და მოვიდეს  
მფრინველნი ცისანი და შეჭამეს იგი.

5. და სხუა დავარდა კლდოვანსა ზედა, სადა არა იყო მიწა ფრიად; და  
მეყსეულად აღმოსცენდა, რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისა.

6. მზე რა აღმოქდა, დასცხა, და რამეთუ ძირნი არა დაეზნეს, განქმა.

7. და სხუა იგი დავარდა ეკალთა შორის, და აღმოსცენდეს ეკალნი და შე-  
აშთეეს იგი.

8. და რომელიმე დავარდა ქუეყანასა კეთილსა და მოსცემდა ნაყოფსა:  
რომელიმე ასსა, რომელიმე სამეოცსა, რომელიმე ოცდა ათსა.

9. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

10. და მოუვდეს მოწაფენი და ჰქუეს მას: რასათჳს იგავით ეტყუ მათ?

ბ 11. ხოლო იესო ჰრქუა მათ: თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიღუმ-  
ლო სასუფეველისა ცათასა, ხოლო მათდა არა მიცემულ არს.

43. განსუენებასა S. 44. განსუენებული S. 48. მეტყუელსა S. 5. აღმოსცენდა-ღ S.  
10. ჰრქუეს S.

\* 3. მეფ. 10. ა. 1. 2. გ. 9. ა. 1. \*\* ლკა. 11. გ. 24. \*\*\* 2. პეტ. 2. დ. 20-  
\*\*\*\* მრკ. 3. დ. 31. ლკა. 8. გ. 20, \*\*\*\*\* მრკ. 4. ა. 1. ლკა. 8. ა. 4.

12. \*რამეთუ რომელსა აქუნდეს, მიეცეს და მიემატოს; და რომელსა არა აქუნდეს, და რომელსა იგი აქუს მო-ვე-ელოს მას.

13. ამისთვის იგავით ვეტყვ მათ, რამეთუ ხედვენ და არა ხედვენ, ესმის და არა ესმის, არცა გულისკმა-ყვიან.

14. და აღესრულების მათ ზედა წინაწარმეტყულება იგი ესაიასი: \*\*სმენით გესმოდის და არა გულისკმა ჰყოთ, ხედვით ხედვიდეთ და არა იხილოთ.

15. რამეთუ განზრქა გული ერისა ამის, და ყურითა მძიმედ ისმინეს, და თუალნი მათნი დაიწუხნეს, ნუუყუე იხილონ თუალითა და ყურითა ისმინონ და გულითა გულისკმა-ყონ, და მოიქცენ და მე განვეყურნენ ივინი.

16. ხოლო თუალნი თქუენნი ნეტარ არიან, რამეთუ ხედვენ, და ყურნი. თქუენნი, რამეთუ ესმის.

—17. \*\*\*ამინ გეტყვ თქუენ, რამეთუ მრავალთა წინაწარმეტყუელთა და მართალთა გული უთქმიად ხედვად, რომელსა თქუენ ხედავთ, და არა იხილეს, და სმენად, რომელი გესმის, და არა ესმა.

18. ხოლო თქუენ ისმინეთ იგავი ესე მთესვარისა.

19. ყოველსა რომელსა ესმეს სიტყვა სასუფეველისა და არა გულისხმა-ყოს, მოვიდის უკეთური იგი და მისტაცის დათესული იგი გულისაგან მისისა: ესე არს, რომელი-იგი გზასა ზედა დაეთესა.

20. ხოლო რომელი-იგი კლდოვანსა ზედა დაეთესა, ესე არს: რომელმან სიტყუა იგი ისმინის და მეყსეულად სიხარულით მიიღის იგი.

21. ხოლო ძირი არა აქუნ გულსა თესსა, არამედ საწუთო არნ. და რაჟამს არნ ჭირი ანუ დევნა სიტყუსა მისთვის, მეყსეულად დაბრკოლდის იგი.

22. ხოლო რომელი-იგი ეკალთა შორის დაეთესა, ესე არს: რომელმან სიტყუა იგი ისმინის, და ზრუნვამან ამის სოფლისამან და საცთურმან სიმდიდრისამან შეაშთვის სიტყუა იგი, და უნაყოფო იქმნის.

23. ხოლო რომელი-იგი ქუეყანასა კეთილსა დაეთესა, ესა არს: რომელმან სიტყუა იგი ისმინა და გულისხმა-ყო, რომელმან გამოიღო ნაყოფი და ყო რომელმანმე ასი, რომელმანმე სამეოცი, და რომელმანმე ოცდაათი.

24. \*\*\*სხუა იგავი დაუდგა მათ და ჰრქუა: ემსგავსა სასუფეველი ღმრთისაჲ კაცსა, რომელმან დასთესა თესლი კეთილი აგარაკსა თესსა.

25. და ვითარცა დაიძინეს კაცთა მათ, მოვიდა მტერი მისი და დასთესა ღუარძლი შორის იფქლსა მას და წარვიდა.

დ 26. ხოლო ოდეს აღმოსცენდა ჭეჭლი იგი და ნაყოფი გამოიღო, მაშინ გამოჩნდა ღუარძლი იგი.

27. მოვიდეს მონანი იგი, და უთხრეს სახლისა უფალსა მას და ჰქუეს: უფალო, ანუ არა თესლი კეთილი დასთესე აგარაკსა შენსა? ვინა აღმოსცენდა ღუარძლი?

28. ხოლო მან ჰრქუა: მტერმან კაცმან ყო იგი, ხოლო მონათა მათ ჰრქუეს მას: გნებავს, რაითა მივიდეთ და გამოვარჩიოთ იგი?

29. ხოლო მან ჰრქუა მათ: არა, ნუუყუე შეკრებასა ღუარძლისასა აღმო-ჰფხურათ იფქლიცა.

13. გულ სკმაჲ S. 15. ნუუყუე S. გულ სკმაჲ S. 19. გულსხმაჲ S. 22. შორის]შნ S. 23. გულ სხმა-ყო—ქარი ვად სწორებულა ხანად. 27. ჰრქუეს S. 29. ნუუყუე S.

\* ქვე. 25. გ. 29. \*\* ესა. 6. გ. 9. ჰრქ. 4. გ. 14. ლკა. 8. ბ. 10. ონ. 12. ვ. 4. სკმ. 28. გ. 29. ჰხო. 11. ბ. 8. \*\*\* ლკა. 10. დ. 24. \*\*\*\* ჰრქ. 4. გ. 26.

30. აცადეთ იგი თანა აღორძინებად ურთიერთას, ვიდრე ეამდმდე მკისა, და ეამსა მკისასა უბრძანო მომკალთა მათ: შეკრიბეთ პირველად ლუარძლი იგი და შეკართ ძნეულად, რაათა დაიწუას იგი; ხოლო იფქლი იგი შეკრიბეთ საუნჯესა ჩემსა.

გ 31. \*სხუასა იგავსა ეტყოდა მათ და ჰრქუა: მსგავს არს სასუფეველი ცათა მარცუალსა მდოგვისასა, რომელი მოიღო კაცმან და დასთესა თუსსა მტილსა,

32. რომელი უმცირეს არს ყოველთა თესლთა, ხოლო რაჟამს აღორძინდის უფროს ყოველთა მხალთა არს, და იქმნის იგი ხე დიდ, ვიდრემდის მოვიდიან მფრინველნი ცისანი და დაადგრიან რტოთა მისთა.

33. მერმე \*სხუასა გავსა ეტყოდა მათ და ჰრქუა: მსგავს არს სასუფეველი ცათა ცომსა, რომელი მოიღო დედაკაცმან და შერთო იგი ფქვილსა სამსა საწყაულსა, ვიდრემდე აღაფუვნა იგი ყოვლად.

34. ამას ყოველსა ეტყოდა იესო იგავით ერსა მას და თუნიერ იგავისა არა რას ეტყოდა მათ.

35. რაათა აღესრულოს სიტყუა იგი წინაწარმეტყუელისა მიერ თქმული: \*\*\*აღვადო იგავით პირი ჩემი და ვიტყოდი დაფარულთა დასაბამითგან სოფლისათა.

36. მაშინ დაუტევა იესო ერი იგი და მოვიდა სახლსა. და მოუტდეს მას მოწაფენი მისნი და ჰრქუეს: გამოგვითარგმანე ჩუენ იგავი იგი ლუარძლისა და აგარაკისა.

37. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: რომელი სთესავს თესლსა კეთილსა, ძე კაცისა არს.

38. ხოლო აგარაკი იგი ესე სოფელი არს; ხოლო თესლნი იგი კეთილნი ესე არიან ძენი სასუფეველისანი, და ლუარძლნი იგი არიან ძენი უკეთურისანი.

39. ხოლო მტერი იგი, რომელმან დასთესა იგი, ეშმაკი არს; \*\*\*\*და მკა იგი არს აღსასრული ამის სოფლისა; და მომკალნი იგი არიან ანგელოზნი.

40. ვითარცა-იგი შეკრიბიან ლუარძლი და ცეცხლთა დაწუან, ეგრეთ იყოს აღსასრული ამის სოფლისა.

გ 41. რამეთუ მოავლინნეს ძემან კაცისამან ანგელოზნი თუსნი და შეკრიბნენ სუფევისაგან მისისა ყოველნი საცთურნი და მოქმედნი უჭშულოებისანი.

42. და შესთხინენ იგინი საჯუმოლსა მას ცეცხლისასა. მუნ იყოს ტირილი და ღრჴენა კბილთა.

43. \*\*\*\*\*მაშინ მართალნი გამობრწყინდნენ, ვითარცა მზე, სასუფეველსა მამისა მათისასა, რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ.

44. კვლად მსგავს არს სასუფეველი ცათა საუნჯესა დაფარულსა ყანასა შინა, რომელი პოვა კაცმან და დამალა და სიხარულითა მით მისთვის წარვიდა და განვიდა ყოველი, რაცა აქუნდა, და მოიყიდა აგარაკი იგი.

45. მერმე მსგავს არს სასუფეველი ცათა კაცსა ვაჭარსა, რომელი ეძიებნ კეთილთა მარგალიტთა.

46. და პოის რა ერთი მარგალიტი მრავალ სასყიდლისა, წარვიდა და განყიდა ყოველივე, რაცა ეღვდა, და მოიყიდა იგი.

47. მერმე მსგავს არს სასუფეველი ცათა სათრომელსა ბადესა, რომელი სდვიან ზღუასა, რომელმან ყოველთაგან თევზთა შეკრიბის.

\* მრკ. 4. დ. 30. ლუკ. 13. გ. 18. \*\* ლკა. 13. ე. 21. \*\*\* ფსლ. 77. ა. 2. მრკ. 4. დ. 32. \*\*\*\* გმცხ. 14. გ. 15. \*\*\*\*\* სიბრ. 3. ბ. 7. დანიე. 12. ა. 3.

48. და ოდეს აღივსის, გამოიღიან იგი ზღუს კიდესა და დაასხიან და შეკრიბიან კეთილი იგი ჭურჭელსა, ხოლო ჭერკუალი იგი გარე განსთხიან.

49. ესრეთ იყოს აღსასრული ამის სოფლისა; რამეთუ მოვიდენ ანგელოზნი და განაშორნენ უკეთურნი იგი შორის მართალთა

50. და შესთხინენ იგინი შორის საქმილსა მას ცეცხლისასა. მუნ იყოს ტირილი და ღრქენა კბილთა.

\* 51. ჰრქუა იესო მოწაფეთა თჳსთა: გულისხმა-ჰყავთა ესე ყოველი? ხოლო მათ ჰრქუეს მას: ჰე, უფალო.

52. და ჰრქუა მათ: ამისთვის ყოველი მწიგნობარი, დამოწაფებულნი სასუფეველსა ცათასა, მსგავს არს იგი კაცსა სახლისა უფალსა, რომელმან გამოიღის საუნჯისაგან თჳსისა ძუელი და ანალი.

53. და იყო რაჟამს დაასრულნა იესო იგავნი ესე, წარვიდა მიერ.

54. \*და მოვიდა მამულად თჳსად და ასწავებდა მათ შესაყრებელთა შორის მათთა, ვიდრემდის განუყრდებოდა მათ და იტყოდეს: ვინა არს ამის სიბრძნე ესე და ძალი?

55. \*ანუ არა ესე არს ხუროსა მის ძე, ანუ არა დედისა მისსა ჰრქევან მართამ და ძმანი მისნი იაკობ და იოსე და სიმონ და იუდა?

56. და დანი მისნი არა ყოველნი ჩუენ შორის არიანა? ვინა უკუე არს ამისა ესე ყოველი?

57. და დაჰბრკოლდებოდეს მისთვის. ხოლო იესო ჰრქუა მათ: \*\*\*არა არს წინაწარმეტყუელი შეურაცხ, გარნა ზოფელსა თჳსსა და სახლსა შინა თჳსსა.

58. და არა ქმნნა მუნ ძალნი მრავალნი ურწმუნოებისა მათისათჳს.

## 14

ა 1. \*\*\*\*მას ჟამსა შინა ესმა ჰეროდეს, ოთხთა მათ სამთავროთა მთავარსა, ჰამბავი იესოსი.

2. და ჰრქუა მონათა თჳსთა: ესე არს იოვანე ნათლის მცემელი, იგი აღდგომილ არს მკუდრეთით, და მისთვის იქმნებიან ძალნი ესე მის თანა.

3. \*\*\*\*რამეთუ ამან ჰეროდე შეიპყრა იოვანე, და შებორკილა იგი და საპყრობილესა შეაყენა ჰეროდისათჳს, ცოლისა ფილიპეს, ძმისა თჳსისა

4. რამეთუ ეტყოდა მას იოვანე, ვითარმედ: არა ჭერ არს შენდა, ვითარმეცა გესუა იგი ცოლად.

5. და უნდა ღათუ მისი მოკლვა, არამედ ეშინოდა ერისა მის, \*\*\*\*\*რამეთუ ვითარცა წინაწარმეტყუელი ეპყრა მათ იგი.

6. და ვითარცა შობისა დღენი იყუნეს ჰეროდესნი, როკვიდა ასული ჰეროდისი შორის, და სთნდა ჰეროდეს როკვა იგი მისი,

7. რომლისათჳს ფიცით აღუთქვა მას მიცემად, რაცა ითხოვოს.

8. ხოლო იგი წინასწარ ბირებულ იყო დედისაგან თჳსისა და ჰრქუა: მომეც მე აქა ლანკნითა თავი იოვანესი, ნათლისმცემელისა.

9. და შე-ღათუ-წუხნა მეფე იგი, არამედ ფიცისა მისთვის და მის თანამეიხავეთა ბრძანა მიცემად იგი მას.

10. და მიაველინა, და მოჰყუეთა თავი იოვანესი საპყრობილესა შინა.

52. ჭუჭილი S. თრისისა S. 54. ვინავეინ S. 5. უკუე S. 10. მოჰყუეთა S. ონესი S.

\* ლკა. 4. გ. 16. \*\* ჰრკ. 6. ა. 3. ონე. 6. ზ. 42. \*\*\* ჰრკ. 6. ა. 4. ლკა. 4. დ. 24. ონე. 4. ვ. 14. \*\*\*\* ჰრკ. 6. ბ. 14. ლკა. 9. ა. 7. \*\*\*\*\* ჰრკ. 6. გ. 17. ლკა. 3. დ. 19. \*\*\*\*\* ჰე. 2. გ. 26.

11. და მოართუეს თავი მისი ლაცნითა და მისცეს ქალსა მას, და მან მიართუა ღედასა თვისსა.

ბ 12. და მოვიდეს მოწაფენი მისნი და წარიღეს გუამი მისი და დაჰფლეს იგი. და მოვიდეს და უთხრეს იესოს.

13. \*ხოლო ესმა რამ ესე იესოს, განეშორა მიერ ნავითა და წარვიდა უდაბნოსა ადგილსა თვისაგან, და ვითარცა ესმა ერსა მას, მისდევდეს მას მკერცხლ ქალაქებისაგან.

14. და გამოვიდა იესო და იხილა ერი მრავალი და შეეწყალნეს იგინი და განკურნნა სნეულნი მათნი.

15. და ვითარცა შემწუხრდა, მოუვდეს მოწაფენი მისნი და ჰრქუეს მას: უდაბნო არს ადგილი ესე, და უამი გარდასრულ არს; განუტევე ერი ესე, რამათა წარვიდეს გარემო დაბნებსა და იყიდონ თავისა თვისისა საზრდელი.

16. ხოლო იესო ჰრქუა მათ: არა უკმს მათ წარსლვა; თქუენ ცით მაგათ ჰამადი.

17. ხოლო მათ ჰრქუეს მას: არა გუაქუს აქა, გარნა ხუთი პური და ორი თევზი.

18. ჰრქუა მათ იესო: მომართეთ მე იგი აქა! და უბრძანა ერსა მას დასხდომა თივასა ზედა.

19. და მოიღო ხუთი იგი პური და ორი თევზი, აღიხილნა ზეცად და აკურთხა და განტეხა და მისცნა პური იგი მოწაფეთა თვისთა და მოწაფეთა მათ მისცეს ერსა მას.

გ 20. და ჰამეს ყოველთა და განძღეს; და აღიღეს ნეშტი ნამუსრევი ათორმეტი გოდორი სავსე.

21. ხოლო იყვნეს, რომელთა-იგი ჰამნეს, მამანი ხოლო ხუთ ათას, თნიერ ყრმებისა და ღედებისა.

22. \*\*და მეყსეულად აიძულა მოწაფეთა შესლვად ნავსა და წინაწარძღუანვად მისა წიად კერძო, ვიდრემდე განუტეოს ერი იგი.

23. და ვითარცა განუტევა ერი იგი, \*\*\*აღვიდა მათასა ლოცვად თვისაგან. და შე-რა-მწუხრდა, მარტო იყო მუნ.

24. ხოლო ნავი იგი განშორებულ იყო ქუეყანით მრავალ უტევან, და იგუემებოდა ღელვათაგან, რამეთუ იყო ქარი იგი პირით კერძო.

25. და მეოთხესა საჯუმილავსა ღამისასა მოვიდა მათა იესო სლვით ზღუასა მას ზედა.

26. ხოლო მოწაფეთა ვითარცა იხილეს, ვიდოდა რა ზღუასა მას ზედა, შეძრწუნდეს და თქუეს, ვითარმედ: საოცარ რამე არს, და შიშისაგან ღალატ-ყმეს.

27. მეყსეულად ეტყოდა მათ იესო და ჰრქუა: კადნიერ იყვენით! მე ვარ, ნუ გეშინინ!

დ 28. მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: უფალო, უკეთუ შენ ხარ, მიბრძანე: მე მისლვად შენდა წყალთა ამათ ზედა.

29. ხოლო მან ჰრქუა: მოვედ! და გარდამოვიდა პეტრე ნავით, და ვიდოდა წყალთა მათ ზედა და მოვიდოდა იესოსა.

30. და ვითარცა იხილა ქარი იგი ძლიერი, შეეშინა და იწყო დანთქმად ღალატ-ყო და თქუა: უფალო, მივსენ მე!

11. მოართუეს S. 24. იგუემებოდა S. 26. თქუეს S.

\* მრკ. 6. დ. 31. ლკა. 9. ბ. 10. ინე. 6. ბ. 1. \*\* მრკ. 6. ვ. 45. ინე. 6. ბ. 16. \*\*\* ინე. 6. ბ. 15.

31. და მეყსეულად განყო კელი იესო, უპყრა მას და ჰრქუა: მცირედ მორწმუნეო, რასა შეორგულდი?
32. და ვითარცა აღვიდეს იგინი ნავსა მას, დასცხრა ქარი იგი.
33. ხოლო რომელნი-იგი ნავსა მას შინა იყვნეს, მოუტდეს და თაყუანის-სცეს მას და ეტყოდეს: ჰეშმარიტად ძე ღმრთისაჲ ხარ შენ.
34. \*და განვიდეს და მივიდეს მიერ ქუეყანასა მას გენესარეთისასა.
35. და იცნეს იგი კაცთა მათ მის ადგილისათა. და წარავლინეს ყოველსა მას სანახებსა და მორათუეს მას ყოველი ბოროტად ვენებული.
36. და ევედრებოდეს მას, რამთა შე-ხოლო-ახონ ფესუსა სამოსლისა მისი-სასა. და რაოდენთა შეახეს, ცხონდეს.

## 15

ა 1. მაშინ მოუტდეს იესოს იერუსალჴმით ფარისეველნი და მწიგნობარ-ნი და ეტყოდეს:

2. \*\*რასათჴს მოწაფენი შენნი გარდაჴვლენ მოძღურებასა ხუცესთასა? რამეთუ არა დაიბანნიან კელნი, რაჴამს პურსა ჰამედ.

3. ხოლო იესო მიუგო და ჰრქუა მათ: და რასათჴს თქუენცა გარდახვალთ მცნებასა ღმრთისასა მოძღურებითა თქუენითა?

4. \*\*\*რამეთუ ღმერთმან თქუა: პატივ-ეც მამასა შენსა და ღედასა შენსა; და რომელმან თქუას ბოროტი მამისათჴს, გინა ღედისა, სიყუდილით მოკუედინ.

5. ხოლო თქუენ სთქუთ: რომელმან ჰრქუას მამასა თჴსსა გინა ღედასა თჴსსა: ნიჴი, რომელი ჩემგან სარგებელ გეყო, და არა პატივს-სცეს მამასა ანუ ღედასა თჴსსა,

6. ესევეითართა დაუმტკიცებელ ჰყავთ მცნება ღმრთისაჲ მოძღურებითა თქუენითა.

7. ორგულნო, კეთილად წინაწარმეტყუედლებდა თქუენთჴს ესაია და თქუა:

ბ 8. \*\*\*\*მახლობელ არს ჩემდა; ერი ესე პირითა მათითა და ბაგითა მათითა პატივცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორს განშორებულ არიან ჩემგან.

9. \*\*\*\*\*ამოდ მმსახურებენ მე, რამეთუ ასწავებენ მოძღურებასა და მცნებასა კაცთასა.

10. და მოუწოდა ერსა მას და ეტყოდა: ისმინეთ და გულისხმა-ყავთ.

11. არა თუ პირით შემავალი შეაგინებს კაცსა, არამედ პირით გამომავალი შეაგინებს კაცსა.

12. მაშინ მოუტდეს იესოს მოწაფენი მისნი და ჰრქუეს მას: უწყია, რამეთუ ფარისეველთა რა ესმა სიტყუა იგი, დაჴბრკოლდეს?

13. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ:

\*\*\*\*\*ყოველი ნერგი, რომელი არა დაჴნერგა მამამან ჩემმან ზეტათამან, ძირითურთ აღიფხურას.

14. უტბევნით ეგე, \*\*\*\*\*რამეთუ ბრმანი არიან და წინამძღუარნი ბრმათანი, ხოლო ბრმა ბრმასა თუ წინაუძღვნ, ორნივე მთხრებლსა შთაცკვიან.

35. მორათუეს S. 1. ეღმრთ S. 2. რასათჴს S. მოკუედინ S. 10. კულისხმაჲ S. 12. ჰრქეს S.

\* მრკ. 6. ზ. 53. \*\* მრკ. 7. ა. 5. \*\*\* გ-მოს. 20. გ. 12 სჴუ. 5. ბ. 16. ეფეს.

6. 2. გ-მოს. 2. გ. 16. ლუე. 20. ბ. 9. ი-გვ. 20. გ. 20. \*\*\*\* ესა. 29. გ. 13. მრკ.

7. ა. 6. \*\*\*\*\* ესა. 29. გ. 13. მრკ. 7. ა. 7. \*\*\*\*\* რ-ნე. 15. ა. 2. \*\*\*\*\* ლ-კა. 6.

გ. 39.

15. \*მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: გამოგვთარგმანე ჩუენ იგავი ესე.  
 16. ხოლო იესო ჰრქუა მას: თქუენცა უგულისხმოვე ხართა?  
 17. და არა გიცნობიეს, რამეთუ ყოველი, რომელი შევალს პირით, მუცლად შევალს და განსაველით განვალს?

18. ხოლო გამომავალი პირით გულისაგან გამოვალს და იგი შეაგინებს კაცსა.

გ 19. რამეთუ გულისაგან გამოვლენ გულის სიტყუანი ბოროტნი, კაცის კლვანი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, ცილის წამებანი, გომბანი.

20. ესენი არიან რომელნი შეაგინებენ კაცსა, ხოლო უბანელითა კელითა ჭამა არა შეაგინებს კაცსა.

21. და წარვიდა მიერ იესო და მივიდა ადგილთა ტუროსისა და სიდონისათა.

22. და \*\*აჰა ესერა დედაკაცი ქანანელი საზღვართა მათგან გამოვიდა, დაღებდა და იტყოდა: შემიწყალე მე, უფალო, ძეო დავითისო, რამეთუ ასული ჩემი ბოროტად ეშმაკეულ არს.

23. ხოლო იესო არა მიუგო მას სიტყვა. და მოუტდეს მოწაფენი იესოს და ჰრქუეს მას: განუტევე ესე, რომელი დაღებებს და შეგვდგეს ჩუენ.

24. ჰრქუა მათ იესო: არა ვიდრე მოვლინებულ ვარ, \*\*\*ვარნა ცხოვართა მათ წარწყმედულთა სახლისა ისრაჴლისათა:

25. ხოლო იგი მოუტდა და თაყვანის-სცემდა მას, და ეტყოდა: უფალო, შემიწყალე მე!

26. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მას: არა კეთილ არს მოღებად პური შეილთაგან და დაღებად ძაღლთა.

27. ხოლო მან ჰრქუა: ჰე, უფალო, რამეთუ ძაღლნიცა ჭამედ ნაბიჭუეისაგან, რომელ ვარდამოსცვიან ტაბლისაგან უფალთა მათთასა.

28. მაშინ მიუგო იესო და ჰრქუა მას: მ ღედაკაცო! დიდ არს სარწმუნოება ეგე შენი; გეყავნ შენ, ვითარცა გნებავს. და განიკურნა ასული იგი მისი მიერ უამითგან.

29. და წარვიდა მიერ იესო და მოვიდა ზღუს კიდესა მას გალილეასასა და აღვიდა მათსა და დაჭდა მუნ.

და 30. \*\*\*\*და მოუტდა მას ერი მრავალი, რომელთა ჰყვა მათ თანა მკელობლები, ბრმები, ყრუნი, ქუეწარმძრომელნი და სხუანი მრავალნი თითო სახეთაგანსენთა შებყრობილნი, და დასხნეს ივინი ფერკთა თანა მისთა, და განკურნნა ივინი,

31. ვიდრე უკრდაცა ერსა მას, ხედვიდეს რაჲ, ვითარ-იგი ყრუნი იტყოდეს, და მკელობელნი ვიდოდეს, და ღრეკილნი განიკურნებოდეს, და ბრმანი ხედვიდეს და აღიდებდეს ღმერთსა ისრაჴლისასა.

32. \*\*\*\*\*ხოლო იესო მოუწოდა მოწაფეთა თუსთა და ჰრქუა მათ: მეწყალის ერი ესე, რამეთუ აჰა ესერა სამი დღე არს, და მელიან მე, და არა რაჲ აქუს, რამცა ჰამეს; და განტევება მათი უზმათა არა მნებავს ნუუკუე დაცვიენ გზასა ზედა.

33. ჰრქუეს მას მოწაფეთა მისთა: ვინა არს ჩუენდა უდაბნოსა ზედა პური ესოდენ, ვითარმცა განძდა ერი ესოდენი?

27. ჰქვა S. 30. ქუეწარმძრომელნი S. 32. ნუუკუე S. 33. ჩუენდა S.

\* მკვ. 7. გ. 17. \*\* მრკვ. 7. გ. 25. \*\*\* ზე 10. ა. 6. ონე. 10. ა. 3. \*\*\*\* ესა.

35. ბ. 5. \*\*\*\*\* მრკვ. 8. ა. 2.

34. ჰრქუა მათ იესო: რაოდენი პური გაქუს? ხოლო მათ ჰრქუეს მას: შუდი პური და მცირედ თევზი.

35. და უბრძანა ერსა მას დასხდომა ქუეყანასა ზედა.

36. და მოიღო შუდი იგი პური და თევზნი, კმადლობდა განტეხა და მისცემდა მოწაფეთა, და მოწაფენი მისცემდეს ერსა მას.

37. ჰამეს ყოველთა და განძღეს; და აღიღეს ნეშტი იგი ნამუსრევი შუდი სფირიდი სავსე.

38. ხოლო რომელთა ჰამეს, იყუნეს ოთხ ათას მამანი ხოლო, თვნიერ ყრმებისა და ღედებისა.

39. და განუტევა ერი იგი და აღვიდა იესო ნავსა და მოვიდა საზღვართა მაგდალოსათა.

## 16

ა 1. და მოუძღეს მას ფარისეველნი და საღუკეველნი, გამოსცდიდეს მას და ეტყოდეს: რამთა სასწაული ზეცით უჩუენოს მათ.

2. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: \*შე-რა-მწუხრდის სთქუთ: მყუ-დრო იყოს, რამეთუ წითს ცა.

3. და განთიად სთქუთ: ზამთარი იყოს, რამეთუ კსინავს მწუხარედ ცა. ორგულნო, პირისამე ცისა იცით ცნობად, ხოლო სასწაულნი ჟამთანი ვერ გიცნობეს გულისხმის-ყოფად.

4. \*\*ნათესავი ბაროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს, და სასწაული არა ეცეს მას, \*\*\*გარნა სასწაული იონა წინაწარმეტყველისა. და დაუტეუნა იგინი და წარვიდა.

5. და მო-რა-ვიდეს მოწაფენი მისნი მიერ წიად და დაავიწყდა მათ პური მიღებად.

6. ხოლო იესო ჰრქუა მათ: \*\*\*\*იხილეთ და ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთასა და საღუკეველთასა.

7. ხოლო იგინი განიზრახვიდეს გულსა თვსსა და იტყოდეს, ვითარმედ: პური არა მოვიდეთ.

8. გულის ხმა-ყო იესო და ჰრქუა მათ: რასა ჰზრახავთ გულთა შინა თქუენთა, მცირედ მორწმუნენო, რამეთუ პურნი არა მოიხუენით

ბ 9. არა გიცნობიეს, არცა მოივსენეთ \*\*\*\*\*ხუთთა მათ პურთა და ხუთ ათასთა და რაოდენი გოდორი აღიღეთ?

10. და არცა შუდთა მათ პურთა და ოთხ ათასთა მათ, და რაოდენი სფური-დი აღიღეთ?

11. ვითარ არა გიცნობიეს, რამეთუ არა პურისათუს გარქუ თქუენ: ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთასა და საღუკეველთასა.

12. მაშინ გულისხმა-ყვეს, რამეთუ არა ჰრქუა მათ კრძალვა ცომისაგან პურისა, არამედ მოძღურებისაგან ფარისეველთასა და სედუკეველთასა.

13. \*\*\*\*\*მო-რა-ვიდა იესო ადგილთა მათ კესარია ფილიპესთა, ჰკითხვიდა მოწაფეთა თვსთა და ჰრქუა: რამ თქვან ჩემთვის კაცთა, ძისა კაცისა ყოფად.

1. უჩუენოს S. 8. მოიხუენო S.

\* ლკა. 12. 8. 54. \*\* ზე. 12. ზ. 39. \*\*\* ონა. 2. ა. 2. \*\*\*\* მრკ. 8. ბ. 15. ლკა. 12. ა. 1. \*\*\*\*\* ზე. 14. გ. 17. ონე. 6. ბ. 9.



გ 14. ხოლო მათ ჰრქუეს: რომელთაჲ იოვანე ნათლის-მცემელი, რომელთაჲ ელია და სხუათა იერემია გინა ერთი წინაწარმეტყუელთაგანი.

15. ხოლო მან ჰრქუა მათ: თქუენ ვინ გგონიე მე ყოფად?

16. მიუგო სიმონ-პეტრე და ჰრქუა მას: \*შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისა.

17. მიუგო იესო და ჰრქუა მას. ნეტარ ხარ შენ, სიმონ, ბარიონა, რამეთუ ჯორცთა და სისხლთა არა გამოგიცხადეს, არამედ მამამან ჩემმან ზეცათამან.

18. და მე გეტყუ შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, \*\*და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესია ჩემი, და ბქენი ჯოჯობეთისანი ვერ ერეოდინ მას.

19. \*\*\*და მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათასანი; და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჯსნა ქუეყანასა ზედა, ვსნილ იყოს იგი ცათა შინა.

20. მაშინ ამცნო მოწაფეთა თვსთა, რადთა არა ვის უთხრან, ვითარმედ იგი არს იესო ქრისტე.

21. მიერითგან იწყო იესო უწყებად მოწაფეთა თვსთა, ვითარმედ: ჯერ არს მისა იერუსალჴმად აღსლვა და ფრიად ვნება მდღელთ მოძღუართაგან და მწიგნობართა და მოხუცებულთა, და მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად.

და 22. და მოუჯდა მას პეტრე და იწყო ბრალობად მისა და ჰრქუა: შენ-დობა იყავნ შენდა უფალო, არა იყოს ეგრე.

23. ხოლო თავადი მიექცა პეტრეს და ჰრქუა: \*\*\*\*წარვედ ჩემგან, სატანა, საცთურ ჩემდა ხარ, რამეთუ არა ჰზრახე ღმრთისასა, არამედ კაცთასა.

24. მაშინ ჰრქუა იესო მოწაფეთა თვსთა: \*\*\*\*\*რომელსა ჰნებაეს შემოდგომად ჩემდა. უეარ-ყავნ თავი თვისი და აღიღენ ჯვარი თვისი და შემომიდეგინ მე.

25. \*\*\*\*\*რამეთუ, უკეთუ ვისმე უნდეს სული თვისი განრინებად, წარიწყმიდოს იგი, და რომელმან წარიწყმიდოს სული თვისი ჩემთვის, მან პოოს იგი.

26. რამეთუ რა სარგებელ ეყოს კაცსა, უკეთუ სოფელი ყოველი შეიძინოს და სული თვისი იზღვიოს? ანუ რა მისცეს კაცმან ნაცვლად სულისა თვისისა?

27. რამეთუ მოსლვად არს ძე კაცისა დიდებითა მამისა თვისისათა ანგელოზთა მისთა თანა, \*\*\*\*\*და მაშინ მიავოს კაცად-კაცადსა საქმეთა მათთაებრ.

28. ამინ გელყუ თქუენ, \*\*\*\*\*რამეთუ არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემო სიკუდილისა, ვიდრემდე იხილონ ძე კაცისა, მომავალი სუფევეითა თვისითა. (სასუენი).

17

ა 1. და \*\*\*\*\*შემდგომად ექუსისა დლისა წარიყვანნა იესო პეტრე და იაკობ და იოანე, ძმა მისი და აღიყვანნა იგინი მთასა მაღალსა თვსაგან.

2. და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად, და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე. ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკი, ვითარცა ნათელი.

14. ნათლის მცემელი S. 16. ღმრთისა S. 21. იქლმად S. დღესადღ S. 23. ღმრთისა S. \* ონე. 6. ზ. 69. \*\* ონე. 1. ვ. 42. \*\*\* ესა. 28. ზ. 16. ონე. 20. გ. 23. \*\*\*\* შრკ. 8. ლ. 33. \*\*\*\*\* ზე. 10. ლ. 38. ლკა. 9. ზ. 23. და. 14. 27. ზ. 33. \*\*\*\*\* ონე. 12. ლ. 25. \*\*\*\*\* საქმ. 17. ზ. 32. პრო. 2. ა. 6. \*\*\*\*\* შრკ. 9. ა. 1. ლკა. 9. გ 28. \*\*\*\*\* შრკ. 9. ა. 2. ლკა. 9. ლ. 28.

10. მცხეთური ხელნაწერა

3. და აპა ეჩუენენეს მათ მოსე და ელია მის თანა, და თანა ზრახვიდეს.
4. მიუგო პეტრე და ჰრქუა იესოს: უფალო, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფა. და, თუ გნებავს, ვქმნეთ აქა სამ ტალავარ: ერთი შენდა, და ერთი მოსესა და ერთი ელიასა.
5. და ვიდრედა იგი ამას იტყოდა, აპა ესერა ღრუბელი ნათლისა აგრილობდა მათ, \*და აპა ვამა იყო ღრუბლით გამო და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყურელი, რომელი მე სათნო-ვიყავ; მაგისი ისმინეთ.
6. და ესმა რა ესე მოწაფეთა, დეარდეს პირსა ზედა თვსსა და შეეშინა-ფრიად.
7. და მოუქდა მათ იესო, შეახო კელი და ჰრქუა: აღდგიეთ, და ნუ გეშინინ!
8. და აღ-რა-იხილნეს თულნი მათნი, არაეინ იხილეს, გარნა იესო ხოლო მარტო.
9. და გარდამო-რა-ვიდოდეს იგინი მიერ მითთ, ამცნო მათ იესო და ჰრქუა: ნუ ვის უთხრობთ ხილვასა ამას, ვიდრემდის ძე კაცისა მკუდრეთით აღდგეს.
10. და ჰკითხეს მას მოწაფეთა მისთა და ეტყოდესა \*\*ვითარ უკუე იტყვან მწიგნობარნი, ვითარმედ: ელიასი ჯერ არს პირველად მოსვლა?
11. ხოლო იესო მიუგო და ჰრქუა მათ: ელია მოვიდეს პირველად და კუა-ლად აგოს ყოველი.
12. ხოლო გეტყვ თქვენ\*\*\*, რამეთუ ელია აწვე მოვიდა და არა იცნეს იგი, \*\*\*\*არამედ უყვეს მას, რაოდენი უნდა. და ეგრეთვე ძესაცა კაცისასა ეგულების ვენებად მათგან.
13. მაშინ გულის ხმა-ყვეს მოწაფეთა, რამეთუ იოანე ნათლისმცემელი-სათვს ჰრქუა მათ.
14. \*\*\*\*\*და ვითარცა მოვიდეს იგინი ერისა მის, მოუქდა მას კაცი ერთი, მუქლნი დაიდგნა მის წინაშე და ეტყოდა: უფალო, შეიწყალე ძე ჩემი, რამეთუ ცისად-ცისად ბოროტად იგუემების, რამეთუ მრავალგზის შთავარდის იგი ცეცხლსა და მრავალგზის წყალსა.
15. და მოვჰგუარე იგი მოწაფეთა შენთა, და ვერ შეუძლეს განკუურნებად მისა.
16. მიუგო იესო და რქუა მას: მ ნათესავი ურწმუნო და გულარძნილი, ვიდრემდის ვიყო თქუენ თანა, ვიდრემდის თავს ვიდებდე თქუენსა? მომგუარეთ მე იგი აქა!
17. და ვითარცა მოჰგუარეს, შეპრისხნა მას იესო, და განვიდა მისგან ეშ-მაკი იგი. და განიკურნა ყრმა იგი მიერ ეამითგან.
18. მაშინ მოუქდეს იესოს მოწაფენი თვსაგან და ჰრქუეს: რასათვს ჩუენ ვერ შეუძლეთ განჯდად მისა?
19. ხოლო იესო ჰრქუა მათ: ურწმუნოებისა თქუენისათვს. \*\*\*\*\*ამინ გეტყვ თქუენ: უკეთუ გაქუნდეს სარწმუნოება, ვითარცა მარტული მდოგვსა, ჰრქუათ მთასა ამას: მიიცივალე ამიერ იქი, და მიიცივალოს, და არა რამ შეუძ-ლებელ იყოს თქუენ მიერ.
20. ხოლო ესე ნათესავი არა რათ განვალს, გარნა ლოცვითა და მარხვითა.

3. ეტყნენს S. 10. უკმ S. 14. იგუემების S. 18. ჩემნ S. ჰრქუმს S.

\* 2. პტე. 1. დ. 17. ზე. 3. დ. 17. \*\* მრკ. 9. ბ. 11. მლქ. 4. ბ. 5. \*\*\* ზე. 11. ბ. 14. \*\*\*\* ზე. 14. ა. 9. \*\*\*\*\* მრკ. 9. გ. 17. ლკა. 6. ე. 38. \*\*\*\*\* ლუქ. 17. ბ. 6.

21. და ვითარცა იქცეოდეს იგინი გალილევას, ჰრქუა მათ იესო, \*ვი-  
თარმედ: ეგულებს ძესა კაცისასა მიცემად კელთა კაცთასა.

22. და მოკლან იგი, და მესამესა დღესა აღდგეს. ხოლო იგინი შეწუნხნეს  
ფრიად.

23. და ვითარცა მოვიდეს იგინი კაბერნაუმად, მოუტდეს მას რომელნი-  
იგი დიდრაქმასა შეჰკრებდეს და ჰრქუეს პეტრეს: მოძღუარმან თქუენძან არა  
მოგუტესა ხარკი?

24. ხოლო მან ჰრქუა: ჰე. და ვითარცა შევიდა იგი სახიდ, უსწრო მას იესო  
და ჰრქუა: რასა ჰგონებ შენ, სიმონ, მეფენი ქუეყანისანი ვიეთგან მიიღებენ  
ხარკსა ანუ ზუერსა: შვილთაგან ანუ უცხოთაგან?

25. ჰრქუა მას პეტრე: უცხოთაგან. მიუგო იესო და ჰრქუა მას: აწ ეკვი  
თავისუფალ სამე არიან შვილნი.

26. ხოლო რამთა არა დაეაბრკოლნეთ იგინი, წარვედ ზღუად და შთაგდე  
სამკედური და რომელი პირველად აღმოვდეს თეებში, აღიღე და აღუღე პირი  
მისი და ჰპოო მის შორის სატირი, მოიღე იგი და მიეც მათ შენთვის და ჩემ-  
თვის.

## 118

ა 1. მას ჟამსა შინა მოუტდეს იესოს მოწაფენი \*\*და ეტყოდეს: ვინმე უფ-  
როს იყოს სასუფეველსა ცათასა?

2. \*\*\*და მოუწოდა იესო ყრმასა და დაადგინა შორის მათსა

3. და ჰრქუა: ამინ გეტყვ თქუენ: უკეთუ არა მოიქცეთ \*\*\*\*და იქმნეთ,  
ვითარცა ყრმანი, ვერ შეზღდეთ სასუფეველსა ცათასა.

4. რამეთუ რომელმან დაიმდაბლოს თავი თუბი, ვითარცა ყრმა ებე, იგი  
უფროს იყოს სასუფეველსა ცათასა.

5. და რომელმან შეიწყნაროს ერთი ყრმა ესევითარი სახელითა ჩემითა,  
მე შემიწყნარებს.

6. \*\*\*\*\*და რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთა ამათგანი ჩემდა მო-  
მართ მორწმუნეთა, უმჯობეს არს მისა დამო-თუ-იკიდოს წისქვილი ვირით  
საფქველი ქედსა და დაინთქას იგი უფსკრულსა ზღუსასა.

7. ვაჲ სოფლისა ამის საცთურთა მათგან, რამეთუ უნებლიადცა მომავალ  
არიან საცთურნი:

8. ხოლო ვაჲ მის კაცსა, რომლისაგან მოვიდეს საცთური \*\*\*\*\*უკე-  
თუ კელი შენი ანუ ფერკი შენი. გაცთუნებდეს შენ, მოიკეთეთ იგი და  
განაგდე შენგან; უმჯობეს არს შენდა შესლვა ცხორებასა მკელობელისა გინა  
უქელოსა, ვიდრე ორნი კელნი და ორნი ფერკნი თუ გესხნენ და შთავარდე  
ცეცხლსა მას საუთუნესა.

9. და უკეთუ თუალი შენი გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე  
შენგან: უმჯობეს არს შენდა ერთ-თუალისა შესლვად ცხორებასა, ვიდრე ორ-  
თა თუალთა სხმასა და შთავადებად გეენიასა ცეცხლისასა.

23. ჰქვეს S. პეტრეს|პეტრეს S. 24. რასა S. ზუმრსა S. 25. ჰქუა S. უკუქ S. ვ. მო-  
თუ-კლოს S. 7. უნებლიადცა S. მომავლ S. 8. მოიკუტენ S.

\*. მრკ. 9. ე. 31. ლუკ. 9. ე. 44. ქვე. 20. გ. 18. \*\* მრკ. 9. 33. ლკა. 9. ე. 46.  
\*\*\* ქვე. 19. ბ. 14. \*\*\*\* 1. კორ. 14. დ. 20. \*\*\*\*\* მრკ. 9. ზ. 42. ლუკ. 17. ა. 1.  
\*\*\*\*\* 1ე. 5. ე. 29. მრკ. 9. ზ. 42.

10. ეკრძალებნით, ნუუკუე ვინმე შეურაცხ-ჰყოთ ერთი მცირეთა ამათგანი. გეტყვ თქუენ, \*რამეთუ ანგელოზნი მათნი ცათა შინა მარადის ხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა.

11. \*\*რამეთუ მოვიდა ძე კაცისა ცხოვრებად წარწყმედულისა.

12. \*\*\*ვითარ ჰგონებთ თქუენ: კაცსა თუ ვისმე ედგას სხი ცხოვარი და შესცოტეს ერთი მათგანი, არამე დაუტევენსა ოთხმეოც და ათცხრამეტნი იგი მათა ზედა და წარვიდეს და მოიძიოს შეცთომილი იგი.

13. და რაჟამს პოოს იგი, ამინ გეტყვ თქუენ: უფროს უხაროდის მის ზედა, ვიდრე ოთხმეოცდაათცხრამეტთა მათ, რომელ არა შეცთომილ იყვენეს

14. ესრეთ არა არს ნება მამისა თქუენისა ზეცათასა, რაათა წარწყმედეს ერთი მცირეთა ამათგანი.

15. \*\*\*\*ხოლო უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, მივედ და ამხილე მას, რაჟამს შენ და იგი ხოლო იყვენეთ მარტონი. უკუეთუ ისმინოს შენი, შეიძინე ძმა იგი შენი.

16. ხოლო უკუეთუ არა ისმინოს, მიიყვანე შენ თანა ერთი ან ორი სხუა, \*\*\*\*\*რაათა პირითა ორისა და სამისა მოწამისათა დაემტკიცოს ყოველი სიტყუა.

გ 17. ხოლო უკეთუ მათიცა არა ისმინოს, უთხარ კრებულსა; ხოლო უკეთუ კრებულისაცა არა ისმინოს, \*\*\*\*\*იყავნ იგი შენდა, ვითარცა მეზუერე და წარმართი.

18. \*\*\*\*\*ამინ გეტყვ თქუენ: რაოდენი შეჰკრათ ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რაოდენი განჰქსნათ ქუეყანასა ზედა, ვსნილ იყოს იგი ცათა შინა.

19. \*\*\*\*\*კულად ამინ გეტყვ თქუენ: უკეთუ ორნი თქუენგანნი შეი-თქუენენ ქუეყანასა ზედა ყოვლისათუსვე საქმისა, რომელიცა ითხოონ. ეყოს მათ მამისა ჩემისაგან ზეცათასა.

20. რამეთუ სადაცა იყვენ ორნი გინა სამნი შეკრებილ სახელისა ჩემისათუს, მუნ ვარ მე შორის მათსა.

21. მაშინ მოუქდა მას პეტრე და ჰრქუა: \*\*\*\*\*უფალო, რაოდენ გზის შემცოდოს ძმამან ჩემმან, და მიუტეო მას? ვიდრე შუდ გზისამდე?

22. ჰრქუა მას იესო: არა გეტყვ შენ ვიდრე შუდგზისამდე, არამედ ვიდრე სამეოცდაათ შუდ გზის.

23. ამისთუს ემსგავსა სასუფეველი ცათა კაცსა მეუფესა, რომელმან ინება სიტყუს განგება მონათა თუსთა თანა.

24. და ვითარცა იწყო განგებად, წარმოუდგინეს მას ერთი თანამდებო ბევრისა ტალანტისა.

25. და ვითარ არა რა აქუნდა მას, რამცა მისცა, უბრძანა უფალმან მისმან განსყიდა ცოლისა მისისა და შვილთა მისთა, და რაცა აქუნდა მას, და გარდა-ქლად იგი.

დ 26. დავარდა უკუე მონა იგი, თაყუანის-სცემდა მას და ეტყოდა: სულ-გრძელ იქმენ ჩემ ზედა უფალო და ყოველივე მიგცე შენ.

10. ნუუკუე S. 12. დაუტევენსა S. 17. მეზუერე S. 26. უკუე S.

\* ფსლ. 33. ბ. 8. \*\* ლუკ. 19. ბ. 10. \*\*\* ლუკ. 15. ა. 4. \*\*\*\* ლუკ. 19. დ. 18. ზარ. 19. ბ. 13. ლკა. 17. ა. 3. იუბ. 5. დ. 19. \*\*\*\*\* 2. სუფ. 19. დ. 15. რნე. 8. ბ. 17. 2. კორ. 13. ა. 1. ებრა. 10. ე. 28. \*\*\*\*\* რნე. 8. გ. 17. \*\*\*\*\* 1. კორ. 5. ბ. 9. 2. თესა. 3. გ. 14. \*\*\*\*\* რნე. 20. ვ. 23. \*\*\*\*\* ლკა. 17. ა. ვ.

27. შეეწყალა უფალსა მისსა მონა იგი და განუტევა იგი და თანანადები-  
ცა იგი მიუტევა მას.

28. და ვითარცა გამოვიდა მიერ მონა იგი, პოვა ერთი მის თანა მონა,  
რომელსა თანა ედვა მისი ასი ღრაკჳანი; შეიპყრა იგი და შეაშთობდა მას და  
ეტყოდა: მომეც რაცა-იგი თანა-გაც.

29. შეუვრდა მას მოყუასი იგი მისი, და ევედრებოდა მას და ეტყოდა. სულ-  
გრძელ იქმენ ჩემ ზედა და ყოველივე მიგცე შენ.

30. ხოლო მან არა ისმინა მისი, არამედ წარვიდა და შეაგდო იგი საპყრო-  
ბილესა, ვიდრემდე მისცეს მას თანანადები იგი.

31. ხოლო იხილეს რა მის თანა მონათა მათ ჰაქმე ესე, შეწუხნეს ფრიად;  
და მივიდეს და აუწყეს უფალსა მათსა ყოველივე იგი, რაცა იქმნა.

32. მაშინ მოუწოდა მას უფალმან მისმან და ჰრქუა მას: მონაო ბოროტო,  
ყოველივე თანანადები შენი მიგიტევე შენ, რამეთუ მევედრებოდე მე;

33. არა ჭერ-იყო შენდაცა, რაითამცა შეიწყალე შენ შენ თანა მონა იგი,  
ვითარცა მე შენ შეგიწყალე?

34. და განურისხნა უფალი იგი მისი და მისცა იგი კელთა მტანჯველთასა,  
ვიდრემდის გარდაიკადოს ყოველი იგი თანანადები მისი.

35. ეგრეთცა მამამან ჩემმან ზეცათამან გიყოს თქუენ, უკეთუ არა მიუ-  
ტევენთ კაცად კაცადმან ძმასა თუსსა ყოვლითა გულითა თქუენითა ცთომანი  
მათნი.

19

ა 1. და იყო ვითარცა დაასრულნა იესო სიტყუანი ესე, წარვიდა გალი-  
ლეთ \*და მივიდა საზღვართა პურიასტანისათა, წილ იორდანესა.

2. და მისდევდა მას ერი მრავალი და განჰკურნნა იგინი მუნ.

3. \*\*მაშინ მოუკდეს მას ფარისეველნი, გამოსკიდიდეს მას და ეტყოდეს:  
უკუეთუ ჭერ არს კაცისა განტევება ცოლისა თუსისა ყოვლისათუს ბრალისა?

4. ხოლო იესო მიუგო და ჰრქუა მათ: არა აღმოგიკითხავსა, რამეთუ  
\*\*\*რომელმან დაჰბადნა დასაბამსა მამაკაცად და დედაკაცად შექმნნა იგინი?

5. და თქუა: \*\*\*\*ამისთვის დაუტეოს კცმან მამა თუსი და დედა თუსი და შეე-  
ყოს ცოლსა თუსსა, და იყვენ ორნივე იგი ერთ კორც.

6. ვითარმედ არღარა არიან ორ, არამედ ერთ კორც. აწ უკუე რომელნი-  
იგი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებს.

7. ხოლო მათ ჰრქუეს მას: \*\*\*\*\*რასათუს უკუე მოსე ამცნო წიგნი განტე-  
ვებისა მიცემად და განტევებად?

ზ 8. მიუგო იესო და ჰრქუა მათ: რამეთუ მოსე გულფიცხელობისა თქუე-  
ნისათუს გიბრძანა განტევება ცოლთა თქუენთა, ხოლო დასაბამსა არა ეგრე  
იყო.

9. \*\*\*\*\*ხოლო მე გეტყვ თქუენ, რამეთუ რომელმან განუტეოს ცოლი  
თუსი თუნიერ სიძესა და სხუა შეირთოს, იმრუშებს; და რომელმან განტევებუ-  
ლი შეირთოს, იგიცა იმრუშებს.

6. უკუღ S. 7. უკუღ S.

\* მრკ. 10. ა. 1. \*\* მრკ. 10. ა. 2. \*\*\* ღბღ. 1. დ. 27. \*\*\*\* ღბღ. 2. დ. 24.

1. კორ. 6. დ. 16. ეფეს. 5. ზ. 31. \*\*\*\*\* 2. სწლ. 24. ა. 1. \*\*\*\*\* ზე. 5. ე. 32.  
მრკ. 10. ბ. 11. ლკ. 16. ე. 18. 1. კორ. 7. ბ. 10.

10. ჰრქუეს მას მოწაფეთა მისთა: უკეთუ ესოდენი ბრალი არს კაცისა დედაკაცისა თანა, არა შეჰკავს ჴორწინება.

11. ჰრქუა მათ იესო: არა ყოველთა დაიტონ სიტყუა ეგვი, არამედ რომელთადა მიცემულ არს.

12. რამეთუ არიან საჴურისნი, რომელნი მუცლითგან დედისა თვისისათ საჴურისნი იშენეს; და არიან საჴურისნი, რომელნი კაცთაგან გამოისაჴურისნეს; და არიან საჴურისნი რომელთა გამოისაჴურისნეს თავნი თვისნი სასუფეველისათს ცათსა. რომელი შემძლებელ არს დატევნად, დაიტეინ.

13. \*მაშინ მოჰგუარეს მას ყრმები, რამთამცა ჴელი დასდვა მათ ზედა და აჴურთხნა იგინი. ხოლო მოწაფენი ჰრისხვიდეს მათ.

14. ხოლო იესო ჰრქუა მათ: \*\*აცადეთ ყრმებსა მაგას მოსლვად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგვეითართა არს სასუფეველი ცათა.

15. და დაასხნა მათ ზედა ჴელნი და ვითარცა წარვიდა მიერ,

16. \*\*\*აჰა მო-ვინმე-უჴდა მას და ჰრქუა: მოძღუარო სახიერო, რაჲ კეთილი ეჴმნე, რამთა მაჴუნდეს ცხორება საუჴუნო?

17. ხოლო იესო ჰრქუა მას: რასა მეტყუ მე სახიერით? არა ვინ არს სახიერი, გარნა მხოლო ღმერთი. ხოლო უკეთუ გნებავს ცხორებასა შესლვა დაიმარხნ მცნებანი.

გ 18. ჰრქუა მას: რომელნი? ხოლო იესო ჰრქუა მას, \*\*\*\*ვითარმედ: არა კაც-ჴკლა არა იბარო, არა იმრუშო, არა ცილი სწამო.

19. პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა და შეიყუარო მოყუსი შენი, ვითარცა თავი თვისი.

20. ჰრქუა მას ჴაბუჴმან მან: ესე ყოველი დამიმარხავს სიყრმით ჩემითგან; რაღა მაკლს მე?

21. ჰრქუა მას იესო: უკეთუ გნებავს, რამთა სრულ იყო, წარვედ და განჴიდე მონაგები შენი და მიეც გლახაკთა და გაჴუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოვედ და შემომიდეგ მე.

22. და ვითარცა ესმა სიტყუა ესე ჴაბუჴსა მას, წარვიდა მწუხარე, რამეთუ იყო იგი მდიდარ ფრიად.

23. ხოლო იესო ჰრქუა მოწაფეთა თვისთა: ამინ გეტყვ თჴუნ, რამეთუ მდიდარი ძნიად შევიდეს სასუფეველსა ცათასა.

24. და მერმე გეტყვ თჴვენ: უადვილეს არს აჴლემი განსლვად ჴურელსა ნემსისა, ვიდრე მდიდარი შესლვად სასუფეველსა ცათასა.

25. ვითარცა ესმა ესე მოწაფეთა მისთა, განუჴრდებოდა ფრიად და იტყოდეს: და ვის-მე ჴელ-ეწიფების ცხოვნებად?

26. მიხედა იესო და ჰრქუა მათ: კაცთაგან შეუძლებელ არს ესე, ხოლო ღმრთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს.

27. მაშინ მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: აჰა ესერა ჩუენ ყოველი დაუტევთ და შეგიდევით შენ; რა-მე იყოს ჩვენდა?

28. ხოლო იესო ჰრქუა მათ: ამინ გეტყვ თჴუნ, რამეთუ თჴუნ, რომელნი-ეგე შემომიდეგით მე, მერმესა მას შობასა, რაჲამს დაჯდეს ძე კაცისა საყდართა დიდებისა თვისისათა, დასხდეთ თჴუნცა ათორმეტთა საყდართა განშჴილდეთ ათორმეტთა ტოშთა ისრაჴლისათა.

27. ჩლნ S. 28. შობასა[შეშბასა S.

\* ვრკ. 10. 2. 13. ლკა. 18. გ. 15. \*\* ზე. 18. ა. 3. \*\*\* ვრკ. 10. ბ. 17. ლკა. 18. დ. 18. \*\*\*\* გმოს. 20. გ. 13.

29. და ყოველმან, რომელმან დაუტყუა სახლი გინა ძმანი ანუ დანი ანუ მამა ანუ დედა ანუ ცოლი ანუ შვილნი ანუ აგარაკნი სახელისა ჩემისათვის, ასწილად მიიღოს და ცხოვრება საუკუნო დაიმკვდროს.

30. \*ხოლო მრავალნი იყვნენ პირველნი უკანა, და უკანანი წინა.

## 20

ა 1. რამეთუ მსგავს არს სასუფეველი ცათა კაცსა, სახლისა უფალსა, რომელი განვიდა განთიად დადგინებად მუშაკთა ვენაცსა თვისსა.

2. და აღუტყუა მათ სასყიდელი თითოეულსა ღრავანი დღესა შინა და წარავლინნა იგინი ვენაცსა თვისსა.

3. და განვიდა იგი მესამესა ჟამსა და პოვნა სხუანი, მდგომარენი უბანთა ზედა უქმად

4. და ჰრქუა მათ: წარვედით თქუენცა ვენაცსა ჩემსა, და რამ-იგი იყოს სამართალი. მიგცე თქუენ.

5. ხოლო იგინი წარვიდეს. და მერმე განვიდა მეექუსესა და მეცხრესა ჟამსა და ყო ეგრეთვე.

6. ხოლო მეათერთმეტესა ჟამსა განვიდა და პოვნა სხუანი მდგომარენი და ჰრქუა მათ: რამსა სდევით თქუენ აქა დღე ყოველ უქმად?

7. ხოლო მათ ჰრქუეს მას: ვითარმედ არავინ დამიდგინნა ჩუენ. ჰრქუა მათ: წარვედით თქუენცა ვენაცსა ჩემსა, და რამ-იგი იყოს სამართალი, მიიღოთ.

8. და ვითარცა შემწუხრდა, ჰრქუა უფალმან სავენაჯისამან ეზოს მოძღუარსა თვისსა: მოუწოდე მუშაკთა მათ და მიეცე მათ სასყიდელი; იწყე უკანასკნელთაგან, ვიდრე პირველთამდე.

9. მოვიდეს მეათერთმეტისა ჟამისანი იგი და მიიღეს თითო ღრავანი.

10. მოვიდეს პირველისანიცა იგი და ჰკონებდეს, ვითარმედ უფროსი მიიღონ;

11. და მიიღეს მათცა თითო ღრავანი. ხოლო მი-რამ-იღეს, დრტუნვიდეს სახლისა უფლისა მისთვის

12. და იტყოდეს, ვითარმედ: უკანასკნელთა მათ ერთი ხოლო ჟამი დაყვეს და სწორ ჩუენდა ჰყვენ იგინი, რომელთა ვიტურთეთ სიმძიმე დღისა და სიცხე.

13. ხოლო მან მიუგო ერთსა მათგანსა და ჰრქუა: მოყუასო, არა რას გავნებ შენ, ანუ არა ერთი ღრავანი აღგიტყუ შენ?

14. მიიღე შენი და ვიდოდე. ხოლო მე მნებავს უკანასკნელსა ამას მიცემად, ვითარცა შენ.

15. ანუ არა ჯერ-არსა ჩემდა, რაცა მინდეს ყოფად ჩემსა ზედა? არამედ თუალი შენი ვიდრემე ბოროტ არს, ხოლო მე სახიერ ვარ.

16. \*\*ესრეთ იყვნენ წინანი უკანა, და უკანანი წინა, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ.

17. \*\*\*და ვითარცა აღვიდოდა იესო იერუსალმად, წარიყვანნა ათორმეტნი იგი მოწაფენი თვისაგან და მგზავრ ეტყოდა მათ:

18. აჰა ესერა აღვალთ იერუსალმად, და ძე კაცისა მიეცეს მღელღემოძღუართა და მწიგნობართა, და დასაჯონ იგი სიკუდილიად.

11. მთაილეს S. 12. ჩუშნდა S. 13. რას S. 17. ცლმად S. 18. ცლმდ. S.

\* ქვე- 20. ბ. 16. შრკ. 10. ე. 30. ლკა. 13. ე. 30. \*\* ზე. 19. დ. 30. ლკა. 13. გ. 30. \*\*\* შრკ. 10. ე. 32. ლკა. 18. ე. 31

19. და მისცენ იგი წარმართთა კიცხევად და ტანჯვად და ჭუარკუმად, და მესამესა დღესა აღდგეს.

20. \*მაშინ მოუქდა იესოს ღედა ძეთა ზებედესთა ძეთა მისთა თანა, თა-  
ყუანის-აკემდა მას და ითხოვდა რასამე მისგან.

21. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: რაჲ გნებავს? ჰრქუა მას: თქუ, რაჲთა  
დასხდენ ორნი ესე ძენი ჩემნი ერთი მარჯუენით შენსა და ერთი მარცხენით  
შენსა სასუფეველსა შენსა.

22. მიუგო იესო და ჰრქუა მათ: არა იცით, რასა ითხოვთ. ძალ-გიცა შე-  
სუმად სასუმელი, რომელი მე მეგულებობს შესუმად, ანუ ნათლისღება, რო-  
მელი მე ნათელ-ვილო, ნათლისღებად? ხოლო მათ ჰრქუეს: ძალ-გვც.

23. ჰრქუა მათ იესო: სასუმელი სამე ჩემი შესუთ და ნათლისღება, რო-  
მელი მე ნათელ-ვილო, ნათელ-ილოთ, ხოლო დაჯდომა მარჯუენით ჩემსა და  
მარცხენით არა არს ჩემი მიცემად, არამედ ვიეთდა განმზადებულ არს მაშისა  
მიერ ჩემისა.

24. \*\*ვითარცა ესმა ესე ათა მათ, განრისხნეს ორთა მათ ძმათათჳს.

25. \*\*\*ხოლო იესო მოუწოდა მათ და ჰრქუა: უწყითა, რამეთუ მთავარნი  
წარმართანი უფლებენ მათ ზედა, და დიდ-დიდნი კელმწიფებენ მათ ზედა?  
დ 26. ხოლო თქუენ შორის არა ეგრეთ იყოს, არამედ რომელსა უნებს  
თქუენ შორის დიდ ყოფა, იყავნ თქუენდა მსახურ.

27. და რომელსა უნებს თქუენ შორის წინა ყოფა, იყოს იგი თქუენდა  
მონა.

28. \*\*\*\*ვითარცა ძე კაცისა არა მოვიდა, რაჲთამცა იმსახურა, არამედ  
მსახურებად და მიცემად სული თვის საჯსრად მრავალთათჳს.

29. \*\*\*\*\*და ვითარცა გამოვიდოდეს იგინი იერიჳთ, მისდევდა მას ერი  
მრავალი.

30. და აჰა ესერა ორნი ბრმანი სხდეს გზასა ზედა და ვითარცა ესმა, ვი-  
თარმედ იესო წარმოვალს, კმობდეს და იტყოდეს: შემიწყალენ ჩუენ უფალო,  
ძეო დავეთისო!

31. ხოლო ერი იგი ჰრისხვიდა მათ, რაჲთა დადუმნენ, ხოლო იგინი უფროს  
ლაღადებდეს: შემიწყალენ ჩუენ, უფალო, ძეო დავეთისო!

32. და დადგა იესო, მოუწოდა მათ და ჰრქუა: რაჲ გნებავს, და გიყო  
თქუენ?

33. ჰრქუეს მას: უფალო რაჲთა აღვიხილნეთ თვალნი ჩუენნი

34. შეეწყალენს იგინი იესოს და შეახო თულთა მათთა და მეყსეულად  
აღვიხილნეს და შეუდგეს მას.

## 21

ა 1. \*\*\*\*\*და ვითარცა მიეხლნეს იერუსალჳმად, და მოვიდეს ბეთბაგედ,  
მთასა მას ზეთის ხილთასა, მაშინ წარავლინა იესო ორნი მოწაფეთა მისთაგა-  
ნნი.

2. და ჰრქუა მათ: წარვედით დაბასა მაგას, რომელ არს წინაშე თქუენსა,  
და მეყსეულად ჰპოოთ ვირი დაბმული და კიცვ მისთანა; აჰსენით და მომ-  
გუარეთ მე იგი.

33. ჩუენნი S. 1. რლმად S.

\* ზრკ. 10. ე. 35. \*\* ზრკ. 10. ვ. 41. \*\*\* ლუკ. 22. გ. 25. \*\*\*\* ფილ. 2. ა. 7.  
\*\*\*\*\* ზრკ. 10. ზ. 46. ლუკ. 18. ე. 35. \*\*\*\*\* ზრკ. 11. ა. 1. ლუკ. 19. ე. 29.



3. და უკეთუ ვინმე გრჭეუას რამე, თქუენ არქუთ, ვითარმედ: უფალსა უკმან ეგე, და მეყსეულად მოავლინენს იგინი.

4. ესე ყოველი იქმნა, რამთა აღესრულოს სიტყუა იგი წინაწარმეტყუელისა, რომელ თქუა:

5. \*არქუთ ასულსა სიონისასა: აჰა ესერა მეუფე შენი მოვალს შენდა მშუდი და ზე ზის იგი ვირსა და კიცუსა, ნაშობსა კარაულისასა.

6. ხოლო მოწაფენი იგი წარვიდეს და ყვეს ეგრეთ, ვითარცა უბრძანა მათ იესო.

7. და მოჰგუარეს ვირი იგი და კიცვ მის თანა და დაასხეს მას ზედა სა-მოსელი, და დაჯდა მას ზედა.

8. ხოლო უმრავლესი იგი ერი დაუფენდა სამოსელსა მათსა გზასა ზედა, და სხუანი მოჰკაფდეს რტოებსა ხეთაგან და დაუფენდეს გზასა ზედა.

9. და ერი იგი, რომელი წინაუვიდოდა და რომელი უკანა შეუდგა, დაღა-დებდეს და იტყოდეს: \*\*ოსანანა ძესა დავითისასა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა! ოსანანა, რომელი ხარ მაღალთა შინა.

ბ 10. და ვითარცა შევიდა იგი იერუსალჴმად, შეიძრა ქალაქი იგი ყოვე-ლი და იტყოდეს: ვინ არს ესე?

11. ხოლო ერი იგი ეტყოდა: ესე არს წინაწარმეტყველი იესო ნაზარეთიო გალილეასათ.

12. \*\*\*და შევიდა იესო ტაძარსა მას ღმრთისასა და გამოასხა ყოველი იგი განმსყიდელი და ყოველი, რომელი იყიდდა ტაძარსა მას შინა, და ტბლები იგი შეკერმეთა მათ დაამქუა და დასასხდომელები იგი ტრედის მოფარდულ-თა დაუქცია.

13. და ჰრქუა მათ: წერილ არს: \*\*\*\*სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწო-დოს; ხოლო თქუენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა.

14. და მოუტდეს მას ბრმანი და მკელობელნი ტაძარსა მას შინა და გან-კურნანა იგინი.

15. და ვითარცა იხილეს მღდელთმოძღუართა მათ და მწიგნობართა, რომელ-იგი ქმნნა სასწაულნი, და ყრმები იგი, რომელ დაღადებდეს ტაძარსა მას შინა და იტყოდეს: ოსანანა ძესა დავითისასა,

16. განრისხნეს და ჰრქუეს მას: გესმისა, რასა ესე იტყუნან? ხოლო იესო ჰრქუა მათ: ჰე! არა სადა აღმოგიკითხავსა, ვითარმედ \*\*\*\*\*პირითა ყრმათა ჩხულთა მწოვართათა დაამტკიცე ქება?

17. დაუტვენა იგინი და განვიდა გარე ქალაქით ბეთანიად და იქცეოდა მუნ.

18. და განთიად მო-რა-ვიდოდა ქალაქად, შეემშია.

19. \*\*\*\*\*და იხილა ლელვ გზასა ზედა და მოვიდა მისა და არა რა პოვა მას შინა, გარან ფურცელი ხოლო. და ჰრქუა მას: ნულარა იყოფინ ნაყოფი შენგან საუკუნოდ! და განვა ლელვ იგი მეყსეულად.

20. \*\*\*\*\*ვითარცა იხილეს მოწაფეთა მათ, დაუკურდა და იტყოდეს: ვი-თარ მეყსეულად განვა ლელვ იგი.

5. კარულისასა S. 8. დუფენდეს S. 10. იძღმად S. 16. ჰრქუეს S. 18. მორავიდოდ S. \* ესა. 62. დ. 11. ზაქ. 9. ბ. 9. ოწე. 12. ბ. 15. \*\* ფსლ. 117. დ. 26. შრკ. 11. ბ. 9. ლკა. 19. ე. 38. \*\*\* შრკ. 11. ბ. 15. ლკა. 19. ზ. 45. ოწე. 2. გ. 14. \*\*\*\* 2. სჴუ. 14. გ. 25. ესა. 59. გ. 7. იერ. 7. ბ. 11. ლჴ. 19. ზ. 46. \*\*\*\*\* ფსლ. 8. ა. 3. \*\*\*\*\* შრკ. 11. ბ. 13. \*\*\*\*\* შრკ. 11. გ. 20.

21. მიუგო იესო და ჰრქუა მათ: ამინ გეტყვ თქუნენ: უკეთუ გაქუნდეს სარწმუნოება და არა შეორგულდეთ, არა ხოლო ლედესა ამის ჰყოთ, არამედ ჰრქუათ თუ მთასა ამას: აღიფხვარ ამიერ. და შთავარდი ზღუასა. იყოს ეგე.

22. \*და ყოველსა რაოდენსა ითხოვდეთ ლოცვასა შინა სარწმუნოებით, გეყოს თქუნენ.

23. და მო-რა-ვიდა იგი ტაძრად, მოუჯდეს მას მდღელთ მოძღუარნი იგი და მოხუცებულნი ერისანი, ვითარ-იგი ასწავებდა ერსა და ჰრქუეს მას: \*რომლითა კელმწიფებითა ამას იქმ, და ვინ მოგცა შენ კელმწიფება ესე?

24. მიუგო იესო და ჰრქუა მათ: გკითხო მეცა თქუნენ სიტყუა ერთი, რომელი უკუეთუ მითხრათ მე, მეცა გითხრა თქუნენ, რომლითა კელმწიფებითა ვიქმ ამას.

25. ნათლისცემა იოანესი ვინა იყო: ზეცით ანუ კაცთაგან? ხოლო იგინი განიზრახვილენ თესაგან და იტყოდეს: უკეთუ ვთქუათ: ზეცით იყო, გურქუას ჩუნენ: რასათჳს უკუე არა გრწმენა მისი?

გ 26. და უკეთუ ვთქვათ: კაცთაგან, გუეშინის ერისა ამის, \*\*\*რამეთუ ყოველთავე ვითარცა წინაწარმეტყუელი უპყრიეს იოვანე.

27. და მიუგეს იესოს და ჰრქუეს: არა უწყით. ჰრქუა მათ მანცა: არცა მე გითხრა თქუნენ, რომლითა კელმწიფებით ვიქმ ამას.

28. აწ ვითარ ჰგონებთ თქუნენ? კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე; მოვიდა პირველისა მის და ჰრქუა: შეილო, წარვედ დღეს და იქმოდე ვენაჯსა ჩემსა.

29. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: არა მნებავს. ხოლო უკანასკნელ შეინანა და წარვიდა.

30. და მოუქდა მეორესა მას და ჰრქუა ეგრეთვე. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: წარვიდე, უფალო, და არა წარვიდა.

31. ვინ ორთა მათგანმან ყო ნება მამისა თვისისა? ჰრქუეს მას: პირველმან მან. ჰრქუა მათ იესო: ამინ გეტყვ თქუნენ, რამეთუ მეზუერენი და მეძავნი წინაგითლოდიან თქუნენ სასუფეველსა ღმრთისასა.

32. რამეთუ მოვიდა თქუნენ ზედა იოვანე გზითა სიმართლისათა, და არა გრწმენა მისი, ხოლო მეზუერეთა და მეძავთა ჰრწმენა მისი; ხოლო თქუნენ იხილეთ და არა შეინანეთ უკანასკნელ, რამათცა გრწმენა მისი.

დ 33. სხუა იგავი ისმინეთ: \*\*\*\*კაცი ვინმე იყო სახლისა უფალი, რომელმან დააბნა ვენაჯი და ზღუდე გარე მოსდვა მას და ქმნა მას შინა საწნებელი და აღაშენა გოდოლი და მისცა იგი მოქმედთა საქმედ და წარვიდა.

34. და რაჟამს მოიწია ესამი ნაყოფთა, მიაველინა მონანი მისნი მოქმედთა მათ მოღებად ნაყოფისა მისისა.

35. და შეიპყრნეს მოქმედთა მათ მონანი იგი მისნი, რომელთამე სცეს, რომელნიმე მოსწყუდნეს და რომელთამე ქვა დაჰკრიბეს.

36. კულად წარავლინა სხუანი მონანი, უმრავლესნი პირველთასა, და მათცა ეგრეთვე უყვეს.

37. უკანასკნელ მიუვლინა მათ ძე თვისი და თქუა: შე-ხოლო-თუ-იკდომონ ძისაგან ჩემისა.

25. უკმ S. 26. გუშინის S. იწე S. 31. მეზუერენი S. 32. მეზუერეთა. S.

\* ზე. 7. ბ. 7. მრკ. 11. გ. 24. იწე. 3. დ. 22. \*\* მრკ. 11. დ. 28. ლკა. 20. ა. 2. \*\*\* ზე. 14. ა. 5. \*\*\*\* მრკ. 12. ა. 1. ლკა. 20. ბ. 9. ეს. 5. ა. 1. იფრ. 2. დ. 21.

38. ხოლო ქუეყანისმოქმედთა მათ ვითარცა იხილეს ძე იგი მისი, და თქუეს გულსა მათსა: \*ესე არს მკუდრი, მოვედით და მოვკლათ იგი და დაჰპყრათ სამკუდრებელი მისი.

39. და შეიპყრეს იგი და განიყვანეს გარეშე ვენაჯისა მის და მოკლეს.

40. რაჟამს უკუე მოვიდეს უფალი სავენაჯისა მის, რამე უყოს ქუეყანის მოქმედთა მათ?

41. ჰრქუეს მას: ბოროტნი იგი ბოროტად წარწყმიდნეს და ვენაჯი იგი მისცეს სხუათა ქუეყანისმოქმედთა, რომელთა მოსცეს მას ნაყოფი უამსა თუსსა.

42. ჰრქუა მათ იესო: არა სადა აღმოგიკითხავსა წიგნთა შინა: \*ლოდი, რომელ შეურაცხვეს მაშენებელთა, ესე იქმნა თავკიდეთა. უფლისა მიერ იყო ესე და არს საკრველ წინაშე თულთა ჩუენთა.

43. ამისთვის გეტყუ თქუენ, ვითარმედ: მიგელოს თქუენგან სასუფეველი ღმრთისა და მიეცეს ნათესავსა, რომელნი ჰყოფდენ ნაყოფსა მისა.

44. და რომელი დაეცეს ლოდსა მას ზედა, შეიმუხროს, და რომელსა ზედა დაეცეს, განანჭროს იგი.

45. და ესმნეს რა მღღელთ მოძღუართა მათ და ფარისეველთა იგავნი ესე მისნი, ცნეს, რამეთუ მითუს თქუნა.

46. და ეძიებდეს მას შეპყრობად და ეშინოდა ერისა მისგან, რამეთუ ვითარცა წინაწარმეტყუელი აქუნდა მათ იგი.

## 22

ა 1. და მერმე მიუგო მათ იესო იგავით და ჰრქუა:

2. \*ესმსგავსა სასუფეველი ღმრთისა კაცსა მეუფესა, რომელმან ყო ქორწილი ძისა თუსისა.

3. და წარავლინნა მონანი თუსნი მოწოდებად ჩინებულთა მათ ქორწილსა მას, და არა ინებეს მოსლვად.

4. კულად წარავლინნა სხუანი მონანი და ჰრქუა: არქუთ ჩინებულთა მათ: ამა ესერა პური ჩემი მზად მიყოფიეს, ზუარაკები და უსხები ჩემი დაკლულ არიან, და ყოველივე მზა არს, მოვედით ქორწილსა ამას.

5. ხოლო მათ უღებ-ყვეს და წარვიდეს: რომელიმე თუსსა აგარაკსა, რომელიმე სავაქროსა თუსსა.

6. ხოლო სხუათა შეიპყრნეს მონანი იგი მისნი, ავირეს და მოსწყდნეს.

7. ხოლო მეუფე იგი განრისხნა, ესმა რა ესე, და მიავლინა ერი თუსი და მოსრნა კაცის-მკლველნი იგი. და ქალაქი იგი მათი მოწუა ცეცხლითა.

8. მაშინ ჰრქუა მონათა თუსთა: ქორწილი ესე მზა არს, ხოლო ჩინებულნი იგი არა ღირს იყვენს.

9. წარვედით მებოძირთა გზათასა და რაოდენიცა ჰპოოთ, მოუწოდეთ ქორწილსა ამას.

ბ 10. და განვიდეს მონანი იგი მისნი გზათა ზედა და შეკრიბეს ყოველი, რაოდენი პოეს ბოროტი და კეთილი, და აღივსო ქორწილი იგი მშინაჯითა.

11. ხოლო შე-რა-ვიდა მეუფე იგი ხილვად მშინაჯეთა მათ, იხილა მუნ კაცი, რომელსა არა ემოსა სამოსელი საქორწინე.

38. ქუეყანისმოქმედთა S. 40. უკუ S.

\* ქუე. 26. ა. 3. და. 27. ა. ივე. 11. ზ. 53. \*\* ფსლ. 117. გ. 22. საქმ. 4. ბ. 11. პრო. 8. ზ. 33. 1. პეტ. 2. ბ. 7. \*\*\* ლკა. 14. დ. 16. გამოცხ. 19. ბ. 9.

12. და ჰრქუა მას: მოყუასო ვითარ შემოხვედ აქა, რამეთუ არა გმოსიეს სამოსელი საქორწინე? ხოლო იგი ღუმნა.

13. მაშინ ჰრქუა მეუფემან მან მსახურთა თუსთა: \*შეუკრენით მაგას კელნი და ფერჯნი და განაგდეთ ეგე ბნელსა მას გარესკნელსა: მუნ იყოს ტირინი და ღრქენა კბილთა.

14. რამეთუ მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ რჩეულნი.

15. \*\*მაშინ წარვიდეს ფარისეველნი იგი და ზრახვა-ყვეს, რამთა სიტყუთა საფრკვე უგონ მას.

16. და მიუვლინნეს მოწაფენი მათნი ჰეროდინათა თანა და ჰრქუეს: მოძლუარ, ვიცით, რამეთუ ჰეშმარიტ ხარ და გზასა ღმრთისასა ჰეშმარიტად ასწავებ. და არა ჰზრუნავ არა ვისთვის, რამეთუ არა თუალ-აღებ პირსა კაცისასა.

17. აწ მარქუ ჩუენ, რა გნებავს შენ: ჰერ არსა მიცემა ხარკისა კეისრისა ანუ არა?

18. გულისხმა-ყო იესო უკეთურება მათი და ჰრქუა: რასა გამოძკლით მე, ორგულნო?

19. მიჩუენეთ დრაჰკანი იგი ხარკისა! ხოლო მათ მოართუეს მას დრაჰკანი.

20. ჰრქუა მათ იესო: ვისი არს ხატი ესე ანუ ზედაწერილი?

21. ჰრქუეს მას: კეისრისა. მაშინ ჰრქუა მათ იესო: \*\*\*მიეცით კეისრისა კეისარსა და ღმრთისად ღმერთსა.

22. და ესმა რა ესე, დაუკრდა და დაუტევეს იგი და წარვიდეს.

გ 23. მას ღღესა შინა მოუტდეს მას საღუეველნი, რომელნი იტყოდეს, ვითარმედ: \*\*\*\*არა არს აღდგომა, ჰკითხეს მას.

24. და ეტყოდეს: მოძლუარ, მოსე ესრეთ თქუა: \*\*\*\*\*უკეთუ ვინმე მოკუდეს და არა ესვას შვილი, ესიძენ ძმა მისი ცოლსა მისსა და აღუდგინენ თესლი ძმასა თუსსა.

25. იყენეს უკუე ჩუენ შორის შუდნი ძმანი და პირველმან მან შეირთო და მოკუდა და არა დაშთა თესლი და დაუტევა ცოლი თუსი ძმასა თუსსა.

26. ეგრეთვე მეორემან და მესამემან ვიდრე მეშუდელმდე.

27. ხოლო უკანასკნელ ყოველსა მოკუდა დედაცაიცა იგი.

28. აწ უკვე აღდგომასა მას ვისა შუდთა მათგანისა იყოს იგი ცოლად, რამეთუ ყოველთა ესუა იგი?

29. მიუგო იესო და ჰრქუა მათ: სცთებით, რამეთუ არა იცნით წიგნნი არცა ძალი ღმრთისად,

30. რამეთუ აღდგომასა მას არცა იქორწინებოდინან, არცა განჰქორწინებდენ, არამედ ვითარცა ანგელოზნი ღმრთისანი იყუნენ ცათა შინა.

31. ხოლო აღდგომისათუს მკუდართასა არა აღმოგიკითხავსა თქმული იგი ღმრთისა მიერი, რომელსა იტყუს:

დ 32. \*\*\*\*\*მე ვარ ღმერთი აბრაჰამისი და ღმერთი ისაკისი და ღმერთი იაკობისი? არა არს ღმერთი მკუდართა, არამედ ცხოველთა.

33. და ესმა რამე ესე ერსა მას, დაუკრდებოდა მოძლურება იგი მისი.

19. მიჩუენეთ S. მართეშს. S. 25. უკუშ S. 28. უკუშ S. 16. ღმრთისად S. 30 ღმრთისად S. 31. ღმრთისად S.

\*ზემ. 8. ბ. 12. და 13. ვ. 42. ქვე. 25. გ. 30. \*\* შრკ. 12. გ. 13. ლკა. 20. დ 20. \*\*\* პრთ. 13. ბ. 7. \*\*\*\* სკ. 23. ბ. 6. \*\*\*\*\* 2. სჟუ. 25. ბ. 6. შრკ. 12. ბ. 19. ლკა. 20. ვ. 28. \*\*\*\*\* გშოს. 3. ბ. 6.

34. ხოლო ფარისეველთა რამ ესმა, რამეთუ დაუყო პირი სადუქეველთა მათ, შეკრბეს ერთად.

35. \*და ჰკითხა ერთმან მათგანმან შულისმოდღუარმან, გამოსცდიდა მას და ეტყოდა:

36. მოძღუარ, რომელი მცნება უფროს არს შუელსა შინა?

37. ხოლო იესო ჰრქუა მას: შეიყვარო უფალი ღმერთი შენი ყოველითა გულითა შენითა და ყოველითა სულითა შენითა და ყოველითა გონებითა შენითა.

38. ესე არს დიდი და პირველი მცნება.

39. და მეორე; მსგავსი ამისი: შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი შენი.

40. ამათ ორთა მცნებათა ყოველი შუელი და წინაწარმეტყუელნი დამოკიდებულ არიან.

41. შეკრბულ რამ იყვნეს ფარისეველნი იგი, ჰკითხა მათ იესო

42. და ჰრქუა: ვითარ ჰგონებთ თქუენ ქრისტესთვის, ვისი ძე არს? ხოლო მათ ჰრქუეს: დავითისი.

43. ჰრქუა მათ იესო: ვითარ უკუე დავით სულითა ჰხადის მას უფლად და იტყუს:

44. \*\*ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯვენით ჩემსა, ვიდრემდის დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერკთა შენთა?

45. უკეთუ დავით სულითა უფლად ხადის მას, ვითარ ძე მისი არს?

46. და ვერვის ეძღო სიტყუს მიგებად მისა, არცაღა ვინ იკადრა მიერ ღლითგან კითხვად მისა არღარა.

## 23

ა 1. მაშინ ეტყოდა იესო ერსა მას და მოწაფეთა თუსთა

2. და ჰრქუა: საყდართა მოსესთა დასხდენ \*\*\*მწიგნობარნი და ფარისეველნი.

3. ყოველსა უკუე რაოდენსა გეტყოდიან თქუენ დამარხვად, დამარხვით და ყავთ, ხოლო საქმეთა მათთაებრ ნუ იქმთ, რამეთუ თქუან და არა ყვიან.

4. \*\*\*\*რამეთუ შეკრიან ტურთი მძიმე და ძნიად სატურთავე და დასდვიან მკართა ზედა კაცთასა, ხოლო მათ თითითაცა მათითა არა უნებნ შეძრვად იგი.

5. და ყოველსა საქმესა მათსა იქმან საჩუენებელად კაცთა: \*\*\*\*\*განივრცნიან საცონი მათნი და განიღღნიან ფესუნი სამოსელთა მათთანი.

6. \*\*\*\*\*უყვარს ზემოჯდომა სერსა ზედა და პირველ დაჯდომა შესაკრებელთა შორის

7. და მოკითხვა უბანთა ზედა და რაბთა ხალოდიან კაცნი: რაბი, რაბი.

8. \*\*\*\*\*ხოლო თქუენ ნუ იწოდებთ რაბბი, რამეთუ ერთი არს მოძღუარი თქუენი ქრისტე, ხოლო თქუენ ყოველნი ძმანი ხართ.

9. \*\*\*\*\*და მამით ნუ ვის ხადით ქუეყანასა ზედა, რამეთუ ერთი არს მამა თქუენი, რომელ არს ცათა შინა.

42. თქმნ S. 43. უკუშ S. 44. ქუშე S. უკუშ S. 5. საჩუენებელად S. 9. ქუყანას S.

\* შრკ. 12. გ. 28. ლკა. 10. გ. 25. \*\* ფსნ. 109. ა. 1. შრკ. 12. დ. 36. ლკა. 20. ზ. 42. \*\*\* 2. ეზრა. 8. ა. 4. \*\*\*\* ლკი. 11. ვ. 46. სკმ. 15. ბ. 10. \*\*\*\*\* 2. სჭუ. 6. ბ. 8. და 22. ბ. 12. რიცხ. 15. დ. 38. \*\*\*\*\* შრკ. 12. დ. 38. ლკა. 11. ვ. 43. და. 20. ზ. 49. \*\*\*\*\* იაკბ. 3. 1. \*\*\*\*\* შლქ. !. ბ. 6.

10. ნუცა გერქუმინ თქვენ წინამძღუარ, რამეთუ ერთ არს წინამძღუარი თქუენი ქრისტე.

11. ხოლო უდიდესი თქუენი, იყავნ თქუენდა მსახურ.

12. \*ხოლო რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, დამდაბლდეს, და რომელმან დაიმაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს.

13. ვამ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ შეკმბთ სახლებსა ქურივთასა და მიზეზით განგრძობილად ილოცევდით. ამის-თვის მიიღოთ უმეტესი საშჯელი.

14. ვამ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, \*\*რამეთუ დაჰქვათ სასუფეველსა ცათასა წინაშე კაცთა; თქუენ შე-არა-ხუალთ და შე-მავეალთა უტევებთ არა შესლვად.

15. ვამ თქუენდა მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მი-მობხუალთ ზღუასა ზედა და კმელსა, რამთა ჰყოთ ერთი ვინმე მწირი; და რაჟამს არს, ჰყვით იგი ნაშობ გეპენისა ორ წილ თქუენსა.

16. ვამ თქუენდა, წინამძღუარნო ბრმანო, რომელთა სთქუთ, ვითარმედ: რომელმან ფუცოს ტაძარსა ამას, არა რამ არს, ხოლო რომელმან ფუცოს ოქროსა მას ტაძარსასა, ჰერ არს.

17. ცოფნო და ბრმანო, რომელი უფროს არს: ოქრო ანუ ტაძარი, რომელი განსწმედს ოქროსა მას?

18. და სთქუათ: რომელმან ფუცოს საკურთხეველსა, არა რამ არს, ხოლო რომელმან ფუცოს შესაწირავსა მას, რომელ არს საკურთხეველსა ზედა, ჰერ არს.

19. ცოფნო და ბრმანო, რომელი უდიდეს არს, შესაწირავი ანუ საკურთხეველი, რომელი განსწმედს შესაწირავსა მას?

გ 20. რამეთუ რომელმან ფუცოს საკურთხეველსა, ფუცავს მას, და ყოველსა, რომელი არს მას ზედა.

21. და რომელმან ფუცოს ტაძარსა, ფუცავს მას და რომელი დამკდრებულ არს მას შინა.

22. და რომელმან ფუცოს ცასა, ფუცავს საყდარსა ღმრთისასა და რომელი ზის მას ზედა.

23. \*\*\*ვამ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ ათულსა მიიღებთ პიტნაკისასა და ცერეცოსასა და ძირაკისასა და დაგიტევებიეს უმძიმესი მჯულისა: სამართალი და წყალობა და სარწმუნოება. ესე ჰერიო საქმედ და იგი არა დატევებად.

24. წინამძღუარნო ბრმანო, რომელნი დასწურავთ ბურნაკსა ხოლო აქლემსა შთანსთქამთ.

25. ვამ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ განსწმედთ გარეშესა სასუმელისასა და პაროფსიდისასა და პინაკისასა, ხოლო შინაგან სავე არიან ნატაცებითა და არაწმიდებითა.

26. ფარისეველო ბრმაო, განწმიდე პირველად შინაგანი იგი სასუმელისა და პაროფსიდისა, რამთა იყოს გარეშეცა იგი მისი წმიდაჲ.

27. ვამ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ მისგავსებულ ხართ საფლავთა განგოზილთა, რომელნი ჩანედ გარეშე შუე-

:3. ილოცვდით S. 17. ოქროქოქო S. 27. შეწინაერ S. არაწმიდებითა sic.

\* ლკა. 14. ზ. 11. და 18. გ. 14. \*\* მკვ. 12. დ. 40. ლკა. 20. ზ. 47. \*\*\* ლკა. 11. გ. 42.

ნიერ, ხოლო შინაგან საცხე არიედ ძულალებითა მკულდართათა და ყოველითა არა-წმინდებითა.

28. ეგრეცა თქუენ გარეშე ჰშინანთ წინაშე კაცთა მართალ, ხოლო შინაგან საცხე ხართ ორგულებითა და უსჯულოებითა.

29. ვამ თქუენდა მწიგნობარხო და ფარისევლო ორგულხო, რამეთუ აშენებთ საფლავთა წინაწარმეტყუელთასა და შეამკობთ სამარებესა მართალ-თასა

30. და იტყუთ: უკუეთუცა ვიყვენით დღეთა მათ მამათა ჩუენთასა, არამ-ცა ვიყვენით მათ თანა ზიარ სისხლსა მას წინაწარმეტყუელთასა.

და 31. ვინაცა ეწამებით თავთა თვსთა, რამეთუ ნაშობნი ხართ მკლველთა წინაწარმეტყუელთანი.

32. და აწ თქუენცა აღავსეთ საწყაული მამათა თქუენთა.

33. \*გულოხო, ნაშობხო იქედნეთანხო, ვითარა-მე განერნეთ საშჯელსა მას გეჰენისასა?

34. ამისთვის აჰა ესერა მე მოვავლინენ თქუენდა წინაწარმეტყუელნი, ბრძენნი და მწიგნობარნი, და მათგანნი მოსწყუდნეთ და ჟუარს-აცუნეთ, და მათ-განნი სტანჯნეთ შესაკრებელთა შორის თქუენთა და სდევნიდეთ ქალაქითი ქა-ლაქად,

35. რამთა მოიწიოს თქუენ ზედა ყოველი სისხლი მართალი, დათხეული ქუეყანასა ზედა, \*\*სისხლითგან აბელ მართლისათ ვიდრე სისხლადმდე \*\*\*ზა-ქარიასა, ძისა ბარუქისა, რომელი მოჰკალთ შორის ტაძრისა და საკურთხევე-ლისა.

36. ამინ გეტყ თქუენ, რამეთუ მოიწიოს ესე ყოველი ნათესავსა ამას ზედა.

37. \*\*\*\*იერუსალმჲ, იერუსალმჲ, რომელმან მოსწყუდენ წინარმეტყუელ-ნი და ქვა დაჰკრიბე მოვლინებულთა შენ ზედა, რაოდენ გზის ვინებე შეკრება შვილთა შენთა, ვითარცა სახედ შეიკრიბნის მფრიველმან მართუენი თვსნი ქუეშე ფრთეთა თვსთა, და არა ინებეთ!

38. აჰა ესერა დაუტეოს თქუენგან სახლი თქუენი ოკრად.

39. რამეთუ გეტყ თქუენ: არღარა მიხილოთ მე ამიერითგან, ვიდრემდე სთქუათ: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა.

## 24

ა 1. და გამოვიდა იესო ტაძრისა მისგან და წარვიდოდა. და მოუტდეს მას მოწაფენი მისნი, და უჩუენებდეს შენებულსა მას ტაძრისასა.

2. ხოლო იესო ჰრქუა მათ: არა ჰხედავთ ამას ყოველსა? ამინ გეტყ თქუენ: \*\*\*\*\*არა დაშთეს აჰა ქვა ქვასა ზედა, რომელი არა დაირღუეს.

3. და ვითარცა დაჯდა იგი მთასა მას ზეთისხილთასა, მოუტდეს მას მოწა-ფენი თვსაგან და ეტყოდეს: მითხარ ჩუენ: ოდეს იყოს ესე და რა არს სასწაუ-ლი იგი შენისა მის მოსლვისა და აღსასრული ამის სოფლისა?

33. გულოხო S. 37. იწლმ S. იწლმ S. ზარუენსა S. ქლშე S. 1. უჩუენებდეს S. 2. დაირღუეს S.

\* ზე. 3. ბ. 7. \*\* ღზდ. 4. ბ. 8. ებრ. 11. ა. 4. \*\*\* 2. ნშტო. 24. ვ. 22. \*\*\*\* ლკა. 13. ზ. 34. \*\*\*\*\* მრკ. 13. ა. ლკა. 21. ა. 6. და 19. ზ. 44.

4. მიუგო იესო და ჰრქუა მათ: \*ეკრძალენით, ნუ ვინმე გაკთუნნეს თქვენ.

5. რამეთუ მრავალნი მოვიდოდნან სახელითა ჩემითა და იტყოდნან, ვითარმედ: მე ვარ ქრისტე, და მრავალთა აკთუნებდნენ.

6. და გესმოდნან ბრძოლანი და ჰამბავნი ბრძოლათანი, იხილეთ და ნუ შესძრწუნდებით, რამეთუ ჯერ არს ესე ყოველი ყოფად, არამედ არღა არს აღსასრული.

7. რამეთუ აღდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა, და მეუფება მეუფებასა ზედა, და იყვნენ სიყმილნი და სრვანი და ძრვანი ადგილად ადგილად.

8. ხოლო ესე ყოველი დასაბამი საღმობათა არს.

9. \*\*მაშინ მიგცნენ თქვენ ჰირსა და მოგწყუდნენ თქვენ, და იყვნეთ თქვენ მოძულებულ ყოველთაგან წარმართთა სახელისა ჩემისათს.

ბ 10. და მაშინ დაბრკოლდებოდნან მრავალნი და ურთიერთას შინა-გან-სცემდენ და სძულობდენ ურთიერთას.

11. და მრავალნი ცრუ წინაწარმეტყუელნი აღდგენ და აკთუნებდენ მრავალთა.

12. და განმრავლებითა უშჯულოებისათა განცემეს სიყვარული მრავალთა.

13. ხოლო რომელმან დაითმინოს სრულიად, იგი ცხონდეს.

14. და იქადაგოს სახარება ესე სასუფეველისა ყოველსა სოფელსა საწამებელად ყოველთა წარმართთა და მაშინ მოიწიოს აღსასრული.

15. რაჟამს იხილოთ საძაგელი იგი მოოჯრებისა, თქმული \*\*\*დანეღ წინაწარმეტყუელისა მიერ, მდგომარე ადგილსა წმიდასა, რომელი აღმოიკითხუდეს, გულისხმა-ყავნ.

16. მაშინ რომელნი ჰურისტანს იყვნენ, ივლტოდენ მთად.

17. და რომელი ერდოსა ზედა იყოს, ნუ გარდამოვალნ აღებად რაჟსამე სახლისაგან თვისისა.

18. და რომელი ველსა გარე იყოს, ნუ უქუნიქცევიან აღებად სამოსლისა თვისისა.

19. ხოლო ვამ მდგომილთა და რომელნი აწობდენ მათ დღეთა შინა!

20. არამედ ილოცევიდით, რაჟთა არა იყოს სივლტოლა თქუენი ზამთარსა შინა გინა \*\*\*\*შაბათთა.

21. რამეთუ იყოს მაშინ ჰირი დიდი, რომელი არა იყოს დასაბამითგან სოფლისათა, ვიდრე აჟამდე, არცაღა ყოფად არს.

22. და უკუეთუმცა არა შემოკლდეს დღენი იგი, არამცა განერა ყოველი კორციელი, ხოლო რჩეულთა მათთს შემოკლდენ დღენი იგი.

23. \*\*\*\*მაშინ უკუეთუ ვინმე გრქუას თქვენ: აჰა, აჰა არს ქრისტე, გინათუ იქი, ნუ გრწამნ.

24. რამეთუ აღდგენ ქრისემეტყუარნი და ცრუ წინაწარმეტყუელნი და ჰყოფდენ სასწაულებსა დიდ-დიდსა და ნიშებსა, ვიდრე ცთუნებდამდე, (უკუეთუმცა ვერ შეუძლეს), რჩეულთა მათცა.

25. აჰა ესერა წინაღწარ გარქუ თქუენ.

26. უკეთუ გრქუან თქუენ: აჰა უდაბნოსა არს, ნუ განხუალთ; აჰა ესერა საუნჯეთა შინა არს, ნუ გრწამნ.

7. მეუფება S. 20. შბთა S.

\* ფეს. 5. ბ. 6. კოლა. 2. აღ. 18. \*\* ზე. 10. გ. 17. ლკა. 21. გ. 12. იწე. 15. გ. 20. და. 16. ა. 2. \*\*\* შრკ. 13. ბ. 14. ლკა. 21. დ. 20. დანიე. 9. ზ. 27. \*\*\*\* ქვე. 1. ბ. 12. \*\*\*\*\* შრკ. 13. გ. 21. ლკა. 17. ე. 23.



27. რამეთუ, ვითარცა ელვა რაჲ გამობრწყინდის მზისა აღმოსავალით და ჩანნ ვიდრე დასავალადმდე, ეგრეთ იყოს მოსლვა ძისა კაცისა.

28. \*რამეთუ სადაცა იყოს მძორი, მუნცა შეკრბეს ორბები.

გ 29. ხოლო \*\*მეყსეულად შემდგომად ჭირისა მის მათ დღეთასა მზე დაბნელდეს, და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თესი, და ვარსკულაენი დამოცუვენ ზეცით, და ძალნი ცათანი შეიძრნენ.

30. და მაშინ გამოჩნდეს სასწაული ძისა კაცისა ცათა შინა, და მაშინ იტყებდენ ყოველნი ტომნი ქუეყანისანი, \*\*\*და იხილონ ძე კაცისა მომავალი ღრუბელთა ზედა ცისათა ძალითა და დიდებითა მრავლითა.

31. \*\*\*\*და წარავლინნეს ანგელოზნი თსნი საყურითა კმითა დიდისათა და შეკრიბნეს რჩეულნი მისნი ოთხთაგან ქართა კილითგან ცათა ვიდრე კიდედმდე მათა.

32. ხოლო ლედუსაგან ისწავეთ იგავი: ვითარცა-იგი რაყამს რტონი მისნი დაჩჩუნ, და ფურცელი გამოვალნ, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს ზაფხუ-ლი.

33. ეგრეცა თქუენ, ოდეს იხილოთ ესე ყოველი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს, კართა ზედა.

34. ამინ გეტუვ თქუენ: არა წარჯდეს ნათესავი ესე, ვიდრემდე ესე ყოველი იქმნეს.

35. \*\*\*\*\*ცანი და ქუეყანა წარჯდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარჯდენ.

36. ხოლო დღისა მისთვის და ჟამისა არაეინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა, გარნა მამაჲან ჩემჲან მხოლომან.

37. \*\*\*\*\*ვითარცა-იგი დღეთა მათ ნოვესთა, ეგრეთ იყოს მოსლვა ძისა კაცისა.

38. რამეთუ ვითარცა-იგი იყუნეს დღეთა მათ შინა პირველ წყლით რღუნისა: ჭამდეს და სუმიდეს, იქორწინებდეს და განჰქორწინებდეს მუნ დღედმდე, ვიდრე შევიდა ნოვე კილობნად,

39. და ვერ ცნეს, ვიდრემდე მოიწია წყლით რღუნა იგი და წარიღო ყოველი, ესრეთ იყოს მოსლვაცა ძისა კაცისა.

40. მაშინ ორნი იყვნენ ველსა გარე: ერთი წარიყვანოს, და ერთი დაეტეოს. ორნი ფქვიდენ ფქვილსა: ერთი წარიტაცოს, და ერთი დაეტეოს.

41. იღვძებლით უკუე. რამეთუ არა იცით, რომელსა ჟამსა უფალი თქუენი მოვიდეს.

42. ხოლო ესემცა იცით: \*\*\*\*\*უკეთემცა უწყოდა სახლისა უფალმან, რომელსა საჭუმილავსა მპარავი მოსლვად არს,

43. იღვძებდამცა და არა უტევა დათხრად სახლისა თსისა.

44. ამისთვის თქუენცა იყენით განშზადებულ, რამეთუ რომელსა ჟამსა არა ჰგონებდეთ, ძე კაცისა მოვიდეს.

45. ვინმე არს სარწმუნო იგი მონა და ბრძენი, რომელი დაადგინოს უფალმან თჲსჲან მონათა თსთა ზედა მიცემად საზრდელი მათი ჟამსა თსსა.

46. \*\*\*\*\*ხოლო ნეტარ არს მონისა მის, რომლისა მოვიდეს უფალი მისი და პოოს იგი ესრეთ მოქმედი.

40. დავითის S. დავითის S. 41. უკუე. S.

\* ლკა. 17. ზ. 37. \*\*უკა. 13. ბ. 10. ებუ. 32. ბ. 7. იოვლ. 2. ბ. 10. და. ე. გ. 15. მრკ. 13. 24. ლკა. 21. ზ. 25. \*\*\* 1. გზოც. 1. ბ. 7. \*\*\*\* 1. კორ. 15. ზ. 52. თესა. 4. გ. 15. \*\*\*\*\* მრკ. 13. ე. ბ. 1. \*\*\*\*\* დბდბ. 7. ბ. 7. ლკა. 17. ე. 26. \*\*\*\*\* მრკ. 13. დ. 33. ლკა. 21. ზ. 26. \*\*\*\*\* გზოც. 16. გ. 15.

47. ამინ გეტყვ თქვენ, ვითარმედ ყოველთა ზედა მონაგებთა მისთა და-  
ადგინოს იგი.

48. ხოლო უკეთუ თქუას ბოროტმან მან მონამან გულსა თუსსა: ჰყოვნის  
უფალი ჩემი მოსლვად,

49. და იწყოს გუემად მისთანათა მათ მონათა, და ჭამდეს და სუმიდეს  
მომთრავალეთა თანა,

50. მოვიდეს უფალი იგი მონისა მის დღესა, რომელსა არა მოელოდის,  
და უამსა, რომელსა არა უწყოდეს.

51. და ორგან განკუეთოს იგი და ნაწილი მისი დადვას ორგულთა თანა.  
\*მუნ იყოს ტირილი და ღჭენა კბილთა.

## 25

ა 1. მაშინ ემსგავსოს სასუფეველი ცათა ათთა ქალწულთთა, რომელთა  
აღიხუნეს ლამპარნი თუსნი და განვიდეს მიგებებად სიძისა.

2. ხოლო ხუთნი მათგანნი იყვნეს ბრძენნი და ხუთნი სულელნი.

3. მიიხუნეს სულელთა მათ ლამპარნი მათნი და არა მიიღეს მათ თანა  
ზეთი.

4. ხოლო ბრძენთა მათ მიიღეს მათ თანა ზეთი ჭურჭელთა მათთა ლამ-  
პართა მათთა თანა.

5. და დაყოვნებასა მას სიძისასა მიერულა ყოველთა და დაიძინეს.

6. ხოლო შუალამესა ოდენ დაღადება იყო, ვითარმედ: აჰა ესერა სიძე მო-  
ვალს, გამოვედით მიგებებად მისა.

7. მაშინ აღდგეს ყოველნი იგი ქალწულნი და აღიგნეს ლამპარნი მათნი.

8. ხოლო სულელნი იგი ეტყოდეს ბრძენთა მათ: მეცით ჩუენ ზეთისაგან  
თქუენისა, რამეთუ ლამპარნი ჩუენნი დაშრტებიან,

9. მიუგეს ბრძენთა მათ და ჰრქუეს: ნუუკუე ვერ კმა გუეყოს ჩუენ და  
თქუენ, არამედ უფროსლა წარვედით სავაკროდ და იყიდეთ თავისა თქუენისა.

10. და ვითარცა წარვიდეს იგინი სყიდად, მოვიდა სიძე იგი, და განშა-  
დებულნი იგი შევიდეს სიძისა თანა ქორწილსა მას, და დაეჭვა კარი.

11. შემდგომად მათსა მოვიდეს სხუანიცა იგი ქალწულნი და იტყოდეს:  
უფალო, უფალო, განგვლე ჩუენ.

12. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა მათ: ამინ გეტყვ თქუენ: არა გიცნი  
თქუენ.

13. \*\*იღქმებდით უკუე, რამეთუ არა იცით დღე იგი, არცა უამი, რომელ-  
სა შინა ძე კაცისა მოვიდეს.

14. \*\*\*ვითარცა-იგი რაჟამს წარვალნ კაცი და მოუწყისი მონათა თუსთა  
და მისცის მათ მონაგები თუსი.

ბ 15. და რომელსამე მისცა ხუთი ქანქარი, და რომელსამე ორი ქანქარი,  
და რომელსავე ერთი, კაცად-კაცადსა მსგავსად ძალისა თუსისა, და მეყსეულად  
წარვიდა.

16. ხოლო წარვიდა რომელმან-იგი ხუთი ქანქარი მიიღო, აქმნია მას ზედა  
და შესძინა სხუადა ხუთი ტალანტი.

49. გუშმად S. 50. რომელსა|რომელი S. 51. განკუეთოს S. 1. ლამპარი S. 9. ჰრქუ-  
ეს S. ნუუკუე S. გუყოს S. 12. მოუგო|მოგო S. 13. უკუე S.

\* ზე. 13. გ. 42. ჰე. 25. ე. 30. \*\* შრკ. 13. დ. 33. \*\*\* ლკა. 19. ბ. 12.

17. ეგრეთვე, რომელმან იგი ორი მიიღო, შესძინა სხუად ორი.
18. ხოლო რომელმან-იგი ერთი მიიღო, წარვიდა და მოთხარა და დაჰფლა ქუეყანასა ვეცხლი იგი უფლისა თვისისა.
19. შემდგომად მრავლისა ეამრსა მოვიდა უფალი იგი მათ მონათა და სიტყუა-ყო მონათა მათ თანა.
20. და წარმოდგა, რომელმან იგი ხუთი ქანქარი მიიღო, და მოაართვა მას სხულად ხუთი ქანქარი და ჰრქუა: უფალო, ხუთი ქანქარი მომეც მე, აჰა ესერა სხულად ხუთი ქანქარი შევსძინე.
21. ჰრქუა მას უფალმან მისმან: კეთილ, მონაო სახეირო და სარწმუნო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა.
22. მოვიდა იგიცა, რომელსა ორი ქანქარი მიიღო, და ჰრქუა: უფალო, ორი ქანქარი მომეც მე, აჰა სხუა ორი ტალანტი შევსძინე.
23. ჰრქუა მას უფალმან მისმან: კეთილ, მონაო სახეირო და სარწმუნო! მცირედსა ზედა სარწმუნო იქმენ, მრავალსა ზედა დაგადგინო შენ; შევედ სიხარულსა უფლისა შენისასა.
24. მოვიდა იგიცა, რომელსა ერთი ქანქარი მიიღო, და ჰრქუა: უფალო, უწყოდე, რამეთუ ფრცხელი კაცი ხარ შენ: მოიმკი, სადა არა დასთესი. და შეიკრიბი, სადა არა განგიბნევიედ.
- გ 25. და შექმენი, წარვედ და დავმალე ქანქარი იგი შენი ქუეყანასა. აჰა ესერა შენი შენ თანა არს:
26. მიუგო უფალმან მისმან და ჰრქუა მას: ბოროტო მონაო და მდგარო, უწყოდე, რამეთუ მოვიმკი, სადა არა დავსთესი, და შევიკრიბი, სადა არა განმიბნევიედ.
27. ჳერ იყო შენდა დადებად ვეცხლი ჩემი სავაჰროს. და მო-მცა-ვედ და მოვიღე ჩემი იგი აღნადგინებდითურთ.
28. მიუღეთ მაგას ქანქარი ეგე და მეცით მას, რომელსა აქუს ათი ქანქარი.
29. \*რამეთუ ყოველსა, რომელსა აქუნდეს. მიეცეს და მიემატოს: და რომელსა არა აქუნდეს და რომელსა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ელოს მისგან. და ამას რაჲ იტყოდა. ემა-ყო: რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ.
30. და უკმარი ეგე მონა განჯადეთ ბნელსა მას გარესკენლსა. მუნ იყოს ტირილი და ღჳენა კბილთა.
31. ხოლო რაჲამს მოვიდეს ძე კაცისა დიდებითა თვისითა, და ყოველნი ანგელოზნი მისნი მის თანა, მაშინ დაჳდეს საყდართა დიდებრსა თვისისათა;
32. და შეკრბენ წინაშე მისა ყოველნი ნათესაენი, და განარჩინეს იგინი ურთიერთს, ვითარცა-იგი მწყემსმან რა განარჩინის ცხოვარნი თიკანთაგან.
33. და დადგინნეს ცხოვარნი მარჯუენით მისა და თიკანნი -- მარცხენით.
34. მაშინ ჰრქუას მეუფემან მარჯვენითა მათ მისთა: მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკვდრეთ განმზადებული თქუენთვის სასუფეველი დასაბამითგან სოფლისათ.
35. \*\*რამეთუ მშობიდა, და მეცით მე ჴამადი; მწყუროდა, და მასუთ მე; უცხო ვიყავ, და შემიწყნარეთ მე;

27. შენდა|შენდა ნ. 33. მარჯუენით S. მარჯვენითა S. 36. ჴიშუელ S. მოხუცდით S.

\* ჴე. 13. ბ. 12. მრკ. 4. გ. 25. ჴკა. 8. გ. 18. და. 19. დ. 26. \*\* ესა. 58. ბ. 7. ებკ. 18. ბ. 7.

36. შიშუელ ვიყავ, და შემშოსეთ მე, \*სნეულ ვიყავ, და მომხედეთ მე; საპყრობილესა ვიყავ, და მოხუდლით ჩემდა.

37. მაშინ მიუგონ მას მართალთა მათ და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი და გამოგზარდეთ? ანუ წყურიელი და გასუთ შენ?

38. ოდეს გიხილეთ შენ უცხოოდ და შეგიწყნარეთ? ანუ შიშუელი და შეგვმოსეთ შენ?

39. ოდეს გიხილეთ შენ უძლური ანუ საპყრობილესა და მოვედით შენდა?

40. და მიუგოს მეუფემან მან და ჰრქუას მათ: ამინ გეტყვ თქუენ: რადენი უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა ძმათა ჩემთასა, იგი მე მიყავთ.

41. მაშინ ჰრქუას მარცხენითა მათცა: \*\*წარვედით ჩემგან, წყეულნო, ცეცხლსა მას საუკუნესა, რომელი განმზადებულ არს ეშმაკისათჳს და ანგელოზთა მისთათჳს.

42. რამეთუ შმოოდა, და არა მეცით მე ჰამადი; მწყუროდა, და არა მასუთ მე;

43. უცხო ვიყავ. და არა შემეწყნარეთ მე; შიშუელ ვიყავ და არა შემშოსეთ მე; უძლურ ვიყავ და საპყრობილესა, და არა მოხუდლით ჩემდა.

44. მაშინ მიუგონ მათცა და ჰრქუან: უფალო, ოდეს გიხილეთ შენ მშიერი ანუ წყურიელი ანუ უცხოებასა ანუ შიშულობასა ანუ უძლურებასა ანუ საპყრობილესა და არა გმსახურეთ შენ?

45. მაშინ მიუგოს მან და ჰრქუას მათ: ამინ გეტყვ თქუენ: რადენი არა უყავთ ერთსა ამას მცირეთაგანსა, მე არა მიყავთ.

46. \*\*\*და წარვიდენ ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი — ცხოვრებასა საუკუნესა.

## 26

ა 1. და იყო რაჟამს დაასრულნა იესო ყოველნი ესე სიტყუანი, ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა:

2. \*\*\*\*უწყითა, რამეთუ შემდგომად ორისა დღისა ვნება იყოს, და ძე კაცისა მიეცეს ჯუარცმად?

3. მაშინ შეკრბეს მღღელთმოდღუარნი იგი და მწიგნობარნი და მოხუცებულნი ერისანი ეზოსა მას კაიაფა მღღელმოდღუარისასა,

4. და ზრახვა-ყვეს, რაათა იესო ზაკვით შეიპყრან და მოკლან.

5. ხოლო იტყოდეს: ნუ დღესასწაულსა ამას, რაათა არა შფოთი იქმნეს ერსა შორის.

6. \*\*\*\*ხოლო იესო იყო რა ბეთანიას, სახლსა სიმონ კეთროვანისასა,

7. მოუტდა დედაკაცი, რომელსა აქუნდა ალაბასტრი ნელსაცხებლისა მრავალ სასყიდლია, \*\*\*\*და დაასხა თავსა მისსა ინაჯით მჯდომარესა.

8. ხოლო იხილეს რა მოწაფეთა, განრისხნეს და იტყოდეს: რასათჳს იყო წარწყმედა ნელსაცხებლისა ამის?

9. რამეთუ შესაძლებელ იყო ესე განსყიდად დიდძალის და მიცემად გლახათა.

38. შიშუელი S. 43. შიშუელ S. 44. მოხუდლით S. 6. კეთროვანისასა S.

\* ზირქ. 7. და. 39. \*\* ფსნი. 6. ბ. 9. ზე. 7. გ. 23. ლკ. 13. ე. 27. \*\*\* დნიი. 12. ა. 2. იწე. 5. ე. 29. \*\*\*\* შრქ. 14. ა. 1. ლკა. 21. ა. 1. \*\*\*\*\* შრქ. 14. ა. 8. \*\*\*\*\* იწე. 11. ა. 2. და. 12. ა. 3.

10. ხოლო იესო გულისხმა-ყო და ჰრქუა მათ: რასა შრომასა შეამთხუევთ დედაკაცსა მაგას, რამეთუ საქმე კეთილი ქმნა ჩემდა მომართ,

11. რამეთუ გლახანი მარადის თქუენ თანა არიან, ხოლო მე არა მარადის თქუენ თანა ვარ.

12. რამეთუ დამასხა მაგან ნელსაცხებელი ესე კორცთა ჩემთა, და დასაფლველად ჩემდამო ყო.

13. ამინ გეტყუ თქუენ: სადაცა იქადაგოს სახარება ესე ყოველსა სოფელსა, ითქუმოდის რომელიცა ესე ყო მაგან საჯსენებელად მაგისა.

ბ 14. \*მაშინ წარვიდა ერთი იგი ათორმეტთაგანი, რომელსა ერქუა იუდა ისკარიოტელი მღღელთ მოძღუართა მათ

15. და ჰრქუა: რა გნებავს მოცემად ჩემდა, და მე მიგცე იგი? ხოლო მათ მიუწონეს მას ოცდაათი ვეცხლი.

16. და მიერითგან ეძიებდა ჟამსა მარჯუესა, რაათა მისცეს იგი მათ.

17. \*\*ხოლო პირველსა მას დღესა უცმოგობისასა მოუჭდეს იგი მათ. იესოს და ჰრქუეს მას: სადა გნებავს, და მოგიმზადოთ შენ ჳამად პასქა ესე?

18. ხოლო იესო ჰრქუა მათ: წარვედით ჳალაჳად კაცისა ვისამე და არქუთ მას: მოძღუარი ეგრეთ იტყუს: ჟამი ჩემი ახლოს არს, შენ თანა ვყო პასქა ესე მოწაფითურთ ჩემით.

19. და ყვეს ეგრეთ მოწაფეთა, ვითარცა უბრძანა მათ იესო და მოუშზადეს პასქა იგი.

20. \*\*\*და ვითარცა შემწუხრდა, ინაკით-ჭდა იესო ათორმეტთა მათ თანა.

21. და ვითარცა ჳამდეს იგინი, ჰრქუა იესო: ამინ გეტყუ თქუენ: \*\*\*\*ერთ-მან თქუენგანმან მიმცეს მე.

22. და იგინი შეწუხნეს ფრიად, და იწყეს კაცად კაცადმან მათმან სიტყუად: ნუუკუე მე ვარ, უფალო?

23. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: რომელმან შთამოყოს ჩემ თანა კელი პინაკსა ამას, ამან მიმცეს მე.

24. ძე სამე კაცისა წარვალს, \*\*\*\*\*ვითარცა წერილ არს მისთვის, ხოლო ვამ კაცისა მის, რომლისა მიერ ძე კაცისა მიეცეს. უმჯობეს იყო მისა, არა თუმცა შობილ იყო კაცი იგი.

25. მიუგო იუდა, რომელმანცა მისცა იგი, და თქუა: ნუუკუე მე ვარ, მოძღუარ? ჰრქუა მას იესო: შენ სთქუ.

26. \*\*\*\*\*და ვითარცა ჳამდეს იგინი, მოიღო იესო პური, და ჳმადლობდა და განტეხა. და მისცა მოწაფეთა თუსთა და ჰრქუა მათ: მიიღეთ და ჳამეთ, ესე არს კორცო ჩემი,

27. და მოიღო სასუმელი, და ჳმადლობდა და მისცა მათ და თქუა: სუთ ამისგან ყოველთა,

28. ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქმისა, მრავალთათუს დათხეული მისატევებელად ცოდვათა.

29. ხოლო გეტყუ თქუენ: ვითარმედ არღარა ვსუა მე ამიერითგან ნაყოფისაგან ამის ვენაცისა ვიდრე მუნ დღედმდე, რაჟამს იგი ვსუა თქუენ თანა ახალი სასუმეველსა მამისა ჩემისასა.

10. შეამთხუეთ S. 16 მარჯუესა S. 17. ჰრქუეს S. 22. ნუუკუე S. 23. ჰრქუა sic. 25. ნუ უკუე S.

\* მრკ. 14. ბ. 10. ლკა. 22. ა. 3. \*\* მრკ. 14. ბ. 12. ლკა. 22. ა. 7. \*\*\* მრკ. 14. ბ. 17. ლკა. 22. ბ. 14. \*\*\*\* ონე. 13. ბ. 21. \*\*\*\*\* ფსლ. 40. ბ. 10. 1. კორ. 11. ე. 24.

30. და გალობა წართქუეს და განვადეს მთასა მას ზეთის ხილთასა.

31. მაშინ ჰრქუა მათ იესო: \*თქუენ ყოველნი დაბრკოლებად ხართ ჩემ-  
და მომართ ამას ღამესა, რამეთუ წერილ არს: დაესცე მწყემსი, და განიბნინენ  
ცხოვარნი სამწყსოსა მისისანი.

32. ხოლო შემდგომად აღდგომისა ჩემისა \*\*წინაწარგიძღუე თქუენ გა-  
ლილეას

33. მიუგო პეტრე და ჰრქუა მას: და ღაბთუ ყოველნი დაპბრკოლდენ შენ-  
და მომართ, ხოლო მე არასადა დავბრკოლდე.

34. \*\*\*ჰრქუა მას იესო: ამინ გეტყუ შენ, რამეთუ ამას ღამესა, ვიდრე ქათ-  
მისა კმობაღმდე, სამ გზის უვარ-მყო მე.

35. ჰრქუა მას პეტრე: \*\*\*\*დაღაცათუ ჯერ-იყო სიკუდილი ჩემი შენ თანა,  
არა სადა უვარ-გყო შენ. და ეგრეთვე მსგავსად ყოველნი მოწაფენი ეტყო-  
დეს.

და 36. მაშინ მოვიდა იესო მათ თანა ადგილსა, რომელსა ჰრქუან გეტსამა-  
ნია, და ჰრქუა მათ: დასხედით მანდა, ვიდრემდე მივიდე იქი და ვილოცო.

37. და წარიყვანან პეტრე და ორნი ძენი ზებედესნი და იწყო მწუხარე-  
ბად და ურვად.

38. მაშინ ჰრქუა მათ იესო: შეწუხებულ არს სული ჩემი ვიდრე სიკუდი-  
ლადმდე; დაადგერიტ აქა და იღძებდით ჩემ თანა.

39. და წარვიდა მცირედ და დავარდა პირსა ზედა თუსსა, ილოცვიდა და  
იტყოლა: მამო ჩემო, უკეთუ შესაძლებელ არს, თანაწარმკედინ ჩემგან სა-  
სუმელი ესე, ხოლო არა ვითარ მე მნებაეს, არამედ ვითარცა შენ.

40. და მოვიდა მოწაფეთა თანა და პოვნა იგინი მძინარენი და ჰრქუა პე-  
ტრეს: ესოდენ ვერ უძლეთ ჟამ ერთ მღძპარებად ჩემ თანა.

41. იღძებდით და ილოცევდით, რამთა არა შეხვდეთ განსადელსა:  
სული გულს-მოდგინე არს, ხოლო ჯორცნი უძლურ.

42. კუალად მეორედ წარვიდა და ილოცვიდა და თქუა: მამო ჩემო,  
უკუეთუ ვერ შესაძლებელ არს სასუმელი ესე თანა-წარსლვად ჩემდა, რამთამ-  
ცა არა შეესუ იგო, იყავნ ნება შენი.

43. და მოვიდა და კუალად პოვნა იგინი მძინარენი, რამეთუ იყუნეს თულა-  
ნი მათნი დაძძიმებულ.

44. და დაუტევნა იგინი და კუალად წარვიდა მესამედ, და ილოცა და  
მასვე სიტყუესა იტყოლა.

45. მაშინ მოვიდა მოწაფეთა და ჰრქუა მათ: დაიძინეთ ამიერითგან და  
განსუენეთ. აჰა ესერა მოახლებულ არს ჟამი, და ძე კაცისა მიეცემის კელთა  
ყოღვილთასა.

46. აღდგეთ. წარვედით ამიერ, აჰა ესერა მოიწია მიმცემელი ჩემი.

და 47. \*\*\*\*და ვიდრე იგი იტყოდალა, აჰა ესერა იუდა, ერთი იგი ათორმეტ-  
თავანი, მოვიდა და მის თანა ერი მრავალი მახულებითა და წათებოთა მღდელთ-  
მოძღუართაგან და მოხუცებულთა ერისათა.

48. ხოლო მიმცემელსა მას მისსა მიეცა სასწაულად და ჰრქუა: რომელსა  
მე ამბორს-უყო, იგი არს, შეიპყარო იგი

30. ზეთი ხილთასა S. 32. წინაწარგიძღუე S. 45. განსუენეთ S.

\* მრკე. 14. გ. 27. ინე. 16. დ. 32. \*\* მრკე. 14. გ. 28. და 16. ბ. 7. \*\*\* იწე. 13.  
დ. 38. \*\*\*\* მრკე. 14. დ. 31. ლკა. 22. დ. 34. \*\*\*\*\* მრკე. 14. ე. 43. ლკა. 22. ზ.  
47. იწე. 18. ა. 1.

49. და მეყსეულად მოუქდა იესოს და ჰრქუა: გაკუროთხონ, მოძლუარ! და ამბორს-უყო მას.

50. ხოლო იესო ჰრქუა მას: მოყვაო, რომლისათუსცა მოსრულ ხარ? მა- შინ მოუქდეს, და დაასხნეს კელნი მათნი იესოს ზედა და შეიპურეს იგი.

51. და აჰა ერთმან იესოს თანამან მიყო კელი და იჰადა მახული და სცა მონასა მდღელთ მოძღვრისასა და წარკუეთა ყური მისი.

52. მაშინ ჰრქუა მას იესო: მიაქციე მახული ადგილსავე თჳსსა, \*რამეთუ ყოველთა რომელთა აღიღონ მახული, მახულითა წარწყმდენ.

53. ანუ ჰგონებ, ვითარმედ ვერ ძალ-მიც ვედრებად მაშისა ჩემისა და წარმომიდგინოს მე აწ აჰა უმრავლესი ათორმეტთა გუნდთა ანგელოზთა?

54. \*\*და ვითარმედ აღესრულნენ წერილნი, რამეთუ ესრეთ ჳერ არს ყო- ჴად?

55. მას ეამსა ჰრქუა იესო ერსა მას: ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოხუედით მახულითა და წათეებითა შეპყრობად ჩემდა; დლითი-დღე თჳუენ თანა ტაძარსა მას შინა ვჳედ და განსწაეებდ, და არა შემიპყართ მე.

ვ 56. ხოლო ესე ყოველი იჴმნა, რამთა \*\*\*აღესრულნენ წიგნნი წინაწარმე- ტყუელთანი. მაშინ მოწაფეთა ყოველთა \*\*\*\*დაუტევეს იგი და ივლოდეს.

57. ხოლო მათ შეიპურეს იესო და \*\*\*\*\*მიიყვანეს კაიაფასა მდღელთმო- ძღუარისასა, სადა-იგი მწიგნობარნი და მოხუცებულნი ერისანი შეკრებულ იყვნეს.

58. ხოლო პეტრე მისდევდა მას შორით, ვიდრე ეზოდმდე მდღელთმო- ძღუარისა, და შევიდა შინა და დაჯდა მსახურთა თანა ხილვად აღსასრულისა.

59. ხოლო მღელთმოდღუარნი იგი და მოხუცებულნი და ყოველი კრე- ბული ეძიებდეს ცრუმოწაფეთა იესოსთუს; რამთამცა მოკლეს იგი,

60. და არა ჰპოებდეს, და მრავალნი მოსრულ იყვნეს ცრუმოწმენი და არა პოვნეს ხოლო უკანასკნელ მო-ვინმე-ვიდეს ორნი და თჳუეს,

61. ვითარმედ: ამან ესრეთ თჳუა: \*\*\*\*\*ძალ-მიც დარღუეეად ტაძარი ესე ღმრთისაჲ და მესამესა დღესა აღშენებად.

62. მაშინ აღდგა მდღელთმოდღუარი იგი და ჰრქუა მას: არა რას მიუგება რასა ესე შეგწამებენ შენ?

63. ხოლო იესო ღუმნა. მაშინ მღელთმოდღუარმან მან ჰრქუა მას: გა- ფუტეებ შენ ღმრთისა ცხოველისა, რამთა მითხრა ჩუენ, უკუეთუ შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისაჲ?

64. ჰრქუა მას იესო: შენ სთჳუ. ხოლო გეტყუ თჳუენ: \*\*\*\*\*ამიერითგან იხილოთ ძე კაცისა მჳდომარე მარჯუენით ძლიერებასა და მომავალი ღრუბელ- თა თანა ცისათა.

65. მაშინ მდღელთმოდღუარმან მან დაიპო სამოსელი: თუსი და თჳუა: ვი- თარმედ გმო; აწ უკუე რასალა გჳკმან მოწამენი? აჰა ესერა გესმა გმოზა მა- გისი.

ზ 66. რამ გნებაეს თჳუენ? ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს: თანამდებ არს სიკუდილისა.

49. ამორს უყო S. 51. წარკუელთა S. 55 გამოხუედით S. 60. თჳუს-ს. 61. დარღუე- ვად S. 63. ჩემს S. ღმრთისაჲ S. 64. თჳუს S. მარჯუენით S. 65. უკუე S. 66. ჰრქუს S. \* ღმრთ. 9. ბ. 6. ვატე. 13. ბ. 10. \*\* ესაი. 53. გ. 10. \*\*\* კოდე. 4. დ. 20. \*\*\*\* მრკ. 14. ე. 50 \*\*\*\*\* ღკა. 22. ე. 54. ინე. 18. დ. 24. \*\*\*\*\* ინე. 2. დ. 19. \*\*\*\*\* ზე. 16. დ. 27. პრო. ზე. 14. ბ. 10. 1. თეს. 4. დ. 15.

67. მაშინ \*ჰნერწყუდეს პირსა მისსა და კურთითა სცემდეს თავსა მისსა, და რომელნიმე ყურიმაღსა სცემდეს

68. და ეტყოდეს: გვწინაწარმეტყულებდ ჩუენ ქრისტე, ვინ არს, რომელ-მან გცა შენ?

69. \*\*ხოლო პეტრე ჯდა გარეშე ეზოსა შინა. მოუტდა მას ერთი მკევა-ლი და ჰრქუა მას: და შენცა იყავ იესოს თანა, გალილეველისა.

70. ხოლო მან უვარ-ყო წინაშე ყოველთასა და ჰრქუა: არა ვიცი, რასა იტყუ.

71. და ვითარცა გამოვიდა იგი გარეშე ბქეთა, იხილა იგი სხუამან და ჰრქუა მუნ მდგომარეთა მათ: ესეცა იყო იესოს თანა, ნაზარეველისა.

72. და მერმეტა უვარ-ყო პეტრე ფიცითა და თქუა, ვითარმედ: არა ვიცი, კაცი იგი.

73. და შემდგომად მცარედისა მოუტდეს მუნ მდგომარენი იგი პეტრეს და ჰრქუეს მას: კეშმარიტად შენცა მათგანი ხარ, და რამეთუ სიტყუაუცა შენი გამოგაჩინებს შენ.

74. მაშინ იწყო შეჩუენებად და ფიცად, ვითარმედ: არა ვიცი კაცი იგი-და მეყსეულად ქათამმან იყივლა.

75. და მოექსენა პეტრეს სიტყუა იგი იესოსი, რომელი ჰრქუა მას, ვი-თარმედ: ვიდრე ქათმის კმობადმდე სამ გზის უვარ-მყო მე. და გამოვიდა გარე და ტიროდა მწარედ.

## 27

ა 1. და ვითარცა განთენა, ზრახვა-ყვეს ყოველთა მღვდელთმოდღუართა და მოხუცებულთა ერისათა იესოსთვის, რამთა მოკლან იგი.

2. \*\*\*და შეკრეს იგი და მიიყვანეს და მისცეს იგი პონტიელსა პილატეს მთავარსა.

3. მაშინ ვითარცა იხილა იუდა, რომელმანცა მისცა იგი, რამეთუ დაისა-ჯა, შეინანა და მიიქცია ოცდაათი იგი ვეცხლი მღვდელთმოდღუართა მიმართ და მოხუცებულთა.

4. და თქუა: ვცოდე, რამეთუ მიგეც სისხლი მართალი. ხოლო მათ ჰრქუეს. მას: ჩუენდა რაჲ შენ იხილე!

5. და დააბნია ვეცხლი იგი ტაძარსა მას შინა და განეშორა \*\*\*და წარვი-და, და შიშთვილ-იბა.

6. ხოლო მღვდელთმოდღუართა მოიღეს ვეცხლი იგი და თქუეს: არა ჯერ არს ესე დადებად სიწმიდესა, რამეთუ სასყიდელი სისხლისა არს.

7. და ზრახვა-ყვეს და მოიყიდეს მითა აგარაკი იგი მეკეცისა საფლავად უცხოთა.

ბ 8. \*\*\*\*\*ამისთვის ეწოდა აგარაკსა მას აგარაკი სისხლისა, ვიდრე აქა დღე-დმდე.

9. მაშინ აღესრულა თქმული იგი იერემია წინაწარმეტყუელისა, \*\*\*\*\*რო-მელსა იტყუს: და მოვიდე ოცდაათი იგი ვეცხლი, სასყიდელი განსყიდულისა მის, რომელი მოიყიდეს ძეთაგან ისრაჴლისათა.

70. ჰრქუაჰრქა S. 74. შეტყუებად S. 4. ჩუენდა S.

\*ქუესა. 50. ბ. 6. მკვ. 14. ზ. 65. \*\* ლკა. 21. ვ. 55. იწე. 18. ბ. 17. \*\*\* მრკვ. 15. ა. 1. ლკა. 23. ა. 1. იწე. 16. გ. 28. \*\*\*\* საქ. 1. გ. 18. \*\*\*\*\* საქ. 1. გ. 19. \*\*\*\*\* საქრ. 11. გ. 13.



10. და მისცეს იგი აგარაკისათვის მეკეცისა, ვითარცა მიბრძანა მე უფალ-  
მან.
11. ხოლო იესო დადგა წინაშე მთავრისა მის, \*და ჰკითხა მას მთავარმან  
მან და ჰრქუა: შენ ხარა მეუფე ჰურიათა? ხოლო იესო ჰრქუა მას: შენ იტყუ.
12. და შესმენასა მას მღღელთ მოძღუართასა და მოხუცებულთასა არა რა  
მიუგო.
13. მაშინ ჰრქუა მას პილატე: არა გესმისა, რაოდენსა ესე შეგწამებენ  
შენ?
14. და არა რა მიუგო მას არცა ერთისა ზიტყუსათს, ვიდრემდე უკრდაცა.  
მთავარსა მას ფრიად.
15. ხოლო დღესასწაულთა ჩუეულ იყო მთავარი იგი და მიუტევოს ერსა  
მას ერთი პყრობილი, რომელიცა უნებნ მათ.
16. ხოლო ჰყვა ვინმე მაშინ პყრობილი შესწავებული, რომელსა ერქუა.  
ბარაბა.
17. და ვითარ შეკრებულ იყვნეს იგინი, ჰრქუა მათ პილატე: ვინ გნებავს.  
ორთა ამთვანი, და მიგიტეო თქუენ: ბარაბა ანუ იესო, რომელსა ჰრქვან ქრის-  
ტე?
18. რამეთუ უწყოდა, ვითარმედ შურითა მისცეს იგი.
19. და ვითარცა დაჭდა პილატე საყდართა ზედა, მიუვლინა მას ცოლმან  
მისმან და ჰრქუა მას: არა რა ძეს შენი და მართლისა მაგის კაცისა, რამეთუ:  
ძრავალი მევენო მე დღეს ჩუენებით მაგისთს.
20. \*\*ხოლო მღღელთ მოძღუართა მათ და მოხუცებულთა არწმუნეს ერსა.  
მას, რამეთუ გამოითხოონ ბარაბა, ხოლო იესო წარწყმიდონ.
21. მიუგო მთავარმან და ჰრქუა მათ: ვინ გნებავს ორთა ამთვანი, და მი-  
გიტეო თქუენ? ხოლო მათ ჰრქუეს: ბარაბა.
22. ჰრქუა მათ პილატე: რა უპუე უყო იესოს, რომელსა ჰრქვან ქრისტე?  
ჰრქუეს მას ყოველთა: ჟუარს ეცუნ.
23. ხოლო მთავარმან ჰრქუა მათ: და რა ბოროტი უქმნიეს? ხოლო იგინი.  
უმეტესად დალაღებდეს და იტყოდეს: ჟუარს ეცუნ.
24. ვითარცა იხილა პილატე, რამეთუ არას არგებს, არამედ უფროსდა.  
შფოთი იქმნებოს, მოითხოა წყალი და დაიბანა კელნი წინაშე ერისა მის და.  
თქუა: უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგისისა, თქუენ იხილეთ.
25. და მიუგო ყოველმან ერმან და ჰრქუეს: სისხლი მაგისი ჩუენ ზედა და-  
შვილთა ჩუენთა ზედა.
26. მაშინ მიუტევა მათ ბარაბა, ხოლო იესო შოლტითა სცა და მისცა მათ,  
რამთა ჟუარს-ეცუას.
27. მაშინ ერისაგანთა მათ მთავრისათა წარყვანეს იესო ტაძრად \*\*\*და.  
შეკრიბეს მის ზედა ნათესაეები იგი ყოველი.
28. და განძარცუეს იგი და ქლამინდი მეწამული შემოსეს მას.
- დ 29. \*\*\*\*და შეთხზეს გვრგვინი ეკალთაგან და დაადგეს თავსა მისსა და.  
ლერწამი მისცეს მარჯუენესა კელსა მისსა და მუქლნი დაიდგნეს მის წინაშე,  
ემღერდეს მას და ეტყოდეს: გაკურთხენ, მეუფეო ჰურიათაო.

15. ჩუჭულ S. 19. ჩუწნებოთ S. 22. უკლ S. 25. ჰრქუეს S. შკლთა S. 28. განძარ-  
ცუეს S. 29. მარჯუენესა S.

\* შრკ. 15. ა. 2. ლკა. 23. ა. 3. იწე. 18. ე. 33. \*\* შრკ. 15. ბ. 11. ლკა. 23.  
გ. 18. იწე. 18. ზ. 40. საქ. 3. ბ. 14. \*\*\* შრკ. 15. ბ. 16. \*\*\*\* იწე. 19. ა. 2. ესწი.  
21. დ. 17.

30. და პნერწყვილდეს მას და მოიღეს ლერწამი და სცემდეს თავსა მისსა.
31. და ოდეს განციცხეს იგი, განსძარცუეს მას ქლამინდი იგი და შეჰმო-  
სეს მას თვისივე სამოსელი და წარიყვანეს იგი, რამთა ჭუარს-აცუან.
32. \*და ვითარცა გამოვიდეს იგინი მიერ, პოვეს კაცი კვრინელი, სახე-  
ლით სიმონ. ესე წარიქციეს პაპრაყად, რამთა აღიღოს ჭუარი მისი.
33. \*\*და მოვიდეს ადგილსა მას, რომელსა პრქეან გოლგოთა, რომელ  
არს თხემისა ადგილი.
34. და მისცეს მას ძმარი ნავლლითა აღზაებული. და გემო რა იხილა,  
არა უნდა სუშის.
35. და ვითარცა ჭუარს-აცუეს იგი, განიყვეს სამოსელი მისი და განიგდეს  
წილი, რამთა აღესრულოს თქმული იგი წინაწარმეტყუელისა მიერ, რომელსა  
იტყუს: \*\*\*განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგ-  
დეს წილი.
36. და სხდეს მუნ და სცვიდეს მას.
37. და დასდევს თავსა მისსა ზედა ბრალი მისი დაწერილი: ესე არს იესო,  
მეუფე პურიითა.
38. მაშინ ჭუარს-აცუენეს მის თანა ორნი ავაზაკნი: ერთი მარჯუენით მისა  
და ერთი მარცხენით.
39. ხოლო თანა-წარმავალნი იგი ჰგომოდეს მას, ყრიდეს თავთა მათთა
40. და იტყოდეს: \*\*\*\*რომელი დაჰქსნიდ ტაძარსა მას და მესამესა დღესა  
აღაშენებდ, იქსენ თავი თუსი; უკეთუ ძე ხარ ღმრთისა, გარდამოკვედ მაგიერ  
ჭუარით.
41. ეგრეთვე მდღელთ მოძღუარნი იგი ემღერდეს მწიგნობართა თანა და  
მონუცებულთა და ფარისეველთა და იტყოდეს:
42. სხუანი აცხოვნნა, თავი თუსი ვერ ძალ-უც ცხოვნებად. \*\*\*\*\*უკუეთუ  
მეუფე ისრაჴლისა არს, გარდამოკვიდინ აწ მაგიერ ჭუარით, და გურწმენეს  
იგი.
43. \*\*\*\*\*უკუეთუ ესვიდა ღმერთსა, იქსენინ იგი, უკუეთუ ჰნებაეს იგი  
რამეთუ თქუა, ვითარმედ: ძე ღმრთისაჲ ვარ მე.
44. ეგრეთვე ავაზაკნი იგი, მის თანა ჭუარ-ცმულნი, აყუედრებდეს მას.
45. ხოლო მეექუსით ყამითგან დაბნელდა ყოველი ქუეყანა, ვიდრე მეცხ-  
რედ ყამადმდე.
46. და მეცხრესა ოდენ ყამსა კმა-ყო იესო კმითა დიდითა და თქუა:  
\*\*\*\*\*ილი, ილი! ლიმა საბაქთანნი? ესე არს: ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!  
რასათუს დამიტყვე მე?
47. და რომელეთამე მუნ მდგომარეთა ესმა ესე და იტყოდეს, ვითარმედ:  
ელიას უკმობს ესე.
48. და მეყსეულად მიბრბოდა ერთი მათგანი და მოიღო ღრუბელი და  
აღავსო ძრმითა და დაადგა ლერწამსა და ასუმიდა მას.
49. ხოლო სხუანი ეტყოდეს: აცადეთ და ვიხილოთ, უკუეთუ ელია მოვი-  
დეს ესნად მისა.
50. ხოლო იესო კუალად კმა-ყო კმითა დიდითა და განუტევა სული.

31. განსძარცუეს S. 35. ატუს S. 38. მარჯუენით S. 44. აუღმღრებდეს S.  
\*ჭმრკ. 15. ბ. 21. ლკა. 23. დ. 26. ინე. 19. გ. 17. \*\*\* შრკ. 15. გ. 22. ლკა.  
23. ე. 33. ირე. 19. გ. 17. \*\*\* შრკ. 15. გ. 24. ლკა. 23. ე. 24. ირე. 19. დ. 23.  
ფსნი. 21. ბ. 19. \*\*\*\* ირე. 2. გ. 19. \*\*\*\*\* სიბრ. 2. დ. 18. \*\*\*\*\* ფსნი. 21. ა. 9.  
\*\*\*\*\*, ფსნი. 21. ა. 1.

51. \*და აჰა კრეტსაბმელი იგი ტაძრისა მის განიპო ორად ზეითვან, ვიდრე ქუემდე, და ქუეყანა შეიძრა. და კლდენი განსქდეს.

52. და საფლავნი ლეხუნეს, და მრავალნი გუამნი შესუენებულთა წმიდათანი აღდგეს,

53. და გამოვიდეს საფლავით მათით და შემდგომად აღდგომისა მისისა შევიდეს წმიდასა ქალაქსა და გამოეცხადნეს მრავალთა.

54. ხოლო ასისტავმან მან და მისთანათა, რომელნი სცვიდეს იესოს, იხილეს რაჲ ძრვა იგი და რაჲ-იგი იქმნა. შეეშინა ფრიალ და იტყოდეს: კეშმარიტად ძე მღრთისაჲ იყო ესე.

55. იყვნეს მუნ დედანიცა მრავალნი, რომელნი შორით ხედვიდეს, რომელნი შეუდგეს იესოს გალილეათ და კმსახურებდეს მას.

56. რომელთა თანა იყო მარიამ მაგდანელი და მარიამ იაკობისი და იესოს დედა და დედა ძეთა ზებედესთა.

\* 57. \*\*და ვითარცა შემწუხრდა, მოვიდა კაცი მდიდარი არიმათიით, სახელით იოსებ, რომელ-იგიცა მოწაფე ყოფილ იყო იესოსა.

58. ესე მოვიდა პილატესა და გამოითხოვა გუამი იესოსი. მაშინ პილატე უბრძანა მიეცემაღ გუამი იგი მისი.

59. და მოიღო გუამი იგი მისი იოსებ და წარგრაგნა იგი არმენაკსა წმიდასა.

60. და დადვა იგი ახალსა მისსა საფლავსა, რომელი გამოეკუეთა კლდისაგან, და მიაგორვა ლოდი დიდი კარსა მის საფლავისასა და წარვიდა.

61. იყო მუნ მარიამ მაგდანელი და სხუა იგი მარიამ, დასხდეს წინაშე საფლავსა მას.

62. ხოლო ხვალისაგან, რომელ არს შემდგომად პარასკევისა, შეკრბეს მღღელთმოდღუარნი იგი და ფარისეველნი პილატესა

63. და ჰრქუეს: უფალო, მოვიკნენეთ, რამეთუ მან მაცთურმან თქუა, ვიდრე ცოცხალა იყო, ვითარმედ შემდგომად სამისა დღისა აღდგეო.

64. აწ უკუე ბრძანე დაკრძალვად საფლავი იგი, ვიდრე მესამედ დღედმდე, ნუუკუე მოვიდენ მოწაფენი მისნი და წარიპარონ იგი და უთხრან ერსა, ვითარმედ: აღდგა მკუდრებით. და იყოს უკანასკნელი საცთური უძვრეს პირველისა.

65. ჰრქუა მათ პილატე: გაქუს თქუენ დასი, წარვედით და დაჰკრძალეთ, ვითარცა იცით.

66. ხოლო იგინი წარვიდეს და დაჰკრძალეს საფლავი იგი და დაჰბეჭდეს ლოდსა მას დასისა თანა.

## 28

ა 1. \*\*\*ხოლო მწუხრი შაბათსა, რომელი განთენდებოდა ერთშაბათად, მოვიდა მარიამ მაგდანელი და სხუა იგი მარიამ ხილვად საფლავისა მის.

2. და აჰა ძრვა იყო დიდი, რამეთუ ანგელოზი უფლისა გარდამოქდა ზეცით. მოვიდა და გარდააგორვა ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა და დაჯდა მას ზედა.

51. კეშმად S. 52. შესუენებულთა S. 53. წმიდასა S. 60. გამოეკუეთა S. 64. უკუ S. 64. ნუუკუე S. ნუუკუე S.

\* ნეშტ. 3. დ. 14. \*\* შრკ. 15. დ. 42. ლკ. 23. ზ. 50. იწე. 19. ზ. 38. \*\*\* შრკ. 16. ა. 1. იწე. 20. გ. 11.

3. ხოლო იყო ხილვა მისი, ვითარცა ელვა და სამოსელი მისი სპეტაკი, ვითარცა თოვლი.

4. ხოლო საშინელებისაგან მისისა შეძრწუნდეს მცველნი იგი და იქმნეს ვითარცა მკუდარნი.

5. მიუგო ანგელოზმან მან და ჰრქვა დედათა მათ: ნუ გეშინინ თქვენ, ვიცი, რამეთუ იესოს ნაზარეველსა ჭუარ-ცუმულსა ეძიებთ.

6. არა არს აქა, რამეთუ აღდგა, ვითარცა თქუა. მოვედით და იხილეთ ადგილი, სადა დაიდვა უფალი.

7. და ადრე წარვედით და უთხარით მოწაფეთა მისთა, ვითარმედ: აღდგა მკუდრეთით და აჰა წინა გიძღვს თქვენ გალილევას, მუნ იხილოთ იგი. აჰა ესერა გარქუ თქვენ.

8. ხოლო იგინი გამოვიდეს ადრე მიერ საფლავით შიშითა და სიხარულითა დიდითა; მირბიოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა.

9. და ვითარ-იგი მივიდოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა, და აჰა იესო შეემთხვა მათ და ჰრქვა: გაკურთხენ! ხოლო იგინი მოვიდეს და შეუვრდეს ფერკთა მისთა და თაყუანის-სცეს მას.

10. მაშინ ჰრქვა მათ იესო: ნუ გეშინინ, წარვედით და უთხარით ძმათა ჩემთა, რაათა წარვიდენ გალილევას და მუნ მიხილონ მე.

11. და ესენი ვითარცა წარვიდეს, აჰა ესერა დასისა მისგანნი შევიდეს ქალაქად და უთხრეს მდღელთ მოძღუართა მათ ყოველი ესე, რაცა იქმნა.

12. ხოლო იგინი შეკრბეს მოხუცებულთა თანა და ზრახვა-ყუეს, ვეცხლი დიდძალი მისცეს ერისაგანთა მათ.

13. და ჰრქუეს: ესრეთ თქუთ, ვითარმედ: მოწაფენი მისნი ღამე მოვიდეს და წარიპარეს იგი, ვიდრე ჩუენ მეძინა.

14. უკუეთუ ესმეს ესე მთავარსა მას, ჩუენ ვარწმუნოთ და თქუენ უზრუნველ-გყვენთ.

15. ხოლო მათ მიიღეს ვეცხლი იგი და ყვეს ეგრე, ვითარცა ისწავეს მათგან. და განითქუა სიტყვა ესე ჰურიათა შორის, ვიდრე დღეინდელად დღედმდე.

16. ხოლო ათერთმეტნი იგი მოწაფენი წარვიდეს გალილევას, მთასა მას, სადაცა უბრძანა მათ იესო.

17. იხილეს იგი და თაყუანის-სცეს მას; ხოლო რომელნი შევრგულდეს.

18. მიუჭდა მათ იესო, ეტყოდა და ჰრქვა: მომეცა მე ყოველი კელმწიფება ცათა შინა და ქუეყანასა ზედა.

19. წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელს-სცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

20. და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ. და აჰა ესერა მე თქუენ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულადმდე სოფლისა. ამინ.

12. ზრახვაყუეს S. 13. ჩუენ S. 14. ჩუენ S. 20. აწ S.

\* მრკ. 16. გ. 15.

## სახარება მარკოზისი

### 1

- ა 1. \*დასაბამი სახარებისა იესო ქრისტესი, ძისა ღმერთისა.
2. ვითარცა წერილ არს ესაია წინაწარმეტყუელსა: \*\*აჲა ესერა მე წარვაგლინო ანგელოზი ჩემი წინაშე პირსა შენსა, რომელმან განმზადნეს გზანი შენნი წინაშე შენსა.
3. \*\*\* კმაღ ლაღადებისა უღაბნოსა: განჰმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ-ყვენით ალაგნი მისნი.
4. იყო იოანე უღაბნოსა და ნათელ-სცემდა და ქადაგებდა ნათლის-ცემასა სინანულისასა მისატევებელად ცოდვათა.
5. \*\*\*\*და განვიდოდა მისა ყოველი სოფლები ჰერიასტანისა და იერუსალჴმელნი და ნათელს-იღებდეს მისგან ყოველნი იორდანესა მდინარესა და აღუვარებდეს ცოდვათა მათთა.
6. \*\*\*\*\*ხოლო, ემოსა იოანეს სამოსლად თმისაგან აქლემისა, და სარტყელი ტყავისა წელთა მისთა, და კამდა იგი \*\*\*\*\*მკალსა და თაფლსა ველურსა.
7. ქადაგებდა და იტყოდა: ესერა \*\*\*\*\*მოვალს უძლიერესი ჩემსა შემდგომად ჩემსა, რომლისა ვერ ღირს ვარ განჯსნად საბელსა ჯამლთა მისთასა.
8. \*\*\*\*\*მე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა, ხოლო მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმინდითა.
9. და იყო მათ დღეთა შინა მოვიდა იესო ნაზარეთით გალილესათ და ნათელ-ილო იოანესგან იორდანესა.
- ბ 10. და მეყსეულად აღმოსლვასა მისსა მიერ წყლით იხილნა ცანი განხმულნი \*\*\*\*\*და სული ღმრთისაჲ გარდამომავალი ვითარცა ტრედი მის ზედა.
11. და ჯმა იყო ზეცით: შენ ხარ ძე ჩემი საყუარელი, შენ სათნო-გიყავ.
12. და მეყსეულად სულმან განიყვანა იგი უღაბნოდ.
13. \*\*\*\*\*და იყო მუნ ორმოც დღე და გამოიცადებოდა ეშმაკისაგან. და იყო მკვეტთა თანა. და ანგელოზნი ჰმსახურებდეს მას.
14. \*\*\*\*\*და შემდგომად მიცემისა იოანესა მოვიდა იესო გალილეად, ქადაგებდა სახარებასა სასუფეველისა ღმრთისასა.
15. და იტყოდა, ვითარმედ: აღსრულებულ არს უამი და მოახლებულ არს სასუფეველი ღმრთისაჲ; შეინანეთ და გრწმენინ სახარებისა.

5. ოძღმელნი S. 14. ღმრთი'ასა S.

- \* შთუ. 3. ა. 1. \*\* მალჯ. 3. ა. 1. \*\*\* ესა. 40. ა. 3. შთუ. 3. ა. 3. ლქა. 3. ა. 4. ონე. 1. გ. 23. \*\*\*\* შთუ. 3. ა. 5. \*\*\*\*\* შთუ. 3. ა. 4. \*\*\*\*\* ლევ. 11. გ. 22. \*\*\*\*\* შთუ. 3. ბ. 11. ლქა. 3. და 16. ონე. 1. დ. 27. \*\*\*\*\* შთუ 3. ბ. 11. ლქა. 3. დ. 16. ონე. 1. დ. 27. ს.ქ. 1. ა. 5. და. 2. ა. 4. და. 11. ბ. 16. და. 19. ა. 4. \*\*\*\*\* ლქა. 3. ე. 22. ონე. 1. დ. 32. \*\*\*\*\* შთუ. 4. ა. 1. ლქა. 4. ა. 1. \*\*\*\*\* შთუ. 4. ბ. 12. ლქა. 4. ბ. 14. ონე. 4. ე. 43.

16. \*ხოლო ვიდოდა რა ზღუესკიდესა მას გალილევასა, იხილნა სიმონ და ანდრეა, ძმა მისი, ითხველიდეს რა ზღუესა მას ზედა, რამეთუ იყვნეს იგინი მესათხვეველე.

17. და ჰრქუა მათ იესო: მოვედით და შემომიდეგით მე და გყვენ თქუენ მესათხვეველე კაცთა.

18. ხოლო მათ მეყსეულად დაუტევნეს ბადენი მათნი და მისდევდეს მას.

19. და მცირედ წარვიდა და იხილა იაკობ ზებუდესი და იოანე, ძმა მისი, და იგინი განაგებდეს ბადეთა ნავსა შინა.

20. და უწოდა მათ. ხოლო მათ მეყსეულად დაუტევეს ზებუდე, მამა მათი, ნავსა შინა მუშაკთა მისთა თანა და მისდევდეს მას.

21. \*\*და შევიდეს კაპერნაუმად და მეყსეულად დღესა შაბათსა შევიდა შესაკრებელსა მათსა და ასწავებდა მათ.

გ 22. \*\*\*და განუქრდებოდა ერსა მას მოძღურება იგი მისი, რამეთუ ასწავებდა მათ, ვითარცა-იგი ვის აქუნ კელმწიფება და არა ვითარ იგი მწიგნობარნი მათნი.

23. \*\*\*\*და იყო კრებულსა მას შინა მათსა კაცი, რომლისა თანა იყო სული არაწმიდაჲ, დაღატ-ყო

24. და თქუა: ეჰა, რა არს ჩუენი და შენი, იესო ნაზარეველო? მოსრულ ხარ წარწყმედად ჩუენდა. გიციით შენ, ვინ ხარ, წმიდაჲ ეგე ღმრთისაჲ.

25. შერისხნა მას და ჰრქუა: პირი დაიყავ და განედ მაგისგან.

26. და დასცა იგი სულმან მან არაწმიდამან, და კმა-ყო კმითა დიდითა და განვიდა მისგან.

27. და დაუქრდებოდა ყოველთა, ვიდრე გამოძიებადმდე ურთიერთას და იტყოდეს: რამე არს მოძღურება ესე ახალი? რამეთუ კელმწიფებით სულთაცა არაწმიდათა უბრძანებს, და ერჩიან მას.

28. და განჯდა ჰანზავი მისი ყოველსა მას სოფლებსა გალილევასა.

29. \*\*\*\*\*და მიერ შესაკრებელით გამოვიდა და მოვიდა სახლსა სიმონისსა და ანდრეასსა იოანეს და იაკობის თანა.

30. ხოლო სიდედრი სიმონისი დაერდომილ იყო მჭურვალეებითა. და უთხრეს იესოს მისთვის.

31. და მოვიდა, და უპყრა კელი მისი და აღადგინა იგი; და მეყსეულად დაუტევა იგი მჭურვალეებამან მან და აღდგა და ჰმსახურებდა მათ.

32. და ვითარ შემწუხრდებოდა- და მზე დაჰვიდოდა, მოჰყვანდეს მისა ყოველნი სნეულნი და ეშმაკეულნი.

33. და ყოველი ქალაქი შეკრებულ იყო წინაშე კართა.

34. და განკურნა ყოველნი ბოროტთაგან სენთა. და თითოასახეთაგან სნეულებათა და \*\*\*\*\*ეშმაკნი მრავალნი განასხნა და არა უტევებდა სიტყუად ეშმაკთა მათ, რამეთუ იცოდეს იგი, ვითარმედ ქრისტე არს.

35. და განთიად რიჟურაჟუს ოდენ აღდგა და გამოვიდა მიერ და განვიდა უდაბნოსა ადგილსა და მუნ ილოცვიდა.

36. და მისდევდეს მას სიმონ და მისთანანი. და პოვეს იგი და ჰრქუეს მას, ვითარმედ: ყოველნი გეძიებენ შენ.

26. ქმაჟო S. 27. წმიდათა S. 29. შესაკრებელით] შესაკმებელით S.

\* მთე. 4. გ. 18. ლკა. 5. ა. 2. \*\* მთე. 4. ბ. 13. ლკა. 4. ე. 31. \*\*\* მთე. 7. დ. 28. ლკა. 4. გ. 32. \*\*\*\* ლკა. 4. ე. 33. \*\*\*\*\* მთე. 8. ბ. 14. ლკა. 4. ზ. 38. \*\*\*\*\* ლკა. 4. გ. 41.

38. ხოლო იესო ჰრქეუა მათ: მოვედით და წარვიდეთ მახლობელსა დაბნებსა და ქალაქებსა, რამთა მუნ უქადაგოთ, რამეთუ ამისთვის მოვივლინე.

39. და ქადაგებდა შესაკრებელთა მათთა და ყოველსა გალიელასა და ეშმაკთა განასხმრდა.

40. \*მაშინ მოუყდა მას ერთი განკეთროვნებული, ევედრებოდა მას და მუკლნი დაიდგნა და ეტყოდა: უფალო, უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც განწმედლად ჩემდა.

41. ხოლო იესოს შეეწყალა იგი განყო კელი, შეახო მას და ჰრქეუა: მნებაეს, განწმიდენი.

42. და ვითარცა ესე თქუა, მეყსეულად განეყარა მას კეთროვნება იგი, და განწმიდნა იგი.

43. და შეჰრისხნა მას და მეყსეულად გამოაძო იგი

44. და ჰრქეუა მას: იხილე, ნუ ვის უთხრობ, არამედ მივედ და უჩუენე თავი შენი მდღელსა და შეწირე განწმედისა შენისათვის, \*\*რომელი-იგი ბრძანა მოსე საწამებელად მათა.

45. ხოლო იგი გამოვიდა მიერ და იწყო ქადაგებდად ფრიად და მიმოდებდად სიტყუსა მის, ვითარმედ ვერლარა კელ-ეწიფა მათ ცხადად ქალაქად შესლვად, არამედ გარე უდაბნოთა ადგილთა იყოფოდა. და მოვიდოდეს მისა ყოვლით კერძო.

## 2

ა 1. \*\*\*და შევიდა კულად კაპერნაუმად შემდგომად მცირედთა დღეთა: და ესმა რამეთუ სახლსა შინა არს.

2. და მეყსეულად შეკრბა მუნ სიმრავლე ერისა, ვიდრემდე ვერლარა იტევდა წინაშე კართა მათ, და ეტყოდა მათ სიტყუასა.

3. \*\*\*\*და მოვიდეს მისა და მოაქუნდა განრლუეული ზე-კრდებული ოთხთაგან.

4. და ვითარ ვერ შეუძლეს მიახლებად მისა ერისა მისგან, აღძარცუეს სართული სახლისა მის, სადა-იგი იყო, და აღიღეს და გარდაუტევეს ცხედარი იგი, რომელსა ზედა იდვა განრლუეული იგი.

5. და იხილა იესო სარწმუნოება იგი მათი და ჰრქეუა განრლუეულსა მას: შვილო, მიგეტევენენ შენ ცოდვანი შენნი!

6. ხოლო იყვნეს ვინმე მუნ მსხდომარენი მწიგნობართაგანნი და ზრახვიდეს გულთა შინა მათთა და იტყოდეს.

7. ვითარმედ: ესე გმობასა იტყუს: \*\*\*\*\*ვის კელ-ეწიფების მიტევებად ცოდვათა, გარნა მხოლოსა ღმერთსა?

8. ხოლო იესო მეყსეულად გულის ხმა-ყო სულითა, რამეთუ ესრეთ ზრახვენ გულთა შინა მათთა, და ჰრქეუა მათ: რამსა მაგას ჰზრახავთ გულთა შინა თქუენთა?

9. რამ უადვილეს არს სიტყუად განრლუეულისა ამის: მიგეტევენენ ცოდვანი შენნი, ანუ თქუმად: აღდეგ, აღილე ცხედარი შენი და ვიდოდე?

44. უჩუენე S. 3. განრლულა S. 4. აღძარცუეს S. განრლუელი. S. 5. განრლუელსა. S. ზრახვიდეს S. 9. განრლუელისა S.

\* შთე. 8. ა. 2. ლკა. 5. გ. 12. \*\* ლევ. 14. ა. 2. \*\*\* მთე. 6. ა. 1. \*\*\*\* ლკა. 5. დ. 18. \*\*\*\*\* ობ. 14. ა. 4. ესა. 43. დ. 25.

10. ხოლო რამთა უწყოდით, რამეთუ კელმწიფება აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვათა, (და ჰრქუა განრღუეულსა მას:)

ბ 11. შენ გეტყვ: აღდგა, და აღიღე ცხედარი შენი და წარვედ სახიდ შენ-  
და!

12. და მეყსეულად აღდგა იგი და აღიღო ცხედარი თსი და გამოვიდა წი-  
ნაშე ყოველთასა, ვითარმედ განუკრდებოდაცა ყოველთა და აღიღებდეს  
ღმერთსა და იტყოდეს, ვითარმედ: არა სადა ესრეთ ვიხილეთ.

13. და კუალად განვიდა ზღუს კიდესა, და ყოველი ვრი მოვიდოდა მისა;  
და მუნ ასწავებდა მათ. \*და წარვიდოდა,

14. იხილა ლევი აღფესი, მჯდომარე საზუერესა ზედა, და ჰრქუა მას:  
მომღევდი მე. და აღდგა და მისდევდა მას.

15. და იყო ვითარცა ინაკით ჯდა იგი სახლსა შინა მისა, და მრავალნი  
მეზუერენი და ცოდვილნი სხდეს იესოს თანა და მოწაფეთა მისთა თანა, რამე-  
თუ იყენეს მუნ მრავალნი და მისდევდეს მას.

გ 16. და მწიგნობართა მათ და ფარისეველთა, ვითარცა იხილეს იგი, რა-  
მეთუ მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჰკამს, ეტყოდეს მოწაფეთა მისთა: რამ-  
სათუს მეზუერეთა და ცოდვილთა თანა ჰკამს და სუამს?

17. \*\*და ესმა ესე იესოს, და ჰრქუა მათ: არა უკმს ცოცხალთა მკურნა-  
ლი, არამედ სნეულთა. არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა  
სინანულად.

18. და იყენეს მოწაფენი იოანესნი და ფარისეველნი მარხვასა შინა. და  
მოვიდეს მისა და ჰრქუეს მას: რამსათუს მოწაფენი იოანესნი და ფარისეველ-  
ნი იმარხვენ, და მოწაფენი შენნი არა იმარხვენ?

19. ჰრქუა მათ იესო: ვერ კელ-ეწიფების ძეთა სიძისათა, ვიღრე სიძე მათ  
თანა არს, მარხვად.

20. \*\*\*არამედ მოვლენან ღღენი, ოდეს ამალღდეს სიძე იგი მათგან, და მა-  
შინ იმარხვიდენ მას ღღესა შინა.

21. არავინ საღვმელი ახალი დაადგის სამოსელსა ძუელსა, უკუეთუ არა,  
მოაპის მისგან ცოცხალიცა იგი ახალმან მან ძუელისა მის და უძრვესად განი-  
პის.

დ 22. და არავინ შთაასხის ღუნო ახალი თხიერთა ძუელთა, რამთა არა  
განხეთქნეს ღუნომან ახალმან თხიერნი იგი, და ღუნო დაითხიოს, და თხიერნი  
წარწყმდენ: არამედ ღუნო ახალი თხიერთა ახალთა შთაასხიან.

23. \*\*\*\*დ იყო ვითარ-იგი თანა წარჰვიდოდა შაბათსა ყანებზისაგან, და მო-  
წაფეთა მისთა იწყეს გზასა სლვად და მუსრვად თავსა კუევილისასა.

24. ხოლო ფარისეველნი იგი ეტყოდეს მას: იხილე რასა ზემნ მოწაფენი  
შენნი შაბათსა შინა, რომელი არა ჯერ-არს ყოფად!

25. ხოლო იესო ჰრქუა მათ: \*\*\*\*არა სადა აღმოგიკითხავსა, რამ-იგი ყო  
დავით, რაემს იგი უჯმდა და შეემშია მას და მისთანათა?

26. ვითარ-იგი შევიდა სახლსა ღმრთისასა აბიათარ მღღელთმომღღერისა  
ზე და პურნი იგი შესაწირავთანი შეჰკამნა და სცა მისთანათაცა, რომელთა არა  
ჯერ-არს ჰკამად, \*\*\*\*\*გარნა მღღელთა ხოლო.

10. განრღუეულსა S. წარრავილოდა S. 14. საზუერესა S. 15. მეზუერენი S. 16. მე-  
ზუერეთა S. მეზუერეთა S. 21. ძუელსა S. ძუელსა S. 22. ძუელთა S. 25. ჰკამს S.  
26. ღმრთისასა S.

\* მთ. 9. ბ. 9. ლკა. 5. ვ 27. \*\* 1. ტიმთ. 1. გ. 15. \*\*\* მთ. 9. ბ. 15. ლკა.  
5. ბ. 35. \*\*\*\* მთ. 12. ა. 1. ლკა. 6. ა. 1. \*\*\*\*\* 1. მეფ. 21. ბ. 6. \*\*\*\*\* ლკა.  
24. ა. 9.



27. და ეტყოდა მათ: შაბათი კაცისათვის დაებადა, და არათუ კაცი შაბათისათვის. ვინაცა უფალ არს ძე კაცისა შაბათისაცა.

## 3

ა 1. \*და მერმე შევიდა შესაკრებელსა. და იყო მუნ კაცი, რომელსა კელი განემელ ედგა.

2. და უმზირდეს მას, უკეთუ შაბათსა განკურნოს იგი, რამათა შეასმინონ იგი.

3. და მას ჟამსა პრქუა იესო კაცსა მას, რომელსა კელი განემელ ედგა: აღდეგ და წარმოდეგ შორის!

4. და პრქუა მათ იესო: ჯერ-არს შაბათსა შინა კეთილისა საქმე ანუ ბოროტისა? სულისა ცხოვნება ანუ მოკლვა? ხოლო ივინი დუმნეს.

5. და მიმოიხილა მათა რისხვით და მწუხარედ სიბრმისათვის გულთა მათთა-სა და პრქუა კაცსა მას: განირთხ კელი შენი! და მან განირთხა, და კვალად მიეგო კელი იგი, ვითარცა ერთი იგი.

6. \*\*და ვითარცა გამოვიდეს მიერ ფარისეველნი იგი ჰეროდინელთა თანა, ზრახვა-ყვეს მისთვის, რამათა წარწყმიდონ იგი.

7. ხოლო იესო მოწაფითურთ განეშორა მათგან და მოვიდა ზღუს კიდედ. და მრავალი ერი შეუდგა მას გალილეათ და ჰურიასტანით.

8. იერუსალმად და იდუმით წიად იორდანიით და ტეროსით კერძო და სიდონით. ესმა მრავალსა სიმრავლესა, რაოდენსა-იგი იქმოდა, და მოვიდეს მისა.

ბ 9. და პრქუა მოწაფეთა თუსთა, რამათა ნავი განუმზადონ მას ერისა მისთვის, რამათა არა შეიადწრონ იგი.

10. რამეთუ მრავალთა განჰკურნებდა, ვითარმედ ზედაცა დაესხმოდა მას ერი იგი, რამათა შე-ოდენ-ეხნენ და რაოდენთა აქუნდა უძღურება და შეეხნეს, განიკურნებდეს.

11. და სულელები იგი არა წმიდად ხედვიდეს მას და შეუვრდებოდეს, ღაღადედეს და იტყოდეს: შენ ხარ ძე ღმრთისაჲ.

12. და ფრიად შეჰრისხნა მათ იესო, რამათა არა გამოაცხადონ იგი.

13. \*\*\*და აღვიდა მთასა და მოუწოდა, რომელთა უნდა მას; და მოვიდეს მისა.

14. \*\*\*\*და ყვნა ათორმეტნი იგი, რამათა იყვნენ მის თანა და წარავლინნეს ივინი ქადაგებად.

15. და რამათა აქუნდეს კელმწიფება განსხმად ეშმაკთა.

16. და დასდვა სახელები: სიმონს პეტრე,

17. და იაკობ ზებედესი და იოანე, ძმა იაკობისი, და დასდვა მათ სახე-ლები: ბანერგეს, რომელ არს ძენი ქუხილისანი;

გ 18. ანდრეა და ფილიპე ბართლომე და მატთეოს თომა და იაკობ ალფე-სი, თადეოს და სიმონ კანანელი;

19. და იუდა ისკარიოტელი, რომელმანცა მისცა იგი.

20. და მოვიდეს სახლსა, და შეკრბა მისა ერი, ვიდრემდის ვერ კელეწი-ებოდა მათ ვერცაღა პურისა ჭამად.

5. რახეთ S. 8. იმლმდ S.

\* მთე. 12. ა. 10. ლკა. 6. ა. 6. \*\* მთე. 12. ბ. 14. \*\*\* მთე. 10. ა. 1.

\*\*\*\* ლკა. 6. ბ. 15.

12. მცხეთური ხელნაწერი

21. და ესმა მის კერძოსათა და გამოვიდეს შეპყრობად მისა, რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ: განკრთომილ არს.

22. და მწიგნობარნი იგი, რომელნი იერუსალმით შთამოსრულ იყვნეს, იტყოდეს, \*ვითარმედ: ბელზებულის მის თანა არს, და მთავრითა ეშმაკთაჲთა განასხამს ეშმაკთა.

23. და მოუწოდა მათ და იგავით ეტყოდა: ვითარ კელ-ეწიფების ეშმაკსა ეშმაკისა განჯღად?

24. და უკეთუ მეუფება მეუფებასა განეცლათს, ვერ კელ-ეწიფების დამტკიცებად მეუფება იგი.

25. და უკეთუ სახლი სახლსა განეცლათს, ვერ კელ-ეწიფების სახლი იგი დამტკიცებად.

26. და უკეთუ ეშმეკი თავსა თუსსა ზედა აღდგომილ არს და განყოფილ არს, ვერ კელ-ეწიფების დამტკიცებად, არამედ აღსასრული აქუს.

27. და არცა ვის კელ-ეწიფების შესლვად სახლსა ძლიერისასა და ჭურჭელი მისი გამოტყუენვად, არა თუ პირველად ძლიერი იგი შეკრას და მაშინ-და სახლი მისი გამოტყუენოს.

და 28. \*\*ამინ გეტყვ თქუნენ, ვითარმედ ყოველივე მიეტეოს ძეთა კაცთა ცოდვანი და გომბანი, რაოდენსაცა ჰგომბდენ;

29. ხოლო რომელმან თქუას გომბა სულისა წმიდისათვის, არა აქვს მიტეება უკუნისამდე, არამედ თანამდებ არს იგი საუკუნოსა საშჯელსა.

30. რამეთუ იტყოდეს, ვითარმედ: სული არა წმიდაჲ არს მის თანა.

31. \*\*\*მოვიდეს უკუე ძმანი მისნი და ღელა მისი და გარეშე ღგეს და მოუვლინეს მას და გამოხადოდეს.

32. და სხდა გარემო მისა ერი მრავალი, და ვითარცა ჰრქუენ მას: აჰა ღელა შენი და ძმანი შენი გარე ღგანან და გეძიებენ შენ,

33. მიუგო იესო და ჰრქუა: ვინ არს ღელა ჩემი ანუ ძმანი ჩემნი?

34. და მიმოიხილა გარემო მისა მოწაფეთა თუსთა მსხდომარეთა და ჰრქუა: აჰა ღელა ჩემი და ძმანი ჩემნი!

35. რამეთუ რომელმან ყოს ნება ღმრთისაჲ, ესე არს ძმა ჩემი და დაჲ ჩემი და ღელა ჩემი.

## 4

ა 1. \*\*\*\*მერმე კულად იწყო სწავლა ზღვს-კიდესა; და შეკრა მისა ერი მრავალი, ვიდრე შესლვადმდე მისა ნავად, და დაჯდა იგი ნავსა მას ზღუასა შინა; და ყოველი იგი ერი ზღვს-კიდესა ქუეყანასა ზედა დგა.

2. და ასწავებდა მათ იგავით ფრიად და ეტყოდა მათ სწავლასა მას მისსა:

3. ისინეთ ესე: გამოვიდა მთესვარი თესვად.

4. და იყო თესვასა მას მისსა რომელიმე დავარდა გზასა ზედა, მოვიდეს მფრინველნი და შეჭამეს იგი.

5. და სხუა დავარდა კლდოვანსა ზედა, სადა არა იყო მიწა ფრიად, და მეყსეულად აღმოსცენდა, და რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისა.

6. და ვითარცა მზე აღმოჰქვდა და დასცხა, და რამეთუ ძირნი არა დაებნეს, განკმა.

22. ოქლმით S. 27. გამოტყუენვად S. გამოტყუენოს S. 29. აქვს sic. 31. უკუე S.

\* შთი. 9. დ. 34. \*\* შთე. 2. გ. 31. ლკა. 12. ბ. 10. ოწე. 5. დ. 16. \*\*\* შთე 12. დ. 4 ბ. ლკ. 8. გ. 19. შთე. 15. ა. 1. ლკა. 8. ა. 4.

7. და სხუა დავარდა ეკალთა შორის; და აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშთვეს იგი, და ნაყოფი ვერ გამოიღო.

8. და სხუა დავარდა ქუეყანასა კეთილსა და მოსცემდა ნაყოფსა, აღმოვიდოდა და აღორძნდებოდა და მოაქუნდა ოცდაათეული, სამოცეული და ასეული.

9. და ეტყოდა: რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ.

10. და ოდეს იყო იგი თუსაგან, ჰკითხეს მას მოწაფეთა მისთა: რა არს იგავი ესე?

ბ 11. ხოლო იგი ეტყოდა მათ: თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლო იგი სასუფევლისა ღმრთისაჲ, ხოლო გარეშეთა მათ — ყოველივე იგავით სიტყუად.

12. რაჲთა ზედვით ზედვიდენ და არა იხილონ და სმენით ესმოდის და ვერ გულსხმა-ყონ, ნუჟუკუე მოიქცენ და მიეტეოს მათ ცოდვა მათი.

13. და ჰრქუა მათ: არა იცითა იგავი ესე? და ვითარ უკუე ყოველნი იგავნი გულსხმა-ჰყვენთ?

14. რომელი-იგი სთესავს, სიტყუასა მას სთესავს.

15. ხოლო ესენი არიან, რომელნი-იგი გზასა ზედა, სადა-იგი დაეთესის სიტყუა, და რაჲამს ისმინიან, მეყსეულად მოვიდეს ეშმაკი და მიუღის მათ სიტყუა იგი გულთაგან მათთა.

16. და ესენი არიან კლდოვანსა მას დათესულნი: რომელთა-იგი რაჲამს ისმინიან სიტყუა, მეყსეულად სიხარულით მიიღიან.

17. და რამეთუ არა უბნ ძირი მათ შორის, არამედ საწუთო არიედ; და რაჲამს მოიწიის ჰკირი ანუ დევნულება სიტყუსა მისთვის, მეყსეულად დაჰბრკოლდიან.

18. და რომელნი ეკალთა შორის დაეთესნეს, ესენი არიან: რომელთა სიტყუა იგი ისმინიან,

19. \*\*და ზრუნვანი ამის სოფლისანი და საცთური სიმდიდრისა შეუქდის, და შეაშთვიან სიტყუა იგი, და უნაყოფო იქმნის.

გ 20. და ესენი არიან, რომელნი კეთილსა ქუეყანასა დაეთესნეს: რომელთა ისმინიან სიტყუა იგი და შეიწყნარიან და ნაყოფი გამოიღიან: ოცდაათეული, სამოცეული და ასეული.

21. \*\*\*და ეტყოდა მათ: ნუ სანთელი მოიღიან და ჯუმირსა ქუეშე შედგიან ანუ ცხედარსა ქუეშე დადგიან? ანუ არა სასანთლესა ზედა დადგიან?

22. \*\*\*\*რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნე, არცა იყოს საიდუმლოდ, არამედ რაჲთა განცხადებულად მოვიდეს.

23. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

24. და ეტყოდა მათ: იხილეთ, რაჲ ესე გესმის, \*\*\*\*\*რომელთა საწყაულითა მიუწყოთ, მოგეწყოს თქუენ და ზედა დაგერთოს თქუენ, რომელთა-ეგგე-გესმის.

25. \*\*\*\*\*რამეთუ რომელსა აქუნდეს, მიეცეს მას, და რომელსა არა აქუნს და რომელთა-იგი აქუნდეს, მო-ვე-ედოს მას.

12. ნუჯუშ S. 13. უკუშ. გულსხმა S.

\* ესა. 6. გ. 9. შთე. 13. ბ. 14. ლკა. 8. ბ. 10. იწე. 12. ე. 40. საქ. 28. ე. 26. ჰრო. 11. ბ. 8. \*\* 1. ტიზო. 6. დ. 17. \*\*\* შთე. 5. ბ. 15. ლკა. 8. ბ. 6. და 11. ე. 33. \*\*\*\* შთე. 10. გ. 26. ლკა. 8. ბ. 17. \*\*\*\*\* შთე. 7. ა. 2. ლკა. 6. ე. 38. \*\*\*\*\* შთე 13. ბ. 12. და 25. ა. 29. ლკა. 8. ა. 18. და 19. დ. 26.

26. და ეტყოდა მათ: ესრეთ არს სასუფეველი ღმრთისა, ვითარცა-იგი კაცმან დასთესის თესლი ქუეყანასა

27. და დაიძინის, და აღდგის ღამე და ღღე და თესლი იგი აღმოსცენდის და განორძნდებინ, ვითარ-იგი მან არა უწყინ,

28. რამეთუ თუსით თავით ქუეყანა ნაყოფსა გამოიღებს: პირველად წუელი, მერმე თავი, მაშინდა საესე იფქლი თავსა მას შინა.

29. და რაჟამს მოსცის ნაყოფი, მეყსეულად მოავლინის მანგალი, რამეთუ მოიწია მკა.

30. და ეტყოდა: რამსა ვამსგავსოთ სასუფეველი ღმრთისა? ანუ რომელი იგავი მოვიღოთ მისთვის?

31. \*ვითარცა მღოგვსა მარცუალი, რომელი დაეთესის ქუეყანასა, რამეთუ უმცირეს არს იგი ყოველთა თესლთა, რომელნი არიან ქუეყანასა ზედა.

32. და. ოდეს დაეთესის, და აღმოჯდის და იქმნის იგი უფროს ყოველთა მხალთა, და გამოიხუნის რტონი დიდ-დიდნი, ვითარმედ შესაძლებელ არიან-ცა ქუეშე საგრილსა მისსა მფრინველთა ცისათა დადგრომად.

33. და ესევითარითა იგავითა ეტყოდა მათ სიტყუასა, ვითარცა შემძლებელ იყუნეს იგინი სმენად.

34. და თუნიერ იგავისა. არა რას ეტყოდა მათ; ხოლო თვსაგან მოწაფეთა გამოუთარგმანის იგი ყოველი.

35. მას ღღესა შინა, ვითარცა შემწუხრდა, პრქუა მათ: წიადვედეთ მიერ კერძო.

36. და დაუტევეს ერი იგი და წარიყვანეს იგი მოწაფეთა. ვითარცა იყო ნავსა მას შინა, და სხვადა ნავები, რომელი იყო მის თანა.

37. \*\*და იყო მეყსეულად ბორბალი ქარისა დიდი და ღღესასა მას შთაას-ხმიდა ნავსა, ვითარმედ აღ-ცა-ივსებოდა ნავი იგი.

38. და თავადი იყო პირით კერძო თავსა მას ნავისასა და ეძინა. და განაღძმებდეს მას და ეტყოდეს: მოძღუარ, არა ზრუნავ, რამეთუ წარვეყმდებით?

39. და აღდგა და შეპრისხნა ქარსა მას და ზღუასა და პრქუა: დადუმენ და პირი დაიყავ; და დასცხრა ქარი იგი, და იქმნა დაყუღება დიდ.

40. და პრქუა მათ: რასა ესეოდენ მოშიშ ხართ? ვითარ არა გაქუს სარწმუნობა? და შეეშინა მათ შიშითა დიდითა და იტყოდეს ურთიერთას: ვინმე არს ესე, რამეთუ ქარნიცა და ზღუადაცა ერჩიან მას?

## 5

ა 1. და მოვიდეს წიად ზღუასა მას, \*\*\*სოფელსა მას ლადარინელთასა.

2. და ვითარცა გამოვიდა იგი ნავით, მეყსეულად მოგებოდა მას საფლავებისაგან კაცი, რომლისა თანა იყო არაწმიდა მსული,

3. რომელსა საყოფელადვე აქუნდა საფლავები. და არცადა ჯაჭუეებითა ვის კელეწიფა შეკრვად იგი.

4. მრავალ გზის ჯაჭუთა და ბორკილითა შეკრულ იყო იგი და განხეთქის და შემუსრის, და არავის ეძლო დაყენებად მისა.

28 წუელი S. 32. ქუეშე S. 40. ერჩიანქმონ S. ვ. ჯაჭუეებითა S.

\* მთე. 13. დ. 31. ლკა. 13. დ. 19. \*\* მთე. 8. გ. 24. ლკა. 8. გ. 22. \*\*\* მთე. 8. დ. 28. ლკა. 8. დ. 26.

5. და მარადის ღამე და ღღე საფლავებსა და მათაა გარე იქცევი, ღაღა-ღებნ და დაიკოდნ თავსა თუსსა ლოდითა.

6. და ვითარცა იხილა მან იესო შორით, მორბიოდა და თაყუანის-სცა.

7. ღაღაღებდა კმითა დიდითა და იტყოდა: რაჲ ძეს ჩემი და შენი, იესო, ძეო ღმრთისაო მალლისაო? გაფუცებ შენ ღმერთსა, ნუ მტანჯავ მე.

8. რამეთუ ეტყოდა მას იესო: სული ეგე არა წმიდაჲ. განვედ კაცისა მაგისგან!

9. და ჰკითხა მას: რაჲ არს სახელი შენი? და ჰრქუა მას: ლეგეონ არს სახელი ჩემი, რამეთუ მრავალ ვართ.

10. და ევედრებოდა მას ფრიად, რამათა არა განასხნეს ივინი გარეშე სოფელსა.

11. და იყო მუნ კოლტი ღორთა დიდძალი, მათსა გარე მძოვარი.

12. და ევედრებოდეს მას ყოველნი იგი ეშმაკნი და ეტყოდეს: მიმავლინენ ჩუენ ღორებსა იმას, რამათა მათა შევიდეთ.

ზ 13. და უბრძანა მათ. და განვიდა სულეზი იგი არაწმიდაჲ კაცისა მისგან და შევიდა ღორებსა მას. და მიმართა კოლტმან მან ღორებისამან კბოდესა მას ზღუად, (რამეთუ იყვნეს ვითარ ორ ათას) და დაიშთვნეს ზღვასა მას შინა.

14. ხოლო მწყემსნი იგი მათნი ივლტოდეს და უთხრეს ქალაქსა და დაბნებსა. და გამოვიდეს ხილვად, რაჲ-ძი არს, რომელი-იგი იქმნა.

15. და მოვიდეს იესოსა და იხილეს ეშმაკეული იგი მჯდომარე შემოსილი და გონიერი, რომლისა თანა-იგი ყოფილ იყო ლეგეონი, და შეეშინა.

16. და უთხრობდეს მათ, რომელთა-იგი ეხილვა, ვითარ-იგი იქმნა ეშმაკეულისა მისთვის და ღორებისა მისთვის.

17. და ევედრებოდეს მას, რამათა წარვიდეს საზღვართა მათთაგან.

18. და აღ-რა-ვიდა იესო ნაცსა, ევედრებოდა მას რომელი-იგი იყო პირველ ეშმაკეული, რამათა მის თანა იყოს.

19. და არა უტევა იგი, არამედ ჰრქუა მას: წარვედ სახიდ შენდა თუსთა შენთა თანა და უთხარ მათ, რაოდენი გიყო შენ უფალმან და შეგიწყალა.

20. და წარვიდა იგი და იწყო ქადაგებად ათქალაქსა მას, რაოდენი უყო მას იესო და ყოველთა უკურდა.

21. და წილქდა რაჲ კულად იესო მიერ კერძო, შეკრბა მისა ერი დიდძალი. და იყო ზღუს კიდესა.

გ 22. \*და აჰა მო-ვინმე-ვიდა მისა ერთი შესაკრებელის მთავარი, სახელი მისი იაროს, იხილა იგი და შეუვრდა ფერკთა მისთა

23. და ევედრებოდა მას ფრიად და ეტყოდა, ვითარმედ: ასული ჩემი აღესრულების, რამათა მოხვდეს და დაასხნე კელნი მას ზედა, და განერეს და ცხონდეს. და წარვიდა იესო მის თანა.

24. და მისდევდა მას ერი მრავალი და შეაურვებდეს მას.

25. და დედაკაცი ვინმე იყო მუნ, რომელი იყო წყაროთა სისხლისათა გუმულ ათორმეტ წელ.

26. და ფრიად ვნებულ იყო იგი მრავალთაგან მკურნალთა, და წარეგო ყოველივე მისი, და არა რაჲ სარგებელ ეყო, არამედ უფროსად უძვირესად მოვიდა.

7 ღმრთისაო] რა S. გაფუცებ] გაფუც S. 12. ჩუენ S. 15. შეეშინა] შეეშინა S. 25. გულ-26. უძვირესად sic.

\* შოთე. 9. გ. 18. ლკა. 8. ე. 41.

27. და ვითარცა ესმა იესოსთვის, მოუხდა მას ერსა მას შორის ზურგით კერძო და შეახო სამოსელსა მისსა,

28. რამეთუ იტყოდა გულსა შინა თვისსა: და დათუ სამოსელსა ოდენ მისსა შევახო, ვცხონდე.

29. და ვითარცა შეეხო, მეყსეულად განვმა წყარო იგი სისხლისა მის და ცნა კორცთაგან, რამეთუ განიკურნა გუემულეობისაგან.

30. ხოლო იესო გულისკმა-ყო მეყსეულად თავით თვისით განსრული იგი ძალი მსგან, მოიქცა ერისა მის და თქუა: ვინ შემახო სამოსელსა ჩემსა?

31. ხოლო მოწაფენი მისნი ეტყოდეს მას: ხედავ ერსა ამას, რამეთუ შე-გაპირებენ შენ და შენ იტყუ: ვინ შემახო მე?

32. და მიმოხედვიდა, რამთა იხილოს, რომელმან-ესე ყო.

33. ხოლო დედაკაცსა მას შეეშინა და ძრწოდა, უწყოდა რამ-იგი იქმნა მის ზედა, მოვიდა და შეუვარდა მას და უთხრა მას ყოველი ჭეშმარიტი.

34. ხოლო თავადმან ჰრქვა მას: \*ასულო, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ, წარვედ მშუღობით და იყავ შენ ცოცხალ გუემულეობისაგან შენისა.

35. და ვითარ-იგი ამას იტყოდა, მოვიდეს შესაკრებელის მთავრისანი მის და ეტყოდეს: ასული შენი აღესრულა, რამსაღა აშრომებ მოძღუარსა?

36. ხოლო იესოს ვითარ ესმენს სიტყუანი ესე, რომელსა ეტყოდეს, ჰრქუა შესაკრებელთმთავარსა მას: ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ ხოლო.

37. და არავინ უტევა მიღვენებად მის თანა, გარნა პეტრე და იაკობ და იოანე, ძმა იაკობისი.

38. და მოვიდა სახლსა მას შესაკრებელთმთავრისასა და იხილა შფოთი და ტირილი და დაღადება ფრიადი.

39. და შევიდა და ჰრქუა მათ: რასა აღშფოთებულ ხართ და სტოართ? ყრმა ეგე არა მომკუდარ არს, არამედ სძინავს.

40. და ივანი ჰბასრობდეს მას. ხოლო თავადმან გამოასხა ყოველი იგი შფოთი და მიიყვანა მამა მის ყრმისა და დედა და მოწაფენი მისნი და შევიდა, სადა-იგი იდვა მკუდარი იგი ყრმა.

41. და უპყრა კელი ყრმისა მის და ჰრქუა მას: ტალითა კუმი! რომელ არს თარგმანებით: (შენ გეტყუ) ყრმაო, აღდეგ.

42. და მეყსეულად აღდგა ქალი იგი და იწყო სლევად, რამეთუ იყო იგი ათორმეტის წლის ოდენ. და განუკრდებოდა მათ განკრეებითა დიდითა ფრიად.

6. და ამცნებდა მათ ფრიად, რამთა არავინ აგრძნას ესე, და უბრძანა მათ, რამთა სცენ მას ჭამადი.

## 6

ა 1. \*\*და გამოვიდა მიერ და მოვიდა თვისა მამულად, და მოსდევდეს მას მოწაფენი მისნი.

2. და იყო შაბათი, და იწყო შესაკრებელსა მათსა სწავლად მათა. და მრავალთა, რომელთა ესმოდა, განუკრდებოდა და იტყოდეს: ვინ არს ესე ამისა? ანუ რამ არს სიბრძნე ესე მოცემული ამისა, და ძალნი ესოდენნი, კელთაგან ამისთა რომელნი იქმნებიან?

29. გუემულეობისაგან S. 30. გულისკმა ყო S. 34. გუემულეობისაგან S.

\* ლკა. 7. ზ. 50. და 8. ზ. 48. \*\* შთე. 13. ზ. 54. ლკა. 4. გ. 14.

3. ანუ არა ესე არსა ხუროსა მის და ძე მარიამისი, და ძმა იაკობისი და იოსესი, ოუდასი, და სიმონისი, და დანი მისნი ყოველნი ჩუენ თანა არიან? და დაბრკოლებოდეს მისსა მიმართ.

4. ხოლო იესო ეტყოდა: \*არა არს წინაწარმეტყუელი შეურაცხ, გარნა თუსსა სოფელსა და ნათესავთა შორის მისთა და სახლსა შინა თუსსა,

5. და არა ქმნა ძალი არცა ერთი, გარნა მცირედთა სნეულთა კელი დას-  
დვა და განკურნნა იგინი.

6. და დაუკურდა ურწმუნოება იგი მათი და მიმოიქცეოდა გარემო სოფ-  
ლებსა მას და ასწავებდა მათ.

7. \*\*და მოუწოდა ათორმეტთა მათ და იწყო წარვლინებად მათა ორ-  
ორისა და მისცემდა კელმწიფებასა სულთა ზედა არაწმიდათა.

8. და ამცნებდა მათ, რამთა არა რამ მიიღონ გზასა ზედა, გარნა კუერთხი  
ხოლო, ნუცა ვაშკარანი, ნუცა პური, ნუცა სარტყელსა რვალი.

9. და რამთა ესხნენ სანდლანი, და ნუცა შემოსად ორი სამოსელი.

ბ 10. და ეტყოდა მათ: ვიდრეცა შეხვიდეთ სახლსა, მუნ დაადგერით ვიდ-  
რე მიერ გამოსლვადმდე.

11. და რაოდენთა არა შეგიწყნარნენ თქუენ და არცა ისმინონ თქუენი,  
\*\*\*გამო-რა-ხვდოდით მიერ, განიყარეთ მტუერი ფერკთავან თქუენტა საწა-  
მებელად მათა. ამინ გეტყუს თქუენ: უმოლხინეს იყოს სოლომისა და გომორი-  
სა ღლესა მას საშჯელისასა, ვიდრე ქალაქისა მის.

12. და გამოვიდეს და ქადაგებდეს, რამთა შეინანონ.

13. და ეშმაკნი მრავალნი განასხნეს \*\*\*\*და სცხებდეს ზეთსა მრავალთა  
სნეულთა და განკურნებდეს.

14. \*\*\*\*\*და ესმა ჰეროდეს მეფესა, (რამეთუ განცხადნა სახელი მისი)  
და იტყოდა, ვითარმედ: იოანე ნათლის-მცემელი მკუდრეთით აღდგომილ არს,  
და მისთვის იქმნებიან ძალნი მის თანა.

15. და სხუანი იტყოდეს: ელია არს, გინა ვითარცა ერთი წინაწარმე-  
ტყუელთაგანი პირველთა.

16. ესმა რა ჰეროდეს, თქუა, ვითარმედ: რომელსა მე თავი მოვკუეეთე  
იოანეს, იგი აღდგომილ არს მკუდრეთით.

17. \*\*\*\*\*რამეთუ ამან ჰეროდე მიავიინა და შეიპყრა იოანე, შებორკი-  
ლა იგი და შესვა საპყრობილედ ჰეროდიადასთვის, ცოლისა ფილიპეს, ძმისა  
მისისა, რამეთუ იგი შეირთო ცოლად.

18. რამეთუ ეტყოდა იოანე ჰეროდეს, \*\*\*\*\*ვითარმედ: არა ჯერ-არს  
შენდა, ვითარმცა ცოლად გესუა ძმის ცოლი შენი.

19. ხოლო ჰეროდის გულსა დაედვა მისთვის და უნდა მოკლვა მისი და  
ვერ კელ-ეწიფა,

20. რამეთუ ჰეროდეს ეშინოდა იოანესა და იცოდა იგი, რამეთუ მართა-  
ლი და წმიდაა არს, და სცვიდა მას, და ისმინის მისი და მრავალსა პატივისა  
უყოფდა და ჯეროვნად ისმენდა მისსა.

8. კუერთხი S. 11. მტუერი S. 16. მოვკუეეთე S. 20. სცოდა S.

\* შთე. 13. ზ. 57. ლკა. 4. დ. 24. ინი 4. ვ. 44. \*\* შთე. 10. ა. 1. ზე. 3. ბ.  
14. ლკა. 9. ა. 1. სქმე. 12. ე. 8. \*\*\* შთე. 10. ბ. 14. ლკა. 9. ა. 5. სქმე. 13. ზ.  
51. და. 18. ბ. 6. \*\*\*\* იკობ. 5. დ. 14. \*\*\*\*\* შთე. 11. ა, 12. ლკა. 9. ა. 7.  
\*\*\*\*\* ლკა. 3. დ. 19. \*\*\*\*\* ლევ. 18. ბ. 16.

21. და ვითარცა იყო დღე მარჯუენ, ოდეს ჰეროდე ესმისა შობისა მისისა სერი უმზადა მთავართა მისთა და ათასისთავთა მისთა და აზნაურთა გალილეასათა.

22. და შევიდა ასული ჰეროდისი და როკვიდა; და სთნდა ჰეროდეს და მის თანა მერინავეთა. და ჰრქუა ჰეროდე მეფემან ქალსა მას: მთხოვე, რაცა გნებავს, და მიგცე შენ.

23. და ეფუცა მას, ვითარმედ: რაცა ითხოო, მიგცე შენ ვიდრე ზოგადმდე მეფობისა ჩემისა.

24. ხოლო იგი გამოვიდა და ჰკითხა დედასა თქსსა, ვითარმედ: რა ვითხოო? ხოლო მან ჰრქუა მას: თავი იოანე ნათლისმცემელისა.

25. და შევიდა ქალი იგი მსწრაფლ მეფისა და ჰრქუა: მნებავს, რაათა აწვე მომცე მე ლაქნითა თავი იოანე ნათლისმცემელისა.

26. და მწუხარე იქმნა ჰეროდე მეფე, ხოლო ფიცისა მისთვის და მის თანა მერინავეთა არა ინება შეურაცხ-ყოფა ქალისა მის.

27. და მეცხეთლად წარავლინნა მეკრძლე მისი და უბრძანა მოღებად თავი მისი. ხოლო იგი წარვიდა და მოჰკუეთა თავი საპყრობილესა შინა.

28. და მოიღო თავი მისი ფეშხუნითა და მისცა ქალსა მას, და ქალმან მან მიართუა დედასა თქსსა.

29. და ესმა მოწაფეთა მისთა, მოვიდეს და შემოსეს გუამი მისი და დაფლეს საფლავსა.

30. და მოვიდეს და შემოკრბეს მოციქულნი იესოსა და უთხრეს მას ყოველი, რაოდენი ქმნეს და ასწავეს.

31. \*და ჰრქუა მათ იესო: მოვედით თქუენ თქსაგან უდაბნოსა ადგილსა და განისუენეთ მცირედ, რამეთუ იყვნეს მომავალნი და წარმავალნი მრავალ და არღარა პურისა ჰამად აცალბდეს.

32. \*\*და წარვიდეს უდაბნოსა ადგილსა ნავითა თქსაგან.

33. და იხილა ერმან მან, წარ-ლა-ვიდოდეს და გულისხმა-ყვეს მრავალთა, და მკურცხლ ყოვლისაგან ქალაქებისა შეკრბა მუნ და მოვიდეს მათა.

34. და გამოვიდა იესო და იხილა ერი მრავალი და შეეწყალნეს იგინი, რამეთუ იყვნეს ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი. და იწყო სწავლად მათდა ფრიად.

35. და ვითარ მრავალი ესმი წარსრულ იყო, მოვიდეს მოწაფენი მისნი და ეტყოდეს მას, ვითარმედ: უდაბნო არს ადგილი ესე, და ესმი არსლა ფრიად.

36. განუტევე ერი ესე, რაათა წარვიდენ გარემო სოფლებსა და სანახებბსა და იყიდონ თავისა მათისა საზრდელი, რამეთუ რამცა ჰამეს, არა აქუს.

37. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ეცით თქუენ მაგათ ჰამადი, ხოლო მათ ჰრქუეს მას: წარვიდეთ და ვიყიდოთ ორასი დრაჰმისა პური და ვსკეთ მათ ჰამადი?

38. ხოლო იესო ჰრქუა მათ: რაოდენი გაქუს პური? მივედით და იხილეთ. და იხილეს და ჰრქუეს: ხუთი პური და ორი თევზი.

39. \*\*\*და უბრძანა მან დასხდომი მათ ყოველთა პურისმტედ-პურისმტედ მწუანვილისა ზედა თივისასა.

40. და დასხდა მწყობრად-მწყობრად ას-ასი და ერგასის-ერგასისი.

21. მარკუს S. მოკუმთა S, 22- როკვდა S. 28. ფეშხუნითა S. 33 გულის ხმა S. 39. პურისქუის S.

\* მთე. 14. ბ. 13. ლკა. 9. ა. 10. ინე. 6. ა. 1. \*\* ლკა. 9. ბ. 10. \*\*\* ინე



ვ 41. და მოილო ხუთი იგი პური და ორი თევზი და აღიხილნა ზეცად და აკურთხა და დამუსრა პური იგი და მისცემდა მოწაფეთა თვსთა, რაჲთა დაუგონ მათ: და ორი იგი თევზი ეგრეთვე განუყო ყოველთა.

42. და ჰამეს ყოველთა და განძღეს.

43. და აღიღეს ნეშტი ნამუსრევი ათორმეტი გოდორი საესებით და თევზისა მისგანცა.

44. და იყენეს რაოდენთა-იგი ჰამეს, ვითარ ხუთ ათას კაცნი.

45. და მეყსეულად აიძულა მოწაფეთა შესლვად ნავსა. რაჲთა წინაწარუძღლენ მას წიად კერძო ზღუასა მას ბეთსაიდათ, ვიდრემდე განუტეოს მან ერი იგი.

46. და უჯმნა მათ და აღვიდა მათასა ლოცვად.

47. და ვითარცა შემწუხრდა, იყო ნავი იგი შუა ოდენ ზღუასა მას, და იგი თავადი მარტო ქუეყანასა.

48.\* და იხილნა იგინი, რამეთუ იურვოდეს სლვასა მას ნავისასა, (რამეთუ იყო ქარი იგი პირით კერძო მათსა). და მეოთხესა საცუმოლავსა ღამისასა მოვიდა მათა იესო სლვით ზღუასა ზედა და უნდა თანა-წარსლვად მათგან.

49. ხოლო მათ ვითარცა იხილეს იგი, ვიდოდა რა ზღუასა ზედა, ჰგონებდეს, ვითარმედ საოცარ რამეს არს, და დაღაღ-ყვეს.

§ 50. რამეთუ ყოველთა იხილეს იგი და შეძრწუნდეს. და მეყსეულად ეტყოდა მათ და ჰრქუა: გულ-პყრობილ იყვენიოთ, მე ვარ, ნუ გეშინინ!

51. და აღვიდა მათ თანა ნავსა და დასცხრა ქარი იგი; და უმეტესად დაუკრღღებოდა მოწაფეთა მისთა.

52. რამეთუ ვერ გულის-ხმა ყვეს პურთა მათ ზედა, რამეთუ იყენეს გულნი მათნი დასულებულ.

53. \*\* და წიაღძღეს და მოვიდეს ქუეყანად გენესარეთად.

54. და ვითარ გამო-ოდენ-ვიდეს მიერ ნავით, მეყსეულად იცნეს იგი კაცთა მათ მის ადგილისათა.

55. და მიმორბიოდეს ყოველსა მას სოფლებსა და იწყეს მოღებად ყოველთა სნეულთა ცხედრებითა, სადაცა ესმის, ვითარმედ: მუნ არს.

56. და ვიდრეცა შევიდოდა დაბნებსა და ქალაქებსა და აზარაკებსა, უბანთა ზედა დასდგმიდეს უძღურთა მათთა და ევედრებოდეს მას, რაჲთა ფესუსა ოდენ სამოსლისა მისისასა შეახონ. და რაოდენნი შეეხებოდეს, ცხონდებოდეს.

## 7

ა 1. და შეკრბეს მისა ფარისეველნი და რომელნიმე მწიგნობართაგანნი, რომელნი მოსრულ იყვნეს იერუსალმით.

2. \*\*\* და იხილნეს ვინმე მოწაფეთა მისთაგანნი შეგინებულთა კელითა (ესე იგი არს უბანელითა კელითა), ჰამდეს პურსა, და ჰგმობდეს.

3. რამეთუ ფარისეველთა და ყოველთა პურიათა უკეთუ არა იდაყვთვან დაიბანნიან კელნი, არა ჰამიან, რამეთუ ეპყრა მათ მოცემული იგი მოძღურება ხუცესთა.

45. წინაწარუძღლენ S. 48. იგი S. 52. გულისხმა S. 1. იძღვით S. 3. პურიათაქროთა S.

\* მთე. 14. ბ. 25. \*\* მთე. 14. დ. 34. \*\*\* მთე. 15. ა. 2.

4. და უბანთაგან რა შევილიან, უკეთეთ არა იბანნიან, არა ჭამიან. და სხუა-ცა მრავალი არს, რომელი მოედო პყრობად: განრცხა სასუმლებისა და სტამ-ნებისა და ქუაბებისა და ცხედრებისა.

5. მაშინ ჰკითხეს მას ფარისეველთა მათ და მწიგნობართა: რასათუხ მო-წაფენი შენნი არა ვლენან მოძღურებისაებრ ხუცესთაჲსა, არამედ უბანელი-თა კელითა ჭამენ პურსა?

6. ხოლო იესო მიუგო და პრქუა მათ, რამეთუ: კეთილად თქუა ესაია წი-ნაწარმეტყუელმან თქუენ ორგულთათჳს, ვითარცა წერილ არს, \*ვითარმედ ერი ესე ბავითა მათითა პატივ-მცემს მე, ხოლო გულნი მათნი შორად განშორებულ არიან ჩემგან.

7. ამოდ მმსახურებენ მე, ასწავებენ მცნებასა და მოძღურებასა კაცთასა.

8. და დაგიტევებიეს მცნება ღმრთისა და გიპყრიეს მოძღურება კაცთა. განრცხა სასუმლებისა და სტამნებისა, დასხუასაესევეითარსა მრავალსა ჰყოფთ.

9. და ეტყოდა მათ: კეთილად შეურაცხ-ჰყოფთ მცნებასა ღმრთისასა, რად-თა მოძღურება თქუენი დაამტკიცოთ.

10. რამეთუ მოსე თქუა: \*\*პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა \*\*\*და რომელმან ბოროტი თქუას მამისათჳს გინა დედისათჳს, სიკუდილითა მოკუე-დინ.

11. ხოლო თქუენ სთქუთ: უკეთუ პრქუას კაცმან მამასა ანუ დედასა, კობან (რომელ არს ნიჭი), რომელი რა ჩემგან სარგებელ გეყოს.

12. და არა უტევებთ მათ მამასა და დედასა ყოფად.

13. და დაუმტკიცებელ გიყოფიეს სიტყუა ღმრთისაჲ მოძღურებითა მაგით თქუენითა, რომელსა ასწავებთ და მსგავსსა ამათსა მრავალსა ჰყოფთ.

14. \*\*\*\*და მოუწოდა ყოველსა მას ერსა და ეტყოდა მათ: ისმინეთ ჩემი ყოველთა და გულისხმა-ყავთ.

15. არარა არს კაცისა გარეთ შემავალი მისა, რომელმანცა შეაგინა იგი, არამედ რომელი გამოვალს მისგან, იგი არს, რომელი შეაგინებს კაცსა.

16. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

17. და ოდეს შევიდა სახიდ ერისა მისგან, ჰკითხვიდეს მას მოწაფენი მისნი იგავისა მისთჳს.

18. და პრქუა მათ: ეგრევე თქუენცა უგულისკმოვე ხართა და არა გიც-ნობიეს, რამეთუ ყოველი გარეშე შემავალი კაცსა არა შეაგინებს?

19. რამეთუ არა შევალს გულსა, არამედ მუცლად, და განსავალით გან-ვალს და განსწმედს ყოველსა ჭამადსა.

20. და იტყოდა, ვითარმედ: კაცისაგან გამოშავალი შეაგინებს კაცსა,

21. \*\*\*\*\*რამეთუ შინაგან გულისაგან კაცთასა გამოვლენან გულის-სი-ტყუანი ბოროტნი, მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, კაცის-კლვანი,

22. ანგაპრებანი, და უკეთურებანი, ზაკვანი, არაწმიდებანი, თუალ-ბოროტებანი, გმობანი, ამპარტავანებანი, უგუნურებანი.

23. ესე ყოველნი ბოროტნი შინაგან გამოვლენ და შეაგინებენ კაცსა.

24. \*\*\*\*\*და მიერ აღდგა. და წარვიდა საზღვართა ტვროსისა და სიდო-ნისათა. და შევიდა სახლსა და არა უნდა, რათამცა აგრძნა ვინმე, და ვერ კელ-წიფა დაფარვად.

9. ღმრთისა.სა S. 10. მოკუდინ S.

\* ესა. 29. დ. 13. \*\* გ'შოს. 20. გ. 12. 2. სქუ. 5. ბ. 16. ეფეს. 6. ა. 2. \*\*\* გ'შოს. 21. ბ. 17. ლევ. 20. ბ. 9. ი'ჯვ. 20. გ. 20. \*\*\*\* შ'თე. 15. ბ. 10 \*\*\*\*\* ღ'ზღ. 6. ა. 5. შ'თე. 15. გ. 19. \*\*\*\*\* შ'თე. 15. გ. 21.

25. რამეთუ ესმა ესმე დედაკაცა მისთვის, რომელსა ესუა ასული სულითა არაწმიდითა ურვეული, და მოვიდა და შეუერდა ფერკთა მისთა.

26. (ხოლო დედაკაცი იგი იყო წარმართი, ნათესავით ასური ფინიკელი ზღუს კილით), და ევედრებოდა მას, რაათა განჯალოს ეშმაკი იგი ასულისაგან მისისა.

27. ხოლო იესო ჰრქუა მას: მაკადე პირველად განძღებად შვილთა, რამეთუ არა კეთილ არს მოღება პურისა შვილთაგან და დაგებად ძაღლთა.

დ 28. ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: უფალო, რამეთუ ძაღლიცა ტაბლასა ქუეშე კამენ ნამუსრევისაგან შვილთასა.

29. ხოლო იესო ჰრქუა მას: მაგის სიტყუსათვს ვილოდე! განსრულ არს ეშმაკი ასულისაგან შენისა.

30. და წარვიდა დედაკაცი იგი სახიდ თვსა და პოვა, რამეთუ ეშმაკი იგი განსრულ იყო, და ასული იგი მისი შემოსილი მჯდომარე ცხედარსა ზედა.

31. და მერმე კუალად გამოვიდა საზღვართაგან ტუროსისა და სიდონისათა და მოვიდა ზღუასა მას გალილეასასა, შორის საზღვართა ათქალაქისათა.

32. \*და მოართუეს მას ყრუ და ძნიად მეტყუელი და ევედრებოდეს მას, რაათა კელი დასდევას მას ზედა.

33. და განიყვანა ერისა მისგან თვსაგან და დაასხნა თითნი მისნი ყურთა მისთა და ჰნერწყუა და შეახო ენასა მისსა.

34. და აღიხილნა ზეცად და სულთ-ითქუნა და ჰრქუა მას: ეფფათა! რომელ არს განეხუნენით.

35. და მეყსეულად განეხუნეს მას სასმენელნი, და განჰქნდა კრულება ენისა მისისა, და იტყოდა მართლიად.

36. და ამცნო მათ, რაათა არავის უთხრან. და რაოდენ იგი ამცნებდა მათ, იგინი უფროს მიმოდასდებდეს.

37. და უმეტესად განუკრდებოდა და იტყოდეს: \*\*ყოველსავე კეთილსა იქმს: ყრუთა ასმენს და უტყუთა ატყუებს.

## 8

ა 1.. მათ დღეთა შინა მერმე კუალად ერი მრავალი იყო და არარაჲ აქუნდა, რამცა კამეს; მოუწოდა მოწაფეთა თვსთა და ჰრქუა მათ:

2. \*\*\*მეწყალის მე ერი ესე, რამეთუ საში დღე არს, ვინათგან მელთან მე და არარაჲ აქუს, რაჲ ჰამონ.

3. და უკუეთუ განუტევენ უზმანი ვანად მათა, დაჰქნდენ გზასა ზედა, რამეთუ რომელნიმე მათგანნი შორით მოსრულ არიან.

4. და მიუგეს მოწაფეთა მისთა და ჰრქვეს: ვინა ძალ-გვც განძღებად აქა პურითა ესოდენისა ერისა უდაბნოსა ზედა?

5. და ჰკითხა მათ: რაოდენი გაქუს პური? ხოლო მათ ჰრქვეს: შუდი.

6. და უბრძანა ერსა მას დასხდომა ქუეყანასა და მოილო შუდი იგი პური, ჰმადლობდა და განტეხა და მისცემდა მოწაფეთა თვსთა რაათა დაუგონ მათ; და დაუგეს ერსა მას.

7. და აქუნდა თევიცა მცირედ და იგიცა აკურთხა და უბრძანა მან დაგებად.

- 28. ქუეშე S. შკლთასა S. 26. ასულისაგან S. 32. შორათუშს S. მეტყუელს S. 34. განეხუნენით S. 37. ატყუებს S. 4. ჰრქვეს sic.

\* შ-თე. 9. დ. 32. ლ-კა. 11. ბ. 14. \*\* დ-ბდ. 1. დ. 31. \*\*\* შ-თე. 15. დ. 32.

8. და ჰამეს და განძლეს; და აღიღეს ნეშტი იგი ნამუსრევი შუდი სფვრიდი.
9. და იყენეს, რომელთა-იგი ჰამეს, ვითარ ოთხათას ოდენ; და განუტევენა იგინი.
10. და მეყსეულად შევიდა იესო ნავსა მოწაფეთა მისთა თანა. და წარვიდა ადგილთა დაღმანუთასათა.
- ბ 11. \*და გამოვიდეს ფარისეველნი და იწყეს გამოძიებად მის თანა და ოთხოვდეს მისგან სასწაულსა ზეცით და გამოსცდიდეს მას.
12. და სულთ-ითქუნა სულითა თსითა და თქუა: რაჲ არს ნათესავი ესე, რამეთუ ეძიებს სასწაულსა? ამინ გეტყვ თქვენ: არა ეცეს ნათესავსა ამას სასწაული.
13. და დაუტევენა იგინი და კუალად შევიდა ნავსა და წარვიდა მიერ კერძო.
14. და \*\*დაავიწყდა მიღებად პური, და ერთი ხოლო პური აქუნდა მათ ნავსა შინა.
15. და ამცნებდა მათ იესო და ეტყოდა: იხილეთ და ეკრძალენით ცომისაგან ფარისეველთასა და ცომისაგან ჰეროდოიანთასა.
16. ხოლო იგინი განიზრახვიდეს ურთიერთას და იტყოდეს, ვითარმედ: პური არა გუაქუს.
17. და გულისკმა-ყო იესო და ჰრქუა მათ: რასა ჰზრახავთ გულთა თქუენთა, მცირედ მორწმუნენო, რამეთუ პური არა გაქუს? არა გიცნობიეს არცა მოიკსენეთ, რამეთუ დაბრმობილნი გულნი გქონან თქუენ?
18. თუალ გასხენ და არა ხედავთ, და ყურ გასხენ და არა გესმის, არა გიცნობიეს, \*\*\*არცა მოიკსენეთ.
19. ოდეს-იგი ხუთი პური განვტეხე ხუთ ათასთათს, და რაოდენი გოდორი სავსე ნამუსრევითა აღიღეთ? ხოლო მათ ჰრქუეს: ათორმეტი.
20. და ოდეს-იგი შუდი ოთხათასთა, რაოდენი სფვრიდი ნამუსრევი აღიღეთ და მათ ჰრქუეს შუდი.
21. ხოლო იესო ჰრქუა მათ: ვითარ არა გულისკმა-ჰყავთ.
22. და მოვიდა ბეთსაიდად და მოჰგუარეს მას ბრმა და ევედრებოდეს მას, რაჲთა შეახოს მას.
23. და უპყრა კელი ბრმასა მას და განიყვანა იგი გარეშე დაბასა და ჰნერწყუა თუალთა მისთა და დასდვა კელი მისი და ჰკითხა მას: რასა ძი ჰხედავს?
24. და აღიხილნა და იტყოდა: ვხედავ კაცთა, ვითარცა ხეთა მიმომავალთა.
25. და მერმე კუალად დაასხნა კელნი თუალთა მისთა და აღუხილნა; და მან აღიხილნა და კუალად მოეგო, და ხედვიდა ბრწყინვალედ ყოველთა.
26. და წარავლინა იგი სახიდ თვსა. და ჰრქუა: წარვედ სახიდ შენდა; და დაბად რაჲ შეხვდე, ნუ-რას-ვის უთხრობ დაბასა შინა.
27. \*\*\*\*და გამოვიდა იესო და მოწაფენი მისნი დაბნებსა მას კესარია ფილიპესსა და გზასა ზედა ჰკითხვდა მოწაფეთა თსთა და ეტყოდა მათ: \*\*\*\*რაჲ თქვან კაცთა ჩემთს ყოფა?
28. ხოლო მათ მიუგეს და ჰრქვეს მას: იოანე ნათლისმცემელი, და სხუათა: ელია, და სხუათა: ერთი წინაწარმეტყუელთაგანი.

8. ნეშტიქნერ\* S. 16. განიზრახვდეს S. 19. ჰრქუეს S. 20. ჰრქუეს S. 21. გულისკმა S. 28, 29|18, 26 S. 28. წინაწარმეტყუელთაგანიწინაასწარმეტყულთაგანი S.

\* ზე. 6. ვ. 41. ოე 6. ბ. 11. \*\* მთე. 16. ბ. 13. \*\*\* ლკა. 9. ბ. 18.

29. ჰრქუა მათ იესო: თქვენ რაჲ სთქუათ ჩემოჲს, ვინ ვარ მე? მიუგო მას პეტრე და ჰრქუა: შენ ხარ ქრისტე.

30. და შეჰრისხნა მათ, რაჲთა არავის უთხრან მისთვის.

და 31. და იწყო სწავლად მათა, ვითარმედ: ჰერ-არს ძისა კაცისა ფრიად ვნება და შეურაცხ-ყოფად მოხუცებულთაგან და მლუდელთ მოძღუართა და მწიგნობართა და მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად.

32. და განცხადებულად სიტყუასა ამას ეტყოდა. და გან-რე-იყვანა იგი პეტრე და იწყო ბრალობად მისა ამის სიტყუასათს.

33. ხოლო თავადი მიექცა და იხილნა მოწაფენი თვისნი, შეჰრისხნა პეტრეს და ჰრქუა მას: წარვედ ჩემგან მართლუქუნ ეშმაკო, რამეთუ არა ჰზრახავ ღმრთისასა, არამედ კაცთასა.

34. და მოუწოდა ერსა მას მოწაფეთა მისთა თანა და ჰრქუა მათ: \*რო-მელსა უნებს შემდგომად ჩემსა მოსლვაჲ, უვარ-ყაენ თავი თვისი და აღილენ ჭუ-არი თვისი და შემომიდევინ მე.

35. რამეთუ რომელსა უნდეს სულისა თვისისა განრინება, წარიწყმიდოს იგი, და რომელმან წარიწყმიდოს სული თვისი ჩემთვის, გინა სახარებისათს მან აცხოვნოს იგი.

36. რაჲ სარგებელ არს კაცისა, უკეთუ შეიძინოს სოფელი ესე ყოველი და სული თვისი იზღოს?

37. ანუ რა მისცეს კაცმან ნაცვლად სულისა თვისისა?

38. \*\*რამეთუ რომელსა-იგი სირცხულ უჩნდეს ჩემი და სიტყუათა ჩემთა, ნათესავსა ამას მემრუშესა და ცოდვილსა, ძემანცა კაცისამან არცხუნოს მას, რაჲმს მოვიდეს დიდებითა მამისა თვისისათა ანგელოზთა თანა წმიდათა. და ეტყოდა მათ: \*\*\* ამინ გეტყუ თქვენ, რამეთუ არიან ვინმე აქა მდგომარეთა-განნი, რომელთა არა იხილონ გემო სიკუდილისა, ვიდრემდე იხილონ სასუფე-ველი ღმრთისა, მომავალი ძალითა.

9

ა 1. და \*\*\*\*შემდგომად ექუსისა დღისა წარიყვანნა იესო პეტრე და იაკობ და იოანე და აღიყვანნა იგინი მათსა მაღალსა თვისაგან მარტონი და იცვალა სხუად ხატად წინაშე მათსა.

2. და სამოსელი მისი იქმნა ბრწყინვალე და სპეტაკ ვითარცა თოვლი, რომელ ყოველსავე მმურკნავალსა ჭუეყანასა ზედა ვერ კელეწიფების ეგრეთ გან-სპეტაკებდად.

3. და ეჩუენა მათ მოსე ელიას თანა, და იყენეს იესოს თანა და ზრახვიდეს.

4. და მიუგო პეტრე და ჰრქუა იესოს: რაბი, კეთილ არს ჩუენდა აქა ყოფა; ვქმნეთ აქა სამ ტაღავარ: ერთი შენთვის, ერთი მოსესთვის და ერთი ელიასთვის.

5. რამეთუ არა იცოდა, რაჲთამცა მიუგო, რამეთუ იყენეს შეშინებულ.

ბ 6. და იყო ღრუბელი და ავრილობდა მათ, და კმა იყო ღრუბლით გამო და თქუა: ესე არს ძე ჩემი საყუარელი, მაგისი ისმინეთ.

7. და მეყსეულად მიმოიხილეს და არა ვინ იხილეს, გარნა იესო ხოლო მათ თანა.

35. წარიწყმინდოს S. 38. თა წთა-სასაუენი S. 38. თქლენოქვან S. 3. ეჩუენა S 4. რა:ბი S. ჩუწნი S. 1. სხუად S.

\* მთე. 10. დ. 38. და. 16. დ. 24. ლკა. 9. ვ. 23. და 14. ე. 27. \*\* მთე. 10. გ. 33. ლკა. 9. ვ. 26. და. 12. ბ. 9. \*\*\* მთე. 16. დ. 26. ლკა. 9. 27. \*\*\*\* მთე. 17. ა. 1. ლკა. 9. დ. 28.

8. \* და გარდამო-რა-ვილოდეს მიერ მით, ამცნო მათ, რაათა არავეს უთხრან რაა-იგი იხილეს, გარნა ოდეს ძე კაცისა მკუდრეთით აღდგეს.

9. და სიტყუა იგი დაიმარხეს თავისა თვისისა თანა და გამოეძიებდეს ურთიერთას, ვითარმედ: რა არს იგი: ოდეს მკუდრეთით აღდგეს?

10. და ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს: \*\*ვითარ-მე იტყუან მწიგნობარნი: ელიასი ჯერ არს პირველად მოსლუა?

11. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: \*\*\*ელია მოვიდეს და კუალად აგოს ყოველი; და ვითარ წერილ არს ძისა კაცისათს, რაათა ფრიად ევნოს და შეურაცხ იქმნეს.

გ 12. არამედ გეტყვ თქუენ, რამეთუ ელია მოვიდა (და უყვეს მას, რაოდენი უნდა,) \*\*\*\*ვითარცა წერილ არს მისთვის,

13. და მოვიდა მოწაფეთა მისთა თანა იხილა ერი გარემო მათსა, და მწიგნობარნი გამოეძიებდეს მათ თანა.

14. და მეყსეულად ყოველმან ერმან იხილა იგი და დაუკვრდა და მორბიოდეს და მოიკითხეს იგი.

15. და ჰკითხა მწიგნობართა მათ და ჰრქუა: რაჲსა გამოეძიებთ ურთიერთას?

16. \*\*\*\*\*და მი-ვინმე-უგო მას ერთმან მის ერისაგანმან და ჰრქუა: მოძლუარ, მოვიყვანე ძე ჩემი შენდა, რომლისა თანა არს სული უტყუებისა.

17. და სადაცა დააპყრის იგი, დააკუეთოს, და პერიონ და ილრჳენ კბილთა და განჯმებინ. და უთხარ მოწაფეთა შენთა, რაათამცა განკურნეს და ვერ შეუძლეს.

18. მიუგო იესო და ჰრქუა: ჰ ნათესავეი ურწმუნო! ვიდრემდე ვიყო თქუენ თანა? ვიდრემდე თავს-ვიდებდე თქვენსა? მომგუარეთ მე იგი აქა!

19. და მოჰგუარეს იგი მას და იხილა რაა-იგი, მეყსეულად სულმან არაწმიდამან დააკუეთა იგი; და და-რა-ეცა ქუეყანასა გორვიდა და პეროოდა.

დ 20. და ჰკითხა იესო მამასა მისსა: რაოდენი ჟამი აქუს, ვინათგან შეემთხვა ესე? ხოლო მან ჰრქუა: სიყრმითგან.

21. და მრავალ გზის ცეცხლსა შთააგდო ეგე და წყალსა, რაათამცა წარწყმიდა ეგე, არამედ რა ძალგიც შემეწიე ჩუენ, უფალო, და წყალობა-ყავ ჩუენთვის.

22. ხოლო იესო ჰრქუა მას: უკუეთუ ძალ-გიც რწმუნებად, ყოველივე შესაძლებელ არს მორწმუნისა.

23. და მეყსეულად ჳმა-ყო მამამან მის ყრმისამან და თქუა ცრემლით: მრწამს, შემეწიე ურწმუნოებასა ჩემსა.

24. და ვითარცა იხილა იესო, რამეთუ შეკრებოდა ერი მის ზედა შეპრისხნა სულსა მას და ჰრქუა უტყუსა და ყრუსა სულსა: მე გიბრძანებ შენ განვედ მაგისგან და ნულარა შეხულ მაგისა.

25. და დაღატ-ყო და ფრიად გორვიდა და განვიდა მისგან: და იქმნა იგი ვითარცა მკუდარი, ვითარმედ მრავალნი იტყოდესცა, ვითარმედ: მოკუდა.

26. ხოლო იესო უპყრა კელი მისი და აღადგინა იგი, და აღდგა.

27. და ვითარცა შევიდა იესო სახიდ, მოწაფეთა მისთა თვსაგან ჰკითხეს მას: რაჲსათუს ჩუენ ვერ შეუძლეთ განძებად მას?

10. კითხვიდეს S. ვითარმე ვითარმედ S. 11. ჰრქუა|ქუა S. 13. მწიგნობარი|მწიგნობარნი S. 16. უტყუების S. 17. დააკუეთოს S. 19. არაწმიდამან S. დააკუეთა S.

\* მთე. 17. ბ. 9. \*\* მრქ. 4. ბ. 5. \*\*\* მთე. 17. ბ. 12. \*\*\*\* ესა. 53. ა. 3. \*\*\*\*\* ლკა. 9. ე. 38.

28. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: ესე ნათესავი ვერ შესაძლებელ არს განსლვად, გარნა ლოცვითა და მარხვითა.

29. და მიერ განვიდეს და წარმოვიდეს გალილეასა, და არა უნდა, რამთამცა აგრძნა ვინ,

ე 30. \*რამეთუ ასწავებდა მოწაფეთა თვსთა და ეტყოდა მათ: რამეთუ ძე კაცისა მიეცემის ჳელთა კაცთასა, და მოკლან იგი; და მო-რა-კუდეს, მესამესა დღესა აღდგეს.

31. ხოლო იგინი უმეცარ იყვნეს სიტყუასა ამას და ეშინოდა კითხვად მისა.

32. და მოვიდა კაპერნაუმად. და ვითარცა შევიდა იგი სახლსა, და ჰკითხვიდა მათ, რასა-იგი იცილობოდეს ურთიერთას გზასა ზედა.

33. ხოლო იგინი დუმნეს, ურთიერთას იტყოდეს გზასა ზედა, \*\* ვითარმედ: ჩუენგანი ვინმე უდიდეს იყოს?

34. და დაჯდა და მოუწოდა ათორმეტთა მათ და ჰრქუა: ვის უნდეს თქუენ-განსა პირველ ყოფა, იყოს იგი ყოველთა მრწემ და ყოველთა მსახურ.

35. და მოიყვნა ყრმა და დაადგინა იგი შორის მათსა და მკლავთა მიიქვა იგი და ჰრქუა მათ:

ე. 36. რომელმან ერთი ამთგანი ყრმა შეიწყნაროს სახელისა ჩემისათჳს, მე შემიწყნაროს; და რომელმან მე შემიწყნაროს, არა მე შემიწყნაროს, არამედ მომავლინებელი ჩემი.

37. \*\*\*მიუგო მას იოანე და ჰრქუა: მოძღუარ, ვიხილეთ ვინმე, რომელი სახელითა შენითა ეშმაკთა განასხმიდა, რომელი ჩუენ არა შეგვდგს, და ვაყენებდით მას, რამეთუ არა შემითქს ჩუენ.

38. ხოლო თავადმან ჰრქუა: ნუ აყენებთ მას, \*\*\*\*რამეთუ არავინ არს, რომელმან ქმნეს ძალი სახელითა ჩემითა და ჳელ-ეწიფოს ბოროტის სიტყუად ჩემდა.

39. რამეთუ რომელი არა ჩუენდა მტერ არს, იგი ჩუენ კერძო არს.

40. \*\*\*\*\*რომელმან გასუას თქუენ სასუმელი წყლისა სახელად ჩემდა, რა მეთუ ქრისტესნი ხართ, ამინ გეტყვ თქუენ, არა წარუწყმდეს სასყიდელი მისი.

41. \*\*\*\*\*და რომელმან დააბრკოლოს ერთი მცირეთაგანი მორწმუნეთა ჩემთა მომართ, უმჯობეს არს მისა გამო-თუ-მცა-იბა ქედსა მისსა წისქულის ქვა ვირით საფქველი და შთავარდა ზღუასა.

42. \*\*\*\*\*და უკეთუ დაგაბრკოლებდეს ჳელი შენი, მოიკუეთე იგი; უმჯობეს არს შენდა უკელოსა შესლვად ცხორებასა, ვიდრე ორთა ჳელთა სხმასა და შესლვად გეჳენიასა, ცეცხლსა მას უშრეტსა.

43. \*\*\*\*\*სადა-იგი მატლი მათი არა მოაკლდების, და ცეცხლი არა დაშრტების.

44. და უკეთუ ფერკი შენი დაგაბრკოლებდეს შენ, მოიკუეთე იგი: უმჯობეს არს შენდა მკელობლისა შესლვად ცხორებასა, ვიდრე ორითა ფერკითა შთავადებად გეჳენიასა, ცეცხლსა მას უშრეტსა.

45. სადა-იგი მატლი მათი არა დაესრულების, და ცეცხლი არა დაშრტების.

32. რასა S. 33. ჩუენგანი S. 36. მომავლინებელი მომავლინებელი S. 42. მოიკუეთე S. 44. მოიკუეთე S.

\* შთე. 17. გ. 21. ლკ. 9. გ. 21. და. ე. 44. \*\* შთე. 18. ა. 1. ლკა. 9. ე. 26. \*\*\* ლკა. 9. ე. 49. \*\*\*\* 1. კორ. 12. ა. 3. \*\*\*\*\* შთე. 10. დ. 42. \*\*\*\*\* შთე. 18. ა. 6. ლკა. 17. ა. 2. \*\*\*\*\* შთე. 5. ე. 29. და 18. ა. 8. ლკა. 17. ა. 2. \*\*\*\*\* ესთა. 66. ზ. 24.

46. და უკეთუ თვალი შენი გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი: უმჯობეს არს შენდა ერთითა თუალითა შესლვად სასუფეველსა ღმერთისასა, ვიდრე ორითა თუალითა შთაგდებად გენიასა ცეცხლისა უშრეტისასა.

47. სადა-იგი მატლი მათი არა დაესრულებს, და ცეცხლი არა დაშრტების.

48. \*რამეთუ ყოველი ცეცხლითა დაიშარილოს, და ყოველი შესაწირავი მარილითა დაიშარილოს; კეთილ არს მარილი.

49. \*\*ხოლო უკეთუ მარილი უმარილო იქმნეს, რაჟთა შეინელოს იგი? გაქუს თავისა თქუენისა მარილი და მშუდობით იყუენით ურთიერთას.

## 10

ა 1. და აღდგა მიერ იესო \*\*\*და მოვიდა საზღუართა ჰურაისტანისათა; წილ იორდანესა, და შეკრებოდა მისა კულად ერი, და ვითარცა ჩუეულ იყო, კულად ასწავებდა მათ.

2. ხოლო ფარისეველნი იგი მოუხდეს და ჰკითხვიდეს მას: უკეთუ ჭერ-არს კაცისა ცოლისა თვისისა განტევება? და გამოსციდიდეს მას.

3. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქუა მათ: ვითარ გამცნო თქუენ მოსე?

4. ხოლო მათ ჰრქუეს: \*\*\*მოსე ბრძანა წიგნი განშორებისა მიცემად და განტევებად.

5. მიუგო იესო და ჰრქუა მათ: გელფიცხელობისა თქუენისათუს დაწერა მოსე მცნება ეგე.

6. ხოლო დასაბამითგან დაბადებისათა \*\*\*\*\*მამაკაცად და ღელაკაცად შექმნნა იგინი ღმერთმან და თქუა:

7. \*\*\*\*ამისთუს დაუტეოს კაცმან მამა თვისი და ღელა თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა,

8. და იყვენ ორნივე იგი ერთ კორც, ვითარმედ არღარა არიან ორ, არამედ ერთ კორც.

9. რომელნი ღმერთმან შეაულუნა, კაცი ნუ განაშორებნ.

10. და მერმე სახლსა რა შინა იყო, კულად მისვე სიტყუსათუს ჰკითხვიდეს მას მოწაფენი მისნი. ხოლო იესო ჰრქუა მათ:

ბ 11. უკეთუ განუტეოს ქმარმან ცოლი თვისი და შეირთოს სხუა, მან იმ-რუშა.

12. და ცოლი თუ განვიდეს ქმრისაგან და შეერთოს სხუასა, მანცა იმ-რუშა.

13. \*\*\*\*\*და მოჰგურიდეს მას ყრმებსა. რაჟთა კელი დასდვას მათ; ხოლო მოწაფენი აყენებდეს მათ, რომელნი-იგი მოჰგურიდეს.

14. ვითარცა იხილა იესო, შეჰრისხნა მათ და ჰრქუა: აცადეთ ყრმებსა მაგას მოსლვად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგვევითართა არს სასუფეველი ცათა.

46. გენიასა ც. 1. ჩუქულ S. 2. ჭერ არსქერას S.

\* ლეუტ. 2. დ. 13. \*\* მთე. 5. ბ. 13. ლკა. 14. ზ. 34. \*\*\* მთე. 15. ა. 1. \*\*\*\* სჯლ. 24. გ. 1. \*\*\*\*\* ღმდ. 1. გ. 27. \*\*\*\*\* ღმდ. 2. დ. 24. მთე. 19. ა. 5. 1. კორ. 7. ბ. 5. და. 6. დ. 16. ეფეს. 5. ზ. 31. \*\*\*\*\* მთე. 19. ბ. 13. ლკა. 18. ბ. 15.



15. ამან გეტყვ თქვენ, რამეთუ: რომელმან არა შეიწყნაროს სასუფეველი ღმრთისაჲ ვითარცა ყრმაჲ, ვერ შევიდეს მას.

16. და შეიტკობოდა მათ და დაასხმიდა მათ ზედა კელთა და აკურთხევდა მათ.

17. და ვითარცა გამოვიდა იგი გზასა, ესერა მდიდარი: ვინმე ნორბიოდა მისა და მუქლნი დაიდგნა მის წინაშე ევედრებოდა მას და ეტყოდა: \*მოძღუარო სახიერო, რომელი საქმე კვმნე, რათა ცხორება საუკუნო დავიმკდრო?

გ 18. ხოლო იესო პრქუა მას: რასა მეტყვ მე სახიერით? არავინ არს სახიერ, გარნა ღმერთი მხოლო.

19. \*-მცნებანი იცნი: ნუ კაც-ჰკლავ, ნუ ჰპარავ, ნუ ცილსა სწამებ, ნუ დააკლებ კეთილისყოფად; პატივე-ც მამასა შენსა და დედასა შენსა.

20. ხოლო მან მიუგო და პრქუა მას: ესე ყოველი ვყავ სიკაბუჯით ჩემითგან; რაღა მაკლს მე?

21. ხოლო იესო მიჰხედა და შეუყუარდა იგი და პრქუა მას: უკუეთუ გნებავს სრულ ყოფა, ერთიდა გაკლს შენ: წარვედ, და რაოდენი გაქუს, განყოდე და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა, აღიდე ჭუარი მოვედ და შემომიდეგ მე.

22. ხოლო იგი შეწუხნა ამის სიტყუსათჳს და წარვიდა მწუხარე, რამეთუ აქუნდა მონაგები ფრიად.

23. და მიმოიხილა იესო და პრქუა მოწაფეთა თჳსთა: ვითარმედ ძნიად შევიდენ სასუფეველსა ღმრთისასა. რომელთა აქუს საფასე.

24. ხოლო მოწაფეთა დაუკრდებოდა სიტყუსა ამას ზედა, ხოლო იესო კუალად მიუგო და პრქუა მათ: რაოდენ ძნელ არს, რომელნი საფასეთა ესვენ, შესლვა სასუფეველსა ღმრთისასა!

დ 25. უადვილეს არს აქლემო ჯურელსა ნემსისასა განსლვად, ვიდრე მდიდარი შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა.

26. ხოლო მათ უმეტესად განუკრდებოდა და იტყოდეს ურთიერთას: და ვის ძალ-უც ცხორებად?

27. მიჰხედა მათ იესო და პრქუა: კაცთა მიერ შეუძლებელ არს, არამედ არა ღმრთისაგანცა. რამეთუ ყოველივე შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ.

28. \*\*\*იწყო პეტრე სიტყუად მისა და პრქუა: აჰა ესერა ჩუენ დაუტევეთ ყოველივე და შეგიდევით შენ.

29. მიუგო იესო და პრქუა მათ: ამინ გეტყვ თქუენ: არავინ არს, რომელმან დაუტევა სახლი გინა ძმანი გინა დანი გინა მამა გინა დედა გინა ცოლი გინა შეილნი გინა აგარაკნი ჩემთჳს და სახარებისა ამისთჳს,

30. უკეთუ არა მოიღოს ასო წილი აწ უამსა ამას სახლი და ძმანი და დანი მამა და დედა და შეილნი და აგარაკნი შემდგომად დევნისა და საუკუნესა მას მომავალსა ცხორება საუკუნო.

31. \*\*\*\*ხოლო მრავალნი იყვნენ პირველნი უკანასკნელ, და უკანასკნელნი პირველ.

24 ღმრთისასა S. 25. ღმრთისაჲ S. 24. 27. ღმრთისა S.

\* მ-თე 19. ბ. 16. ლ-კა. 18. დ. 18. \*\* გ-მოს. 20. გ. 13. \*\*\* მ-თე. 19. დ. 27. ლ-კა. 18. ე. 28. \*\*\*\* მ-თე. 19. დ. 30.

13. მცხეთური ხელნაწერი

ვ 32. და იყენეს გზასა ზედა და აღვილოდეს იერუსალმად: და იესო წინა-უძლოდა მათ, და დაუჯერდებოდა მოწაფეთა. ხოლო იგინი მისდევდეს მას და ეშინოდა. \*და წამოიყვანა კუალად ათორმეტნი იგი: და იწყო თხრობად მათა მერმისა მისთვის, რომელი შემთხუვეად იყო მისა.

33. ვითარმედ: აჰა ესერა აღვალთ იერუსალმად, და ძე კაცისა მიეცეს მღვდელთმოდურათა და მწიგნობართა, და დასაჯონ იგი სიკუდილად და მისცენ იგი წარმართთა;

34. და ეკიცხუდენ მას და ტანჯონ იგი, და პნერწყუვიდენ მას და მოკლან იგი, და და მესამესა დღესა აღდგეს.

35. \*\*და მოვიდეს მისა იაკობ და იოანე, ძენი ზებედესნი, და პრქუეს: მოძლუარ, გუნებავს. რაათა, რომელი ვთხოვთ, მიყო ჩუენ.

36. ხოლო თავადმან პრქუა მათ: რა გუნებავს ჩემგან, რაათა გყო თქუენ?

ვ 37. ხოლო მათ პრქუეს მას: მომეც ჩუენ, რაათა ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით შენსა დაესხდეთ დიდებასა შენსა.

38. ხოლო იესო პრქუა მათ: არა იცით, რასა ითხოვთ. ძალ-გაცა სასუმელისა, რომელსა მე შესუამ, შესუმაღ. და ნათლისღებასა, რომელსა მე ნათელვილებ, ნათლისღებად?

39. ხოლო მათ პრქუეს მას: ძალ-გვც. ხოლო იესო პრქუა მათ: სასუმელი სამე, რომელსა მე ვსუამ, სუათ, და ნათლისღება, რომელი მე ნათელვილო, ნათელვილოთ.

40. ხოლო დაჯდომა მარჯუენით ჩემსა და მარცხენით არა არს ჩემი მიცემად, არამედ ვიეთდა განმზადებულ არს.

41. \*\*\*და ესმა რაჲ ესე ათთა მათ იწყეს რისხვად იაკობისა და იოანესა.

42. ხოლო იესო მოუწოდა და პრქუა მათ: უწყითა: რამეთუ \*\*\*\*რომელნი იგი პგონებედ მთავრად წარმართთა, უფლებედ მათ ზედა, და დიდ-დიდნი მათნი კელმწიფებენ მათ ზედა?

43. ხოლო არა ეგრე იყოს თქვენ შორის, არამედ რომელსა უნდეს დიდ ყოფა თქვენ შორის, იყოს თქვენდა მსახურ:

44. და რომელსა უნდეს თქვენ შორის პირველ ყოფა, იყოს ყოველთა მონა.

45. და რამეთუ ძე კაცისა არა მოვიდა, ვითარმცა იმსახურა, არამედ მსახურებად და მიცემად სული თჳსი საჯსრად მრავალთა.

ვ 46. \*\*\*\*\*და მოვიდეს იერიჲოდ. და ვითარცა გამოვიდოდა იესო და მოწაფენი მისნი იერიჲოდ და ერი მრავალი მათ თანა, ძე ტიმესი ბარტიმეოს, ბრმა ჯდა გზასა თანა მთხოველად.

47. და ესმა რაჲ, რამეთუ იესო ნაზარეველი არს, იწყო ღლადებად და სიტყვად: იესო, ძეო დავითისო, შემიწყალე მე!

48. და პრისხვიდეს მას მრავალნი, რათა დადუმნეს; ხოლო იგი უფროს ღლადება: ძეო დავითისო, შემიწყალე მე!

49. დადგა იესო და ბრძანა მოუწოდება მისი. და მოუწოდეს ბრმასა მას და ეტყოდეს: ნუ გეშინინ, აღდეგ გიწესს შენ.

50. ხოლო მან დააბნია სამოსელი თჳსი, და აღდგა და მოვიდა მისსა.

32. შემთხუვეად S. 32. იშლად S. 33. იშლად S. 37. მარჯუენით S. 39. მას]მათ S. 40. მარჯუენით S. 48. პრისხვისი S.

\* შთე. 20. ბ. 17. ლკა. 18. ვ. 31. \*\* შთე. 20. გ. 10. \*\*\* შთე. 20. ბ. 24. \*\*\*\* ლკა. 22. გ. 25. \*\*\*\*\* შთე. 20. დ. 20. ლკა. 18. ვ. 35.

51. მიუგო და პრქვა მას იესო: რამ გნებაეს და გიყო შენ? ხოლო ბრამამან მან პრქვა მას: რაბი, რათა აღვიხარუნე თულან- ჩემნი

52. ხოლო იესო პრქვა მას: გუალე ვილოდე, სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ. და მეყსეულად აღიხარუნა და მისდევდა მას გზასა ზედა.

## 11

1. და რაჟამს \*შიეახლნეს იერუსალიმად, ბეთბაგედ და ბეთანიად, მათსა თანა ზეთის ხილთასა, წარავლინნა ორნი მოწაფეთაგანნი

2. და პრქვა მათ: წარვედით დაბასა მაგას, რომელ არს წინაშე თქვესსა; და შე-რა-ხედოლით მას შინა, ჰპოოთ კიცვ დაბმული, რომელსა კაცი არა დაჯდომილ არს; აღკსენით იგი და მომგუარეთ.

3. და უკეთუ ვინმე გრქუას რამ აქუნენ, არქუთ, ვითარმედ: უფალსა უკმს ეგე, და მეყსეულად მოავლინოს იგი აქა.

4. ხოლო იგინი წარვიდეს და პოეს კიცვ იგი დაბმული კართა თანა გარე-შე შესავალთა და აპკსნეს იგი.

5. ხოლო მუნ მდგომარენი ვინმე ეტყოდეს მათ: რასა ჰზამთ და აღკვსნით კიცუსა მაგას?

6. ხოლო მათ პრქვეს, ვითარცა-იგი უბრძანა მათ იესო; და მიუტევეს მათ.

7. \*\* და მოყვანეს კიცვ იგი იესოსა. და დაასხეს მას ზედა სამოსელი მათი, და დაჯდა მას ზედა.

8. და მრავალნი სამოსელსა მათსა დაუფენდეს გზასა ზედა, და სხუანი მოჰკათდეს რტოთა ხეთაგან და დაუფენდეს გზასა ზედა.

9. და რომელნი წინა უძლოდეს და რომელნი უკანა შეუდგეს, და დადებდეს და იტყოდეს: ოსანნა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა.

ბ 10. \*\*\* კურთხეულ არს მოსლვა მეუფისა სახელითა უფლისათა, დავითის მამისა ჩუენისა! ოსანნა მალალთა შინა!

11. \*\*\*\* და შევიდა იესო იერუსალიმად. და ტაძარსა მას და მიმოხედვიდა ყოველსა, რამეთუ მწუხრი იყო ჟამი იგი, და განვიდა ბეთანიად ათორმეტთა თანა.

12. და ხვალისაგან, ვითარ გამოვიდეს იგინი ბეთანიით, შეეგშია.

13. \*\*\*\*\* და იხილა ლედვ ერთი შორით, რომელსა ესხა ფურცელი, და მოვიდა, უკეთუმცა რამე პოეა მას შინა. და მოვიდა რამ მისა, არარამ პოეა, გარნა ფურცელი ხოლო. რამეთუ არა იყო ჟამი ლედვსა.

14. და პრქვა მას: ნულარამცა ვინ ჰვამს უკუნისადმდე შენგან ნაყოფსა. და ესმოდა ესე მოწაფეთა მისთა.

15. და მოვიდეს იერუსალიმად და შევიდა იესო ტაძარსა მას და იწყო გამოსხმად განმსყიდელთა მათ და მომსყიდელთა მიერ ტაძრით, და ტაბლუბი იგი მეკერამეთა მათ და დასასხლომლები იგი მსყიდელთა მათ ტრედისათა დაუმეჭუა.

16. და არა უტევებდა, რამეთა გან-ვინმე-ილოს ჰურტული მიერ ტაძრით.

3. თქუნ S. 6. პრქუნ S. 10. ჩუნნა S. 11. ოცლმ S. 13-ე მუხლსა ქვემოთ ნახე-ვარი გვერდი სუფთად არის დატოვებული. ტექსტს არ იკლია. 15. იცლმდ.

\* შრე. 21. ა. 1. ლკა. 19. ე. 29. \*\* ონე. 12. ბ. 14. \*\*\* ფსნი. 11. დ. 26. შრე. 21. ა. 9. ლკა. 15. ე. 38. \*\*\*\* შრე. 2. ბ. 10. \*\*\*\*\* შრე. 2. ბ. 19.

გ 17. და ასწავებდა და ეტყოდა, ვითარმედ: წერილ არს: \*სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს ყოველთა მიერ წარმართთა, ხოლო თქვენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა.

18. და ესმა ესე მღვდელთმომღვარათა მათ და მწიგნობართა და ეძიებდეს, ვითარმცა წარწყმიდეს იგი; და ეშინოდა მისა, რამეთუ ყოველი ერი განკურნებულ იყო მოძღვრებასა მას მისსა.

19. და ვითარცა იყო მწუხრი, განვიდოდეს გარეშე ქალაქსა.

20. და ვითარცა თანა წარჰვიდოდეს განთიად, იხილეს ლელუ იგი განკმელონი ძირითვან.

21. და მოექცენა პეტრეს და ჰრქუა მას: რაბი, აჰა ლელუ იგი, რომელსა სწყევნი: განკმა.

22. \*\*მიუგო იესო და ჰრქუა მათ: გაქუნდინ სარწმუნოება ღმრთისაჲ.

23. ამინ გეტყუ თქვენ, ვითარმედ რომელმან ჰრქუას მთასა ამას: აღიფხუარ და შთაეარდი ზღუად! და არა შეორგულდეს გულსა თვისსა, არამედ ჰრწმუნეს, რამეთუ რომელი თქუას. იქმნეს, და იყოს ეგრეთ.

24. \*\*\*ამისთვის გეტყუ თქვენ: ყოველსა რომელსა ლოცვასა შინა ითხოვდეთ, გრწმუნინ, რამეთუ მოიღოთ, და გეყოს თქუენ.

25. \*\*\*\*და რაჟამს სდგეთ ლოცვასა შინა, მიუტევეთ, უკეთუ გაქუნდეს რამე ბოროტი ვისთვისმე, რაჲთა მამამანცა თქუენმან, რომელ არს ცათა შინა, მოგიტევენს შეცოდებანი თქუენნი.

26. ხოლო უკეთუ თქუენ არა მიუტევენთ, არცა მამამან თქუენმან, რომელ არს ცათა შინა, მოგიტევენს შეცოდებანი თქუენნი.

27. \*\*\*\*და მოვიდეს კუალად იერუსალმად, და ვითარცა იქცეოდა იგი ტაძარსა მას შინა, მოვიდეს მისა მღვდელთმომღვარნი იგი და მწიგნობარნი და მოხუცებულნი.

28. და ეტყოდეს მას: რომლითა კელმწიფებითა იქმს ამას, და ვინ მოგცა შენ კელმწიფება ესე, რამეთუ ამას იქმოდინ?

29. ხოლო იესო მიუგო და ჰრქუა მათ: გყითხო მეცა თქუენ სიტყუა ერთი, და თქუენ მომიგეთ მე, და მე გითხრა თქუენ, რომლითა კელმწიფებითა ვიქმ ამას:

30. ნათლისცემა იოანესი ზეცით იყო ანუ კაცთაგან? მიმითხართ მე.

31. ხოლო იგინი განიზრახვიდეს თუსაგან და იტყოდეს, უკუეთუ ვთქუათ: ზეცით იყო, გრქუას ჩუენ: რასათუს უკუე არა გრწმუნა მისი?

32. და უკუეთუ ვთქუათ: კაცთაგან, გუეშინის ერისა ამის, რამეთუ ყოველთა იცოდეს იოანე, ვითარმედ ჰეშმარტად წინაწარმეტყუელი იყო.

33. და მიუგეს და ჰრქუეს მათ იესოს: არა ვიცით. და მიუგო მათ იესო და ჰრქუა: არცა მე გითხრა თქუენ, რომლითა კელმწიფებითა ამას ვიქმ.

## 12

ა I. და იწყო იგავით მათ სიტყუად: \*\*\*\*\*კაცმან ვინმე დაასხა ეენაკი და ზღუდე გარე-მოსდვა და ქმნა საწუნებელი და აღაშენა გოდოლი და მისცა იგი ქუეყანისმოქმედთა და წარვიდა.

27. ოსლად S. 31. უკუ S. 32. გუშინის S. 33. ჰრქუს S.

\* იერ. 7. ბ. 11. ესა. 56. გ. 7. შთი. 21. ბ. 13. ლკა. 19. ზ. 46. \*\* შთე. 21. ბ. 21. \*\*\* შთე. 7. ა. 7. და. 21. ბ. 22. ლკა. 11. ბ. \*\*\*\* შთე. 6. ბ. 14. და. 18. დ. 35. \*\*\*\*\* ლკა. 20. ა. 1. \*\*\*\*\* ესა. 5. ა. 2. იერ. 2. დ. 21. შთე. 21. დ. 33. ლკა. 20. ბ. 9.

2. და მიაველინა ქუეყანისმოქმედთა მათ მიმართ ეამსა ნაყოფისასა მონა, რაათა მოილოს ნაყოფი ვენაჯისა მის.

3. ხოლო მათ შეიპყრეს და გუემეს იგი და წარავლინეს ცალიერი.

4. მერმე კულად წარავლინა სხუა მონა, და მასცა კულად გამოვე-  
წყვენეს, გუემეს და წარავლინეს გინებული.

5. და კულად სხუა მიაველინა, და იგიცა მოკლეს, და სხუანი მრავალნი —  
რომელთამე სტანჯვიდეს და რომელთამე მოჰკლვიდეს.

6. უკუანასკნელ ერთი ძე ესუა საყუარელი თსი, მიაველინა მათა, რამე-  
თუ თქუა, ვითარმედ: შეიკლდომონ ძისა ჩემისათს. ხოლო ქუეყანისმოქმედთა  
მათ თქუეს ურთიერთას:

7. ესე არს მკვდრი მისი, მოვედით და მოვეკლათ იგი, და ჩუენდა იყოს სამ-  
კვდრებელი ესე.

8. და შეიპყრეს იგი და მოკლეს და გამოავდეს იგი მიერ სავენაჯით.

9. აწ რა უყოს მათ უფალმან მის ვენაჯისამან? მოვიდეს და მოსრნეს ქუე-  
ყანისმოქმედნი იგი და ვენაჯი იგი მისცეს სხუათა.

10. არცაღა ესე წიგნი აღმოგიკითხავსა: \*ლოდი. რომელ შეურაცხ-ყვეს  
მაშენებელთა, ესე იქმნა თავკიდეთა.

11. უფლისა მიერ იყო ესე და არს საკვრველ წინაშე თულთა ჩუენთა...

12. და ეძიებდეს მას შეპყრობად და ეშინოდა ერისა მისგან, რამეთუ ცნეს,  
ვითარმედ მათთვის თქუა იგავი იგი. და დაუტევეს იგი და წარვიდეს.

13. \*\*და მი-ვინმე-ავლინნეს მისა ფარისეველნი და ჰეროდიანნი, რაათა  
მოინადირონ იგი სიტყუთა.

ბ 14. ხოლო იგინი მოვიდეს და ჰკითხვიდეს მას: მოძლუარ, ვიცით, რამეთუ  
ჰეშმარიტ ხარ და არა რა ზრუნვა გაქუს ვისთვისვე, რამეთუ არა ხედავ პირსა  
კაცისასა, არამედ ჰეშმარიტად გზასა ღმრთისასა ასწავებ: ჯერ-არსა ხარკი მი-  
ცემად კეისრისა? მივსცეთ ანუ არა მივსცეთ?

15. ხოლო თავდამან იცოდა ორგულუება მათი და ჰრქუა მათ: რასა გამო-  
მცდით მე? მომართთ მე ღრაჰკანი, რაათა ვიხილო.

16. ხოლო მათ მორათუეს. და ჰრქუა მათ: ვისი არს ხატი ესე და ზედა-  
წერილი? ხოლო მათ ჰრქუეს: კეისრისა.

17. მიუგო იესო და ჰრქუა მათ: \*\*\*მიეცით კეისრისა კეისარსა და ღმრ-  
თისა ღმერთსა. და დაუკვრდა ამას ზედა და წარვიდა.

18. \*\*\*\*და მოვიდეს მისა საღუკეველნი, რომელნი იტყუნან, ვითარმედ: აღ-  
დგომა არა არს, და ჰკითხვიდეს მას და ეტყოდეს:

19. მოძლუარ, მოსე ესრეთ დამიწერა ჩუენ: \*\*\*\*\*უკეთუ ვისმე მოუკუ-  
დეს ძმა და ესუას ცოლი, და შეილი არა დაშთეს, რაათა შეირთოს ძმამან მის-  
მან ცოლი იგი მისი და აღუდგინოს თესლი ძმასა თსნსა.

20. აწ შუდნი ძმანი იყუნეს ჩუენ შორის. და პირველმან შეირთო ცოლი და  
მოკუდა, და არა დაშთა შეილი;

21. და მეორემან შეირთო იგი და მოკუდა, და არა დაშთა შვილი, და მე-  
სამემან ეგრეთვე

3. გუქმეს S. 4. გუქმეს S. 6. თქუეს S. 11. უფლისა S. 14. ღმრთისასა S. 16 მოა-  
თუეს S.

ფსნ. 117. გ. 22. ესა. 28. დ. 6. მთე. 21. დ. 42. საქმ. 4. ბ. 11. პრო. 9. ზ. 33.  
1. პტრ. 2. ბ. 7. \*\* მთე. 22. ბ. 15. ლკა. 20. დ. 20. \*\*\* პრო. 13. გ. 7. \*\*\*\* მთე-  
22. გ. 23. ლკა. 20. ე. 77. \*\*\*\*\* 2. სჯლ. 25. ა. 5.

22. ვიდრე მეშუდემდე, და არა დაუშთა შვილი. უკანასკნელ ყოველთასა მოკლდა ღვდაკაცი იგი.

23. აწ უკუე აღდგომასა მას, ოდეს აღდგენ, ვისა მათგანისა იყოს იგი ცოლ, რამეთუ შუდთავე მათ ესუა იგი ცოლად?

24. მიუგო იესო და პრქუა მათ: არა ამისთვის სცთებითა, რამეთუ არა იცნით წიგნი, არცა ძალი ღმრთისა?

გ 25. რამეთუ რაჟამს მკურდრით აღდგენ, არცა იქორწინებოდიან, არცა ვანქორწინებდენ, არამედ იყვნენ ვითარცა ანგელოზნი ცათა შინა...

44. ...და წარიყვანეთ კრძალულად.

45. და მეყსეულად მოვიდა და მოუქდა მას და პრქუა: რაბი, რაბი! და ამბორს-უყო მას.

46. ხოლო მათ დაასხნეს მას ზედა კელნი და შეიპყრეს იგი.

47. და ერთმან ვინმე წინაშე მდგომელმან იჯადა მახული და სცა მონასა მდღელთმოდღურისასა და წარპკუეთა მას ყური მისი.

48. მიუგო იესო და პრქუა მათ: ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოზუედით თქუენ მახულითა და წათებითა შეპყრობად ჩემდა.

49. დღითი-დღე თქუენ თანა ვიყავ ტაძარსა შინა, გასწაყებდ, და არა შემიპყართ მე; არამედ რაჟთა აღესრულნენ წიგნნი.

50. \*მაშინ მოწაფეთა მისთა ყოველთა დაუტევეს იგი და ივლტოდეს.

51. და ერთი ვინმე კაბუკი მისდევდა მას და შეემოსა არდავი შაშულივ. ხოლო სხუათა მათ კაბუკთა შეიპყრეს იგი.

52. და მან დაუტევა არდავი და ივლტოდა მათგან შიშუელი.

53. \*\*და მიიყვანეს იესო კაიფას მდღელთმოდღურისა, და შეკრბეს ყოველნი მდღელთმოდღუარნი და მწიგნობარნი და მოხუცებულნი.

54. ხოლო პეტრე შორით მანდევდა მას ვიდრე შინა ეზოდმდე მდღელთ მოძღურისა დაქდა იგი მსახურთა თანა და ტყებოდა წინაშე ნათელსა ცეცხლისასა.

55. \*\*\*ხოლო მდღელთმოდღუარნი იგი და ყოველი კრებული. ეძიებდეს ეფსოსთჳს: რაჟთა მოკლან იგი, და არა ჰპოებდეს.

56. რამეთუ მრავალნი ცრუსა წამებდეს მისთვის, და სწორ არა იყვნეს წამებანი მათნი.

57. და სხუანი ვინმე აღდგეს და ცრუსა წამებდეს მისთვის და იტყოდეს,

58. ვითარმედ: ჩუენ გუესმა. მაგისგან სიტყუა, \*\*\*ვითარმედ: მე დავარღო ტაძარი ესე კელით ქმნული და მესამესა დღესა აღვაშენო სხუა კელით უქმნელი.

59. და არცა ესრეთ ერთ იყვნეს წამებანი მათნი.

60. და აღდგა მდღელთმოდღუარი იგი შორის, და ჰკითხა იესოს და პრქუა: არარას მიუგება, რასა ესე შეგწამებენ შენ?

61. ხოლო იესო ღუმნა და არარა მიუგო მათ. და მერმე ჰკითხვიდა მას მეორედ მდღელთ მოძღუარი იგი და ეტყოდა: შენ ხარ ქრისტე, ძე კურთხეულისა?

23. უკ. 5. მეთორმეტე თავი 25 ნებლით მთავრდება. შუაში აკლია. 358-ე გვერდიდან გადადის 363-ზე. გრაქედება 14-ე თავის 44-ე მუხლის ბოლოდან. 47. წარპკუეთა S. 48. გომოხუცებულნი S. 52. შიშული S. 58. გუესმა S.

\* მთე. 25. ვ. 57. \*\* მთე. 26. ვ. 56. ლკა. 22. ვ. 54 ონე. 18. გ. 13. \*\*\* მთე. 26. ვ. 59. \*\*\*\* ონე. 2. გ. 19.

62. ხოლო იესო მიუგო მას, ვითარმედ მე ვარ: "და ამიერიტგან იხილოთ ძე კაცისა მარჯუენით მჯდომარე ძლიერებათა და მომავალი ღრუბელთა თანა ცისათა.

63. ხოლო მღღელთ მოძღუარმან მან დაიპო სამოსელი თუხი და თქვა: რამსალა გუკვამნ მოწამენი?

64. გესმა ყოველთა გმობა მაგისგან. ვითარ გენბავს თქუენ? მაშინ ყოველთა დასაჯეს იგი თანამდებად სიკუდილისა.

65. და იწყეს ვიეთმე ნერწყუად მისა და დაბურვად პირსა მისსა და ჯურთითა ცემად მისა და ეტყოდეს: გვწინასწარმეტყუელებდ ჩუენ, ქრისტე, ვინ არს, რომელმან გცა შენ? და მსახურთა მათ მოიყვანეს იგი ყრუმლ-სცემად.

66. და იყო რამ პეტრე ეზოსა მას შინა, მოვიდა ერთი მკვეალთაგანი მღღელთ მოძღუარისათა.

67. და ვითარცა იხილა იგი, ტფებოდა რამ, მიჰხედა მას და ჰრქუა: და შენცა იყავ იესოს თანა ნაზარეველისა.

68. ხოლო მან უვარ-ყო და თქუა: არა ვიცი, და არცა უწყი, რასა ეგე იტყუ შენ. და გამოვიდა პეტრე გავრშესა მას ეზოსა, და ქათამმან ჯმა-ყო.

69. და კულად იხილა იგი მკვეალმან მან და იწყო სიტყუად წინაშე მღღომარეთა მათ. ვითარმედ: ესეცა მათგანივე არს.

70. ხოლო მან კულად უვარ-ყო. და შემდგომად მცირედისა უამისა წინაშე მღღომელნი იგი ეტყოდეს პეტრეს: კეშმარიტად მათგანი ხარ, და რამეთუ გალირიველ ხარ და სიტყუაცა შენი გამოგაჩინებს.

71. ხოლო პეტრე იწყო შეჩუენებად და ფიცად, ვითარმედ: არა ვიცი კაცი ესე, რომელსა იტყუთ.

72. და შეყსელად მეორედ ქათამმან იყივლა და მოეკსენა პეტრეს სიტყუა იგი, რომელი ჰრქუა მას იესო, ვითარმედ: პირველ ქათმისა ჯმობადმედ მეორედ სამგზის უვარ მყო მე. და იწყო ტირილად.

## 15

ა 1. და \*\*მეყსეულად განთიად ზრახვა-ყვეს მღღელთ მოძღუართა მათ მოხუცებულთა თანა და მწინგნობართა და ყოველმან კრებულმან. და შეკრეს იესო და წარიყვანეს და მისცეს იგი პილატეს.

2. და ჰკითხა მას პილატე და ჰრქუა: შენ ხარა მეუფე პურიათა? ხოლო იესო მიუგო და ჰრქუა მას: შენ იტყუ.

3. და შეასმენდეს მას მღღელთ მოძღუარნი იგი ფრიად.

4. \*\*\*ხოლო პილატე კულად ჰკითხა მას და ჰრქუა: არარაჲს მიუგება? რავენსა შეგწამებენ შენ!

5. ხოლო იესო არა რამ მიუგო, ვიდრემდის უჯრდაცა პილატეს.

6. და რამ დღესასწაულ მიუტევის მათ ერთი პყრობილი, რომელიცა გამოითხოვიან.

7. ხოლო იყო ვინმე ბარაბა მეშფოთეთა თანა კრული, რომელთა შფოთისა შინა კაცი ეკლა.

65. ნერწყუად S. გვწინასწარმეტყუელებდ S. 69. სიტყუად S. 70. მღღომელნი S. 71. შეჩუენებად S. 4. რამედენსა S.

\* მთე. 24. გ. 30. და. 26. ე. 64. \*\* მთე. 27. ა. 1. ლკა. 22. ზ. 66. იწე. 18. ე. 28. \*\*\* მთე. 27. ბ. 12. ლკა. 23. ა. 2. იწე. 18. ე. 33.

8. და ღალად-ყო ერმან მან გამოთხოვად მისა, ვითარცა-იგი მიჰმადლის მათ მარადის.

9. ხოლო პილატე მიუგო და ჰრქუა მათ: გნებავსა რაჲთა მიგრეტო თქუენ მეუფე ჰურიათა?

10. რამეთუ იცოდა, ვითარმედ შურითა მისცეს იგი მდღელთ მოძღუართა მათ.

ზ 11. ხოლო მდღელთ მოძღუართა მათ ღძრეს ერი იგი, რაჲთა ბარაბა მიუტეოს მათ.

12. \*ხოლო პილატე მერმეცა მიუგო და ჰრქუა მათ: და რაჲ უკუე გნებავს ყოფად, რომელსა ესე იტყუთ მეუფედ ჰურიათად?

13. \*\*ხოლო მათ კუალად ღალად-ყვეს და ჰრქუეს: ჯვარს-აცუ ეგე.

14. ხოლო პილატე ეტყოდა მათ. რაჲ ბოროტი უქმნიეს? და იგინი უმეტესად ღალადებდეს და იტყოდეს: ჯვარს-აცუ ეგე.

15. ხოლო პილატეს უნდა ერისა მის მომადლება მიუტევა მათ ბარაბა, ხოლო ერისს სცა შოლტითა და მისცა მათ, რაჲთა ჯვარს-აცუან.

16. \*\*\*ხოლო სტრატიოტთა მათ შეიყვანეს იგი შინაგან ეზოსა მას, რომელ არს ტაძარი, და შეკრიბეს ყოველივე იგი თესლები.

17. და შეჰმოსეს მას ძოწეული და დაადგეს შეთხზული ეკალთაგან გვრგვნი.

18. და იწყეს მოკითხვად მისა და იტყოდეს: გიხაროდენ, მეუფეო ჰურიათათა!

19. და სცემდეს მას თავსა ლერწმითა და პნერწყვდეს მას და დაიდგინან მუტლნი და თაყვანის-სცემედ მას.

20. და ოდეს განციტხეს იგი, განსძარცვეს მას ძოწეული იგი და შეჰმოსეს თსივე სამოსელი და განიყვანეს იგი, რაჲთა ჯვარს-აცუან.

21. \*\*\*\*და პაპრაკად წარიყვანეს თანაწარმავალი, სიმონ ვინმე კვრინელი, (მომავალი ველით, მამა ალექსანდრესი და როფესი), რაჲთა აღიღონ ჯუარი მისი.

22. ჯა მოიყუანეს იგი გოლგოთას, ადგილსა, რომელ არს გამოთარგმანებით: თხემისა ადგილი.

23. და მისცემდეს მას სუმად შემურვილსა ღუნოსა, ხოლო მან არა მიიღო.

გ 24. \*\*\*\*\*და ჯვარს-აცვეს იგი და განიყოფდეს სამოსელსა მისსა და გადგიდებდეს მას ზედა წილსა, ვინ-ძი რაჲ აღიღოს.

25. ხოლო იყო ჟამი მესამე, და ჯვარსა-აცუეს იგი.

26. და იყო ზედაწერილი ბრალისა მისისა ესრეთ დაწერილი: ესე არს მეუფე ჰურიათა.

27. და მის თანა ჯვარს-აცუნეს ორნი ავაზაკნი: ერთი მარჯუენით და ერთი მარცხენით მისსა.

28. და აღესრულა წერილი იგი, რომელი იტყუს, ვითარმედ: უშჯულოთა თანა შეირაცხა.

29. და თანაწარმავალნი იგი ჰგმობდეს მას და ყრიდეს თავთა და იტყოდეს: აჰა, რომელი დაარღუევდ ტაძარსა ამს და მესამესა დღესა აღაშენებდ.

12. უკუე S. 13. ჰრქუეს S. 16. ტაძარიტ'ი S. 18. გ'ნ S. 20. ჯვარს S. 25. ჟუ-არს აცუმს S. 29. დაარტუტედ S.

\* შ'თე. 27. გ. 22. ლ'კა. 23. ბ. 14. \*\* ი'ნე. 18. ზ. 40. \*\*\* შ'თე. 27. გ. 27. ი'ნე. 19. ა. 2. \*\*\*\* შ'თე. 27. დ. 32. ლ'კა. 23. დ. 26. \*\*\*\*\* შ'თე. 27. დ. 25. ლ'კა. 23. ე. 34. ი'ნე. 19. დ. 23.



30. იესენ თავი თვისი და გარდამოკედ მაგიერ ჭუარით.

31. ეგრეთვე მღვდელთ მოძღუარნი იგი იმღერდეს მწიგნობართა თანა და იტყოდეს; სხუანი აცხოვნნა, თავი თვისი ვერ ძალ-უტ ცხოვნებად

32. ქრისტესა, მეუფესა ისრაჴლისასა. გარდამოკედინ აწ ჭუარით, რაჴთა ვიხილოთ და გურწმენეს და მის თანა ჭვარცმულნიცა იგი ეგრეთვე აყუედრებდეს მას.

33. და ვითარცა იყო ჟამი მეექუსე, ბნელი იყო ყოველსა ქუეყანასა ვიდრე მეცხრედ ჟამადმდე.

და 34. და მეცხრესა ჟამსა კმა-ყო იესო კმითა დიდითა და თქუა: \*ელოი, ელოი, ლამა საბაქთან? რომელ არს თარგმანებით: ღმერთო, ღმერთო ჩემო, რაჴსათეს დამიტეობ მე?

35. და რომელთამე წინაშე მდგომელთა ესმა და იტყოდეს: აჰა ელიას ხადის.

36. და მირბიოდა ერთი და აღავსო ღრუბელი ძრმითა და დაადგა ლერწამსა და ასუმიდა და იტყოდა: უტევე, ვიხილოთ, უკუეთუ მოვიდეს ელია გარდამოკენად მაგისა.

37. ხოლო იესო კმა-ყო კმითა დიდითა და განუტევა სული.

38. და კრეტსაბმელი იგი ტაძრისა მის განიჴო ორად: ზეითგან ვიდრე ქუედმდე.

39. და ვითარცა იხილა ასისტავმან, რომელი დგა წინაშე მისსა. რამეთუ ესრეთ ღაღატ-ყო და განუტევა სული, თქუა: ჴემმარითად კაცი ესე ძე ღმრთისაჲ იყო.

40. \*\*ხოლო იყენეს დედანიცა, რომელნი შორით ხედვიდეს, რომელთა თანა იყო მარიამ მაგდალენელი და მარიამ იაკობისი მცირისა და იოსეს დედა და სალომე,

41. რომელნი, ოდეს-იგი იყო გალილეას, შეუდგეს მას, \*\*\*და კმსახურებდეს; და სხუანი მრავალნი, რომელნი მის თანა აღსრულ იყენეს იერუსალმად.

42. \*\*\*\*და ვითარცა შემწუხრდებოდა, (რამეთუ პარასკევი იყო, რომელ არს უწინარეს შაბათისა),

43. მოვიდა იოსებ არიმათიელი, შუენიერი მზრახველი, რომელი-იგიცა. მოელოდა სასუფეველსა ღმრთისასა, იკადრა და შევიდა პილატესსა და მოითხოვა გუამი იესოსი.

44. ხოლო პილატეს დაუჯრდა, უკუეთუ აწვე მოკულა, და მოუწოდა ასის თავსა მას და ჰკითხა, უკუეთუ აღრევე მოკულა?

45. და ისწავა ასისთავისა მისგან ესე და მიჰმალდა გუამი მისი იოსებს.

46. და მან იყიდა არდაგი და გარდამოკსნა იგი ჭუარისა მისგან და წარგრაგნა იგი არდაგითა მით და დადვა იგი საფლავსა, რომელი იყო გამოკუე-თილ კლდისაგან, და მიაგორვა ლოდი კარსა ზედა მის საფლავისასა.

47. იყო მუნ მარიამ მაგდანელი და მარიამ იოსესი და ხედვიდეს, სადა-იგი. დასდებდეს მას.

32. მეუფესა S. აყუედრებდეს S. 38. ქუედმდე S. 41. იქლმად. S. 43. შუენიერი S. მზრახველი S. 46. გამოკუეთილ S.

\* ეს-ნი. 21. ა. 2. მ-თე. 27. ზ. 46. \*\* მ-თე. 27. ვ. 55. \*\*\* ლ-კა. 8. ა. 2. \*\*\*\* მ-თე. 27. ზ. 57. ლ-კა. 23. ზ. 60. ი-ნე. 19. ზ. 38.

## 16

1. და ვითარცა გარდაცა შაბათი იგი, მარიამ მაგდალენელმან და მარიამ იაკობისმან და სალომე იყიდეს ნელსაცხებელი, რამთა მოვიდენ და სცხონ მას.

2. და ნიად განთიადსა მას ერთ შაბათისასა მოვიდეს საფლავსა მას ზედა მერმეცა აღმოსლვსა მზისასა

3. და იტყოდეს ურთიერთას: ვინ გარდაგვგორავოს ჩუენ ლოდი იგი კარისა მისგან საფლავისა?

4. (და მიჰხედეს და იხილეს, რამეთუ გარდაგორვებულ იყო ლოდი იგი) რომელი იყო დიდ ფრიად.

5. \*\*და შე-რა-ვიდეს საფლავსა მას, იხილეს ჭაბუკი მჭდომარე მარჯუენით კერძო, შემოსილი სამოსლითა სპეტაკითა და განკრთეს.

6. ხოლო მან ჰრქუა მათ: ნუ განჰკრთებით! იესოს ეძიებთ ნაზარეველსა, ჯვარცმულსა; აღდგა, არა არს აქა. აჰა აღგილი, სადა დადევს იგი.

7. არამედ წარვედით და უთხართ მოწაფეთა მისთა და პეტრეს, ვითარმედ: აჰა ეგერა წინა-გიძღეს თქუენ გალილეას, მუნ იხილოთ იგი, \*\*\*ვითარცა გრქუა თქუენ.

8. და ამით ვითარცა ესმა ესე, გამოვიდეს და ივლტოდეს მიერ საფლავით, რამეთუ შეძრწუნებულ იყენეს და დაკვრებულ და არა რაჲ ვის უთხრეს, რამეთუ ეწინოდა.

9. ხოლო აღდგა განთიად \*\*\*\*პირველსა მას შაბათსა, ეჩუენა პირველად მარიამს მაგდალენელსა, რომლისაგან განსრულ იყენეს შუდნი ეშმაკნი.

10. იგი წარვიდა და უთხრა მის თანა მყოფთა მათ, რომელნი ივლოვდეს და ტიროდეს.

11. და მათ რაჲ ესმა, რამეთუ ცხოველ არს და ეჩუენა, მათ არა ჰრწმენა.

12. \*\*\*\*\*ხოლო ამისა შემდგომად ორთა მათგანთა სლევასა შინა გამოეცხადა სხუთა ხატითა, მი-რა-ვიდოდეს დაბასა.

13. და იგინი მოვიდეს და უთხრეს სხუთა მათ, და არცა მათი ჰრწმენა.

14. უკანასკნელ მსხდომარეთა ათერთმეტთა მათ ეჩუენა და აყუედრა ურწმუნობა მათი და გულ-ფიცხელობა, რამეთუ რომელთა-იგი იხილეს აღდგომილი, მათი არა ჰრწმენა.

15. და ჰრქუა მათ: წარვედით ყოველსა სოფელსა და უქადაგეთ სახარება ესე ყოველსა დაბადებულსა.

16. რომელსა ჰრწმენეს და ნათელ-ილოს ცხონდეს, ხოლო რომელსა არა ჰრწმენეს, დაისაჯოს.

17. ხოლო სასწაული მორწმუნეთა მათ ესე შეუდგეს: \*\*\*\*\*სახელითა ჩემითა ეშმაკთა განასხმიდენ, \*\*\*\*\*ენათა ახალთა იტყოდიან;

5 მარკოზნი S. 6. ეწინებთ S. 9. ეჩუენა S. 13. სხუათა S. 14. ეჩუენა S. აყუედ-რა S.

\* მთე. 18. ა. 1. ლკა. 24. ა. 1. რზე. 20. ა. 1. \*\* მთე. ა. 5. ლკა. 24. ა. 4. ონე 20. გ. 12. \*\*\* ზე. 4. გ. 28. \*\*\*\* ონე. 20. დ. 16. \*\*\*\*\* ლკა. 24. ბ. 13. \*\*\*\*\* საქ. 36. დ. 18. \*\*\*\*\* საქ. 2. ა. 4. და. 10. ზ. 46.

18. \*გუელთა შეიპყრობდენ: დაღათუ სასიკუდინე რამე სუან, არარა ავნოს მათ; \*\*სნეულთა ზედა კელსა დასდებდენ, და განცოცხლდებოდინ.

19. ხოლო უფალი შემდგომად სიტყუათა ამათ მათდა მიმართ, \*\*\*ამაღ-  
ლდა ზეცად და დაჯდა მარჯუენით ღმრთისა,

20. ხოლო იგინი გამოვიდეს და ქადაგებდეს ყოველსა ქუეყანასა უფლისა  
შეწეენითა და სიტყუსა ამის დამტკიცებითა მის მიერ, რომელნი-იგი შეუდგეს  
მას სასწაულნი. ამინ.

---

18. გუელთა S. 19. მარჯუენით S. ღმრთისა S. 20. უვლია S. ან S.

\* საქ. 28. ბ. \*\* საქ. 28. ბ. 8. \*\*\* ლკა. 24. ზ. 53.

## სასარება ლუკასი

### 1

ა 1. ვინაჲთგან უკუე მრავალთა კელ-ყვეს აღწერად მითხრობისა საქმეთათს გულ-სავეს ქმნილთა ჩუენ შორის.

2. ვითარცა-იგი მომცეს ჩუენ, რომელნი დასაბამითგან თვთ მხილველ და მსახურ ყავით იყვნეს სიტყუსა მის,

3. ჯერ-მიჩნდა მეცა, რომელი შეუდევ პირველითგან ყოვლითა ქეშმარიტებითა, შემდგომითი შემდგომად მიწერად შენდა, მკნეო ღმრთის მოყვარეო თეოფილე.

4. რაჲთა სცნა, რომელთათს-იგი ისწავე სიტყუათა მათ კრძალულედა.

5. იყო დღეთა მათ ჰეროდე მეფისა ჰურიასტანისათა მღლელი ვინმე, რომლისა სახელი ზაქარია, \*შემდგომად დღითი დღე მსახურებისა მის აბიასა, და ცოლი მისი ასულთაგან აპრონისთა, და სახელი მისი ელისაბედ.

6. და იყვნეს ორნივე ესე წინაშე ღმრთისა მართალ და ვიდოდეს ყოველთა მცნებათა სიმართლისა უფლისათა უბიწონი,

7. და არა ესეა მათ შვილი, რამეთუ ელისაბედ იყო ბერწ. და ორნივე გარდასრულ იყვნეს დღეთა მათთა.

8. და იყო მღლელობასა მას მისსა; წესსა მას დღითი-დღედისა მისისა წინაშე ღმრთისა,

9. მსგავსად ჩვეულებისა მღლელობისა ჰხუდა მას საკუმეველისა კუმევა და შევიდა ტაძარსა უფლისასა.

10. \*\*და ყოველი სიმრავლე ერისა ილოცვიდა გარეშე ეამსა მას საკუმეველისა კუმევისასა

11. და ეჩუენა მას ანგელოზი უფლისა, მდგომარე მარჯუენით საკურთხეულასა მის საკუმეველთასა.

12. და შეძრწუნდა ზაქარია, იხილა რა იგი, და შიში დაეცა მას ზედა.

ბ 13. ჰრქუა მას ანგელოზმან მან: ნუ გეშინინ ზაქარია. რამეთუ შეისმეს ვედრებანი შენნი, და ცოლმან შენმან ელისაბედ გიშეეს: შენ ძე, და უწოდა სახელი მისი იოანე.

14. და იყოს შენდა სიხარულ და მხიარულედა, და მრავალთა შობასა მისსა განიხარონ.

15. რამეთუ იყოს დიდ წინაშე უფლისა და დუნო და თაფლუჭი არა სუას და სულითა წმიდითა აღიესოს მიერვე დედის მუცლთ მისთგან.

16. და მრავალნი ძეთა ისრაჴლისათაგანნი მოაქცინეს უფლისა ღმრთისა მათისა.

1. უკუე S. 9. ჩუქლებისა S. 11. ეჩუენა S. მარჯუენით S.

\* 1. ნშტ. 24. ბ. 10. \*\* გ'მოს. 30. ა. 7. ლევ. 16. დ. 17.

17. და იგი თავადი პირველად განვიდეს წინაშე მისდა სულითა და ძალითა ელიასითა \*მოქცევად გულნი მამათანი შვილთა მიმართ და ურჩინი გონებითა მართალთათა განმზადებად უფლისა ერი მომზადებული.

18. და ჰრქუა ზაქარია ანგელოზსა მას: რამთა ვცნა ესე, რამეთუ მე მოხუცებულ ვარ, და ცოლი ჩემი გარდასრულ არს დღეთა მისთა?

19. მიუგო ანგელოზმან მან და ჰრქუა: მე ვარ გაბრიელ, წინაშე მდგომელი პირსა ღმრთისასა და მოვივილინე სიტყუად შენდა და ხარებად ამას.

20. და აჰა იყო შენ დადუმებულ და ვერ შემოწლებელ სიტყუად ვიდრე დღემდე ყოფად ამისა, ამისთვის, რამეთუ არა გრწმენნეს სიტყუანი ჩემნი, რომელნი აღესრულნენ ეამსა თვისსა.

21. და დგა ერი იგი და ელოდა ზაქარიას და უკრდა დაყოვნება იგი მისი ტაძარსა მას შინა.

22. და გამოარა-ვიდა, ვერ ეძლო სიტყუად მათდა, და ცნეს, რამეთუ ჩუენება რამე იხილა ტაძარსა მას შინა. და იგი წამ-უყოფდა მათ და დაადგრა უტყუად.

23. და ვითარცა აღესრულნეს დღენი იგი მსახურებისა მისისანი წარვიდა სახიდ თვისა.

24. და შემდგომად დღეთა მათ მიუდგა ელისაბე, ცოლი მისი და იფარცადა თავსა თვისსა ხუთ თუე და იტყოდა,

25. ვითარმედ: ესრეთ მიყო მე უფალმან დღეთა ამათ, რომელთა მოხედვაყო მოსპოლვად ყუენდრება ჩემი კაცთა შორის.

26. და თუესა მეექუსესა მოვივლინა გაბრიელ ანგელოზი ღმრთისა მიერ ჭალაქად გალილეასა, რომლისა სახელი ნაზარეთ,

27. ქალწულისა, თხოვილისა ქმრისა, რომლისა სახელი იოსებ, სახლისაგან და ტომისა დავითისა, და სახელი ქალწულისა მის მარიამ.

28. და შევიდა ანგელოზი იგი მისა და ჰრქუა: გიხაროდენ, მიმადლებულო! უფალი შენ თანა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის.

29. ხოლო მან რა იხილა, შეძრწუნდა სიტყუასა მას მისსა ზედა და განიზრახვიდა: ვითარ-მე არს მოკითხვა ესე?

30. და ჰრქუა მას ანგელოზმან მან: ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოე მადლი წინაშე ღმრთისა.

31. \*\*და აჰა ესერა შენ მუცლად-ილო და ჰშვე ძე \*\*\*და უწოდე სახელი მისი იესო.

32. ესე იყოს დიდ და ძე მადლის ეწოდოს, და მისცეს მას უფალმან ღმერთმან საყდარი დავითის, მამისა თვისისა, \*\*\*\*და მეუფებდეს სახლსა ზედა იაკობისსა საუკუნოდ.

33. და სუფევისა მისისა არა იყოს დასასრულ.

34. ჰრქუა მარიამ. ანგელოზსა მას: ვითარ-მე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი.

35. მიუგო ანგელოზმან მან და ჰრქუა მას: სული წმიდაჲ მოვიდეს შენ ზედა, და ძალი მადლისა გფარვიდეს შენ; ამისთვისცა შობილსა მას წმიდა ეწოდოს, და ძე მადლის.

16. უფლისაჲ S. ღმრთისაჲ S. 17. უფლისაჲ S. 22. ჩემნება S. 24. თუე S. 25. ყელდრება S. 26. თუქსა S. ღმრთისაჲ S. 28. გუნ S. 30. ღმრთისაჲ S. 35. წმიდაჲ S.

\* შლქ. 4. ბ. 5. შთე. 11. ბ. 14. \*\* ესა. 7. გ. 14. \*\*\* ქვე. 2. გ. 21. \*\*\*\* ღნიე. 7. დ. 14. ზ. 27. მიქი. 4. ბ. 7.

36. და აჰა ელისაბედ, ნათესავი შენი, იგიცა მიდგომილ არს ძესა სიბერესა თვისსა, და ესე მეექუსე თუე არს მისი, რომელსა-იგი ერქუა ბერწ.

37. რამეთუ არა შეუძლებელ არს წინაშე ღმრთისა ყოველი სიტყუა.

38. ჰრქუა მას მარიამ: აჰა მკვევალი უფლისაჲ; მეყავენ მე სიტყვსაებრ შენისა! და წარვიდა მისგან ანგელოზი იგი.

39. და აღდგა მარიამ დღეთა შინა და წარვიდა მთად კერძო მსწრაფლ ქალაქად იუდასა.

40. და შევიდა სახლსა ზაქარიასასა და მოიციტხა ელისაბედ.

41. და იყო ვითარცა ესმა ელისაბედს მოკითხვა მარიამისი, ჰკრთებოდა ყრმა იგი მუცელსა მისსა. და აღივსო სულითა წმიდითა ელისაბედ.

42. და კმა-ყო კმითა დიდითა და თქუა: კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა!

43. და ვინაჲ ჩემდა ესე, რადთა მოვიდეს დედა უფლისა ჩემისა ჩემდა.

44. რამეთუ აჰა ესერა ვითარცა იყო კმაჲ მოკითხვისა შენისა ყურთა მობართ ჩემთა, ჰკრთებოდა ყრმა ესე სიხარულით მუცელსა ჩემსა.

45. და ნეტარ არს, რომელსა ჰრწმენეს, რამეთუ იყოს აღსრულება თქუმულთა მათ მისა მიმართ უფლისა მიერ.

46. და თქუა მარიამ: აღიდებს სული ჩემი უფალსა,

47. და განიზარა სულმან ჩემმან ღმრთისა მიმართ, მაცხოვრისა ჩემისა,

48. რამეთუ მოხედნა სიმდაბლესა ზედა მკვეელისა თვისასა; რამეთუ აჰა ესერა ამიერიტგან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი;

49. რამეთუ ყო ჩემ თანა დიდებული ძლიერმან, და წმიდა არს სახელი მისი,

50. და წყალობა მისი ნათესავითი ნათესავადმდე მოშიშთა მისთა ზედა

51. \*ყო სიმტკიცე მკლავითა თვისითა; განაბნინა ამპარტავანნი გონებითა გულთა მათთაჲთა.

52. დაამკუნა ძლიერნი საყდართაგან, და აღამაღლნა მდაბალნი.

53. \*მშიერნი აღავსნა კეთილითა და მდიდარნი განავლინნა ცუდნი;

54. შეეწია ისრაჲლსა, მონასა თვისსა, მოკსენებად წყალობისა.

55. \*\*ვითარცა ეტყოდა მამათა ჩუენთა აბრაჰამსა და ნათესავსა მისსა საუკუნოდ.

56. და დაადგრა მარიამ ელისაბედის თანა სამ თუე და წარვიდა სახიდ თვისსა.

57. ხოლო ელისაბედისნი აღივსნეს ჟამნი შობისა მისისანი, და შვა ძე.

58. და ესმა გარემოთა და ნათესავთა, რამეთუ განადიდა უფალმან წყალობა თჳნი მის თანა, და მის თანა იხარებდეს.

59. და იყო მერვესა დღესა და მოვიდეს წინადაცუეთად ყრმისა მის, რამეთაჲცა უწოდეს მას სახელი მამისა მისისა — ზაქარია.

60. და მიუგო დედამან მისმან და ჰრქუა: არა, არამედ ეწოდოს მაგას იოანე.

61. და ჰრქუეს მას, ვითარმედ: არავინ არს ნათესავსა შენსა, რომელსა ჰრქვან სახელი ეგე.

62. და წამ-უყოფდეს მამასა მისსა, რა-ძი უნდეს სახელის-დებად მისა.

36. თუქ S. 37. ღმრთისაჲ 43. ვინა S. 45. უფლისაჲ S. 47. ღმრთისაჲ S. 49. წმიდაჲ S. 55. აბრაჰამსა S. 56. თუქ S. 59. წინადაცუეთად S. 59. სახელი(ს)სახელად S.

\* ესა. 51. ბ. 9. \*\* 1. მეფ. 2. ა. 5. ფსნ. 33. გ. 11. \*\*\* ღზდ. 17. ბ. 9. და. 22. გ. 16. ფსნ. 131. გ. 11. ესა. 41. ბ. 8.

63. და მოითხოვა ფიცარი და დაწერა \*და თქუა: იოანე არს სახელი მისი. და დაუკურდა ესე ყოველთა.

64. და მეყსეულად აღელო პირი მისი ჯა ენა, და იტყოდა და აკურთხევდა ღმერთსა.

65. და იყო შიში დიდი ყოველთა ზედა გარემო მკვდრთა მისთა და ყოველთა მათ მთით კერპთა პურიასტანისათა, შმოითქუმოდეს ყოველნი ესე სიტყუანი.

66. და დაიდევს გულსა, რომელთა ესმოდა ესე და იტყოდეს: რამე იყოს ყრმა ესე? და კელი უფლისაჲ იყო მის ზედა.

67. და მამა მისი, ზაქარია, აღივსო სულითა წმიდითა, წინაწარმეტყულებდა და თქვა:

68. \*\*კურთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაჲლისა, რამეთუ მოხედნა და ყო ესნა ერისა თვისისა,

69. \*\*\*და აღმიდგინა ჩუენ რქა ცხოვენიისა შორის სახლსა მას დავითის, მონისა თვისისაჲ;

70. ვითარცა ეტყოდა პირითა წმიდითა საუკუნითგან წინაწარმეტყუელთა მისთათა.

71. ცხოვრებასა მტერთა ჩუენთაგან და კელისაგან ყოველთა მოძულეთა ჩუენთასა;

72. ყოფად წყალობისა მამათა ჩუენთა თანა, და მოკსენებად აღთქმისა წმიდისა მისისა;

73. \*\*\*\*ფიცით, რომელ ეფუცა აბრაჰამს, მამასა ჩუენსა, მოცემად ჩუენდა

74. უშიშად ესნად კელთაგან მტერთა ჩუენთასა,

75. მსახურებად მისა ღირსებით და სიმაართლით წინაშე მისსა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩუენისათა.

76. და შენ, ყრმაო, წინაწარმეტყუელ მალლის იწოდო, რამეთუ წარსდღუე შენ წინაშე პირსა უფლისასა განმზადებად გზათა მისთა,

77. \*\*\*\*\*მიცემად მეცნიერება ცხოვრებისა ერსა თვისსა მოტევებითა ცოდვათა მათათა,

78. მოწყალებითა წყალობისა ღმრთისა ჩუენისათა, რომელთა მიერ მომხედნა ჩუენ \*\*\*\*\*აღმოსავალმან მალლით

79. გამოჩინებად მათ ზედა, რომელნი სხენან ბნელსა შინა და აჩრდილთა სიკუდილისათა, და წარმართებად ფერტთა ჩუენთა გზასა მშუდობისასა.

80. ზოლო ყრმა იგი აღორძინდებოდა, და განმტკიცებოდა სულითა და იყო უღაბნოსა ვიდრე გამოცხადებულმდე მისა ისრაილისა მიმართ.

2

ა 1. და იყო მათ დღეთა შინა გამოკჯა ბრძანება აგუსტოს კეისრისაგან აღწერად ყოველისა სოფლისა.

2. ესე აღწერა პირველი იყო მთავრობასა ასურეთს კვრინესსა.

67. წინაწარმეტყუელთადად S. 69. თვისისა|თვისისათა S. 71. ცხოვრებასა S. 76. წარსდღუე S. უფლისაასა S. 80|90 S.

1 ზე. ბ. 13. \*\* ფსნი. 73. ბ. 12. და. 131. დ. 17. \*\*\* იერ. 23. ა. 5. და. 30. ბ. 10. \*\*\*\* ღმდბ. 22. გ. 16. იერ. 31. ვ. 33. ებრ. 6. ვ. 13. დ. 17. \*\*\*\*\* შლქ. 4. ბ. 5. ზე. ბ. 17. \*\*\*\*\* ზქა. 3. დ. 8. და 6. გ. 12. შლქ. 4. ა. 2.

3. და წარვიდოდეს ყოველნი აღწერად კაცად-კაცადი თუსსა ქალაქსა.

—4. აღმოვიდა იოსებთა გალილეათ, ქალაქით ნაზარეთით, ჰურიასტანად ქალაქად დავითისა, \*რომელსა ჰრქუან ბეთლემ, რამეთუ იყო იგი სახლისაგან და ტომისა დავითისა.

—5. აღწერად მარიამის თანა, რომელი მითხოვილ იყო მისა, და იყო იგი მიდგომილ.

—6. და იყო ვიდრე იყვნესლა ივინი მუნ, აღივსნეს დღენი იგი შობისა მისისანი.

—7. და შვა ძე იგი მისი პირმშო და შეხვა იგი სახუვევლითა და მიაწვინა იგი ბაგასა, რამეთუ არა იყო მათა ადგილ საენესა მას.

ბ 8. და მწყემსნი იყვნეს მასვე სოფელსა, ველთა დგებოდეს და კუმვილვიდეს კუმვილვისა ღამისასა სამწყსოსა მათსა.

9. და აპა ანგელოზი უფლისა დაადგრა მათ ზედა, და დიდება უფლისა გამოუბრწყინდა მათ, და შეეშინა მათ შიშითა დიდითა.

—10. და ჰრქუა მათ ანგელოზმან მან უფლისამან: ნუ გეშინინ, რამეთუ აპა ესერა გახარებ თქუენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოვლისა ერისა.

11. რამეთუ იშვა დღეს თქუენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე უფალი, ქალაქსა დავითისსა.

12. და ესე იყოს თქუენდა სასწაულად: ჰპოოთ ყრმა იგი ზეხუეული და მწოლარე ბაგასა.

13. და მეყსეულად იყო ანგელოზისა მის თანა სიმრავლე ერთა ცისათა, აქებდეს ღმერთსა და იტყოდეს:

14. დიდება მალათა შინა ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშუდობა, და კაცთა შორის სათნოება.

15. და იყო ვითარცა აღვიდეს ანგელოზნი იგი ზეცად, მწყემსთა მათ თქუეს ურთიერთას: განვდეთ ჩუენ ვიდრე ბეთლემადმდე და ვიხილოთ სიტყვა ესე, რომელი იყო ჩუენდა მომართ, რომელი იგი უფალმან მაუწყა ჩუენ.

გ 16. და მოვიდეს მსწრაფლ და პოეს მარიამ და იოსებ და ყრმა იგი მწოლარე ბაგასა.

17. და ვითარცა იხილეს. გულისხმა-ყვეს სიტყუა იგი, რომელი ითქუა მათა მიმართ ყრმისა მისთვის.

ბძ. და ყოველთა რომელთა ესმოდა, უკრდა სიტყუა იგი მწყემსთა მათ მათდა მიმართ.

19. ხოლო მარიამს დაემარხნეს სიტყუანი ესე და დაედვა გულსა თუსსა.

20. და შიქცეს და წარვიდეს მწყემსნი იგი, აღიღებდეს და აქებდეს ღმერთსა ამას ყოველსა ზედა. რომელი ესმა და იხილეს, ვითარცა-იგი ითქუნეს მათდა მიმართ.

21. \*\*და ვითარცა აღესრულნეს დღენი იგი რვანი წინადაცუეთისა მისისანი, და უწოდეს სახელი მისი \*\*\*ისო, რომელ-იგი ეწოდა ანგელოზისა მისგან ვიდრე ყოფადმდე მისა მუტელსა დედისა თუსისასა.

22. და რაჟამს აღესრულნეს დღენი იგი განწმენდისა მათისანი \*\*\*\*მჯულისა მიაკებრ მოსესისა, აღმოიყვანეს ყრმა იგი იერუსალჰმად წარდგინებად წინაშე უფლისა.

7. სახუვევლითა S. 12. შეხუეული S. 18. მწყემსთა მწყემსთა S. 21. წინადაცუეთისა S. 22. იტყოდეს S.

\* ზ-ქ. 5. ა. 2. გ-თე. 2. ა. 6. \*\* ღზდბ. 17. ბ. 12. ლებ. 12. ა. 3. \*\*\* გ-თე. 1. დ. 21. ზე. 1. დ. 31. \*\*\*\* ლებ. 12. გ. 6.



23. ვითარცა წერილ არს შჯულსა უფლისასა, \*რამეთუ: ყოველმან წულმან რომელმან განაღოს საშო, წმიდა უფლისა იწოდოს;

24. და მიცემად შესაწირავი, ვითარცა თქმულ არს \*\*შჯულსა უფლისასა, ორნი გურიტნი ანუ ორნი მართუენი ტრედისანი.

25. და აჰა იყო კაცი იერუსალმს, რომლისა სახელი სუმეონ. და კაცი ესე მართალი იყო და მოშიში უფლისაჲ და მოელოდა ნუგეშინის-ცემასა ისრაელისასა; და სული წმიდაჲ იყო მის ზედა.

26. და იყო მისა უწყებულ სულისაგან წმიდისა არა ხილვად სიყუდილი, ვიდრემდე იხილოს ცხებული უფლისაჲ.

27. და მოვიდა სულითა წმიდითა ტაძრად უფლისა და შეყვანებასა მას მამა დედისა მიერ ყრმისა მის იესოსა ყოფად მათა მსგავსად ჩვეულებისა მისებრ შჯულისა მისა მიმართ,

28. და მან მიიქუა იგი მკლავთა თუსთა ზედა და აკურთხევდა ღმერთსა და თქუა:

29. აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყუსაებრ შენისა მშულობით,

30. რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარება შენი,

31. რომელ განუშზადე წინაშე პირსა ყოვლისა ერისასა,

32. ნათელი გამობრწყინებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა.

33. და იყვნეს იოსებ და დედა მისი დაკრებულ სიტყუათა მათ ზედა მისთვის.

34. და აკურთხნა იგინი სუმეონ და ჰრქუა მარიამს, დედასა მისსა: \*\*\*აჰა ესერა იესე დგას დაცემად და აღდგინებად მრავალთა ისრაელსა შორის და სასწაულად სიტყუს საგებელად.

35. და თუთ შენსაცა სულსა განვიდეს მახული, რამთა განცხადნენ მრავალთაგან გულთა ზრახვანი.

36. და იყო ანნა წინაწარმეტყუელი, ასული ფანოელისი, ტომისაგან ასერისა. ესე გარდასრულ იყო ღღეთა მრავალთა და ცხოვრებულ იყო ქმრისა თანაშუდ წელ სიქალწულთგან თუსით.

37. და ესე იყო ქურივ ვითარ ოთხმოცდაოთხის წლის, რომელი არა განეშორებოდა ტაძრისა მისგან. მარხვითა და ვედრებითა და მსახურებითა ღამე და ღღე.

38. ესე მსვე ეჰმსა შინა მოიწია და აუვარებად ღმერთსა და ეტყოდა მისთვის ყოველთა, რომელნი მოელოდეს გამოჯნასა იერუსალმს შინა.

39. და ვითარცა აღასრულეს მის ზედა ყოველივე მსგავსად შჯულისა უფლისა, მოიქცეს და წარვიდეს გალილეად, ქალაქად თუსა — ნაზარეთად.

40. ხოლო ყრმა იგი აღორძინებოა და განმტკიცებოდა სულითა და აღივსებოდა სიბრძნითა და მაღლი ღმრთისაჲ იყო მის ზედა.

41. და აღმოვიდიან მამა დედანი მისნი წლითი წლად იერუსალმდ \*\*\*დღესასწაულსა მას პასექისასა.

42. და იყო რაჲ იგი ათორმეტის წლის, აღმოვიდეს იგინი იერუსალმდ, ვითარცა ჩუეულ იყვნეს დღესასწაულსა მას.

23. წმიდაჲ S. 24. მართუენი S. 25. იწოდოს S. 27. უფლისაჲ. S. ჩუქულებისა S. 37. მარხვთა S. 38. იწოდოს S. 41. იწოდოს. S. 42. იწოდოს S. ჩუქულ. S.

\* გ.შს. 13. ა. 2. რიც. 8. გ. 16. \*\* ლეტ. 12. დ. 8. \*\*\* ესა. 8. გ. 14. ჰრლ. 9. ზ. 33. პე. 2. ბ. 7. \*\*\*\* გმს. 23. გ. 15. და. 34. გ. 18. 2. სჯუ. 16. ა. 1.

14. მცხეთური ხელნაწერი

43. და აღასრულნეს დღენი იგი, და წარსლვასა მას მათსა დაშთა იესო ყრმა იერუსალჴმს, და არა უწყოდეს იოსებ და დედამან მისმან.

44. ჰგონებდეს მისა, ვითარმედ მოგზაურთა თანა არს იგი. და მოვიდეს დღისა ერთისა გზასა და ეძიებდეს მას ნათესავთა შორის და მეცნიერთა.

45. და არა პოეს იგი. და მოიქცეს იგინი იერუსალჴმდევ და ეძიებდენ მას.

46. და იყო შემდგომად სამისა დღისა პოეს იგი ტაძარსა მას შინა მკდომარე შორის მოძღუართა, ისმენდა მათსა და ჰკითხვიდა მათ.

47. განუკრდებოდა მა ყოველთა, რომელთა ესმოდა მისი გულისხმის-ყოფა იგი და სიტყუს მიგება მისი.

48. და იხილეს იგი და განუკრდა. ჰრქუა მას დედამან მისმან: შვილო, რაჲ ესე მიყავ ჩუენ ესრეთ? აჲ ესერა მე და მამა შენი ვრონინებთ და გეძიებთ შენ.

49. და მან ჰრქუა მათ: და რასა მეძიებთ მე? არა უწყითა, რამეთუ მამისა ჩემისა თანა ჯერ-არს ჩემი ყოფა?

50. და მათ ვერ გულისქმა-ყვეს სიტყუა იგი, რომელი ჰრქუა მათ.

51. და წარვიდა მათ თანა და მოვიდა ნაზარეთად და იყო დამორჩილებულ მათდა. ხოლო დედასა მისსა დაემარხნეს ყოველნი ესე სიტყუანი გულსა თსსა.

52. და იესო წარემატებოდა სიბრძნითა და ჰსაკითა და მადლითა წინაშე ღმრთისა და კაცთა.

### 3

ა 1. წელსა მეათხუთმეტესა ტიბერის კეისრისასა, მთავრობასა პონტიელისა პლატესა ჰურიასტანს და მეოთხედ მთავრობასა გალილეას ჰეროდესსა, ხოლო ფილიპეს, ძმისა მისისა, მეოთხედ მთავრობასა იტურეას და ტრაქონელთა-ლოფელსა და ლუსანიისსა მეოთხედ მთავრობასა აბილინესსა,

2. \*მღღელთა მოძღურებასა ანანასსა და კაიაფასსა იყო სიტყუა უფლისაჲ იოანეს მიმართ, ძისა ზაქარიასსა, უდაბნოსა.

3. \*\*და მოვლიდა ყოველსა მას გარემო სოფლებსა იორდანისასა და ქადაგებდა ნათლის-ცემასა სინანულისასა მისატყვებულად ცოდვათა.

ბ 4. ვითარცა წერილ არს წიგნსა მას სიტყუათა ესაია წინაწარმეტყუელისათა და იტყუს: \*\*\*კმაჲ ღაღადებისა უდაბნოსა: განჰშზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ყვენით ალაგნი მისნი.

5. ყოველი ჰვენები აღმოვისოს, და ყოველნი მთანი და ბორცუნი დამდაბლდენ; და იყოს გულარძნილი იგი მართალ და ფიცხელი იგი გზად წრფელად.

6. და იხილოს ყოველმან კორციელმან მაცხოვარება ღმრთისაჲ.

7. და ეტყოდა განმავალსა მას მისა ერსა ნათლის-ღებად მისგან: \*\*\*\*ნაშობნო იქედნეთანო, ვინ გიჩუენა თქუენ სივლტოლა მერმისა მისგან რისხვისა?

8. ყავთ უკუე აწ ნაყოფი ღირსი სინანულისა და ნუ ჰგონებთ და იტყუო გულთა თქუენთა: მამა გვეის ჩუენ აბრაჰამი. გეტყუ თქვენ, რამეთუ ძალ-უცღმერთსა აღდგინებად ქვათა ამთგან ნაშობად აბრაჰამისა.

43. ოსლმს S. 45. ოსლდევ S. 50. გულსქმაჲ ყვეს S. სიტყა S. 52. ღმრთისა S. 1. დღესანისა S. 7. გიჩუენა S. 8. რისხვა S. უკუშ S. აბრაჰამი S.  
\* საქ. 4. ა. 6. \*\* შთუ. 3. ა. 1. შრკ. 1. ა. 4. \*\*\* ესა. 40. ა. 3. ონე. 1. გ-23. \*\*\*\* შთუ. 3. ბ. 7. და. 23. 33.

9. რამეთუ აწვე ცული ძირთა თანა ხეთასა ძეს; ყოველმან ხემან რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკუთოს და ცეცხლსა დაედვას.

გ 10. და ჰკითხვიდეს მას ერი იგი და ეტყოდეს: და რამე უკუე ვყოთ?

11. მიუგო და ჰრქუა მათ: \*რომელსა აქუნდეს ორი სამოსელი, მიეცინ რომელსა არა აქუნდეს; და საზრდელიცა ეგრეთვე მსგავსად ყავნ.

12. მოვიდეს მისა მეზუერენიცა ნათლის-ღებად და ჰრქუეს მას: მოძღუარ, ჩუენ რამე ვყოთ?

13. ხოლო მან ჰრქუა მათ: ნურარას უფროს განწესებულისა თქუენისა იქმთ.

14. ჰკითხუდეს მას მკედრად განწესებულნიცა იგი და ეტყოდეს: და ჩუენ რამე ვყოთ? და მან ჰრქუა მათ: ნუვის აპირებთ, ნუცა ცილსა შესწამებთ და კმა გეყავნ როჭიკი თქუენი.

და 15. და ვითარცა მოელოდა ერი იგი და განიზრახვიდეს ყოველნი გულთა მათთა იოანესთვის: ნუუკუე იგი არს ქრისტე,

16. მიუგო ყოველთა იოანე და ეტყოდა: \*მე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა; ხოლო მოვალს უძლიერესი ჩემსა, რომლისა არა ვარ ღირს ჯამლთა მისთა ტვრთვად; მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა,

17. \*\*\*რომლისა ნიჩაბი კელთა შინა მისთა, განწმიდოს კალო თვისი და შეკრიბოს იფქლი საუნჯესა თვისსა, ხოლო ბზე დაწვას ცეცხლითა უშრეტითა,

18. და ფრიად სხუასაცა მრავალსა ჰლოცვიდა და ახარებდა ერსა მას.

19. \*\*\*\*ხოლო ჰეროდე ოთხთა სამთავროთა მთავარმან, რამეთუ ამხილებდა მას ჰეროდისთვის, ცოლისა ფილიპეს, ძმისა მისისა, და ყოველისა მისთვის, რომელი ქმნა ბოროტი ჰეროდე,

20. შესძინა ესეცა მას ყოველსა ზედა და შეაყენა იოანე საპყრობილესა.

21. \*\*\*\*\*და იყო ნათლის-ღებასა მას ყოველისა ერისასა და იესოცა ნათელ-ილო და ილოცვიდა, და განებუნეს ცანი.

22. და გარდამოკდა სული წმიდაჲ კორციელითა ხილვითა ვითარცა ტრედი მის ზედა, და კმა-იყო ზეცით და თქუა: \*\*\*\*\*შენ ხარ ძე ჩემი საყუერელი, შენ სათნო-გიყავ.

23. და თავადსა იესოს ეწყო ოდენ ყოფად მეოცდაათესა წელსა, რომელი საგონებელ იყო ძედ იოსებისა, (იაკობისა), ელისა,

24. მატათანისა, ლევისა, მელქისა, იანესა, იოსებისა.

გ 25. მათათისა, ამოსისა, ნაომისა, ელისა, ნავესა,

26. მათათისა, მატათისა, სემისა, იოსებისა, იუდასსა,

27. იოანანისა, რესასა, ზორაბაბელისა, სალათიელისა, ნერისა,

28. მელქისა, ადდისა, კოსამისა, ელმოდადისა, ერისა,

29. იოსისა, ელიეზერისა, იორამისა, მატათათისა, ლევისა.

30. სუმეონისა, იუდასა, იოსებისა, იოანანისა, ელიაკიმისა,

31. მელვასა, მახანისა, მატათანისა, ნათანისა, დავითისა,

ზ 32. იესესსა, იობედისა, ბოოსისა, სალმონისა, ნაასონისა,

9. მოკუქმოს S. 10. უკუმ S. 12. მეზუერენიცა S. 15. ნუუკუმ S. 22. კმა იყო S. 23. იოსებისსა S. იაკობისსა S. ელისსა S. 24. ლევისსა S. 31. დავითისსა S.

\* ოკბ. 2. გ. 15. ონე. 1. გ. 23. \*\* შთე. 3. ბ. 11. შრკ. 1. ა. 8. ონე. 1. დ. 26. სქმ. 1. ა. 5. და. 11. ბ. 16. და. 19. ა. 4. \*\*\* შთე. 3. გ. 12. \*\*\*\* შთე. 14. ა. 4. შრკ. 6. გ. 17. \*\*\*\*\* შთე. 3. გ. 13. შრკ. 1. ბ. 9. ონე. 1. დ. 32. \*\*\*\*\* შთე. 3. დ. 17. და. 17. ა. 5. ქეე. 9. ე. 35. 2. პტრ. 1. დ. 17.

33. ამინადაბისა, არამისა, (იორამისა), ესრომისა, ფარეზისა, იუდასა,
34. იაკობისა, ისაქისა, აბრაჰამისა, თარასა, ნაქორისა,
35. სერუქისა, რაგაეისა, ფალეგისა, ებერისა, სალასა,
36. კანანისა, არფაქსადისა, სემისა, ნოესა, ლამექისა.
37. მათუხალასა, ენუქისა, იარედისა, მალელეილისა, კანანისა,
38. ენოსისა, სეთისა, ადამისა და ღმრთისა.

## 4

ა 1. ხოლო იესო სავეს სულთა წმიდითა მოიქცა იორდანით, \*და მოჰყვანდა სულსა უდაბნოდ.

2. და ორმოც დღე გამოიცადებოდა ეშმაკისაგან და არარა ჰკამა მათ დღეთა შინა. და აღ-რა-ესრულნეს დღენი იგი, შეეშმა.

3. და ჰრქუა მას ეშმაკმან მან: უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, არქუ ქეთათა ამათა, რაჲთა იქმნენ პურ.

4. მიუგო იესო და ჰრქუა მათ: წერილ არს: \*\*არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყუთა ღმრთისათა.

5. და აღიყვანა იგი მთასა მაღალსა და უჩუენნა მას ყოველნი სუფევანი სოფლ-სანი გამოხატვითა ჟამათა

6. და ჰრქუა მას ეშმაკმან მან: შენ მიგცე ამის ყოვლისა კელმწიფება და დიდებაჲ მათი, რამეთუ ჩემდა მოცემულ არს, და რომლისა მინდეს, მივსცე იგი.

7. უკუეთუ შენ თაყუანის-მცე ჩემ წინაშე, იყოს შენდა ესე ყოველი.

ბ 8. მიუგო იესო და ჰრქუა მას: წარვედ მართლუქუნ ჩემგან ეშმაკო! წერილ არს: \*\*\*უფალსა ღმერთსა შენსა თაყუანის-სცე და მას მხოლოსა ჰმსახურებდე.

9. და მოიყვანა იგი იერუსლემად და დაადგინა იგი ფრთესა მას ზედა მის ტაძრისასა და ჰრქუა მას: უკუეთუ ძე ხარ ღმრთისაჲ, გარდაიდგე თავი შენი ამიერ ქუეყანად,

10.\*\*\*რამეთუ წერილ არს, ვითარმედ: ანგელოზთა მისთა უბრძანებიეს შენთს დაცვად შენდა,

11. კელთათა მათთა ზედა აღვიპყრან შენ, ნუ სადა წარსცე ჰვასა ფერკი შენი.

12. მიუგო იესო და ჰრქუა მას, რამეთუ: თქმულ არს: \*\*\*\*არა განსცადო უფალი ღმერთი შენი.

13. და აღასრულნა ყოველნი განსაცდელნი ეშმაკმან მან და განეშორა მას ვიდრე ეამადმდე.

14. \*\*\*\*\*და მოიქცა იესო ძალითა სულისა წმიდისათა გალილეად; და ჰამბავი განჯდა მისთვის ყოველსა მას გარემო სოფლებსა.

გ 15. და იგი თავადი ასწავებდა შესაკრებელთა მათთა და იდიდებოდა ყოველთაგან.

16. \*\*\*\*\*და მოვიდა ნაზარეთად, სადაცა აღზრდილ იყო, და შევიდა, ვითარცა ჩუეულ იყო იგი, დღესა შაბათსა შესაკრებელსა მათსა, და მოსცეს მას წიგნი ესაია წინაწარმეტყუელისა.

35. სერუქისა S. 5. უჩუენა S. 9. ილჳად S. 16. ჩუქულ S. 10. უბრძანებიესქა უბრძანებუს S.

\* მწთე. 4. ა. 1. მწკ. 1. ბ. 12. \*\* 2. სწლ. 8. ა. 3. მწთე. 4. ა. 4. \*\*\* 2. სწლ. 6. ბ. 13. და 10. დ. 70. \*\*\*\* ფსნი. 90. გ. 11. \*\*\*\*\* 2. სწლ. 6. ბ. 16. \*\*\*\*\* მწთე. 4. ბ. 12. მწკ. 1. ბ. 14. \*\*\*\*\* მწთე. 13. ზ. 54. მწკ. 6. ა. 1. იწე. 4. გ. 45:

17. და აღდგა კითხვად და განყო წიგნი იგი და პოვა ადგილი, რომელსა წერილ იყო.

18. \*სული უფლისაჲ ჩემ ზედა, რომლისათჳს მცხო მე, და მახარებელად გლახაკთა მომავლინა მე, განკურნებად შემუსრვილთა გულითა,

19. ქადაგებად ტყუეთა განტევებისა და ბრმათა ახილვად, განვლინებად მომსრველთა განტევებითა, და ქადაგებად წელიწადი უფლისაჲ შეწყნარებული.

და 22. და შეყო წიგნი იგი და მისცა მსახურსა და დაჯდა: და თჳლანი ყოელისა კრებულისანი მას ხედვიდეს.

20. და იწყო სიტყუად მათა, ვითარმედ: დღეს აღესრულა წერილი ესე ყურთა მომართ თქუენთა.

22. და ყოველნი ეწამებოდეს მას და უკურდა სიტყუათა მათ ზედა მისთა მადლისათა, რომელნი გამოვიდოდეს პირისაგან მისისა, დაა იტყოდეს: ანუ რა ესე არსა ძე იოსებისი?

23. და თავადმან ჰრქუა მათ: მრქუათ სამე იგავი ესე: მკურნალო, განიკურნე თავი შენი. და ჰრქუეს მას: რაედენი გუესმა საქმე კაპერნაუმს, ქმენ აქაცა, მამულსა შენსა.

24. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: ამინ გეტყვ თქუენ, \*\*რამეთუ არავინ წინაწარმეტყუელი შეწყნარებულ არს თჳსსა მამულსა.

25. ხოლო ჰეშმარიტად გეტყვ თქუენ, რამეთუ მრავალნი ქურიენი იყვნეს დღეთა მათ ელიასათა ისრაელსა შორის, ოდეს-იგი დაეკმა ცაჲ სამ წელ და ექუს თუე, რაჟამს-იგი იყო სიყმილი დიდი ყოველსა ქუეყანასა.

26. \*\*\*და არავის მათგანისა მიივლინა ელია, გარნა სარეფთად სიღონისა, დედაკაცისა ქურივისა.

ე 27. \*\*\*\*და მრავალნი კეთროვანნი იყვნეს ისრაელსა შორის ელისეს ზე, წინაწარმეტყუელისა, და არავინ მათგანი განიკურნა, გარნა ნემან ასური.

28. და აღივსნეს ყოველნი გულსწყრომითა, რომელნი იგი იყვნეს შესაკრებულსა მას შინა, ესმოდა რაჲ ესე.

29. და აღდგეს და განაძეს იგი გარეშე ქალაქისა მისგან და მოიყვანეს იგი ვიღრე წუერადმდე მის მთისა, რომელსა ზედა ქალაქი იგი მათი დაშენებულ იყო, რამათა გარდააგლონ იგი.

30. ხოლო თავადმან განვლო შორის მათსა და წარვიდა.

31. \*\*\*\*\*და შთავიდა კაპერნაუმად, ქალაქსა გალილიასასა. და ასწაებდა მათ შაბათსა შინა.

32. და უკურდა მოძღუარება იგი მისი, რამეთუ კელმწიფებით იყო სიტყუა იგი მისი.

33. და იყო შესაკრებელსა მათსა კაცი, რომლისა თანა იყო სული არა წმიდაჲ, და ღალატ-ყო კმითა დიდითა:

34. ეჰა, რაჲ არს ჩუენი და შენი, იესო ნაზარეველო? მოხვედ წარწყმედად ჩუენდა: გიცი, შენ ვინ ხარ, წმიდა ეგე ღმრთისა.

35. და შეპრისხნა მას იესო და ჰრქუა: პირი დაიყავ და განვედ მაგისგან! და დასცა იგი შორის მათსა ეშმაკმან მან და განვიდა მისგან და არარაჲ ავნო მას.

19. ტუქთო S. 23. ჰრქუეს S. გუქსმა S. 25. თ-მ. 29. წმრ.დღედ S. 34. წმინდა S. \* ესა. 61. ა. 1. \*\* მთე. 13. ბ. 57. მრკ. 6. ა. 4. იწე. 4. ვ. 44. \*\*\* 3. მეფ. 17. ბ. 9. \*\*\*\*. 4. მეფ. 5. დ. 14. \*\*\*\*\* მთე. 4. ბ. 13. მრკ. 1. გ. 23.

36. და იყო განკურვება მათ ყოველთა ზედა და ზრახვიდეს ურთიერთას და იტყოდეს: რაა არს სიტყუა ესე, რამეთუ კელმწიფებითა და ძალითა უბრძანებს სულთა არა წმიდათა და განვლენ?

37. და მიმოფინებოდა ჰამბავი მისთვის ყოველთა მათ ადგილთა გარემო მის სოფლებისათა.

ზ 38. და აღდგა მის კრებულისაგან და შევიდა სახლსა სიმონისსა; \*ხოლო სიდდერი სიმონისი შეპყრობილ იყო სიცხითა დიდითა. და უთხრეს მას მისთვის.

39. და დადგა მას ზედა და შეჰრისხნა სიცხესა მას. და მეყსეულად დაუტევა იგი, და აღდგა და ჰმსახურებდა მათ.

40. და დასლვასა ოდენ მზისასა, ყოველთა რავდენთა აქუნდა უძღურები თვით სახეთაგან სენთა, მოიყვანნეს მისა. ხოლო თავადმან კაცად კაცადსა მათსა დასდგა კელი და განკურნნა ივინი.

41. \*\*და განვიდოდეს ეშმაკნი მრავალთაგან, დაღადებდეს და იტყოდეს, ვითარმედ: შენ ხარ ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოველისა, და არა უტევებდა მათ სიტყუად, რამეთუ იცოდეს, ვითარმედ იგი არს ქრისტე.

42. და ვითარცა განთენა, გამოვიდა მიერ და წარვიდა უდაბნოსა ადგილსა, და ერი იგი ეძიებდა მას და მოვიდეს მისა და იყენებდეს მას რამათმცა არა წარვიდა მათგან.

43. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ, ვითარმედ: სხვათაცა ქალაქთა ჯერ-არს ჩემდა ხარებად სასუფეველი ღმრთისაჲ, რამეთუ ამისთვის მოვივლენე.

44. და ქადაგებდა ყოველთა შესაკრებელთა გალილუასათა.

## 5

ა 1. და იყო ვითარ ერი იგი დაესხმოდა მას სმენად სიტყუასა ღმრთისასა, და თავადი დგა კიდესა თანა ტბისა მის გენესარეთისასა.

2. \*\*\*და იხილნა ორნი ნაენი, მდგომარენი კიდესა მის ტბისასა: ხოლო მესათხველენი იგი გამოვიდეს ნავისა მისგან და განჰრცხიდეს ბადეთა.

3. და შევიდა ერთსა მას ნავსა, რომელი იყო სიმონისი, და უბრძანა მათ ქუეყანით შე-რე-დგინება მცირედ და დაჯდა და ასწავებდა ნავით გამო ერსა მას.

4. და ვითარცა დასცხრა სიტყუად, ჰრქუა სიმონს: შეავლინე ღრმად და სდევით ბადე თქუენი ნადირობად.

5. გრჯო სიმონ და ჰრქუა: მოძღუარ, დამე ყოველ დაეშუერთით და არა-რაჲ მოვიდეთ; ხოლო სიტყუთა შენითა გარდაუტეოთ ბადე.

ბ 6. და ესე რა ყვეს, შეაყენეს თევზისა სიმრავლე დიდი, და განსტქდე-ბოდეს ბადენი მათნი.

7. და წანს-უყოფდეს რომელნი-იგი იყენეს ერთსა მას ნავსა, რამათა მოვიდენ და შეეწივნენ მათ. და მოვიდეს და აღავსნეს ორნივე იგი ნაენი, ვიდრემდე დაინტქმოდეს ივინი.

8. და ვითარცა იხილა სიმონ-პეტრე, შეუვრდა მუჟკლთა იესოსთა და ჰრქუა მას: განვედ ჩემგან, რამეთუ კაცი ცოდვილი ვარ, უფჯლო.

9. რამეთუ განკურვებაჲან შეიპყრა იგი და ყოველნი მისთანანი ნადირობასა მას თევზისასა, რომელი შეაყენეს.

41. ღმრთისა S. 5. დაეშუერთით S. 6. ყუქს S.

\* შთე. 8. ბ. 14. მრკ. 1. გ. 30. \*\* მრკ. 1. გ. 34. \*\*\* შთე. 4. ბ. 18. მრკ. 1. ბ. 15.

10. ეგრეთვე იაკობ და იოანე, ძენი ზებედესნი, რომელნი იყვნეს ზიარნი სიმონისნი. და იესო ჰრქუა სიმონს: ნუ გეწინინ, სიმონ! ამიერითგან იყო კაცთა მონადირე.

გ 11. და გამოადგინეს ნაფი იგი ქუეყანად და დაუტევეს ყოველი და მის-დევედეს მას.

12. \*და იყო ვითარცა შევიდა იგი ერთსა ქალაქთაგანსა, და აჰა კაცი საე-სე კეთროვანებთა. ვითარცა იხილა მან იესო დაეარდა პირსა ზედა თუსსა, ევედრებოდა მას და ეტყოდა: უფალო, უკუეთუ გინდეს, ძალ-გიც განკურნებად ჩემდა.

13. და განყო კელი, შეახო მას და ჰრქუა: მნებაეს, განწმიდენი! და მეყ-სეულად განეშორა კეთროვნება იგი მისგან.

14. და თავადმან ამცნო მას, რაითა არავის უთხრას, არამედ: წარვედ და უჩუენე თავი შენი მღღელსა და შეწირე განწმედისა შენისთვის, \*\*ვითარცა უბრძანა მოსე საწამებელად მათა.

15. და უფროსად მიმოედებოდა მისთვის სიტყუა იგი. და შეკრებოდა ერი მრავალი სმენად და განკურნებად უძლურებთა მათთაგან მის მიერ.

და 16. ხოლო თავადი განეშორის უდაბნორდ და ილოცავნ.

17. და იყო ერთსა შინა დღესა და თავადი იესო ასწავებდა მათ. და სხდეს მუნ ფარისევლნი და მჯულის მოძღუარნი, რომელნი მოსრულ იყვნეს ყოველი-საგან დაბნებისა გალილესა და ჰურიასტანისა და იერუსალჴმისა, და ძალი ღმრთისა იყო განკურნებად მათა.

18. \*\*\* და აჰა ესერა კაცთა მოაქუნდა ცხედრითა კაცი, რომელი იყო განრ-ღუეულ, და უნდა შეღება მისი და დადგმა წინაშე მისა.

19. და ვერ პოეს, ვინამცა შეიღეს იგი ერისა მისგან; აღვდეს ერდოსა ზედა და აღიღეს კაცი და. შთაუტევეს კაცი იგი ცხედრითურთ წინაშე იესოსა.

20. და იხილა რა სარწმუნოება მათი ჰრქუა მას: კაცო, მიგეტევნენ ცოდ-ვანი შენნი!

გ 21. და იწყეს განზრახვად მწიგნობართა მათ და ფარისევლთა და იტ-ყოდეს: ვინ არს ესე, რომელი იტყვს გმობასა? ვის კელ-ეწიფების მიტევება ცოდვთა, გარნა მხოლოსა ღმერთსა?

22. გულსხმა-ყვნა იესო გულის ზრახვანი მათნი, მიუგო და ჰრქუა მათ: რასა-ეგე ჰზრახავთ გულთა თქუენთა?

23. რა უადვილეს არს სიტყუად: მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი, ანუ თქუამდ: აღდეგ და ვილოდე?

24. არამედ რაითა უწყოდით, რამეთუ კელმწიფება აქუს ძესა კაცისასა ქუეყანასა ზედა მიტევებად ცოდვთა, (და ჰრქუა განრღუეულსა მას): შენ გეტყუ: აღდეგ, და აღიდე ცხედარი შენი. და წარვედ სახედ შენდა.

25. და მეყსეულად აღდგა წინაშე მათსა და აღილო ცხედარი, რომელსა ზედა იღვა, და წარვიდა სახედ თუსა და აღიდებდა ღმერთსა.

26. და განკურნებამან შეიპყრნა ყოველნი და აღიდებდეს ღმერთსა: და შიში დაეცა მათ ზედა და იტყოდეს, რამეთუ: ვიხილეთ უდიდებულესი დიდე-ბა დღეს.

14. ურტყნე S. 17. ოცლოსა S. 18. განრღუეულ S. 19. კაცო S. 24. გან რღუეულსა S.

\* მთ. 8. ა. 2. მრკ. 1. დ. 40. \*\* ლევ. 14. ა. 4. \*\*\* მთ. 9. ა. 2. მრკ. 2. ა. 3.

27. \*და ამისა შემდგომად გამოვიდა და იხილა მეზუერე, სახელით ლევი, მჯდომარე საზუერესა ზედა და ჰრქუა მას: მომდევდი მე.

28. და მან დაუტევა ყოველი და აღდგა და მისდევდა მას.

გ 29. და დაუმზადა ლევი პური ღიღი იესოს სახლსა შინა თვისა. და იყო კრებული ღიღი მეზუერეთა და სხუათა, რომელნი იყვნეს მათ თანა ინაკით მსხდომარენი.

30. \*\*და ღრტენვიდეს ფარისეველნი და მწიგნობარნი მათნი მოწაფეთა მისთა თანა და იტყოდეს: რასათუს მეზუერეთა და ცოდვილთა თანა შჰამთ და სუამთ?

31. მიუგო იესო და ჰრქუა მათ: არა უქმს ცოცხალთა მკურნალი, არამედ რომელნი ბოროტსა სენსა შინა არიან.

32. არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა, რამთა შეინანონ.

33. ხოლო მათ ჰრქუეს მას: \*\*\*რასათუს მოწაფენი იოანესნი იმარხვენ ზედა-ზედა და ვედრებასა ჰყოფენ და ეგრეთვე ფარისეველთანი, ხოლო მოწაფენი შენნი ჰამენ და სუმენ.

34. ხოლო იესო ჰრქუა მათ: ნუუკუე კელეწიფების ძეთა სიძისათა ვიდრემდე სიძე მათ თანა არს, რამთა ამარხებდეს მათ.

ჴ 35. ხოლო მოვლენან ღღენი და ოდეს ამალღდეს მათგან სიძე იგი, მაშინ იმარხვიდენ მათ ღღეთა შინა.

36. და ეტყოდა მათ იგავითცა, ვითარმედ: არავინ სადგმელი სამოსლისა ახლისა დაადგის სამოსელსა ძუელსა, რამთა არა ახალიცა იგი განაპოს და ძუელსა მას ვერ შეჰკავს სადგმელი ახლისა სამოსლისა.

37. და არავინ შთაასხის ღუნო ახალი თხიერთა ძუელთა, რამთა არა განხეთქნეს ღუნომან ახალმან თხიერნი იგი, და ღუნო დაითხიოს, და თხიერნი წარწყმდენ.

38. არამედ ღუნო ახალი თხიერთა ახალთა ჯერ-არს შთასხმად, და ორნივე დაიმარხნენ.

39. და არავინ სუამნ ღუნოსა ძუელსა და მეყსეულად ჰნებავნ ახალი, რამეთუ თქუს: ძუელი უმჯობეს არს.

## 6

ა 1. და \*\*\*\*იყო შაბათსა მეორესა და განვიდოდა თავადი თესულისაგან ყანისა. ხოლო მოწაფენი მისნი მოშჰრიდეს თავსა კუვილისასა, მუსრვიდეს კელთა და ჰამდეს.

2. ხოლო რომელთამე ფარისეველთა ჰრქუეს მათ: რასა ჰჰამთ შაბათსა შინა, რომელი არა ჯერ-არს?

3. მიუგო იესო და ჰრქუა მათ: არცაღა ესე აღმოგიკითხავსა, რომელი-იგი ყო დაეთო, ოდეს-იგი შეეშჰია მას და მის თანათა,

4. \*\*\*\*\*ვითარ-იგი შევიდა ტაძარსა ღმრთისასა და პურნი იგი შესაწირავისანი შეჰქმანა და სცა მის თანათაცა, რომელთა არა ჯერ-არს ჰამა, \*\*\*\*\*გარნა მღღელთა ხოლო?

27. მეზუერე S. საზუერესა S. 30. მეზუერეთა, S. 33. ჰრქუეს S. 36. ძუელსა S. ძუელსა S. 37. ძუელთა S. 39. ძუელსა. ძუელთა S. 4. ღმრთისასა S.

\* შთე. 9. ბ. 9. ჰრქ. 2. გ. 14. \*\* ჰრჩა. 2. გ. 16. \*\*\* ჰრქ. 2. გ. 18. \*\*\*\* შთე. 12. ა. 1. ჰრქ. 2. დ. 23. \*\*\*\*\* 1. მეფ. 21. ბ. 6. \*\*\*\*\* გრგოს. 29. ე. 32. 33. ღეგ. 24. ბ. 9.



5. და ეტყოდა მათ: უფალ არს ძე კაცისა შაბათისაცა.

6. და იყო სხუასაცა შაბათსა და შთავიდა თავადი შესაკრებელსა მათსა და ასწავებდა მათ. \*და იყო მუნ კაცი, რომელსა კელი მისი მარჯუენე განკმელ ედგა.

ბ 7. უმზირდეს მას მწიგნობარნი და ფარისეველნი, უკეთუმცა შაბათსა განკურნა, რადთა პრონ, ვითარცა შეასმინეს იგი.

8. ხოლო თავადმან იცნოდა ზრახვანი მათნი და ჰრქუა კაცსა მას, რომელსა კელი განკმელ ედგა: აღდეგ და წარმოდეგ შორის! ხოლო იგი აღდგა და დადგა შორის.

9. და იესო ჰრქუა მათ: გკითხო თქვენ სიტყვა: რა ჯერ-არს შაბათსა: კეთილისა საქმე ანუ ბოროტისა ყოფა? სულისა ცხორება ანუ მოკლება?

10. და მიხედა მათ ყოველთა და ჰრქუა კაცსა მას: განირთხ კელი შენი! ხოლო მან განირთხა, და მოეგო კელი მისი ვითარცა სხუა იგი.

11. ხოლო იგინი აღივსნეს მანკიერებითა და განიზრახვიდეს ურთიერთას, უკეთუმცა უყვეს რა იესოს.

12. და იყო მათ დღეთა შინა და განვიდა თავადი მთად კერძო ლოცვად და ღამესა ათევედა ლოცვითა ღმრთისა მიმართ.

13. \*\*და ვითარცა განთენა დღე, მოუწოდა მოწაფეთა თესთა და გამოირჩინა ათორმეტნი მათგანნი, რომელთაცა მოციქულად უწოდა:

14. სიმონ, რომელსა უწოდა პეტრე, და ანდრეა, ძმა მისი, იაკობ და იოანე, ფილიპე და ბართლომე,

გ 15. მატთეოს და თომა, და იაკობ ალფესი და სიმონ, რომელსა ერქუა მოშურნე,

16. და იუდა იაკობისი, და იუდა ისკარიოტელი, რომელი-იგი იქმნა განმემეღ.

17. და გარდამოვიდა მათ თანა და დადგა ადგილსა ველსა, და ერი იგი მოწაფეთა მისთა და სხუსა ერისა სიმრავლე ფრიადი ჰურიასტანით და იერუსალმით და ზღუს კიდისა, ტუროსით და სიღონით, რომელნი მოსრულ იყვნეს სმენად მისგან და განკურნებად სნეულებათაგან მათთა;

18. და ურვილნი იგი სულთაგან არა წმიდათა განიკურნებოდეს.

19. და ყოველი იგი ერი ეძიებდა შეახლებად მისა, რამეთუ ძალნი გამოვიდოდეს მისგან, და განჰკურნებდეს ყოველთა.

20. \*\*\*და თავადმან აღიხილნა თუალნი მისნი მოწაფეთა მიმართ და ეტყოდა: ნეტარ ხართ გლახაკნი სულითა, რამეთუ თქუენი არს სასუფეველი ღმრთისაჲ;

21. \*\*\*\*ნეტად ხართ თქუენ, რომელთა გშოის აწ, რამეთუ განსძღეთ; ნეტარ ხართ, რომელნი სტირთ აწ, რამეთუ იცინოდით,

22. ნეტარ იყვნეთ, რაჟამს მოგიძულნენ თქუენ კაცთა და ოდეს გამოგახსნენ თქუენ და გაყუედრებდენ და განჯადონ სახელი თქუენი ვითარცა ბოროტთა ძისათეს კაცისა.

დ 23. გიხაროდენ მას დღესა შინა და მხიარულ იყვნით, რამეთუ აჰა ესერა სასუიდელო თქუენი მრავალ არს ცათა შინა, რამეთუ ესრეთვე უყოფდეს წინაწარმეტყუელთა მამანი მათნი.

12. ღმრთისაჲ S. 22. გაყუედრებდენ S.

\* მთე. 12. ა. 10. მრკ. 3. ა. 1. \*\* მთე. 10. ა. 1. მრკ. 3. ბ. 13. \*\*\* მთე. 5. ა. 2. \*\*\*\* მთე. 5. ა. 11.

24. \*ხოლო ვაი თქუენდა, მდიდარნო, რამეთუ მიგიღებთ ნუგეშინის-ცემა თქუენი;

25. \*\*ვაი თქუენდა, განმადარნო აწ, რამეთუ გშიოდის; ვაი თქუენდა, რომელნი იცინით აწ, რამეთუ იგლოვდით და სტიროდით;

26. ვაი თქუენდა, რაჟამს კეთილსა გეტყოდინან თქუენ კაცნი, რამეთუ ეგრეთვე უყოფდეს ცრუ წინაწარმეტყუელთა მამანი მათნი.

27. არამედ თქუენ გეტყვ, რომელთა-ეგვე გესმის: \*\*\*გიყუარდით მტერნი თქუენნი, და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა

28. და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და ილოცევდით მათთჳ. რომელნი გამძლავრობდენ თქუენ.

29. \*\*\*\*რომელმან გცეს ყურიმალსა შენსა, მიუპყარ ერთგერძოცა; და რომელი მიგიღებდეს შენ სამოსელსა შენსა, კუართსაცა შენსა ნუ აყენებ.

30. ყოველი, რომელი გთხოვდეს მიეც, და რომელი მიგიღებდეს შენ, ნუ მოჰკვლი.

31. \*\*\*\*\*და ვითარცა-იგი თქუენ გნებაეს, რამთა გიყონ კაცთა, და თქუენცა ეგრეთვე მსგავსად უყოფდით მათ.

32. \*\*\*\*\*და უკუეთუ გიყვარდენ თქუენ მოყუარენი თქუენნი, რა არს მადლი თქუენდა? რამეთუ ცოდვილნიცა მოყვარეთა მათთა ჰყუარობენ.

გ 33. და უკუეთუ კეთილის მყოფელთა თქუენთა კეთილსა უყოფდით, რომელი მადლი არს თქუენდა? რამეთუ ცოდვილნიცა ამას ჰყოფენ.

34. \*\*\*\*\*და უკუეთუ ავასხებდით მათ, რომელთაგან ესავთ კუალად მიღებასა, რომელი მადლი არს თქუენდა? რამეთუ ცოდვილნიცა ცოდვილთა ავასხებენ, რამთა მოიღონ სწორი.

35. ხოლო თქუენ გიყუარდედ მტერნი თქუენნი და კეთილსა უყოფდით და ავასხევდით და ნურარას უსასო ჰყოფთ, და იყოს სასყიდელი თქუენი მრავალ, და იყენეთ ძე მადლის, რამეთუ იგი თავადი ტკბილ არს უმადლოთათჳსცა და უკეთურთა.

36. იყენით თქუენ მოწყალე, ვითარცა მამა თქუენი მოწყალე არს.

37. ნუ განიკითხავთ და არა განიკითხნეთ. და ნუ დასჯით და არა დაისაჯნეთ. მიუტრევთ და მოგეტრევენ.

38. მიეცით, და მოგეცეს თქუენ. საწყაული კეთილი და შეხრილი და დატენილი და ზედა გარდათხეული მოგცენ წილთა თქუენთა. \*\*\*\*\*მითვე საწყაულითა, რომლითა მიუწყოთ, კუალად მოგეწყოს თქუენ.

39. ეტყოდა მათ იგავსაცა: ნუ ქელ-ეწიფების ბრმასა ბრმისა წინა-ძღუანვად? არამეა ორნივე ჭურღმულსა შთაცვენ?

გ 40. \*\*\*\*\*არა არს მოწაფე უფროს მოძღურისა თვისსა, ხოლო განკრძალული იგი ყოველი იყავნ ვითარცა მოძღუარი თვისი.

41. \*\*\*\*\*რასა ჰხედავ წუელსა თუალსა შინა ძმისა შენისასა და ღვრესა თუალსა შინა თვისსა არა განიცდი?

42. ანუ ვითარ ქელ-გეწიფების რქუმად ძმასა შენსა: ძმაო, მიტევე და აღმოგიღო წუელი თვალისაგან შენისა, და შენ ღვრესა თვალსა შინა შენსა არა

38. თქუნ S. 41. წუელსა S. 42. წუელი S.

\* ზ-რქ. 31. ა. 8. \*\* ამოს. 6. ა. 1. ესა. 65. ბ. 13. \*\*\* მთე. 5. ზ. 44. \*\*\*\* მთე. 3. 39. 1. კორ. 6. ბ. 7. \*\*\*\*\* ტობა. 4. გ. 16 მთე. 7. ბ. 12. \*\*\*\*\* მთე. 5. ზ. 46. \*\*\*\*\* 2. სქე. 15. ბ. 8. მთე. 5. ზ. 42. \*\*\*\*\* მთე. 7. ა. 2. მრკ. 4. გ. 24. \*\*\*\*\* მთე. 10. გ. 24. ინე. 13. ბ. 16. \*\*\*\*\* მთე. 7. ა. 3.

ხედავ? ორგულო, აღმოიღე პირველად დვრე თვალისაგან შენისა და მერმე იხილო აღმოღებად წუელი თვალისაგან ძმისა შენისა.

43. \*რამეთუ არა არს ხე კეთილი, რომელმან გამოიღოს ნაყოფი ხენეში; არცა კუალად ხე ხენეში, რომელმან ყვის ნაყოფი კეთილი.

44. რამეთუ თუთეული ხე თვისისაგან ნაყოფისა საცნაურ არს; რამეთუ არა ეკალთაგან შეკრიბიან ლღუ, არცა მაყვალთაგან მოითუელიან ყურძენი.

45. კეთილმან კაცმან კეთილისაგან საუნჯისა გულისა თვისისა გამოიღოს კეთილი, და ბოროტმან კაცმან ბოროტისაგან საუნჯისა გულისა თვისისა გამოიღოს ბოროტი; რამეთუ ნამეტნავისაგან გულისა იტყუნ პირი მისი.

46. რასა მეტყუთ მე: \*\*უფალო, უფალო! და არა ჰყოფთ, რომელსა მე გეტყვ თქუენ?

47. ყოველი, რომელი მოვალს ჩემდა და ისმენს სიტყვათა ჩემთა და ჰყოფს მათ, გიჩუენო თქუენ, ვისა იყოს მსგავს.

48. მსგავს არს იგი კაცთა, რომელი აშენებნ სახლსა, რომელმან მოთხარა და დააღრმო და დაღვა საფუძველი კლდესა ზედა; და დიდროა რამ იყო, ეკუეთა მდინარე იგი სახლსა მას და ვერ შეუძლო შეძრვად მისა, რამეთუ დაფუძნებულ იყო კლდესა ზედა.

49. ხოლო რომელმან ისმინა და არა ყოს, მსგავს არს იგი კაცსა, რომელმან აღაშენა სახლი მიწასა ზედა თუნიერ საფუძველსა, რომელსა ეკუეთა მდინარე და მეყსეულად დაეცა; და იყო დაცემა სახლისა მის დიდ ფრად.

7

1. და ვითარცა დაასრულნა იესო სიტყუანი ესე სასმენელთა მიმართ ერისათა, \*\*\*შევიდა კაპერნაუმს.

2. და ასისთავისა ვისიმე მონა სნეულ იყო და მიახდა აღსრულებად, რომელი იყო მისა პატროსან.

3. და ესმა მას იესოსთვის და მიავლინნა მისა მოხუცებულნი ჰურიანთანი ვედრებად მისა, რამათა მოვიდეს და განჰკურნოს მონა იგი მისი.

4. ხოლო რომელნი-იგი მივიდეს იესოსა, ჰლოცვიდეს მას მსწრაფლ და ეტყოდეს, ვითარმედ: ღირს არს, რომელი ესე ყო მისთვის.

5. რამეთუ უყუარს ნათესავეი ჩუენი და შესაკრებელი მან აღმიშენა ჩუენ.

6. და იესო წარვიდა მათ თანა; ხოლო თავადი ვითარ მიახლებულ იყო სახლსა მას, მიუვლინნა ასის თავმან მან მეგობარნი და ჰრქუა: \*\*\*\*უფალო. ნუ მოშურებდი, რამეთუ არა ვარ ღირს, რამათა სართულსა სახლისა ჩემისასა შემოხვდე.

7. რომლისაგან არცა თავითა ჩემით ღირს მიჩნდა მისლვად შენდა; არამედ სიტყუთ ხოლო თქუ და განიკურნოს მონა ესე ჩემი.

8. რამეთუ მეცა კაცი ვარ კელმწიფებასა ქუეშე განწესებული და მქონან ჩემ ქუეშე ერისა კაცნი; და ვჰრქუ მას: წარვედ! და წარვიდის; და სხუასა: მოვედ! და მოვიდის; და მონასა ჩემსა: ყავ ესე! და ყვის.

9. ხოლო ვითარცა ესმა ესე იესოს, დაუკრდა სარწმუნოება მისი, მიექცა ერსა მას, ჰრქვა: ამენ გეტყვ თქუენ, არცადა ისრამლსა შორის ვპოვე ესევითარი სარწმუნოება.

42. წუძლო S. 47. გიჰმნო S. 48. ეუძთა S. 49. ეუძთო S. 4. ჰლოცდეს S. 8. ქუეშე S. ქუეშე S.

\* მთე. 7. გ. 18. და 12. გ. 33. \*\* მთე. 7. გ. 21. ჰრო. 2. გ. 13. იაკ. 1. ბ. 12. \*\*\* მთე. 8. ა. 5. \*\*\*\* მთე. 8. ა. 8.

10. და მიიქცეს, რომელნი იგი მოსრულ იყვნეს, სახიდ მისა და პოვეს მონა იგი მისი ცოცხალი.

11. და იყო ამისა შემდგომად და წარვიდოდა ქალაქად, რომელსა ჰრქვან ნაინ, და თანა-უვიდოდეს მას მოწაფენი მისნი და ერი მრავალი.

12. და ვითარ მიეახლა ბჭეთა ქალაქისათა, და აჰა ესერა გამოაქუნდა მკუდარი, ძე მხოლოდ-შობილი დედისა თვისისა, და იგი იყო ქურგი; და ერი მრავალი იყო ქალაქისა მის თანა.

13. და იხილა დედაკაცი იგი იესო და შეეწყალა იგი და ჰრქუა მას: ნუ სტირ.

14. და მივიდა ცხედარსა მას (და შეახო, ხოლო რომელთა აქუნდა ცხე-დარი იგი, დადგეს) და ჰრქუა მას: ჰაბუკო, შენ გეტყვ, აღდგე!

ბ 15. და ზე წარმოჰდა მკუდარი იგი და იწყო სიტყვად; და მისცა იგი დე-დასა თვისსა.

16. და შიში დაეცა მათ ყოველთა ზედა და აღიდებდეს ღმერთსა და იტყოდეს, \*ვითარმედ: წინაწარმეტყუელი დიდი აღდგომილ არს ჩუენ შორის და რამეთუ მოხედა ღმერთმან ერსა თვისსა.

17. და განეფინა სიტყუა ესე ყოველსა ჰურიასტანსა მისთვის, და ყოველ-სა მას გარემოს სოფლებსა.

18. და უთხრეს იოანეს მოწაფეთა მისთა ამის ყოველისათჳს. \*\*და მოუ-წოდა იოანე ორთა მოწაფეთა თვსთა

19. და მიავლინნა იესოსა და ჰრქუა: შენ ხარა მომავალი ანუ სხვასა მო-ველოდით?

20. და მი-რა-ვიდეს მისა კაცი იგი, ჰრქუეს: იოანე ნათლის-მცემელმან მომავლინნა ჩუენ შენდა და თქუა: შენ ხარა მომავალი ანუ სხუასა მოველო-დით?

21. მას უამსა შინა განკურნნა მრავალნი სნეულეებათაგან. და საღმობათა და სულთაგან უკეთურთა და მრავალთა ბრმათა მიჰმადლა ზედვა.

დ 22. და მიუგო და ჰრქუა მათ იესო: მივედით და უთხართ იოანეს, რა ესე იხილეთ და გესმა: \*\*\*ბრმანი აღიხილვენ, მკელობელნი ვლენან,, კეთრო-ვანი განწმდებიან, ყრუთა ესმის, მკუდარნი აღდგებიან და გლახაკთა ეხა-რების.

23. და ნეტარ იყოს, რომელი არა დაბრკოლდეს ჩემდა მომართ.

24. და ვითარცა წარვიდეს მოციქულნი იგი იოანესნი, იწყო სიტყუად იესო ერისა მის მიმართ იოანესთვის: რასა გამოხუედით უდაბნოდ ხილვად? ლერწმისა, ქარისაგან შერყეულისა?

25. არამედ რასა გამოხუედით ხილვად? კაცისა, სამოსლითა ჩჩულითა მოსილისა? აჰა ესერა რომელნი სამოსლითა დიდებულთა და საშუებელითა არიან, სამეუფოთა შინა არიან.

26. არამედ რასა გამოხუედით ხილვად? წინაწარმეტყუელისა. ჰე, გეტყვ თქუენ, და უმეტეს წინაწარმეტყუელისა.

27. \*\*\*\*რამეთუ ესი არს, რომლისათჳს-იგი წერილ არს: აჰა ესერა შე წარაველინო ანგელოზი ჩემი წინაშე პირსა შენსა, რომელმან განჰმზადნეს გზანი შენნი წინაშე შენსა.

19. მიავლინა S. 20. ჰრქუეს. S. სხუასა S. 24. გამოხუედით S. 25. გამოხუედით S. საშუებელითა S.

\* ქვე. 24. გ. 9. იწ. 4. გ. 19. \*\* შთე. 11. ა. 2. \*\*\* ესა. 35. ბ. 5. \*\*\*\* შლქ. 3. ა. 1. შთე. 11. გ. 10. შრკ. 1. ა. 2.

28. რამეთუ გეტყუ თქუნ: უფროსი შობილთა შორის დედათასა იოანე ნათლის-მცემელისა წინაწარმეტყუელი არავინ არს, ხოლო უმცირესი სასუფეველსა ღმრთისასა უფროს მისა არს.

გ 29. და ყოველსა ერსა ესმა და მეზუერთა განამართლეს ღმერთი და ნათელ-იღეს ნათლის-ცემითა იოანესითა.

30. ხოლო ფარისეველთა და შჯულის მოძღუართა ზრახევა ღმრთისაჲ შეურაცხ-ყვეს თავისა თვისისა, რამეთუ არა ნათელ-იღეს მისგან.

31. \*ხოლო თქუა უფალმან: ვის ვამსგავსენ კაცნი ამის ნათესავისანი, და ვისა არიან მსგავს?

32. მსგავს არიან ყრმათა, უბანთა ზედა მსხდომარეთა, რომელნი მოუწესედ მოყვასთა მათთა და ეტყუვედ: გისტუნევდით თქუნ, და არა ჰპოკევდით; გიგოდებდით თქუნ, და არა სტიროდეთ.

33. \*\*რამეთუ მოვიდა იოანე ნათლის-მცემელი, არც ჰამდა პურსა, არცა სუმიდა ღვინოსა და იტყუთ: ეშმაკეულ არს.

34. მოვიდა ძე კაცისა, ჰამს და სუამს, და იტყუთ: აჰა კაცი მჰამელი და მსუმიდა ღვინოსა, და მეგობარი მეზუერთთა და ცოდვილთა.

35. და განმართლდა სიბრძნე ყოველთაგან შვილთა თვისთა.

36. ევედრებოდა ვინმე მას ფარისეველთაგანი, რამათა ჰამოს პური მის თანა, და შევიდა სახლსა მის ფარისეველისასა და დაჯდა.

37. \*\*\*და იყო დედაკაცი ვინმე ქალაქსა მას შინა, რომელიც იყო ცოდვილ. ესმა, რამეთუ არს იგი სახლსა შინა მის ფარისეველისასა, მოილო ალაბასტრი ნელსაცხებელისა

38. და დადგა ფერკთა თანა მისთა, ტიროდა და იწყო დალტობად ცრემლითა ფერკთა მისთა და თმითა თავისა მისისათა წარკოცდა და ამბორს-ყოფდა ფერკთა მისთა და სცხებდა ნელსაცხებელსა.

39. ვითარცა იხილა ფარისეველმან მან, რომელმანცა-იგი ხადა მას, თქუა გულსა თვისსა: ესე უკეთუმცა იყო წინაწარმეტყუელი უწყოდამცა, ვინ და რაბამი დედაკაცი შეეხებმს მას, რამეთუ ცოდვილ არს.

40. მიუგო იესო და ჰქუა მას: სიმონ, მაქუს რამე შენდა სიტყუად. ხოლო მან თქუა: მოძღუარ იტყოდე! და თქუა:

41. ორნი თანამდებნი იყვნეს მასესხებელისა ვისინმე. ერთსა თანადევა ხუთასი დრაჰკანი, ხოლო ერთსა მას — ერგასისი.

42. და ვითარ არარა აქუნდა მათ, ორთავე მიუტევა. აწ თქუ შენ, ვინ უფროს შეიყუაროს იგი?

ზ 43. მიუგო სიმონ და თქუა: მე ეგრე ვპგონებ, ვითარმედ რომელსაცა იგი უფროსი მიუტევა. ხოლო თავადმან თქუა: სამართლად საჭე.

44. და მიექცა დედაკაცსა მას და სიმონს ეტყოდა: ხედავა ამას დედაკაცსა? შემოვედ სახლსა შენსა, წყალი ფერკთა ჩემთა არა მეც, ხოლო ამან ცრემლითა დაალტვნა ფერკნი ჩემნი და თმითა თვისითა წარკოცნა;

45. ამბორის-ყოფა არა მომეც მე, ხოლო ესე ვინათგან შემოვიდა, არა დასცხრების ამბორის-ყოფით ფერკთა ჩემთათა;

46. ზეთი თავსა ჩემსა არა მცხე, ხოლო ამან ნელსაცხებელი სცხო ფერკთა ჩემთა.

28. მეზუმრეთა S. 29. მეზუმრეთა S. 34. მეზუმრეთა S.

\* მთ. 11. ბ. 16. \*\* მთ. 3. ა 1. მრკ. 1. ა. 6. \*\*\* მთ. 26. ა. 7. მრკ. 14. ა. 3. ონე. 12. ა. 3.

47. რომლისა მადლისათს გეტყვ შენ: მიეტევნენ მაგას ცოდვანი მაგისნი მრავალნი, რამეთუ შეიყუარა ფრიად. ხოლო რომელსა მცირედ მიეტეოს, მცირედცა შეიყუაროს.

48. და ჰრქუა მას: \*მიგეტევნენ შენ ცოდვანი შენნი!

49. და იწყეს თანამეინაჯეთა მათ სიტყუად გულთა შინა მათთა: ვინ არს ესე, რომელი ცოდვათა მიუტეობს?

50. ჰრქუა დედაკაცსა მას: სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ, გუჟღერებ ვიდრედ შევდობით!

## 8

ა 1. და იყოს ამისა შემდგომად თავადი ვიდრდა ქალაქად-ქალაქად და დაბად-დაბად, ქადაგებდა და ახარებდა სასუფეველსა ღმრთისასა; და ათორმეტნი მოწაფენი მის თანა.

2. და დედანი ვინმე, რომელნი განკურნებულ იყვნეს სულთაგან არაწმიდათა და უძლურებათა, \*\*მარიამ, რომელსა ერქუა მაგდალენელი, რომლისაგან შუენი ეშმაკნი განსრულ იყვნეს,

3. იოანა ცოლი ქოზასი; ეზოს მოძღურისა ჰეროდესი; და სუსანა და სხუანი მრავალნი, რომელნი ჰმსახურებდეს მას ნაყოფთაგან მათთა.

4. ხოლო რომელნი-იგი მის თანა იყვნეს ერნი მრავალნი და ქალაქად-ქალაქად რომელნი მოვიდოდეს მისა, ეტყოდა მათ იგავით.

5. \*\*\*გამოვიდა მთესვარი თესვად თესლისა თვისისა; და თესვასა მას მისსა რომელიმე დავარდა გზასა ზედა და დაითრგუნა, და მფრინველთა ცისათა შეჰქამეს იგი.

6. და სხუა დავარდა კლდესა ზედა; აღმოსცენდა და განკმა, რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისა.

7. და რომელიმე დავარდა შორის ეკალთა; და აღმოსცენდეს ეკალნი და შეაშთვეს იგი.

8. და სხუა დავარდა ქუეყანასა კეთილსა და აღმოსცენდა და ყო ნაყოფი აი წილი. ამას ეტყოდა კმითა: რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ.

9. ჰკითხვიდეს მას მოწაფენი მისნი, ვითარმედ: რაჲ არს იგავი ესე?

10. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლო სასუფეველისა ღმრთისა, ხოლო სხუათა — იგავით, \*\*\*\*რაიმთა ზედვიდენ და ვერ იხილონ, და ესმოდის და ვერ გულის ხმა-ყონ.

ბ 11. ხოლო იგავი იგი ესე არს: თესლი იგი არს სიტყუა ღმრთისა.

12. ხოლო გზასა ზედა იგინი არიან, რომელთა ესმის, მერმე მოვიდის ეშმაკი და მოუღის სიტყუა იგი გულისაგან მათისა, რაჲთა არა ჰრწმუნეს და ცხონდეს.

13. ხოლო რომელნი-იგი კლდესა ზედა, — რომელთა-იგი რაჲმს ისმინიან სინარულით შეიწყნარნიან სიტყუა იგი, და ამათ ძირი არა უბნ, რომელთა-იგი ეამ ერთ ჰრწმენა და ეამსა განსაცდელისასა განდგიან.

1. ღმრთისასა S. 6. აღმოსცენდა S.

\* მთე. 9. ა. 2. \*\* მრკ. 16. ბ. 9. \*\*\* მთე. 13. ა. 3. მრკ. 4. ა. 3. \*\*\*\* ესა. 6. გ. 9. მთე. 13. ბ. 14. მრკ. 4. ბ. 12. ონე. 12. ვ. 40. ს.კმ. 28. ვ. 26. ჰრდ. 11. ბ. 8.

14. ხოლო რომელი ეკალთა შინა დაეარდა, ესე არიან, რომელთა ისმინიან სიტყუა და ზრუნვისაგან და სიმღღრისა და გემოთაგან ამის სოფლისათა ვლენდ და შეაშთვიან და არა ნაყოფიერ იქმნიან.

15. ხოლო რომელი-იგი კეთილსა ქუეყანასა დაეთესა, ესენი არიან, რომელთა გულითა კეთილითა და სახიერითა ისმინიან სიტყუა და შეიკრძალიან და ნაყოფი გამოილიან მოთმინებითა.

16. \*არავინ სანთელი აღანთოს და დაფარის ჭურჭლითა, გინა ქუეშე ცხედარსა შედვიან, არამედ სასანთლესა ზედა დადვიან, რამთა შემავალნი იგი ნათელსა ხედვიდენ.

17. \*\*რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს, არცა საიდუმლო, რომელი არა საცნაურ იყოს და ცხადად მოვიდეს.

გ 18. იხილეთ უკუე, ვითარ-ეგე ისმენთ: \*\*\*რომელსა აქუნდეს, მიეცეს მას, და რომელსა არა აქუნდეს და რომელსა-იგი ჰგონიეს, ვითარმედ აქუს, მო-ვე-ელოს მას.

19. \*\*\*\*მოვიდეს მისა ღედა და ძმანი მისნი და ვერ ეძლო შემთხუევად მისა ერისა მისგან.

20. უთხრეს მას და ეტყოდეს: ღედა შენი და ძმანი შენნი გარე ღვანან და ხილვა შენი ჰნებავს.

21. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: ღედა ჩემი და ძმანი ჩემნი ესე არიან, რომელთა სიტყუა ღმრთისა ისმინონ და ყონ იგი.

22. \*\*\*\*\*და იყო ერთსა შინა ღღესა და თავადი შევიდა ნავსა, და მოწათენი მისნი მის თანა, და ჰრქუა მათ: განვიდეთ წილკერძო ტბასა მას; და აღვიდეს.

23. და მი-რა-ვიდოდეს იგინი ნავით, მიეძინა. და გარდამოჴდა არმური ქარისა ტბასა მას ზედა და აღივსებოდა ნავი იგი, და იურვოდეს.

24. და მოვიდეს და განაღჴეს და ეტყოდეს: მოძლუარ, მოძლუარ, წარ-ეწყმდებით. ხოლო თავადი აღდგა და შერისხნა ქარსა მას და ღელვასა წყალ-თასა; და დასცხრეს, და იყო დაყუდება დიდი.

დ 25. და ჰრქუა მათ: სადა არს საჩწმუნოება თქუენი? ხოლო მათ შეე-შინა და დაუკრდა და იტყოდეს ურთიერთას: ვინმე არს ესე, რამეთუ ქარ-თაცა უბრძანებს და წყალთა, და ერჩიან მას?

26. და განვიდეს სოფელსა მას გაღარინელთასა, რომელ არს წილ კერ-ძო გალილეასა.

27. და ვითარცა განვიდეს იგინი ქუეყანად მო-ვინმე-ეგებოდა კაცი ქალა-ქისაგან, რომლისა თანა იყვნეს ეშმაკნი; და მრავალ ჟამ სამოსელი არა შეემო-სა და სახლსა შინა არა იყოფოდა, არამედ საფლავებსა.

28. და ვითარცა იხილა მან იესო, ღღატ-ყო და შეუვრდა ფერკთა მისთა და კმითა დიდითა იტყოდა: რაჲ ძეს ჩემი და შენი, იესო, ძეო ღმრთისა მალ-ლისაო? გევედრებე, ნუ მტანჯავ მე.

29. რამეთუ უბრძანა სულსა მას არა წმიდასა განსლვად კაცისა მისგან, რამეთუ მრავალ გზის წარიტაცის იგი, და შებორკილიან იგი ჭაჭუთა და საკრ-ველითა და სცვიედ, და განხეთქნის საკრველნი და იღვენებინ ეშმაკისა მის-გან უღაბნოთა.

16. ქუეშე S. 18. უკუე S. 19. შემთხუევად S. 27. ქუეყანად S.

\* შთე. 5. ბ. 15, ორკ. 4. გ. 21. \*\* შთე. 10. გ. 26. ზრკ. 4. გ. 22. \*\*\* შთე. 13. ბ. 12. და 25. გ. 29. \*\*\*\* შთე. 12. დ. 46. ზრკ. 3. დ. 32. \*\*\*\*\* შთე. 8. გ. 23. ზრკ. 4. დ. 36.

30. ჰკითხა მას იესო: რა არს სახელი შენი? ხოლო მან ჰრქვა: ლეგეონ, რამეთუ ეშმაკნი მრავალნი შესრულ იყვნენ მისა.

31. და ევედრებოდეს მას, რათა არა უბრძანოს მათ უფსკრულთა შთასლვა.

გ 32. და იყო მუნ კოლტი ღორთა მრავალი, მძოვარი მთასა ზედა; და ევედრებოდეს მას, რათა უბრძანოს მათ ღორებსა მას შესლვა. და თავადმან უბრძანა მათ.

33. და გამოვიდეს ეშმაკნი იგი კაცისა მისგან. და შევიდეს ღორთა მათ. და მიიმართა ყოველმან კოლტმან კბოდესა მას ტბად და დაიშთვნეს.

34. ვითარცა იხილეს მწყემსთა მათ საქმე ესე, ივლტოდეს და შევიდეს და უთხრეს ქალაქსა და დაბნებსა.

35. და გამოვიდეს ხილვად, რომელი-იგი იქმნა, და მოვიდეს იესოსა და იხილეს კაცი იგი მჯდომარე, რომლისაგან ეშმაკნი იგი განსრულ იყვნენ, შემოსილი და გონიერი, ფერკთა თანა იესოსთა, და შეეშინა.

36. რამეთუ უთხრეს, რომელთა-იგი ეხილვა, ვითარ-იგი ცხოვნდა ეშმაკეული.

37. და ევედრებოდეს მას ყოველი იგი სიმრავლე გარემო სოფლებისა მის გადარინელთასა, რათა წარვიდეს მათგან, რამეთუ შიშითა დიდითა შეპყრობილ იყვნეს. ხოლო თავადი შევიდა ნავსა და მიიქცა მუნვე.

38. ევედრებოდა მას კაცი იგი, რომლისაგან ეშმაკნი განსრულ იყვნენ, რათა იყოს მის თანა. ხოლო თავადმან განუტევა იგი და ჰრქვა.

39. მიიქცე სახიდ შენდა და მიუთხარ, რაოდენი გიყო შენ ღმერთმან. წარვიდა ყოველსა მას ქალაქებსა და ქადაგებდა, რამ-იგი ყო მისთვის იესო.

40. \*და იყო მიქცევასა მას იესოსსა მუნვე შეიწყნარა იგი ერმან მან, რამეთუ ყოველნივე მოელოდეს მას.

გ 41. და აჰა ესერა მოვიდა კაცი და სახელი მისი იაიროს, და ესე მთავარი იყო შესაკრებელისა, და დავარდა ფერკთა თანა იესოსთა და ევედრებოდა მას, რათა შევიდეს სახლსა მისსა,

42. რამეთუ ასული მარტო ესეა მას, რომელი იყო ათორმეტის წლის, და იგი მოკუდებოდა. და მისლვასა მას მისსა ერი იგი შეგვრებოდა მისა.

43. \*\*და იყო ვინმე დედაკაცი წყართა სისხლისათა ათორმეტით წლითგან, (რომელსა ყოველი მონაგები მისი წარეგო მკურნალთა ზედა, და ვერ ვის განეკურნა).

44. და მოვიდა ზურგით კერძო და შეახო ფესუსა სამოსლისა მისისასა და მეყსეულად დასცხრა წყარო იგი სისხლისა მისისა.

45. და თქუა იესო: ვინ შემახო მე? და ვითარცა უვარ-ჰყოფდეს ყოველნი, ჰრქუა პეტრე მის თანათა: მოძლუარ, ერნი გარე მოგადგან და შეგაიწრებენ შენ, და შენ იტყვ: ვინ შემახო მე?

46. ხოლო იესო ჰრქუა: შე-ვინმე-მახო მე, რამეთუ მე ვცან ძალი, განსრული ჩემგან.

47. და იხილა რა დედაკაცმან მან, რამეთუ არა დაეფარა, მოვიდა ძრწოლით და შეუვრდა მას და, რომლისა ბრალისათეს შეახო უთხრა წინაშე ყოველისა ერისა და ვითარ-იგი მეყსეულად განიკურნა.

33. მამართა S. 37 უოველნი S. 40. შეიწყნარა S.

\* მ'თ. 9. გ. 18. მ'რკ. 5. გ. 22. \*\* მ'თ. 9. გ. 20. მ'რკ. 5. გ. 25.



48. ხოლო იესო ჰრქუა მას: ნუ გეშინინ ასულო, სარწმუნოებამან შენმან გაცხოენა შენ, ვილოდე მშუდობით.

49. და ვითარ-იგი ეტყოდა ოდენ, მო-ვინმე-ვიდა შესაკრებელისა მთავრისა მის და ჰრქუა მას, ვითარმედ: ასული შენი მოკუდა, ნუ დააშრობ მოძლუარსა.

50. ხოლო იესოს ვითარცა ესმა, ჰრქუა მას: ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ, და ცხონდეს იგი.

51. და ვითარცა მოვიდა იესო სახლსა მას, არავინ უტევა შესლვად მის თანა, გარნა პეტრე, და იაკობ და იოანე და მამა და დედა მის ყრმისა.

52. სტიროდეს მას ყოველნი და ეტყებდეს, ხოლო იესო ჰრქუა მათ: ნუ სტიროთ, რამეთუ ყრმა ევე არა მომკუდარ არს, არამედ სძინავს.

53. ხოლო იგინი ჰბასრობდეს მას, უწყოდეს, რამეთუ მომკუდარ იყო.

54. და თავადმან გამოასხა ყოველი უპყრა ჯელი ყრმისა მის და ემა-უყო: ყრმად, აღდეგ!

55. და მოიქცა სული მისი, და მესყიულად აღდგა. და უბრძანა, რამათა სცენ მას ჭამადი.

56. და განუკრდებოდა მამა-დედათა მისთა. ხოლო თავადმან ამცნო მათ, რამათა არ ვის უთხრან საქმე იგი. სასუმნი.

## 9

ა 1. \*და მოუწოდა იესო ათორმეტთა მათ მოწაფეთა თჳსთა და მისცა მათ ძალი და ჯელმწიფება ყოველთა ზედა ეშმაკთა და სენთა განკურნება.

2. და წარავლინნა იგინი ქადაგებად სასუფეველსა ღმრთისასა და განკურნებად უძლურთა.

3. \*\*და ჰრქუა მათ: ნურარაჲ გაქუნ გზასა ზედა: ნუცა კუერთხი, ნუცა ვაშკარანი, ნუცა პური, ნუცა ვეცხლი, ნუცა ორი სამოსელი გაქუნ.

4. და რომელსაცა სახლსა შეხვდეთ, მუნ დაადგეკით და მიერ გამოვედით.

5. და რავდენთა არა შეგიწყნარენ თქვენ, \*\*\*გამო-რაჲ-ხვდოდით მიერ ქალაქით, მტუერი ფერკთა თქვენთაგან განიყარეთ საწამებლად მათა.

6. და გამო-რაჲ-ვიდეს, მიმოვიდოდეს დაბნებსა მას და ახარებდეს და გან-ჰკურნებდეს სნეულთა ყოველთა ადგილთა.

7. \*\*\*\*ესმნეს ჰეროდეს მეოთხედ მთავარსა ყოველნი იგი საქმენი, რომელნი მის მიერ იქმნებოდეს, და განიზრახვიდა, რამეთუ იტყოდეს ვინმე, ვითარმედ: იოანე ნათლისმცემელი აღდგომილ არს მკუდრეთით.

8. ხოლო რომელნიმე იტყოდეს: ელია გამოჩნდა, და სხუანი იტყოდეს წინაწარმეტყველი ვინმე პირველთაგანი აღდგომილ არს.

9. ხოლო ჰეროდე თქუა: იოანეს მე თავი მოგჰკუეთე, ხოლო ესე ვინ არს, რომლისათჳს ესევითარი მესმის, არა ვიცი. და უნდა ხილვა მისი.

10. და მოიქცეს მოციქულნი და უთხრეს იესოს, რაოდენი ქმნეს. და წარიყვანნა იგინი და განეშორა თჳსაგან ადგილსა უდაბნოსა ქალაქისასა, რომელსა ჰრქვან ბეთსაიდა.

2. ღმრთისასა S. 3. კურთხი S. 5. მტუერი S. 9. მოვკუეთე S.

მთე. 10. ა. 1. შრკ. 3. ა. 14. \*\* მთე. 10. ბ. 9. შრკ. 6. ა. 8. \*\*\* საქ. 13. ზ.

51. \*\*\*\* მთე. 14. ა. 1. შრკ. 6. ბ. 14.

15. მცხეთური ხელნაწერი

11. ხოლო ერმან მან აგრძნა და მისდევდეს მას. და შეიმთხვნა იგინი და ეტყოდა მათ სასუფეველისათჳს ღმრთისა, და რაოდენთა უკმა განკურნება, განკურნებდა.

ბ 12. და ვითარცა იწყო ღღემან მიღრეკად, მოვიდეს ათორმეტნი იგი და ჰრქუეს მას: \*განუტყევე ერი ესე, რაათა წარვიდენ გარემო დაბნებსა და აგარაკებსა და დაადგრენ მუნ და პოონ საზრდელი თავისა მათისა, რამეთუ აქა უდაბნოსა ადგილსა ვართ.

13. ხოლო იესო ჰრქუა მათ: თქუენ ეცით მაგათ ჳამადი და მათ ჰრქუეს: არა არს ჩუენ თანა უფროს, გარნა ხუთი ჳუეზა პური და ორი თევზი, გარნა თუ ჩუენ წარვიდეთ და უყიდოთ ყოველსა ამას ერსა საზრდელი.

14. რამეთუ იყვენეს კაცნი იგი ვითარ ხუთ ათას ოდენ. ჰრქუა იესო მოწაფეთა თჳსთა: დასხით კაცები ეგე პურისმტელ-პურისმტელ ერგასეული.

15. და მათ ყვეს ეგრე და დასხეს ყოველი იგი ერი.

16. ხოლო თავადმან მოიღო ხუთი იგი პური და ორი თევზი და აღიხილნა თუალნი ზეცად და აკურთხნა იგინი და დამუსრა და მისცემდა მოწაფეთა, რაათა დაუგონ ერსა მას.

17. და ჳამეს და განძღეს ყოველნი, და აღიდეს, რომელ-იგი დაუშთა მათ ნამუსრევი. ათორმეტი გოდორი.

18. \*\*და იყო ლოცვასა მას მისსა თჳსაგან, მის თანა იყვენეს მოწაფენი. ჳკითხვიდა მათ და ჰრქუა: ვინ ეპგონიე მე ერსა ამას, და რა თქჳან ჩემთჳს ყოფად?

19. ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს: იოანე ნათლის მცემელი; და სხუათა ელია; და რომელნიმე იტყჳან წინაწარმეტყუელი ვინმე პირველთაგანი აღდგომილ არს.

20. ხოლო იესო ჰრქუა მათ: თქუენ ვინ გგონიე მე? მიუგო პეტრე და ჰრქუა: ცხებული ღმრთისაჲ.

21. ხოლო თავადმან შეჰრცხნა მათ და ამცნო, რაათა არავის უთხრან ესე.

22. და ჰრქუა მათ, \*\*\*ვითარმედ: ჳერ-არს ძისა კაცისა ფრიად ვნება და შეუტრაცხ-ყოფა მოხუცებულთაგან და მღვდელთმოდღუართა და მწიგნობართა და მოკლვად და მესამესა დღესა აღდგომად.

გ 23. და იტყოდა ყოველთა მიმართ \*\*\*\*რომელსა უნებს შემოდგომად ჩემდა, უვარ-ყავენ თავი თჳსი და აღიდენ ჳუარი თჳსი და მომდევდინ მე.

24. \*\*\*\*\*რამეთუ რომელსა უნდეს განრიხებად სულისა თჳსისა, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს სული თჳსი ჩემთჳს, მან პოოს იგი.

25. რა სარგებელ არს კაცისა, შე-თუ-იძინოს სოფელი ყოველი და თავი თჳსი წარიწყმიდოს, ვინა იზღუვოს? \*\*\*\*\*რომელსა სირცხულ უჩნდეს ჩემდა მომართ და სიტყუათა ჩემთა, ამას ძემანცა კაცისამან არცხუნოს, ოდეს მოვიდეს დიდებთა თჳსითა და მამისათა და წმიდათა ანგელოზთა თანა.

27. \*\*\*\*\*გეტყჳ თქუენ: არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემო სკუდილისა, ვიდრემდე იხილონ სასუფეველი ღმრთისაჲ.

11. ღმრთისაჲ S. 13. ქუშხა S.

\* შთე. 14. ბ. 15. შრკ. 6. ე. 3. რნე. 6. ა. 9. \*\* შთე. 16. ბ. 13. შრკ. 8. გ. 27. \*\*\* შთე. 17. გ. 21. შრკ. 8. დ. 31. და. 9. ე. 30. \*\*\*\* შთე. 10. დ. 38. და. 16. დ. 24. შრკ. 8. დ. 34. ქვე. 14. ვ. 27. \*\*\*\*\* ქვე. 17. ზ. 33. რნე. 12. დ. 25. \*\*\*\*\* შთე. 10. გ. 33. შრკ. 8. დ. 38. 2. ტიპო. 2. ბ. 12. \*\*\*\*\* შთე. 10. დ. 23. შრკ. 8. დ. 39.

დ 28. \*და იყო შემდგომად სიტყუათა მათ ვითარ რვა ოდენ დღე. და წა-რიყანა იესო პეტრე, და იაკობ და იოანე და აღვიდა მათსა ლოცვად.

დ 28. \*და იყო შემდგომად სიტყუათა. მათ ვითარ რვა ოდენ დღე, და წა-მისი სპეტაჲ და ელვარე.

30. და აჰა ესერა ორნი კაცნი მის თანა ზრახვიდეს, რომელნი იყვნეს მოსე და ელია,

31. რომელნი გამოჩნდეს დიდებითა და იტყოდეს განსლუასა მას მისსა, რომელი ეგულებოდა აღსრულებად იერუსალმს.

32. ხოლო პეტრე და მისთანანი დამძიმებულ იყვნეს ძილითა; ხოლო გან-რაილუქეს, იხილეს დიდებამ მისი და ორნი კაცნი მის თანა მდგომარენი.

33. და იყო განშორებასა მას მათსა მისგან ჰრქუა პეტრე იესოს: მოძღუარ, კეთილ არს ჩუენდა აჲა ყოფა; და ვქმნეთ აჲა სამ ტალავარ: ერთი შენდა და ერთი მისგესა და ერთი ელიასა, რამეთუ არა იცოდა, რასა იტყოდა.

34. და ვითარცა ამას იტყოდა, აჰა ღრუბელი აგრილობდა, და შეეშინა მათ შესლვად ღრუბელსა მას.

ე 35. \*\*და კმა იყო ღრუბლით გამო: ესე არს ძე ჩემი საყვარელი, ამისი ისმინეთ.

36. და ესე რაჲ იყო კმა, იბოა იესო მარტო. და მათ დაიღუმეს და არა ვის უთხრეს მათ დღეთა შინა, რომელ-იგი იხილეს.

37. და იყო მერმესა დღესა გარდამოსლვასა მათსა მიერ მთით მოეგებოდა მას ერი მრავალი.

38. \*\*\*და აჰა კაცმან ვინმე ღაღად-ყო ერსა მას შორის და თჳვა: მოძღუარ, გვედრები შენ მოიხილე ძესა ზედა ჩემსა, რამეთუ ესე ხოლო მარტო მივის.

39. და სულმან უკეთურმან შეიპყრის იგი და მეყსეულად ღაღადყ-ყვის და დააკუეთის იგი, და პეროინ, ძნიად განეშორის მისგან და შემეუსრის იგი.

40. და ვევედრე მოწაფეთა შენთა, რაათამცა განაშორეს იგი, და ვერ შეუძლეს.

41. ხოლო იესო მიუგო და ჰრქუა: ჰ ნათესავი ურწმუნო და გულარძნი-ლი! ვიდრემდე ვიყო თჳუენ თანა და თავს-ვიდებდე თჳუენსა? მომგუარე მე აჲა ძე შენი!

42. და ვიდრე იგი მოვიდოდა, დააკუეთა იგი ეშმაკმან მან და აძრწოლებ-და მას. შეჰრისხნა იესო სულსა მას არა წმიდასა და განკურნა ყრმა იგი და მისცა მამასა თჳსსა.

43. და განუკრდებოდა ყოველთა დიდებასა მას ზედა ღმრთისასა და ყო-ველნი დაკრგებულ იყვნეს ყოველსა მას ზედა, რომელსა იქმოდა იესო. ხოლო იესო ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა.

ე 44. დაისხენით თჳუენ სიტყვანი ესე ყურთა თჳუენთა, რამეთუ ძე კა-ცისა მიცემად არს ჳელთა კაცთასა.

45. ხოლო იგინი უმეცარ იყვნეს სიტყვასა ამას ზედა, და იყო დაფარულ მათგან, რაათა ვერ გულისხნა-ყონ იგი, და ეშინოდა მათ კითხვად მისა სიტ-ყუსა ამისთჳს.

46. \*\*\*\*შევიდა მათდა გულის სიტყვაჲცა: ვინძი უდიდეს იყოს შორის მათსა.

31. იქმლ S. 33. ჩუენდა S. 35. კმა S. 33. რასა S. 39. დააკუეთის S. 42. აკუე-თა S. 43- დიდებასა S. ღმრთისასა S. 45. ეშინოდა S.

\* შთე. 17. ა. 1. ჰრკ. 9. ა. 1. \*\* 2. ჰტრ. 1. დ. 17. \*\*\* შთე. 17. ბ. 14. ჰრკ. 9. გ. 16. \*\*\*\* შთე. 18. ა. 1. ჰრკ. 9. გ. 33.

47. ხოლო იესო იცნოდა გულის ზრახვანი მათნი და მოიყვანა ყრმა და დაადგინა იგი წინაშე მათსა

48. და ჰრქუა მათ: რომელმან შეიწყნარეს ესე ყრმა სახელითა ჩემითა, მე შემიწყნარა; და რომელმან მე შემიწყნაროს, შეიწყნაროს მომავლინებელი ჩემი, ხოლო უმცირესი თქუენ ყოველთა შორის იგი არს დიდ.

49. მიუგო იოანე და ჰრქუა: მოძღუარ, ვიხილეთ ვინმე, რომელი სახელითა შენითა ეშმაკთა განასხმიდა, და ჩუენ ვაყენებდით მას, რამეთუ არა შეგვიდგს ჩუენ.

50. ჰრქუა მას იესო: ნუ აყენებთ, რამეთუ რომელი არა არს ჩუენდა მტერ, იგი ჩუენ კერძო არს.

51. და იყო აღსრულებასა მას დღეთა ამალღებისა მისისათა. და თავადმან დაამტკიცა პირი თუხი აღსლვად იერუსალჴმად.

52. და წარავლინნა მოციქულნი წინაშე მისა. და იგინი წარვიდეს და შევიდეს დაბასა სამარიტეველთსა, რამთა მო-რამე-უშზადონ მას.

53. და არა შეიწყნარნეს იგინი, რამეთუ პირი მისი იყო მისლვად იერუსალჴმად.

¶ 54. ვითარცა იხილეს მოწაფეთა მისთა იაკობ და იოანე, თქუეს: უფალო, გნებავსა რამთა ვთქუათ, და ცეცხლი გარდამოვდეს ზეცით და ავოცნეს იგინი, ვითარცა ელია ყო?

55. მიექცა იესო, და შეპრისხნა მათ და ჰრქუა: არა იცითა რომლისა სულისანი ხართ თქუენ?

56. \* რამეთუ ძე კაცისა არა მოვიდა წარწყმედად სულსა კაცთასა, არამედ ცხოვრებად. და წარვიდეს სხუასა დაბასა.

57. და იყო სლვასა მას მათსა გზასა ზედა ჰრქუა ვინმე მას: მიგდევდე შენ, ვიდრეცა მიხვალ.

58. ჰრქუა მას იესო: \*\*მელთა ჳურელი უჩნს და მფრინველთა ცისათა საყოფელი, ხოლო ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიღრიკოს.

59. ხოლო სხუასა ჰრქუა: შენ მომდევდი მე. და მან ჰრქუა: უფალო, მიბრძანე მე პირველად მისლვად და დაფლვად მამისა ჩემისა.

60. ჰრქუა მას იესო: აცადენ მკუდარნი დაფლვად თუსთა მკუდართა, ხოლო შენ წარვედ და მიმოსდევე სასუფეველი ღმრთისა.

61. ჰრქუა მას სხუამან: მეცა მიგდევდე შენ, უფალო, ხოლო პირველად მიბრძანე მე ჳმნა სახლეულთა ჩემთაგან.

62. ჰრქუა მას იესო: არაგინ დასდვის ჳელი საჯნველსა და ხედავენ იგი გარეშეუკუნ და წარმართებულ არს სასფეველსა ღმრთისასა.

## 10

ა 1. და ამისა შემდგომად გამოირჩინა უფალმან სხუანი სამეოც და ათნი და წარავლინნა იგინი ორ-ორი წინაშე მისსა ყოველსა ქალაქებსა და დაბნებსა, ვიდრეცა ეგულეზობდა მას მისლვად.

2. და ეტყოდა მათ: \*\*სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ. ევედრენით უკუე უფალსა სამკალისასა, რამთა მოავლინნეს მუშაკნი სამკალსა თუსსა.

3. წარვედით! \*აპა ესერა მიგავლინებ თქუენ, ვითარცა კრავთა შორის მგელთა.

4. \*\*ნუ წარგაქუენ ბალანტი, ნუცა ვაშკარანი, ნუცა შესასხმელი ფერკთა. \*\*\*და ნუცა ვის გზასა ზედა მოიკითხავთ.

5. და რომელსაცა სახლსა შეხვდეთ, პირველად თქუთ: მშვიდობა სახლსა ამას!

6. და უკეთუ იყოს მუნ ძე მშვიდობისა, განისუენოს მის ზედა მშვიდობამან თქუენმან, უკეთუ არა, — თქუენდავე მოიქცეს.

7. მასვე სახლსა შინა იყვენით, კამლით და სუემლით მათ თანა, \*\*\*\*რამეთუ ღირს არს მუშაკი სასყიდლისა თვისისა, ნუ მიხვალთ სახლითი-სახლად.

8. და რომელსა ქალაქსა შეხვდეთ, და შეგიწყნარნენ თქუენ, კამლით წინა-დაგებულსა თქვენსა.

9. და განკჳურნებლით მას შინა უძღურთა და ეტყოდეთ მათ: მოახლებულ არს თქუენ ზედა სასუფეველი ღმრთისაჲ.

10. და რომელსა ქალაქსა შეხვდეთ, და არა შეგიწყნარნენ თქუენ გამო-რა-ხვდოდით უბანთა მისთა, არქუთ მათ:

11. \*\*\*\*\*აპა ესერა მტუერი, რომელ აღეკრა ფერკთა ჩუენთა ქალაქისაგან თქუენისა, განვიყრით თქვენ ზედა; გარნა ესემცა უწყით, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ღმრთისაჲ.

12. გეტყვ თქუენ: სოდომელთა უმოღბინეს იყოს მას დღესა შინა, ვიდრე ქალაქისა მის.

გ 13. \*\*\*\*\*ვაჲ შენდა ქორაზინ, და ვაჲ შენდა ბეთსაიდა. რამეთუ ტუროსს და სიდონს თუმცა იქმნნეს ძალნი, რომელ იქმნნეს თქუენ შორის, პირველვემცა ძაძითა და ნაცარსა ზედა მსხდომარეთა შეინანეს.

14. ხოლო ტუროსი და სიდონი უმოღბინეს იყოს სასჯელსა მას, ვიდრე თქუენ.

15. და შენ, კაპერნაუმ, ნუ ცადმდე აჰმალდები, არამედ ჯოჯობეთაღმდეგ შთაჰქდე.

16. \*\*\*\*\*რომელმან თქუენი ისმინოს, ჩემი ისმინა: და რომელმან თქუენ შეურაცხ-გყვენეს, მე შეურაცხ-მყოფს; და რომელმან მე შეურაცხ-მყოს, შეურაცხ-ჰყოფს მომავლინებელსა ჩემსა.

17. და მოიქცეს სამეოც და ათნი იგი სიხარულითა და იტყოდეს: უფალო, ეშმაკნიცა დაგუჴმორჩილებიან სახელითა შენითა.

18. ჰრქუა მათ იესო: ეხედევდ ეშმაკსა ვითარცა ელვისა, ზეცით გარდამოვრდომ-ლსა.

და 19. აპა მიგეცე თქუენ კელმწიფებასა დათრგუნვად გუელთა და ღრია-კალთა და ყოველსა ზედა ძალსა მტერისასა, და თქუენ არა რაჲ გევნოს.

20. ხოლო ამას ზედა ნუ გიხარინ, რამეთუ სულნი უკეთურნი დაგემორჩილებიან, არამედ გიხაროდენ, რამეთუ სახელები თქუენი დაიწერა ცათა შინა.

21. \*\*\*\*\*მას ყამსა შინა იხარებდა იესო: სულითა და თქუთ: აღგიარებ შენ. მაშაო, უფალო ცისა და ქვეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩხულთა. ჰე, მაშაო, რამეთუ ესრეთ სათნო-იყო შენ წინაშე. და მიექცა მოწაფეთა და ჰრქუა:

6. განისუენოს S. 7. სუძმლით S. 19. გუღლთა S.

\* შთე. 10. ბ. 16. \*\* შრკ. 6. ა. 8. \*\*\* 4. შრთ. 4. ე. 29. \*\*\*\* 2 სჯლ. 24. გ. 14. შთე. 10. ბ. 10. 1. ტმ. 5. გ. 18. \*\*\*\*\* საქმ. 13. ზ. 61. \*\*\*\*\* შთ. 11. გ. 21. \*\*\*\*\* შრთ. 10. დ. 40. რნე. 13. გ. 20. \*\*\*\*\* შთე. 11. დ. 25.

22. ყოველივე მომეცა მე მამისა ჩემისა მიერ, და არავინ იცის, ვინ არს მამა, გარნა ძემან, და არცა ვინ იცის ვინ არს ძე, გარნა მამამან, და ვისა უნდეს ძესა გამოცხადების, გამოუცხადოს.

23. და მიექცა მოწაფეთა მისთა თსაგან და ჰრქუა: ნეტარ არიან თუაღნი, რომელნი ხედვენ, რომელსა თქუენ ხედავთ, და ესმის, რომელი თქუენ გესმის.

გ. 24. ხოლო გეტყვ თქუენ: \*რამეთუ მრავალთა წინაწარმეტყუელთა და მეფეთა უნდა ხილვა, რომელსა თქუენ ხედავთ, და ვერ იხილეს, და სმენად, რომელი თქუენ გესმის, და ვერ ესმა.

25. \*\*და აჰა ესერა შჯულის მეცნიერი ვინმე აღდგა, და გამოსცდიდა იესოს და ეტყოდა: მოძღუარ, რამ ვქმნე, რამათა ცხორება საუკუნო დაემუდრო?

26. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: შჯულსა ვითარ წერილ არს? ვითარ აღმოიკითხავ?

27. ხოლო მან ჰრქუა: \*\*\*შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა, და მოყუასი შენი ვითარცა თავი თსი.

28. ჰრქუა მას იესო: მართლ მომიგე, მაგას იქმოდე და სცხონდე.

29. ხოლო მას უნდა გამართლებად თავი თსი და ჰრქუა იესოს: და ვინ არს მოყვას ჩემდა?

30. მიუგო იესო და ჰრქუა: კაცი ვინმე გარდამოვიდოდა იერუსალმით იერაჟოდ, და ავაზაკნი დაესხნეს, განძარცუეს იგი, დაწყლეს და წარვიდეს დაუბრუნებელნი.

გ 31. ხოლო დამთხუევით მღვდელი ვინმე შთავიდოდა მასვე გზასა და იხილა იგი და თანა-წარკდა.

32. და ეგრეთვე ლევიტელი მასვე ადგილსა მივიდა, იხილა იგი და თანა-წარკდა.

33. მერმე სამარიტელი ვინმე წარვიდოდა, მოვიდა მასვე ადგილსა, იხილა იგი და შეეწყალა.

34. და მოვიდა მისა და შეუხუა წყლული იგი დაასხა ზეთი და ღუნო და აღსვა იგი კარაულსა თსსა და მოიყვანა იგი ყრველთასა მას სადგურსა და იღუაწა იგი.

35. და ხვალისაგან, გამო-რა-ვიდოდა, ორი დრაჰკანი მისცა ყოველთა სადგურს მოღვაწესა მას და ჰრქუა: იღვაწე ეგე და, სხუა თუ რამე წარაგო უმეტესი. მო-რა-ვიდე მიგვე შენ.

ჴ 36. ვინ უკუე ამათ სამთავანი გგონიეს შენ მოყუას მისსა, რომელ-იგი შევარდა ავაზაკთა მათ?

37. ხოლო მან თქუა: რომელმან ყო წყალობა მის თანა. ჰრქუა მას იესო: ვიდოდე და ჰყოფდ შენცა ეგრეთვე.

38. და იყო ვითარცა წარვიდეს ესენი და თავადი შევიდა დაბასა რომელსამე, და იყო ვინმე მუნ დედაკაცი, რომლისა სახელი მართა, და შეიყვანა თავადი სახიდ თსა.

39. და იყო დამ მისი, რომელსა ერქუა მარიამ, რომელი ჯდა ფერკთა თანა იესოსთა და ისმენდა სიტყუათა მისთა.

30. ომლით S. განძარცუეს. S. 31. დამთხუევით S. 36. უკუე S.

\* მთ. 13. ბ. 16. \*\* მთ. 22. დ. 35. მრკ. 12. გ. 28. \*\*\* 2. სწლ. 6. ა. 5.

40. ხოლო მართა მიმოდაზრუნევდა მრავლისა მსახურებისათჳს, ზედა მიადგა და ჰრქუა: უფალო, არა ილუწი, რამეთუ დამან ჩემმან მარტო დამიტევა მე მსახურებად. არქუ მას, რაჲთა შემეწეოდის მე.

41. მიუგო იესო და ჰრქუა მას: მართა, მართა! ზრუნავ და შფოთ ხარ მრავლისათჳს; აჲა ერთისა არს საკმარ.

42. ხოლო მარიამ კეთილი ნაწილი გამოირჩია, რომელი არა სადა მოელოს. მისგან.

11

ა 1. და იყო ადგილსა რომელსამე თავადი ილოცვიდა. და ვითარცა დასცხრა ლოცვისაგან, ჰრქუა ვინმე მას მოწაფეთაგანმან: უფალო, გუასწავე ლოცვა, ვითარცა იოანე ასწავა მოწაფეთა თესთა.

2. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: რაჲამს ილოცვიდეთ, თქუთ: მამაო ჩუენო. რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედრნ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა.

3. პური ჩუენი არსობისა მომეც ჩუენ დლითი-დღედ.

4. და მომიტევენ ჩუენ ცოდვანი ჩუენნი, და რამეთუ ჩუენცა მიუტევებთ ყოველთა თანამდებთა ჩუენთა, და ნუ შემიყვანებ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიქსნენ ჩვენ ბოროტისაგან.

5. და ეტყოდა მათ: ვის თქუენგანსა ესუას მეგობარი და მივიდეს მისა შუელადმესა და ჰრქუას მას: მეგობარო, შევასხენ მე სამნი პურნი.

6. რამეთუ მეგობარი მოვიდა ჩემდა გზით, და არარა მაქუს, რა დაუგო მას.

7. მან მიუგოს შინათგამო და ჰრქუას: ნუ შრომასა შემამთხუევ მე. რამეთუ კარი დავშულ არს და ყრმანი ჩემნი ჩემ თანა არიან სარეცელსა ზედა; ვერ ძალმიც აღდგომად და მიცემად შენდა.

ბ 8. გეტყვ თქუენ: დაღაცათუ არა ეძლოს მას აღდგომად და მიცემად, რამეთუ არს იგი მეგობარ მისა, წყინებისა მისთვის მისისა აღდგეს და მისცეს, რაოდენ უკმდეს მას.

9. \*ხოლო მე გეტყვ თქუენ: ითხოვდით და მოგეცეს თქუენ, ეძიებდით და პოოთ, ირეკდით და განგელოს თქუენ,

10. რამეთუ ყოველი რომელი ითხოვდეს, მოიღოს და რომელი ეძიებდეს პოოს, და რომელი ირეკდეს, განელოს.

11. \*\*ვის უკუე თქუენგანსა მამასა სთხოვდეს ძე პურსა. ნუუკუე ქვა მისცეს მას? გინა თუ თევზსა სთხოვდეს, ნუუკუე თევზისა წილ გუელი მისცეს მას?

12. გინა თუ კუერცხსა სთხოვდეს, ნუუკუე ღრიაკალი მისცეს მას?

13. უკუეთუ თქუენ უკეთურთა იცით მისაცემელი კეთილი მიცემად შვილთა თქუენთა, რაოდენ უფროს მამამან ზეცით მისცეს სული წმიდაჲ, რომელნი სთხოვდენ მას.

14. \*\*\*და კაცისა ვისგანმე განაძო ეშმაკი, რომელი იყო ყრუ და იყო განსლუასა მას ეშმაკისასა იტყოდა ყრუ იგი. დაუკურდა ყოველსა მას ერსა.

2. წმიდა S. 7. შემამთხუევ S. 11. უკუე S. უკუე S. უკუე S. გუელი S. 12. კუერცხსა. S. ნუ უკუე S.

\* მწე. 7. ა. 7. და. 21. გ. 22. მრკ: 11. გ. 24. ოწე. 14. ბ. 13. რკბ. 1. ბ. 5. \*\* მწე. 7. ბ. 9. \*\*\* მწე. 9. დ. 32. და. 12. ბ. 22.

15. ხოლო რომელთაზე მათგანთა თქუეს: \*ბელზებულითა, მთავრითა მით ეშმაკთათა, განასხამს ეშმაკთა.

16. და სხუანი ვინმე გამოცლით სასწაულსა ზეცით ითხოვდეს მისგან.

17. ხოლო თავადმა იცნოდა ზრახვანი მათნი და ჰრქუა მათ: ყოველი მეუფება, რომელი თავსა თუსსა განევთის, მოოჯრდის, და სახლი სახლსა ზედა დაეცის.

18. და უკუეთუ ეშმაკი თავსა თუსსა განევთა, ვითარ დამტკიცნეს მეუფება მისი? რამეთუ იტყვო ჩემოვს, ვითარმედ ბელზებულითა განასხამ ეშმაკთა.

გ 19. უკუეთუ მე ბელზებულითა განვასხამ ეშმაკთა, ძენი თქუენი რაათა განასხმენ? ამისთვის იგინივე მსაჯულ გექმნენ თქუნ.

20. უკუეთუ მე თითითა ღმრთისაათა განვასხამ ეშმაკთა, მო-სამე-წივენულ არს თქუნ ზედა სასუფეველი ღმრთისა?

21. რაჟამს ძლიერი შექტურვილი სცვიდის ეზოსა თუსსა, მშუდობით არს მონაგები მისი.

22. და ოდეს უძლიერესი მისი ზედა მოუკდის სძლის მას, და საკურველი მისი მოუღოს, რომელსა-იგი ესვიდა და ნატყუენავი მისი განუყვის.

23. რომელი არა არს ჩემ თანა, მტერი ჩემ არს; და რომელი არა შე-ჰკრებს ჩემ თანა, იგი განაბნევეს.

24. რაჟამს სული არა წმიდაა განვიდის კაცისაგან. მიმოვალნ ურწყულთა ადგილთა და ეძიებნ განსუენებასა და არა პოვის თქუს: მივიქცე სახლსავე ჩემსა, ვინაცა გამოვედ.

25. და მოვიდის და პოის იგი განშუენებული და შემკული.

26. მაშინ წარვიდის და მოიყვანის სხუანი შუდნი სულნი უბოროტესნი მისსა. და შევიდის და დაიმკუდრის მას შინა და იქმნის უკანასკნელი კაცისა მის უძერეს პირველისა.

დ 27. და იყო ვიდრე იტყოდალა იგი ამას, აღ-ვინმე-ილო დედაკაცმან ჳმაა ერსა მას შორის და ჰრქუა მას. ნეტარ არს მუცელი, რომელმან გიტურთა შენ, და ძუძუნი, რომელთა სწოვდი.

28. ხოლო თავადმან ჰრქუა: არამედ ნეტარ არიან, რომელთა ისმინონ სიტყუად ღმრთისა და დაიმარხონ იგი!

29. და ვითარცა შეკრებებოდა ერი გი, იწყო სიტყუად მათდა: \*\*ნათესავი ესე ნათესავი ბოროტი არს, სასწაულსა ითხოვს, და სასწაული არა ეცეს მას, არამედ სასწაული იონა წინაწარმეტყუელისა.

30. \*\*\*ვითარცა-იგი ექმნა იონა სასწაულ ნინეველთა, ეგრეთ ეყოს ძე კაცისა ნათესავსა ამას.

31. \*\*\*\*ღედოფალი იგი სამხრისა აღდგეს სასჯელსა მას კაცთა თანა ამის ნათესავისათა და დაშვიდეს მათ, რამეთუ მოვიდა კილით ქუეყანისათ სმენად სიბრძენსა სოლომონისსა; და აჰა ესერა უფროს სოლომონისსა არს აჰა.

ე 32. კაცი იგი ნინეველნი აღდგენ სასჯელსა მას ნათესავისა ამის თანა და დაშვიდენ მათ, \*\*\*\*\*რამეთუ შეინანეს ქადაგებასა მას იონასსა: და აჰა ესერა უფროს იონასსა არს აჰა.

33. \*\*\*\*\*არავინ აღანთის სანთელი და დადგის ფარულად, გინა კვიმირსა ქუეშე, არამედ სასანთლესა ზედა, რაათა შემავალნი ხედვიდენ ნათელსა.

24. განსუენებასა S. 25. განსუენებული S. 33. ქუმშ. S.

\* შთე. 9. დ. 34. შრკ. 3. გ. 22. \*\* შთე. 12. გ. 39. \*\*\* ონე. 2. ა. 1. \*\*\*\* 3-მეფ. 10. ა. 1. 2. ნეშტ. 9. ა. 1. \*\*\*\*\* ონე. 3. ბ. 5. \*\*\*\*\* შთე. 5. ბ. 15. შრკ. 6. გ. 20



34. \*სანთელი გუამისა არს თუალი; ოდეს თუალი შენი განმარტებულ იყოს, ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს. და უკეთუ თუალი შენი ბოროტ იყოს, ყოველი გუამი შენი ბნელ იყოს.

35. იხილე, ნუუკუე ნათელი იგი შენ შორის ბნელ იყოს.

36. უკეთუ ყოველი გუამი შენი ნათელ არს და არა აქუნდეს ადგილი რამე ბნელისა, იყოს იგი ყოველად ნათელ, ვითარ-იგი სანთელი ელვითა განგანათლოს შენ.

37. და ვითარცა ეტყოდა ამას თავადი, ჰლოცვიდა ვინმე ფარისეველი, რამეთუ პური ჭამოს მის თანა და შევიდა და დაჯდა.

38. ხოლო ფარისეველმან მან ვითარცა იხილა, უკრდა, რამეთუ პირველად არა იბანა ვიდრე სადილობადმდე.

39. ჰრქუა მას უფალმან: \*\*აწ თქუენ, ფარისეველთა, გარეშე სასუშლისა და პინაკისა განსწმიდეთ, და შინაგანი თქუენი საესე არნ ნატაცებითა და უკეთურებითა.

40. ორგულნო, ანუ არა რომელმან იგი გარეშე შექმნა, მანვე შინაგანი შექმნა?

ვ 41. გარნა ესე რომელი ჯერ-არს, მიეცით მოწყალება და აჰა თქუენი ყოველი წმიდა არს.

42. არამედ ვაჲ თქუენდა, ფარისეველნო, \*\*\*რამეთუ ათეულსა აღიდებთ პიტნაკისა და ტეგანისასა და ყოვლისა მხლისასა და თანაწარპვლით სამართალსა და სიყუარულსა ღმრთისასა. ესე ჯერ-იყო ყოფად და იგი არა დატევებად.

43. \*\*\*\*ვაჲ თქუენდა, ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ გიყუარს თქვენ ზემოჯდომა შესაჯრებელთა შორის და მოკითხვა უბანთა ზედა.

44. ვაჲ თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ ხართ ვითარცა საფლავნი უჩინონი, და კაცნი ზედა ვლენ და არა იციან.

45. მიუგო შჯულის მეცნიერმან ვინმე და ჰრქუა მას: მოძლუარ, მაგას რაჲ იტყუ, ჩუენცა გუაგინებ.

46. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: თქუენდაცა შჯულის მეცნიერთა ვაჲ არს, \*\*\*\*\*რამეთუ აღჰკიდით კაცთა ტურთი ძნიად სატურთავი და თქუენ ერთითაც თითითა არა შეახით ტურთსა მას.

ვ 47. ვაჲ თქვენდა, რამეთუ აშენებთ საფლავებსა წინაწარმეტყველთსა, ხოლო მამათა თქუენთა მოსწყუდნეს იგინი.

48. ეწამებით სამე და თანა სათნო ეყოფვით საქმესა მამათა თქვენთსა, რამეთუ მათ მოსწყუდნეს იგინი, და თქუენ საფლავთა მათთა აშენებთ.

49. ამისთვისა-იგი სიბრძნემან ღმრთისამან თქუა: მოვავლინებ მათა წინაწარმეტყუელნი და მოციქულნი, და მათგანნი მოსწყუდნენ და დევნენ.

50. რამთა იძიოს სისხლი ყოველთა წინაწარმეტყუელთა, დათხეული დასაბამითგან სოფლისათ ნათესავისა ამისგან.

51. \*\*\*\*\*სისხლითგან აბელისით ვიდრე სისხლადმდე ზაქარისა, რომელი წარწყმდა შორის საკურთხეველისა მის და ტაძრისა. ჰე, გეტყუ თქუენ, იძიოს ნათესავისა ამისგან.

52. ვაჲ თქუენდა. შჯულის მოძლუარნო, რამეთუ დაჰმალენით კლიტენი მეცნიერებისანი; თქუენ შე-არა-ხვალთ და შემავალთა აყენებთ.

35. ნუუკუე S. 41. წმიდა S. 42. ღმრთისასა S. 49. ღმრთისამან S.

\* შთე. 6. ბ. 22. \*\* შთე. 23. გ. 25. \*\*\* შთე. 23. გ. 23. \*\*\*\* შთე.

23. ა. 6. შრკ. 12. დ. '39. ქვე. 20. ზ. 40. \*\*\*\*\* შთე. 23. ა. 4. \*\*\*\*\* ღზღ.

3. ბ. 8. 2. ნზტ. 9. ა. 1.

53. და ვითარ-იგი თავადი ეტყოდა მათ ამას წინაშე ყოველისა მის ერისა; იწყეს მწიგნობართა მათ და ფარისეველთა განზრახვად ბოროტისა და უძნდა სიტყვა იგი და ჰგმობდეს მას მრავლისა მისთვის სიტყვას.

54. და უმზირდეს მას პოვნად რასამე სიტყუასა პირისაგან მისისა, რამთა შესმინონ იგი.

## 12

ა.1. რომელთა ზედა შეკრებულ იყო ბევრეული ერი, ვიდრემდე დას-თარგუნეიდეს ურთიერთას. იყო პირველად სიტყუად მოწაფეთა თვსთა და ჰრქუა: \*ეკრძალენით თავთა თქუენდა ცომისაგან ფარისეველთასა, რომელ არს ორგულება.

2. \*\*ხოლო არარაჲ არს დაფარული, რომელი არა გამოცხადნეს და და-მალული, რომელი არა საცნაურ იყოს.

3. ამისთვის რომელი ბნელსა შინა სთქუათ, ნათელსა შინა ისმეს; და რომელსა ყურსა ეტყოდით საუნჯეთა შინა, იქადაგოს ერთდოთა ზედა.

4. ხოლო გეტყუ თქუენ მეგობართა ჩემთა: ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოსწყუდნენ ჯორცნი და ამისა შემდგომად ვერარაჲ აქვს უმეტესი, რაჲ გიყონ თქუენ.

5. ხოლო გიჩუენო თქუენ, ვისა გეშინოდის: გეშინოდენ მისა, რომელსა შემდგომად მოწყუდისა კელ-ეწიფების შთაგდებად გეპენიასა, ჰე, გეტყუ თქუენ. მისა გეშინოდენ.

6. ანუ არა ხუთი სირი განისყიდების ორისა ასარის? და ერთიცა მათ-განი არა არს დაფარულ წინაშე ღმრთისა.

ბ 7. არამედ თმანიცა თავისა თქუენისანი ყოველნი განრაცხილ არიან. ნუუკუე გეშინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ.

8. \*\*\*ხოლო გეტყუ თქუენ: ყოველმან რომელმან აღიაროს ჩემდა მომართ წინაშე კაცთა, ძემანცა კაცისამან აღიაროს იგი წინაშე ანგელოზთა ღმრთისა-თა.

9. და რომელმან უარმყოს მე წინაშე კაცთა, უვარ იქმნეს იგიცა წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა.

9. და რომელმან უარმყოს მე წინაშე კაცთა; უვარ იქმნეს იგიცა წინაშე ანგელოზთა ღმრთისათა.

10. \*\*\*\*და ყოველმან რომელმან თქვას სიტყუა ძისა მიმართ კაცისა, მიე-ტეოს მას, ხოლო სულისა წმიდისა მგმობარსა არა მიეტეოს.

11. და ოდეს შეგიყვანენ თქუენ შესაკრებელთა და წინაშე მთავართა და კელმწიფეთა, ნუ ზრუნავთ: ვითარ, ანუ რაჲ სიტყუა მიუგოთ, ანუ რაჲ სთქუათ,

12. რამეთუ სულმან წმიდამან გასწაოს თქუენ მას უამსა შინა, რაჲ-იგი სთქუათ.

13. ჰრქუა ვინმე მას მის ერისაგანმან: მოძლუარ, არქუ ძმასა ჩემსა, რათა განმეყოს მე სამკვდრებელსა.

54. სიტყუასა S. 5. მოწყუდისა S. 6. ღმრთისა S. 7. ნუუკუე S. 9. ღმრთისათა S. 12. \* შთე. 16. ა. 6. შრკ. 8. გ. 15. \*\* შთე. 10. გ. 26. შრკ. 4. გ. 22. \*\*\* შთე. 10. დ. 32. შრკ. 8. დ. 38. 2. ტიმო. 2. ბ. 21. \*\*\*\* შთე. 12. გ. 32. შრკ. 3. დ. 29.

14. ხოლო თავადმან ჰრქუა მას: კაცო, ვინ დამადგინა მე მსაჯულად და განმყოფელად თქუენდა?

გ 15. და ეტყოდა მათ: ეკრძალებით და დაიცვენით თავნი თქუენნი ყოველისაგან ანგაპრებისა, რამეთუ არა ნამეტნავისაჲ არა ცხობრება მისი ნაყოფთა მისთაგან.

16. და ეტყოდა მათ იგავსაცა და ჰრქუა მათ: კაცისა ვისმე მდიდრისა ნაყოფიერ იყო აგარაკი.

17. და განიზრახვიდა გულსა შინა თვისა და თქუა: რამმე ვყო, რამეთუ არა მაქუს, სადა შევიკრიბო ნაყოფი ჩემი?

18. და თქუა: ესე ვყო: დავარღუნე საუნჯენი ჩემნი და უფროსნი აღვაშენენ და შევიკრიბო მუნ ყოველი ნაყოფი და კეთილი ჩემი.

19. \*და ვჰრქუა სულსა ჩემსა: სულო, გაქუს მრავალი კეთილი დაუნჯებელი მრავალთა წელთა: განისუენე, კამე და სუ და იზარებდ.

20. ჰრქვა მას ღმერთმან: უგუნურო, ამას დამესა მიგდლონ სული შენი შენგან; ეგე რომელ მოიშადა, ვისა იყოს?

21. ეგრეცა რომელი იუნჯებდეს თავისა თვისსა, და არა ღმრთისა მიერ განმდიდრდებოდის.

22. და ჰრქუა იესო მოწაფეთა თვსთა: ამისთვის გეტყვ თქუენ: \*ნუ ჰზრუნავთ სულისა თქუენისა, რამ შჰამოთ და ნუცა კორცთა თქუენთა, რამ შეიმოსოთ.

23. რამეთუ სული უფროს არს საზრდელისა და კორცნი სამოსლისა.

24. განიცადენით ყოჩანნი, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან, რომელთა არა აქუს საუნჯე, ანუ სადა შეიკრიბონ, და ღმერთი ზრდის მათ. რაოდენ თქუენ უმჯობეს ხართ მფრინველთა?

დ 25. ვინმე უკუე თქუენგანი ზრუნვიდეს და შეუძლოს შეძინებად ჰასაკ-სა თვისსა წყრთა ერთ?

26. უკეთუ არცა უმციირესა შემძლებელ ხართ, რამსაღა სხუასა მას ზრუნავთ?

27. განიცადენით შროშანნი, ვითარ-იგი აღორძინდის: არცა შურებს, არცა სთავს. ხოლო გეტყვ თქუენ, რამეთუ არცა სოლომონ ყოველსა დიდებასა თვისსა შეიმოსა ვითარცა ერთი ამთგანი.

28. უკუეთუ ველსა გარე რომელი დდეს თივა არს, და ხვალე ოორენსა შთაეგზნეს, ღმერთმან ეარეთ შემოსის, რაოდენ უფროს თქუენ მცირედ მორწმუნენო?

29. და თქუენ ნუ ეძიებთ, რამ შჰამოთ და რა სუათ, და ნუცა განსცხრებთ,

30. რამეთუ ამას ყოველსა ნათესავნი სოფლისანი ეძიებენ, ხოლო მამამან თქუენმან იცის, რა გიკმს ამათ ყოველთაგანი.

31. გარნა ეძიებდით სასუფეველსა ღმრთისასა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქუენ.

32. ნუ გეშინინ მცირესა მაგას სამწყსოსა, რამეთუ სათნო-იყო მამამან თქუენმან ზეცათამან მოცემად თქუენდა სასუფეველი.

17. განიზრახვიდა S. 19. განისუენე S. 25. უკუე S. 28. რაოდენ S.

\* ზირქ. 1. გ. 14. \*\* ფსნი. 54. დ. 23. მთე. 6. გ. 25. 1. პტრ. 5. ბ. 7.

ვ 33. \*განვიდენით მონაგებნი თქუენნი და მიეცით ქველის საქმე; და ყავთ თავისა თქუენისა \*საფასე, რომელ არა დაძუელდეს, და საუნჯე მოუკლებელი ცათა შინა, სადა-იგი მპარავი არა მიეხების, არცა მლილმან განრყუნის.

34. სადაცა არს საუნჯე თქუენი, მუნცა იყოს გული თქუენი.

35. იყუნედ წელნი თქუენნი მორტყმულ და სანთელნი თქუენნი აღთებულ.

36. და თქუენ ემსგავსენით კაცთა მათ, რომელნი მოელიედ უფალსა თუსსა, ოდეს მოვიდეს ქორწილისაგან, რამათა, რაჟამს მოვიდეს და ირეკოს, მეყსეულად განუღონ მას.

37. ნეტარ იყვენ იგი მონანი, რომელთა მოვიდეს უფალი მათი და პოვნენ იგინი მღუძარენი; ამენ გეტყუ თქუენ, რამეთუ მოირტყნეს და დასხნეს იგინი წარმოუდგეს და კმსახურებდეს მათ.

38. დაღათუ მეორესა საკუმილავსა და მესამესა მივიდეს და პოვნეს ესრეთ, ნეტარ იყუნენ იგინი.

39. \*\*\*ხოლო ესემცა უწყით: უკუეთუმცა იცოდა სახლისა უფალმან, რომელსა ჟამსა მპარავი მოვალს, იღუძებდამცა და არა უტევა დათხრად სახლისა თუსისა.

40. და თქუენცა იყვენით განმზადებულ, \*\*\*\*რამეთუ ჟამსა, რომელსა არა პკონებდეთ, ძე კაცისა მოვიდეს.

ვ 41. ჰრქუა მას პეტრე: უფალო, ჩუენდა მომართ ხოლო იტყუ იგავსა ამას, ანუ სხუათა ყოველთა მიმართ?

42. და ჰრქუა იესო: ვინმე არს მნე იგი სარწმუნო და გონიერი, რომელი დაადგინოს უფალმან მონათა თუსთა ზედა მიცემად იფქლი ჟამსა თუსსა?

43. ნეტარ არს იგი მონა, რომლისა მოვიდეს უფალი მისი და პოოს იგი ესრეთ მოქმედი.

44. ქეშმარიტად გეტყუ თქუენ, რამეთუ ყოველთა ზედა მონაგებთა მისთა დაადგინოს იგი.

45. უკუეთუ თქუას მონამან მან გულსა შინა თუსსა: ყოვნის უფალი ჩემი მოსლვად, და იწყონ გუემად მონათა და მკეველთა და ქამად და სუმად და დათრობად.

46. მოვიდეს უფალი იგი მონისა მის დღესა, რომელსა არა მოელოდის, და ჟამსა, რომელი არა იცის, და ორგან განკუეთოს იგი, და ნაწილი მისი დადვას ურწმუნოთა თანა.

47. ხოლო მონამან რომელმან იცის ნება უფლისა თუსისა და არა განემზადოს ნებისაებრ მისისა, იტანჯოს იგი ფრიად.

48. ხოლო რომელმან არა იცის და ქმნეს რამე დირსი ტანჯვისა, იგუემოს მცირედ, რამეთუ ყოველსა რომელსა მიეცა დიდად, დიდადცა მიეღოს მისგან, და რომელსა მიეცა ფრიად, უმეტესი მოჰჯადონ მას.

49. ცეცხლისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა და არა მნებავს, რამათა აწვე აღეგზნეს.

ზ 50. ხოლო ნათლის-ღება მაქუს ნათლის-ღებად და ვითარ შეურკვებულ ვარ, ვიდრემედ აღესრულოს!

33. დაძუელდეს S. 45. გუემად S. 46. განკუეთოს S. 48. იგუემოს S.

\* შთე. 19. გ. 2. \*\* შთე. 6. გ. 20. \*\*\* შთე. 24. დ. 43. \*\*\*\* გმოც. 16. გ. 15.

51. \*ეგრე ჰგონებთ, ვითარმედ მშუდობისა მოვედ მიფენად ქუეყანასა ზედა? არა, გეტყვ თქუნენ, არამედ განყოფად.

52. რამეთუ იყენეს ამიერითგან ხუთნი სახლსა შინა ერთსა განყოფილ: სამნი ორთაგან და ორნი სამთაგან.

53. განყოფად მამა ძისაგან და ძე მამისაგან, დედა ასულისაგან და ასული დედისაგან, დედამთილი ძის ცოლისაგან მისისა და სძალი დედამთილისაგან.

54. \*\*ეტყოდა იესო ერსაცა მას: რაჟამს იხილოთ ღრუბელი აღმომავალი დასავალით, მეყსეულად სთქუთ, ვითარმედ: წუმა მოაქუს, და არნ ეგრეთ.

55. და რაჟამს სამხრით ქარი ქრინ, სთქუთ, ვითარმედ სიცხე იყოს, და არნ ეგრე.

56. ორგულნო, პირი სამე ქუეყანისა და ცისა იცით გამოცდად, ხოლო უამი ესე ვითარ არა გამოიცადეთ?

57. ანუ რასა თავით თუსით არა ჰშვით სამართალსა?

58. \*\*\*რამეთუ ოდეს მიხუალ მოსაჯულისა შენისა თანა მთავარისა წინაშე გზასა ზედა, მიეც საქმარი განთავისუფლებად მისგან, ნუუკუე მიგიყვანოს შენ მსაჯულისა, და მსაჯულმან მიგცეს შენ მეხარკესა, და მეხარკემან მიგცეს შენ საპყრობილედ.

59. გეტყვ შენ, ვერ გამოხუდე მიერ, ვიდრემდე უკუანამსკენელიცა იგი მი-ვე-სცე მწულილი.

### 13

ა 1. მო-ვინმე-სრულ იყუნეს მას უამსა ოდენ და უთხრეს მას გალილეველთა მათთუს, რომელთა-იგი სისხლი პილატე შეჰპრა მსხუერპლთა მათთა.

2. მიუგო იესო და ჰრქვა მათ: ეგრე გგონიეს, ვითარმედ გალილეველნი ესე უფროს ყოველთა გალილეველთა იყენეს ცოდვილ, რამეთუ ესე ვითარი ვენო მათ?

3. გეტყვ თქვენ: არა; არამედ უკუეთუ არა შეინანოთ, ეგრევე სახედ ყოველნი წარსწყმდეთ.

4. ანუ იგი, რომელ ათვრამეტა ზედა სილოამს გოდოლი დაეცა და მოსწყუდნა იგინი, ჰგონებთ, ვითარმედ იგინი ხოლო თანა-მდებ იყენეს უფროს ყოველთა კაცთა, რომელნი მკუდრ არიან იერუსალიმს?

5. გეტყვ თქუნენ: არა; არამედ უკეთუ არა შეინანოთ, ყოველნივე ეგრეთ წარსწყმდეთ.

6. და ეტყოდა მათ იგავსა ამას: ლელუ ვისმე ეღვა ნერგი სავენაჯესა თუსსა, მოვიდა და ეძიებდა ნაყოფსა მისგან და არა პოვა.

მ 7. და ჰრქვა ვენაჯისა მოქმედსა მას: აჰა ესერა სამი წელი არს, ვინათგან მოვალ და ვეძიებ ნაყოფსა ლელუსა ამას შინა და არა ვპოვებ. მოჰკუეთე ეგე, რამათუს ქუეყანაცა დაუპყრიეს უქმად?

8. ხოლო მან მიუგო და ჰრქვა: უფალო, უტბევე ეგე ამასცა წელსა, ვიდრემდე მოუთოვნო მას გარემო და სკორე დაუღვა,

9. ყოს ხოლო თუ ნაყოფი; უკუეთუ არა, მერმე მოჰკუეთე იგი.

51 ქუეყანასა S. 58. ნუუკუე S. 1. მსხუერპლთა S. 4. იერუსალიმს S. 7. მოკუეთე S. 9. მოკუეთე S.

\* მთე. 10. დ. 34. \*\* მთე. 16. ა. 1. \*\*\* მთე. 5. დ. 25.

10. და ასწავებდა მათ იესო შესაკრებელსა ერთსა შაბათსა შინა.

11. და ამა ესერა დედაკაცი იყო, რომლისა თანა იყო სული უძლურები-სა ათვრამეტ წლითგან; და იყო იგი დაღონებულ და ვერ ეძლო ზე ახილვად ყოვლითურთ.

გ 12. იხილა იგი იესო, მოუწოდა და ჰრქვა მას: დედაკაცო, განტევიებულ ხარ უძლურებისაგან შენისა.

13. და დაასხნა მას ზედა კელნი, და მეყსეულად აღმართა და ვიღოდა და აღიდებდა ღმერთსა.

14. მიუგო შესაკრებელის მთავარმან მან რისხვით, რამეთუ შაბათსა განკურნა იგი იესო, და ეტყოდა ერსა მას: ექუსნი დღენი არიან, რომელთა შინა ჯერ-არს საქმედ; მათ შინა მომავალნი განიკურნებოდენ და ნუ დღესა შაბათსა.

15 მიუგო მას იესო და ჰრქუა: ორგულო, კაცად კაცადმან თქვენმან არა აქვნისა შაბათსა შინა ჯარი გინა ვირი ბაგათაგან მათთა და წარბის და ასვის მას წყალი?

16. ხოლო ესე ასული აბრაჰამისი იყო, რომელი შეეკრა ეშმაქსა, ამა ესერა ათვრამეტი წელი არს; არა ჯერ იყოა განჯსნად საკრველთაგან მისთა დღესა შაბათსა?

დ 17. და ამას რა იტყოდა თავადი, ჰრცხვენოდა ყოველთა წინააღმდეგმთა მისთა; და ყოველსა მას ერსა უხაროდა ყოველთა მათ ზედა დიდებულებთა მისთა, რომელნი იქმნებოდეს მის მიერ.

18. და იტყოდა: რასა ვამსგავსო სასუფეველი ღმრთისად და ვისა მსგავს არს იგი?

19. \*მსგავს არს იგი მარცვალსა მდგოგვსასა, რომელი მოიღო კაცმან და დანთესა იგი მტილსა თუსსა, და აღორძინდა და იქმნა იგი .ხე დიდი, და მფრინველთა ცისათა დამკვდრეს რტოთა მისთა.

20. მერმე კუალად თქუა: რასა ვამსგავსო სასუფეველი ღმრთისად?

21. \*\*ვამსგავსო იგი ცომსა, რომელი მოიღო დედაკაცმან და შეპართო იგი ფქვსა სამსა საწყაულსა, ვიღრემდე აღფუვნოს ყოველი.

22. და მიმოვიღოდა ქალაქებსა და დაბნებსა და ასწავებდა და წარიგზავნებოდა იერუსალჴმად.

ე 23. და ჰრქუა ვინმე მას: უფალო, უკეთუ მცირედ არიან ცხოვრებულნი? ხოლო თავადმან ჰრქუა მათ:

24. \*\*\*იღუაწეთ შესლვად იწროსა მისგან კარისა, ხოლო გიტყვ თქუენ: მრავალნი ეძიებდენ შესლვად და ვერ უძლონ.

25. \*\*\*\*ვინათგან აღდგეს სახლისა უფალი და დაჰკვას კარი, და გარეშე სდგეთ და იწყით რეკად კარსა და ეტყოდით: უფალო, უფალო, განგვლე ჩუენი მოგიგოს და გრქუას თქუენ: არა გიცნი თქუენ, ვინანი ხართ.

ვ 26. მაშინ იწყით სიტყვად: ეკამდით წინაშე შენსა დავსევმდით და უბანთა ჩუენთა ზედა გუასწავებდ.

27. და გრქვას: \*\*\*\*\*არა გიცნი, ვინანი ხართ; განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უშჯულოებისანი.

28. მუნ იყოს ტირილი და ღრქენი კბილთა, რაჟამს იხილოთ აბრაჰამი, ისაკი და იაკობი და ყოველნი წინაწარმეტყუელნი სასუფეველსა ღმრთისასა და თქუენ განსხმულნი გარეშე.

14. რისხვთ S. 22. ოძლმად S. 24. გეტვ S.

\* შთე. 13. დ. 21. \*\* შთე. 13. ე. 33. \*\*\* შთე. 7. ბ. 13. \*\*\*\* შთე. 25. ა. 10. \*\*\*\*\* შთე. 7. გ. 3. ფსნი. 6. ბ. 9. შთე. 25. დ. 4.

29. და მოვიდოდინა მზისა აღმოსავლით და მზისა დასავალით, ჩრდილოთ და სამხრით და ინაჯ-იდგმიდენ სასუფევეელსა ღმრთისასა.

30. \*და აჰა ესერა არიან უკანასკნელნი, რომელნი იყვნენ პირველ, და არიან პირველნი, რომელნი იყვნენ უკანასკნელ.

31. მას დღესა შინა მო-ვინმე-ვიდეს იესოსა ფარისეველნი და ეტყოდეს მას: განვედ და წარვედ ამიერ, რამეთუ პეროდე გეძიებეს შენ მოკლვად.

\* 32. ხოლო თავადმან მიუგო და ჰრქვა მათ: მივედით და არქუთ მელსა მას: აჰა ესერა განვასხამ ეშმაკთა და კურნებათა აღვასრულებ დღეს და ხვალე, და ზეგე აღვესრულები.

33. რამეთუ ჯერ-არს ჩემდა დღესა და ხვალე და ზეგე წარსლვად, რამეთუ ვერ ეგების წინაწარმეტყუელი გარეშე იერუსალმისა წარწყმედად.

34. \*\*იერუსალიმ, იერუსალიმ, რომელმან მოსწყუდენ წინაწარმეტყუელნი და ქვა დაჰკრიბე მოვლინებულთა შენდა, რავდენ გზის მინდა შეკრება შევითა შენთა. ვითარცა სახედ მფრინველმან თჳსნი მართუენი ფრთეთა ქუეშე, და არა ინებეთ!

35. აჰა ესერა დაუტევენთ თქუენ სახლნი თქუენნი ოჯრად. გეტყუ თქუენ: არღარა მიხილოთ მე ამიერთგან, ვიდრემდე სთქუათ: კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაითა!

14

ა 1. და იყო მო-რა-ვიდა იესო სახლსა ვისმე მთავრისა ფარისეველისასა დღესა შაბათსა ჳამად პურისა, და იგი უმზირდეს მას.

2. და აჰა ესერა იყო ვინმე კაცი წყლით მანკიერი წინაშე მისსა.

3. მიუგო იესო და ჰრქვა უჯულის მოძღუართა მათ და ფარისეველთა: უკუეთუ ჯერ-არს შაბათსა განკურნება? ხოლო ივინი დუმნეს.

4. და მოიყვანა კაცი იგი განკურნა და განუტევა.

ბ 5. და ჰრქვა მათ: ვისი თქუენგანისა შვილი გინა ჯარი შთავარდეს ჯურღმულსა, არა-მე მეყსეულად აღმოიქუას იგი დღესა შაბათსა.

6. და ვერარაჲ მიუგეს მას ამისთჳს.

7. და ეტყოდა ჩინებულთა მათ იგავსა და შესაწავებდა, ვითარ-იგი ზემო-ჯღომასა ირჩევდეს, და ეტყოდა მათ:

8. რაჲამს გხადოს ვინმე ჳორწილსა, ნუ დაშჯდები პირველსა საინაჯესა, ნუუკუე უშატიოსნესი შენსა იყოს ჩინებულ მისგან;

9. და მოვიდეს რომელმან-იგი შენ და მას გხადა, და გრქუას შენ: ადგილ ეც ამას! მაშინ იწყო სირცხულით უკანასკნელსა ადგილსა დაპყრობად.

10. არამედ ოდეს გხადოს ვინმე, მივედ და დაჯედ უკანასკნელსა ადგილსა, რაჲათა მოვიდეს რომელმან-იგი გხადა შენ და გრქუას: \*\*\*მეგობარო, აღმო-გუალე ზემო კერძო! მაშინ იყოს შენდა დიდებაჲ წინაშე ყოველთა მენიჯეთა შენთა თანა.

11. \*\*\*\*რამეთუ ყოველმან რომელმან აღიმადლოს თავი თჳსი, იგი დამ-დაბლდეს, და რომელმან დაიმდაბლოს თავი თჳსი, ამაღლდეს.

29 აღმოსავლით]—და S. ღმრთისასა S. 33. იქ-ლმსა S. 34. იქ-ლიმ S. იქ-ლიმ S. მართუქმნი S. შკლთა S. ქუქუშე S. 8. ნუუკუე S. █

\* მთე. 19. დ. 30. და. 20. ბ. 16. მრკ. 10. დ. 31. \*\* მთე. 23. დ. 37. \*\*\* მრკ. 25. ა. 7. \*\*\*\* მთე. 23. ბ. 12. ქვე. 18. გ. 14.

გ 12. ეტყოდა მასცა რომელმან-იგი ხადა მას: ოდეს ჰყოფდე სამხარსა გინა სერსა, ნუ ჰხადი მეგობართა შენთა, ნუცა ძმათა შენთა, ნუცა ნათესავთა შენთა, ნუცა მოძმეთა მდიდართა, ნუუკუე მათცა კულად გხადონ შენ, და გექმნეს შენ მოსაგებელ.

13. \*არამედ ოდეს ჰყოფდე შენ სამხარსა, ჰხადე გლახაკთა უმეცართა, მკელობელთა, და ბრმათა,

14. და ნეტარ იყო, რამეთუ არა რაჲ აქუს, რამცა მოგაგეს შენ, და მოგეგოს შენ აღდგომასა მას მართალთასა.

15. ესმა ვისმე მის თანა მენაჯესა ესე და ჰრქუა მას: ნეტარ არს, რომელმან კამოს პური სასუფეველსა ღმრთისასა!

16. \*\*ხოლო თავადმან ჰრქუა მას: კაცმან ვინმე ყო პური დიდი და მოუწოდა მრავალთა.

17. და წარავლინა მონა თვისი ჟამსა პურისასა, რაჲთა ჰრქუას ჩინებულთა მათ მოსლვად, რამეთუ: აჰა ესერა პური ჩემი მზა არს ყოველი.

18. და იწყო თითოეულმან ყოველმან ჯმნად. პირველმან მან ჰრქუა მას: აგარაკი ვიყიდე და უნებელი ზედა მაც მისლვად და ხილვად იგი. გლოცავ შენ, განმითქვე, ჯმნულმცა ვარ შენგან.

19. და სხუამან თქუა: უღლეული ქართა ვიყიდე ხუთი და მივალ გამოცლად მათა. გლოცავ შენ, ჯმნულმცა ვარ.

20. და მერმე სხუამან ჰრქუა: ცოლი შევირთე და მით გამო ვერ-ველმეწიფების მოსლვად.

გ 21. და მოვიდა მონა იგი და უთხრა ესე უფალსა თვისსა. მამინ განრიხნა სახლისა უფალი იგი და ჰრქუა მონასა მას თვისსა: განვედ ადრე უბანთა და ყურეთა ქალაქისათა და გლახაკთა, და უცხოთა და ბრმათა და მკელობელთა შემოხადე აქა.

22. და თქუა მონამან მან: უფალო, იქმნა ბრძანება შენი, და ადგილი არსლა.

23. და ჰრქუა უფალმან მონასა მას: განვედ გზათა ზედა და ფოლოცთა და აიძულე შემოსლვად, რაჲთა აღიესოს სახლი ჩემი.

24. ხოლო გეტყვ თქუენ: არავინ მათ კაცთაგანმან გემო იხილოს სერობისა ამის ჩემისა; რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ.

25. და შეკრებოდა მისა ერი მრავალი, მიექცა და ჰრქუა მათ:

გ 26. \*\*\*რომელი მოვალს ჩემდა და არა მოიძულოს მამა თვისი და დედა თვისი და ცოლი და შვილნი და ძმანი და დანი და მერმე კულად სულიცა თვისი, ვერ კელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა.

27. \*\*\*\*რომელმან არა აღილოს ჯუარი თვისი და შემომიდგეს მე, ვერ კელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა.

28. ვისმე უკუე თქუენგანსა უნდეს გოდოლი შენებად არამეა პირველად დაჯდეს და აღირაცხოს, რაოდენი წარაგოს, უკუეთუ აქუს, რაჲთა კმა-ეყოს მას აღსრულებადმდე,

29. ნუუკუე დადვას საფუძველი და ვერ შეუძლოს აღსრულებად მისა და ყოველნი რომელნი ზედვიდენ მას, იწყონ კიცხვად მისა

12. ნუუქუმ S. 15. ღმრთისასა S. 28. უკუმ S. 29. ნუუქუმ S.

\* ტობ. 4. ბ. 7. იფი. 3. ბ. 9. \*\* მწთ. 22. ა. 2. გმცხ. 19. ბ. 9. \*\*\* მწთ. 10. დ. 37. \*\*\*\* მწთ. 10. დ. 38. და. 16. დ. 24. მრკ. 8. დ. 34.



ზ 30. და თქუან, ვითარმედ: კაცმან ამან იწყო შენებად. და ვერ შეუძლო აღსრულებად.

31. ანუ რომელი მეფე მივალნ სხუსა მეფისა ბრძოლად, არა-მე პირველად დაჯდის და განიზრახის, უკუეთუ შემძლებელ არს ათითა ათასითა შემთხუევად ოკითა ათასითა მომავალისა მის ზედა?

32. უკუეთუ არა, ვიდრე შორს-და არიან, მოციქული მიუვლინის და მოიკითხის იგი მშუდობით.

33. ეგრეცა ყოველმანვე თქუენგანმან, რომელმან არა იჯმნეს ყოველისა-გან მონაგებისა თვისისა, ვერ კელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა.

34. \*კეთილ არს მარილი, უკუეთუ მარილი იგი განქარდეს, რაათა დაი-მარილოს?

35. არცა ქუეყანასა, არცა სკორესა სარგებელ არს, არამედ გარე გან-დვიან იგი. რომელსა ასხენ ყურნი სმენად ესმოდენ.

15

ა 1. და იყვნეს ყოველნი მეზუერენი და ცოდვილნი მახლობელად მისა და ისმენდეს მისსა.

2. და ღრტუნვიდეს ფარისეველნი და მწიგნობარნი და იტყოდეს, ვითარ-მედ: ესე ცოდვილთა შეიწყნარებს და მათ თანა ჳამს და სუამს.

3. და ეტყოდა მათ იგავსა ამას და ჰრქუა:

4. \*\*ვის თქუენგანსა კაცსა ედგას ასი ცხოვარი და წარუწყმედეს მას ერთი მთვანი, არა-მე დაუტევნესა ოთხმეოც და ათცხრამეტნი იგი უდაბნოსა ზედა და წარვიდეს წარწყმედულისა მისთვის, ვიდრემდე პოოს იგი?

5. და პოოს რა. დაისუას იგი მკართა თუსთა ზედა სიხარულით;

ბ 6. და მო-რა-ვიდეს იგი სახილ თუსა, მოუწოდოს მეგობართა და მოძმეთა და ჰრქუას მათ: ჩემ თანა გიხაროდენ, რამეთუ ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმე-დული.

7. გეტყვ თქუენ: ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა ერთისათუს ცოდვი-ლისა, რომელმან შეინანოს, ვიდრელა-რა ოთხმეოდა ათცხრამეტთა მათ მარ-თალთა, რომელთა არა უკმს სინანული.

8. გინა დედაჯაცსა. რომელსა აქუნდა დრაქმა ათი, და წარწყმიდის ერთი, არა-მე აღანთისა სანთელი და მომართის სახლი და ეძიებს გულს-მოდგინედ, ვიდრემდე პოის იგი.

9. და პოის რა, მიუწოდის მეგობართა და მოძმეთა და ჰრქუს მათ: ჩემ თანა გიხაროდენ. რამეთუ ვპოე დრაქმა იგი, რომელი წარწყმდიე.

გ 10. გეტყვ თქუენ: ესრეთ იყოს სიხარული წინაშე ანგელოზთა ღმრთი-სათა ერთსა ზედა ცოდვილსა, რომელმან შეინანოს.

11. მერვე იტყოდა და თქუა: კაცსა ვისმე ესხნეს ორ ძე.

12. და ჰრქუა უმრწემესმან მან მამასა თუსსა: მამაო, მომეც მე, რომელი მხუდების ნაწილი სამკდრებელისა. და განუყო მათ საცხოვრებელი იგი.

13. და შემდგომად არა მრავალთა დღეთა შეიკრიბა ყოველი უმრწემესმან მან ძემან და წარვიდა შორსა სოფელსა და მუნ განაბნია ნაყოფი იგი მისი, რამეთუ ცხონდებოდა იგი არაწმიდებით.

31. შემთხუევად S. 1. მეზუერენი S. 10. ღმრთისათა S.

\* მთე. 5. ბ. 13. მრკ. 9. ზ. 49. \*\* მთე. 18. ბ. 12.

14. და ვითარცა წარაგო მან ყოველივე მისი, იყო სიყმილი ძლიერი მას სოფელსა, და იწყო მან მოკლებად.

15. და მივიდა და შეუდგა ერთსა მოქალაქესა მის სოფლისასა, ხოლო მან წარაგელინა იგი ველად თვისა ძოვნად ღორთა.

16. და გული ეტყოდა განძლებად მუცლისა რქისა მისგან, რომელსა ჰამედ ღორნი, და არავინ სცის მას.

17. და მოეგო რა თავსა თვისა თქუა: რავდენთა სასყიდლით დადგინებულთა მამისა ჩემისათა ჰმატს პური, და მე აქა სიყმილითა წარვეწმდები.

18. აღვდგე, და წარვიდე მამისა ჩემისა და ვპრქუა მას: მამაო, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა,

19. და არღარა ღირს ვარ მე წოდებად ძედ შენდა. არამედ მყავ მე ვითარცა ერთი მუშაკათაგანი.

20. და აღვგა და მოვიდა იგი მამისა თვისისა და ვიდრე შორს-და იყო, იხილა იგი მამამან მისმან და შეეწყალა, რა მირბიოდა იგი და დავარდა ქედსა ზედა მისსა, და ამბორს-უყოფდა მას.

21. და პრქუა მას ძემან მან: მამაო, ვცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა, და არღარა ვარ მე ღირს წოდებად ძედ შენდა.

22. პრქუა მამამან მისმან მონათა თვისთა: გამოიღეთ სამოსელი პირველი და შეჰმოსეთ მას და შეაკეთო ბეჭედი კელსა მისსა და ჯამლი ფერჯთა მისთა.

23. და მოიბო ზუარაკი იგი ჰამებული და დაკალთ და ვჰამოთ და ვიხარებდეთ,

24. რამეთუ ძე ესე ჩემი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედულ იყო და იპოვა. და იწყეს განცხრომად.

25. და იყო ძე იგი მისი უხუცესი ველსა გარე. და ვითარცა მოვიდოდა და მოეახლა სახლსა მას, ესმა ჯამა სიხარულისა და განცხრომისა.

26. და მოუწოდა ერთსა მონათაგანსა და ჰკითხვიდა, ვითარმედ: რა არს ესე?

27. ხოლო მან პრქუა მას, რამეთუ: ძმა შენი მოსრულ არს მამამან შენმან დაკლა ზუარაკი იგი ჰამებული, რამეთუ ცოცხლებით მოვიდა იგი.

ზ 28. ხოლო იგი განრისხნა და არა უნდა შინა შესლვად. ხოლო მამა მისი გამოვიდა და ლოცვიდა მას.

29. და მან მიუგო და პრქუა მამასა თვისსა: აჰა ესერა ესოდენნი წელნი გმონენ შენ და არა სადა მცნებასა შენსა გარდავჰკედ; და მე არა სადა მომეც ერთი თიკანი, რამთამცა მეგობართა ჩემთა თანა ვიხარე.

30. და ოდეს ძე ესე შენი მოვიდა, რომელმან შეჰკამა საცხოვრებელი შენი მეძავთა თანა, დაუკალ მას ზუარაკი იგი ჰამებული.

31. ხოლო მან პრქუა მას: შვილო, შენ მარადის ჩემ თანა ხარ, და ჩემი ყოველი შენი არს.

32. ხოლო აწ მხიარულება და სიხარული ჯერ-არს, რამეთუ ძმა ესე შენი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედულ იყო და იპოვა.

ა 1. და ეტყოდა მოწაფეთათა: კაცი ვინმე იყო მდიდარი, რომელსა ესვა მწე. და ესე შეასმინეს მას, ვითარმედ განაბნია ნაყოფი მისი.

2. და მოუწოდა და ჰრქუა მას: რა არს ესე, რომელ მესმის შენოეს? მომეც მე სიტყუა სამნოსა შენისა, რამეთუ არაბა ველ-გაწიფების აპირითგან მნეობად.

3. ხოლო მნემან მან თქუა გულსა თვისსა: რა ვყო, რამეთუ უფალ- ჩემი მიმიღებს სამნოსა ჩემსა? საქმედ არა ძალ-მიც, თხოვად მრცხუნის.

4. უწყი რა ვყო. რამათ რაჟამს გარდავდგე მნეობისაგან. შემეწყნარონ მე სახლთა მათთა.

ბ 5. და მოუწოდა კაცად-კაცადსა თანამდებსა უფლისა თვისსა, და ჰრქუა პირველსა მას: რაოდენი თანა-გაც უფლისა ჩემისა?

6. და მან თქუა: ასი საწნებელი ზეთისა. და ჰრქუა მას: მიიღე კელათ წერილი შენი და დაჯედ ადრე და დაწერე ერგასისი.

7. მერმე სხუასა ჰრქუა: შენ რაოდენი თანა-გაც? ხოლო მან თქუა: ასი სათოელი იქლისა. ჰრქუა მასცა: მიიღე კელათ წერილი შენი და დაწერე ოთხბეოცი.

8. და აქო უფალმან მნე იგი სიცრუელისა, რამეთუ გონიერად ყო. რამეთუ ძენი ამის სოფლისანი უგონიერეს არიან უფრის ძეთა ნათლისათა ნათესავსა შორის მათსა.

9. და მე გეტყვ თქუენ: ისხენით თავისა თქუენისა მეგობარნი მამონასა მისგან სიცრუელისა. რამათ რაჟამს მოაკლდეთ თქუენ ამიერ, შევიწყნარენ თქუენ საუკუნეთა მთ საყოფელთა.

გ 10. სარწმუნო იგი მცირესა ზედა და მრავალსა ზედაცა სარწმუნო არს; და რომელი მცირესა ზედა ცრუ არს, მრავალსაცა ზედა ცრუ არს.

11. უკეთუ სიცრუელისა ამის მამონასა სარწმუნო არა იქმნეთ, უმძაბრი-ტი იგი ვინ გარწმუნოს თქუენ?

12. და უკეთუ სხუსასა ამას სარწმუნო არა იქმნეთ, თქუენი იგი ვინ მოგ-ცეს თქუენ?

13. \*არავის მონასა კელ-ეწიფების ორთა უფალთა მონებად: ანუ ერთი იგი მოიძულოს და ერთი შეიყუაროს, და ანუ ერთისა თავს-იდვას და ერთი შეურაცხ-ყოს. ვერ კელ-ეწიფების ღმრთისა მონებად და მამონასა.

დ 14. ესმოდ-ესე ყოველი ფარისეველთაცა, რამეთუ ვეცხლის მოუუარე იყვნეს და შეურაცხ-ჰყოფდეს მას.

15. და ეტყოდა მათ: თქუენ ხართ, რომელნი განიმატლებთ თავთა თვისთა წინაშე კაცთა, ხოლო ღმერთმან იცნის გულნი თქუენნი, რამეთუ კაცთა შო-რის მაღალი საძაგელ არს წინაშე ღმრთისა.

16. \*\*რამეთუ შჯული და წინაწარმეტყუელნი ვიდრე იონანესამდე: მიერთ-გან სასუფეველი ღმრთისა ეხარების და ყოველივე მისა მიმართ იძულებს.

ე 17. \*\*\*უადვილეს არს ცისა ქუეყანისა წარსლვა, ვიდრელა წყლისა ერთი რქა დაჯდომად.

18. \*\*\*\*ყოველმან, რომელმან განუტეოს ცოლი თესი და სხუა შეერთოს, მან იმრუშა; და რომელმან განტეუებული ქმრისაგან შეერთოს, მანცა იმრუ-შა.

19. კაცი ვინმე იყო მდიდარი და იმოსებოდა ძოწეულითა და ბიწონითა და იხარებდა დღითი-ღღე ბრწყინვალედ.

3. მრცხუნის S. 5. უფლისა S.

= მ'თე. 6. გ. 24. \*\* მ'თე. 11. ბ. 12. \*\*\* მ'თე. 5. გ. 18. \*\*\*\* მ'თე. 5. ვ. 32. მ'რკ. 10. ბ. 11. 1. კორ. 7. ბ. 10.

20. გლახაკი ვინმე იყო, სახელით ლაზარე, დავრდომილი წინაშე ბჭეთა მისთა და ქუე ქურებოდა.

21. და გული ეტყოდა განძღებად ნამუსრევისაგან გარდამოცვენებულისა ტაბლისაგან მის მდიდრისა. არამედ ძაღლნიცა მოვიდოდეს და ჰლოშნიდეს წყლულსა მას მისსა.

22. იყო სიკუდილი გლახაკისა მის და მიიყვანა იგი ანგელოზთაგან წიაღთა აბრაჰამისთა. მოკულდა მდიდარცა იგი და დაეფლა.

23. და ჯოჯოხეთსა შინა აღიხილნა თვალნი თუსნი, იყო სატანჯველსა შინა, და იხილა აბრაჰამი შორით და ლაზარე წიაღთა მისთა.

24. და მან ვმა-ყო და თქვა: მამაო აბრაჰამ, შემეწიე მე და მოავლინე ლაზარე, რათა დააწოს მწუერვალი თითისა მისისა წყალსა და განმიგრილოს ენა ჩემი, რამეთუ ვიტანჯები მე ალითა ამით ცეცხლისათა.

25. ხოლო აბრაჰამ პრქუა მას: შეილო, მოიხსენე, რამეთუ მიიღე კეთილი შენი ცხორებასა შენსა, და ლაზარე ეგრევე მსგავსად ბოროტი. და აწ ესერა ჟა ესე ნუგეშინის-ცემულ არს, ხოლო შენ იტანჯები.

26. და ამას ყოველსა თანა შორის ჩუენსა და შენსა დანახეთქი დიდი დამტყიცებულ არს, რათა რომელთა უნდეს წიაღსლვად ამიერ თქუენდა, ვერ კელ-ეწიფოს. არცა მიაგერ ჩუენდა წიაღ მოსლვად.

27. ხოლო მან პრქუა: გლოცავ შენ, მამაო, მოავლინე ეგე სახლსა მამისა ჩემისასა,

28. რამეთუ მისხენ ხუთნი ძმანი, რათა აუწყოს მათ, და არა მოვიდენ იგინიცა ადგილსა ამას სატანჯველისასა.

29. პრქუა მას აბრაჰამ: ჰქონან მოსე და წინაწარმეტყუელნი, მათი ის-მინონ.

30. ხოლო მან თქუა: არა. მამაო აბრაჰამ, არამედ უკეთუ ვინმე მკუდრეთით აღდგეს და მივიდეს. მათ შეინანონ.

31. პრქუა მას აბრაჰამ: უკუეთუ მოსესი და წინაწარმეტყუელთა არა ის-მინონ, არცაღა, მკუდრეთით თუ ვინმე აღდგეს, პრწმენეს მათ.

## 17

ა. I. \*პრქუა იესო მოწაფეთა თუსთა: შეუფავანებელ არს საცთურისა არა მოსლვა, ხოლო ვაჲ, ვისგან მოვიდეს!

2. უადვილეს არს მისა, უკეთუმცა ლოდი ვირით საფქველისა ზედა ეღვა ქედსა მისსა და შთავრდომილ იყო ზღუასა, ვიდრე არა დაბრკოლებად ერთსა ამას მცირეთაგანსა.

3. არამედ ეკრძაღენით თავთა თქუენთა, \*\* უკეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, შეპრისხენ მას; და უკუეთუ შეინანოს, მიუტევე მას.

4. დაღათუ შუდ გზის დღესა შინა შეგცოდოს და შუდგზის მოაქცოს და გრქუას შენ: შევიანანე, მიუტევე მას.

5. და პრქუეს მოციქულთა უფალსა: შემძინე ჩუენ სარწმუნოება.

6. \*\*\*პრქუა მათ იესო: უკეთუ გაქუნდეს სარწმუნოება ვითარცა მარცუალი მდოგვსა. არქუთმცა ლელსულელსა ამას: აღიფხუერ და დაენერგე ზღუასა შინა, ისმინამცა თქუენი.

20. ქუტ S. 24. მუშტრვალი S. 25. მიღე S. 5. პრქუეს S. 6. აღიფხუერ S. თქუენი S.

\* მთ. 18. ა. 7. მრკ. 9. ვ. 41. \*\* ლევ. 19. გ. 17. ზირქ. 19. ბ. 13. მთ. 18:

ბ. 15. \*\*\* მთ. 17. გ. 19.

7. ვისმე თქუენგანსა მონა ესვას მკენველი გინა მწყემსი, რომელიმცა მოვიდა ველით და მეყსეულად ჰრქუა მას: წარმოვედ და დაჯედ!

8. ანუ არა-მე ჰრქუასა მას: მზა-მიყავ მე, რაჲთა ვისერო, და მოირტყენ და მმსახურებდ მე, ვიდრემდე ვჰამო და ესუა, და ამისა შემდგომად ჰამე და სუ შენცა.

9. ნუუკუე მადლ-იპყრასა მონისა მის, რამეთუ ყო ბრძანება მისი? არა ვჰგონებ.

10. ეგრეცა თქვენ. ოდეს ჰყოთ ბრძანებული თქუენდა, თქუთ, ვი.თარმედ: მონანი ვართ უკმარნი: რომელი თანაგუედღვა ყოფად, ვყავით.

11. და იყო მისლვასა მას მისსა იერუსალჲმად და თავადი განვიდოდა შორის სამარიასა და გალილიასა.

12. და შე-რა-ვიდა იგი დაბასა რომელსამე, მოეგებვოდეს მას ათნი კეთროვანნი კაცნი, რომელნი დადგეს შორს

13. და მათ აღიმადლეს კჲმად მათი და იტყოდეს: იესო მოძღუარ, შემიწყალენ ჩუენ!

14. და თავდმან ვითარცა იხილნა იგინი, ჰრქუა მათ: \*წარვედით და უჩუენენით თავნი თქუენნი მდღელთა. და იყო ვითარცა წარ-ოდენ-ვიდეს იგინი მისგან, განწმიდნეს კეთროვანებისა მისგან.

15. ხოლო ერთმან მათგანმან იხილა, რამეთუ განიკურნა, მოიქცა და კმითა დიდითა აღიდებდა ღმერთსა.

16. და დავარდა წინაშე ფერკთა იესოსთა და ჰმადლობდა მას. და ესე იყო სამარიტელი.

17. მიუგო იესო და ჰრქუა მას: არა ათნივე განიკურნნესა? და ცხრანი იგი სადა არიან?

18. ვერ იპოვნეს ეგოდენ, რაჲთამცა მოიქცეს და მისცეს დიდებაჲ ღმერთსა, გარნა უცხო თესლი ხოლო ესე.

19. და ჰრქუა მას: აღდეგ და წარვედ! სარწმუნოებაჲმან შენმან გაცხოვნა შენ.

20. ჰკითხეს მას ფარისეველთა: ოდეს მოიწიოს სასუფეველი ღმრთისა? მიუგო იესო და ჰრქუა მათ: არა მოვიდეს სასუფეველი ღმრთისა ზმნით.

21. არცა თქუან: აჰა აჰა, ანუ იქი. აჰა ეგერა სასუფეველი ღმრთისაჲ შორის თქუენსა არს.

22. და ჰრქუა მოწაფეთა: მოვლენან დღენი ოდეს გული გ-თქმიდეს თქუენ დღეთათჳს ძისა კაცისათა ხილვად და არა იხილოთ.

23. \*\*და გრქუან თქუენ: აჰა აჰა არს, და: აჰა იქი არს. ნუ განხვალთ, ნუცა შეუდგთ.

24. რამეთუ ვითარცა ელვა რა ელავნ ქუეშე ცისათგან ვიდრე ქუეშე ცისამდე ბრწყინან, ესრეთ იყოს ძე კაცისა დღეთა მისთა.

25. ხოლო პირველად ჯერ-არს მისა ფრიალ ვნებად და შეურაცხ-ყოფად ნათესავისა ამისგან.

26. და ვითარცა-იგი იყო დღეთა მათ ნოესთა, ეგრეთ იყოს დღეთა მათ ძისა კაცისათა:

9. ნუუკუე S. 10. თანაგუედღვა S. 11. ი-მადლ S. 14. უჩუენენით S. 14. უჩუენენით S. 24. ჰქმშე S. ჰქმშე S.

\* ლუკ. 14. ა. 2. \*\* შ-თე. 24. ბ. 23. მ-რკ. 13. გ. 21.

27. ჰამდეს და სუმიდეს, იქორწინებოდეს და განჰქორწინებდეს, ვიდრე დღემდე შესლვად ნოცსა კიდობნად. და მოიწია წყლით რღუნა და წარწყმიდნა ყოველნი.

28. \*და ეგრევე ვითარცა იგი იყო დღეთა ლოთისთა: ჰამდეს და სუმიდეს, იყიდდეს და განჰყიდდეს, ნერგსა ასხმიდეს და აშენებდეს;

29. და რომელსა დღესა განვიდა ლოთ სოდომით, აწუმა ცეცხლი და წუნწუბა ზეცით და წარწყმიდნა ყოველნი.

30. ეარეთვე იყოს დღე იგი, ოდეს ძე კაცისა გამოჩნდეს.

31. მას დღესა შინა რომელი იყოს ერდოსა ზედა და ჰურტველი მისი სახლსა შინა, ნუ გარდამოვალ ალებად მას; და რომელი ველსა გარე იყოს, ნუ გარემოიქცევიან კულად.

32. მოიქსენეთ ცოლისა მის ლოთისი.

33. \*\*რამეთუ რომელსა უნდეს სულია თვისისა განრინება, წარიწყმიდოს იგი; და რომელმან წარიწყმიდოს, მან აცხოვნოს იგი.

34. \*\*\*გეტყუ თქვენ: მას ღამესა ორნი იყვნენ ერთსა ცხედარსა: ერთი იგი წარიტაცოს, და ერთი იგი დაეტეოს;

35. ორნი ფქვილენ ერთად: ერთი იგი წარიტაცოს, და ერთი იგი დაშეთს.

36. ორნი იყვნენ ველსა, ერთი იგი წარიტაცოს, და ერთი იგი დაშეთს.

37. და მიუგეს და ჰქუტეს მას: ვიდრე უფალო? ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: სადაცა კორცი, მუნცა ორბები შეკრბეს.

## 18

1. \*\*\*\*ეტყოდა მათ ივანესა. ვითარ-იგი ჯერ-არს მათა მარადის ლოცვა და რაათა არა ეწყინებოდის ლოცვასა შინა.

2. და იტყოდა: მსაჯული ვინმე იყო ქალაქსა შინა, ღმრთისა არა ეშინოდან და კაცთაგან არა ჰრცხუენოდა.

3. და ჰქურივი ვინმე იყო მასვე ქალაქსა შინა. და მოვიდის მისა და ეტყუნ: მისაჲ მე წინამოსაჯულისაგან ჩემისა.

4. და არა ისმინის მისი ვიდრე რომელად უამაიდე. ამისა შემდგომად თქუა გულსა შინა თესსა: და რათუ ღმრთისა არა მეშინის და კაცთაგან არა მრცხუენს.

5. ამისთვის, რამეთუ შრომისა შემამთხუევს მე მარადის ჰურივი ესე, უსაგლო მას. რაათა არა მარადის მოგედოდეს და მაწყინებდეს მე.

6. და ჰრქუა მათ უფალმან: ისმინეთ რასა-იგი მსაჯული სიცრუეისა იტყუს.

7. ხოლო ღმერთმან არამე ყოსა შურის-გება რჩეულთა მისთა, რომელნი ღაღადებენ მისა დღე და ღამე, და სულ-გრძელ არს მათ ზედა?

8. გეტყუ თქუენ: ყოს შურის-გება მათთვის ადრე. ხოლო მო-რა-ვიდეს ძე კაცისა. პოვოს-მეა სარწმუნოება ქუეყანასა ზედა?

9. თქუა ვიეთამე მიმართ იგავი ესე. რომელნი ესვენ თავთა თვისთა, ვითარმედ მართალ არიან და შეურაცხ-ჰყოფენ სხუათა,

10. ვითარმედ: ორნი კაცნი აღვიდოდეს ლოცვად ტაძარსა მას: ერთი ფარისეველი და ერთი მეზუერე.

2. ჰრცხუენოდა S. 4. მრცხუენის S. 5. შემამთხუევს S. 6. რასა-იგი S. 10. მეზუერე S.

\* ღაღ. 19. გ. 25. \*\* მთე. 10. დ. 39. ჰრკ. 8. დ. 35. ზე. 9. გ. 24. იწე. 12. დ. 25. \*\*\* მთე. 24. დ. 40. \*\*\*\* ზარქ. 18. გ. 22. 1. თესა. 5. გ. 17.

11. ფარსეველი იგი წარდგა და ამას ილოცვიდა თსაგან: ღმერთო, გმადლობ შენ, რამეთუ არა ვარ ვითარცა სხუანი კაცნი მტაცებელ, ცრუ, და მემრუშე, გინა ვითარცა ესე მეზუერე.

12. ვიმარხავ ორგზის შაბათსა შინა, და ათულსა შეესწირავ ყოელისაგან მონაგებისა ჩემისა.

13. ხოლო მეზუერე იგი შორს დგა და არა იყადრებდა თვალთაცა ზე ახილვად, არამედ იცემდა-მკერდსა და იტყოდა: ღმერთო, მიღხინე ცოდვილსა ამას.

14. გეტყუ თქუენ: გარდამოვიდა ესე განმართლებული სახიდ თსა, ვიდრე ფარსეველი იგი, რამეთუ რომელმან აღიმადლოს თავი თსი, იგი დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თსი, იგი ამაღლდეს.

15. \*მოპტურიდეს მას ყრმებსაცა, რამთა მიეახლნენ მას. და ვითარცა იხილეს მოწაფეთა, აყენებდეს მათ.

16. ხოლო იესო მოუწოდა მათ და ჰრქუა: აცადეთ ყრმებსა მაგას მოსლვად ჩემდა და ნუ აყენებთ მაგათ, რამეთუ ეგევითართა არს სასუფეველი ღმრთისა.

17. ამენ გეტყუ თქუენ: რომელმან არა შეიწყნაროს სასუფეველი ღმრთისა ვითარცა ყრმა. ვერ შევიდეს მას შინა.

დ 18 \*და ჰკითხა ვინმე მას მთავარმან და ჰრქუა: მოძღუარო სახიერო, რაჲ საქმე ვქმნე. რამთა ცხორება საუკუნო დავიმკედრო?

19. ჰრქუა მას იესო: რამსა მეტყუ მე სახიერით? არავინ არს სახიერ, გარნა მხოლო ღმერთი.

20. მცნებანი იცნი: \*\*ნუ იმრუშებ, ნუ კაც-ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ცილსა სწამებ, პატრე-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა.

21. ხოლო მან თქუა: ეგე ყოველი დავიმარხე სიყრმით ჩემითგან.

22. ესმა რაჲ ესე იესოს ჰრქუა მას: ერთი-და გაკლს შენ: ყოველი, რამცა გაქუს, განყიდე და მიეც გლახაკთა და გაქუნდეს საუნჯე ცათა შინა და მოვედ და შემომიდეგ მე.

23. და ვითარცა ესმა ესე მას, მწუხარე იქმნა, რამეთუ იყო იგი მდიდარ ფრიად.

ე 24. ვითარცა იხილა იგი იესო, რამეთუ შეწუხნა თქუა, ვითარმედ: ძნიად შევიდენ სასუფეველსა ღმრთისასა, რომელთა აქუნდეს საფასე.

25. უადვილეს არს მანქანისა საბელი ჯურელსა ნემსისასა განსლვად, ვიდრე მდიდარი შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა.

26. ხოლო რომელთა-იგი ესმა, ჰრქუეს მას: და ვის ჯელ-წიფების ცხოვრებად?

27. მიუგო იესო და ჰრქუა მათ: შეუძლებელი კაცთაგან შესაძლებელ არს ღმრთისა მიერ.

28. ჰრქუა მას პეტრე: აჲ ესერა ჩუენ დაუტევთ ყოველი და შეგიდეგით შენ.

29. ხოლო იესო ჰრქუა მათ: ამენ გეტყუ თქუენ, რამეთუ არავინ არს, რომელმან დაუტევა სახლი გინა მამა გინა დედა გინა ძმანი გინა ცოლი გინა წვილნი სასუფეველისათუს ღმრთისა,

11. მეზუერე S. 13. მეზუერე S. 24. ღმრთისა S. 25. ღმრთისა S. 25. ჰრქუეს S. 29. შენ S.

\* შთე. 19. ბ. 13. შრკ. 10. ბ. 13. \*\* შთე. 19. ბ. 16. \*\*\* გზოს. 20. გ. 13.

ე 30. რომელმან არა მიიღოს მრავალი წილი უამსა ამას და საუკუნესა მომავალსა ცხოვრება საუკუნო.

31. \*და წარიყვანნა ათორმეტნი იგი და ჰრქუა მათ: აჰა ესერა აღვალთ იერუსალმად, და აღესრულნენ ყოველნი წერილნი წინაწარმეტყუელთანი ძესა ზედა კაცისასა:

32. რამეთუ მიეცეს კელთა წარმართასა, და ეკიცხვედნ მას, და იგინოს, და ჰნერწყვდენ

33. და ტანჯონ და მოკლან იგი, და მესამესა დღესა აღდგეს.

34. და მათ არაარა გულისხმაყვეს ესე, არამედ იყო სიტყუა იგი დაფარულ მათგან, და არა იცოდეს თქმული იგი.

35. \*\*და იყო ვითარცა მიეახლნეს იერიქოდ, ბრმა ვინმე ჯდა გზასა ზედა მთხოველად.

36. ვითარცა ესმა, ვითარმედ ერი წარმოვალს, იკითხევდა: რაჲ-მე არს ესე?

37. უთხრეს მას, ვითარმედ: იესო ნაზარეველი წარმოვალს.

38. და მან ღალატ-ყო და თქუა: იესო, ძეო დავითისო, შემიწეე მე!

39. ხოლო რომელნი წინა-უძლოდეს, პრისხვიდეს მას, რაჲთა დადუმნეს. ხოლო იგი უფროს ღალადებდა და იტყოდა: იესო, ძეო დავითისაო, შემიწყალე მე.

40. დადგა იესო და ბრძანა მოწოდება მისი. და ვითარცა მოეახლა იგი,

41. ჰკითხა მას: რა გნებაეს, და გიყო შენ? ხოლო მან ჰრქუა: უფალო, რაჲთა აღვიხილნე თუალნი.

42. ხოლო იესო ჰრქვა მას: აღიხილენ: სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნა შენ.

43. და შეყსეულად აღიხილნა და მისდევდა მას და აღიდებდა ღმერთსა. და ყოველმან ერმან იხილეს და აქებდეს ღმერთსა.

## 19

ა 1. და შევიდა და განვიდოდა იერიქოთ.

2. და აჰა ესერა კაცი ვინმე, და სახელი მისი ზაქე, და იყო იგი მთავარი მეზუერეთა და ესე იყო მდიდარ ფრიად.

3. და უნდა ხილვა იესოსი, ვინ-ძი არს, და ვერ უძლო ხილვად ერის მისგან, რამეთუ ჰასაკითა იყო მცირე.

4. და წარბიოდა წინა და აჰკდა ლედუსულელსა, რაჲთა იხილოს იგი, რამეთუ მიერ წარსლვად იყო.

5. და მოვიდა ადგილსა მას, მიხედა იესო და ჰრქუა მას. ზაქე, ისწრაფე და გარდამოკედ, რამეთუ დღეს სახლსა შინა შენსა ჯერ-არს ჩემი ყოფა.

6. და ისწრაფა და გარდამოკდა და შეიყვანა იგი სინარულით.

7. და იხილეს ყოველთა და დრტუნვიდეს და იტყოდეს, ვითარმედ: ცოდვილისა კაცისა თანა შევიდა დადგომად.

ბ 8. აღდგა ზაქე და ჰრქუა უფალსა: აჰა უფალო, ზოგი ნაყოფთა ჩემთა მიესცე გლახაკთა; და უკეთუ ვისმე ცილი დაესდევ, მივაგო ოთხი წილი.

9. ჰრქუა მას იესო: დღეს იქმნა ცხოვრება სახლისა ამის, რამეთუ ესეცა შეილი აბრაჰამისი არს.

31. ი\*ტლმდ S. 32 ეკიცხვენ S. 41. აღხილნენ S. 2. მეზუერეთა S. 1. ი\*ტლმსა S. \* შ\*თე. 10. ბ. 17. შ\*რკ. 10. ე. 32. \*\* შ\*თე. 20. დ. 29. შ\*რკ. 10. ზ. 46.



10. \*რამეთუ მოვიდა ძე კაცისა მოძიებად და ცხორებად წარწყმედული-სა.
11. და ვითარცა ესმოდა ესე ერსა მას, შესძინა და თქუა იგავი ამის თსჳ, რამეთუ მოახლებულ იყო იგი იერუსალჳმს, და ჰგონებდეს იგინი. ვითარმედ მეყსეულად გამოჩნდეს სასუფეველი ღმრთისა.
12. და ჰრქუა მათ: \*\*კაცი ვინმე აზნაური წარვიდა შორსა სოფელსა მო-ლებად თავისა თვისისა მეუფეებისა და მოქცევად.
13. და მოუწოდა ათთა მონათა თუსთა და მისცა მათ ათი მნა და ჰრქუა. მათ: ვაჰრობდით ამას, ვიდრემდე მოვიდეთ.
- გ 14. ხოლო მოქალაქეთა მისთა სძულდა იგი და მიაველინეს მოციქულნი. შემდგომად მისა და ჰრქუეს მას: არა გუნებავს მაგისი მეუფება ჩუენ ზედა.
15. და იყო მოქცევასა მას მისსა მო-რა-აქუნდა მეუფება თსჳ და ბრძანა. მოწოდება მით მონათა, რომელთა მიეცა ვეცხლი იგი, რამთა უწყოდის რა-იგი ივაჰრეს.
16. და მოვიდა პირველი იგი და ჰრქუა: უფალო, შენმან ვეცხლმან ათჳ სხუა შესძინა სასწორი.
17. ჰრქუა მას: კეთილ, სახიერო მონაო, რამეთუ მცირესა ზედა სარწმუ-ნო იქმენ. იყავ შენ კელმწიფე ათთა ზედა ქალაქთა.
18. და მოვიდა მეორე იგი და ჰრქუა: უფალო, ვეცხლმან შენმან სხუა-ლა ხუთი სასწორი ყო.
19. ჰრქუა მასცა: და შენცა იყავ ხუთთა ზედა ქალაქთა.
20. და მესამე იგი მოვიდა და ჰრქუა: უფალო, აჲ ვეცხლი შენი, რომელი მაქუნდა დაკრძალული სუდარსა,
- და 21. რამეთუ შემეშინა, ვითარმედ კაცი ხარ სასტიკი: მოილი, სადა არა დასდვი, და მოიმკი, სადა არა დასთესი.
22. ჰრქუა მას პირისა შენისაგან გსაჯო შენ, მონაო ბოროტო: იცოდეთ, რა-მეთუ მე კაცი ვარ სასტიკი: მოვილი, სადა არა დავდვი, და მოვიმკი, სადა არა დავსთესი.
23. და რასათს არა დასდევ ვეცხლი ჩემი სავაჰროსა, და მო-მცა-ვედ მე და ვაზითუროთ ვქმენ იგი.
24. და ჰრქუა წინაშე მდგომელთა მათ: მოუღეთ ვეცხლი ეგე და მიეცით: რომელსა-იგი აქუს ათი სასწორი ვეცხლი.
25. და მათ ჰრქუეს მას: უფალო, აქუს ათი სასწორი.
26. \*\*\*გეტყუ თქუენ, ვითარმედ: ყოველსა რომელსა აქუნდეს მიეცეს: ხოლო რომელსა არა აქუნდეს და რომელსა-იგი აქუნდეს, მო-ე-ვლოს მისგან.
- გ 27. ხოლო მტერნი იგი ჩემნი, რომელთა-იგი არა უნდა მეუფება ჩემი მათ ზედა, მომგუარენით მე აჲ და მოსწყუდენით წინაშე ჩემსა.
28. და ვითარცა ესე წართქუა, ელოდა წინაშე მათსა და აღვიდოდა იე-რუსალჳმად.
29. და იყო ვითარცა \*\*\*\* მიეახლა ბეთბაგედ და ბეთანად, მათსა თანა, რომელსა ჰრქუან ზეთის ხილთა, წარავლინნა ორნი მოწაფეთაგანი
30. და ჰრქუა მათ: წარვედით წინაშე დაბასა მაგას, რომელსა შიხვდეთ და ჰპოოთ კიცუ დაბმული, რომელსა კაცი არღავინ დაქდომილ არს: აჲცენით და მომგუარეთ მე.

15. რომელთა და S. 25. ჰრქუეს S. 28. ი-მლმად S.

\* მ-თე. 18. ბ. 11. \*\* მ-თე. 25. ა. 14. \*\*\* მ-თე. 13. ბ. 12. და 25. გ. 23. მ-რკ. 4. გ. 25. ზე. 8. გ. 18. \*\*\*\* მ-თე. 21. ა. 1. მ-რკ. 11. ა. 1.

31. და უკუეთუ ვინმე გკითხვიდეს: რასათს აჰქსნიო? ესრეთ არქუთ, ვითარმედ: უფალსა უქმს ეგე.

32. და ვითარცა წარვიდეს, რომელნი-იგი მიაველინნა, პოეს ეგრეთ, ვითარცა-იგი ჰრქუა მათ.

33. და აღ-რა-ჰქსნიდეს იგინი კიცუსა მას, ჰრქვეს მათ უფალთა მათ მისთა: რაჲსათს აჰქსნიო კიცუსა მაგას?

34. ხოლო მათ ჰრქუეს ვითარმედ: უფალსა უქმს ეგე.

ვ 35. \*და მოჰკუარეს იგი იესოს და დაასხეს სამოსელი კიცუსა მას; და დაჯდა იესო მას ზედა.

36. და ვითარ შევიდოდა იგი, დაუფენდეს სამოსელსა მათსა გზასა ზედა.

37. და ვითარცა მიიწია იგი შთასავალსა მას მთისა მის ზეთის ხილთასა, იწყო ყოველმან სიმრაველმან მოწაფეთამან სიხარულით ქებად ღმრთისა კმითა დიდითა ყოველთა მათთს, რომელნი იხილნეს ძალნი.

38. და იტყოდეს: კუერთხელ არს მომავალი მეუფე სახელითა უფლისაჲთა! მშუდობა ცათა ზედა და დიდებაჲ მაღალთა შინა!

39. და ფარისეველნი ვინმე ეროსა მისგანნი ეტყოდეს მას და ჰრქუეს: მოძლუარ, შეჰრისხენ მოწაფეთა შენთა!

40. ხოლო იესო მიუგო და ჰრქუა მათ: გეტყვ თქუენ: და დათუ ესენი დუმდენ, ქვანი დაღებდენვე.

41. და ვითარცა მიეახლა, იხილა ქალაქი იგი და ტიროდა მას ზედა.

42. და იტყოდა, ვითარმედ: უკუეთუმცა გეცნა შენ დღესა ამას მშუდობად შენდა! ხოლო აწ დაეფარა თულთაგან შენთა.

43. \*\*რამეთუ მოვლენან დღენი შენ ზედა, და მოგადგენ შენ მტერთა შენთა ლაშქარი და გარემოგადგენ შენ და შეგკრიბონ შენ ყოველით კერძო

44. და დაგარღვიონ შენ, და შევილნი შენნი შენ შორის დაეცნენ, და არა დაშთეს ქვა ქვასა ზედა შენ შორის ამისთს; რამეთუ არა გულისხმაჰყავ ეამი მოხედვისა შენისა.

45. \*\*\* და ვითარცა შევიდა ტაძარსა მას, იწყო გამოსხმად მსყიდელთა მათ და მომსყიდელთა.

46. და ჰრქუა მათ: წერილ არს: სახლი ჩემი სახლი სალოცველ არს, ხოლო თქუენ ჰყავთ იგი ქუაბ ავაზაკთა.

47. და იყო მუნ და ასწავებდა დღითი-დღედ ტაძარსა მას შინა. ხოლო მღდელთ მოძლუარნი იგი და მწიგნობარნი და მთავარნი ერისანი ეძიებდეს მას წარწყმედად.

48. და ვერარას ჰპოებდეს, რა უყონ მას, რამეთუ ყოველი ერი დამორჩილებულ იყო სმენად მისგან.

## 20

ა 1. \*\*\*\* და იყო მათ დღეთა შინა, ასწავებდა რა ერსა მას და ახარებდა ტაძარსა შინა, ზედა მიუტყდეს მღდელთ მოძლუარნი იგი და მწიგნობარნი მოხუცებულთურთ,

37. ღმრთისა S.

\* იწე. 12. ბ. 7. \*\* მთე. 24. ა. 2. მრკ. 13. ა. 2. ჳეე. 21. ბ. 6. \*\*\* ესა. 56. გ. 7. იერ. 7. ბ. 11. მთე. 21. ბ. 12. მრკ. 11. ბ. 17. \*\*\*\* მთე. 21. გ. 23. მრკ. 11. დ. 27.

2. ეტყოდეს მას და პრქუეს: გუთხარ ჩუენ, რომლითა კელმწიფებითა ამას იქმ, ანუ ვინ მოგცა შენ კელმწიფება ესე?

3. მიუგო იესო და პრქუა მათ. გკითხო თქუენ მეცა სიტყუა ერთი, და მითხართ მე:

4. ნათლის-ცემა იოანესი ზეცით იყო ანუ კაცთაგან?

5. ხოლო იგინი შეიზრახნეს ურთიერთას და იტყოდეს: უკეთუ ვთქუათ, ვითარმედ: ზეცით იყო, მრქეას ჩუენ: რასათუს არა გრწმენა მისი?

6. და უკუეთუ ვთქუათ: კაცთაგან, ყოველმან ერმან ქვა დამკრბობს ჩუენ, რამეთუ სარწმუნო არს იოანე წინაწარმეტყველად.

7. და მიუგეს და პრქეეს: არა ვიცით, ვინა იყო.

8. და იესო პრქუა მათ: არცა მე გითხრა თქუენ, რომლითა კელმწიფე-ბითა ამას ვიქმ.

9. და იწყო იგავით სიტყუად მათთა: \*კაცმან ვინმე დაასხა ვენაჯი და მის-ცა იგი მოქმედთა და წარვიდა მრავალთა ჟამთა.

10. და ჟამსა თუსსა მიუვლინა მოქმედთა მათ მონა, რამთა ნაყოფისა მისგან მოსცენ მას. ხოლო მოქმედთა მათ სცეს და ტანჯეს და წარავლინეს იგი ცალიერი.

11. და შესძინა მივლინებად სხვა მონა. ხოლო მათ იგიცა გუემეს და წა-რავლინეს ცუდი.

12. მერმე კულად მიავლინა მესამე. ხოლო მათ შეიპყრეს და დასდევს მას წყლულება და გამოაძეს იგი.

13. და თქუა უფალმან მის ვენაჯისამან: რაი ვყო? მივავლინო ძე ჩემი საყუარელი, ვინ უწყის, შეიკდომონ.

14. ხოლო ვითარცა იხილეს იგი ქეეყანისმოქმედთა მათ, ზრახვა-ყვეს ურთიერთას და თქუეს: ესე არს მკედრი, მოვედით და მოვკლათ იგი, რამ-თა ჩუენდა იყოს სამკედრებელი.

15. და განიყვანეს იგი გარეშე საენაჯესა მას და მოკლეს. აწ რაი უყოს მათ უფალმან საენაჯისამან?

16. მოვიდეს და წარწყმდნეს ქუეყანისმოქმედნი იგი და მისცეს ვენაჯი იგი სხუათა. ხოლო მათ ესმა ესე და თქეეს: ნუ იყოფინ.

17. ხოლო თავადმან მან მიხედა მათ და პრქეა: ვითარ არს წერილი ესე: \*ლოდი, რომელ შეურაცხ-ყვეს მაშენებელთა, იგი იქმნა თავკიდეთა?

18. ყოველი, რომელი დაეცეს ლოდს მას ზედა, შეიმუსროს; და რომელსა ზედა დაეცეს, განანქრიოს იგი.

19. და უნდა მდღელთმოდლუართა მათ და მწიგნობართა. დასხმად კელთა მათთა მას ჟამსა შინა და ეშინოდა ერისა მის, რამეთუ გულისხმა-ყვეს, ვითარ-მედ მათთუს თქუა იგავი ესე.

20. და მზირ-უყვეს მას და მიავლინნეს მზირნი ორგულნი, რომელნი მართლად იტყოდეს თაეთა თუსთა, რამთა პოონ რამე სიტყუა მის თანა და მისცენ იგი მთავრობასა და კელმწიფებასა მთავრისასა.

21. და ჰკითხეს მას და ეტყოდეს: მოძლუარ, ვიცით, რამეთუ მართალსა იტყუ და ასწავებ და არა ვის თულად აღებ პირსა, არამედ კეშმარიტად გზასა ღმრთისასა ასწავებ.

11. გუტმეს S. 14. თქუქს S. 21. ღმრთისასა S.

\* ესა. 5. ა. 1. იერ. 2. ე. 21. მთე. 21. დ. 33. მრკ. 12. ა. 1. \*\* ფსლ. 117. დ. 22. ესა. 28. დ. 16. მთე. 21. დ. 42. სქმ. 4. ბ. 11. პრო. 9. ზ. 33. 1. პეტ. 2. ბ. 7. \*\*\* მთე. 22. ბ. 15. მრკ. 12. ბ. 10.

22. ჯერ-არსა კეისრისა ხარკისა მიცემად ანუ არა?
23. და ვითარცა გულისხმა-ყო ზაქულება იგი მათი, ჰრქუა მათ: რასა გამომცდით მე?
24. მიჩუნეთ მე დრაჰკანი! ხოლო მათ უჩვენეს. და ჰრქუა: ვისი არს ხატო და ზედა წერილი? ხოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს: კეისრისა.
25. და იესო ჰრქუა მათ: \*აწ უკვე მიეცით კეისრისა კეისარსა და ღმრთისაჲ ღმერთსა.
26. და ვერა რა პოეს მისთვის სიტყუსგება წინაშე ერისა მის. და უკრდა. სიტყუსმიგება იგი მისი და დაღუმნეს.
27. \*\*მო-ვინმე-უტედეს მას, მას უამსა შინა საღუეველნი. (რომელნი აცილობენ, ვითარმედ აღდგომა არა არს.) და ჰკითხეს მას და ეტყოდეს:
28. მოძღუარ, მოსე ესრეთ დამიწერა ჩუენ: \*\*\*უკეთუ ვისმე ძმა მოუკუდეს და ესუას მას ცოლი და იგი უშვილო იყოს, რამთა შეირთოს ცოლი იგო მისი ძმამან მისმან და აღუდგინოს თესლი ძმასა თუსსა.
29. უზენი უკუე ძმანი იყვნეს ჩუენ შორს. და პირველმან მან შეირთო ცოლი და მოკუდა უშვილო.
30. და მეორემან შეირთო და იგიცა მოკუდა უშვილო.
31. და მესამემან და მოსწყდეს უშვილონი და ეგრეთვე ვიდრე მეშუდედმდე, და არა დაშთა შვილი.
32. შემდგომად მათ ყოველთასა მოკუდა დედაკაციცა იგი.
33. აწ უკუე აღდგომასა მას მკუდართასა ვისა მათგანისა იყოს ცოლ, რამეთუ უზდათე მათ ესუა იგი ცოლად.
34. მიუგო იესო და ჰრქუა მათ: ნაშობნი ამის სოფლისანი. იქორწინებიან და განჰქორწინებენ:
35. ხოლო რომელნი-იგი ღირს იქმნენ საუკუნესა მას მიმთხუევად და აღდგომასა მას მკუდრეთით, არცა იქორწინებოდინ, არცა განჰქორწინებდენ.
36. არცაღა მერმე სიკუდილად კელ-ეწიფების, რამეთუ სწორ ანგელოზთა არიან და ძენი ღმრთისანი და აღდგომისანი არიან.
37. ხოლო რამეთუ აღდგენ მკუდარნი, მოსეცა აუწყა მაცლოვანსა მას ზედა, \*\*\*\*ვითარცა-იგი ეტყუს უფალსა ღმერთსა აბრაჰამისსა და ღმერთსა ისაისსა და ღმერთსა იაკობისსა.
38. რამეთუ არა არს ღმერთი მკუდართა, არამედ ცხოველთა, რამეთუ ყოველნი ცხოველ არიან მის წინაშე.
39. მი-ვიეთმე-უგეს მწიგნობართა და ჰრქუეს: მოძღუარ, კეთილად სთქუ-
40. ვერღარა იკადრეს კითხვად მისა მიერთგან. და ჰრქუა მათ უფალმან:
41. ვითარ უკუე იტყვან ქრისტესა ძედ დავითისა?
42. რამეთუ თუ იგი დავით იტყუს წიგნსა ფსალმუნთასა: \*\*\*\*\*ჰრქუა. უფალმან უფალსა ჩემსა: დაჯედ მარჯუენით ჩემსა,
43. ვიდრემდე დავსხნე მტერნი შენნი ქუეშე ფერკთა შენთა.
44. თუ იგი დავით უფლით ზადის, და ვითარ ძე მისი არს?
45. და ვითარცა ესმოდა ესე ყოველსა მას ერსა, ჰრქუა მოწაფეთა თუსთა:

24. მიჩუნეთ. S. 29. უკუე S. 33. უკუე S. მიმთხუევად S. 36. ღმრთისანი S. 37. იტყეს S. 41. უკუე S. 43. ქუეშე S.

\* ჰრო. 13. ა. 7. \*\* მთე. 22. გ. 23. მრკ. 12. ბ. 18. \*\*\* 2. სკლ. 25. ა. 5. \*\*\*\* გზოს. 3. ბ. 6. \*\*\*\*\* ფსნი. 109. ა. 1. მთა. 22. დ. 44. მრკ. 12. დ. 36.

46. \* ეკრძალებნით მწიგნობართაგან, რომელთა ჰნებაეს სამოსლითა სლვა და რომელთა უყვარს უბანთა ზედა მოკიოხვა და პირველად ჯდომა კრებულსა შორის და ზემოჯდომა პურსა ზედა,

47. რომელნი შეშჳამენ სახლებსა ქუროვთასა და მიზეზით განგრობილად ილოცევედ. ამით მოიღონ უმეტესი საშჳელი.

21

ა 1. და ზმიძხედა და იხილა, რომელნი რტრ ღასდებდეს შესაწირავსა ფასისსაცავსა მას მდიდარნი.

2. და იხილა ვინმე ქუტრივი გლახაკი, რომელჲან დადვა ორი მწულილი.

3. და თჳუა: კეშმარიტად გეტყუ თჳუნ, რამეთუ ქუტრივან ამან გლახაკჲან უმეტეს ყოველთასა შეწირა,

4. რამეთუ ამით ყოველთა ნამეტნაეისაგან მათისა დანტქეს შესაწირავსა ამას ღმრთისასა, ხოლო ამან ნაკულუღეანებისაგან თვისისა, ყრველი, რაცა აჴუნდა საცხორებელი, შეწირა.

5. და რომელნიმე იტყოდეს ტაძრისათჳს, ვითარმედ: ქვითა კეთილითა და პატრონისითა შენებულ არს; და თჳუა იესო:

ბ. ხედაეთ ამას? \*\*\*მოვლენან დღენი, რომელთა შინა არა ჲაშბეტეს ჴვა ჴეჳასა ზედა, რომელი არა დაირღვეს.

7. ჰკითხნეს მას მოწაფეთა: მოძლუარ, ოდეს უჳუე იყოს ესე, და რა არს სასწაული, რაჲამს ესე ყოფად არს?

8. ზოლო თავადმან თჳუა: იხილეთ, ნუჳუჳე სცთეთ, რამეთუ მრავალნი მოვიდოდიან სახელითა ჩემითა და იტყოდიან, ვითარმედ მე ვარ. და ჴამი მოწევნულ არს, არამედ ნუ მიხვალთ შედგომად მათდა.

9. და ოდეს გესმოდინ ბრძოლანი და შფოთნი, ნუ შესძრწუნდებთ, რამეთუ ჳერ-არს ესე პირველად ყოფად, და არღა მეყსეულად იყოს აღსასრული.

10. მაშინ ეტყოდა მათ: აღდგეს ნათესავი ნათესავსა ზედა და მეუფება მეუფებასა ზედა.

11. და იყენენ ძრვანი დიდ-დიდნი ადგილ-ადგილ, სიყმილნი და სრვანი; ჲაშინელებანი ზეცით და სასწაულნი დიდ-დიდნი იყენენ.

12. ხოლო ამით ყოველთა წინა დაგახხნენ თჳუნ ზედა კელნი მანნი და გღვენდენ და მიგცნენ თჳუნ შესაკრებელთა და საჳყოზილეთა და მეფეთა წინაშე და მთავართა მიგიყვანენ სახელისა ჩემისათჳს.

13. და გეჴმნეს თჳუნ ესე საჳამებელ.

14. დაიხხენით ესე გულთა თჳუნთა, რამთა არა წინაწარ იწურთიდეთ, რამ სიტყუა მიუგოთ,

და 15. რამეთუ მე მოგცე თჳუნ პირი და სიბრძნე, რომელსა ვერ უძლონ წინააღმდეგომად და სიტყუს გებად ყოველთა წინააღმდეგომთა თჳუნთა.

16. რამეთუ მიეცნეთ თჳუნ მამა-ღელათაგან და ძმათა და მეგობართა და ნათესავთა, და მოჴკლვიდენ თჳუნგანთა.

17. და იყენეთ თჳუნ მოძულეებულ ყოველთაგან სახელისა ჩემისათჳს.

18. და თმა თავისა თჳუნისა არა წარწყმდეს.

4. ღმრთისასა S. 7. უჳუ S. 8. ნუჳუჳ S. 10. მეუფება S. 14. თჳუნთა S. 16. თჳუნგანთა S. \* შთე. 23. ა. 6. შრკ. 12. დ. 38. იე. 11. ვ. 43. \*\* შრკ. 12; დ. 42. \*\*\* შთე. 24. ა. 2. შრკ. 13. ა. 2. ზე. 19. ვ. 44.

19. და მოთმინებითა თქუენითა მოიპოვნეთ სულნი თქუენნი.

20. \*რაჟამს იხილოთ იერუსალმჳსა გარემოდგომილი ერი მკედრებისა მამის გულისხმა-ყავთ, რამეთუ მოახლებულ არს მოოჯრება მისი.

21. მაშინ რომელნი იყვნენ ჰურიასტანს, იელტოდენ მთად; და რომელნი იყვნენ შორის მისა, განიელტოდენ; და რომელნი ველსა იყვნენ, ნუ შეველენდ მუნ.

22. რამეთუ დღენი შურისგებისანი ესე არიან, რაჲთა აღესრულნენ ყოველნი წერილნი.

23. ხოლო ვაჲ მუცელ-ქმნულთა და რომელნი აწოდებდენ მათ დღეთა შინა, რამეთუ იყოს მაშინ ჳირი დიდი ქუეყანასა ზედა და რისხვა ერსა ამას ზედა.

24. და დაეცნენ პირითა მახულისათა და წარიტყუენენ ყოველთა მიერ წარმართთა; და იერუსალიმი დათრგუნვილ იყოს წარმართთაგან, ვიდრემდე აღესრულნენ ეამნი წარმართთანი.

25. \*\*ქდა იყოს სასწაული მზესა შინა და მთოვარესა და ვარსკულავთა, და ქუეყანასა ზედა შეკრება თესლებისა განკვრევებითა ოხრისათა ზღუსაგან და ძრვისა.

26. სულითა კაცთათა შიშისაგან და მოლოდებისა მომავალისა ზედა სოფელსა ამას, რამეთუ ძალნი ცათანი შეიძრნენ.

27. და მაშინ იხილონ ძე კაცისა, მომავალი ღრუბელთა ძალითა და დიდებითა მრავლითა.

28. და ვითარცა იწყოს ამან ყოველმან ყოფად, აღიხილენით თუალნი და აღიპყრენით თავნი თქუენნი, \*\*\*რამეთუ მოწვევულ არს გამოკსნა თქუენი.

29. და ეტყოდა მათ იგავსა: იხილეთ ლელუ და ყოველნი ხენი.

30. რაჟამს გამოვალნ ფურცელი, თუთ უწყოდით, რამეთუ ახლოს არს ზაფხული.

31. ეგრეცა თქუენ, რაჟამს იხილოთ ესე ყოველი ყოფილი, უწყოდეთ, რამეთუ ახლოს არს სასუფეველი ღმრთისა.

32. მაშინ გეტყუ თქუენ, რამეთუ არა წარცდეს ნათესავი ესე, ვიდრემდე ესე ყოველი იყოს.

33. ცანი და ქუეყანა წარცდენ, ხოლო სიტყუანი ჩემნი არა წარცდენ.

34. ეკრძალებით თავთა თქუენთა, ნუუკუე დამძიმდენ გულნი თქუენნი შუებითა და მთრვალობითა და ზრუნვითა ამის სოფლისათა, და მეყსეულად მოიწიოს თქუენ ზედა დღე იგი.

35. რამეთუ ვითარცა საბრკე მოუცდეს მსხდომარეთა ზედა პირსა ყოველისა ქუეყანისასა.

36. იღუქმდით უკუე ყოველსა ეამსა და ევედრებოდეთ, რაჲთა ღირს იქმნეთ განრინებად ამის ყოველისაგან, რომელი ყოფად არს და დადგრომად წინაშე ძისა კაცისა.

37. და იყოფოდა თავადი ტაძარსა მას შინა დღისი და ასწავებდა; ხოლო ღამე განვიდის და იქცევიან მთასა მას, რომელსა ჰრქვან ზეთისხილთა.

38. და ყოველმან ერმან აღიმსთუს მისა ტაძარსა მას შინა სმენად სიტყუათა მისთა.

20. იქლმსა S. 21. წარიტყუენენ S. იქლმი S. 34. ნუუკუ S. შუქებითა S. 36. უკუ S. განრინება S.

\* დანლ. 9. ზ. 17. მთე. 24. ბ. 15. მრკ. 13. ბ. 14. \*\* ესა. 13. ბ. 10. ეზე. 32. ბ. 7. იოელ. 3. ბ. 15. მთე. 24. გ. 29. მრკ. 13. ბ. 24. \*\*\* ჰრკ. 8. დ. 23.

22

ა 1. და \*მოახლებულ იყო დღესასწაული იგი უცომოებისა, რომელსა ჰრქვან პასქა.

2. და ეძიებდეს მას მღვდელთმოდღუარნი იგი და მწიგნობარნი, რაათამცა მოკლეს იგი, ხოლო ეშინოდა ერისა მის.

3. \*\*და შეუქცა ეშმაკი იუდას, რომელსა ერქუა ისკარიოტელ. და იყო იგი რიცხვსაგან ათორმეტთასა.

4. და მივიდა, და ეზრახა მღვდელთმოდღუართა. და მწიგნობართა და ერისა წინამძღუართა, ვითარმცა იგი მისცა მათ.

5. ხოლო მათ განიხარეს და აღუთქუეს მას ვეცხლი მიცემად.

6. და აღუვარა მათ და ეძიებდა ჟამსა მარჯუესა, რაათა მისცეს იგი მათ თუნიერ ერისა.

7. მოიწინეს დღენი იგი უცომოებისანი, ოდეს ღირდა პასქა იგი დაკლვად.

8. და წარავლინნა პეტრე და იოანე და ჰრქუა მათ: წარვედით და მომიზადეთ ჩუენ პასქა, რაათა ვკამოთ.

9. ხოლო მათ ჰრქუეს: სადა გნებავს, და მოგიზადოთ?

ბ 10. ხოლო თავადმან ჰრქუა მათ: აჰა ეგერა შესლვასა ოდენ თქუენსა ქალაქად შეგემთხვოს თქუენ კაცი, რომელსა ლაგვნი წყლითა ზე ეღვას, შეუდეგით მას სახიდ, ვიდრეცა შევიდეს.

11. და არქუთ სახლისა უფალსა მას: გეტყვს შენ მოძღუარი: სადა არს სავანე, რომელსა პასქა ესე მოწაფეთა ჩემთა თანა ვკამო.

12. და მან გიჩუენოს თქუენ ქორი დაგებული დიდი; მუნ მზა-მიყავთ ჩუენ.

13. და წარვიდეს და პოვეს ეგრე, ვითარცა-იგი ჰრქუა მათ, და მოუზადეს პასქა იგი.

14. \*\*\*და ოდეს იყო ჟამი, დაჯდა, და ათორმეტნი მოციქულნი მის თანა.

15. და ჰრქუა მათ: გულის სიტყუთ გული მითქმიდა პასექსა ამას კამად თქუენ თანა ვიდრე ვნებადმდე ჩემდა.

16. ხოლო გეტყვ თქუენ: არღარა ვკამო ამიერითგან, ვიდრემდე აღესრულოს სასუფეველსა შინა ღმრთისასა.

17. და მოიღო სასუმელი და ჰმადლობდა და თქუა: მიიღეთ და განიყავთ თავისა თქუენისა.

18. ხოლო გეტყვ თქუენ: ამიერითგან არღარა ვსუა ნაყოფისაგან ვენაჯისა, ვიდრემდე სასუფეველი ღმრთისა მოვიდეს.

გ 19. \*\*\*\*და მოიღო პური, ჰმადლობდა და განტეხნა და მისცა მათ და თქუა: ესე არს ჯორცი ჩემი თქუენთვს მიცემული, ამას ჰყოფდით მოსახსენებელად ჩემდა.

20. ეგრეთვე სასუმელი შემდგომად სერობისა და თქუა: ესე სასუმელი — ახალი შჯული სისხლისა ჩემისა თქუენთვს დათხეული.

21. \*\*\*\*ხოლო აჰა ჭელი განმცემელისა ჩემისა ჩემ თანა ტაბლასა ზედა.

22. ძე სამე კაცისა, მსგავსად განჩინებულისა მისისა, წარვალს, ხოლო ვაჟ არს კაცისა მის, ვის მიერ მიეცემის იგი!

5. აღუთქუეს S. 6. მარჯუესა S. 9. ჰრქუეს S. 10. თქუენ S. 12. გიჩუენოს S. \* მთე. 26. ა. 2. მრკ. 14. ა. 1. \*\* მთე. 26. ბ. 14. მრკ. 14. ბ. 10.. \*\*\* მთე. 16. ბ. 20. მრკ. 14. ბ. 17. \*\*\*\* კორ. 11. ე. 24. \*\*\*\*\* მთე. 26. ბ. 21. მრკ. 14. ბ. 20. იწყ. 13. ბ. 18. ფსნი. 40. ბ. 9.

23. და მათ იწყეს განობიებად ურთიერთას: ვინმე არს მათგანი, რომელსა ეგულეების ესე ყოფად.

24. და იყო ცილობაცა მათ შორის, ვითარმედ: ვინმე იყო დიდი მათ შორის.

25. \*ხოლო თავადმან პრქვა მათ: მეფენი წარმართთანი უფლებენ მათ ზედა, და რომელთა კელმწიფება აქუნ მათ ზედა, ქველისმოქმედ პრქვან.

26. ხოლო თქუენ არა ეგრე იყვნეთ, არამედ უდიდესი იგი თქუენ შორის იყავნ მრწემ, და წინამძღუარი იგი — ვითარცა მსახური.

27. ვინ არს უფროსი: რომელი ინაცით ზის ანუ რომელი კმსახურებს? ანუ არა რომელი-იგი ინაცით ზის? ხოლო მე ვარ შორის თქუენსა ვითარცა მსახური.

28. და თქუენ ხართ, რომელნი დაადგერით ჩემ თანა განსაცდელთა შინა ჩემთა.

29. და მე აღგიტუამ თქუენ. ვითარცა მე აღმიტუა მამამან ჩემმან სასუფეველსა,

30. რამთა შკამდეთ და სუმიდეთ ტაბლასა ზედა ჩემსა და დასხდეთ ათორმეტთა საყდართა და შვიდეთ ათორმეტთა ტომთა ისრამლისათა.

31. და თქუა უფალმან: სიმონ, სიმონ, აჰა ესერა ეშმაკმან გამოგიტხოვნა კქუენ აღტრად, ვითარცა იფქლი.

32. ხოლო მე ვევედრე მამასა ჩემსა შენთვის, რამთა არა მოგაკლდეს სასრუმუნობა შენი, და შენ ოდესმე მიიქცე და განამტიცენ ძმანი შენნი.

33. ხოლო მან თქუა: უფალო, მე შენ თანა მზა ვარ საპყრობილედ და სიკუდილად მისლვად.

34. \*\*ხოლო თავადმან თქუა: ვეტყვ შენ, პეტრე: არღა ეყივლოს ქათამსა დიდეს, ვიდრემდე სამგზის უვარ-ყო, ვითარმედ არა მიცი მე.

35. და პრქუა მათ: \*\*\*ოდეს-იგი წარგავლინენ თქუენ თვნიერ ბალანტისა და ვაშკარანისა: და ფერკთა შესასხმელთა, ნუ გაკლდა რამ თქუენ? ხოლო მათ პრქუეს: არარამ გუაკლდა.

36. და მერმე პრქვა მათ: არამედ აწ რომელსა აქუნდეს საქუფთე, აღილონ: ეგრეთვე მსგავსად ვაშკარანიცა; და რომელსა არა აქუნდეს, განყიდენ სამოსელი თსი და იყიდენ მახული.

37. ვეტყვ თქუენ: ესე ხოლოდა წერილი ჯერ-არს ჩემ ზედა აღსრულებად, \*\*\*\*ვითარმედ: უშკელოთა თანა შეირაცხა, და რამეთუ ჩემთვის აღსასრული იყოს.

38. ხოლო მათ პრქუეს: უფალო, აჰა ესერა არიან აქა ორ დანაკ. ხოლო დავადმან პრქუა მათ: კმა არს.

39. \*\*\*\*\*და გამოვიდა მიერ და წარვიდა, ვითარცა ჩუეულება აქუნდა, მთასა მას ზეთისხილთასა. და მისდევდეს მას მოწაფენიცა მისნი.

40d და მი-რა-ვიდა ადგრლსა მას. პრქუა მათ: ილოცვედით, რამთა არა შეხედეთ განსაცდელსა.

ე 41. \*\*\*\*\*და თავადი განეშორა მათგან ვითარ ქვის სატყორცებელ ოდენ. და დაიდგნა მუქლნი, ილოცვიდა.

28. თქლს S. 29. აღიგ. თქუამ S.

\* შტე. 20. გ. 25. შრკ. 10. ვ. 42. \*\* შტე. 26. გ. 34. შრკ. 14. გ. 30. \*\*\* შტე. 10. ბ. 9. \*\*\*\* ესრია. 53. დ. 10. \*\*\*\*\* შტე. 26. დ. 36. შრკ. 14. დ. 32. იწე. 18. ვ. 1. \*\*\*\*\* შტე. 26. დ. 39. შრკ. 14. დ. 35.



42. და იტყოდა: მამაო, უკუეთუ გნებავს თანა წარსლვად სასუმელი ესე ჩემგან, ხოლო ნუ ნება ჩემი, არამედ ნება შენი იყავნ!

43. და ერუენა მას ანგელოზი ზეცით, განაძლიერებდა მას. და იყო იგი დეაწლსა შინა, უმეტეს-და ილოცვიდა.

44. და იქმნა ოფლი მისი, ვითარცა ცვარი სისხლისა გარდამოძავალი ქუეყანასა ზედა.

45. და აღდგა მიერ ლოცვისაგან და მოვიდა მოწაფეთა თესთა და პოენა ივინი მძინარენი მწუხარებისა მისგან.

46. და ჰრქუა მათ: რასა გძინავს? აღდეგით, ილოცევდით, რამთა არა შეხვიდეთ განსაცდელსა.

47. \*და ვიღრე იგი ამას იტყოდა-და, აჲ ერი და რომელსა ერქუა იუდა ისკარიოტელი, ერთი ათორშეტოვანი, წინაუძლოდა მათ და მიეახლა იესოს ამბორის-ყოფად მისა, რამეთუ ესე სასწაული მიეცა მათა. და ჰრქუა: რომელსა მე ამბორის-უყო, იგი არს.

48. ხოლო იესო ჰრქუა მას: იუდა, ამბორის-ყოფითა მისცემა ძესა კაცი-სასა?

49. იხილეს რა მის თანათა მათ საქმე ესე, ჰრქუეს მას: უფალო, უკუეთუ მოვსრნეთ ესენი მახვლითა?

ვ 50. და სცა ვინმე მათგანმან ერთმან მონასა მღდელთმოდღურისასა და წარკვეთა ყური მისი მარჯუნენე.

51. მიუგო იესო და ჰრქუა მათ: აცადეთ აქამომდე, და შეახო კელი ყურსა მისსა და განკურნა იგი.

52. ჰრქუა იესო მოსრულთა მათ მის ზედა მღდელთმოდღუართა და ერისთავთა ტაძრისათა და ხუცესთა: ვითარცა ავაზაკსა ზედა გამოსრულ ხართ მახვლითა და წათეზითა.

53. დღითი-დღე ვიყავ მე თქუენ თანა ტაძარსა მას შინა, და არა განყავთ კელი ჩემ ზედა; არამედ ესე არს ეამი თქუენი და კელმწიფება ბნელისა.

54. \*\* და ვითარცა შეიპყრეს იგი, წარიყვანეს და შეიყვანეს სახლსა მღდელთმოდღურისასა. ხოლო პეტრე მისდევდა შორით.

55. \*\*\* და აღაგზნეს ცეცხლი შორის ეზოსა მას და გარე მოასხდეს ივინი: დაჯდა პეტრეცა შორის მათსა.

56. და იხილა იგი მკვეალმან ვინმე მჯღომარე ნათელსა მას, მიჰხედა მას და თქუა: ესეცა მის თანა იყო.

57. ხოლო მან უვარ-ყო და თქუა: დედაკაციო, არა ვიცი იგი.

58. და მკირედ-რე შემდგომად იხილა იგი სხუამან და თქუა: და შენცა მათ თანა ხარ, ხოლო პეტრე თქუა: კაციო, არა ვარ მათ თანა.

ზ 59. \*\*\*\* და ვითარცა წარჯდა ეამი ერთი, სხუა ვინმე დაამტკიცებდა და იტყოდა: ქეშმარიტად ესეცა მის თანავე იყო, და რამეთუ გალილეველ არს.

60. ხოლო პეტრე ჰრქუა მას: კაციო, არა ვიცი, რასა იტყუ. და მეყსეულად ვიღრე იტყოდა-და იგი ამას, ქათამმან იყივლა.

61. და მოიქცა უფალი და მიხედა პეტრეს. და მოეკსენა პეტრეს სიტყუა იგი უფლისაჲ, რომელ ჰრქუა მას, \*\*\*\*\* ვითარმედ: ვიღრე ქათმისა კმობადმდე სამ უვარ-ყო მე.

50. მარჯუქმნე S.

\* მთე. 26. ე. 47. მრკ. 14. ე. 43. ონე. 18. ა. 3. \*\* მთე. 26. ე. 57. მრკ. 14. ე. 53. ონე. 18. დ. 24. \*\*\* მთე. 26. ე. 69. მრკ. 14. ე. 66. ონ. 18. ე. 25. \*\*\*\* ონე. 18. ე. 26. \*\*\*\*\* მთე. 26. გ. 34. მრკ. 14. გ. 30. ონე. 13. დ. 38.

62. და განვიდა გარე და ტიროდა მწარედ.
63. ხოლო კაცთა მათ რომელთა შეეპყრა იესო, ეკიცხვიდეს მას და სცემდეს.
64. და დაპბურეს მას თავსა და სცემდეს პირსა და ჰკითხვიდეს და ეტყოდეს: წინაწარმეტყულებდ, ვინ არს, რომელმან გცა შენ?
65. და სხუასა მრავალსა სიტყუასა ჰგმობდეს და იტყოდეს მისთვის.
66. \*და ვითარცა განთენა დღე, შეკრბეს მოხუცებულნი ერისანი, მღღელთმოდლუარნი და მწიგნობარნი და აღიყვანეს იგი საკრებულოსა მას მათსა.
67. და ეტყოდეს: უკეთუ შენ ხარ ქრისტე, მითხარ ჩუენ. პრქუა მათ იესო: უკეთუ გითხრა თქუენ, არა გრწმენეს ჩემი;
68. და უკეთუ გკითხო თქუენ, ვერავე მომიგოთ მე გინა განმიტეოთ.
69. ამერითგან იყო ძე კაცისა მჯდომარე მარჯუენით ძლიერებასა ღმრთისასა.
70. და პრქუეს მას ყოველთა: შენ უკუე ხარა ძე ღმრთისაჲ? პრქუა მათ იესო: უკეთუ გითხრა თქუენ, არა გრწმენეს ჩემი;
71. და მათ თქუეს: რასა-ლა გვემან მოწამენი: რამეთუ ჩუენ თუთ გუეს-მის პირისაგან მაგისისა.

## 23

1. და აღდგა ყოველი იგი სიმრავლე მათი და მოიყვანეს იგი პილატესა.
2. და იწყეს შესმენად მისა და იტყოდეს: ესე ვპოეთ, რამეთუ გარდააქცევდა ნათესავსა ჩუენსა \*\*და აყენებდა ხარკსა ცა მიცემად კეისრისა და იტყოდა თავსა თუსსა ქრისტედ და მეუფე ყოფად.
3. \*\*\*და ჰკითხა მას პილატე და პრქუა: შენ ხარ მეუფე ჰურიათა? ხოლო თავადმან პრქუა მას: შენ იტყუ.
4. ხოლო პილატე პრქუა მღღელთმოდლუართა და ერსა მას: არარასა ბრალსა ვპოებ კაცისა ამის თანა.
5. ხოლო იგინი უფროს განძლიერდებოდეს და იტყოდეს, ვითარმედ: აღაშფოთებს ერსა და ასწავეებს ყოველსა ჰურიასტანსა, უწყყეს გალილეაჲთ ვიდრე აქამომდე.
6. ხოლო პილატეს რაჲ ესმა გალილეა, ჰკითხა მათ: უკეთუ გალილეაჲთ არს კაცი ესე?
7. და გულისხმა-ყო, რამეთუ ეკლმწიფებლისაგან პეროდესისა არს; მიუძღუნა იგი პეროდეს, რამეთუ იყო იგიცა მაშინ იერუსალიმს მათ დღეთა შინა.
8. ხოლო პეროდე ვითარცა იხილა იესო, განიხარა ფრიად, რამეთუ უნდა მისი ხილვა მრავლით ეამითგან ამისთვის, რამეთუ ესმოდა მისთვის და სწადლოდა ხილვად რამსამე სასწაულისა ყოფასა მისგან.
9. და ჰკითხვიდა მას სიტყუთა მრავლითა, ხოლო თავადმან არარაჲ მიუგო მას.

